ალექსანდრე დაუშვილი

I მსოფლიო ომი და ქართული საზოგადოებრიობა

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის
შესწავლისა და პროპაგანდის
სამეცნიერო ცენტრი

ალექსანდრე დაუშვილი

I მსოფლიო ომი და ქართული საზოგადოებრიობა

თბილისი
2024

მონოგრაფია გამოცემულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „I მსოფლიო ომი და ქართული საზოგადოებრიობა“ (გრანტი №PS-23-623) ფარგლებში.

წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

მონოგრაფიაში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტური და ფოტო მასალა, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის არქივის, პროფ. ალ. დაუშვილის პირადი არქივის დოკუმენტები და ფოტოები.

პროექტის ხელმძღვანელი: **ალექსანდრე დაუშვილი**
პროექტის კოორდინატორი: **ლელა მიქიაშვილი**
ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორი: **უჩა ბლუაშვილი**
რედაქტორი: **ნათია ჯალაბაძე**

რეცენზენტები: **კობა წენგუაშვილი**
ნათია მირიანაშვილი

დიზაინერი: **ანა რუაძე**
დაკბადონება: **ხათუნა ჩაჩუა**

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. 2024
© ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. 2024
© ალექსანდრე დაუშვილი. 2024

ISBN 978-9941-514-62-3

წინათქმა

110 წელი შესრულდა I მსოფლიო ომის დაწყებიდან...

კაცობრიობის ისტორიაში 1914-1918 წლებში მიმდინარე ეს დრამატული ისტორიული მოვლენა განსაკუთრებით გამორჩეულია როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგების თვალსაზრისით, რადგან სწორედ I მსოფლიო ომის მომზადებამ, მისმა მსვლელობამ, მასში მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური ლიდერების გაუაზრებელმა (ან შეგნებულად „გააზრებულმა") ქმედებებმა და მათი საქმიანობის შედეგებმა, მნიშვნელოვანწილად, განაპირობეს დრამატული XX საუკუნის ისტორიული განვითარების მაგისტრალური ხაზის რიგი ნიშნები: გამოიწვიეს მსოფლიო იმპერიების რღვევა, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისები, პოლიტიკური კატაკლიზმები, რადიკალური სოციალური რევოლუციები, სოციალურ-პოლიტიკური ექსპერიმენტები და ა. შ. რაც მთავარია, ამ ომის შედეგებმა წინა პლანზე წამოსწიეს ახალი პრობლემები, რომლებმაც მოკლე ხანში, გამოიწვიეს II მსოფლიო ომი – ამჯერად უკვე განუზომელი ადამიანური მსხვერპლით და კიდევ უფრო დრამატული შედეგებით.

აქედან გამომდინარე, I მსოფლიო ომის მომზადების, დაპირისპირებულ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებების ფორმირებისა და საქმიანობის, უშუალოდ ომის მიმდინარეობისა და მისი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიმართ ინტერესი სამეცნიერო წრეებში არა თუ სუსტდება, არამედ, პირიქით, იზრდება და ეს ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ევროპაში სწორედ I მსოფლიო ომის 100 წლის იუბილეს აღნიშვნის პერიოდში, ე.ი. 10 წლის წინ, როცა ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში ჩატარდა საიბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ღონისძიებები, მომზადდა და გამოქვეყნდა არაერთი საყურადღებო მონოგრაფია; ამასთანავე, მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები ფართოდ

აშუქებდნენ I მსოფლიო ომის პრობლემებს, აწყობდნენ სამეცნიერო დისკუსიებს, წამყვან მეცნიერთა გამოკითხვებს, იღებდნენ ფილმებს, აქვეყნებდნენ მოგონებებს...

ქართველი ისტორიკოსები ამ პროცესებში საერთოდ არ მონაწილეობდნენ – ევროპაში იუბილემ ჩვენს გარეშე ჩაიარა, თუმცა რამდენიმე საინტერესო კონფერენცია საქართველოშიც ჩატარდა.

მაგრამ ხომ ყველასთვის კარგად არის ცნობილი I მსოფლიო ომში ქართველების აქტიური მონაწილეობა: საქართველოდან ომის ფრონტებზე 200 ათასი კაცი იბრძოდა (დღეს ვარაუდობენ უფრო მეტსაც), ომმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაზე. საქართველოს I რესპუბლიკა ფაქტობრივად სწორედ მსოფლიო ომის ცეცხლში „დაიბადა“ და ომის მსვლელობამ, მისმა სამხედრო-პოლიტიკურმა შედეგებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენაც მოახდინა ამ ახალი სახელმწიფოს ფორმირებისა და განვითარების თავისებურებებზე.

სწორედ ამიტომაც ამ პრობლემის სიღრმისეული შესწავლა, ახალი მონოგრაფიებისა და სამეცნიერო სტატიების მომზადება – დროის გამოწვევაა. საჭიროა ახალი დოკუმენტური მასალით გავამდიდროთ I მსოფლიო ომის შემსწავლელი ქართული ისტორიოგრაფია, რათა დავიწყებას არ მიეცეს ჩვენი მამულიშვილების საგმირო საქმეები.

I მსოფლიო ომი კი, მართლაც, XX საუკუნის გამორჩეული და უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენაა:

1. მან დაუდო საფუძველი რადიკალურ ცვლილებებს, პოლიტიკურ ექსპერიმენტებს და, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვნად განსაზღვრა კიდეც მსოფლიოს განვითარების ძირითადი მაგისტრალური ხაზი XX საუკუნეში. ამ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკითხის ყოველმხრივი შესწავლა, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ასპექტების კრიტიკული გააზრება დღესაც აქტუალურია, რადგან XXI საუკუნის დასაწყისიც, ფაქტობრივად, რადიკალური კატაკლიზმებით, მსოფლიოს ხელახალი სამხედრო-პოლიტიკური გადანაწილებით

არის დაღდასმული და წარსულის გამოცდილების კრიტიკული გააზრება როგორც სამეცნიერო წრეებს, ისე საქართველოს საზოგადოებრიობასაც მნიშვნელოვნად დაეხმარება, რათა, პირველ რიგში – სწორად შევაფასოთ ჩვენი წარსული და მისი გამოცდილება, შემდეგ კი უფრო რაციონალურად დავგეგმოთ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური განვითარების ძირითადი პარამეტრები, და ამ გზით თავიდან ავიცილოთ წინაპართა შეცდომები თუ გადაცდომები.

2. I მსოფლიო ომის ქარცეცხლში დაიბადა ახალი საქართველო, გამოქვეყნდა „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“. უნდა გავიაზროთ ამ ორ ისტორიულ ფაქტს შორის ლოგიკური კავშირი და ურთიერთმიმართება.

I მსოფლიო ომის საკითხები თითქმის შეუსწავლელია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში: ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ითვლებოდა, რომ „პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდზე დღემდე არ შექმნილა მაღალმეცნიერული, განმაზოგადებელი, მონოგრაფიული ნაშრომები, მითითებულ წლებზე მხოლოდ ცალკეულ საკითხებისადმი მიძღვნილი ნარკვევები მოგვეპოვება და ისიც მეტად მცირე რაოდენობით“[1].

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გამოთქმული ეს თვალსაზრისი რადიკალურად არ შეცვლილა მომდევნო წლებშიც და საბჭოთა სისტემის დამხობამდე (XX ს. 90 წლებამდე) ეს „თეთრი ლაქა“ არც გამოსწორებულა, თუ არ ჩავთვლით ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე გამოქვეყნებულ სხვადასხვა ნარკვევს თუ მცირე სამეცნიერო სტატიას[2].

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში უკვე არის მეტად საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევები: მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პროფ. გ. გოცირიძის მონოგრაფია

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 26.

[2] М.В. Церцвадзе, Революционное движение в Грузии 1914-1917 гг. ч. 1, М.,1957; ч.2, Тб.,1960; ს. ჩხარტიშვილი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1957; ა. სურგულაძე, რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში, თბ., 1966 და სხვ.

„პირველი მსოფლიო ომი და საქართველო“[1]. ჩვენი აზრით, ეს გამოკვლევა საქართველოს ისტორიის ამ ურთულესი პერიოდის მონოგრაფიული შესწავლისა და კრიტიკულად გააზრების პირველი წარმატებული ცდაა; წიგნში მოცემულია საინტერესო ფაქტობრივი მასალა, გაკეთებულია საყურადღებო სამეცნიერო დასკვნები.

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში ძალიან ბევრი ქართველი ისტორიკოსი, უფრო ხშირად არა მონოგრაფიულად, არამედ თავის იმ განმაზოგადებელ ნაშრომებში, რომლებიც საქართველოს ისტორიის XX საუკუნის პირველ ოცწლეულს ეხება, საუბრობს I მსოფლიო ომზე, ქართველების მონაწილეობაზე ამ ომში, ამ ურთულეს პერიოდში ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.[2]

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში I მსოფლიო ომის პრობლემებზე მსჯელობისას მთავარი სლოგანი გახდა შემდეგი: „მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგით შეიარაღებული საბჭოთა ისტორიკოსები მოვლენებს ცალმხრივად და არაობიექტურად აფასებდნენ და ბოლომდე ვერ ასახავდნენ იმ დროის საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების რეალურ სურათს.“[3]

მაგრამ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში, როგორც ჩვენ შევამჩნიეთ და ამის შესახებ ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი, ზემოთქმულის მიუხედავად (რომ „საბჭოთა ისტორიკოსები მოვლენებს ცალმხრივად და არაობიექტურად აფასებდნენ და ბოლომდე ვერ ასახავდნენ იმ დროის საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების რეალურ სურათს“), ავტორები თავისივე კვლევის შედეგებით და დასკვნებით

---

[1] გ. გოცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009.

[2] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991; ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, თბ. 2009; ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ., 2003; უ. ბლუაშვილი, საქართველოს ისტორია 1900-2016. თბ., 2016 და სხვ.

[3] გ. გოცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009, გვ. 4.

მთელ რიგ საკითხებზე ფაქტობრივად იმეორებენ საბჭოთა ისტორიკოსების შეფასებებს, დასკვნებსა და დებულებებს I მსოფლიო ომის ძირეულ, კარდინალურ საკითხებზე. ასეთი შეხედულებები და დასკვნები ჩვენ შევნიშნეთ ზოგიერთი დასავლეთევროპელი ისტორიკოსის ნააზრევშიც კი, რაზედაც სპეციალურად ქვემოთ შევჩერდებით.

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თუ საბჭოთა ისტორიკოსების დასკვნები და მოსაზრებები ლოგიკურად და ისტორიზმის თვალსაზრისით სამართლიანია, არ უნდა იქნეს დაწუნებული მხოლოდ იმის გამო, რომ ეს დასკვნები მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზეა გაკეთებული.

წინამდებარე ნაშრომში გამორჩეული ყურადღება ეთმობა თანამედროვე თურქულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიოგრაფიას და მათ დასკვნებს, მათ ტერიტორიულ პრეტენზიებს და მოსაზრებებს სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით გამოვყოფთ ორი თურქი ავტორის – ესინ დაისა და ნურეჰინ აიდინის სტატიებში მოტანილ ფაქტოლოგიური მასალას და მათ საყურადღებო მოსაზრებებს[1].

კვლევისას ვითვალისწინებდით თანამედროვე რუსი ისტორიკოსების გ. პაშკოვის, მამა-შვილი რიბასებისა და სხვათა გამოკვლევებში მოცემულ მოსაზრებებს.[2]

მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის ქართულ-სომხური ურთიერთობების პრობლემებზე მუშაობის დროს ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია ცნობილი სომეხი მეცნიერის ა. ე. ხაჩიკიანის გამოკვლევებმაც[3].

ნაშრომში ვიყენებთ I მსოფლიო ომის შესახებ თანამედროვე დასავლეთევროპელი ავტორების ნაშრომებსაც, რომლებიც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ ჩვენთვის

---

[1] ესინ დაი, ელვიე-სელასე – სამი სანჯაყი (ყარსი, ბათუმი, არტაანი), იხ. „ახალციხე – ყარსი“, ახალციხე, 2001; ნურაჰინ აიდინი, ყარსის ხელშეკრულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა. იხ. „ახალციხე – ყარსი“, ახალციხე, 2001, გვ. 134-149.

[2] Б.Г. Пашков, История России, XX век, М., 2000, ст. 74., С. Рыбас, Е. Рыбас. Сталини – судьба и стратегия, т.1 ,М.,2007.

[3] А.Э. Хачикян, История Армении, Ереван, 2016.

და ეხებიან ჩვენთვის საინტერესო საკვლევ პრობლემებს – ესენია მარკ ფერო[1], ნიკოლას ვარტი[2] და სხვ.

ჩვენ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს I მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზების თანამედროვე მეცნიერთა (როგორც ქართველთა, ისე არაქართველთა) ინტერპრეტაცია და გვიჩნდება შეკითხვა – **რამდენად ორიგინალური და ახალია ეს შეხედულებები, და რამდენად რადიკალურად ემიჯნება მათი ეს ახალი ნააზრევი საბჭოურ ისტორიოგრაფიას.** მაგალითად, პროფ. გ. გოცირიძე თვლის, რომ I მსოფლიო ომი „იმპერიალზმის ეპოქაში კაპიტალიზმის განვითარების ობიექტურმა კანონებმა განაპირობა“, „ომი იმპერიალიზმისათვის დასახულ წინააღმდეგობათა უკიდურესად გაღრმავებისა და გამწვავების შედეგად მომწიფდა“, „იმპერიალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდამ, კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ უზრუნველყო ომის დაწყება“ და ა. შ.[3].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში I მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზად დასახელებულია შემდეგი: „პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ) დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულმა წინააღმდგობებმა წარმოშვა. ეს წინააღმდეგობები კანონზომიერი შედეგი იყო მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა“[4].

პროფ. ვ. გურული კოლექტიურ მონოგრაფიაში „კავკასიის ისტორია“ ომის გამომწვევი მიზეზების შეფასებას არ იძლევა და პირდაპირ ომის სამხედრო პერიპეტიებზე გადადის[5], რაც ჩვენ საყურადღებლოდ გვესახება: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეფასების გარეშე ძალიან ბევრი თანამედროვე ისტორიკოსი როგორც ევროპაში, ისე რუსეთშიც,

---

[1] М. Ферро, Николай II, М., 1991;

[2] Н.Верт, История советского государства, 2002.

[3] გ. გოცირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

[4] საქართველო XX საუკუნე, თბ., 2003.

[5] ვ. გურული, პირველი მსოფლიო ომი და კავკასია (1914-1917 წწ.) იხ. წიგნში: „კავკასიის ისტორია“ თბ., 2022, გვ. 407-410.

ცდილობს თავიდან აიცილოს, ჩვენი აზრით, რაიმე მიახლოებითი მინიშნებაც კი საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაზრისებთან. მაგრამ ისმის კითხვა – თუ საბჭოთა ისტორიოგრაფიის რაიმე შეხედულება ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას – განა თანამედროვე დემოკრატ ისტორიკოსს უნდა ეშინოდეს ამ ფაქტის აღიარება!?

პროფ. ალ. ბენდიანიშვილი თავის პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემულ ნაშრომებში, რომლებშიც I მსოფლიო ომის საკითხებს ეხება, მაქსიმალურად ცდილობს თავი აარიდოს ომის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობას და კმაყოფილდება შემდეგი ზოგადი ფრაზებით: „დიდი სახელმწიფოების ურთიერთშორისი ბრძოლა გავლენის სფეროების, კოლონიების განაწილებისა და გადანაწილებისათვის.“[1] იგივეს იმეორებს ა. ბენდიანიშვილი მოგვიანებით, 2012 წელს გამოცემულ კოლექტიურ ნაშრომში „საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული)[2].

პროფ. ო. ჯანელიძის მიხედვით, I მსოფლიო ომი შეამზადა იმან, რომ „ევროპის წამყვანი ქვეყნები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან ემზადებოდნენ „სასიცოცხლო სივრცის“, სინამდვილეში კი კოლონიალური სამფლობელოებისა თუ გავლენის სფეროების გასაფართოვებლად“.[3] ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა და ვიზიარებთ, რომ ავტორი აქცენტს აკეთებს სწორედ საზღვრების (სახელმწიფოებრივი, კოლონიალური, გავლენის სფეროები და ა.შ.) გადასინჯვაზე, რაც I მსოფლიო ომის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) გამომწვევი მიზეზი იყო.

პროფ. უ. ბლუაშვილი I მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზების ჩამოთვლის დროს გამოკვეთს ძირითადს: „ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის ამტყდარი ეს ომი იმპერიალისტური, დაპყრობითი ხასიათის იყო და მიზნად კოლო-

---

[1] ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ. 226.

[2] საქართველოს ისტორია (ოთხტომეული), ტ. IV, თბ., 2012, გვ. 158.

[3] ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 94.

ნიალური სამეფოების ხელახალ გადანაწილებას ისახავ-
და.“[1]

I მსოფლიო ომის შესახებ საინტერესო თვალსაზრისე-
ბი და მდიდარი ფაქტოლოგიური მასალა აქვს მოხმობილი
პროფ. ვ. გურულს კოლექტიურ მონეოგრაფიაში „კავკასიის
ისტორია“, სადაც მას სწორედ I მსოფლიო ომის დროს კავ-
კასიის ხალხების მონაწილეობაზე აქვს გამახვილებული
ყურადღება.

მეტად საინტერესოა ცნობილი ქართველი მეცნიერის,
პროფ. ა. სურგულაძის თვალსაზრისი I მსოფლიო ომის მი-
ზეზებსა და შედეგებზე. ის ერთ-ერთი პირველი ქართველი
ისტორიკოსია, რომელიც სწრაფად გადავიდა პოსტსაბჭოთა
ისტორიოგრაფიის პოზიციებზე. 1991 წელს თავის ვაჟთან, პ.
სურგულაძესთან ერთად გამოცემულ ნაშრომში „საქართვე-
ლოს ისტორია“ (საკითხავი წიგნი), ომის გამომწვევ მიზე-
ზებზე მათ საერთოდ საუბარი არა აქვთ.[2] ეს მაშინ, როცა
პროფ. ა. სურგულაძე არის ავტორი 1972 წელს გამოცემული
კაპიტალურ ნაშრომში „საქართველოს ისტორიის ნარკვევე-
ბის“ მე-6 ტომში, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ
ჩატარებული გამოკვლევისა, სადაც აღნიშნულია შემდეგი:
„ომი მსხვილ სახელმწიფოთა შორის მსოფლიოს ხელახალი
გაყოფისათვის დაიწყო, მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა
ბრძოლა იმპერიალისტურ ქვეყნებში მზარდი რევოლუციუ-
რი მოძრაობის წინააღმდეგ“[3]

ვინც კარგად იცის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში I
მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზების „კლასიკური“ შეფა-
სება, აშკარად მიხვდება, რომ ა. სურგულაძის ზემოთმოტა-
ნილი შეხედულება შორსა დგას ორთოდოქსალური მარ-
ქსისტულ-ლენინურ-სტალინური შეფასებისაგან, რომლის
კანონიკური დოგმატიკა მოცემულია ი. სტალინის რედაქტო-
რობით გამოცემულ ნაშრომებში: „XIX საუკუნის დამლევს
დედამიწის მთელი ტერიტორია განაწილებული აღმოჩნდა

---

[1] უ. ბლუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

[2] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია (საკით-
ხავი წიგნი), თბ., 1991, გვ. 171.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 353.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. ამავე დროს კი კაპიტალიზმის განვითარება იმპერიალიზმის ეპოქაში მეტად უთანაბროდ და და ნახტომისებურად ხდება: ზოგი ქვეყნები, რომლებიც წინათ პირველ ადგილზე იყვნენ, შედარებით ნელა ავითარებენ თავის მრეწველობას, სხვები, რომლებიც წინათ ჩამორჩენილი იყვნენ, სწრაფი ნახტომით ეწევიან და უსწრებენ მათ. იცვლებოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიკური და სამხედრო ძალების თანაფარდობა. ჩნდებოდა მისწრაფება მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის. მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის ბრძოლა იწვევდა იმპერიალისტური ომის გარდუვალობას“[1].

მსგავსი თვალსაზრისი განვითარებულია მეორე კანონიკურ საბჭოთა ნაშრომშიც „სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში“, რომლის რედკოლეგიაშიც წარმოდგენილი იყო თვითონ ი. ბ. სტალინი[2].

როგორც ვხედავთ, პროფ. ა. სურგულაძე XX ს. 70-იან წლებშიც ახერხებდა მოეცა კომუნისტური ორთოდოქსიიდან განსხვავებული (ანუ „არასრულყოფილი“) თვალსაზრისი I მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად არც შეუცვლია პოსტსაბჭოთა პერიოდში.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიაც (რაც ჩვენთვის ცნობილია, ან ნაწილი მაინც) ცდილობს გაემიჯნოს საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებებს I მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით და იძლევიან, მაგალითად, ასეთ შეფასებას: „პირველი მსოფლიო ომის ძირითად გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს ევროპული ქვეყნების ტერიტორიული პრეტენზიები“[3].

საინტერესოა როგორ აფასებს დასავლეთის ისტორიოგრაფია I მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებს დღეს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ტელე-რადიო კომპანია „BBC“-ს მიერ ჩატარებული ისტორიკოსების

---

[1] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, თბ., 1952, გვ 196.

[2] სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში, ტ. I, თბ., 1938, გვ. 9-12.

[3] Б. Г. Пашков, История России, XX век, М., 2000, ст. 74.

გამოკითხვის შედეგების კრიტიკული გააზრება. გამოკითხვაში ჩართული მეცნიერების დიდი უმეტესობა ინგლისელები ან ინგლისურენოვნები არიან (მაგალითად, თურქეთის წარმომადგენელი მეცნიერიც ინგლისელია – პროფ. შონ მაკმიკინი), უნივერსიტეტებიც – ძირითადად დიდ ბრიტანეთს წარმოადგენენ (კემბრიჯი, ლონდონის ეკონომიკური სკოლა, სასექსის უნივერსიტეტი, ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტი და ა.შ.). გერმანიას მხოლოდ შტუტგარტის უნივერსიტეტის პროფესორი ერჰარდ ჰირშფელდი წარმოადგენს. ამ გამოკითხვაში არ არიან წარმომადგენილი საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის უნივერსიტეტები, რაც ამ კვლევის ნდობის ხარისხსა და მის ობიექტურობას გარკვეულად აფერმკრთალებს, თუმცა დასკვნები მაინც საინტერესოა და მათი გაანალიზება მიზანშეწონილად გვესახება.

ნიშანდობლივია, რომ დიდი ბრიტანელი მეცნიერების დიდმა უმეტესობამ I მსოფლიო ომის გაჩაღებაში ძირითადად გერმანია, ან გერმანია და ავსტრია-უნგრეთი დაადანაშაულა. მათ შეხედულებებში აშკარად ჩანს მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორებზე კონცენტრირება.[1]

სუბიექტური მოსაზრებები აქვთ გამოთქმული დისკუსიაში მონაწილე ინგლისის წარმომადგენელ სხვა მეცნიერებსაც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი თავის ქვეყანას – დიდ ბრიტანეთს, რომელიც I მსოფლიო ომის წინ უსამართლოდ ფლობდა მსოფლიოს ტერიტორიების თითქმის ნახევარს, მათ შორის კოლონიების უდიდეს ნაწილს უზარმაზარი რესურსებითურთ, მთელს მსოფლიოს კარნახობდა ეკონომიკური ურთიერთობების საკუთარ წესებს და ასეთი მდგომარეობის „სტატუს-კვოს“ შენარჩუნებას მომავალშიც კვლავ დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა, – მას, თურმე, არა ჰქონდა არავითარი კავშირი მსოფლიო ომის გაჩაღებასთან? აშკარაა – I მსოფლიო ომის გაჩაღებაზე ინგლისის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის პასუხისმგებლობის თა-

[1] Дж. Рол, почетный ипрофессор истории, Университет Сассекса: Кто развязал Первую мировую войну: 10 версий. BBC News, Русская служба. ст. 5. (ინტერნეტ გამოცემა).

ვიდან არიდებით ინგლისელი ისტორიკოსების ეს ჯგუფი აშკარად ავლენს ნაციონალიზმსა და საკითხისადმი სუბიექტურ მიდგომას. ჩვენ კი ვთვლით, რომ თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსების მცდელობა – ომის გამჩაღებელთა კატეგორიიდან ამოიღონ დიდი ბრიტანეთი – აშკარად სუბიექტური და არასამართლიანი შეხედულებაა, რაც დაუშვებელია თანამედროვე საისტორიო მეცნიერებისათვის.

ჩვენი აზრით ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს არიან დისკუსიაში ჩაბმული ის ისტორიკოსები, რომლებიც I მსოფლიო ომის გაჩაღებაში პასუხისმგებლობას ომში მონაწილე თითქმის ყველა ქვეყნის მესვეურებზე ავრცელებენ. ასეთი კი გამოკითხვაში მხოლოდ ორია: გერმანელი მეცნიერი ერჰარდ ჰირშფელდი შტუტგარტიდან და ინგლისელი შონ მაკმიკინი სტამბულის კოჩის უნივერსიტეტიდან. ისინი ომის გამჩაღებლად მიიჩნევენ ავსტრია-უნგრეთს, გერმანიას, რუსეთს, საფრანგეთს, ბრიტანეთს, სერბიას.[1]

ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ I მსოფლიო ომი გამოიწვია: მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის ეკონომიკური წინააღმდეგობების გაძლიერებამ („ბრძოლა ახალი რესურსებისა და ახალი ბაზრებისათვის“), რაც პირველ რიგში უკვე არსებული იმპერიული საზღვრების კონფიგურაციის ცვლილებებს გულიხმობდა (მაგალითად, ნიკოლოზ II პრეტენზია ბოსფორ-დარდანელზე, ვილჰელმ II მისწრაფება საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის იმპერიების დანგრევისა და მათი კოლონიების მისაკუთრებისაკენ და ა.შ.), რევანშისტულმა მისწრაფებებმა (მაგალითად, საფრანგეთს სურდა დაებრუნებინა 1871 წელს დაკარგული ელზას-ლოტარინგია, რომელიც გერმანიამ მიითვისა, თურქეთის სულთანს სურდა უკან დაებრუნებინა 1878 წ. დაკარგული ბათუმი და მისი ოლქი და ა.შ. და ა.შ.).

განსაკუთრებით და ხაზგასმით უნდა გამოიკვეთოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მისწრაფებებიც (მაგალითად, ქართველების ერთი ჯგუფის მცდელობები ომის წინ, თურქეთის სომხების პოლიტიკური ლიდერების

[1] იქვე.

მოლოდინები, სერბი ნაციონალისტების საქმიანობა, ირლანდიის „ჰომრული“ და ა.შ.).

მხედველებიდან არ უნდა გამოგვრჩეს ეკონომიკური განვითარების უთანაბრობაც – საერთაშორისო პოლიტიკურ ამბიციებს მუდამ წარმოშობს ძლიერი ეკონომიკა, სათანადო რესურსების (ადამიანურის, მატერიალურის, მორალურის) არსებობა და მისი განვითარება-გააქტიურება. XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ეკონომიკის მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია გერმანიის იმპერიამ – რაც იყო შედეგი გერმანელი ერის პოლიტიკური გაერთიანებისა, რამაც ქვეყანაში არნახული ენთუზიაზმი, შემოქმედებითი იმპულსების გამძაფრება გამოიწვია, რაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგებში და ამ შედეგების მრეწველობაში ოპერატიულად დანერგვაშიც გამოიხატა. სწორედ ეკონომიკურმა ძლიერებამ და მორალურმა ერთიანობამ გაუჩინა ვილჰელმ II პოლიტიკური ამბიციები და არა მისმა პიროვნულმა ფსიქოლოგიურმა თავისებურებებმა. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ომის გამომწვევ მიზეზებს შორის სუბიექტური ფაქტორების გარდა (ინგლისელი ისტორიკოსების პოზიცია), აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ძლიერი ეკონომიკური ინტერესების, რევანშისტული და იმპერიალისტური მიზნებისა და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების ამოცანების ერთობლიობაც. შეიძლება ეს ერთობლიობა ვიღაცას კომუნისტური შეხედულებების რეანიმაციად მიაჩნია, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს შეხედულებებს ომის დაწყებისთანავე ახმოვანებდნენ ევროპელი (მათ შორის რუსი და ქართველი) სოციალ-დემოკრატები (მაგალითისათვის წინასწარ დავიმოწმებთ ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების პოპულარულ გაზეთში „თანამედროვე აზრი“ გამოქვეყნებული „მოწინავის“ ერთ ამონარიდს: „დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ომი იმპერიალისტურია, აქ კოლონიებისათვის იბრძვიან – ვინ იბატონებს მსოფლიო ბაზარზე“[1].

ამრიგად, იკვეთება საკითხების ძალიან დიდი წრე, რომელმაც შეამზადა, როგორც ისტორიის განვითარების მა-

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 30 აპრილი.

გისტრალური ხაზი, ისე I მსოფლიო ომის წინაპირობები, ამან კი გარდაუვალი გახადა ომის დაწყება. ეს ომი იმდენად საჭირო და აუცილებელი გახდა მსოფლიო პოლიტიკაში ჩართული ყველა აქტიური „მოთამაშისათვის“, რომ მისი თავიდან აცილება სერიოზულად არც არავის უცდია – იმჟამად ყველა ამ ომს მოელოდა და მისთვის სათანადოდაც ემზადებოდა.

I მსოფლიო ომის ერთ-ერთი შედეგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება, „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ დაკანონება, ახალი სახელმწიფო პოლიტიკური, სამართლებრივი და სამხედრო სტრუქტურების მშენებლობა. ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს ურთიერთობა I მსოფლიო ომში ჩაბმულ „აქტორებთან“ უაღრესად დიდ ინტერეს იწვევს, თუმცა ამ თემაზე არაერთი გამორჩეული და აღიარებული ნაშრომი არსებობს, რომლებსაც ვიყენებთ და ვიმოწმებთ ჩვენი მოსაზრებების დასაბუთებისას.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კი საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება იყო და ამიტომაც ასე ინტენსიურია მისი დიპლომატიური ძალისხმევა როგორც ომის წლებში, ისე პარიზის საზავო კონფერენციაზე, – საქართველოს „დე იურედ“ აღიარების მოსაპოვებლად.

თუ 1914 წლის I მსოფლიო ომის შესახებ ქართული ისტორიოგრაფია არ გამოირჩევა უხვი მონოგრაფიებითა თუ სამეცნიერო სტატიებით, ამას ვერ ვიტყვით საქართველოს I რესპუბლიკაზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, პარიზის საზავო კონფერენციასა და ამ კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის საქმიანობის შესახებ არსებულ პუბლიკაციებზე – პოსტსაბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფი-

[1] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001; შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 2006; ა. კაჭარავა, ა. დაუშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა-ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თბილისი-ატლანტა, 2012 და მრავალი სხვ.

აში ეს ერთ-ერთი საყვარელი და საკმაოდ კარგად დამუშავებული თემაა: აქ ჩვენ გვაქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, სქელტანიანი მონოგრაფიები, მრავალმხრივ საყურადღებო სტატიები და ა.შ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-6 ტომში პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის საკითხს საკმაოდ ვრცლად შეეხო პროფ. აკ. სურგულაძე. რა თქმა უნდა, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიის საფუძველზე, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიისა და საქართველოს დამოუკიდებლობისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიტიკული მიდგომის პირობებში, ავტორი ერთობ უარყოფითად აფასებს საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის საქმიანობას და განსაკუთრებით გამოკვეთს „ანტანტის“ გამარჯვებული ქვეყნების მიერ საქართველოს საკითხებისადმი უღირს დამოკიდებულებას, რაც მთლიანად მათი პირადი ინტერესებითა და „რუსეთის საკითხის“ გადაწყვეტის თავისებურებებით იყო დეტერმინირებული[1].

მართალია, პროფ. ა. სურგულაძემ, როგორც აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა პერიოდში რადიკალურად შეცვალა თავისი პოზიცია XX საუკუნის 20-იანი წლების პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ ამ კონკრეტულ საკითხში იგი ძირითადად ინარჩუნებს მის მიერ ადრევე გახმოვანებულ შეხედულებას და კვლავ ადასტურებს, რომ „ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა მათთვის ჩვეული თავაზიანობით უხვი დაპირებები გაიღეს, საქართველოს მიმართ დიდი სიმპათიები გამოავლინეს და მას მორალური მხარდაჭერა აღუთქვეს, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან...“[2].

პოსტსაბჭოთა პერიოდში უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებას, ახალ წყაროთმცოდნეობით კვლევა-ძიებას, სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი დოკუმენტების, მემუარული მასალის, გასაიდუმლოებული ფონდების მეცნიერულ დამუშა-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 645.

[2] ა. სურგულაძე პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 221-222.

ვებას. ამ საქმის პიონერი იყო პროფ. ავთანდილ მენთეშაშვილი: უკვე 1993 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ მან გამოაქვეყნა პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მუშაობის ამსახველი საინტერესო დოკუმენტები.[1]

საკითხის გარშემო პარიზის არქივებში საკვლევაძიებო სამუშაოებს ინტენსიურად აწარმოებდა პროფ. ი. ტაბაღუა, რომელმაც 1998 წელს არაერთი საინტერესო დოკუმენტი გამოაქვეყნა[2].

არ შეიძლება არ აღინიშნოს საზღვარგარეთ არქივებში მკვლევარ გურამ მარხულიას მიერ ქართულ-სომხურ ურთიერთობებთან დაკავშირებული საინტერესო დოკუმენტების მოძიება, საყურადღებო ნაშრომების მომზადება და მათი პუბლიკაცია[3].

საისტორიო მეცნიერებისათვის მნიშვნლოვანი შენაძენია ახალგაზრდა მკვლევრის ბექა კობახიძის მიერ დიდი ბრიტანეთის არქივებში წარმოებული საძიებო მუშაობის შედეგები, რაც ასახულია მის სადოქტორო დისერტაციაში: „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“.

პარიზის საზავო კონფრენციაზე საქართველოს სამთავრობო დელეგაციის მრავალმხრივ მოღვაწეობას დიდ ყურადღებას უთმობს პროფ. ო. ჯანელიძე, რომელიც თავის საკმაოდ მოცულობით სტატიაში ძირითად ყურადღებას ამახვილებს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი უცხო ქვეყნების პოზიციების მეცნიერულ შეფასებაზე, განსაკუთრებით გამოკვეთს გამარჯვებული ქვეყნების – საფ-

---

[1] ა. მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია (ქართული დელეგაციის ოქმები (1919 წ.13-24 ივნისი), „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1993 წ. № 3\4, გვ, 175-193.

[2] ილია ტაბაღუა, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პარიზში (1919 წ.), იხ.კრ.: „საქართველო-ევროპა-ამერიკა“, თბ., 1998, გვ. 15-20.

[3] Г. Мархулия, Армяно-Грузинское взаимоотношения в 1918-1920 гг. https:\\iberianwordpres.com. p.1.

რანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელების დამოკიდებულებას და მათ კონკრეტულ ინტერესებს.[1]

გამორჩეულად აღსანიშნავია მკვლევარ ნინო ვაშაყმაძის დამსახურება პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლის საქმეში. უაღრესად ფასეულია მის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობის დაზუსტების, მათი ლეგიტიმაციის საკითხის გარკვევის, დელეგაციის წევრების უფლება-მოვალეობის განსაზღვრის და კონფერენციაზე მათი გამგზავრების საინტერესო ისტორიული დეტალების შესწავლის საქმეში.[2]

საინტერესოა პროფ. პ. სურგულაძის სტატია: „პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. ავტორი ნაშრომში ეხება ჩვენთვის მეტად საინტერესო საკითხებს: სამთავრობო დელეგაციის ფორმირებას, მის შემადგენლობას, მისი საქმიანობის ეტაპებს, ამ საქმიანობის შედეგებს და სხვ.[3].

განსაკუთრებით გამოვყოფთ ქუთაისელი ისტორიკოსის გრ. ბოგვერაძის მონოგრაფიას, სადაც ავტორს გამორჩეული ყურადღებით აქვს განხილული პარიზის კონფერენციაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციების ნაყოფიერი თანამშრომლობის დეტალები[4].

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ისტორიის დოქტორის ნათელა (ნათია) მირიანაშვილის საკანდიდატო დისერტაცია „საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამი-

---

[1] ო. ჯანელიძე, საქრთველო და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია: კედლის შენგრევა, https://gfsis.org.ge/ge/publications/view /3414.

[2] ნ. ვაშაყმაძე, სახელწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სოხეთის ურთიერთობაში 1917–1921 წლებში, ქუთაისი, 2002, გვ. 91-93.

[3] პ. სურგულაძე, პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კრ.: რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო“, თბ., (ინტერნეტ გამოცემა).

[4] გრ. ბოგვერაძე, საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში, ქუთაისი, 2005.

ერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918 – 1938 წწ.“, რომელიც მოგვიანებით მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა და მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქართველი ისტორიკოსების მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოს დელეგაციის საქმიანობა პარიზის საზავო კონფერენციაზე განხილული აქვს თავიანთ განმაზოგადებელ ნაშრომებში, სხვა საკითხებთან ერთად. ისინი ძირითადად ეფუძნებიან ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ წყაროთმცოდნეობით ბაზას, თუმცა აქვთ სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებიც. წინამდებარე ნაშრომში გათვალისწინებულია პროფ. უ. ბლუაშვილის,[1] ხ. ქოქრაშვილის,[2] ალ. ბენდიანიშვილის,[3] შ. ვადაჭკორიას[4] დ. ჟოჯუას,[5] ლ. სარალიძის,[6] მ. დღვილავასა,[7] გ. ღამბაშიძის[8] და სხვათა ნაშრომებში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები საქართველოს I რესპუბლიკაზე, პარიზის საზავო კონფერენციის დროს ქართული დელეგაციის საქმიანობაზე, გამარჯვებული „ანტანტის“ ქვეყნების დამოკიდებულებაზე საქართველოს მიმართ და ა.შ.

---

[1] უ. ბლუაშვილი, საქარველოს ისტორია, 1900-2016, თბ., 2016, გვ. 122.

[2] ხ. ქოქრაშვილი, პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, № 6, თბ., 2002, გვ.222-240.

[3] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ, 278.

[4] შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 387-390.

[5] დ. ჯოჯუა, ერთი ასპექტი პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს საკითხის ისტორიიდან, „აფხაზეთის მოამბე“, 1998 წ. №1, გვ. 74 – 77.

[6] ლ. სარალიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო დისერტაცია, თბ., 1994.

[7] მ. დღვილავა, საქართველო-გერმანიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო დისერტაცია, თბ., 1997.

[8] გ. ღამბაშიძე, საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან 1917-1921, თბ., 1961.

ზემოთ განხილული მდიდარი ისტორიოგრაფიული მასალა გახლავთ ის საწყისი ბაზა, რომლის სათანადო შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის შედეგად ჩვენ შევუდექით საკვლევაძიებო მუშაობას. წინამდებარე ნაშრომი, მნიშვნელოვანწილად, მომზადდა პირველწყაროებზე დაყრდნობით: ძირითადად გამოვიყენეთ მასალები საქართველოს ეროვნული არქივის, საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული ფონდებიდან. შევისწავლეთ კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის 1914-1917 წწ. დოკუმენტური მასალა (ფონდი №13), სადაც გამორჩეულია კავკასიის მეფისნაცვლების – გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა და დიდი მთავრის – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მიერ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები, ბრძანებები, მიმართვები, ცირკულარები.

ასევე მნიშვნელოვანი წყაროა თბილისის საქალაქო მმართველობის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია (ფონდი №192). თბილისის ქალაქის თავი ა. ხატისოვი კავკასიის ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა იყო, თბილისი კი წარმატებით ასრულებდა კავკასიის დედაქალაქის საპატიო ფუნქციას. ამიტომაც ამ დოკუმენტურ მასალაში დაცულია I მსოფლიო ომის დროს თბილისის საქალაქო თვითმმართველობის მრავალმხრივ საინტერესო საქმიანობის ამსახველი მასალა.

ჩვენ ნაშრომში უხვად გამოვიყენეთ ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატის მუშაობის ამსახველი დოკუმენტებიც (ფონდი № 1819). ისინი ასახავენ თებერვლის რევოლუციის შემდეგ კავკასიასა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ა.შ.

ასევე, შევისწავლეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინიტროს ფონდი (№1864), რომელშიც დაცულია პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს სამთავრობო დელეგაციების საქიანობის ოფიციალური ანგარიშები, მემორანდუმები, ნოტები, შეხვედრებისა თუ თათბირების, დისკუსიების ოქმები და ა.შ. ამ ფონდში ჩვენს გარდა სხვა მკვლევარებსაც აქვთ ნამუშევარი, გამოქვეყნებული აქვთ ფონდში დაცული საინ-

ტერესო მასალა, მაგრამ ჩვენ ახლებურად გავიაზრეთ ზოგიერთი ნაცნობი დოკუმენტი, აღმოვაჩინეთ და გამოვაქვეყნეთ ზოგიერთი ახალი ან ნაკლებად ცნობილი დოკუმენტი და ა.შ.

ნაშრომში გამოყენებულია ამიერკავკასიის სეიმის (ფონდი№ 1819) ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის (ფონდი №1818), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს (ფონდი № 1863) არქივებში დაცული დოკუმენტური მასალა

პარალელურად შევისწავლეთ ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღაწეებისა და დიპლომატების ნ. ჩხეიძის (ფონდი №2115), ე. გეგეჭკორის (ფონდი №2121), კ. გვარჯალაძის (ფონდი №2114) პირად ფონდებში დაცული საინტერესო მასალა, ცნობილი ქართველი დიპლომატის ზ. ავალიშვილის მემუარები[1] და სხვ.

ამასთან ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდში (№ 1863) ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებული მრავალმხრივ საყურადღებო მასალაც.

მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა მოვიპოვეთ პერიოდული პრესის დამუშავებისას: შევისწავლეთ ოფიციოზი გაზეთი „Кавказ“, მემარჯვენე მიმართულების („ახალი ივერია“, „საქართველო“ და სხვ.) და მემარცხენე პოზიციების ერთგული პრესა („თანამედროვე აზრი“, „ცნობის ფურცელი“, „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და სხვ.). პერიოდიკაში განთავსებული მეტად მრავალფეროვანი, ზოგჯერ აშკარად დაპირისპირებული თვალსაზრისები დაგვეხმარა წარმოგვეჩინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის დამოუკიდებლობის ჭეშმარიტი ხარისხი მიმდინარე ფაქტებსა და მოვლენებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა I მსოფლიო ომის შესახებ საქართველოს საზოგადოებრიობის ორი წარმომადგენლობითი ჯგუ-

[1] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990.

ფის – ომის თანამედროვე და დღევანდელი თაობის შეფასებათა სრული სურათი, რაც ცხადყოფს, რამდენად თანხვედრაშია ან რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქართველთა მოსაზრებები ერთი და იგივე ისტორიული ფაქტის შესახებ თითქმის ერთსაუკუნოვანი დისტანციიდან... ეს ძალიან რთული ამოცანაა, მაგრამ საინტერესო...

ჩვენს მიერ დასახული მიზნიდან გამომდინარე, მონოგრაფიაში ყურადღება, რა თქმა უნდა, კონცენტრირებულია ძირითადად ქართულ საზოგადოებრიობაზე. შესაბამისად, ნაკლებია, ან საერთოდ არ არის საუბარი საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების პრობლემებსა და საქმიანობაზე.

თუ რამდენად შევძელით დასახული მიზნის ხორცშესხმა, ამას მკითხველი შეგვიფასებს, ჩვენი მხრიდან კი ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას მადლიერებით მივიღებთ და უთუოდ გავითვალისწინებთ სამომავლოდ.

თავი I

მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები

§1. კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა

XIX საუკუნე კაპიტალიზმის დაჩქარებული განვითარების საუკუნეა. მართალია, სისტემის საფუძვლები, მაგალითად, ინგლისში უკვე XV-XVI საუკუნეების განმავლობაში რელიგიური დაპირისპირებებისა და პროტესტანტული იდეოლოგიის ზემოქმედების ქვეშ ჩამოყალიბდა, მაგრამ მისმა განვითარებამ XIX საუკუნეში ჭეშმარიტად ფანტასტიური მასშტაბები შეიძინა: კაპიტალიზმის გავრცელების არეალი საოცრად გაფართოვდა, მან მოიცვა ევროპის, ამერიკის, აზიის ბევრი ქვეყანა, რომლებმაც შეიგრძნეს, რომ მხოლოდ კაპიტალისტური განვითარება ამზადებს საფუძვლებს ქვეყნის ძალუმი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. მაგრამ ეს განვითარება არ იყო თანაბარი, ჰარმონიული. იმ ქვეყნებმა, რომელის მოსახლეობა სხვებზე ადრე დარწმუნდა, რომ ცხოვრების ინტენსიური განვითარებისათვის საჭირო იყო ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობების რღვევა, ახალი ნოვაციების დანერგვა-განვითარება, ოპერატიული რეაგირება სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებზე (მაგ. ინგლისმა, ჰოლანდიამ, დანიამ და ა.შ.) თავიდანვე ხელში ჩაიგდეს ინიციატივა, ჯერ დაუპირისპირდნენ და გაემიჯნენ კათოლიციზმს, შემდეგ გადავიდნენ პროტესტანტულ სარწმუნოებაზე და თავიანთი ცხოვრება მთლიანად დაუქვემდებარეს პრაგმატიზმის ყოვლისმომცველ იდეოლოგიას, რითიც საკუთარი ქვეყნების ეკონომიკა ძალიან სწრაფად გადაიყვანეს ახალ რელსებზე.

სწორედ აქედან გამომდინარე, საჭიროა ახლებურად გავიაზროთ კაპიტალიზმის ფორმირებისა და განვითარების, კაპიტალის პირველადი დაგროვების, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ურთიერთმიმართების სრული პროცესი, რადგან სწორედ ამ პროცესში, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ვითარებაში ჩაბმული ერები და სახელმწიფოები მოქმე-

დებენ სხვადასხვაგვარად (ტრადიციული ეროვნული, რელიგიური თავისებურებებიდან გამომდინარე), რითიც ქმნიან ნაყოფიერ საფუძველს კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებისათვის.

განსაკუთრებით ნოვატორ ქვეყნებს შორის, პირველ რიგში, ტრადიციულად ასახელებენ პროტესტანტულ ინგლისს, რომელმაც სწორედ ახალი რელიგიური მსოფლმხედველობა და მისგან გამომდინარე ცხოვრების წესი საფუძვლად დაუდო ქვეყნის ძალუმ ეკონომიკურ აღორძინებას და ამ უპირატესობას, თითქმის II მსოფლიო ომამდეც კი, წარმატებით ინარჩუნებდა.

ინგლისისათვის ამ წარმატებული ეკონომიკური შედეგების ორგანული დასაწყისი იყო კაპიტალის პირველადი დაგროვება, რომელმაც განაპირობა ყველა სხვა დანარჩენი განვითარება. ისტორიკოსების უმეტესობისათვის პირველადი დაგროვების დასაწყისი მე-14 –მე-15 საუკუნეებია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი მე-16 საუკუნეა, როცა ინგლისში ტრადიციული ბინადრობის ადგილებიდან ტოტალურად აყარეს გლეხები, რათა მათ მიწებზე ცხვარი მოეშენებინათ – ევროპაში მატყლზე ფასების მკვეთრი ზრდის გამო (ანუ როგორც ამბობენ – „ცხვარმა შეჭამა ადამიანი“).

როგორც საყოველთაოდ აღიარებული ეკონომისტები ამტკიცებენ, სწორედ ამ პროცესმა შექმნა ის გამორჩეული ვითარება ინგლისში, როცა „ერთმანეთს უნდა შეხვდენ და ურთიერთობაში მოექცენ ორი სულ სხვადასხვაგვარი საქონლის მფლობელნი, – ერთი მხრივ, ფულის, საწარმოო და საარსებო საშუალებათა მესაკუთრე, რომელსაც მის მიერ მითვისებული ღირებულების ჯამის გასადიდებლად ესაჭიროებოდა სხვისი სამუშაო ძალის ყიდვა; მეორე მხრივ, – თავისუფალი მუშა, თავისი საკუთარი სამუშაო ძალის და, ამგვარად, შრომის გამყიდველი“. აი, ასე და ამგვარად დაიწყო ბურჟუაზიული საზოგადოების მშენებლობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი განხორციელდა თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოში, შინაგანი განვითარებისა და ეკონომიკის მკაცრი კანონების მოთხოვნების შესაბამისად, როცა ცხოვრებამ თავადაზნაუ-

რობა ტოტალურად (არა ერთი და ორი, ან ათი წარმომადგენელი) მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ უმჯობესი იყო მათი ეკონომიკური წარმატებებისათვის მოესპოთ „გლეხი როგორც კლასი“ და მისგან მიეღოთ თავისუფალი მუშახელი – პროლეტარიატი, რომელსაც არაფერი აღარ ექნებოდა გასაყიდი, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, რასაც ის გაიტანდა ბაზარზე გასაყიდად. ეს პროცესი ძალიან მტკივნეულიც იყო და ტრაგიკულიც, მაგრამ დროში გაიწელა, რამაც მისი სიმწვავე შედარებით ასატანი გახადა. ამრიგად, მოხდა გლეხების ტოტალური აყრა მიწიდან, გლეხი გახდა პროლეტარი (ეს არის კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესის ერთ-ერთი მთავარი შედეგი).

ამ პროცესში ორგანულად ჩაბმულ ინგლისელ ფეოდალსაც ეცვლება ეკონომიკური სურვილები და თვითონაც შინაგანად იცვლება სოციალური თვალსაზრისით: ის ხდება კაპიტალის მფლობელი, მას შეუძლია დაიქირავოს თავისუფალი მუშახელი და ეს მოვლენაც ინგლისში მასობრივი ხასიათის იყო (ესეც კაპიტალის პირველადი დაგროვების ერთ-ერთი მთავარი შედეგია).

გლეხობის ტოტალური გაღატაკების პროცესს თან სდევდა სამშობლოდან მათი მასობრივი გადასახლება – ბედის საძიებლად „ახალი მიწების“ ასათვისებლად. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ინგლისის კოლონიალური ექსპანსია, რომელშიც აქტიურად იღებს მონაწილეობას ინგლისის თავისუფალი მუშახელი და ამიერიდან ის ეუფლება იმ ქვეყნებს, რომლებიც მას არასოდეს არ ეკუთვნოდა და სადაც სულ სხვა ეთნოსები ცხოვრობდნენ (ჩრდილოეთ ამერიკა, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია, ავსტრალია და ა.შ.). თავისუფალი მუშახელის ტოტალური გადასახლება კაპიტალის პირველადი დაგროვების აუცილებელ ნიშანთვისებად არის მიჩნეული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კაპიტალის პირველადი დაგროვების, ჩვენი აზრით, გამორჩეულ და უმნიშვნელოვანეს თავისებურება, რომელსაც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული (და არა მარტო ქართული) ისტორიოგრაფია სრულ იგნორირებას უკეთებდა. ამ ფაქტორზე კი განსაკუთრებული

ყურადღება ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსა და მოაზროვნემ მ. ვებერმა გაამახვილა და მას სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა. ეს არის რელიგიური ფაქტორი. ამ ფაქტორზე მოგვიანებით ასევე დიდ ყურადღებას გაამახვილებს ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე არ. თოიმბიც, რომელიც თვლიდა, რომ ისტორიის განვითარების გარდამტეხ ეპოქებში, უმნიშვნელოვანესი კატაკლიზმების დროს სწორედ რელიგია, განსაკუთრებით კი მისი ორგანიზაციული ცენტრი – ეკლესია თამაშობს მნიშვნელოვან როლს".[1] არ. თოიმბის ეს შეხედულება განსაკუთრებით რელიეფურად აისახა და აუცილებლობით დადასტურდა საქართველოში „კაპიტალიზმის მეორედ მოსვლის პერიოდში"

თუ გავიხსენებთ შუა საუკუნეების ისტორიას ევროპაში, აშკარაა რომ მ. ვებერის მოსაზრებებს აქვს ძლიერი ისტორიული მოტივაცია – სწორედ გერმანიაში, შემდეგ ინგლისში, ჰოლანდიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში ადგილი აქვს მეტად მნიშვნელოვან რელიგიურ ინოვაციას – მოხდა მკვეთრი და შეურიგებელი დაპირისპირება კათოლიციზმთან, აღმოცენდა ახალ თეოლოგიურ პრინციპებზე აგებული, მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაფუძნებული რელიგიური მიმდინარეობა (ლუთერის, კალვინის), რომელმაც საზოგადოებრიობას ტოტალურად (ანუ ათასობით ადამიანს) შესთავაზა ახალი, პროტესტანტული რწმენა-წარმოდგენები; ფაქტობრივად, ეს იყო იდეოლოგია, რომელმაც რადიკალურად შეცვალა საზოგადოების ძირითადი ნაწილის მსოფლაღქმა, სულიერი ფასეულობები, საზოგადოებრივი ღირებულებები და ყოფითი კულტურა. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვითონ მ. ვებერი: „XVI ს. იმპერიის ბევრმა მდიდარმა მხარემ, **განსაკუთრებით ეკონომიკურად** მაღალგანვითარებულებმა (ხაზგასმა ჩემია – ა.დ.) არსებული მდიდარი ბუნებრივი პირობებისა თუ სავაჭრო გზებთან სიახლოვის გამო, კონკრეტულად კი მდიდარი ქალაქების უმრავლესობამ, მიიღო პროტესტანტული სარწმუნოება; ამ ფაქტის შედეგები შესამჩნევია დღევანდელობამდე და ხელს

[1] А. Дж. Тоймби, Постижение истории, М.,2004, с.530.

უწყობს პროტესტანტებს თავის არსებობისათვის ბრძოლაში და ეკონომიკურ აღორძინებაში“[1].

ჩვენთვის ძალიან საინტერესოა მ. ვებერისეული ეს შეხედულებები, რადგან მარქსისტულ-ლენინურმა ისტორიოგრაფიამ მისი დასკვნების სრული იგნორირება მოახდინა (განსაკუთრებით საქართველოში), მიუხედავად იმისა, რომ მ. ვებერი სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისის მატარებელი მოაზროვნე იყო.

ამ მყარმა მსოფლმხედველობითმა საფუძველმა, და ახლებური თვალსაზრისის განმავითარებელმა მკაცრად მოქმედმა კანონებმა, რის დამკვიდრებასაც ადგილი ჰქონდა პროტესტანტულ ინგლისში და მისი წაბაძვით – ჩრდილო ამერიკისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მართალია, უზრუნველყო ეკონომიკის ახალ რელსებზე გადსვლა (რამაც თან გაიყოლა სოციალური სფეროც), მაგრამ, ამასთანავე, კონკრეტული ქვეყნების ტრადიციების, ფსიქოლოგიისა თუ პოლიტიკური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, მან ასევე უზრუნველყო ეკონომიკური განვითარების მკვეთრი უთანაბრობა.

რაც უფრო ტრადიციული იყო ქვეყანა, განსაკუთრებით ორთოდოქსული რელიგიური შეხედულებების თვალსაზრისით, მით უფრო ჭირდა კლასიკური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ფასეულობების დროული და სათანადო შეთვისება და ასეთი ქვეყნები მუდამ ავსებდნენ იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელსაც ისტორიკოსები „დამწევებს“ უწოდებენ, რადგან მათი კაპიტალისტური ყოფიერება მუდამ შეფერხებებით ვითარდებოდა, საგრძნობლად ჩამორჩებოდა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს, თუმცაღა ისინი მუდმივად ცდილობდნენ „დასწეოდნენ და გაესწროთ“ ამ მოწინავე ქვეყნებისათვის. სწორედ ასე მოვიდა მსოფლიო საზოგადოება დღემდე.

ამასთან, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს ისიც, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო საზოგადოებრივ-ეკონო-

---

[1] Макс Вебер, Протестантская этика и дух капитализма, М.,1990. См:www.koob.ru, ст.3.;

მიკური განვითარების მხრივ უკვე გამორჩეულად მრავალ-ფეროვანი გახდა (მხედველობაში გვაქვს ცალკეულ სახელ-მწიფოთა დამახასიათებელი თავისებურებები). საისტორიო ლიტერატურაში საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციის, ევროპაში აგორებული 1830-1848 წლების ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგ კა-პიტალიზმმა უკვე პოლიტიკურადაც გაიმარჯვა და ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა წყობილებამ რიგ ქვეყნებში თავისი კლასიკური, დასრულებული სახე მიიღო[1].

ეს კი, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყო **„სამრეწველო რევოლუციების“** მთელმა კასკადმა, რაც სწორედ XIX საუკუნეში განსაკუთრებული ინტენსივობით განხორციელ-და...

დასავლეთ ევროპელი მოაზროვნეების, უპირველეს ყოვლისა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებ-ლების (ა. სმიტი, დ. რიკარდო, კ. მარქსი და სხვ.) და თვალ-საჩინო სოციოლოგების (მ. ვებერის, ა. თოიმბის და სხვ.) შეხედულებათა შეჯერების საფუძველზე ჩვენ მიზნად დავი-სახეთ წარმოვაჩინოთ **კაპიტალისტური საზოგადოების გან-ვითარების კლასიკური პირობები,** რომლის საფუძველზეც უნდა ჩამოყალიბდეს და აუცილებლად უნდა განვითარდეს კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკუ-რი და სამართლებრივი ურთიერთობები, რომ მივიღოთ მხო-ლოდ შინაგანი დემიურგით მოძრავი (ანუ მარად განვითა-რებადი) საზოგადოება, რომელსაც აღარასოდეს დასჭირდე-ბა „ძლიერი ხელი“, „გარეშე მუხტი“, „ბიძგი“ და ა.შ. ეს პირობებია: 1. ფეოდალების ტოტალური გადაქცევა მემამუ-ლე-კაპიტალისტებად; 2. გლეხების გადაქცევა მიწის მუშე-ბად (სოფლის პროლეტარიატად); 3. პროტესტანტული სა-ეკლესიო რევოლუციის შედეგების (ახალი საზოგადოებრი-ვი ფასეულობების, საქმისადმი ახალი მიდგომების, პრაგმა-ტიზმის და ა.შ.) ტოტალურად დამკვიდრება ადამიანთა შეგ-ნებაში; 4. თავისუფალი მუშახელის მასობრივი გადინება საზღვარგარეთ (კოლონიზაცია); 5. სახელმწიფო პოლიტი-

[1] Всемирная история, т.6, М., 1959 стр. 381.

კური სტრუქტურების რადიკალური გადაქმნა (პარლამენტი, დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირება და განვითარება, ბურჟუაზიული სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება, მიზანმიმართული საგანმანათლებლო სისტემების შექმნა და ა.შ.); 6. ახალი სულიერი და ყოფითი ფასეულობების, იდეოლოგიური შეხედულებების კულტივირება და მასობრივი გავრცელება; 7. ამ აუცილებელი ისტორიული პროცესის განვრცობა კი აუცილებელია დროში (XV-XIXსს.), რაც უზრუნველყოფს საზოგადოების მხრიდან მის ძალუმად შეთვისება-შესისხლხორცებას; 8. ასევე ხაზგასასმელია და, ჩვენი აზრით, უმთავრესია, რომ ეს ისტორიული განვითარების ყოველმხრივი პროცესი ჩამოყალიბდეს საკუთარ ნიადაგზე, საკუთარი ძალებით და საკუთარი რესურსებით, ყოველგვარი მიბაძვის, დახმარების თუ წაბიძგების გარეშე, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს როგორც კაპიტალიზმის პირველი ეტაპის (პირველადი დაგროვების) სიცოცხლისუნარიანობასა და საკუთარ ნიადაგზე განვითარებას, ასევე კლასიკური ბურჟუაზიული საზოგადოების დასრულებას და მისი შემდგომ სრულყოფილ რეალიზებას.[1]

ამრიგად, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი პირობების შედეგად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური **წყობილება – კაპიტალიზმი,** რომელიც XIX საუკუნეში უკვე გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონი, რაც თავიდანვე თან დაჰყვა ამ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემას, განაპირობებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საზოგადოებრივი წყობილებების ეთნიკურ მრავალფეროვნებას. ამის მიზეზი კი იყო სწორედ ის ადგილობრივი, კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური

---

[1] იხ.: ა. სმითი. გამოკვლევა ხალხის სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 2007, გვ. 325-327; კ. მარქსი, კაპიტალი, თბ., 1933, გვ.657-660; იქვე, გვ. 658.; A. Дж. Тоймби, Постижение истории, М.,2004, стр. 530; Макс Вебер, Протестантская этика и дух капитализма, М.,1990. См:www.koob.ru, стр.3; პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი, მართლმადდებლობის ისტორიული გზა, თბ., 2011, გვ. 356. და ა.შ.

ფუნდამენტის თავისებურებები, რაც განსაზღვრავდა ზედნაშენური მოვლენების მკვეთრ ინდივიდუალობასაც.

§2. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

როგორც საყოველთაოდ არის აღიარებული სოციოლოგიაში, კაპიტალისტური წყობილების კლასიკური ანუ „სანიმუშო“ ქვეყანა **დიდი ბრიტანეთი** იყო: კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ამ ქვეყანაში უკვე იყო ბაზისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარებისათვის, ის მტკიცედ ემყარებოდა იმ ისტორიულ გამოცდილებას, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობას დაუგროვდა ქვეყანაში კაპიტალის პირველადი დაგროვების შემდეგ. ამან კი უზრუნველყო ინგლისში სტაბილური ეკონომიკური და სოციალური განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. კაპიტალისტურმა წყობლებამ ინგლისში თავის ზენიტს მიაღწია დედოფალ ვიქტორიას (1837-1901 წწ.) მმართველობის წლებში. ეს იყო დიდი ბრიტანეთის უდავო ეკონომიკური ჰეგემონიის უმნიშვნელოვანესი წლები, როდესაც ძირითადად გაფორმდა არა მარტო ეკონომიკური, არამედ სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციო-ფსიქოლოგიური (ანუ ზედნაშენური) საფუძვლები ქვეყანაში და შეიქმნა მართვის ერთიანი სისტემა. საკანონმდებლო აქტებით (ასეთი აქტები კი უამრავი იყო) დამტკიცდა პოლიტიკური და სამართლებრივი პრინციპები, ჩვეულებები, რომლებიც ამყარებდნენ როგორც კაპიტალისტური საზოგადოების გაბატონებული ფენების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, ისე საზოგადოების დაქვემდებარებული ფენების უფლებებსა და მოვალეობებსაც.

უკვე XIX საუკუნის შუა ხანებში ინგლისის ეკონომიკური ცხოვრება გამოირჩეოდა დიდი თავისებურებებით; პირველ რიგში ეს ვლინდებოდა სამრეწველო საწარმოების სი-

დიდესა და რაოდენობაში: ინგლისში იყო უამრავი სამრეწ-ველო საწარმო, სადაც ათასობით თავისუფალი მუშახელი იყო დასაქმებული. ჩამოყალიბებული იყო სახელმწიფოს ძლიერი შიდაეკონომიკური ბერკეტები, რომლებსაც მოქმ-ედებაში მოჰყავდა საწარმოების ყოველდღიური ცხოვრება. სახეზე იყო ეკონომიკური პროგრესი – ყოველწლიურად იკ-ვეთებოდა ახალი ეკონომიკური საშუალებებისა თუ ფორმე-ბის ძიების ტენდენცია. ნიშანდობლივია, რომ მარტო 1863-1867 წლებში ინგლისში შეიქმნა 3,4 ათასი სააქციო საზო-გადოება, რომელთა საშუალო კაპიტალი 600 მილიონი ფუნ-ტი სტერლინგი იყო, ანუ ინგლისში „საქმიან“, „აქტიურ“ ფენას თავისი რეალიზების შესაძლებლობა ჰქონდა[1].

პროტესტანტული ინგლისი მუდამ ითვლებოდა „მსოფ-ლიოს სახელოსნოდ“, სადაც იწარმოებოდა მეტალის მსოფ-ლიო წარმოების თითქმის ნახევარი, ასევე ბამბის ქსოვილის თითქმის ნახევარი, და რაც მთავარია, სამრეწველო მანქა-ნების დიდი უმრავლესობა. ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა სამხედრო თვალსაზრისითაც ანგარიშგასაწევი ძალა გახდა – მას ჰყავდა ძლიერი სამხედრო ფლოტი, ხოლო მოწინავე შეიარაღება, რასაც აწარმოებდნენ ქვეყნის უმსხვილეს სამ-რეწველო ცენტრებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ ექსპანსიას ძლიერ სამხედრო სა-ფუძველსაც უქმნიდა. ეს კი ინგლისს ხელს უწყობდა ყველ-ზე მოწინავე ყოფილიყო ახალი სავაჭრო ბაზრებისა და რე-სურსების, ახალი ბაზების ათვისების დროს.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყნა იყო, სადაც უკვე არსებობდა ორი კლასი ბურჟუაზია და პროლე-ტარიატი, სადაც გლეხობა მთლიანად იყო ტანსფორმირე-ბული: ის, როგორც კლასი საერთოდ აღარ არსებობდა და სოფლის მეურნეობა მთლიანად ეფუძნებოდა კაპიტალიზმის ეკონომიკურ კანონებსა და პრინციპებს.

ინგლისს ეკონომიკურად ბევრად არ ჩამოუვარდებოდა **საფრანგეთი**, რომელმაც ნაპოლონ III (1850-1870 წწ.) პერი-ოდში თავისი ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად

[1] Всемирная история, т.7, М.,1959, стр. 380.

გააძლიერა: რკინიგზის ქსელი გაიზარდა ხუთჯერ, ორთქლის მანქანების სიმძლავრე – ასევე ხუთჯერ, თუჯის წარმოების მაჩვენებელი – სამჯერ, ასევე აბრუშუმის წარმოება და ფუფუნების საგნების დამზადება გახდა საფრანგეთის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტი.

სამი რადიკალური რევოლუციის (1789 წ. 1830 წ. 1948 წ.) შემდეგ ამ ქვეყანაშიც, როგორც იქნა, ჩამოყალიბდა კაპიტალისტური საზოგადოება და აქ საბოლოოდ დამკვიდრდა რესპუბლიკური წყობილება. ყოველგვარი მცდელობები რაიმე სახით აღედგინათ მონარქია (ან ბურბონების, ან ბონაპარტისტების), საბოლოოდ მარცხით დამთავრდა. მართალია, საფრანგეთში XIX საუკუნის შუა ხანებშიც საკმაოდ დიდი იყო გლეხობის რიცხვი, მაგრამ მრეწველობა აშკარად აღმავლობას განიცდის. განსაკუთრებით მაღალი იყო ქვეყანაში საფინანსო ინსტიტუტების განვითარების მაჩვენებელი – საბანკო ცხოვრების ინტენსიფიკაცია მეტად საცნაური და შედეგიანია. საფრანგეთის „ფულის ტომრების“ შემოსავლები სულ რაღაც 30 წლის მანძილზე (1869-1906 წწ.) 33 მილიარდი ფრანკიდან 85-100 მილიარდ ფრანკამდე გაიზარდა[1].

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდში საფრანგეთში საბანკო სისტემის კონცენტრაცია უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე მრეწველობისა. XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთში უკვე იყო 4 ძირითადი ბანკი: ეროვნული საადრიცხვო კანტორა, ლიონის კრედიტი, გენერალური საზოგადოება და პარიზ-ნიდერლანდური ბანკი. წამყვანი ფრანგი ბანკირები (როტშილდი, ვერნე, მალე და სხვ.) უზარმაზარ კრედიტებს გასცემდნენ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ ახლო თუ შორეულ სამეზობლოში. რომანოვების რუსეთი თავისი არსებობის ბოლო ათწლეულების მანძილზე სწორედ საფრანგეთის საბანკო სისტემის ფინანსურ დახმარებებზე იყო ორიენტირებული.

[1] А.З. Манфред, Третья республика (1871-1899), «История Франции», т.2, М., 1973, стр. 476.

საფრანგეთის საფინანსო სისტემის ძლიერებამ ხელი შეუწყო ქვეყანაში კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებას, რაც თვალსაჩინოდ გამოიხატა სახელმწიფოს მხრიდან წარმატებული კოლონიალური პოლიტიკის რეალიზებაშიც, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ასევე კაპიტალისტური სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელი გახდა.

კაპიტალიზმი XIX საუკუნეში განმტკიცდა **ნიდერანდებში, ბელგიაში, დანიაში**. გარკვეული თავისებურებით ხასიათდება კაპიტალისტური წყობილების განვითარება გერმანიის სამეფო-სათავროებში.

ლუთერანული შეხედულებების გაბატონების პირობებში, გერმანიის პროტესტანტულ სახელწიფოებში (**პრუსია, შლეზვიგ-ჰოლშტეინი** და სხვ.) პრაგმატისტული იდეოლოგიის არსებობა და სათანადო სოციო-ეკონომიკური თუ ფსიქოსოციალური მდგენელები პოტენციაში უკვე გამყარებული იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივი დაქუცმაცებულობა მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ამ პოტენციის სათანადო გამოვლინებას. 1871 წლის შემდეგ, როცა პროტესტანტულმა პრუსიამ თავისი ჰეგემონიით მოახდინა მთელი გერმანიის გაერთიანება, საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება მთლიანად დაეფუძნა ბურჟუაზიულ საზოგადოების ეკონომიკურ კანონებს.[1] სწორედ ამის შემდეგ გერმანიაში სწრაფი ტემპით განვითარდა პროლეტარიზაციის პროცესი – აქ ძალიან მალე შეიქმნა ძლიერი მუშათა კლასი, რომელმაც ძალიან ადრე დაიწყო თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებისათვის ბრძოლა. გერმანიაში ეკონომიკური განვითარების თვალსაჩინო პროგრესი სახეზეა II იმპერიის შექმნის შემდეგ (1871 წ.). გერმანელი ერის კონსოლიდაციამ და ეროვნული იდენტობის გაძლიერებამ ეკონომიკური აღმავლობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახადა: საწარმოებში გამოყენებული ორთქლის მანქანების სიმძლავრე გაიზარდა ცხრაჯერ, დადებითი ეკონომიკური ტენდენციები შესამჩნევი გახდა სოფლის მეურნეობაშიც – ფეოდალური აგრარული

[1] Tatsachen uber Deutschland, Gutersloh, 1980.ss. 38-39.

სისტემის გადმონაშთები თანდათან შეიცვალა ახალი, პროგრესული სისტემით.

შედარებით რთულად იყო საქმე აღმოსავლეთ ევროპაში: **ავსტრიის იმპერიის** გამორჩეული თავისებურება მისი პოლიეთნიკური შემადგენლობა იყო; სახელმწიფოს საფუძველი – ავსტრიის სამეფო თავისი ადამიანური თუ სხვა რესურსებით წარმოადგენდა ძალიან მცირე გაერთიანებას, რომელმაც ისტორიული განვითარების თავისებურებების გამო შემოიმტკიცა მასზე გაცილებით დიდი ტერიტორიები ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობით (**უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ხორვატია, ჩრდილო იტალია, გალიცია** და ა.შ.). ამ სახელმწიფოში გაერთიანებულ ადამიანებს ჰქონდათ სხვადასხვა მენტალობა, სხვადასხა ეკონომიკური წყობა, რაც ამ სახელმწიფოს მთავარი „აქილევსის ქუსლი“ იყო მუდამ.

აღმოსავლეთ ევროპის, განსაკუთრებით სლავური, ისიც მართლმადიდებლური იდეოლოგიის მატარებელი, ქვეყნები (**რუსეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი** და სხვ.) მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ კაპიტალისტური განვითარების ფავორიტებს და დღეს სოციოლოგიაში დამკვიდრებული ტერმინით მათ „დამწევები“ (“Догоняющие“) შეერქვათ[1]. კიდევ უფრო მძიმე იყო ვითარება ღრმა ფეოდალურ ურთიერთობებში ჩაძირულ ქვეყნებში: **ჩინეთში, სპარსეთსა და ოსმალეთში**, არაბულ სახელმწიფოებში. ამრიგად, უკვე XX საუკუნის დასაწყისში **საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების** საერთო სურათი არის ზედმეტად ჭრელი, არათანაბარი და სწორედ ეს არათანაბრობა განაპირობებდა ამ სახელმწიფოთა პოლიტიკურ განვითარებას, მათ გეგმებს, ამოცანებს და მისწრაფებებს საერთაშორისო გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ გეოსტრატეგიულ და სამხედრო ურთიერთობებში.

ჩამოთვლილ ქვეყნებიდან გამორჩეული თავისებურებებით ხასიათდება **რუსეთის იმპერია** და მასზე, გასაგები მი-

[1] Россия в перспективе двух веков и в контексте мирового экономического развития, Газета. Ru 2003.#11:45. 21июля. стр.4.

ზეზების გამო, საგანგებოდ შევჩერდებით. მისი ეს თავისებურება შეიძლება ასე აიხსნას – იმ დროს, როცა ინგლისში კაპიტალიზმი ისახებოდა და ვითარდებოდა, რუსეთი საღათას ძილს იყო მიცემული და ერთი შეხედვით მისი გაღვიძება სიზიფეს შრომას უდრიდა. ასეთ მდგომარეობაში ის კიდევ დიდხანს იცხოვრებდა: უპრეტენზიოდ, საკუთარ ქერქში მომწყვდეული, გაყინული საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით, არქაული და მეტად მდორედ მიმდინარე კულტურული ცხოვრებით.

მაგრამ პეტრე I-ის გაქანებამ რადიკალურად შეცვალა ყველაფერი: ის ევროპაში მოგზაურობის შემდეგ საკუთარ ქვეყანაში სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობითა და მიზნებით დაბრუნდა. ევროპაში მოგზაურობის დროს პეტრე I-მა ძირითადად პროტესტანტული ქვეყნები მოინახულა – გერმანიის სამეფო-სამთავროები, ინგლისი, ჰოლანდია. პეტრე მართლაც შესძრა ნანახმა და განცდილმა: მდიდარი სამრეწველო პოტენციალი, მაღალი შრომის ნაყოფიერება, საზოგადოების სოციალური დაწინაურება, კულტურული მიღწევები, მეცნიერებისა და ტექნიკის აღმავლობა, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის გამორჩეული თავისებურებები მის გაოცებას იწვევდა. რა თქმა უნდა, პეტრემ დასავლეთში ისიც დაინახა, რომ ასეთი სოციალური პროგრესის ერთ-ერთი მიზეზი ბატონყმური ურთიერთობის არარსებობა იყო, რომ პიროვნულად ფეოდალზე დამოკიდებული (ანუ მისი კერძო საკუთრება) ადამიანი ევროპაში უკვე აღარსად ჩანდა და ამიტომაც საზოგადოებაში, ეკონომიკაში სწორედ საბაზრო ურთიერთობა, კონკურენცია განაპირობებდა მოწინავეთა სელექციას – საზოგადოების დემიურგი სულ უფრო ხშირად ხდებოდა არა მეფე-მონარქი, არამედ პროგრესული ეკონომიკური იდეების მატარებელი პიროვნება.

მოსკოვში დაბრუნებულმა პეტრე I-მა ფაქტობრივად ერთი ხელის მოსმით, ყოველგვარი ობიექტური კანონებისა და კანონზომიერებების უგულებელყოფით, სცადა მართლმადიდებელი, არქაული რუსეთი პროტესტანტული ევროპული სტანდარტებით მოწყობილ მოწინავე სახელმწიფოდ

გადაექცია. თუმცა ეს ყველაფერი მართლმადიდებლობის, როგორც სახელმწიფო რელიგიის ბატონობის პირობებში უნდა განეხორციელებინა.

პეტრე I-მა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიაც ახალ რელსებზე შეაყენა – პატრიარქის ინსტიტუტი გააუქმა და რუსეთის ეკლესია მთლიანად იმპერატორს დაუმორჩილა, ეკლესიის სამართავად კი საერო პირი – სინოდის ობერპროკურორი განაწესა. ამით იმპერატორმა აშკარად დაარღვია მართლმადიდებელი ეკლესიის წეს-განრიგის ფუძემდებლური პრინციპები, მაგრამ ამის გამო ხმამაღლა პროტესტი არავის გამოუქვამს. პეტრე I არ შეხებია მართლმადიდებლობის ღვთისმეტყველური დოგმატიკის საფუძვლებს, მრევლისა და რუსეთის ეკლესიის ურთიერთობა გარეგნულად ძველებურად მიმდინარეობდა, ცვლილებები შეეხო მხოლოდ ეკლესიის ზედა ეშელონებს, სახელმწიფოსა და ეკლესიის მართვის ზედა სტრუქტურებს; მაგრამ ეს საეკლესიო რეფორმა არაფრით ჰგავდა ლუთერის მიერ განხორციელებულ ნოვაციებს, ამიტომაც მისი საზოგადოებრივი ზემოქმედების მახასიათებელი თითქმის ნულის ტოლი აღმოჩნდა.

ასევე განხორციელდა ცვლილებები სხვადასხვა სფეროში: მთელი სახელმწიფო სტრუქტურა ევროპული შინაარსის სახელებით აღიჭურვა, რომლებიც ასევე ძალით თავსმოხვეული იყო და რუსეთის სახელმწიფოს შინაგანი განვითარების კანონებს სრულებით არ პასუხობდა.

ძირითადი ცვლილებები შეეხო მმართველ კლასს – ფეოდალთა კატეგორიას, რომელიც ძალიან მალე შეიცვალა გარეგნობითაც, ზნეობითაც, განათლებითაც და მდგომარეობითაც. მას ძალიან მალე აუვიდა „ევროპული სურნელი“. თუმცა პეტრეს მცდელობის შედეგად სახელმწიფოს მთელი გარეგნული სახე შეიმოსა ევროპული გარსით,სამაგიეროდ შიგთავსი დარჩა მკვეთრად რუსული – მილიონობით დაყმევებული გლეხით, ე.წ. „რუსული თემით“, გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი ტლუ საზოგადოებით, ზედმეტად გათავხედებული ფეოდალური კლასით და ა.შ.

კოლექტივისტური რუსული ბუნება შინაგანად არ იღებდა იმას, რაც მისთვის მიუღებელი და უცხო იყო: შრომისადმი ევროპული დამოკიდებულება, მაღალნაყოფიერი შრომისადმი ინტერესი, შრომის პროგრესული კულტურა, რაც ისტორიული განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, საზოგადეობრივ-ეკონომიკური პროგრესის რეალიზაციის აუცილებელი საფუძველს წარმოადგენს – რუსეთში კვლავაც მიუღწეველ ოცნებად დარჩა. შექმნილ ვითარებას შესანიშნავად მიესადაგება გენიალური თ. დოსტოევსკის შემდეგ სიტყვები: „ნუთუ არ ესმით, რომ აზრის წარმოსაშობად პირველ ყოვლისა შრომაა საჭირო, საკუთარი შრომა, საკუთარი თაოსნობა, საკუთარი გამოცდილება. ხელის გაუნძრევლად არასოდეს არაფერი გაკეთებულა, ვიმუშაოთ და ჩვენი აზრიც გვექნება. მაგრამ მუშაობის თავი ჩვენ ვინ მოგვცა, მაშ აზრიც იმათგან უნდა ვისესხოთ, ვინც აქამდე ჩვენს მაგიერ მუშაობდა, მაშასადამე, ისევ ევროპას და ისევ იმ გერმანელებს მივაკითხოთ, ვინც აგერ ორასი წელია ჩვენი ჭკუის მასწავლებლები არიან“.[1]

ეს ამონარიდი თ. დოსტოევსკის გენიალური რომანიდან აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ იმჟამინდელი რუსეთის საზოგადოება გაორებული იყო, რომ მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი, რაც რუსეთში სწორედ ევროპიდან გადმოიტანეს და მას გერმანული განათლების მოდელი დაუდეს საფუძვლად, მართალია, ზრდიდა განათლებული ადამიანების გარკვეულ ჯგუფებს, მაგრამ არსებული დამყაყებული ყოფიერება („შიგთავსი“) არ იძლეოდა საშუალებას ეს ნასესხები ინტელექტუალური პოტენციალი ყოფილიყო ხელმისაწვდომი მთელი საზოგადოებისათვის, რათა ამ უკანასკნელს ევროპული მიღწევები ორგანულად გაეთავისებინა, რაც უდავოდ გამოიწვევდა მძლავრ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროგრესს.

საერთოდ, XIX საუკუნე მიჩნეულია რუსული ინტელექტუალური პოტენციალის აღმავლობის გამორჩეულ პერიოდად, მაგრამ თუკი ღრმად ჩავუკვირდებით ამ პროცე-

[1] თ. დოსტოევსკი, ეშმაკნი, თბ., 1967, გვ. 422-424.

სებს, საკუთრივ რუსული მათში ბევრი არაფერია: „რუსული ბაროკო“ სინამდვილეში რუსეთში რეალიზებული იტალიური ბაროკოა; „რუსული ბალეტი“ – ფრანგული კლასიკური ბალეტია რუსების შესრულებით, „რუსული კლასიკური მუსიკა“ – ესეც ევროპული სამუსიკო ხელოვნების რუსეთში ინტერპრეტაციაა და სხვა არაფერი. დაბოლოს, ჩინებული რუსული მხატვრული ლიტერატურაც ხომ ფაქტორივად ევროპული ლიტერატურის რუსულ განვითარებას წარმოადგენს.

საკუთრივ „რუსული“ რუსეთში შეიმჩნეოდა მხოლოდ სოფელში, ეს იყო „რუსული თემი“, ანუ შეურყვნელი, რუსეთის საზოგადობის ძირეული ისტორიული განვითარების (უფრო კი განუვითარებლობის) შედეგი, კოლექტივისტური შრომის ორგანიზაციით, კოლექტივისტური ფსიქოლოგიით, კოლექტივისტური ყოფით. ტერმინი „რუსკი მუჟიკ“ – ეს ხომ სოციალური გამოვლენა იყო უსწავლელობის, უქნარობის, ბედოვლათობის, დათრგუნულობის. არსებული მძიმე ყოფიერება, ირაციონალური მართლმადიდებლური იდეოლოგია, სამეფო ხელისუფლების გაფეტიშება, მუდამ ვიღაცის მოლოდინი – ის გაგვიკეთებს, ის დაგვეხმარება, ის შეცვლის... სწორედ ეს იყო დამახასიათებელი „რუსული თემისათვის“.

სწორედ ამას ვერ იტანდნენ რუსეთში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები და ისინი ასე აფასებდნენ საკუთარ ქვეყანას: „საუკუნეების მანძილზე სიბინძურესა და ნეხვში ჩაკარგული ხალხი“ (ბ. ბელინსკი), „მონების ერი, თითოეული მათგანი მონაა!“ (ნ. ჩერნიშევსკი).

ამ თვალსაზრისის მატარებელი ადამიანები დღესაც რუსეთის საზოგადოებრივი აზრის საუკეთესო წარმომადგენლებად არიან მიჩნეულნი, რევოლუციონერ-დემოკრატებად იწოდებიან, და მართლაც, მათ უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი ჰქონდათ, ჩინებულად იცოდნენ ევროპის განვითარების მაგისტრალური გზის პერიპეტიები, ნათლად ხედავდნენ საკუთარი ქვეყნის წყლულებს, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ისინი რუსეთის „შიგთავსის“ მთავარ თავისებურებაში – რუსული თემის აღორძინება-განმტკიცებაში ხედავდნენ. ა. გერცენი წერდა: „რა

ბედნიერებაა რუსეთისათვის, რომ რუსული თემი არ დაიღუპა, რომ კერძო საკუთრებამ არ დააქუცმაცა საკუთრება თემობრივი; რა ბედნიერებაა რუსი ხალხისათვის, რომ ის დარჩა ყველა პოლიტიკური მოძრაობიდან განზე, ევროპული ცივილიზაციისაგან განზე, რაც უეჭველად ააფეთქებდა თემს“.[1]

ამრიგად, რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი – ცვლილებების მომლოდინე და ამ ცვლილებების შემმუშავებელი, რუსეთის განვითარების მთავარ საშუალებად არქაულ რუდიმენტს მიიჩნევდა, მის შენარჩუნებასა და მომავალი საზოგადოების საფუძვლად გამოყენებას ცდილობდა; თემის კოლექტივისტური სულისკვეთება მათ სოციალიზმის ჩანასახად ესახებათ, ეს კი მოგვიანებით ნიჰილისტური მოძრაობის (იდეოლოგიის, პრაქტიკის) ძირითადი საფუძველი გახდება რუსეთში.

როგორც ისტორიული განვითარების პროცესმა აჩვენა, პეტრე I-ის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო მანქანა არის სახელმწიფოში ეკონომიკური განვითარების მთავარი დემიურგი, პირველი სპონსორი და პირველი მეცენატიც. რა თქმა უნდა, რუსეთის გეოსტრატეგიული პრეტენზიები და იმპერიული ამბიციები აუცილებლად მოითხოვდნენ მისგან, თვალყური ედევნებინა ევროპული ეკონომიკური პროგრესისათვის და უზრუნველეყო სახელმწიფოს ისეთი ეკონომიკური განვითარება, რომელიც ამ პრეტენზიების დაკმაყოფილების საშუალებას მისცემდა. აქედან გამომდინარე, რუსეთში ეკონომიკური ცხოვრების მთავარი დემიურგი პოლიტიკური რეჟიმი – ცარიზმის გეოსტრატეგიული ინტერესები იყო. როცა დგებოდა ბუნებრივი რეგრესის ფაზა (როგორც აღვნიშნეთ, რუსეთს არ ჰქონდა შინაგანი განვითარების დემიურგი თავისი ისტორიული მართლმადიდებლური იდეურ-მსოფლმხედველობითი საფუძვლების გამო), საჭირო ხდებოდა „ბიძგი“, „ძლიერი ხელი“, რომელიც ამ ჩამორჩენას გამოასწორებდა.

[1] А. Герцен, Русский народ и социализм. В книге: «Утопический социализм»., М., 1982, стр. 402.

პეტრე I-ის შემდეგ ეს მისია დაეკისრა ალექსანდრე II-ს, რომელმაც გააცნობიერა, რომ ყირიმის ომში (1856 წ.) მარცხი გამოიწვია სერიოზულმა ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ, ხოლო ეს ფაქტორი კი განაპირობა რუსეთში ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის არსებობამ. სწორედ ამიტომაც 1861 საგლეხო რეფორმა, გარკვეულწილად, კაპიტალიზმის ზეაღმავალი განვითარებისათვის საფუძვლების შემზადებას ითვალისწინებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში, XIX ს. 60-იან წლებში რადიკალური ეკონომიკური და სოციალური რეფორმები განხორციელდა **იაპონიაში** ე.წ. „მეიძის რევოლუციის“ დროს (1868 წ.), როცა იაპონიის იმპერატორმა, ასევე „ზემოდან“, განახორციელა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, რამაც XX საუკუნის დასაწყისში იაპონია მსოფლიოში დინამიურად განვითარებადი ქვეყნების რიგებში ჩააყენა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელმაც მთლიანდ გადაიღო თავისი მეტროპოლიის – დიდი ბრიტანეთის პრაგმატიზმი, ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემების დიდი უმრავლესობა, ასევე კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმირების სტადიაში იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შავკანიანი მოსახლეობის მონური მდგომარეობა და აბორიგენების (ფერადკანიანი ინდიელების) მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული პოლიტიკა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა სამართლიანი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების შექმნის საქმეში. 1864 წლის სამოქალაქო ომმა და შავკანიანი მოსახლეობისათვის თავისუფლების მინიჭებამ, ამერიკის კონგრესის მიერ შემუშავებულმა ეკონომიკურმა კანონმდებლობამ უზრუნველყო ამერიკაში კლასიკური კაპიტალისტური წეს-წყობილების ფორმირება XX საუკუნის დასაწყისში.

მ. ვებერი ამერიკის საზოგადოებაზე დაკვირვებით, ამერიკული ცხოვრების წესის მოშველიებით ადასტურებს თავის მოსაზრებას პროტესტანტიზმის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის გზაზე. თავის ნაშრომში

ის ჩამოთვლის კიდეც პროტესტანტების უმნიშვნელოვანეს სექტებს (ანაბაპტისტები, მენონიტები, ბაპტისტები, კვაკერები), რომლებმაც, მისი აზრით, ხორცი შეასხეს საზოგადოების კაპიტალიზმში ევოლუციის უწყვეტ პროცესს ჩრდილოეთ ამერიკაში[1].

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კაპიტალისტური განვითარების პარამეტრები აღმავლობით ხასიათდება უკვე სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, თუმცა ეკონომიკის სტრუქტურა დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა აგრარულ შინაარსა და სანედლეულო ხასიათს: ბამბის პლანტაციებში შავკანიანების მონური შრომის გამოყენება, განუწყვეტელი ბრძოლა ადგილობრივ ინდიელ, აბორიგენ მოსახლეობასთან, ტოტალური მიგრაცია ევროპიდან და დასავლეთით ნაყოფიერი მიწების ათვისება – წარმოადგენდა ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებას XIX საუკუნეში.

მსოფლიოს სხვა ქვეყნები (**თურქეთი, ირანი, ეგვიპტე, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა** და ა.შ.) ფეოდალური ან წინაფეოდალური ხანის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარების მხრივ. ისინი, თავისი არქაული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის გამო, კოლონიალიზმისა თუ ნახევრადკოლონიალიზმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

როცა ვაანალიზებთ და ვაჯამებთ I მსოფლიო ომის წინ მსოფლიოს სახელმწიფოების სოცილურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას, აშკარად ვხედავთ ამ განვითარების უთანაბრობას, რამაც შეუქმნა ნაყოფიერი საფუძველი სახელმწიფოთა შორის სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებას და აქედან გამომდინარე – სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების ფორმირებას.

ამ უთანაბრობას კიდევ უფრო აძლიერებდა თავისუფალი კონკურენცია, რომელიც ფაქტობრივად გახდა შინაგანი

---

[1] Макс Вебер, Протестантская этика и дух капитализма, М., 1990. См:www.koob.ru, стр.4.

დემიურგი კაპიტალიზმის პირობებში ნებისმიერი საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის.

კონკურენცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, უზრუნველყოფდა ეკონომიკის პროცესში ჩართული სუბიექტების ბრძოლუნარიანობას, სიფხიზლეს, მუდამ მოწინავე პოზიციებისაკენ სწრაფვის სურვილს – ანუ უზრუნველყოფდა ჯანმრთელ სელექციას. ეს იყო თავისუფალი ეკონომიკური განვითარების შინაგანი ძლიერი დემიურგი, რომელიც დიდი მატერიალური შედეგებით აჯილდოებდა ამ ბრძოლაში ჩაბმულ სუბიექტებს. კონკურენცია კაპიტალიზმის პირობებში უკვე გულისხმობდა პროგრესულის, ცხოვრებისუნარიანის დია შერჩევას და მის საფუძველზე საერთო ეკონომიკური წარმატებების მიღწევას. თუმცა ამ პროცესში უკვე შესამჩნევი იყო მისი მთავარი ნაკლიც – ხდებოდა პროცესში ჩაბმული ინდივიდის, კონკურენტულ ბრძოლაში დამარცხებულის, წაგებულის განადგურება, ეკონომიკური სცენიდან გაქრობა. სწორედ ეს ეკონომიკური კანონი ყველაზე მეტად განაპირობებდა ეკონომიკაში ჩაბმული სუბიექტების მხრიდან განსაკუთრებულ ბრძოლისუნარიანობას, სიმტკიცეს, მიზანსწრაფვას, გამარჯვების გზების ძიებას. სწორედ ასეთმა ვითარებამ და საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ჩამოაყალიბა კაპიტალიზმის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი: „არ არის აუცილებელი იყო ყოველთვის პირველი, მთავარია – ნუ იქნები ბოლო!“

კაპიტალიზმის ეკონომიკური კანონები მოითხოვდნენ ლოკალური და მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, შრომის დარგობრივ გადანაწილებას. ერთიანი მსოფლო ეკონომიკური ბაზრის ფორმირება დროში გაიწელა, მაგრამ მისი საბოლოო ჩამოყალიბება იმის ნიშანია, რომ კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობები გახდნენ ყოვლისმომცველნი.

ამ ტენდენციამ ზეგავლენა მოახდინა წამყვანი მწარმოებელი ქვეყნების ეკონომიკურ მახასიათებლებზეც: ინგლისი – მძიმე მრეწველობა და ტექნოლოგიები, ამერიკა – სურსათი და ნედლეული, საფრანგეთი – მსუბუქი მრეწვე-

ლობა და ფუფუნების საგნები, შვეიცარია – ძლიერი ფინანსური ინსტიტუციები და ა.შ.

ამის გამო მსოფლიოს ეკონომიკა XIX საუკუნის დასასრულს განსაკუთრებული აღმავლობით გამოირჩეოდა. ამას განაპირობებდა ის გარემოება, რომ სწორედ ამ საუკუნეში მეცნიერება, ახალი საინტერესო აღმოჩენები, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი უკვე მტკიცედ დაუკავშირდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ევროპის წამყვან ქვეყნებში, გარკვეული აზრით, ის მნიშვნელოვანი სტიმულატორიც გახდა; წამყვანი სახელმწიფოების წინაშე მდგომმა გამოწვევებმა მნიშვნელოვნად გააააქტიურეს სამეცნიერო პოტენციალი: საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ მოითხოვა უფრო მძლავრი სავაჭრო ფლოტის შექმნა, დიდტონაჟიანი გემების წარმოება, ასეთი გემების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მეცნიერული დასაბუთება; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზრდამ მოითხოვა ორთქლის ძრავის ტექნიკურ-ტექნოლოგიური პარამეტრების გაუმჯობესება და მისი ტექნოლოგიური სრულყოფა. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უზრუნველყო შიდაწვის ძრავის გამოგონება, რასაც XIX საუკუნის დასასრულს მოჰყვა ავტომობილების წარმოების დაწყება ამერიკის შეერთებულ შტატებში (ფორდი და სხვ.), გერმანიაში (პორშე და სხვ.) საფრანგეთში (რენო და სხვ.). დასავლეთ ევროპაში – ინლისში, საფრანგეთში, გერმანიაში დაიწყო მუშაობა თვითმფრინავებზე, რომლებიც რადიკალურად შეამცირებდნენ მანძილს ქვეყნებს შორის[1].

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს მიდწევები ფიზიკის, მექანიკის დარგში – XIX საუკუნეში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა თერმოდინამიკის საკითხების შესასწავლად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „ენერგიის შენახვისა და გარდაქნის კანონს“, რისი დასაბუთებაც ინგლისელი და გერმანელი მეცნიერების ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. ამ აღმოჩენამ უბიძგა სხვა მნიშვნელოვან გამოგონებებს ფიზიკაში: იაფი და მარადიული ენერგიის შექ-

[1] История Франции, т.2. М.,1973,стр. 313.

მნის ამოცანა აიძულებდა მეცნიერებს შეესწავლათ რადიო-აქტივობის კანონები და კანონზომიერებები. აღმოჩნდა ახალი ნივთიერებები პოლონიუმი და რადიუმი.

XIX საუკუნეში, დიდმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგებმა წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან წარმოშვა შეუნელებელი მიდრეკილება, მოეპოვებინათ ნედლეულის ახალი წყაროები, მარად მზარდი პროდუქციის გასასაღებლად დაესაკუთრებინათ, მიეთვისებინათ ახალი ბაზრები. ეს მისწრაფებები ყველა ევროპულ ქვეყანას ჰქონდა, თუმცა ყველას ერთნაირად არ ხელეწიფებოდა ამ მიზნების ხორცშესხმა.

ახალი ტერიტორიების, ახალი ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების ათვისება, უპირველეს ყოვლისა, ძლიერ სავაჭრო და სამხედრო ფლოტის არსებობას გულისხმობდა და ამიტომაც ამ საქმეში პირველები აღმოჩნდნენ ისინი, ვისაც შესაბამისი ინფრასტრუქტურა საკმაოდ განვითარებული ჰქონდა. ამ ამოცანებს ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნები ახორციელებდნენ ვაჭრობით, აღებ-მიცემობით...

ამრიგად, ეკონომიკური ცხოვრება XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში არათანაბრად, ზიგზაგისებურად ვითარდებოდა და სხვადასახვა შედეგები მოჰქონდა მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში ჩაბმული ქვეყნებისათვის. ეს პროცესი XIX საუკუნეში უკვე მტიცედ ეფუძნებოდა კაპიტალიზმის ეკონომიკურ კანონებს – კონკურენციას, სასაქონლო ფულად და თავისუფალ საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ პრინციპებს, მსოფლიო ბაზრის ფორმირების მოთხოვნებსა და კანონზომიერებებს.

§3. კოლონიალიზმი და კოლონიალური იმპერიები

კაპიტალიზმის ზეადმავალი განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა ვაჭრობა და ის მთლიანად ეფუძნება აღებ-მიცემობის, როგორც ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სახეობის, ასწლეულების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას, შესაძლებლობებს და, რა თქმა უნდა, ახალ გამოწვევებს და ახალ ამოცანებს.

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ ინგლისში ვაჭრობის, განსაკუთრებით კი საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციის ამოცანა დღის წესრიგში წრაფად დადგა. სამრეწველო რევოლუციებმა, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი, იმ გამორჩეულმა მიღწევებმა ეკონომიკის ძირითადი დარგების განვითარების საქმეში, ინგლისელი ბიზნესმენების წინაშე დააყენა საკითხი, სამრეწველო რევოლუციის შედეგებიდან გამომდინარე, მზარდი პროდუქცია გაეტანათ საზღვარგარეთ და გაეყიდათ; მათ მიერ უკვე გადადგმული ეკონომიკური ნაბიჯები იძლეოდა სავაჭრო ტვირთბრუნვის ზრდის შესაძლებლობებს, რაც, უდავოდ, აისახებოდა როგორც ქვეყნის, ისე კერძო ბიზნესის ფინანსურ შესაძლებლობებზე.

XIX ს. 60-იან წლებში დიდმა ბრიტანეთმა, როგორც ეს უკვე აღინიშნა, მიაღწია თავისი ეკონომიკური განვითარების ზენიტს – ის აწარმოებდა მსოფლიოში წარმოებული რკინის 53%-ს, ქვანახშირის მოპოვების 50%-ს, ამუშავებდა მსოფლიოში მოყვანილი ბამბის ნედლეულის დაახლოებით ნახევარს. ეს მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა იმ დროს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ევროპის მასშტაბით – მხოლოდ 10 პროცენტი იყო. დიდ ბრიტანეთს კონცენტრირებული ჰქონდა მსოფლიო წარმოების 40-45%, ევროპის სამრეწველო წარმოების დაახლოებით 55-60%. მსოფლიოში სავაჭრო გემების 30% ინგლისის დროშის ქვეშ დაცურავდა, ხოლო მსოფლიოში განხორციელებული საქონელბრუნვის მეხუთედი სწო-

რედ ინგლისზე მოდიოდა“[1]. ეს დადებითი ტენდენცია შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

დიდი ბრიტანეთის სავაჭრო პროდუქციის მთავარი ნიშნული მისი დაბალი თვითღირებულება, და აქედან გამომდინარე, დაბალი ფასები იყო. ამ ძალით ის ადვილად ამარცხებდა კონკურენტებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და ამიტომაც იყო, რომ დიდი ბრიტანეთის სავაჭრო-ეკონომიკური განვითარების მთავარი სტიმული პირველ ეტაპზე „თავისუფალი ვაჭრობის“ პრინციპები იყო, რის დამკვიდრებასაც აქტიურად ცდილობდნენ როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო ხერხებით.

„თავისუფალი ვაჭრობის“ პრინციპები გულისხმობდა მაქსიმალურად შემცირებულ ტარიფებს სავაჭრო საქონელზე, ან მათ საერთოდ იგნორირებას. ეს პოლიტიკა კარს უხსნიდა ინგლისურ პროდუქციას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ხოლო მისი მაღალი ხარისხი და შედარებით დაბალი ფასები მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვების საშუალებას იძლეოდა – დიდი ბრიტანეთი ძალზე ადვილად იპყრობდა უცხო სახელმწიფოების სავაჭრო ბაზრებს. ეს კი მას აუცილებლად სჭირდებოდა ახალი ნედლეულის შესაძენად თავისი მრეწველობისათვის და სურსათ-სანოვაგის იმპორტისათვის საკუთარი, სწრაფად მზარდი მოსახლეობისათვის.

მაგრამ სავაჭრო-კომერციულ საქმიანობაში ინგლისს თანდათან გაუჩნდნენ კონკურენტი ქვეყნები – ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანია, რომლებიც, როგორც დავინახეთ, მართალია, მცირე დაგვიანებით, მაგრამ მაინც ავითარებდნენ სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს თავიანთ ქვეყნებში, აღწევდნენ ეკონომიკურ წარმატებებს და ცდილობდნენ მსოფლიო სავაჭრო სისტემაში – რესურსების მოპოვებისა და ახალი ბაზრების ათვისების საქმეში – უწინდელი ჩამორჩენის შემცირებას. სწორედ ამან წარმოშვა „თავისუფალი ვაჭრობის“ საწინააღმდეგო ეკონო-

[1] ციტირებულია, Б. Берлей, Об истории тарговли, old.inliberty.ru\liberty \235-ob-istorii-torgovli. P.1.

მიკური პოლიტიკა – **პროტექციონიზმი** (ეტატიზმი) სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, შემზღუდველი ტარიფების დაწესება, ამ ტარიფების მანუპულირება. ასეთი პოლიტიკის ტიპიური მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების პროტექციონისტული პოლიტიკა, რაც ახასიათებდა ამერიკის ეკონომიკურ განვითარებას მთელი XIX საუკუნის მანძილზე.

ამ ქვეყანაში პროტექციული ტარიფების დაწესების მაჩვენებელმა 1816 წელს თითქმის 25 % შეადგინა, ხოლო „ახალბედა დარგების მხარდაჭერის მიზნით“ ასეთი მფარველობითი ტარიფების არსებობა XIX საკუნის დასასრულამდე გაგრძელდა.

პროტექციონიზმის პოლიტიკას აქტიურად იყენებდა იაპონია, რომელიც საერთოდ მრავალი ათეული წელი თვითიზოლაციაში იმყოფებოდა და უფრთხოდა არა მარტო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს დანარჩენ მსოფლიოსთან, არამედ პოლიტიკური განკერძოების მომხრეც იყო და თვითიზოლაციას უჭერდა მხარს.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ (1871 წ.) პროტექციონიზმი გერმანიის ეკონომიკისათვისაც დამახასიათებელი გახდა, თუმცა ტარიფების მოცულობა გერმანიის იმპერიაში სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალი იყო.

ვაჭრობა ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი სექტორია. მისი განვითარება, გარკვეულ ეტაპზე, უკვე გულისხმობს სავაჭრო არტერიების, ნედლეულის წყაროების, გასაღების ბაზრების ჯერ გაკონტროლებას, ხოლო შემდეგ – ხელში ჩაგდებასაც. XIX საუკუნეში ინგლისი ფლობდა დაპყრობილი, კოლონიალური ქვეყნების უდიდეს ნაწილს: კანადას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, ინდოეთს, ტასმანიას, სამხრეთ აფრიკას და ა.შ. ეს უძლიერესი ქვეყანა სრულად აკონტროლებდა ვითარებას ეგვიპტეში, მალტაში, კვიპროსზე, გიბრალტარზე და ა.შ. ძლიერი ეკონომიკური და, განსაკუთრებით, კულტურული იმპულსები ინგლისს ძალზე საშიშ კოლონიზატორად წარმოაჩენდა – ეს ნიშნავდა ადგილობრივი მოსახლეობის სრულ დამორჩილებას, ინგლისური ენისა და კანონმდებლობის ტოტალურ გავრცელებას, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების

სრულ იგნორირებას (მაგალითად, სულ რამდენიმე წელი დასჭირდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა საერთოდ გაწყვეტილიყო ტასმანიაში, ხოლო ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ადგილობრივი მოსახლეობა რეზერვაციებში შერეკეს და ა.შ.).

დიდ წარმატებებს მიაღწია კოლონიების მიტაცების საქმეში საფრანგეთმა, რომელმაც კოლონიალური იმპერია ჯერ კიდევ ნაპოლეონ III-ის მმართველობის პერიოდში ჩამოაყალიბა. ნაპოლეონ III დამხობისა და რესპუბლიკური წყობილების განმტკიცების კვალდაკვალ, ფრანგული კოლონიალიზმი განმტკიცდა ალჟირში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ვიეტნამი და სხვ.), აფრიკაში (ცენტრალური აფრიკა და სხვ.). XIX საუკუნის დასასრულს საფრანგეთის კოლონიალური სამფლობელოები გადაჭიმული იყო 3,7 მილიონ კვადრატულ მილზე, ხოლო ამ ტერიტორიებზე მოსახლეობის რაოდენობა 56,4 მილიონს აღწევდა[1].

დასავლეთ ევროპაში თითქმის არ იყო სახელმწიფო, რომელსაც კოლონია არ ჰქონოდა, ისეთ პატარა სახელმწიფოებს, როგორიც იყვნენ ნიდერლანდები, ბელგია, მათაც კი ჰქონდათ კოლონიები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. კოლონიალურ იმპერიებს წარმოადგენდნენ ესპანეთი, პორტუგალია და სხვ.

დიდი კოლონიები ჰქონდათ აღმოსავლეთ ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორიც იყვნენ რუსეთი, ავსტრია, მაგრამ მათი კოლონიალიზმი გამორჩეული იყო რიგი თავისებურებებით. ავტრიაში იმპერიული მოსახლეობა – ავსტრიელები სახელმწიფოში ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდა, ქვეყანა პოლიეთნიკური იყო და საკმაოდ დიდ სლავურ ელემენტსაც შეიცავდა (ხორვატია, ჩეხია (ბოჰემია), სლოვაკია, და ა.შ.) ქვეყანაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეგავლენას ფლობდა უნგრელი მოსახლეობა, რომელმაც დიდი ბრძოლის შემდეგ მაინც მოახერხა ის, რომ ავსტრიის ჰაბსბურგების იმპერია დუალისტურ (ავსტრიულ-მადიარულ) სახელმწიფოთ გარდაექმნა.

---

[1] История Франции, т.2. М.,1973, стр. 313.

როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული თავისებურებებით გამოირჩეოდა რუსეთის იმპერიაც, რომელმაც შეძლო და XIX საუკუნის შუა ხანებში უკვე ჩამოაყალიბა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერია“, რომელიც აერთიანებდა ისეთ ცივილიზებულ ერებსა და სახელმწიფოებს, როგორიცაა პოლონეთი, ბალტიისპირეთი, საქართველო, სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის მუსლიმი მოსახლეობა, შუა აზიის ძველი სახელმწიფოები და ხალხები (ყაზახები, უზბეკები, ყირგიზები, ტაჯიკები, თურქმენები და ა.შ.).

ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიების კოლონიალური თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ მათ კოლონიები ოკეანის გადაღმა კი არა ჰქონდათ, არამედ იმპერიის ცენტრალურ ტერიტორიებთან ეს ქვეყნები ორგანულად იყვნენ ინკორპორირებულნი და ტერიტორიული თვალსაზრისით სრულად შერწყმულ-ათვისებული. ეს ტერიტორიები რუსეთში გუბერნიებში იყვნენ გადანაწილებულნი (მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში).

კოლონიალიზმი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოს წამყვანი და განვითარებლი ქვეყნების **პოლიტიკის** ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი და, შეიძლება ითქვას, მამოძრავებელიც კი იყო. და ის მთლიანად განისაზღვრებოდა სახელმწიფო ინტერესებით. იმჟამად მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე მთავარ ზეგავლენას ევროპის ქვეყნები ახდენდნენ და მათი ინტერესები, განსაკუთრებით ეკონომიკური მოთხოვნილებები ამოძრავებდა საერთაშორისო ურთიერთობებს.

მეტად რთული ვითარება შეიქნა ევროპაში XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა გერმანიის გაერთიანების აუცილებლობამ და ამ პროცესის მოწინააღმდეგეთა განეიტრალებამ მოითხოვა პრუსიის დაპირისპირება დანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, საფრანგეთთან.

1871 წელს ნაპოლეონ III-ის დატყვევებით დასრულებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ პრუსიის ჰეგემონიით შეიქმნა გერმანელი ერის II იმპერია, რამაც რადიკალურად შეცვალა პოლიტიკური პროცესები კონტინენტზე: თუკი ად-

რე ინგლისისა და საფრანგეთის დაპირისპირება როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოში ახალი მიწების, ახალი მატერიალური რესურსების დასაკუთრების საქმეში ტრადიციული და საუკუნეებში გაწელილი პროცესი იყო, 1871 წლიდან ხდება ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესთა თანხვედრა გერმანიის მზარდი აგრესიის წინააღმდეგ: საფრანგეთში გავრცელდა რევანშისტული, შოვინისტური ტენდენციები, რასაც ასაზრდოებდა პრუსიასთან ომის შედეგად დაკარგული ელზას-ლოტარინგიის დაბრუნების აუცილებლობა[1].

ნაპოლეონ III იმპერიის კრახმა ბიძგი მისცა იტალიის ერთიანი სახელმწიფოს ფორმირების დასრულებას: პაპის ოლქის შემოერთებით იტალიაში დასრულდა გაერთიანების პროცესი, იტალია გახდა დიდი სახელმწიფო და მას დასჭირდა ის, რაც მანამდე არ ჰქონდა – კოლონიები, ახალი ბაზრები და მატერიალური რესურსები.

გერმანიის ახალი იმპერიის ამბიციური ხელმძღვანელები კი თვლიდნენ, რომ ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა მსოფლიო გადაინაწილეს მისი ჩარევის გარეშე, რომ მას, როგორც ეკონომიკურად მზარდ სახელმწიფოს, ისევე სჭირდებოდა ნედლეულის წყაროები და გასაღების ბაზრები, როგორც საფრანგეთს, ინგლისს თუ რუსეთს. გერმანიის იმპერია, რომელმაც ჩინებულად გამოიყენა გერმანელი ხალხის საყოველთაო ეიფორია გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის გამო, სწრაფად ავითარებდა თავის ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს და აშკარად აპირებდა ძალის გამოყენებით მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას. უკვე იმჟამად ექსპერტები (მათ შორის ქართველებიც) ერთხმად მიუთითებდნენ ამ ფენომენზე: „გერმანია კი ბევრში არაჩვეულებრივი ქვეყანა გამოდგა. აქ მრეწველობა სწრაფად ვითარდება და ამ მხრივ მან არა თუ საფრანგეთს გაუსწრო, თვით ინგლისსაც – „კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანას“ – და შეერთებულ შტატებსაც მეტოქეობას უწევს“.[2]

---

[1] В.И. Антюхина-Московченко, Франция в начале XX века, «История Франции», т.2. М.,1973, стр. 558-559.

[2] ციტირებულია: ვ. ჩოჩია, გერმანია (1904-1914), თბ., 2008, გვ. 21.

განვითარებაში ასეთი უთანაბრობა, ნედლეულის ბაზებისა და გასაღების ბაზრების არაექვივალენტური გადანაწილება, დიდი პოლიტიკური ამბიციები და შორს გამიზნული აგრესიული კურსი ლოგიკურად აჩქარებდა იმ პროცესებს, რაც მთელს მსოფლიოში განვითარდა XX საუკუნის პირველ ათწლეულში.

რა ვითარება სუფევდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით რუსეთის იმპერიის შემადგენლებაში მოქცეულ, ორ გუბერნიაში გადანაწილებულ ქართულ საზოგადოებრიობაში, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში უკვე უკვე საკმაოდ კონსოლიდირებულ და ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა?

თავი II

ქართული საზოგადოებრიობა XX საუკუნის დასაწყისში

§1. ქართველების დემოგრაფიული განვითარების თავისებურებები

XX საუკუნის დასაწყისში „საქართველო“, როგორც ერთიანი პოლიტიკური სუბიექტი, საერთოდ აღარ არსებობდა, მოსახლეობა განაწილებული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ბათუმის ოლქში, სოხუმის ოკრუგში, ზაქათალასა და სხვა კუთხეებში. ამ ტერიტორიებზე მეტისმეტად მრავალეროვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. ტერიტორიულ ადმინისტრაციული დაყოფა სამხრეთ კავკასიაში მთლიანად იმეორებდა რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მკაცრად დამკვიდრებულ ტრადიციებს, რაც საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთის მხრიდან ანექსიისთანავე, ძალიან მალე განხორციელდა.

შედარებითმა სიმშვიდემ, რომელმაც დაისადგურა სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნის განმავლობაში, უზრუნველყო ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა.

1897 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 1 919 423 კაცი, აქედან ქართველი იყო 1 310307 კაცი, ანუ მოსახლეობის 68.3%[1]. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის განმავლობაში, ძნელბედობის მიუხედავად, შეიმჩნევა მოსახლეობის საშუალო წლიური მატების მაღალი პროცენტი (1,92%), რაც უზრუნველყოფდა მოსახლეობის შედარებით სწრაფ ზრდას და თავისთავად უაღრესად დადებითი ტენდენციაა. მოსახლეობის ეს რაოდენობა გადანაწილებული იყო ორ გუბერნიაში. თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა

[1] Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Тифлисская губерния, 1905, стр. VI.

1 051 032 კაცი, მათ შორის 575 447 მამაკაცი, 475 585 ქალი[1]. ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრობდა 1 058 241 კაცი, მათ შორის 508 737 ქალი, 549 504 მამაკაცი[2].

საერთოდ, ქართული საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის პროცესების უკეთ წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიული მოწყობის საკითხს. მართალია, რუსეთის ხელისუფლებამ უარყო ქართული ტრადიციული ტერიტორიული მოწყობის გამოცდილება (სამთავროები, სათავადოები და ა.შ.), მაგრამ სამაზრო სტრუქტურა, რაც XIX საუკუნეში დამკვიდრდა საქართველოში, უფრო ეფექტიანად ახერხებდა კონსოლიდაციის პროცესის წარმართვას, რადგან უფრო მობილური და, რაც მთავარია, უფრო ცენტრალიზებული სახელმწიფო სტრუქტურა იყო.

თბილისის გუბერნია მაზრებად იყო დაყოფილი. მაზრებს შორის აშკარად შესამჩნევია როგორც შედარებით მონონაციონალური, ისე პოლიეთნიკური ადმინისტრაციული ერთეულები. ქართველების ყველაზე მაღალი კონცენტრაცია იყო გორის მაზრაში (124 180 კაცი), ყველაზე ნაკლები – ბორჩალოს მაზრაში (7 840 კაცი). არ იყო მაზრა, სადაც ქართველი არ ცხოვრობდა. ზაქათალის ოკრუგშიც კი, რომელიც დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაშია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში 12 389 ქართველი ცხოვრობდა[3].

მეტად საინტერესო მდგომარეობა ფიქსირდება ქუთაისის გუბერნიაში. რუსული დემოგრაფიული სტატისტიკა 1897 წლის აღწერის დროს ამ გუბერნიაში ქართველ მოსახლეობას „აქუცმაცებს“ ენობრივი ფაქტორისა და იმ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობის ტრადიციის გათვალისწინებით, რომელიც მას დახვდა დასავლეთ საქართველოში მისი დამკვიდრების დროისათვის. აღწერის მასალებში ქართველების გვერდით ვხვდებით რუსეთის ადმინისტრაციის მიერ ოფიციალურად დამკვიდრებულ ეთნონიმებს:

---

[1] Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Кутаисская губерния, 1905, стр. V.

[2] Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Тифлисская губерния, 1905, стр. VI.

[3] там же.

„იმერელი“, „მეგრელი“, „სვანი“, რომლებსაც რუსი ოფიციოზი უკვე მიჯნავს „ქართველისაგან“.

ეს მოქმედება რუსი ოფიციოზის მხრიდან აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია, რადგან სულ რამდენიმე წლით ადრე ამ საკითხთან დაკავშირებით ფიქსირდება რადიკალურად განსხვავებული მიდგომა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს რუსული ადმინისტრაციის მიერ გამოცემული: «Сборникъ статистических свъдъний о Кавказе», რომლის რედაქტორი ნ. ი. ვორონოვი ქართული ეთნოსის სტატისტიკის გარკვევისას ეთნონიმ „ქართველის“ განსაზღვრის კრიტერიუმს ასე აყალიბებს: „ქართველების რაოდენობაში განისაზღვროს მთელი თბილისის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობა, ქუთაისის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობა, ახალციხის მაზრის მაჰმადიანი მოსახლეობა, რომლებიც ქართულ მოდგმას განეკუთვნებიან, სამეგრელოს მთელი მოსახლეობა, ზაქათალის ოკრუგის ის მოსახლეობა, რომელიც მოიხსენიება „ინგილოებად“[1].

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მითითებები ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ მაშინ, როცა აჭარა და ტაო-კლარჯეთი არ შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ ამ სტატისტიკური კრებულის რედაქტორის მიერ აღიარებული პრინციპით – აჭარისა და ტაო-კლარჯეთის „მაჰმადიანი მოსახელეობა, რომლებიც ქართულ მოდგმას განეკუთვნებიან“, ასევე ქართველების ეთნიკურ ერთობლიობაში უნდა იყოს მოაზრებული. მაგრამ 1897 წლის სტატისტიკა, როგორც ვხედავთ, უკვე რადიკალურად განსხვავდება იმ პრინციპებისგან, რასაც აღიარებდნენ 1869 წლის სტატისტიკური კრებულის შემდგენლები.

აშკარაა, რომ დაუშვეს ქართველების ხელოვნური „გახლეჩა“ კუთხური პარტიკულარიზმის სასარგებლოდ.

რატომ მოხდა ეს?

ამ კონტექსტში გვინდა მკითხველს მივაწოდოთ შემდეგი საყურადღებო ფაქტი: როგორც აღინიშნა, 1888 წლის შემოდგომაზე საქართველოს საკმაოდ ხანგძლივი დროით ეს-

[1] Сборникъ статистических сведеении о Кавказе, т.1. Тифлисъ,1869. стр. 23.

ტუმრა სამეფო ოჯახი – იმპერატორი ალექსანდრე III თავისი ცოლ-შვილით. საქართველოს მოსახლეობასთან უამრავი შეხვედრისას, ქართველ თავადაზნაურებთან, სასულიერო წოდებასთან კონტაქტების დროს იმპერატორს („საქართველოს მეფეს“) ერთხელაც არ უხსენებია სიტყვა „საქართველო“[1], თუმცა მისი მასპინძლები, კეთილშობილი აზნაურები და სამღვდელოება თავის სიტყვებში ხშირად იხსენებდნენ ერთიან საქართველოს თავისი ბრწყინვალე წარსულით და რუსეთის იმპერატორის მიმართ მადლიერების სიტყვებსაც არ იშურებდნენ. რაში იყო საქმე?

როგორც ცნობილია, ალექსანდრე II-ის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ (1881 წ.), რუსეთში გამეფდა რეაქცია – დაიწყო თვითმპყრობელობის მარწუხების გაძლიერება-განმტკიცების პროცესი. რუსეთის მმართველი ელიტა უკვე კარგად ხედავდა, რომ ის ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც რუსეთში იყო და აქამდე მხოლოდ შიშველი სამხედრო ძალის საშუალებით ხერხდებოდა ერთ სახელმწიფოში მართლმადიდებლის, პროტესტანტის, კათოლიკის, იუდეველის, ბუდისტის, ლამაისტის და სხვა აღმსარებლობის მატარებელი სხვადასხვა ერის გაერთიანება, მომავალში აღარ იქნებოდა მონოლითური, თუკი ახალი სახელმწიფო პრინციპების საფუძველზე არ მოხდებოდა მთელი ამ ეთნიკური მრავალფეროვნების „გადახარშვა“ რუსულ იმპერიულ მანქანაში, ანუ უნდა მომხდარიყო პოლიეთნიკური მოსახლეობის სრული ჰომოგენიზაცია (როგორც ეს მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში).

ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო იმპერიის შემადგენელი ერების დაშლა-დაქუცმაცება, ყოველმხრივი დასუსტება, რათა „რუსი დერჟიმორდა“ ადვილად მორეოდა თავის განაპირა კოლონიალურ ქვეყნებს, მათ მოსახლეობას და ადგილებზე ჩამოეყალიბებინა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოსათვის მისაღები ახალი ეთნიკური ერთფეროვნება – „რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი“.

---

[1] В. А. Потто, Путишествие царской симьи на Кавказе, Тифлисъ, 1888, стр.159-186.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში პოლიეთნიკური სუბსტრატისაგან ძლიერი ნაციონალური სახელმწიფოების ფორმირების პროცესები უკვე დიდი ხანია მთელი სისწრაფით მიდიოდა წინ და რუსებიც, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყვნენ, რომ ხელოვნურად შეკოწიწებული იმპერიისაგან მიეღოთ ძლიერი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“.

სწორედ ამიტომ საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის ოფიციალურმა სტატისტიკურმა სამსახურებმა (რა თქმა უნდა, საიმპერატორო სახლის იდეოლოგების მითითებების საფუძველზე) სწრაფად დაივიწყეს აბსოლუტურად სწორი დემოგრაფიული პრინციპები და XIX საუკუნის დასასრულს მოსახლეობის აღწერის ბიულეტენში უკვე გაჩნდნენ: „ქართველები“, „იმერლები“, „სვანები“, „მეგრელები“.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ქუთაისის გუბერნიაში უკვე ვხვდებით ამ ეთნოსების კონკრეტულ სტატისტიკას. მაგალითად, 1897 წელს ქუთაისის მაზრაში ცხოვრობდა 148 000 იმერელი, 60 278 ქართველი, 1738 მეგრელი, 45 სვანი; ასევეა „დაშლილი“ ქართული ეთნოსი სხვა მაზრებსა და ქალაქებშიც. მაგალითად, ბათუმის ოკრუგის 88 444 კაციან მოსახლეობაში ქართველია – 56 498, თურქი – 3 199, იმერელი – 341, მეგრელი – 635, სვანი – 14, ბერძენი – 4650, სომეხი – 7 120 და ა.შ.[1]

მიგვაჩნია, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს (შეიძლება ამ გარემოებამ ბევრად განსაზღვრა მათი მომავალი საბჭოთა ხელისუფლების წლებში), რომ ბათუმის ოკრუგში მაჰმადიანი ქართველების ნაწილი დაფიქსირდა ეთნონიმით „ქართველები“, რაც არ გვხვდება ახალციხისა და ახალქალაქის სტატისტიკური მასალის დამუშავების დროს. აშკარაა, რომ აჭარაში ქართული ეროვნული ცნობიერება უფრო მაღალ საფეხურზე იყო შემორჩენილი, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში და ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის პასუხი კითხვებზე – „რა ეროვნების ხარ?“, ან „თქვენი მშობლიური

[1] Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Кутаисская губерния, 1905, стр. 3.

ენა?“ იყო ადექვატური იმისა, რასაც შინაგანად გრძნობდნენ და განიცდიდნენ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თბილისის დემოგრაფიული განვითარება, რასაც გარკვეული თავისებურება ახასიათებდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრა კიდეც XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების განსაკუთრებულობა. საქმე იმაშია, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართველები თავის ისტორიულ დედაქალაქში აბსოლუტურ და შეფარდებით უმცირესობაში არიან, მათ მკვეთრად ჭარბობენ სომხები და რუსი ეროვნების მცხოვრებლები.

ეს იყო ლოგიკური შედეგი რუსეთის იმპერიის დივერსიული დემოგრაფიული პოლიტიკისა, რასაც კოლონიალური რეჟიმი სამხრეთ კავკასიის დაპყრობისთანავე ახორციელებდა. ასეთმა პოლიტიკამ უკვე XX საუკუნის დასაწყისში ქალაქში საგანგაშო ვითარება შექმნა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში სულ რაღაც 3 კომლი რუსული ოჯახი ბინადრობდა (რუსი ჩინოსნებისა და სამხედრო შენაერთების გარეშე). კავკასიის სამეფისნაცვლოს სატახტო ქალაქად თბილისის გამოცხადებამ მისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა განსაკუთრებით გამორჩეული გახადა და ქალაქის მომავალი განვითარების პერსპექტივები (მათ შორის დემოგრაფიულიც) მთლიანად იმპერიის ინტერესებს დაუქვემდებარა. დაიწყო რუსი მოხელეების, სამხედროების, სომეხი და არასომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენლების თბილისში ტოტალური თავმოყრა, რამაც თბილისს დაუკარგა ქართული ეროვნული კოლორიტი და რუსეთის იმპერიის ტიპიურ ადმინისტრაციულ ცენტრად გადააქცია.

1897 წლის აღწერით თბილისში სულ ცხოვრობდა 159 590 კაცი, აქედან ქართველი იყო მხოლოდ 42 200, სომეხი – 47 133 კაცი, რუსი – 44 823 კაცი. მათ გარდა თბილისში ბინადრობდა 5557 თათარი, 4133 პოლონელი, 2935

ებრაელი, 2902 გერმანელი, 2 681 უკრაინლი, 1485 სპარსელი და ა.შ.[1]

თბილისის ეს პოლიეთნიკური (ამასთანავე პოლიკონფესიურიც) შემადგენლობა, ქართველების აშკარად დამცრობილი მდგომარეობა, როგორც რაოდენობრივი, ისე მატერიალური თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ზეგავლნას ახდენდა თბილისური საზოგადოების სულისკვეთებაზე და ის ზედმეტად იყო კეთილგანწყობილი რუსულ იმპერიული ამბიციების მიმართ (ეს განსაკუთრებით საცნაური ხდებოდა ხოლმე მნიშვნელოვანი იმპერიული დღესასწაულების, ისტორიული მოვლენების, სამხედრო გამარჯვებებისა თუ უშუალოდ რუსეთის იმპერატორების თბილისში სტუმრობის დროს).

თბილისის ეს დემოგრაფიული თავისებურებები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ქართულ საზოგადოებრიობაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პროცესების გააზრებისას, რადგან ის ძირითადი თავისებურება, რომ ქართული საზოგადოებრიობა XX საუკუნის დასაყისში ვერ აკონტრლებდა თავისი ისტორიული დედაქალაქის პოლიტიკას, თავისებურ ზეგავლენას მოახდენს მომავალში ძალიან ბევრ ისტორიულ პროცესსა თუ მოვლენაზე.

§2. ქართული საზოგადოებრიობის სოციალური სტრუქტურა

XX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებრიობა დიფერენცირებულია და ეს დიფერენციაცია აშკარად თვალშისაცემია. რუსეთის იმპერია – სამხედრო-ბიუროკრატიული შეუზღუდავი მონარქია იყო და ამიტომაც მკვეთრად გამოხატული კლასობრივი განსხვავებები ამ ქვეყნის დამახასიათებელი თავისებურება იყო. 1897 წლის აღწერით თბი-

[1] შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ, თბ., 1979, გვ. 42.

ლისის გუბერნიის მოსახლეობა სოციალური მდგომარეობით მეტად მრავალფეროვანი ჩანს: შთამომავლობით აზნაურები იყვნენ 29 347 კაცი (2,8%) პირადი აზნაურები – 15 042 კაცი (1,4%), სასულიერო წოდება – 10 863 კაცი (1%), საპატიო მოქალაქე – 5 274 კაცი (0,5%), ვაჭრები – 3 947 კაცი (0,4%), მეშჩანები – 102 421 კაცი (9,7%), გლეხები და კაზაკები – 865 887 კაცი (82,4%), უცხოელები – 15 427 კაცი (1,5%), სხვები – 2 824 კაცი (0,3%)[1].

იგივე მონაცემები ქუთაისის გუბერნიაში ასეთია: შთამომავლობითი და პირადი აზნაურები იყვნენ 13 937 კაცი (6,86%), სასულიერო წოდება – 23 270 კაცი (2,22%), საპატიო მოქალაქე – 1 950 კაცი (0,18%), ვაჭრები – 2 457 კაცი (0,23%), მეშჩანები – 34 650 კაცი (3,27 %), გლეხები და კაზაკები – 897 557 კაცი (84,8%), უცხოელები – 22 809 კაცი (1,5%) და სხვ.[2]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს მოსახლეობა სოციალური (ანუ ქონებრივი) და უფლებრივი თვალსაზრისით ზედმეტად დიფერენცირებულია. საკმაოდ დიდია მოსახლეობის საერთო სტრუქტურაში თავად-აზნაურთა წარმომადგენლობა. ეს პრივილეგირებული კლასია რუსეთის სახელმწიფოში და XIX საუკუნის დასასრულისათვის ყველაზე უფრო ლოიალურად არის განწყობილი კოლონიალური რეჟიმის მიმართ. როგორც ჩანს, საუკუნის დასასრულს საქართველოში ფეოდალური არისტოკრატია აერთიანებდა 58 326 კაცს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 3 პროცენტია.

აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ძირითადად ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმოადგენდა, თავადაზნაურობა უმეტესწილად ქართველი იყო. საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩამოსახ-

---

[1] Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Тифлисская губерния, 1905, стр.XI.

[2] Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Кутаисская губерния, 1905, стр. IX.

ლდნენ რუსი, გერმანელი, ფრანგი არისტოკრატებიც (მაგალითად, ბარონი კუჩენბახი ქვემო ქართლში, პრინცი ოლდენბურგელი გაგრაში, პრინცი მიურატი სამეგრელოში და ა.შ.), მაგრამ მათი რაოდენობა უმნიშვნელო იყო.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველ თავად-აზნაურობაში ძირითადად უკვე გაიმარჯვა რუსეთის ხელისუფლების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ტენდენციამ. ისინი იკავებდნენ მაღალ ადმინისტრაციულ (მაგალითად, სახელოვანი მგოსანი თავადი გრიგოლ ორბელიანი გარკვეულ პერიოდში მეფისნაცვლის ფუნქციასაც კი ასრულებდა) და სამხედრო თანამდებობებს, იყო დანათესავების მრავალი ფაქტი ქართველ, რუს და უცხოელ თავადაზნაურთა გვარებში და ა.შ. ქართველი თავადაზნაურობა სამართლებრივი უფლებებით მთლიანად იყო გათანაბრებული რუს არისტოკრატიასთან. ქართველები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რუსეთის ცენტრალურ ადმინისტრაციულ თუ სამხედრო სტრუქტურებში (მაგალითად, გავიხსენოთ გენერალი პეტრე ბაგრატიონი, გენერალი პავლე ციციანოვი, ძმები ლაშქარიოვები, სამეფო ოჯახთან დაახლოებული თავადი მიხეილ მიხეილის ძე ანდრონიკაშვილი და მრავალი სხვა.)

სოციალური ყოფის თვალსაზრისით შედარებით რთული ვითარება იყო „პირადი აზნაურობის“ კატეგორიაში. მათი დიდი უმრავლესობა იყო ე.წ. „შემოდგომის აზნაური“, რომელთა სოციალური მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა ქართველი გლეხის მდგომარეობისაგან. მათი მთავარი სლოგანი, თუკი დავით კლდიაშვილს დავუჯერებთ, „გაჭირვება“ და „გასაჭირი“ იყო. ამ სოციალურ კატეგორიას მთავრობის მიმართ უკმაყოფილების დიდი პოტენციალი გააჩნდა და სწორედ ამ კატეგორიაში აღმოცენდა საქართველოში რადიკალური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების ახალი პლეადა.

მოსახლეობის აღწერის ოფიციალური სტატისტიკური კრებულიდან ჩანს, რომ საქართველოში სასულიერო წოდება საკმაოდ ბევრია. სასულიერო წოდება საქართველოში მთლიანად ლოიალური იყო რუსეთის სამეფო ხელისუფლების მიმართ. სამღვდელოება ხელფასს იღებდა ხაზინიდან,

მთლიანად ექვემდებარებოდა რუსეთის ეგზარქოსსა და წმინდა სინოდს. ყველა ის ნაკლი და კანონიკური გადაცდომა, რაც რუსეთის ეკლესიამ პეტრე I-ის რეფორმების შემდეგ შეიძინა, ძალადობით გავრცელდა საქართველოს ეკლესიაზეც, რომელმაც ავტოკეფალიასთან ერთად დაკარგა ქართული ეკლესიის ტრადიციული წეს-განრიგიც. რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობამ კი მართლმადიდებელ ეკლესიას ავტორიტეტი შეულახა მშრომელი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, რამაც საქართველოში ათეისტური მოძრაობისათვის ნაყოფიერი საფუძველი შეამზადა.

უფრო რთულად იყო საქმე არამართლმადიდებელ კონფესიებში, რომელთაც ცენტრები სხვა სახელმწიფოებში ჰქონდათ (კათოლიკეებს, სომეხ-გრიგორიანელებს, მუსლიმებს). მათი სასულიერო წოდება მთლიანად ემორჩილებოდა საზღვარგარეთული ცენტრების ხელმძღვანელობას და ატარებდა იმ პოლიტიკას, რასაც ავალებდნენ მათი ზემდგომი სასულიერო ორგანიზაციები.

ძნელი გასარკვევია და ჭირს იმის დადგენა, თუ რა რაოდენობის ქართველი იყო სოციალურ კატეგორიებში – „საპატიო მოქალაქე“ და „ვაჭრები“. როგორც ყველგან, საქართველოშიც ეს იყო ფაქტობრივად ყველაზე აქტიური ელემენტი – ბურჟუაზია (13 628 კაცი), რომელიც ავითარებდა ეკონომიკასა და ბიზნესს და ქვეყნისათვის ხვავი და ბარაქა მოჰქონდა. თვალში საცემია, რომ ეს კატეგორია გაცილებით მრავალრიცხოვანია აღმოსავლეთ საქართველოში, ვიდრე დასავლეთში.

სამწუხაროდ, მათ შორის ქართველთა რაოდენობა მეტად მწირია – დავით სარაჯიშვილი და აკაკი ხოშტარია, მიუხედავად მათი მაღალი ეკონომიკური შესაძლებლობებისა, არ განსაზღვრავდნენ საქართველოში ბიზნესის ეროვნულ ხასიათს. აღმოსავლეთ საქართველოს ბიზნესმენების დიდი უმრავლესობა არაქართველი იყო.

დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენდა „მეშჩანების“ კატეგორია, რომელიც საქართველოს ისტორიული წარსულისათვის დამახასიათებელი არ იყო, მაგრამ რუსეთის იმპერიაში ეკატერინე II შემდეგ დამკვიდრდა ოფიციალურ სო-

ციალურ სტატისტიკაში. ამ ტერმინით მოიაზრებდნენ ქალაქის წვრილ მესაკუთრეებს, საშუალო შემლების ხალხს. საქართველოში „მეშჩანი“ იყო 137 071 კაცი.

საქართველოში ძირითადი მწარმოებელი მოსახლეობა იყო გლეხობა, რომელიც მოსახლეობის საერთო შემადგენლობაში 80% აჭარბებდა. შეიძლება ეს ციფრი საეჭვო ჩანდეს, რადგან საგლეხო რეფორმის შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწრაფმა პროცესებმა გლეხობის კატეგორიაში დიდი ცვლილებები შეიტანა – დაიწყო გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის დაჩქარება, გლეხების ნაწილი გადაიქცა მუშად – გახდა პროლეტარი. მაგრამ რუსეთის ოფიციალური სტატისტიკა სოციალურ კატეგორიას – „მუშა“ არ იცნობს. ამ მეტად მზარდი და აქტიური კლასის იგნორირება შემდგომში ძვირად დაუჯდება რომანოვების რეჟიმს. გლეხთა დიფერენციაციის პროცესის დაჩქარებამ XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში აშკარად გამოკვეთა და სერიოზული პოლიტიკური შინაარსი შესძინა სწორედ ამ კლასს, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის მესაფლავედ გადაიქცა.

ასეთი იყო ქართული საზოგადოებრიობის სოციალური მდგომარეობა და ეს აპირობებდა იმ ფუნქციის შესრულებას, რასაც კონკრეტული სოციალური ინდივიდუმი ახორციელებდა თავისი შემოქმედებითი საქმიანობისა თუ ყოფითი ურთიერთობების პირობებში.

§3. ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და მისი შედეგები

შედარებით ხანგრძლივმა მშვიდობამ, საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულმა მატებამ, გამოიწვია ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება და მისი ზეაღმავალი განვითარება. ამას მოითხოვდა საქართველოს ახალი პოლიტიკური სტატუსიც – ის კოლონიალური, დაპყრობილი ქვე-

ყანა იყო და მეტროპოლია მასში მუდამ ეძებდა ახალ ეკონომიკურ რესურსებს, შესაძლებლოებებს, სიმდიდრის გამრავლებისა და დაგროვების ახალ წყაროებს.

თუ XIX საუკუნის შუა ხანებში საქართველოში ძირითადად გაბატონებული იყო ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა, წარმოების ფეოდალური წესი, მიწაზე ფეოდალური საკუთრება, უკვე 1861 წელს ბატონყმობის გაუქმებამ, რადიკალურმა ეკონომიკურმა და სოციალურმა რეფორმებმა, გლეხობის ამოძრავებამ, სერიოზული ბიძგი მისცა საქართველოში კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, რამაც მნიშვნელოვანწილად ქართული საზოგადოებრიობაც ჩაითრია[1].

ეკონომიკური გამოცოცხლება გამოიწვია იმანაც, რომ საქართველოს განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მდებარეობა მას, რუსეთის იმპერიის სხვა კოლონიებს შორის, გამოარჩევდა სატრანზიტო შესაძლებლობებით და ქვეყნის ეს გამორჩეული თავისებურება შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთის ეკონომიკურ ელიტას.

ხაზგასასმელია ისიც, რომ საქართველოს ეს გამორჩეული თავისებურება, ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად მომგებიანი, დროულად შეამჩნია და კომერციულად ჩინებულად გამოიყენა დასავლეთის კაპიტალისტურმა სამყარომაც, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე მზარდ ინტერესს ავლენდა საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების მიმართ, რამაც XX საუკუნის დასაწყისში უკვე თავისი განვითარების პიკს მიაღწია.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი სისტემატურად იზრდებოდა: რუსეთის სამხედრო ექსპანსიამ სამხრეთ კავკასიაში განაპირობა სატრანსპორტო კომუნიკაციების მოწესრიგების, მაგისტრალური გზების გაყვანის, სატრანზიტო კორიდორების მოწყობის, შავი ზღვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში ნავსადგურებისა და გადასატვირთი პუნქტების აშენების აუცილებლობა.

---

[1] საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე ავტორის მოსაზრებები უფრო ვრცლად იხ.: ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, საქმიანი საქართველო 1801-1921. თბ., 2022.

1871 წელს გაიხსნა სარკინიგზო მიმოსვლა ფოთსა და ყვირილას შორის. მომდევნო წელს ფოთი დაუკავშირდა თბილისს, გაიჭრა წიფის გვირაბი. 1877 წელს ქუთაისი რკინიგზით დაუკავშირდა სრულიად საქართველოს; 1883 წელს დასრულდა სამტრედია-ბათუმის და თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. სარკინიგზო ბუმმა მოითხოვა ადგილზე სარემონტო-საექსპლოატაციო საწარმოების მშენებლობა, საამისოდ კვალიფიციური კადრების მომზადება, დამხმარე მუშებახელის მოზიდვა, სპეციალური საინჟინრო და სამშენებლო ინფრასტრუქტურების ჩამოყალიბება და ა.შ.

1883 წელს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიაში რკინიგზის უმსხვილესი სახელოსნოები, რომელსაც საბჭოთა ისტორიკოსები „ამიერკავკასიის პროლეტარიატის აკვანს“ უწოდებდნენ. თავდაპირველად ის მხოლოდ სარკინიგზო საქმის რამდენიმე სპეციალისტს აერთიანებდა. XX საუკუნის დასაწყისში საწარმო, რომელიც რუსეთის ხაზინის კუთვნიელება იყო, ტიპიურ კაპიტალისტურ სარემონტო-საწარმოო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, რომელიც უდიდესი იყო მთელ ამიერკავკასიაში – მასში უკვე ათასობით მუშა მუშაობდა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საზღვაო პორტების მშენებლობის საკითხი. სახაზინო უწყების ხელშეწყობით დაიწყო ბათუმისა და ფოთის პორტების მშენებლობა. მათ განესაზღვრათ სავაჭრო პროფილი: ბათუმი გადაიქცა ბაქოს ნავთობის გადაზიდვის მთავარ ფორპოსტად, ხოლო ფოთის პორტის საშუალებით საზღვარგარეთიდან საქონელი უწყვეტად შემოდიოდა ამიერკავკასიაში. ორივე პორტის ნორმალური ფუნქციონირება მოითხოვდა საკმაოდ დახვეწილ საპორტო ინფრასტრუქტურას, საინჟინრო კადრებს, მუშა-დოკერების მრავალრიცხოვან რაზმებს. საქართველოში დოკერები ძირითადად გუშინდელი გურული გლეხები იყვნენ, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების კანონებმა სოფლიდან ქალაქში გამორეკა საშოვარზე.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ახალი ფორმები გავრცელდა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, სატრანსპორტო სფეროში. გაბატონდა კაპიტალისტური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, რომელმაც ნელ-ნელა, მაგრამ საკმაოდ ენერგიულად, სადაც კი შეაღწია, მნიშვნელოვნად შეარყია ფეოდალური ეკონომიკის საფუძვლები.

საქართველო XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზეც უპირატესად გლეხური ქვეყანა იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძირითადი საწარმოო საშუალება იყო მიწა, ხოლო მოგება მიწის რენტით ხდებოდა. კაპიტალიზაციის პროცესი საქართველოს სოფელში წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა – ტრადიციული ფეოდალური ურთიერთობიდან ახალ, კაპიტალისტურ სამეურნეო წესზე გადასვლა მიწის ყველა მესაკუთრემ ვერ შეძლო. ქართველი თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობა თაკილობდა თავის მამულში კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი საწარმოო ურთიერთობების დანერგვას, არ ავლენდა დაინტერესებას წარმოების პროცესების ოპტიმიზაციის საქმეში. ზოგიერთი ამას ვერც ახერხებდა გამოუცდელობისა და სიახლის მიმართ გარკვეული სიფრთხილის გამო, ზოგს კი ამის მატერიალური შესაძლებლობა საერთოდ არ ჰქონდა. ამიტომაც ბევრმა მათგანმა საკუთარ მამულებში თანამედროვე და პროგრესული აგროწესების დანერგვის ნაცვლად ამჯობინა მიწის გაყიდვა, ამონაგები ბანკებში დააბანდა და „კუპონების კრეჭით“ დაიწყო ცხოვრება.

ამ პროცესმა საქართველოში მიწის ბაზარი აამოძრავა. ბევრი მიწა გადავიდა არაქართველი მეპატრონის ხელში (საკმარისია დავასახელოთ, ანანოვის მამული ვარციხეში, ბარონ კუჩენბახის მამული ქვემო ქართლში, პრინცი ოლდენბურგელის გაგრის მამული, გრაფი შერემეტიევის მამული კარდენახში, სამეფო გვარის – რომანოვების მამულების მთელი კასკადი აღმოსავლეთ საქართველოში და უამრავი სხვა).

თუმცა იყვნენ ისეთი ქართველი თავადებიც, რომლებმაც ალღო აუღეს ეკონომიკის კაპიტალისტურ წესს და აგ-

რო-ბიზნესის პროგრესული მეთოდების დანერგვით საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო თავადი დ. ჭავჭავაძე, რომელიც წინანდალში, მუკუზანში, ნაფარეულში, ურიათუბანში და კახეთის სხვა სოფლებში 15 ათას დესეტინა მიწას ფლობდა. თავისი მიწების დიდ ნაწილს იგი იჯარით გასცემდა, თვითონ კი საკუთრებაში ჰქონდა 300 ჰექტარი ჩინებულად მოვლილი ვენახი, რომელსაც ამუშავებდა უკვე დაქირავებული მუშებისა და ჯერ კიდევ ფეოდალურ ვალდებულებაში მყოფი გლეხების საშუალებით. მის მეურნეობაში ითვლებოდა 11 მარანი 15 საწნახელითა და 371 ქვევრით. წლიურად ამზადებდნენ 20-30 ათას ვედრო ღვინოს"

ბრწყინვალე თავადი ივანე მუხრან-ბატონი თბილისის გუბერნიაში 25 794 დესეტინა მიწას ფლობდა. იგი მისდევდა მესაქონლეობასაც, ჰყავდა 147 ძროხა, 7 500 ცხვარი, 300 ღორი, 68 ხარ-კამეჩი და 61 ცხენი. ივანე მუხრან-ბატონმა საფრანგეთიდან ჩამოიყვანა პროფესიონალი მეღვინე, სოფელ მუხრანში ააგო 100 ათასი ვედრო ტევადობის ღვინის სარდაფი და ღვინის დაყენების ევროპულ წესზე გადავიდა. მისი ღვინის ხარისხი საუკეთესო იყო რუსეთის იმპერიაში – 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე მუხრანულმა ღვინომ დაიმსახურა ოქროს მედალი[1].

რეფორმის შემდგომ ხანაში პროგრესი აშკარად შეიმჩნევა საქართველოსთვის ტრადიციული დარგის – მეღვინეობის განვითარების საქმეში. ეს დარგი მთელი XIX საუკუნის მანძილზე აღმავლობას განიცდის, იზრდება ღვინის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებელი და მისი ხარისხიც.

ქართულ ღვინოებზე მოთხოვნილების მკვეთრმა ზრდამ მისი წარმოების მასშტაბების გადიდება გამოიწვია: 1875 წელს საქართველოში დამზადდა 6 406 000 ვედრო ღვინო, ხოლო 1896 წელს – უკვე 9 546 000 ვედრო. ფაქტობრივად, სულ რაღაც ოც წელიწადში წარმოება თითქმის 30 პროცენ-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970, გვ. 363.

ტით გაიზარდა[1]. საქართველოს გარდა ქართული ღვინო იყიდებოდა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ოდესასა და კიევში, ასევე იმპერიის სხვა მსხვილ ქალაქებში.

მეღვინეობის შემდეგ საქართველოს სოფელში ინტენსიურად ვითარდებოდა მეურნეობის ის დარგები, რომელთა პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იყო რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. დასავლეთ საქართველო გადაიქცა სიმინდის დამზადებისა და გატანის მნიშვნელოვან ცენტრად: ყოველწლიურად საქართველოდან დასავლეთ ევროპაში 5-6 მილიონი ფუთი სიმინდი გადიოდა. როგორც ამტკიცებენ, მესიმინდეობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. საყურადღებოა ისიც, რომ გარკვეულ წლებში საქართველო ევროპას ფრინველითა კვერცხითაც კი ამარაგებდა.

ქართული სოფელი მრავალდარგოვანი იყო: სერიოზული წინსვლა აღინიშნებოდა მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეაბრეშუმეობის დარგში. აფხაზეთი გადაიქცა თამბაქოს ნედლეულის – საუკეთესო ხარისხის თამბაქოს დამზადების ცენტრად. ამ საქმიანობაში ჩაება ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

კაპიტალიზმის მკაცრი და ულმობელი კანონები სრულიად საქართველოს სულ უფრო და უფრო ღრმად ითრევდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ერთიან სისტემაში; ეკონომიკურ ფერხულში ჩაებნენ ქვეყნის განაპირა, ცენტრიდან დაშორებული კუთხეებიც და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის კანონები დამკვიდრდა ყველგან: აფხაზეთში, ხევსურეთში, რაჭაში, ფშავში. სამართლიანად არის შენიშნული, რომ „გაიხსნა მოძრაობა თბილისზე გავლით ბათუმიდან ბაქომდე, რამაც უდავოდ გააადვილა და ხელი შეუწყო მოსახლეობის მოძრაობის გაძლიერებას, მის ტერიტორიულ ადგილმონაცვლეობას. ყოველივე ამან სერიოზული როლი შეასრულა და არსებითად განაპირობა მხარის მივარდნილი რაიონებიდან და მიყრუებული კუთხეებიდან

[1] გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917, თბ., 1976, გვ. 277.

სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მოზღვავების მძლავრი პროცესი“[1].

ერთიან ეკონომიკურ სივრცეს შეუერთდა ადრე შედარებით იზოლირებული სვანეთიც. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „XIX საუკუნის სვანეთიდან შეძლებული მოსახლეობის მამაკაცთა დიდი ნაწილი სამუშაოდ მიდიოდა საქართველოს ყველა კუთხეში“. როგორც დასტურდება, სვანი მამაკაცები ძირითადად მიწასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს ასრულებდნენ: ბარავდნენ ბაღ-ვენახებს, ჭრიდნენ თხრილებს, სარწყავ არხებს, გაჰყავდათ გზები, რწყავდნენ ყანებს, იღებდნენ მოსავალს, თიბავდნენ ბალახს, ჩეხდნენ ხე-ტყეს, ამზადებდნენ შეშას და ა.შ.

„საშოვარზე სიარული“ პირველადი კაპიტალისტური დაგროვების პერიოდის საქართველოს მახასიათებელი იყო. ის შესამჩნევია საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიან რეგიონისათვის, გურიისათვის, იმერეთისათვის. საწარმოო ძალების გააქტიურება, რეგიონებიდან სამუშაო ძალის მიგრაცია, საკუთარი ეკონომიკური ყოფის გაჯანსაღების მიზნით ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეზე გადასვლის აუცილებლობა – კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონია და ის საქართველოშიც სათანადოდ მუშაობდა.

ეს პროცესები განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როცა ამოქმედდა მსოფლიოში უნიკალური ჭიათურის მარგანეცის საბადო, რომელმაც ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან ამ ნედლეულით დაინტერესებული ბევრი ბიზნესმენი მოიზიდა. როგორც ამტკიცებენ, 1900 წლისათვის ჭიათურაში უკვე მოქმედებდა მეტ-ნაკლები სიდიდის 377 სამთო საწარმო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გერმანელები, რომლებმაც საკმაოდ დიდი გაერთიანება – „გეზელკირხენის სააქციო საზოგადოება“ ჩამოაყალიბეს, რომელიც მრავალმილიონიან კაპიტალს ფლობდა და სისტემატურად ზრდიდა თავის ინვესტიციებს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჭიათუ-

[1] ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 54.

რის სამრეწველო ექსპლოატაციის საქმეში ქართველი ბიზნესმენების ხვედრითი წილიც საკმაოდ დიდი იყო. იმასაც ამტკიცებენ, რომ XIX საუკუნის დასასრულს ჭიათურის წილად მოდიოდა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვების 36,16% და მისი მსოფლიო ექსპორტის 43%.[1]

ჭიათურაში დაქირავებულ მუშებს შორის შეხვდებოდით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებს, რომლებსაც გაჭირვება მიერეკებოდა ახალ საცხოვრებელ ადგილზე. ხდებოდა ერთიანი ეროვნული სამუშაო ბაზრის ფორმირება, საწარმოო კადრების ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა რეგიონებს შორის, რაც არღვევდა ფეოდალურ კარჩაკეტილობას.

საქართველოში საწარმოო ძალების შიდა მიგრაციის პროცესი მნიშვნელოვნად გააძლიერა ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაციის დაწყებამაც. იმერეთის ყოფილი სოფელი ქვანახშირის წარმოების ცენტრი გახდა, რომლის საწარმოო შედეგები ყოველწლიურად იზრდებოდა. ისტორიკოსები იმასაც ამტკიცებენ, რომ აღნიშნულ პერიოდში „ტყიბულში სამრეწველო გადატრიალება ინტენსიურად მიმდინარეობს და ძირითადად დასრულებულ სახეს იღებს“.[2] ეს ეკონომიკური შედეგები მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ამრიგად, საქართველოს სამრეწველო განვითარებამ და ფაბრიკა-ქარხნებისთვის მუშახელით უზრუნველყოფამ ერთიანი ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირებასთან ერთად, გამოიწვია საწარმოო ძალების ინტენსიური მოძრაობა, რეგიონალური გაცვლა-გამოცვლა, რაც ანგრევდა ფეოდალურ კარჩაკეტილობას და ეროვნული კონსოლიდაციისათვის ნაყოფიერ ეკონომიკურ პირობებს ქმნიდა, რაც ახალ თვისებებს სძენდა მთლიანად ქართულ საზოგადოებრიობასაც.

XX საუკუნის დასაწყისში უკვე სახეზეა მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქებში, ურბანული განვითარების კანონები დღის წესიგში აყენებს ადგილობრივი საბაზრო ურთი-

---

[1] გ. მარგიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[2] იქვე, გვ. 393.

ერთობების განმტკიცება-განვითარების აუცილებლობას. ტრადიციულ სასოფლო-საქალაქო ბაზრების გვერდით იქმნება საყოველთაო – **ერთიანი ეროვნული ბაზარი**. ის თანდათან აკავშირებს ერთმანეთისაგან ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულ რეგიონებსა და ოლქებს. ყალიბდება რეგიონების ეკონომიკური სპეციალიზაცია, როცა ერთი ოლქი განსაკუთრებით გამოირჩევა კონკრეტული დარგის მაღალი მწარმოებლურობით, წარმოებული პროდუქციის ხარისხით, მაღალი სასაქონლო შესაძლებლობებით.

ერთმანეთისაგან დაშორებული რეგიონების მწარმოებელი მოსახლეობა ერთმანეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს სწორედ ამ საერთო ეროვნული ბაზრით– ყალიბდება სრულიად საქართველოს ეკონომიკური ერთიანობა ანუ სრულიად საქართველოს ბაზარი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არარსებობის პირობებშიც კი, გარკვეულწილად, აუცილებელი კაპიტალისტური ღვედებით აკავშირებდა გურიასა და აფხაზეთს, ქართლსა და სამეგრელოს, სვანეთსა და კახეთს.

ახალი, ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე იქმნება ერის ხელახალი კონსოლიდაციისათვის საჭირო მატერიალური პირობები, სუსტდება ადგილობრივი კუთხური განკერძოებულობა და წარმოიშობა ერის ერთიანობისა და კონსოლიდაციის ეკონომიკური საფუძვლები (ე.წ. „ეკონომიკური ღვედები“), რაც დადებითად აისახება ქართული საზოგადოებრიობის ცხოვრებაზე.

აი, რას აღნიშნავენ ამის შესახებ ქართველი ეკონომისტები: „სოფელი უფრო და უფრო უკავშირდება ბაზარს; მიწათმოქმედებაში საქონლური წარმოების შეჭრის შესაბამისად ვითარდება თვით ბაზარი, რითიც უკვე მზადდება ნიადაგი ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის აფეთქებისათვის, კარჩაკეტილობის კედლების გარღვევისათვის, რაც თავის მხრივ სავსებით დამოკიდებული იყო ვაჭრობის და მრეწველობის შემდგომ განვითარებაზე“[1].

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა. 1921-1967, თბ., 1967, გვ. 36.

ისტორიკოსები კი ხაზგასმით აღნიშნავენ: „სოფლის პრიმიტიული ბაზრობა კარგავს მნიშვნელობას. მის ადგილს კაპიტალისტურად გამართული მუდმივი ვაჭრობა იჭერს. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველოს ყველა ქალაქში, ცოტად თუ ბევრად მსხვილ დაბა-სოფლებში, მრავლად იყო საფეიქრო და საერთოდ სამრეწველო და სასურსათო ნაწარმის მაღაზია-დუქნები, რომლებიც მუდმივ ვაჭრობას აწარმოებდნენ“.

სამართლიანია შემდეგი შეფასებაც: „რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოში, განსაკუთრებით რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ, შესამჩნევია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ვაჭრობის განვითარების გამო, მრეწველობაში, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების შედეგად, საქართველოს ცალკეული ოლქების კარჩაკეტილობის თანდათანობითი ლიკვიდაცია, რის შედეგადაც მოხდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება...“[1].

ამრიგად, საქართველოს ცალკეულ ოლქებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივმა სპეციალიზაციამ, სამრეწველო ძალების თავისუფალი გადაადგილების პირობებმა, სისტემატურმა ეკონომიკურმა აღმავლობამ, მუდმივი გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ შექმნა საფუძველი ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის, რაც ერის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი მატერიალური პირობა გახდა.

ამ სტიქიურ კაპიტალისტურ პროცესებს შეეძლოთ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინათ ერის კონსოლიდაციის ეკონომიკური საფუძვლები და უკვე ამ ეტაპზე მთლიანად დასრულებულიყო ქართველი ერის კონსოლიდაცია, რომ საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა ყოფილიყო და თვითონ შეძლებოდა ემართა ეს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროცესები.

---

[1] И. Г. Антелава, Э.А. Орджоникидзе. Э.В. Хоштария,К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, стр. 3.

მაგრამ რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეულ საქართველოს არ შეეძლო სრულად გამოეყენებინა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ის შესაძლებლობები, რამაც უზრუნველყო დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესების განსაკუთრებული წარმატება. რატომ?

1. საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპის ლიბერალური ფასეულობების (სიტყვის, პრესის, კავშირების, სინდისის თავისუფლების, შრომისადმი დამოკიდებულების ევროპული პრინციპების, პრაგმატიზმის და ა.შ.) სრული იგნორირების პირობებში. ლიბერალური ფასეულობები კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების დროს ადუღაბებს და წინა პლანზე სწევს ყველა ერში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს. ასე მოხდა საფრანგეთში, ასე მოხდა ინგლისში, ასე მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რუსეთის იმპერია, როგორც ლიბერალური ფასეულობების შეურიგებელი მტერი, არ დაუშვებდა საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად იმპერიაში, ლიბერალური იდეოლოგიის დამკვიდრების შესაძლებლობას. ამიტომაც კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების სოციალური შედეგები ლიბერალური ფასეულობების გარეშე, გარკვეულწილად, აფერხებდა პროგრესული ეკონომიკის სოციალურ შედეგებს, მათ შორის – ქართული საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის პროცესს.

2. საქართველო კოლონიალური ქვეყანა იყო და ის თვითონ არ განსაზღვრავდა თავისი ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებს, ეტაპებს, მასშტაბებსა თუ შედეგებს. რუსეთის იმპერიული მანქანა სრულად აკონტროლებდა მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების მაგისტრალურ ხაზს და საამისოდ მის ხელთ არსებულ ყველა ეკონომიკური ბერკეტს იყენებდა.

3. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის საქართველო ჯერ კიდევ კაპიტალიზაციის პროცესის საწყის ეტაპზე იმყოფებოდა, კაპიტალიზმის გაღრმავების, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან კაპიტალისტური ურ-

თიერთობების შესისხლხორცების პროცესი თავის სიმწიფის ხანაში არ იყო შესული; კერძოდ, კაპიტალიზმი ჯერ მხოლოდ პირველადი დაგროვების პროცესს გადიოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად რუსეთის იმპერიაში, ამიტომაც კაპიტალიზაციის დადებითი შედეგების სოციალური ასპექტები ძალიან ძნელად შესამჩნევი იყო, რაც საქართველოში კაპიტალიზმის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამძაფრებდა.

4. საქართველოში კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება და განვითარება ხდებოდა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში რუსეთის იმპერიული მანქანის ანტიქართული დეზინტეგრაციული პროცესების ფონზე, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სოციალურ შედეგებს. სამწუხაროდ, პატარა საქართველო უზარმაზარი კოლონიალური იმპერიის ერთი რეგიონი იყო მხოლოდ და მის ეკონომიკას, ისევე როგორც მისი ცხოვრების სხვა სფეროებსაც, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მეტროპოლია, რომელიც ყველანაირად ცდილობდა მინიმუმამდე დაეყვანა დადებითი ეკონომიკური ტენდენციების ზეგავლენა ქართული საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის პროცესებზე.

ასეთი ობიექტური ვითარება (ქვეყნის კოლონიალური მდგომარეობა, ეკონომიკასა და პოლიტიკაში არაქართველების განსაკუთრებული მომძლავრება, ანტიქართული, დეზინტეგრაციული პროცესები) მოითხოვდა ქართულ საზოგადოებრიობაში ეროვნული ძალების კონცენტრაციას – სუბიექტური ფაქტორების გააქტიურებას, ქართულ საზოგადოებრიობაში დამრაზმავი და წარმართავი ძალის („ჰეგემონის“) გამოვლენას და მისი საქმიანობის გააქტიურებას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ფუნქცია თავის თავზე აიღო საქართველოს ახალგაზრდა ინტელიგენციის მოწინავე თაობამ.

§4. ქართული საზოგადოებრიობის ინტეგრაციის პრობლემა და მისი „ჰეგემონის“ საკითხისათვის

რუსეთის კოლონიალურ მარწუხებში მოქცეული ქართული საზგადოებრიობა იმ დროისათვის ავლენდა ისეთ ტენდენციებს, რაც არ შეიძლება მოსწონებოდა საქართველოზე ღრმად შეყვარებულ პიროვნებას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, რომელსაც გამძაფრებული ჰქონდა კრიტიკული ხედვა, ნაკლოვანებათა გამოვლენისა თუ აღნუსხვის უნარი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაუნელებელი სურვილი.

ქართულ საზოგადოებრიობაში დავანებული მთავარი და განსაკუთრებული ნაკლი კი ძალიან ადვილად შეამჩნია კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობამ და დაუფარავად ამხილა კიდეც: „აბა დაიძახე: ქართველო თქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპგადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქოს იმათ არ ეძახიო. თითქოს ისინი კი ქართველები არ არიანო“[1].

ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული ეს კრიტიკული შეხედულება გულისტკივილით გვახსენებს იმ ობიექტურ მდგომარეობას, როცა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფილი საქართველო, სულ რამდენიმე ათეული წლის წინ, კუთხური პატრიოტიზმის გამო აშკარად ებრძოდა ერთიანს – ქართულს; როცა ადგილობრივი, სეპარატული უფრო მეტი ღირებულების შემცველი იყო, ვიდრე სრულიად ქართული, ერთობლივი. ილია ჭავჭავაძე ზუსტად და სამართლიანად აფასებდა ქართველი ერის ისტორიის ამ ეტაპს: „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა და-

[1] ციტირებულია, ვ. გურული, თ. წითლანაძე. გ. ქავთარაძე, ბ. შურღაია, ილია ჭავჭავაძე და ქართული ეროვნული ცნობიერება, თბ., 2009, გვ. 18.

ირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულისტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს იქით გაითხარა ჩვენი ბედნიერების სამარე... ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე...“[1].

სწორედ ამ ფაქტორების წინააღმდეგ დაიწყეს ენერგიული ბრძოლა ქართველმა ახალგაზრდებმა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით.

ახალ ვითარებაში კი ისტორიული განვითარების გამო შექმნილი რეალობა ქართული საზოგადოებრიობის ენობრივ და კონფესიურ განსხვავებებს განსაკუთრებით საცნაურს ხდიდა. თუ ამას დავუმატებთ რუსეთის ხელისუფლების ინტენსიურ მცდელობას მისი ანტიქართული პოლიტიკის ესკალაციის მიმართულებით, ეს გათიშულობა ქართველებს შორის კიდევ უფრო შემაშფოთებელ ფორმას იღებდა და მაშინ კი აშკარად გასაგები გახდება, თუ რა დიდი ბარიერების გადალახვა დასჭირდა საქართველოს ახალგაზრდა თაობას.

უდიდესი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა, უპირველს ყოვლისა, გულისხმობს შესწავლის ობიექტის ყოველმხრივ კრიტიკულ გააზრებას, შეფასებას, მისთვის დიაგნოზის დასმას, ხოლო შემდეგ, დიაგნოზიდან გამომდინარე, მის მკურნალობას.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ა. ბაქრაძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ქართველ ახალგაზრდობას: „ფანატიკოსის სიყვარულით, დაუნდობლად უნდა გაესინჯა, გაეჩხრიკა, აეწონ-დაეწონა ყოველივე... ანატომის გულგრილობით დაედო საოპერაციო სარეცელზე საქართველოს ეროვნული სხეული... დაესვა თავზარდამცემი დიაგნოზი“[2].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, გვ. 206-207.

[2] ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 2006, გვ. 101.

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა ქართველი „სამოციანელების“ მიერ ქართველებისთვის დასმული დიაგნოზის შეფასება, რომელიც ცნობილ ქართველ პუბლიცისტსა და მწერალს ჯ. ღვინჯილიას ეკუთვნის: „რა სიღრმის, რა მასშტაბის, რა ძალის უნდა ყოფილიყო სამშობლოს სიყვარულის გრძნობა პოეტში, რომ მას დაენახა ქვეყნის ამგვარი მხილების აუცილებლობა, შემდეგ გაებედა თავისი სათაყვანებელი ხალხისთვის „გამანადგურებელი“ სიმართლის თქმა“[1].

ახლა რაც შეეხება დიაგნოზს... ტრადიციულად, საილუსტრაციოდ მოუხმობენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის ლექსებს – „ბედნიერი ერი“ და „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“. თუმცა ქართველების ხასიათის, მათი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ქცევის ნორმების კრიტიკა სხვა მამულიშვილებსაც საკმაოდ უხვად აქვთ დაფიქსირებული როგორც პუბლიცისტიკაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში.

ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე ა. ბაქრაძე მართებულად მიანიშნებს ახალგაზრდა თაობის წინაშე მდგომ ამოცანზე: „გათიშულია ქვეყანა... გამქრალია ჰარმონია. ამის აღდგენაა უპირველესი ამოცანა“. ეს აზრი ადვილად გამოითქმის, მაგრამ ძნელი განსახორციელებელია. ამ ურთულესი საქმის დაწყება კიდევ უფრო ძნელია – ამას მართლაც ქირურგის ბასრი სკალპელი და ძლიერი ხელი სჭირდება.

ა. ბაქრაძის აზრით, ასეთი მკაცრი შეფასება აუცილებელი იყო, როგორც მწარე წამალი ეროვნული კონსოლიდაციის გზაზე. ისტორიაში ცნობილია ქვეყნის გამოჩენილი შვილების მხრიდან საკუთარი ერის ზედმეტად კრიტიკული შეფასების კონკრეტული ფაქტები. მაგალითად, ჩერნიშევსკის მიაწერენ გამოთქმას რუს ერზე – „მონათა ერი, თითოეული მათგანი მონაა!“

ახალგაზრდა თაობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საკუთარ „ექიმის ძლიერ ხელში“ ჩინებულად აამოქმედეს „ქირურგის ბასრი სკალპელი“ და შედეგიც მიიღეს.

რა თქმა უნდა, უპირველესი ამ საქმეში იყო შეხედულება ქართველობაზე, როგორც ხსნისა და გადარჩენის მთა-

[1] ჯ. ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ., 1980. გვ. 286.

ვარ ობიექტზე. მასზე ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენციას, მართლაც, მკაცრი შეხედულება ჰქონდა. აღნიშნავდნენ, რომ „სადაც სიტყვა ქართველი შემხვდება, იქ უსათუოდ უნდა ვიგულისხმოთ სიტყვა ზარმაცობისა, უზრდელობისა, უჯიშობისა და ყოველნაირის ვერაგობისა და უბედურებისა“[1].

ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო მკაცრია თავის „ბედნიერ ერში“, რომლის თითოეული სტროფი თავისმოჭრისა და ლოყაში სილის გაწვნის ტოლფასია:

ყველა ყრუი,
ყველა ცრუი
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი
ცუღლუტი და მანკიერი
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!

ქართულ საზოგადოებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩაბუდებული ამ და სხვა მანკიერებათა აღმოფხვრა სწორედ ქართველმა ახალგაზრდობამ – რუსეთსა და ევროპაში განათლებამიღებულებმა, თავის სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა, ე.წ. „თერგდალეულებმა“ გადაწყვიტეს.

რატომ მაინცდამაინც ქართველი ახალგაზრდები დადგნენ ერის ინტერესების სადარაჯოზე?!

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ასეთ მაკოორდინირებელ ძალას ტრადიციულად მესამე წოდება – **ბურჟუაზია** ასრულებდა, რომელიც საქართველოში ამ მისიას ვერ შეასრულებდა, რადგან მასში ქართველები ერთობ სუსტად იყვნენ წარმოდგენილნი;

თავადაზნაურობა – ისტორიულად საქართველოს ხელმძღვანელი, ჰეგემონი და მაკონსოლიდირებელი კლასი, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის სახელმწიფოს მიმართ თითქმის მთლიანად ლოიალურ პოზიციაზე დაეშვა, იმჟამად ერის

[1] შავთელი, ქართველი გრიგორიანები, თბ., 1906, გვ. 18.

წინაშე წამოჭრილი ამ ამოცანის გადაწყვეტას ნაკლებად ფიქრობდა. მათ შესახებ ილია ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა: „ჩვენი დიდკაცობა, რომელიც წარჩინებულობით, ხარისხით, ყოფა-ცხოვრებით და შეძლებით ყველაზე მახლობლად არის უმაღლეს მთავრობასთან და, მაშასადამე, უმაღლეს მთავრობამდე მიწვდენის ღონე ხელთა აქვთ, ამ საქმისათვის მიუმზადებელია... არ არის ქვეყანაზე არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულაცრუებული, ასე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან“[1].

ქართველი სასულიერო წოდება, უკვე რუსეთის სინოდის მარწუხებში მოქცეული, ისტორიულად ქართველობის დუღაბი და ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი მებაირაღე, უაღრესად დასუსტებული იყო და ამ ამოცანას თავს დამოუკიდებლად ვერ გაართმევდა. შესაბამისად, სავსებით სამართლიანია ილია ჭავჭავაძის შემდეგი შეფასება: „ჩვენი სამღვდელოება ამგვარი საქმისათვის უღონოა და ამ უღონობით ძალაუნებურად გულხელდაკრეფილია“[2].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში, ადგილობრივი ისტორიული თავისებურებების (ობიექტურის, სუბიექტურის) გათვალისწინებით, მოხდა ისე, რომ ერის კონსოლიდაციის ისტორიული ამოცანის აღსრულება იკისრა ქართველი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობამ, რომელმაც განათლება საზღვარგარეთ, თერგის გადაღმა („თერგდალეულები“) – რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიიღო და XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო მძლავრი ეროვნულ-საგანმანათლებლო, ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი საქმიანობა, რა თქმა უნდ, ამისათვის საჭირო ყველა აუცილებელი მიმართულების გამოყენებით. ეს მრავალმხრივი საქმიანობა ითვალისწინებდა: ქართველი ერის კონსოლიდაციის შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენას და მათ წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას, ინტეგრაციული პროცესების ხელ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ხუთ ტომად, ტ. 5, გვ. 268-269.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ხუთ ტომად, ტ. 5, გვ. 239.

შეწყობას, ამ პროცესების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, სულიერი და მატერიალური რესურსების მოძიებას, კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავებას, პროპაგანდისტულ-აღმზრდელობით საქმიანობას და ა.შ.

ამ ქართველი ახალგაზრდების შესახებ, რომელთა შორის თვითონაც მოიაზრებოდა, ილია ჭავჭავაძე მოგვიანებით იტყვის: „...მოედანზე გამოვიდა სხვა ახალი მოზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილობა ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენ გაფუყებულ გულში...“[1].

აშკარაა, რომ ამ ამონარიდში ი. ჭავჭავაძე სწორედ ქართველების ეროვნული ერთიანობის იდეის „გაფუვებას“, „აღორძინებას“ გულისხმობს, რისი აუცილებლობაც უკვე დროის აქტუალური მოთხოვნა იყო. ქართველი ახალგაზრდების ამ პატრიოტულმა ჯგუფმა ძირითადად სწორად განსაზღვრა ის კარდინალური მიმართულებები, ის გადაუდებელი ამოცანები, გამოავლინა ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე შემაფერხებელი ბარიერები და ფაქტორები, დროულად დასახა მათი დაძლევის გზები და მეთოდები, ხოლო ყოველივე ამან უზრუნველყო ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის ნორმალურად დაწყება და გარკვეული მიზნით მისი წარმართვა. ქართველი ახალგაზრდების სამოქმედო გეგმა ფაქტობრივად ასეთი იყო: ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა, ქართული ენის სახელმძღვანელოს შექმნა, ქართული სასკოლო ქსელის მშენებლობა, ერთიანი საქართველოს ისტორიის გააზრება, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების აღორძინება, კუთხური პარტიკულარიზმის დაძლევა ერთიანი ქართული ცნობიერების განმტკიცების საფუძველზე, კონფესიური მრავალფეროვნებით გამოწვეული გაუცხოების დაძლევა და ა.შ.

ქართველი ახალგაზრდა თაობა XIX საუკუნის შუა ხანებში ჩინებულად ერკვეოდა ქვეყანაში შექმნილ მოვლენებ-

[1] იქვე, გვ. 207-208.

ში და ერის კონსოლიდაციის გზაზე სწორ ორიენტირებს სახავდა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა – ეს რთული ამოცანაა, რომლის განსახორციელებლად საქართველოს მსგავს ერებს (პოლიკონფესიურებს, სამ (ქართულ, მეგრულ, სვანურ) ენაზე დაშლილებს, ფეოდალური სეპარატიზმის სენით დაავადებულებს და ა.შ.) პირველ რიგში, ესაჭიროებათ ერის კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარებული განვითარება და მხოლოდ ამის შემდეგ, მის ბაზაზე, ამ პროცესის წარმატებით დაგვირგვინების საფუძველზე შეიძლება ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის ამოცანის რეალიზება. საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი თავისებურება ქართველ „სამოციანელებს“ ჩინებულად ჰქონდათ გააზრებული.

სწორედ აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ მათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ანტირუსული აჯანყების ორგანიზებით კი არ დაიწყეს, არამედ უდიდესი მუშაობა, ფაქტობრივად მრავალმხრივი მიმართულებით დიდი ბრძოლა გაშალეს ახალი სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად, რომლის შედეგიც უკვე ქართული საზოგადოებრიობის კონცენტრაცია, ერის კონსოლიდაციის პროცესის დაწყება იყო.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ ილია ჭავავაძის „მგზავრის წერილები“ არა მარტო ეპოქალური, არამედ პროგრამული ნაწარმოებიც არის. მოთხრობის მთავარი გმირის – ლელთ ღუნიას ცნობილი გამონათქვამი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“ – ფაქტობრივად „თერგდალეულთა“ ეროვნული პროექტის საბოლოო, დასკვნითი აკორდი უნდა გამხდარიყო; მაგრამ ამ ისტორიული მიზნის მიღწევის რთულ გზაზე უამრავი ბარიერისა და ხელოვნური დაბრკოლების გადალახვა საქართველოს ახალგაზრდა თაობის ღირსეული წარმომადგენლების კოლოსალური, ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის საფუძველზე იქნებოდა მხოლოდ შესაძლებელი. იმჟამინდელ „სამოციანელებს“ ამისთვის მზაობა ნამდვილად ჰქონდათ.

§5. ქართული საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის პროცესის დასაწყისი

ქართული საზოგადოებრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა საქართველოს ახალგაზრდა ინტელიგენციამ ნაბიჯ-ნაბიჯ, დროში საკმაოდ გაწელილი პროცესებით, მაგრამ ორგანიზებულად დაიწყო და ამ რთულ და გრძელ გზაზე მაინც პირველი ნაბიჯი იყო მათ მიერ გაწეული დიდი ძალისხმევა ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემუშავებისა და დამკვიდრებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის საფუძველი, მისი იდენტობის ერთ-ერთი მარკერი მშობლიური ენაა.

მშობლიური ენა კი განსაკუთრებულად საყვარელი და ახლობელია მაშინ, როცა ის მხოლოდ ერთი ერის საკუთრებაა და სწორედ ამ ენაზე შეიქმნა ამ კონკრეტული ერის მთელი ისტორიულ-ფილოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა. ქართული ენა ქართველი ერის ფორმირების განმსაზღვრელია და მუდამ იყო და არის მისი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი; ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდა ქართველობამ, ამიტომაც მუდამ თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და ხმალამოღებული იცავდა მას. თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში ილია ჭავჭავაძე იტყვის: „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“[1].

უძველესი და უმდიდრესი ქართული სალიტერატურო ენა, მრავალი ლიტერატურული შედევრის საფუძველი და შემნახავი, XIX საუკუნის შუა ხანებში, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, გარკვეული აზრით კონსერვატიული, არქაული, მოუქნელი გახდა. ის დაშორდა რეალურ სამეტყველო ენას, რაც მასობრივად იყო უკვე გავრცელებული და იქმნებოდა საშიშროება, რომ მდიდარი ქართული სალიტე-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 4, თბ., 1987, გვ. 23.

რატურო ენა დარჩებოდა ელიტარულ ინსტრუმენტად, რომელიც მთლიანად მოწყდებოდა მის მთავარ შემოქმედს – ქართველ ხალხს.

სწორედ ეს საშიშროება დაინახეს და მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს ქართველმა ახალგაზრდებმა.

საქმე იმაში იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ უფროს თაობას საჯაროდ დაუწუნა ლიტერატურული ხელწერა, აზროვნების ფორმების ფურცელზე გადატანის წესები და მანერა, თარგმანის კულტურა, არქაიზმი.

„მამათა“ წინააღმდეგ ლიტერატურულ ორთაბრძოლაში ილიას მხარი დაუჭირეს და საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანეს ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ი. გოგებაშვილმა, პ. მირიანაშვილმა, სილ. ხუნდაძემ, ა. ჭყონიამ, გ. დავითაშვილმა, გ. წერეთელმა და სხვა „თერგდალეულებმა“.

საქართველოს ინტელიგენციის ძველმა თაობამ ქართული ენის შერყვნად და „მამებისადმი“ უდიერ დამოკიდებულებად მიიჩნია ახალგაზრდების ეს დემარში.

„შვილების“ წინააღმდეგ დაირაზმნენ მწერალი ქალი ბ. ჯორჯაძე, თავადი რ. ერისთავი, მწერალი გ. ბარათაშვილი და სხვები. როცა „მამებს“ საქმე ძალიან ცუდად წაუვიდათ, ბრძოლაში ჩაება „მძიმე არტილერიაც“ – უბრწყინვალესი თავადი, რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც.

თუმცა სიმართლე ახალგაზრდების მხარეზე იყო. მათ გაიმარჯვეს. დაიწყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ეპოქა, რომელიც მთელი თავისი არსით გასხივოსნდა სწორედ ამ ახალგაზრდების, „თერგდალეულების“ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში. ახალმა სალიტერატურო ენამ, რომლის შენება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, სულ რამდენიმე წელიწადში ადგილი დაუმკვიდრა ალექსანდრე ყაზბეგის შეუდარებელ პროზას, გიორგი წერეთლის კრიტიკულ რეალიზმს, ვაჟა ფშაველას პანთეისტურ შემოქმედებას, ეგნატე ნინოშვილის სოციალურ დრამას, დავით კლდიაშვილის ლიტერატურული გმირების ტრაგიკულ ყოფიერებას და ა.შ.

და რაც მთავარია, სწორედ ახალი ქართული ლიტერატურა გახდა ერთობლივი საქართველოსათვის ის ფუნდამენტი, რომელმაც კეთილნაყოფერი ზეგავლენა მოახდინა ქართველი ერის კონსოლიდაციის მიმდინარე პროცესზე. **ეს იყო ქართველი ახალგაზრდების პირველი სერიოზული გამარჯვება.**

ახალი ქართული ენის ფორმირების პროცესის დაწყების პარალელურად, ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტების („თერგდალეულების“) მთავარი ამოცანა გახდა განათლების ერთიანი ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება – ქართული სკოლის ძირითადი თეორიული პრინციპებისა და მისი ფუნქციონირების პრაქტიკული საკითხების დამუშავება. ამ ურთულესი პრობლემის დაჩქარებული მოწესრიგების აუცილებლობას კი შექმნილი დრამატული ვითარება განაპირობებდა...

იმპერიული ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ქართველების ერთ ჯგუფში ფესვი გაიდგა უიმედობისა და ეროვნულ ნიჰილიზმის დამღუპველმა გრძნობამ. შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე (XIX ს. დასასრულს კოლონიალური იმპერიების საბოლოოდ ჩამოყალიბება, კოლონიალიზმის ღვედების გაძლიერება და განმტკიცება და ა.შ.) საკუთარი სუბიექტური დაკვირვების საფუძველზე, ისინი აკეთებდნენ დასკვნას „ქართველი ერის დაბერების“, „მისი მომავლის უპერსპექტივობის“ შესახებ, და უკვე საჯაროდ აყენებდნენ ქართველი ერის რუსებთან აუცილებელი შერწყმის საკითხს. მათი წარმოდგენით, ქართული ენის სწავლას აზრი აღარ ჰქონდა მისი გამოყენების არეალის საოცრად დავიწროების გამო (ასეთი პერსპექტივის მაგალითი: რაც დაემართათ შოტლანდიელებს, ირლანდიელებსა და უელსის მოსახლეობას დიდ ბრიტანეთში; ლოტარინგიელებს, ბრეტონელებს, ნორმანდიელებს, კორსიკელებს – საფრანგეთში; პრუსიელებს, პომერანიელ სლავებს – გერმანიაში და ა.შ.).

ქართული საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის, მისი ერთიანობის მიღწევისა და საქართველოს ახალგაზრდა თაობის ეროვნულ საფუძველზე აღზრდის საქმეში ეროვნული სკოლის მნიშვნელობას ილია ჭავჭავაძე მუდამ წინა პლანზე აყენებდა: „უებარი წამალი კიდევ, უწინაც გვითქვამს, საკუთარი ქართული გიმნაზიაა. თუ თქვენის შვილებისათვის მართლა სიკეთე გინდათ, თუ გინდათ – რომ თქვენმა ქვეყანამ თქვენი სახელი ლოცვით და კურთხევით მოიხსენიოს, ამ აზრის აღსასრულებლად ნურას დაზოგავთ “ – მოუწოდებდა ის სრულიად საქართველოს[1].

ეროვნულ სკოლაში, რა თქმა უნდა, განათლების სრული ციკლი მშობლიურ – ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო, მხოლოდ ამ გზით განხორციელდებოდა ის ეროვნული მისია, რომელიც ახალგაზრდა თაობას დააკისრა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ.

განათლების პროცესის გარდაქმნა, ახალი ქართველი ახალგაზრდის აღზრდა – ამ დიდი ეროვნული ამოცანის შესრულება, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ენის – ქართული ენის სახელმძღვანელოს უნდა შეესრულებინა, რომელიც თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერების კანონების გათვალისწინებით უნდა დაწერილიყო და შემდეგ კი ფართოდ გავრცელდებოდა ქართველთა შორის.

ამ ახალ მოთხოვნებს ბრწყინვალედ გაართვა თავი იაკობ გოგებაშვილმა, რომელიც „... იდგა მაშინდელი თეორიული პედაგოგიკის განვითარების სიმაღლეზე და ფლობდა ენის სწავლების თეორიას“[2]. ამ თვისებების წყალობით ავტორმა შეძლო შეექმნა ქართული ენის სახელმძღვანელო – „დედა ენა“, რომელიც ერთდროულად მეცნიერულ, მორალურ-ზნეობრივ და პატრიოტულ კრიტერიუმებსაც ეფუძნებოდა და ახალგაზრდა თაობისთვისაც მარტივად გასაგები ენით იყო დაწერილი. თუმცა, ამ ამოცანის შესრულება უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე საუკეთესო სახელმძღვანე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, თბ., 1987, გვ. 197.

[2] ი. მეგრელაძე, იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, თბ., 1988, გვ. 43.

ლოს შექმნა – ეს პროექტი უზარმაზარ სახსრებს მოითხოვდა, რასაც ქართველებისათვის რუსეთის ცენტრალური მთავრობა არაფრით არ გაიღებდა. ამიტომაც შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში ქართულ საზოგადოებაში გაჩნდა იდეა, ჩამოეყალიბებინათ სპეციალური ორგანიზაცია, რომლის უპირველესი ამოცანა იქნებოდა ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, მისი განმტკიცება და განვითარება.

ამ იდეის რეალიზატორები იყვნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებმაც 1879 წელს დააფუძნეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

პირველი სკოლა, რომელიც საზოგადოებამ გახსნა იყო თბილისის სასწავლებელი მესანგრეთა ქუჩაზე. სკოლას ჰქონდა ორი განყოფილება, ჰყავდა სულ 32 მოწაფე, ამათგან 10 გოგონა. სწავლა ფასიანი იყო, მაგრამ სკოლა ძალიან მალე დაიხურა, რადგან მოსწავლეებს სწავლის ქირის გადახდა არ შეეძლოთ.

საზოგადოებამ სკოლები გახსნა ახალ სენაკში, ქუთაისში, წინარეხში, თონეთში, ხელთუბანში, გომარეთში, ბათუმში, კავკავში და სხვა ქალაქებსა, დაბებსა თუ სოფლებში. სულ საზოგადოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დააარსა 18 სკოლა, რომელშიც აღიზარდა 26 763 ბაშვი[1].

არ ვიქნებით ობიექტური, თუ არ დავინახეთ, რომ უაღრესად შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები, ობიექტური და სუბიექტური დაბრკოლებები, შექმნილი რეალიები ქართული სკოლების მარგი ქმედების კოეფიცენტს უაღრესად დაბლა სწევდა. საუკუნის დასასრულს საქართველოში 420 დაწყებითი და 10-ზე მეტი საშუალო სასწავლებელი არსებობდა. ისინი ძირითადად რუსეთის განათლების სამინისტროს, სინოდალურ ეკლესიას, მრევლს ეკუთვნოდა და მხოლოდ რუსული ენის საფუძველზე ზრდიდა ადგილობრივ ახალგაზრდობას. თუ ამ ციფრს შევადარებთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების რაოდენობას, დავინახავთ, რომ

[1] ი. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

განსხვავება ძალიან შთამბეჭდავია (430:18) და შედეგებიც, რა თქმა უნდა, ქართველებისათვის სასარგებლო არ იქნებოდა.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ რუსულ ენაზე, პუშკინისა და დოსტოევსკის შემოქმედებაზე, საერთოდ რუსულ (ან სხვა) ცივილიზაციაზე თავიდან ბოლომდე გაზრდილი ქართველი მოზარდი, უმეტეს შემთხვევაში, ქართულ საქმეს ვერ გააკეთებს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ დაფუძნებულ სკოლებში სწავლა-განათლება მიიღო და ი. გოგებაშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოს საფუძველზე მშობლიურ ენას დაეუფლა დაახლოებით 30 ათასი ქართველი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს: მოგვიანებით სწორედ ამ საგანმანათლებლო სივრციდან შეირჩა კონტინგენტი სამხრეთ კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის უნივერსიტეტისათვის. ამრიგად, შეიქმნა მყარი საგანმანათლებლო ფუნდამენტი-ბაზა.

მაგრამ ეს რაოდენობა აშკარად არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ქართველების ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, ქართული საზოგადოებრიობის ფორმირების პროცესი დაწყებითი და საშუალო განათლების საფუძველზე, სწრაფი ნაბიჯებით წასულიყო წინ. 1897 წელს თბილისის გუბერნიაში ქართველი მამაკაცების მხოლოდ 15,4 პროცენტი და ქალების 12,4 პროცენტი ფლობდა წერა-კითხვას. იმერეთის გუბერნიაში ეს მონაცემი უდრიდა 14,65 პროცენტს. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ქართველების დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 85 პროცენტი) მოწყვეტილი იყო იმ ცხოველმყოფელ ზემოქმედებას, რაც სწავლა-განათლების სისტემას, უფრო მეტიც – მხატვრულ-შემოქმედებით და კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს ეკისრებოდათ ქართველების ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში.

ამიტომაც ქრთველმა ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს ქართული საზოგადოებრიობის განმტკიცებისა და ერთიანო-

ბის მიღწევის გზაზე უფრო ინტენსიურად გამოეყენებინათ პატრიოტული მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტიკა.

ახალ ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც ჩინებულად გააერთიანა რეალიზმისა და რომანტიზმის ელემენტები, პატრიოტიზმის ქადაგება, „ახალი ქართველისათვის“ სამშობლოს სიყვარულის გრძნობის ჩანერგვა, ქართველობისა და მამულიშვილობის პოტენციაში არსებული მუხტის გაღვივება-განვითარება გადაიქცა „თერგდალეულთა“ მხატვრული მოღვაწეობის ერთ-ერთ ძალუმ და მთავარ მიმართულებად. მათ მიზნად დაისახეს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით გმირული პერიოდების მოძიება, გამოარჩიეს საქართველოსთვის თავდადებული გმირები, ქება შეასხეს მათ მოღვაწეობას, საგმირო საქმეებს, რა თქმა უნდა, თანადროული საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, და ყველაფერი ეს ლიტერატურულად დაამუშავეს. შედეგი საჩინო იყო – ასეთი მხატვრული ლიტერატურა, მართლაც, გადაიქცა უპირველეს წყაროდ, საშუალებად, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა ნებისმიერი ქართველის მინავლებული მოთხოვნიელება პატრიოტიზმზე, სუბლიმირებულ, ამაღლებულ გრძნობებზე, „ახალი ქართველისათვის“, „ნამდვილი ქართველისათვის“ უნდა გაეხსენებინა მისი სამშობლოს დიდებული ისტორიული წარსული, რათა სამშობლოსათვის თავშეწირული გმირების მაგალითზე მასაც აუცილებლად გასჩენოდა ერთიანი საქართველოს ხსოვნის, მისთვის გარჯისა და ბრძოლის პატრიოტული გრძნობა.

ქართული წიგნის, ქართული პერიოდიკის რაოდენობა და მნიშვნელობა, წინა წლებთან შედარებით, აშკარად იზრდება. დასტურდება, რომ საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებში ყოველწლიურად 5-12 ქართული წიგნი იბეჭდებოდა. უკვე 1868 წელს დაიბეჭდა 11, ხოლო 1899 წელს – 112 წიგნი. როგორც ირკვევა, 1868 -1892 წლებში მარტო 100 სახელწოდების ქართული სახელმძღვანელო გამოქვეყნებულა[1].

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 811.

წინსვლა – უდავოა. ამ საქმეში „თერგდალეულების“ მოღვაწეობის შედეგები თვალსაჩინოა, მაგრამ მაინც ვერ დავეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „უაღრესად გაფართოვდა ქართული წიგნის მკითხველთა წრე. ცოდნას დაეწაფა ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა... წიგნი საყოველთაო სიყვარულისა და ზრუნვის საგანი ხდებოდა... ქართული პრესისა და წიგნის გამოცემის მანამდე არნახული განვითარება, საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა, ხალხის ფართო მასების გამოღვიძების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების, მისი მეთაურების – გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და განმანათლებლების – თავდადებული მოღვაწეობის შედეგი იყო“[1].

ასეთი ოპტიმიზმისათვის არავითარი საფუძველი არ გვაქვს. XIX საუკუნის დასასრულს ქართველების 85 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ე.ი. მოკლებული იყო მხატვრული ლიტერატურისა და პრესის გაცნობის შესაძლებლობას. და რაც მთავარია, თვითონ ეს ლიტერატურა საკმაოდ მოკრძალებული ტირაჟით გამოდიოდა და სერიოზულ ზეგავლენას ვერ მოახდენდა სრულიად საქართველოს სხვადასხვა კონფესიას მიკედლებულ ქართველობაზე. როგორც ირკვევა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი დიდი არ იყო. მაგალითად, „დროება“ გამოდიოდა 500 ცალი, „ცისკარი“ – 150 ცალი, „ივერია“ – 600 ცალი. შედარებით დიდი ტირაჟი ჰქონდა გაზეთს „კვალი“ – 960[2].

ასევე მცირე იყო ტირაჟი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებისა, რაც მკვეთრად მერყეობდა – იბეჭდებოდა საშუალოდ 3000-5000 ცალი[3].

მართალია, წიგნის მაღაზიები XIX საუკუნის დასასრულს იყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში, გორში, ხონში, სოხუმში, ახალ-სენაკში, ოზურგეთში და კიდევ

---

[1]საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 811-812.
[2] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი 1629-1929, თბ., 1929, გვ. 170.
[3] იქვე.

12 დაბა-ქალაქში, მაგრამ ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის მცირე ტირაჟი ვერ აღწევდა ფართო მკითხველამდე. ვეთანხმებით გაზეთ „დროებაში“ იმჟამად გამოთქმულ აზრს, რომ „ყველაზე უფრო, რაც დღემდის ქართულ ენაზე გამოსულა და გამოდის, იბეჭდება იმ ერთი მუჭა თავად-აზნაურობისათვის, რომელიც მკითხველ საზოგადოებას შეადგენს“. ეს იმჟამინდელი საქართველოს მკაცრი რეალობა იყო.

„ახალი ქართველის“ ფორმირების პროცესში, „კუთხურობისა და ყოყოჩობისაგან“ განთავისუფლებული ქართველის აღზრდის საუკეთესო საშუალებად, „თერგდალეულების“ თვალსაზრისით, ითვლებოდა ქართული ეროვნული თეატრის ჩამოყალიბებაც, მისი რეპერტუარის პატრიოტული შინაარსით გამდიდრება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩაბმა თეატრალური ცხოვრების საინტერესო და მრავალფეროვან სამყაროში.

ქართული თეატრი, გარკვეული აზრით, ჭეშმარიტი სკოლა გახდა იმათთვის, ვინც წერა-კითხვას ჯერ კიდევ არ ფლობდა, არ შეეძლო ჟურნალ-გაზეთებში წაეკითხა და გაესიგრძეგანებინა ის კონკრეტული ამოცანები და მიზნები, რასაც ქართული საზოგადოების წინაშე აყენებდნენ ქართველი პატრიოტები ბეჭდვით მასმედიასა თუ საკუთარ მხატვრულ შემოქმედებაში.

სამაგიეროდ სულ სხვა ვითარება იყო თეატრში – აღზრდისა და ეროვნული იდეოლოგიის კულტივირების უმნიშვნელოვანეს ცენტრში. მისი მაყურებელი საზოგადოებრიობის ყველა ფენიდან იყო – არისტოკრატიც და ქალაქის მდაბიოც, წერა-კითხვის მცოდნეც და გაუნათლებელი ადამიანიც, ჩინოსანი მოხელეც და რიგითი სემინარისტიც.

ეროვნული ქართული თეატრის განვითარების საკითხებზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე არაერთხელ ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენ წინათაც გვითქვამს და ახლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს“. ილია სხვა ადგილზე ასეთ ამოცანას სახავდა ქართული თეატრის

წინაშე: იგი უნდა ყოფილიყო „საზოგადოების ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომყენებელი“[1].

ქართველი „სამოციანელები“ უდიდეს ძალისხმევას ახმარდნენ ქართული თეატრის განვითარებას, მის რეპერტუარს, დრამატურგიას, რეჟისურას, მსახიობურ ოსტატობას. თვითონ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით ერისთავი, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, ვაჟა ფშაველა, ალექსანედრე ყაზბეგი და სხვები უდიდესი სერიოზულობითა და რუდუნებით ეკიდებოდნენ ქართული თეატრისათვის რეპერტუარის მომზადების საქმეს. მათ არაერთი გამორჩეულად საინტერესო, პატრიოტული შინაარსის სცენარი შექმნეს და საზოგადოებას წარუდგინეს. განსაკუთრებით მოსწონდა ქართველ საზოგადოებას დავით ერისთავის „სამშობლო“, აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, სუმბათაშვილის „ღალატი“, ალ. ყაზბეგის „არსენა“ და სხვა პატრიოტული შინაარსის სპექტაკლები.

ამ მიმართულების სპექტაკლებიდან განსაკუთრებით დიდხანს შემორჩა ქართულ სცენას გიორგი ერისთავის „გაყრა“, ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. სწორედ გიორგი ერისთავმა დანერგა ქართულ დრამატურგიასა და სალიტერატურო ცნობიერებაში ფრაზა „გიჟ-ვრაცუა“ – უსაქმური, მფლანგველი, ტრაბახა და ფუქსავატი ქართველი თავადის სახე, რომელიც ხარხარს იწვევს მაყურებელში და ამით მკვეთრად ემიჯნება იმ სოციალურ გარემოს თუ ტრადიციულ ყოფას, რაც ბადებს ამგვარ მახინჯ მოვლენას ქართულ საზოგადოებაში. ავქსენტი ცაგარელის ლევან ფანტიაშვილი, თავისი გროტესკულობით, აშკარად უახლოვდება ილიასეულ ლუარსაბ თათქარიძეს – მუქთახორა, ხეპრე, არაფრისმცოდნე და არაფრისმკეთებელი მხატვრული სახე. უკვე საუკუნეებია, რაც ეს მხატვრული სახეები თან სდევს ქართულ საზოგადოებას, მაგრამ მათი რეალური სოციალური ყოფიდან საბოლოო გაქრობა მაინც ვერ ხერხდება...

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5. თბ., 1987, გვ. 253.

სამაგიეროდ ძლიერი ეროვნული მუხტის მატარებელი იყო ჰეროიკული დრამატურგია, სპექტაკლები, რომლებიც ერთიანი საქართველოს ისტორიის, გმირული ფურცლების ინტერპრეტაციას ისახავდა მიზნად და, როგორც წესი, საოცარ პატრიოტულ აღმაფრენას იწვევდა მაყურებელში. ასეთ სპექტაკლებში განსაკურებით ბრწყინავდნენ ქართველი მსახიობები, რომლებიც გატაცებით თამაშობდნენ ბაგრატ IV-ის, ქეთევან წამებულის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე II-ის, რუსთაველისა და სხვა ქართველი გმირებისა თუ წმინდანების როლებს.

მართალია, XX საუკუნის დასაწყისში მ. ჯავახიშვილი სერიოზულად გააკრიტიკებს ქართულ თეატრს სწორედ ისტორიული გმირებით გატაცების გამო: „რატომ გაქრა ჩვენს ისტორიულ პირობებში ხალხი? რატომ არ ჩანს მათი სოციალური ცხოვრება? სად არიან ისინი? ვით გაუძლო ათასეულ შემოსევებს და ერის ერთობა შეინარჩუნა. აი, ვხედავთ, სცენაზე არის მეფე, მხედართმთავარნი და სხვა დიდებულნი, მაგრამ არ არის ხალხი, უბრალო ხალხი, ჩვენი გლეხკაცობა“.[1].

მიხეილ ჯავახიშვილის ეს სიტყვები, უდავოდ, ნაკარნახევია ილია ჭავავაძის მიერ საქართველოს ისტორიის ამსახველი მატიანეების მიმართ გაკეთებული შენიშვნებით, სადაც ისევე, როგორც ქართულ თეატრში, არ ჩანდა რიგითი ქართველი ადამიანი.

ილიას და მის თანამებრძოლებს კარგად ჰქონდათ გააზრებული საქართველოს ერთიანი და განუყოფელი ისტორიის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ამ აღზრდის შედეგებიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ურთულეს პროცესში – ისინი მას ერთიანობაში წარმოიდგენდნენ.

აი, რას წერდა დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ილიას საისტორიო გამონათქვამებისა და კონცეფციების შესახებ 1938 წელს: „ჩვენ დაუვიწყარს მოამაგეს საქართველოს

[1] ვ. კიკნაძე, ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2003, გვ. 349.

ისტორია ეროვნული თავისმოწონების თვალსაზრისით და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგად კი არ უნდა დასჭირვებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა“[1].

ეს მართლაც ასე იყო, „კრიტიკული ნაციონალიზმის“ წარმომადგენელი საქართველოში, ქართველების ნაკლოვანებებისა და ხასიათის გადაცდომების პრინციპული მამხილებელი, ილია ჭავჭავაძე თავის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში საქართველოს ისტორიის თემას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ასე მოძღვრავდა სრულიად საქართველოს: „...ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. რი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხლად იბრძვის, იღვწის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა“[2].

„კრიტიკული ნაციონალისტები“, ქართველების მიმართ დამოკიდებულებაში ასე მკაცრად კრიტიკულნი, ასევე კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ქართული საისტორიო მეცნიერების მიმართ და დაუფარავად აღნიშნავდნენ, რომ ქართველების უპირველესი საისტორიო თხზულება „მხოლოდ მეფეთა ისტორიაა“, რომელშიც არ ჩანს რიგითი ქართველი, მისი ჭირ-ვარამი, საწუხარი, მისი შეუჩერებელი ბრძოლა და ღვაწლი მამულის გადარჩენისა თუ ასაღორძინებლად. ამიტომაც სწორედ ისტორიული პროცესის ასახვის „დემოკრა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938, გვ. 4.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ, ტ. 4, თბ., 1987, გვ. 167-168.

ტიზაციას“ უყენებდნენ ამოცანად „თერგდალეულები“ ქართველ პროფესიონალ ისტორიკოსებს, რადგან მეცნიერების ეს დარგი, ახალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე, ევროპული საისტორიო მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, ისის იყო მხოლოდ ყალიბდებოდა.

სანკტ-პეტერბურგში გადახვეწილი ქართველი ბაგრატიონების მიერ დაწყებული საისტორიო საქმიანობა (გავიხსენოთ, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“; დავით ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“, თეიმურაზ ბატონიშვილის „ახალი ისტორია“, „ივერიის ისტორია“და ა.შ.) ჩინებულად განაგრძეს თავიანთ თხზულებებში ქართველმა პროფესიონალმა ისტორიკოსებმა.

დავით ბაქრაძემ სწორედ იმ პერიოდში შექმნა თავისი არაერთი საინტერესო საისტორიო გამოკვლევა („კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგელებში“, „ქართული პალეოგრაფია“ და სხვ.). საისტორიო მეცნიერება სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანეს რუსეთში მოღვაწე ქართველმა ისტორიკოსებმა: ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა და სხვ. საქართველოში კი ინტენსიურ საისტორიო კვლევას ეწეოდნენ ზაქარია ჭიჭინაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვ.

საქართველოში დაიწყო ინტენსიური მუშაობა ქართული სიგელ-გუჯრების, ძველი საისტორიო თხზულებების აღმოჩენა-შეგროვების მიმართულებით, რაც შეუქცევადი პროცესი გახდა. სწორედ ამის საფუძველზე გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ თავისი „ქრონიკები“, რომელსაც ყავლი არასოდეს გაუვა.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა ახალი ქართველის ფორმირების გზაზე უმნიშვნელოვანეს მიზნად დასახეს ქართველმა ახალგაზრდებმა და დიდი ძალისხმევაც შეალიეს მას.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საგრძნობლად გამოცოცხლდა ინტერესი ზოგადქართული ფენომენისადმი, საქარ-

თველოს ისტორიის, ქართული ეროვნული მუსიკის, ხალხური ფოლკლორის მიმართ.

ბიბლიოთეკების ქსელის გავრცელება და მათი საშუალებით ქართველი მოსახლეობის განათლება და აღზრდა – ეს „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი და ფასეული მიმართულება იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, უდიდეს ყურადღებას უთმობდა ბიბლიოთეკების ორგანიზებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ახალციხეში, უდეში, ხობში, ახალსენაკში, მათხოჯსა და სხვა სოფლებსა და ქალაქებში. საზოგადოებას სულ 13 ბიბლიოთეკა ჰქონდა[1]. ბიბლიოთეკები უდიდეს საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ქართველთა შორის ეროვნული ერთიანობის განმტკიცებისა და კუთხური განკერძოების აღმოსაფხვრელად.

აშკარაა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ინტელიგენციის მიერ წამოწყებული და საკმაოდ ინტენსიური საგანმანათლებლო მუშაობა, გარკვეულ დადებით შედეგებს აღწევდა და ქმნიდა ნაყოფიერ საფუძველს სხვა პირობებსა და ისტორიულ ეპოქაში ამ მუშაობის კიდევ უფრო ინტენსიფიკაციისათვის, მაგრამ მაინც ყველაზე ძნელი შესასრულებელი ამოცანა აღმოჩნდა ობიექტური და სუბიექტური გარემოებებით შექმნილი ანტიქართული, დეზინტეგრაციული ძალების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, რის გარეშეც ქართული საზოგადოებრიობის ერთიანობის მიღწევა თითქმის შეუძლებელი ჩანდა.

[1] ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., გვ. 120.

§6. ანტისაზოგადოებრივი, ანტიქართული, დეზინტეგრაციული პროცესები

ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტების საქმიანობას, ქართული საზოგადოებრიობის მონოლითურობის მისაღწევად, სერიოზულ წინააღმდგეობას უწევდა რუსეთის იმპერიული ხელისუფლება, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში სულ სხვა ამოცანები ქონდა და სულ სხვა პოლიტიკის რეალიზებას ცდილობდა.

რუსეთის იმპერიის გეოსტრატეგიული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ურღვევობის ცარისტული პრინციპებით ნაკარნახევი პოლიტიკა აიძულებდა რუსეთის სახელმწიფოს ადგილობრივ მოხელეებს სამხრეთ კავკასიაში საკუთარი სახელმწიფო ინტერესები დაეცვათ და განემტკიცებინათ.

ქართველებისათვის ყველაზე სერიოზული და მეტად საშიში პრობლემა – ეს იყო რუსეთის მხრიდან საქართველოში დემოგრაფიული რეალიების შეცვლის დაუოკებელი სურვილი, საქართველოს მფლობელობაში არსებულ თუ შემოერთებულ ისტორიულ ტერიტორიებზე საკუთარი სურვილით მოსახლეობის ეთნიკური სურათის რადიკალური შეცვლის მოთხოვნილება, რასაც რუსეთის სახელმწიფო ფაქტობრივად 1801 წლიდან პერმანენტულად ცდილობდა.

თურქეთთან ყველა ომის შემდეგ საქართველოს კუთვნილ ტერიტორიებზე რუსეთის სახელმწიფო უაპელაციოდ ასახლებდა ახალმოსახლეებს, რომელთა უმრავლესობა სომეხი ეროვნების წარმომადგენელი იყო და თურქეთში ანტისომხური პოლიტიკის დამღუპველ შედეგებს საქართველოში გამოექცა.

ახალციხისა და ახალქალაქის შემოერთების შემდეგ რუსეთის ბიუროკრატიის ხელშეწყობით და ქართულ მიწებზე დასახლდა არზრუმის ვილაიეთიდან გამოყრილი სომეხი მოსახლეობა – 30 000 კაცი. მომდევნო წლებშიც – რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების შემდეგაც, რუსეთმა

შემოიყვანა და საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებზე დაასახლა სომეხი მოახალშენეების დიდი რაოდენობა.

მსგავსი დემოგრაფიული პროცესი თვალში საცემი იყო ლორეშიც: 1829-1900 წლებში ლორეში ოსმალეთიდან 100 ათასი, სპარსეთიდან კი – 30 ათასი სული სომეხი გადმოსახლდა, რასაც თან მოჰყვა ამ რეგიონში სომხების კომპაქტური დასახლებების აღმოცენება.

სერიოზული დემოგრაფიული პრობლემები შეიქმნა აფხაზეთშიც – რუსებმა აუთვისებელი ან აფხაზებისაგან გამონთავისუფლებული მიწები დაჩქარებული წესით გადასცეს რუს, უკრაინელ, ესტონელ კოლონისტებს. ერთი რუსი ჩინოსანი ზემდგომ ინსტანციაში წერდა აფხაზეთის შესახებ: „თუ შევიძენდით მთავრის მამულებს, რომელიც მეტად ვრცელია და მნიშვნელოვანი, ახლავე შეგვეძლო შევდგომოდით აფხაზეთის კოლონიზაციას კაზაკ-რუსების მეშვეობით“[1].

საქართველოს სამხრეთ რეგიონების დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად რუსებმა გამოიყენეს გერმანელი მოახალშენეები (ბორჩალოში), რუსი დუხობორები (წალკაში), ესტონელები (აფხაზეთში) და ა.შ. თუმცა, არ შეიძლება არ დავინახოთ გერმანელი კოლონისტების საქართველოში ჩამოსახლების დადებითი შედეგებიც – დასავლეთ ევროპის აგროკულტურული მიღწევების ფართოდ დანერგა-გავრცელება. გერმანული შრომისმოყვარეობა და მიზანმიმართება მათ ახალშენებს სანიმუშოდ და მისაბაძ მამულებად ხდიდა და მათი ეს გამოცდილება ვრცელდებოდა სრულიად საქართველოში.

ასეთი დივერსიული დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად საქართველოში მოხდა ის, რომ თუ XIX საუკუნის განმავლობაში ქართველი მოსახლეობა იზრდებოდა ბუნებრივი მატების გზით, არაქართველი ეთნოსების ზრდა მოხდა დაჩქარებულად, არაქართველი მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნურად ზრდის საფუძველზე. დასტურდება, რომ „XIX

[1] ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. თბ., 2007, გვ. 251.

საუკუნეში ქართველთა რაოდენობა 670 ათასიდან 1 314 ათასამდე გაიზარდა, ეროვნული უმცირესობისა კი 180 ათასიდან 533 ათასამდე. ე.ი. ქართველების რიცხვი გაორმაგდა, სხვა ეთნიკური ჯგუფების – გასამმაგდა. შემცირდა ქართველთა ხვედრითი წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში და მან რვა მეათედის ნაცვლად, შვიდი მეათედი შეადგინა, რაც რუსეთის აგრესიულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ გამოიწვია“. სწორი და სამართლიანი შეფასებაა.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართლიანად მიანიშნებს ცარიზმის დაინტერესებაზე, არ მომხდარიყო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების კონსოლიდაცია: „ცარიზმი ყველა საშუალებით ცდილობდა არ დაეშვა ქართული მხარეების კონსოლიდაცია, მათი ერთიან ეროვნულ ორგანიზმად ჩამოყალიბება. ამიტომაც სხვადასხვა კუთხის ქართველებს ერთმანეთს უპირისპირებდა“[1].

მაგრამ მარტო ამით არ შემოიფარგლნენ რუსი კოლონიზატორები. მათ ქართველი ერის გახლეჩვის მიზნით გადაწყვიტეს „გაეთიშათ“ ქართველები ადგილობრივი, კუთხური ენების (მეგრული, სვანური, აფხაზური) ანბანის შექმნით.

მაგალითად, 1855 წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. რუსულ ანბანზე დაყრდნობით შემუშავდა მეგრული ანბანიც. დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე გადმოთარგმნა, მაგრამ ეს თარგმანები იმდენად უცხო და ხალხისათვის სავსებით გამოუსადეგარი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ სიცილს იწვევდა მკითხველში[2].

რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დარჩა აფხაზეთი და აფხაზური ენა. პ. უსლარმა კირილიცას საფუძველზე შექმნა აფხაზური ანბანი. რუსეთის დიდმპყრობელურ საგანმანათლებლო პოლიტიკას აფხაზეთში ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ადგილობრივი რუსი-კოლონისტები. მათ შექმნეს „ჭეშმარიტი რუსების კავშირი“ და ყველა ხერხით ცდილობდნენ

---

[1] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. 3, ბათუმი, 2008, გვ. 63.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970, გვ. 647.

სოხუმის ოლქში ამოეფხვრათ ქართული ენის გამოყენების შესაძლებლობა როგორც სკოლებში, ისე ზოგადად – რეგიონში, გაეთიშათ და ერთმანეთთან დაეპირისპირებინათ ქართველები და აფხაზები.

ასეთივე წესით შეუქმნეს ანბანი სვანებს – ე.წ. „ლუშნუ ანბან“. მისი ავტორი იყო აფხაზური ანბანის შემქმნელი ცნობილი „ანბანოლოგი“ – პ. უსლარი. ამ ანტიქართულ წამოწყებას იდეოლოგიური სარჩული ასეთი ჰქონდა: „ვითომ ქართული ენა არ არის სვანებისათვის მშობლიური ენა, სვანური ენა არის სრულიად უცხო ენა, რომელსაც არავითარი ნათესაობა არა აქვს ქართულ ენასთან, ამიტომაც სვანებს უჭირთ ქართულის სწავლა და უფრო მიდრეკილება აქვთ და ეადვილებათ რუსული ენის სწავლა. სინამდვილეში ეს იყო თავისებური ხერხი სვანების გარუსებისა და დენაციონალიზაციისა“.

იმპერიული განათლების მანქანა მთელი ენერგიით მუშაობდა. თუკი 1878 წელს საქართველოში ჯერ კიდევ იყო მცირე პროცენტი (17,9) სკოლებისა, სადაც მხოლოდ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა ბავშვების სწავლება, 1900 წელს საქართველოში ასეთი არცერთი სკოლა აღარ ჩანს. სამაგიეროდ გაიზარდა იმ სკოლების რაოდენობა, სადაც მხოლოდ რუსულ ენაზე ისწავლებოდა საგნები: 49,8 პროცენტიდან (1978 წ.) 88,1 პროცენტამდე (1901 წ.) გაიზარდა.

ქართულ საზოგადოებრიობას სერიოზულ პრობლემებს უქმნდა ქართველთა პოლიკონფესიური შემადგენლობაც, რაც ერის კონსოლიდაციის პროცესს სერიოზულად აფერხებდა.

როგორც დასტურდება, XIX საუკუნეში მონოფიზიტური რელიგიის აღმსარებელი ქართველები – გრიგორიანელები საკმაოდ მრავლად იყვნენ და ისინი თითქმის ყველგან ცხოვრობდნენ, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, კახეთში, ქართლში, იმერეთშიც კი.

ქართველთა „გასომხების“ შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებს და ღვთისმსახურებს. ისინი თვლიან, რომ „ქართველთა ერთი ნაწილის გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა მარ-

თლაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მეზობელი თურქი დამპყრობლის ბატონობით და სამხრეთ საქართველოს ჩამოცილებით; ხოლო, მეორე მხრივ, სპარსთა, ლეკთა და სხვა მტრების დაუსრულებელი შემოსევებით... ქართველი მეფეები ხან ისლამს ადიარებდნენ, ხან კი კათოლიკური ეკლესიის ქვეშევრდომობას... უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ხალხის ერთი ნაწილი საქართველოში „მოღვაწე“ სომეხმა ტერტერებმა „სომხურ სარწმუნოებაზე“ – გრიგორიანობაზე მოაქციეს“[1].

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) ქართველთა „გასომხებას“ ანუ, გრიგორიანულ აღმსარებლობაზე გადასვლას შემდეგი მიზეზებით ხსნის: „...თბილისსა და ქვემო ქართლში, მაჰმადიანთა ბატონობის დროს, ქართული მოსახლეობა ძირითადად სომხურ ეკლესიას ეკედლებოდა, რაც გამოწვეული იყო სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით, სომხურ ეკლესიას შეეძლო ტყვეთა დახსნაც და სამშობლოში დაბრუნებაც“[2].

ისტორიკოსები ხაზგასმით იმასაც მიანიშნებენ, რომ ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების ერთ-ერთი გზა იყო „ქართველ მეფეთა მიერ ეჩმიაძინისა და ახპატის მონასტრებისათვის გლეხთა შეწირვა. ქართველ თავადაზნაურთა რამდენიმე გვარის (თუმანიშვილი, ბებუთიშვილი, ბეგთაბეგიშვილი) ზოგიერთი შტო გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი იყო, რომლებსაც თავიანთი ქართველი ყმები მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე მოაქციეს.

ქართველთა „გასომხების“ პროცესმა საკმაოდ შემაშფოთებელი სახე მიიღო XIX საუკუნის დასასრულს. ქართველი მამულიშვილები აღნიშნავდნენ, რომ „დღეს მთელი ქართლ-კახეთი და მრავლად იმერეთიც სავსეა ქართველი გრიგორიანელებით, მათ ყველას კარგად ეტყობათ, რომ იგინი შთამომავლობით **ნამდვილი ქართველები** (ავტორის სტი-

---

[1] შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე, სომხები საქართველოში, თბ., 1998, გვ. 73.

[2] მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება, მანგლის-წალკის ეპარქია, 1999, გვ. 13.

ლი დაცული, ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) უნდა იყვნენ და არა სომხები“.

მეტად საინტერესოდ გვეჩვენება იმჟამინდელი ქართველი დამკვირვებლების ერთი საგულისხმო შენიშვნაც: „40 წლის წინათ ქართველ გრიგორიანელებს ნამდვილი ქართული გვარების სომხურად გადაკეთება დაუწყეს და ყველას გვარი – ტერით და იანცით გადაასხვაფერეს“[1].

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში კათოლიკეთა რაოდენობა მაინცდამაინც დიდი არ იყო: თბილისში სულ 55 კათოლიკე ოჯახი ივარაუდება, გორში – 30. შედარებით მრავლად იყვნენ კათოლიკები ახალციხეში – დაახლოებით 450 ოჯახი. 1818 წელს საქართველოში, როგორც ვარაუდობენ, დაახლოებით 9 ათასი კათოლიკე ცხოვრობდა[2].

ახალციხეში კათოლიკებს ჰქონდათ ლათინურ ყაიდაზე მოწყობილი ერთი პატარა მონასტერი და ყოვლადწმინდა მარიამის მცირე ზომის ეკლესია. იმჟამად კათოლიკე მღვდლები ძირითადად არაქართველები – იტალიელები იყვნენ და მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რომთან, რაც გარკვეული საფრთხის შემცველი იყო, რადგან მათ უკან ძლიერი ორგანიზაციული სტრუქტურა იდგა რომის კურიის – „პროპაგანდა ფიდეს“ სახით, რომელსაც პროპაგანდისა და აგიტაციის კარგად დამუშავებული სისტემა ჰქონდა და ყველაფერს აკეთებდა საქართველოში მორწმუნეთა რაოდენობის გასამრავლებლად, რა თქმა უნდა – მართლმადიდებელი მრევლის გადაბირების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთის ადმინისტრაცია არ ახალისებდა კათოლიკე მღვდლების მოღვაწეობას საქართველოში (გარკვეული დროიდან მათ აეკრძალათ კიდეც მართლმადიდებელი ქართველების „გაკათოლიკება“), მაინც, კათოლიკე მრევლი საქართველოში თანდათან გაიზარდა. მიხეილ თამარაშვილის ცნობით XIX საუკუნის და-

---

[1] შავშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

[2] მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995. გვ. 306-307.

სასრულს საქართველოში კათოლიკეთა რაოდენობა უკვე 40 ათასს აღწევდა[1].

რუსეთის იმპერიაში ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგებით საქართველოში კათოლიკეები იყვნენ: თბილისის გუბერნიაში 11 544 კაცი[2]; ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 4 260[3], სულ 15 804 კაცი, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ ციფრთან შედარებით, რასაც მ. თამარაშვილი ასახელებს.

ქართველების კონსოლიდაციის საქმეში კიდევ უფრო რთული ბარიერები აღიმართა და სერიოზული პრობლემებიც გამოჩნდა მაჰმადიან ქართველებთან დაკავშირებით. მოსახლეობის ეს ჯგუფი საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. 1897 წლის აღწერით სულ საქართველოში 306 648 მუსლიმი ცხოვრობდა, მათ შორის თბილისის გუბერნიაში – 189 028 კაცი, ქუთაისის გუბერნიაში – 117 620 კაცი. მათი ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობის საერთო შემადგენლობაში მხოლოდ 14,5 პროცენტი იყო.

საქართველოში სხვადასხვა წარმომავლობის მაჰმადიანი ცხოვრობდა: თურქები ქართული წარმომავლობით, ეთნიკური თურქები, სომეხი-თარაქამები, ლეკები, დაღესტნელები, ჩეჩნები (ქისტები), აფხაზების ნაწილი და ა.შ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ორი ეთნოსის – თათრებისა და თურქების რაოდენობა და მათ მიერ მშობლიურ ენასთან დამოკიდებულების საკითხი.

თბილისის გუბერნიაში შედიოდა მაჰმადიანებით დასახლებული ის რეგიონები, რომლებიც რუსეთმა 1829 წელს წაართვა თურქეთს: ახალციხე, ახალქალაქი. ამათ გარდა მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობდა ბორჩალოს მაზრაში, ზაქათალაში, მცირე რაოდენობით – სიღნაღსა და თელავში. მაჰმადიანი მოსახლეობა ძირითადად სოფლად ბინადრობდა

---

[1] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 737.

[2] Первая Всеобшая перепись населения Российской Империи 1897. Тбилисская губерния, стр. 74.

[3] Первая Всеобшая перепис населения Российской Империи 1897. Кутаисская губерния, стр. IX.

(179 981 კაცი), ქალაქში მაჰმადიანების მეტად უმნიშვნელო ნაწილი (9047 კაცი) თუ ცხოვრობდა. მსგავსი მდგომარეობა იყო ქუთაისის მაზრაშიც – იქაც მუსლიმები ძირითადად სოფლად ცხოვრობდნენ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ქართული წარმომავლობის მაჰმადიანები, მათი დამოკიდებულება ქართულ ენასთან, ქართულ წარსულთან, ქართულ ცივილიზაციასთან. ამის შესახებ კი უპირველეს ინფორმაციას იძლევა ადამიანის დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან.

თბილისის გუბერნიის მაჰმადიანთა შორის თურქული მშობლიურად დაასახელა მხოლოდ 24 722 კაცმა, თათრული – 107 383 კაცმა.

ახალქალაქსა და ახალციხეში ცხოვრობდნენ მუსლიმები, რომლებზეც ტრადიციულად ვრცელდებოდა ეთნონიმი „მაჰმადიანი ქართველი“ ან უფრო სწორი იქნება მათ ვუწოდოთ „თურქი ქართული წარმომავლობით“. ასეთი კატეგორია ახალქალაქის მაზრაში იყო 6 572 კაცი, ახალციხეში – 37 742 კაცი.

ახალქალაქში მცხოვრებმა მაჰმადიანებმა მშობლიურ ენად თათრული დაასახელეს. ახალციხეში თათრული ენა მშობლიურ ენად დაასახელა მხოლოდ 12 370 კაცმა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თათრულ ენაზე ყველა მოსაუბრე მაჰმადიანი ქართული წარმომავლობისაა?

როგორც დასტურდება, XIX საუკუნის დასასრულს ქართული წარმომავლობის მაჰმადიანებზე ზეგავლენის მოსაპოვებლად, კონკრეტული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სერიოზული პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა გაჩაღდა.

თურქეთის იმპერია, რომელიც რუსეთის მიერ XIX საუკუნის მანძილზე მისთვის წართმეულ ტერიტორიებსა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას თავისი ქვეყნის ორგანულ ნაწილად და დროებით უკანონოდ წართმეულ ტერიტორიებად თვლიდა, ყოველმხრივ ცდილობდა კავშირი და ზეგავლენა არ დაეკარგა ამ მოსახლეობაზე. „ოსმალეთმა ომის შედეგად დაკარგული ნახსენები ტერიტორიები (იგულისხმება რუსეთთან ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები – ა.დ.)

არ დაივიწყა და არც აქაური ხალხი დაემორჩილა რუსეთთან შეერთებას“ – აღნიშნავს თანამედროვე თურქი ისტორიკოსი ესინ დაი.

თურქეთის სახელმწიფო ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი მეთოდით ცდილობდა საკუთარი ზეგავლენა შეენარჩუნებინა ამ „ჩრდილოეთის ტერიტორიებზე“, რაშიც აქტიურად იყენებდა არა მარტო თავის საიდუმლო ემისრებს, არამედ ადგილობრივ მოლებსა და ხოჯებს.

ქართული საზოგადოებრიობის დაშლას, ამჯერად კლასობრივი პრინციპით და რევოლუციური ბრძოლებით, ცდილობდა ევროპაში უკვე საკმაოდ განმტკიცებული და რუსეთის იმპერიაში გადმონერგილი სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიაც.

ჩვენ ზემოთ სპეციალურად შევჩერდით საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე. ვაჩვენეთ, რომ საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ბურჟუაზიის კლასი – მდიდარი ადამიანების ერთობლიობა, რომელიც მატერიალურ რესურსებს აბანდებდა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით წინ სწევდა ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ისიც აღინიშნა, რომ კაპიტალის პირველადი დაგროვების პერიოდის ურთიერთობები – სიხარბე, უსამართლობა, მოტყუება, ექსპლოატაციის ბარბაროსული ფორმები უკიდურესობამდე ამძაფრებდენენ დამქირავებელთა და დაქირავებულთა თანაცხოვრებას.

ბურჟუაზიასთან ერთად საქართველოში თანდათან პროლეტარიატიც ჩამოყალიბდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ იყო „კლასი სხვისთვის“, იმისათვის, რომ გამხდარიყო „კლასი თავისთვის“ – ამას დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.

საქართველოში პროლეტარიატიც ძალზე მრავალეროვანი იყო. ამიერკავკასიის დედაქალაქი, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი – თბილისი ღრუბელივით იზიდავდა მთელი ამიერკავკასიის „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ“.

საქართველოს პროლეტარიატის მრავალეროვანი შემადგენლობა ხელს აძლევდა დამქირავებელს, რადგან მას შეეძლო წარმატებით ეთამაშა მუშათა ეროვნულ განსხვავებაზე, ეროვნულ დაპირისპირებაზე, ჩამოეგდო მათ შორის შუღლი, ხელი შეეშალა მათი კლასობრივი კონსოლიდაციისათვის, ამ საშუალებით ძირს დაეწია მუშა ძალის ფასი „შრომის ბირჟაზე“, საჭიროების შემთხვევაში ისინი ერთმანეთზე წაექეზებინა, ხელი შეეშალა კლასობრივი სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბებისათვის, ერთიანი ანტიბურჟუაზიული ფრონტის შექმნისათვის.

მაგრამ მოხდა ისე, რომ მუშათა კლასობრივი თვითშეგნების ზრდის პროცესი დაემთხვა საქართველოში მარქსისტული მოძღვრების, სოციალ-დემოკრატიული აზროვნების განვითარებას ქართველ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფში. მარქსის ეკონომიკური მოძღვრების შესახებ გარკვეული ინფორმაცია საქართველოში უკვე XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ჰქონდათ, მაგრამ ამ პოლიტიკური მიმართულების აშკარა მიმდევრები საქართველოში 90-იან წლებში გამოჩნდნენ.

1892 წელს ე. ნინოშვილისა და მ. ცხაკაიას ინიციატივით ზესტაფონში მოეწყო მარქსისტულ პოზიციებზე მდგომი ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენტების შეკრება – კონფერენცია. აქ იყვნენ ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ი. რამიშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვები. შეკრებაზე შეეცადნენ სამოქმედო პროგრამა მიეღოთ. კონფერენციამ უარყო ნაციონალიზმი და მტკიცედ დადგა ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე[1].

სულ მალე სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ორგანიზაციულადაც გაფორმდა, შემუშავდა წესდება, ორგანიზაციას ჰქონდა ლეგალური გაზეთი „კვალი“, – პირველი ლეგალური მარქსისტული გაზეთი რუსეთის იმპერიაში. ამ ახალ მიმდინარეობას ცნობილი ქართველი მწერლის – გ. წერეთლის ხატოვანი გამოთქმით „მესამე დასი“ დაერქვა და

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 39.

ამ სახელწოდებით შევიდა საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში.

1894 წელს ე. ნინოშვილის დაკრძალვაზე ქართველმა მარქსისტებმა პირველი საჯარო გამოსვლა მოაწყვეს. მწერლის საფლავზე ს. ჯიბლაძემ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის არაოფიციალურ მანიფესტად არის მიჩნეული: „ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორ ახალ, ერთიმეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით – ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით – მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები, პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა...“[1].

ასე და ამგვარად ჩაისახა საქართველოში და, გარკვეული სუბიუქტური თუ ობიექტური პირობების ზეგავლენით, საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგიც მოიპოვა იმ იდეოლოგიამ, რომელიც ძალიან მალე სერიოზულ პრობლემებსა და გამოწვევებს შეუქმნის როგორც ქართულ საზოგადოებრიობას, ასევე რუსეთის უკვე ძირმომპალ იმპერიას.

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 41.

თავი III

მსოფლიო ომის მისადგომებთან

§1. ახალი ეპოქა

XX საუკუნის დადგომას კაცობრიობა დიდი იმედებით შეხვდა – ყველა ოცნებობდა ბედნიერ, ნათელ და ღირსეულ მომავალზე, ეკონომიკური კრიზისების, სახელმწიფოთა შორის გადაულახავი კონფლიქტებისა და სისხლიანი დაპირისპირებების გარეშე ცხოვრებაზე; მაგრამ ისტორიის განვითარების ლოგიკამ XX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში გადააქცია ყველაზე უფრო დრამატულ, სოციალური კატაკლიზმებისა და სისხლისმღვრელი ომების არენად, სოციალისტური ექსპერიმენტებისა და რადიკალური რეფორმების ასპარეზად, რამაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საუკუნე დაიწყო იმით, რომ უკვე იანვარში, 81 წლის ასაკში აღესრულა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, მართლაც დიდებული დედოფალი ვიქტორია – მონარქი, რომელიც 64 წელი მეფობდა და მთელი ეპოქა შექმნა საკუთარი ქვეყნის ისტორიაში. ხელმწიფე-დედოფალი, რომელიც მეფობდა და არა მართავდა, რომელსაც არც ერთი ომისათვის არ უხელმძღვანელია და რომელსაც „სეფე-სიტყვასაც“ პრემიერ-მინისტრი უწერდა, წარმოუდგენლად პოპულარული იყო არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

დედოფალმა ვიქტორიამ შთამომავლობას ეკონომიკურად ძლიერი და ტერიტორიულად მნიშვნელოვნად განვრცობილი ქვეყანა დაუტოვა. იმ დროისათვის ინგლისის კოლონიალური იმპერია თითქმის ნახევარ მსოფლიოს მოიცავდა: ინდოეთი, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და მრავალი სხვა დიდი თუ პატარა ქვეყანა უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ინგლისის სახელმწიფო ძლევამოსილ სისტემას და სწორედ ისინი უქმნიდნენ მატერიალურ საფუძველს მეტროპოლიას, რათა სხვა ქვეყნებთან

შედარებით, ის მუდამ დაწინაურებული ყოფილიყო ეკონომიკურად, სოციალურად და კულტურულად.

დედოფალ ვიქტორიას პოპულარობას ევროპაში განაპირობებდა ისიც, რომ იგი გახლდათ „ევროპის ბებია“ (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით): მისი ხუთი ქალიშვილიდან რამდენიმე ევროპის წამყვანი და ძლიერი ქვეყნის დედოფალი გახდა, ხოლო შვილიშვილებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი – გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II და რუსეთის დედოფალი ალექსანდრა თევდორეს ასული (ქალიშვილობაში: ვიქტორია-ალისა ჰესენ-დერმიშტადტელი).

როგორც ცნობილია, გერმანიის იმპერატორს ძალიან უყვარდა თავისი ბებია. ვილჰელმ II-მ შეძლო და სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მოინახულა კიდეც ღრმად მოხუცი დედოფალი და ამით მისი კეთილი ღიმილიც დაიმსახურა.

რუსეთის დედოფალი ალექსანდრა თევდორეს ასული საერთოდაც ბებიის გაზრდილი იყო: დედის – ალისა დიდბრიტანელის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ დიდმა დედოფალმა პატარა გერმანელი პრინცესა თავისთან, ინგლისში წაიყვანა და მისი სწავლა-განათლების საქმეს თვითონ ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი (რომელმაც, შესაძლოა, პატარა გოგონას მომავალ ბედისწერაზეც სერიოზულად იმოქმედა), რომ მისი ერთ-ერთი ნათლია იყო რუსეთის მომავალი იმპერატორი და მისი მომავალი მამამთილი – ალექსანდრე III: მართლმადიდებლური ტრადიციით კი ეს დიდ ცოდვად ითვლება.

ამასთან ერთად, სწორედ დედოფალმა ვიქტორიამ უანდერძა თავის საყვარელ შვილიშვილს საშინელი გენეტიკური დაავადებაც – ჰემოფილია, დღესაც კი სისხლის მძიმე და განუკურნებელი დაავადება, რაც ვიქტორიას მამაკაც მემკვიდრეებს შორის ბევრს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა.

გვინდა მკითხველს ისიც შევახსენოთ, რომ ინგლისისა და რუსეთის სამეფო ოჯახები ისედაც უკვე დანათესავებულები იყვნენ: დანიის ცნობილ მეფეს ქრისტიან IX-ს (მას ხუმრობით „ევროპის სიმამრსაც“ უწოდებდნენ) ქალიშვილე-

ბიდან უფროსი ალექსანდრა – უელსის პრინც ედუარდზე (შემდგომში დიდი ბრიტანეთის მეფე ედუარდ VII) იყო გათხოვილი, ხოლო მეორე – პრინცესა დაგმარა (რუსეთში მარია თევდორეს ასულად წოდებული) რუსეთის იმპერატორზე – ალექსანდრე III-ზე, ანუ ინგლისის ტახტის მემკვიდრე და რუსეთის იმპერატორი ქვისლები იყვნენ. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის საოცარი მსგავსება, რითიც გამოირჩეოდნენ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II და ინგლისის მომავალ მეფე გეორგ V, ე.წ. „ტყუპი“ დეიდაშვილები.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს პირველი აქსიომა – ინგლისის, გერმანიისა და რუსეთის სამეფო ოჯახები ახლო ნათესაურ კავშირში იყვნენ და ფაქტობრივად სამივე დინასტია გერმანული წარმომავლობისა იყო: ვილჰელმ II ჰოჰენცოლერნების გვარის წარმომადგენელი იყო, ედუარდ VII – საქსენ-ქობურგ-გოთის, ხოლო ნიკოლოზ II – რომანოვ-ჰოლშტეინ-გოტორპი.

მეორე აქსიომა: ასეთ მჭიდრო ნათესაურ კავშირს უნდა უზრუნველეყო საყოველთაო მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება ევროპასა და მთელს მსოფლიოში, მაგრამ სახელმწიფოთა შორის გადაულახავი წინააღმდეგობები, როგორც ეს ისტორიის განვითარების მაგისტრალურმა ხაზმა აჩვენა, სწრაფად ანეიტრალებდა ნათესაურ სიახლოვეს – საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ დედოფალს ვიქტორიას არ უყვარდა თავისი უფროსი შვილიშვილი, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II და ეს განწყობა გადასცა როგორც თავის ვაჟს – ედუარდ VII-ს, ისე თავის შვილიშვილს – გეორგ V-ს.

დედოფალი ვიქტორია დიდი პატივით დაკრძალეს, დედოფლის გასვენებას უამრავი ხალხი ესწრებოდა; ვიქტორია თავის ქვეშევდომებში დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდა. დაკრძალვის ცერემონიალი დედოფლის ანდერძის მიხედვით განახორციელეს: დედოფლის კუბო ზარბაზნის ლაფეტზე დააბრძანეს და ის ექვსცხენიან კორტეჟს უნდა წაესვენებინა საბოლოო განსასვენებლამდე. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – კორტეჟის მედოლეებმა, რომლებიც ლაფეტს უკან მიჰყვებოდნენ, მოულოდნელად დოლზე ბრახუნით ისეთი გნიასი ატეხეს, რომ კორტეჟის

ცხენები დაფრთხნენ, ლაფეტთან დამაკავშირებელი ღვედები გაგლიჯეს, აიწყვიტეს და დედოფლის კუბო მიატოვეს. შექმნილი უხერხულობა მალევე გამოსწორდა: ერთი გონიერი კაცის რჩევით, დედოფლის კუბო სამარემდე მიაცილა ასამდე სამხედრო მეზღვაურმა, რომლებმაც საზღვაო ბაგირები გამოაბეს ზარბაზნის ლაფეტს და ასე ტაატით, ნელა-ნელა მიიტანეს იგი დანიშნულ ადგილამდე. ეს მიგნება იმდენად ღრმა შინაარსის აღმოჩნდა და, ამასთან, იმდენად გულისამაჩუყებელი, რომ მონარქის დაკრძალვისას ინგლისში დღესაც ამ წესს აძლევენ უპირატესობას.

ტახტზე ავიდა ედუარდ VII, საკმაოდ ენერგიული და, იმ დროისათვის, ცოტა არ იყოს, ხანშიშესული. ინგლისის ისტორიაში ის ცნობილია იმით, რომ ყველაზე ხანგრძლივად ინარჩუნებდა უელსის პრინცის საპატიო ტიტულს და გამოირჩეოდა მექალთანეობით, რაზეც დედოფალი ალექსანდრა მუდამ თვალს ხუჭავდა. ინგლისის მეფის სასიყვარული გამარჯვებებს შორის ახსენებენ ცნობილი ფრანგი მსახიობის სარა ბერნარის სახელსაც...

ამ მონარქმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა თავის „ძვირფასი დისშვილის“ მიმართ არსებული ანტიპათიური დამოკიდებულება ქვეყნებს შორის ურთიერთობებზეც გავრცელებულიყო. ამის მიზეზი კი მხოლოდ დისშვილის მიმართ არსებულ სუბიექტურ გუნება-განწყობილობებში არ უნდა ვეძებოთ (როგორც ამას დღეს ზოგიერთი ინგლისელი ისტორიკოსი ცდილობს), ამის მიზეზი კიდევ უფრო ღრმაა და მეცნიერ-ისტორიკოსის განსჯას ექვემდებარება...

ედუარდ VII-მ დედისაგან ჩაიბარა ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი, სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით დაწინაურებული, უძლიერესი სამხედრო სახელმწიფო, რომელიც თითქმის ნახევარ მსოფლიოს აკონტროლებდა. ერთადერთ საფრთხეს, რომელსაც ინგლისის კოლონიალური იმპერიისათვის, სერიოზული პრობლემების შექმნა შეეძლო, წარმოადგენდა დიდი და მზარდი ამბიციების მქონე, მსოფლის ხელახალი გადანაწილების მოტრფიალე – მისი „ძვირფასი დისშვილი“ ვილჰელმ II.

გერმანიის იმპერატორი ძლიერ არ უყვარდა რუსეთის დედოფალსაც – ალექსანდრე თევდორეს ასულსაც, თუმცა ისინი ალალი დეიდაშვილები იყვნენ და საერთო ბებია ჰყავდათ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გერმანიის იმპერატორის მიმართ ეს ძლიერი ანტიპათია რუსეთის დედოფალს სწორედ ბუკინგემის სასახლეში გაუჩნდა – თავისი სახელოვანი ბებიის ვიქტორიას ოჯახში, სადაც გამორჩეულად სძულდათ გერმანიაც და მისი ახალგაზრდა იმპერატორიც.

ალექსანდრა თევდორეს ასულმა ეს ანტიპათია გადასცა თავის მეუღლეს – ნიკოლოზ II-ს, რომელზედაც განუსაზღვრელი ზეგავლენა ჰქონდა და თვითონაც აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. ეს გარემოება კი გახდა იმის საფუძველი, რომ ნიკოლოზ II თანდათან მთლიანად გაემიჯნა გერმანიას და უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარა ინგლისთან და მის მოკავშირეებთან.

თუ 1901 წელი ინგლისში გლოვით დაიწყო, რუსეთის იმპერია 1901 წელს 100 წლის იუბილეს ზეიმობდა: ქუთაისელ თავადაზნაურობას გაუჩნდა აზრი, დიდი ზარ-ზეიმით აღენიშნათ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი; ამ წინადადებით მათ მიმართეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას. შეიქმნა ერთობლივი საიუბილეო კომიტეტი, დამუშავდა საზეიმო ღონისძიებების გეგმა, საბოლოოდ დადგინდა მოსაწვევი საპატიო სტუმრების სიებიც. ყველაფერი ეს შეუთანხმეს კოლონიალურ და ცენტრალურ ხელისუფლებას, არ დაივიწყეს საქართველოს ეგზარქოსიც და თბილისში დიდი ორგანიზაციული მუშაობა გაჩაღდა.

1901 წლის 25 სექტემბერს რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოს "შეერთების" 100 წლისთავი საზეიმოდ აღნიშნა. საიუბილეოდ თბილისს ეწვია დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე (საქართველოს ყოფილი მეფისნაცვალი) ოჯახითურთ, საბერძნეთის დედოფალი ოლგა (რომანოვების სამეფო გვარიდან) შვილებთან ერთად. ზეიმში მონაწილეობდნენ თბილისში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, უმაღლესი სამღვდელოება, სხვადასხვა სოციალური ფენის ღვაწლმოსილი და სახელო-

ვანი პირები. სიონის საკათედრო ტაძარში ჩატარდა სამადლობელო წირვა.

საქართველოს მთავარმართებლის სასახლეში მოეწყო საზეიმო მიღება, რომელზეც დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ წაიკითხა რუსეთის იმპერატორისა და „საქართველოს მეფის“ ნიკოლოზ II-ის საიუბილეო რესკრიპტი, რომელშიც ხაზგასმული იყო: „**საქართველოს** (და არა ქართლ-კახეთის, ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) რუსეთთან შემოერთების 100 წლის შესრულების მნიშვნელოვანი დღესასწაულის დღეს, სიამოვნებით ვიგონებ ამ სახელოვან ისტორიულ გარემოებას... მოვიგონებ ქართველ თავად-აზნაურთა რუსეთის წინაშე ღვაწლს, რომელიც არა ერთხელ მოწყალედ დაფასებულა ჩემთა წინაპართაგან და ვუცხადებ თავადაზნაურობას ჩემს იმპერატორულ და მეფურ სათნოებას“.

შემდეგ რუსეთის იმპერატორი ჩამოთვლიდა იმ წყალობას, რაც მან გაიღო საქართველოსათვის სწორედ ამ „დიდი ისტორიული თარიღის“ აღსანიშნავად: 1. კავკავში დაარსდეს კადეტთა კორპუსი; 2. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა შვილების აღსაზრდელად ხაზინიდან დამატებით გაიცეს ყოველწლიურად 40 ათასი მანეთი...; 3. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურები და მემამულეები სამი წლით განთავისუფლდნენ სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადებისაგან და ა.შ.[1]

ამ გულუხვ ჩამონათვალში განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი მუხლი – კავკავში (დღევანდელ ვლადიკავკაზში), ოსების დედაქალაქში, დაარსდეს კადეტთა კორპუსი – როგორც ჩანს, ნიკოლოზ II ჩინებულად იცოდა, რომ კავკასიონის ორივე მხარეს ოსებით დასახლებული ტერიტორიები, იურიდიულად და ფაქტობრივადაც, ისტორიულად საქართველოს მეფე-მონარქებს ეკუთვნოდათ და მათ საქართველოს უკავშირებდა. სხვა მხრივ გაუგებარია ამ ისტორიულ დოკუმენტში კავკავის ხსენება და იქ სამხედრო სასწავლებლის შექმნა, როგორც საქართველოს შეერთებასთან დაკავშირებული მეფური წყალობა.

[1] газ. «Кавказ». 1901 г, 27 сентября.

საიუბილეო დღესასწაულები სამი დღე გაგრძელდა. საზეიმო ღონისძიებებს ცვლიდა ქართველ თავადაზნაურთა მიერ მოწყობილი ბრწყინვალე სადილები, თეატრალური სანახაობები, ფოიერვერკები, გაჩახჩახებულ, გაწკრიალებულ თბილისში დიდი სახალხო სეირნობები.

ამ რესკრიპტს თავისი მნიშვნელობა დღესაც შენარჩუნებული აქვს – ფაქტობრივად ნიკოლოზ II-მ აღიარა „საქართველოს“ (და არა „ქართლ-კახეთის“) შეერთება რუსეთთან 1801 წელს და ამით კიდევ ერთხელ იურიდიულად დაკანონა ქართველი ხალხის საკუთრების იურიდიული უფლება იმ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის იმპერიაში საქართველოს ცნებას უკავშირდებოდა.

მაგრამ საქართველოს საზოგადოებრიობის ყველა ფენა ოვაციით როდი შეხვდა ამ იუბილეს. საქართველოს პროგრესული საზოგადოება, ინტელიგენციის დიდი ნაწილი მკვეთრად უარყოფითად აფასებდა რუსეთის კოლონიალიზმის 100 წელს. ხოლო ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთ პუბლიკაციებსა და პროკლამაციებში მოურიდებლად ახმოვანებდნენ ჭეშმარიტ სიმართლეს – ეს იყო „რუსეთის ხიშტის 100 წელი კავკასიაში“. პროკლამაციები, რომელიც კავკასიელმა სოციალ-დემოკრატებმა მასობრივი ტირაჟით დაბეჭდეს, ხაზს უსვამდნენ რუსული იმპერიალიზმის მტაცებლურ ბუნებას, მისი მხრიდან კავკასიის ხალხების ჩაგვრას, უსამართლობისა და ძალმომრეობის კულტის გავრცელებას კავკასიაში. ეს პროკლამაციები აშკარად მიანიშნებდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ მომზადებაზე, მათ ამბიციებსა და სოციალისტური საქმისადმი ერთგულებაზე.

საქართველოს შეერთების 100 წლის იუბილეს ზარზეიმით ჩატარებას არ შეეძლო გადაეფარა ის პრობლემები, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში უკვე შეიმჩნეოდა რუსეთის იმპერიაში, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ფინანსური – რუსეთის ხაზინას მუდმივად არ ჰყოფნიდა ფული.

სამაგიეროდ ეს ფული ბევრი ჰქონდა საფრანგეთის კომერციულ ბანკებს, რომლებიც მზად იყვნენ დაეფინანსები-

ნათ რუსეთის სახელმწიფო მანქანა, თუკი რუსეთი მომავალში, შესაძლო გართულებების დროს, უზრუნველყოფდა საფრანგეთის უსაფრთხოებას და აღმოუჩენდა სათანადო დახმარებას გერმანიის იმპერიის მხრიდან შესაძლო აგრესიის პირობებში.

რუსეთისაგან განსხვავებით, **საფრანგეთი** რესპუბლიკური სახელმწიფო იყო; საფრანგეთის ხელმძღვანელობასთან რომანოვებს არანაირი ნათესავური კავშირი არა ჰქონდათ, მაგრამ როგორც ისტორიულმა გამოცდილება დაგვანახებს, ფინანსური კავშირები და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობები კიდევ უფრო მტკიცე აღმოჩნდება, ვიდრე გენეტიკური თუ ნათესაური.

გარკვეულმა ეკონომიკურმა სიძნელეებმა რუსეთს საგარეო ვალის აღება აიძულა, რისი გაცემაც ფრანგმა ბანკირებმა სასწრაფოდ დაიწყეს. რაც დრო გადიოდა, რუსეთი სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა საფრანგეთის ვალებში, რამაც მომავალში მისი პოლიტიკური და სამხედრო ვალდებულებებიც განაპირობა.

XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთი საბოლოოდ გადაიქცა მსოფლიოს წამყვან ზესახელმწიფოდ, რომელიც, ინგლისის მსგავსად, უზარმაზარ კოლონიებს ფლობდა. საფრანგეთი უკვე მთლიანად აკონტროლებდა ალჟირს, ცენტრალურ აფრიკას, კოხინხინის იმპერიას (ვიეტნამს), პოლინეზიას, მარტინიკას, ახალ კალედონიას და ბევრ სხვა ტერიტორიას.

იაფი სანედლეულო წყაროები და მუშახელი კოლონიებში საფრანგეთს აძლევდა შესაძლებლობას ძალუმად განევითარებინა თავისი სამრეწველო პოტენციალი, რამაც XX საუკუნის დასაწყისში უკვე დიდი შესაძლებლობები გამოავლინა. ექსპერტები მიუთითებენ, რომ ახალი საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მრეწველობის ზეაღმავლი განვითარების საფუძველზე ქვეყანაში ჩამოყალიბდნენ ძლიერი მონოპოლიური გაერთიანებები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიკაში. მაგალითად, „კომიტე დე ფორჟი“ აერთიანებდა საფრანგეთის დაახლოებით 250 მეტალურგიულ კომპანიას, რომელიც ქვეყანაში

დამზადებული თუჯისა და ფოლადის თითქმის ორ მესამედს აწარმოებდა.[1] სწორედ მათი გამართული მუშაობის შედეგი იყო ის, რომ XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში თუჯის გამოდნობა გაიზარდა 35 პროცენტით, ხოლო ფოლადისა კი – გაორმაგდა.

საფრანგეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საგარეო ვაჭრობაშიც – იგი იმჟამად უკვე ითვლებოდა მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის, ფუფუნების საგნების მთავარ მწარმოებლად მსოფლიოში. პარიზი მოდების მთავარ კანონმდებლად იყო მიჩნეული, ხოლო ფრანგული პარფიუმერია თითქმის მთელს მსოფლიოში ვრცელდებოდა.

XX საუკუნის დასიწყისში საფრანგეთში განსაკუთრებით გაძლიერდა ფინანსური სექტორი:ფრანგმა ბანკირებმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვეს, რასაც აქტიურად იყენებდნენ პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენების გასაფართოვებლად. სხვადასხვა ფორმით კაპიტალის გატანამ საფრანგეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა: 1900 წელს საფრანგეთმა საზღვარგარეთ გაიტანა 30 მილიარდი ფრანკი, რაც I იმპერიალისტური ომის წინა ხანებში თითქმის გაორმაგდა. საფინანსო სექტორის სიმტკიცე და სტაბილურობა ხელს უწყობდა საფინანსო სექტორის არა მარტო კონცენტრაციას, არამედ მის საერთო ზეაღმავალ განვითარებას. 1908 წელს საფრანგეთში უკვე 266 ბანკი ითვლებოდა, რომელთა შორის 55 პარიზში იყო განთავსებული. ექსპერტების აზრით, საფრანგეთის ბანკების „კომერციული პორტფელი“ XX საუკუნის დასაწყისში თითქმის 10-ჯერ გაიზარდა.[2] განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბარონ როტშილდის ფინანსური იმპერია, რომელსაც სერიოზული კომერციული ინტერესები ჰქონდა საქართველოში, კერძოდ, ბათუმში, სადაც ნავთობგადასაზიდი ბიდონების მწარმოებელ უზარმაზარ ქარხანას ფლობდა.[3]

---

[1] История Франции, т. 2, М.,1973, стр. 513.

[2] История Франции, т. 2, М.,1973, стр. 519.

[3] ა. დაუშვილი, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი 2, თბ., 2004, 109-160.

როგორც მარქსისტი ეკონომისტები ამტკიცებდნენ, XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ფინანსურმა იმპერიამ აშკარად შეიძინა „სავახშო იმპერიალისტური“ ხასიათი. ამის საფუძველს მათ აძლევთ ის გარემოება, რომ თუ საკუთარ ქვეყანაში ფრანგმა ფინანსისტებმა ინვესტიციის სახით ჩადეს მხოლოდ 9,5 მილიარდი ფრანკი, 1908 წელს საზღვარგარეთ გატანილი და უცხო სახელმწიფოთა ობილიგაციებსა და ფასიან ქაღალდებში ჩადებული კაპიტალი უკვე აჭარბებდა 104, 4 მილიარდ ფრანკს.[1]

თანამედროვე რუსი ეკონომისტები კი იმას ამტკიცებენ, რომ საზღვარგარეთ გატანილი ფრანგული კაპიტალის 40% რუსეთის იმპერიაში იყო განთავსებული, რის გამოც საფრანგეთს რუსეთის დიდი იმედები ჰქონდა გერმანიის წინააღმდეგ შესაძლო გართულების დროს: გერმანიის იმპერია საფრანგეთისათვის უკვე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან 1871 წლის წარმატებული სამხედრო ოპერაციის დროს მან მიიტაცა მისი ისტორიული პროვინცია – ელზას-ლოტარინგია და სერიოზული შურით ადევნებდა თვალს საფრანგეთის კუთვნილი კოლონიალური იმპერიის გაფართოებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის გარკვეულ წრეებში გერმანიის იმპერიის მიმართ მხოლოდ რევანშისტული და შოვინისტიური დამოკიდებულება ღვივდებოდა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა პოლიტიკასა და სამხედრო სფეროშიც. ფრანგი პოლიტიკოსები, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე იდეოლოგიის ფრონტიდან, გერმანიას მთავარ კონკურენტად თვლიდნენ და მოითხოვდნენ მის წინააღმდეგ ძლიერი საერთაშორისო კავშირების შექმნას, განმტკიცებას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. ფრანგული პოლიტიკის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ თ. დელკასე, ჟ. კლემანსო, რ. პუანკარე და სხვები, უდიდეს ენერგიას ახმარდნენ საფრანგეთის საზოგადოებრიობის მობილიზების საქმეს, რევანშისტული მისწრაფებების გაღვივებას, ქვეყა-

[1] История Франции, т. 2, М.,1973, стр. 519.

ნაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას. სწორედ თეოფილ დელკასემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ I მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის გარშემო ჩამოეყალიბებინა მტკიცე საერთაშორისო კავშირები, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო სწორედ გერმანიის იმპერიის წრეგადასული პრეტენზიების ასალაგმავად და საფრანგეთის რევანშისტული მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ არა ერთხელ დამოწმებული, ტელეკომპანია „BBC“ მიერ გამოკითხული არც ერთი ისტორიკოსი-ექსპერტი მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებს შორის საერთოდ არ ასახელებს ფრანგი პოლიტიკოსების ამ რევანშისტული მისწრაფებებს, რაც, ჩვენი აზრით, მათ შეხედულებებს დამაჯერებლობასა და ობიექტურობას აშკარად აკარგვინებს.[1]

როგორც ზემოთაც აღინიშნა, გერმანიის იმპერია „სწორედ მაშინ მივიდა მსოფლიოს გავლენის სფეროების გადანაწილების მაგიდასთან, როცა იქ ყველა ადგილი დიდი ხნის განაწილებული იყო“. ვილჰელმ II კი ასეთ ვითარებას ვერ ეგუებოდა და ცდილობდა მის ძალადობრივად გამოსწორებას, რადგან მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა თუ დიპლომატიური გზებით ამის მიღწევა საერთოდ შეუძლებელი ჩანდა. თანამედროვე ექსპერტების დიდი ნაწილი სწორედ მას მიიჩნევს I მსოფლიო ომის გაჩაღების მთავარ ინიციატორად, რაც ჩვენი აზრით მთლად მართებული შეხედულება არ უნდა იყოს. მაგალითად, სასექსის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, დოქტორი ჯონ როლი ვილჰელმ II-ის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „კაიზერ ვილჰელმ II-ის, ამ აგრესიული, ძალაუფლებისმოყვარე და სალდაფონი მონარქის 25 წლის მმართველობის შემდეგ, მის პოლიტიკას უკვე განსაზღვრავდა რწმენა მეფე-მონარქთა შეუმცდარი პოლიტიკური ანალიზის შესახებ, მისი სიძულვილგარეული დამოკიდებულებით დიპლომატიური სამსახურის მიმართ, რო-

[1] Кто развязал Первую мировую войну:10 версии. BBC News, 13 февраля 2014.

მელსაც ღრმად სწამდა, რომ გერმანიის მფარველ ღმერთს სწორედ ის და მისი ქვეყანა მიჰყავს წინ, გამარჯვებისაკენ.“[1]

ექსეტერის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის წარმომადგენელი, დოქტორი კატრიონა პენნელი კი ხაზგასმით მიუთითებს გერმანიის პოლიტიკურ ელიტაზე, რომელიც შეპყრობილი იყო „უმცროსი ბავშვის“ სინდრომით, შურით შესცქეროდა ევროპულ სახელმწიფოებს და ცდილობდა შეეცვალა არსებული ძალთა ბალანსი[2]

ჩემი აზრით, ასეთი მოსაზრებები ზედმეტად სუბიექტურია და მთლიანობაში არ ასახავს გერმანიის იმპერატორის მოქმედებებს ომის წინ, კრიზისის დროს თუ ომის გაჩაღების პერიოდში. ჩვენ ვთვლით, რომ „BBC“-ის გამოკითხვაში მონაწილე ინგლისელი ისტორიკოსები 100 წლის შემდეგაც არ გამოირჩევიან ობიექტურობით და სასურველს რეალურად წარმოაჩენენ. ან კიდევ უფრო მეტი – ისინი ღრმად არ იცნობენ I მსოფლიო ომის გამომწვევ რეალიებს, გერმანიის საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს, შეხედულებებს, მოსაზრებებს. მათი სურვილია, დაიცვან საკუთარი ქვეყნის ინტერესები, აშკარად პატრიოტული (შოვინისტური) პოზიციებიდან.

ახლა კი მოვუსმინოთ, თუ რას ამბობს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ქართველი ექსპერტი, გერმანიის XX საუკუნის ისტორიის კარგი მცოდნე, პროფ. ვ. ჩოჩია: „1882 წლის 20 მაისს გერმანიის ხელმძღვანელობით გაფორმდა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური კოალიცია გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და იტალიის შემადგენლობით, რომელმაც „სამთა კავშირის“ სახელწოდება მიიღო. ამ კავშირის აღმოცენება მოასწავებდა რეალურ საფრთხეს მშვიდობისათვის და მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააააღმდეგ. ასეთ პირობებში, პარიზსა და პეტერბურგში ცდილობდნენ ერთმანეთთან დაახლოებას, რომ თავიდან აეცილებინათ იზოლირებული მდგომარეობა გერმანიის წინაშე.“[3]

---

[1] იქვე, გვ. 4-5.

[2] იქვე, გვ. 8.

[3] ვ. ჩოჩია, გერმანია 1904-1914. თბ., 2008, გვ. 64.

ამრიგად, ვილჰელმ II-ს ტახტზე ასვლამდე (ეს ფაქტი მოხდა 1888 წ.) დიდი ხნით ადრე ცენტრალური ევროპის სამი ქვეყანა მათთვის მეტად მნიშვნელოვანმა მიზეზმა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც გააერთიანა და ეს მიზეზი ევროპასა და მსოფლიოში შექმნილი ცალკეული ქვეყნების უპირობო ჰეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ეს ჰეგემონია, ეს გამორჩეული მდგომარეობა, მსოფლიო ნედლეულის ბაზებსა და საერთაშორისო ბაზრებზე ჯერ კიდევ წარსულში ჩამოყალიბებული, არცთუ მთლად სამართლიანი „სტატუს-კვოს“ გადანაწილებას გულისხმობდა. ეს მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით შეუძლებელი ჩანდა, ამიტომაც ძალისმიერი მეთოდების კულტივირება იმჟამად იშვიათობას არ წარმოადგენდა – მას თითქმის ყველა წამყვანი ქვეყანა იყენებდა.

სწორედ აქედან გამომდინარე, ინგლისელი ისტორიკოსების მსჯელობები ვილჰელმ II-ს რაღაც სუბიექტური გუნება-განწყობილობების შესახებ, რაც საფუძვლად დაედო მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ ომს, უსაფუძვლოდ გვეჩვენება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II არაორდინალური პიროვნება იყო, რის გამოც ის ისტორიკოსთა მხრიდან გამორჩეულ ყურადღებას მოითხოვს.

უდავოა, მეფე-მონარქის ფსიქოლოგიურ გუნება-განწყობებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ ქვეყნებში, სადაც მეფე არა მარტო მეფობს, არამედ ქვეყანასაც მართავს. ასეთი ქვეყნები ჯერ კიდევ იძებნებოდნენ ევროპაში – გერმანია, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, სერბია და სხვ.

გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II, თავისი ბებიისაგან განსხვავებით, მეფობდა და კიდეც მართავდა ქვეყანას. ის ფსიქოლოგიურად ძლიერი პიროვნება ჩანს. არსებობს მისი აღმზრდელ-პედაგოგის გეორგ ერნსტ გინცპეტერის მოგონება, რომელსაც ჩვენც დავიმოწმებთ: „წარმოუდგენლად ძლიერი და განვითარებული ინდივიდუალი, რომელიც არასოდეს ემორჩილებოდა გარეშე ზეგავლენას, რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო ის; მასზე საერთოდ არ მოქმედებდა არავითარი ავტორიტეტი, ხოლო მასში ძალუმად განვითარე-

ბულმა მოვალეობის წმინდა გრძნობამ უზრუნველყო მასში განსაკუთრებით მკაცრი დისციპლინა“.

ვილჰელმის დედა, ინგლისელი პრინცესა ვიქტორია, ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა შვილის აღზრდა-განათლების საქმეს; სწორედ დედის გადაწყვეტილება იყო, რომ მომავალმა კაიზერმა განათლება მიიღო ჩვეულებრივ კლასიკურ გინაზიაში, სადაც მასთან ერთად გლეხის შვილებიც სწავლობდნენ. დედის ამ ექსპერიმენტმა მომავალ კაიზერს ძალიან დიდი გამოცდილება შესძინა, პირველ რიგში კი – ხალხთან ურთიერთობის ნიჭი, რაც მისი პოლიტიკური ხელოვნების ერთ-ერთი ძლიერი მდგენელი იყო.

შეუძლებელია, ინგლისელი დედის შვილს „გენეტიკური სიძულვილი“ ჰქონოდა ინგლისელი ხალხის მიმართ, რომლის კულტურულ მიღწევებს ის, უდავოდ, აფასებდა მაგრამ როგორც უაღრესად ორგანიზებული და დარაზმული ერის – გერმანელი ნაციის წინამძღოლს, მას არ შეეძლო არ დაენახა ის უსამართლო მდგომარეობა ევროპასა და მსოფლიოში, რაც შეიქმნა XX საუკუნის დასაწყისში და რამაც გერმანელ ხალხში და მის პოლიტიკურ ელიტაში გარკვეული უკმაყოფილების ელემენტი გააჩინა. გერმანიის იმპერატორს ასეთი ამბიციების გამოვლენის საფუძველს მისი ხალხის წარმოუდგენელი ორგანიზებულობა და დარაზმულობა აძლევდა, რაც ასე ძალუმად გამოვლინდა სწორედ გერმანიის გაერთიანების შემდეგ და მისი მმართველობის პირველ წლებში. აი, რას წერენ საქმეში ღრმად ჩახედული ექსპერტები: „XX საუკუნის დასაწყისში გერმანიამ ევროპაში სამრეწველო განვითარების მხრივ პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ამ პერიოდში სწრაფად გაიზარდა შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგები. მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება მნიშვნელოვნად განპირობებული იყო არმიისათვის საჭირო მოთხოვნილებებით, რკინიგზისა და გემთმშენებლობის განვითარებით. წარმოუდგენლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. მარცვლეულისა და კარტოფილის მოსავლიანობა 1909-1913 წლებში თითქმის გაორმაგდა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა

შრომის მექანიზაციამ და მინერალური სასუქების გამოყენებამ.[1]

ის, რომ XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის სამრეწველო პოტენციალი წარმოუდგენლად გაძლიერდა, საქართველოს ეკონომიკასაც საკმაოდ დაეტყო და, როგორც არა ერთხელ აღინიშნა, ამ პერიოდში გაიზარდა გერმანიის სამრეწველო გიგანტების ინტერესი ჭიათურის მარგანეცით და მისი შესყიდვით. ჯერ კიდევ 1879 წელს ჭიათურაში ჩამოვიდნენ ცნობილი გერმანელი ბიზნესმენის – კრუპის წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე გაეცვნენ მადნის მოპოვებისა და საზღვარგარეთ მისი გატანის შესაძლებლობებს.[2]

მოგვიანებით გერმანელებმა ჭიათურაში დააფუძნეს საზოგადოება „კავკასიის საბადოთა ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობით“. ამ ორგანიზაციამ ჭიათურაში თავისი ინტერესების დაცვა და საქმეთა წარმოება მიანდო ქართველ ინჟინერ-გეოლოგს ბარნაბ პაპავას. ამ ამხანაგობამ ჭიათურაში შეიძინა მადნით მდიდარი ნაკვეთები სოფლებში: პერევსში, შუქრუთში, რგანში. გერმანელთა ეს გაერთიანება ჭიათურაში XX საუკუნის დასაწყისში უკვე ფლობდა 503 ნაკვეთს და გაფორმებული ჰქონდა 106 საიჯარო ხელშეკრულება. 1913 წელს გერმანელებმა ჭიათურაში ააშენეს მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა და ის მოაწყვეს თანადროული ტექნიკისა და ტექნოლოგიის უმაღლესი მიღწევების გათვალისწინებით. ცოტა მოგვიანებით ჭიათურაში დამკვიდრდა გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი სააქციო გაერთიანება „გეზელკირხენის სამთო-სამრეწველო საზოგადოება“, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ გერმანიის სამრეწველო და საფინანსო ბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლები. როგორც ცნობილია, აქციონერთა შორის იყო თვითონ გერმანიის იმპერატორიც – ვილჰელმ II.[3]

---

[1] Всемирная история, т.7,М.,1960, стр. 403.

[2] ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიადნ, თბ., 1958, გვ.19.

[3] ნ. ლიპარტელიანი, მ. ჯოლბორდი, ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში (XIX ს.-XX საუკუნის I ოცწლეული), თბ., 2009, გვ. 119.

რა თქმა უნდა, როცა სახელმწიფოს მეთაური ხედავს თავისი ხალხის შემოქმედებით წინსვლას, ეკონომიკურ დაწინაურებას, რაც აისახა ეროვნული კულტურისა და მეცნიერების მძლავრ განვითარებაში, მას უდავოდ გაუჩნდება მზარდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ამბიციაც, რომ გამოასწოროს ისტორიის განვითარების უთანაბრობით გამოწვეული დისკრიმინაცია და მისცეს საშუალება თავის ქვეყანას უფრო მძლავრად გაშალოს ფრთები.

აქედან გამომდინარე შეიძლება არ გავამართლოთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის რეალობა, რაშიც აღმოჩნდა გერმანიის იმპერატორი XX საუკუნის დასაწყისში: იმჟამად დედამიწის ტერიტორიების 42,9% კოლონიას წარმოადგენდა, სადაც ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის 32,3%. დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში არსებული კოლონიებიდან ფლობდა 33 598,3 ათას კვმ, სადაც 393 831,6 ათას მილიონი კაცი ცხოვრობდა; საფრანგეთს ეკუთვნოდა 10 649,8 ათასი კვ.კმ, სადაც ცხოვრობდა 55 31,3 მილიონი კაცი. თვით პატარა ბელგიასა და ჰოლანდიასაც საკმაოდ სოლიდური კოლონიები ჰქონდათ; მაგალითად, ბელგია ფლობდა 2 365 ათას კვ.კმ 15000,3 ათასი მცხოვრებით. გერმანიის კოლონიალური იმპერია მხოლოდ ყალიბდებოდა, გერმანიის კაპიტალს მინიმალური წვდომა ჰქონდა მსოფლიო ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე – გერმანიის კაიზერს ემორჩილებოდა მხოლოდ 12 36.03 ათასი მოსახლეობა, განფენილი 2 952.9 ათას კვ.კმ-ზე. ვილჰელმ II-ის აზრით, ამ დიდ უსამართლობას სასწრაფოდ გამოსწორება სჭირდებოდა.

გერმანიის იმპერატორმა ჩათვალა, რომ ამ საქმეში მისი ერთგული მხარდამჭერი ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოსები იქნებოდა, რომელთანაც ნათესაურ-დინასტიური კავშირები მასაც აერთიანებდა.

ავსტრია-უნგრეთის იმპერია ევროპაში ტერიტორიით გამორჩეული სახელმწიფო იყო, მაგრამ გამორჩეულად თავისებურიც – ზედმეტად მრავალეროვანი, რაც სერიოზულად აფერხებდა სახელმწიფოს კონსოლიდირებას და ერთიანობას. სეპარატიზმი იმპერიის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა, ხოლო მრავალეროვანი მოსახლეობის ჰომოგე-

ნიზაცია სერიოზულ პრობლემად იყო მიჩნეული: იმპერიის შემადგენლობაში გაერთიანებული იყვნენ უნგრელები, ჩეხები, სლოვაკები, უკრაინელები, იტალიელები, ხორვატები. ებრაელები და სხვ.

თვითონ იმპერიის ცენტრი – ავსტრია, გერმანულენოვანი მცირე სახელმწიფო გაერთიანება უზარმაზარი იმპერიის შემადუღაბებელ როლს ვეღარ ასრულებდა. გარკვეული აზრით, ავსტრია-უნგრეთის სოციალ-პოლიტიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებს სამეფო დინასტიაში არსებული პრობლემებიც განააპირობებდა – ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოსები უკვე ღრმად მოხუცი იყო. მისი მეუღლე, ევროპულ მასკულტურაში ასე ოსტატურად გაღმერთებული დედოფალი ელისაბედი („სისი“) სახელმწიფოს მართვაში საერთოდ არ იღებდა მონაწილეობას და ვენის სასახლეს სულიად განერიდა – ძირითადად საზღვარგარეთ ცხოვრობდა და 1898 წელს, ჟენევაში, ქუჩაში სეირნობისას, იტალიელი ანარქისტის ხელით აღესრულა. მისი ერთადერთი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი რუდოლფ ჰაბსბურგი მაიერლინგის სანადირო სახლში, საეჭვო ვითარებაში, საყვარელ ქალთან ერთად მკვდარი იპოვეს. ამიტომ ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე გახდა მოხუცი იმპერატორის ძმისშვილი – ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი.

ასეთი უბედური ბედის მქონე სამეფო ოჯახი მრავალეროვანი სახელმწიფოს გამაერთიანებელი ძალა, რა თქმა უნდა, ვერ გახდებოდა და პრობლემებმაც ძალიან მალე იჩინეს თავი: XX საუკუნის დამდეგს მკვეთრად გამწვავდა ვითარება უნგრეთში. ადგილობრივი ბურჟუაზია და საზოგადოების ლიბერალურად განწყობილი ნაწილი მოითხოვდა კიდევ უფრო მეტ შეღავათებს და ახალ პრივილეგიებს, ვიდრე ეს მათ ჰქონდათ მოპოვებული XIX საუკუნეში ინტენსიურად წარმოებული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად. უნგრეთში იქმნებოდა ვითარება, როცა ცენტრალურ ხელისუფლებას ძალის გამოყენება მოუწევდა[1].

[1] Всемирная история, т.7, М.,1960, стр.433.

მდგომარეობა დაიძაბა ხორვატიაშიც. ადგილობრივი მოსახლეობისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილი სერბეთთან მტკიცე კავშირის მომხრე იყო, რაც ავსტრია-უნგრეთის ინტერესებში სულაც არ შედიოდა. სერბია, უკვე ძლიერებაში შესული მონარქისტული სახელმწიფო, თავისი ტერიტორიების გაფართოებას ცდილობდა ერთი მხრივ ავსტრია-უნგრეთის ხარჯზე და მეორე მხრივ – დაუძლურებული თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიების ხარჯზეც.

XX საუკუნის დასაწყისში **თურქეთის იმპერია** თავისი ისტორიული განვითარების ყველაზე რთულ პერიოდში შევიდა – ეკონომიკურად ჩამორჩენილი, მრავალეროვანი, მხოლოდ შიშველ სამხედრო ძალაზე დამყარებული იმპერიული გაერთიანება უკვე სერიოზულ საშინაო და საგარეო პრობლემებში იყო ჩაფლული და, აქედან გამომდინარე, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს აქტიურად ეძებდა. სტამბოლში კარგად გრძნობდნენ, რომ თუ ქვეყანაში არ განხორციელდებოდა საჭირო რეფორმები, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, რაც ძალუმად აისახებოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზეც, სრულიად რეალური შესაძლებლობა იქმნებოდა, რომ თურქეთი გამხდარიყო დიდი იმპერიალისტური ქვეყნების სანედლეულო დანამატი, ხოლო მის უსაზღვრო ტერიტორიებსა და მატერიალურ რესურსებს კი ჩინებულად გადაინაწილებდნენ უკვე კარს მომდგარი ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები (სულ რამდენიმე წელში თურქების ეს შიშები გამართლდება).

ამიტომაც თურქეთს ესოდენ საჭირო და სასურველ მხსნელად და მეგობრად მოევლინა გერმანიის ენერგიული იმპერატორი, რომელთანაც, მართალია, თურქეთის სულთანს არავითარი ნათესაური გრძნობები არ აკავშირებდა, მაგრამ ისლამური სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნების ამოცანა, შესაძლო დაშლა-დაქუცმაცების საფრთხე, კარს მომდგარი უძღები კოლონიზატორების ავისმომასწავებელი სუნთქვა, გერმანული სუბსიდიები, სამხედრო ინსტრუქტორები და თანამედროვე სამხედრო ტექნიკით დახმარება თურქეთის სულთანს გერმანიის განსაკუთრებით ერთგულ მხარდამჭერად აქცევდა.

საქმე იმაშია, რომ ახალ ეპოქაში თურქეთმა თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა – წარსულში ღრმად ჩაფლული ქვეყანა, თავისი არქაული წეს-წყობილებითა და სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებით, სერიოზულად ჩამორჩებოდა არა მარტო დასავლეთ ევროპას, არამედ ბევრ მეზობელსაც, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია თურქეთის პოლიტიკური ელიტის ერთ, პროგრესულ ჯგუფს, რომელიც ისტორიაში „ახალგაზრდა თურქების“ მოძრაობის სახელით არის ცნობილი. ამ ახალგაზრდებმა შექმნეს „ერთიანობისა და პროგრესის პარტია“ და იმედოვნებდნენ, რომ ახლო მომავალში შეძლებდნენ ქვეყანაში რადიკალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების განხორციელებას. ამ პარტიას ხელმძღვანელობდნენ ახმედ ნიაზი-ბეი, ენვერ ბეი და სხვა პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც კარგად ხედავდნენ, რომ თუ რადიკალურად არ შეიცვლებოდა თურქეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ახლო მომავალში ქვეყანა აშკარად დაკარგავდა თავისი ტერიტორიების დიდ ნაწილს და წამყვანი ევროპული სახელმწიფოს სანედლეულო დანამატად ან ტიპიურ კოლონიად გადაიქცეოდა. ამ ახალგაზრდებისა და მათი პოლიტიკური გაერთიანების ზეგავლენა ქვეყანაში ყოველდღიურად ძლიერდებოდა. მათ სერიოზული გავლენები ჰქონდათ თურქეთის პროვინციებშიც – მარტო მაკედონიაში, რომელიც იმჟამად თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა, პარტიას 15 ათასი მხარდამჭერი ჰყავდა.[1]

სწორედ მაკედონიიდან დაიწო „ახალგაზრდა თურქების“ მოძრაობამ ბრძოლა კონსტიტუციური წყობილების დასამყარებლად, უკვე სიბერეში შესული აბდულ-ჰამიდ II-ის რეჟიმის შესაცვლელად, ქვეყნის მონოლითურობის, ერთიანობისა და პროგრესის მისაღწევად.

გამორჩეულად აღსანიშნავია შექმნილი ვითარება **იტალიაში** – ამ ქვეყანაში ჯუზეპე გარიბალდის მიერ ქვეყნის გასაერთიანებლად წარმატებით დაწყებული მოძრაობა გამარჯვებით დააგვირგვინა ვიქტორ-ემანულ II-მ, სავოიის დი-

[1] Всемирная история, т.7, М.,1960, стр.355.

ნასტიის წარმომადგენელმა. ის არ მოერიდა რომის პაპის ავტორიტეტს და „პიპინის საჩუქარი“ (პაპის ოლქი), ერთიან იტალიას ორგანულად დაუკავშირა, რითიც იტალიელების მრავალი თაობის ოცნება რეალობად აქცია.

როგორც ეს გერმანიაში მოხდა (რის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი), იტალიის პოლიტიკურმა გაერთიანებამ მოსახლეობის არნახული ენთუზიაზმი გამოიწვია, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ეკონომიკურ აქტივობას, ქვეყნის საწარმოო პოტენციალის ზრდას, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ნაწილში – სადაც საამისოდ ხელსაყრელი პირობებიც შეიქმნა. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ 1908 წლამდე იტალიის ეკონომიკა დინამიურად ვითარდებოდა: „საზღვარგარეთული კაპიტალის დახმარებით, პროტექციონისტული საგადასახადო ტარიფების პირობებში, სწრაფად განვითარდა მძიმე ინდუსტრია. ჩრდილოეთ იტალიაში, განსაკუთრებით კი სამრეწველო „სამკუთხედში“ – მილანგენუა-ტურინში ძალუმად ვითარდებოდა მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, მეტალდამმუშავებელი და ქიმიური მრეწველობა.“[1]

უკვე ამ წლებში იტალიის კაპიტალი ინტერესდება საქართველოს წიაღისეულით, საქართველოში ინვესტიციების ჩადებით, მისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა აფხაზეთის სანაპირო – ქვანახშირით მდიდარი რეგიონი.

იტალიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი თავისებურება დიდი ხნის განმავლობაში იყო ის, რომ ქვეყანა ორგანულად აერთიანებდა ზეინდუსტრიულ ჩრდილოეთს ეკონომიკურად საკმაოდ ჩამორჩენილ და სოციალურად ფეთქებადსაშიშ სამხრეთთან – ეს დისბალანსი სერიოზულად არყევდა იტალიის სოციალურ ერთიანობას და ქმნიდა საფუძვლებს რადიკალური შეხედულებების კულტივირებისათვის. იტალიაში კლერიკალური (მონარქისტული) პოლიტიკური მიმართულებების გვერდით არსებობდნენ სოციალისტური, ანარქისტული, ანარქო-სინდიკალისტური მიმარ-

[1] იქვე, გვ. 424.

თულებებიც, რაც იტალიას ახლო მომავალში ძლიერი სოციალური დაპირისპირების შესაძლო არენად წარმოაჩენდა.

როგორც ყოველთვის, გამოსავალი ამჯერადაც ნაციონალისტური, შოვინისტური განწყობილებების გავრცელებაში მოინახა – დიდმპყრობელური ტენდენციები, რომის იმპერიისდროინდელი დიდების აღორძინება, სუსტი მეზობლების ხარჯზე ახალი სასიცოცხლო სივრცეების მოპოვება, განსაკუთრებით ბალკანეთში – იტალიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის პროპაგანდის მთავარი საგანი გახდა. ამ პროპაგანდას კი მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც იზიარებდა.

ამრიგად, აშკარაა, რომ I მსოფლიო ომის წინ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს ჰქონდა უამრავი საშინაო და საგარეო მიზეზი, მომზადებულიყო ომისათვის, შესაძლო კონფლიქტიდან ჰქონოდათ პოლიტიკური, ტერიტორიული თუ სამხედრო დივიდენდების მიღების მოლოდინები და ამაში მხოლოდ ცალკეული ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დადანაშაულება, რასაც „BBC-ის მიერ გამოკითხული ისტორიკოსების ერთი ჯგუფი აკეთებს, არამართლზომიერი ჩანს.

§2. სურვილები და მოლოდინები

XX საუკუნის დასაწყისი ევროპისა და ამერიკის წამყვანი სახელმწიფოებისათვის იმითაც გახდა საცნაური, რომ მსოფლიო ისტორიაში პირველად საყოველთაოდ გავრცელდა მძლავრი ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც ეკონომიკურთან ერთად სოციალური სფეროც ჩაითრია. ექსპერტების აზრით, აღნიშნული კრიზისი გამოიწვია იმ საერთო ეკონომიკურმა აღმავლობამ, რომელიც ევროპისა და ამერიკის წამყვან ქვეყნებში შეიმჩნეოდა წინა ათწლეულში და რომელმაც უზრუნველყო ეკონომიკის ყველა დარგში მნიშვნელოვანი პროგრესი. მაგრამ, რამდენადაც თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში არ იგულისხმებოდა წარმოების რეგულირება, დაგეგმარება და ეკონომიკის გან-

ვითარების სტიქიური პროცესების მართვა, ძალიან მალე შესამჩნევი გახდა წარმოებასა და მოხმარებას შორის სერიოზული დისბალანსი, ანუ ეკონომიკა „გადახურდა“. ჭარბწარმოების სტიქია ანგრევდა ნებისმიერი ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას – მსოფლიოში ბევრი საფინანსო ინსტიტუტი გაკოტრდა, შემცირდა საგარეო ეკონომიკური აქტივობები, მეწარმეები სანახევროდ ან სრულად აჩერებდნენ წარმოებას და ამ ყველაფერმა უკვე არა ლოკალური, არამედ ტოტალური ხასიათი მიიღო.

საფინანსო სისტემის რღვევამ გამოიწვია წარმოების კონფუზი, რამაც სერიოზულად გაზარდა უმუშევრობის მასშტაბები, ამან კი სოციალურ დაძაბულობასა და მუშათა მოძრაობის გააქტიურებაში საკმაოდ ენერგიულად იჩინა თავი – მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები აღმოჩნდნენ არასტაბილურ-ტურბულენტურ მდგომარეობაში, რომლიდან გამოსვლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ვარაუდობდნენ.

ერთ დროს გაბატონებული მარქსისტული ისტორიოგრაფია კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ ასეთი ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ საომარი კონფლიქტები, ომები და ერთმანეთის ტერიტორიების მიტაცება იყო[1]

ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, მაგრამ სწორედ 900-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მიმდინარე პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობა და ლოკალური თუ რეგიონალური კონფლიქტების სიხშირის ზრდა გვაფიქრებინებს, რომ კრიზისის მშვიდობიანი გადაწყვეტის გეგმა იმჟამინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ სათანადოდ ვერ (ან არ) მოიფიქრა.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ასეთ რთულ ვითარებაში სურდა შეენარჩუნებინა „სტატუს-კვო“ მსოფლიოში, რათა კვლავინდებურად მარად სტაბილური და ხელუხლებელი ყოფილიყო ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობა, რაც დედამიწის მნიშვნელოვან ნაწილზე იყო განფენილი. ამ ამოცანის რეალიზება მიზნად დაისახა ინგლისის ახალმა ხელმძღვანელმა, მეფე გეორგ

[1] სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში, თბ., 1938, გვ. 12.

V-მ, რომელიც ტახტზე 1910 წელს ავიდა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ისტორიული ამოცანა ღირსეულად შეესრულებინა. მისმა მამამ, ედუარდ VII-მ, როგორც აღინიშნა, შვილს ორგანულად გადასცა „ძვირფასი დისშვილის“, გერმანიის იმპერატორის დაუოკებელი სიძულვილი და, აქედან გამომდინარე, ინგლისის ახალი მეფის უზენაესი სურვილი იყო ევროპასა და მსოფლიოში გერმანიის წრეგადასული პრეტენზიების ალაგმვა და დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის სტაბილურობის შენარჩუნება. ამ საქმეში დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია, რომელიც სათავეში ედგა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, მეფე-მონარქის სურვილის უსიტყვო შემსრულებელი აღმოჩნდა.

საფრანგეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელსაც ყველაზე მეტად აშინებდა გერმანიის მზარდი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება, დიდი ბრიტანეთის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვან კოლონიებს ფლობდა. ეს ფაქტორი საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი იყო და ამ კოლონიების გადანაწილება არ შედიოდა საფრანგეთის სახელმწიფოს მესვეურთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეგმებში. ისინი ვარაუდობდნენ ევროპაში და მსოფლიოში ისეთი პოლიტიკური კლიმატის ფორმირებას, რომელიც ხელს შეუშლიდა გერმანიის მილიტარიზმს, რეალური ნაბიჯები გადაედგა ევროპასა და მსოფლიოში არსებული „სტატუს-კვოს“ შესაცვლელად. ამ საქმეში საფრანგეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ორგანულ და ერთგულ მეკავშირედ რუსეთის იმპერია ესახებოდა და არც ცდებოდა: 1. რუსეთი ადამიანური და მატერიალური რესურსებით მსოფლიოში გამორჩეული ქვეყანა იყო. 2. როგორც საფრანგეთს, ისე რუსეთსაც გერმანიასთან სახმელეთო საზღვარი ჰქონდა, რომელსაც დაცვა და გაკონტროლება სჭირდებოდა; 3. გერმანიას დიდი იმედები ჰქონდა, რომ შესაძლო „გადანაწილების“ შემთხვევაში მის მმართველობაში გადავიდოდა გერმანელებით საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ბალტიისპირეთი, პოლონეთის გარკვეული ნაწილი და უკრაინის თვალუწ-

ვდენელი ტერიტორიები, რაც რუსეთის სახელმწიფოსათვის დამანგრეველი იქნებოდა; 4. რუსეთი იმჟამად უკვე სერიოზულად იყო დამოკიდებული საფრანგეთის ფინანსური კაპიტალზე, და ეს დამოკიდებულება ყოველწლიურად იზრდებოდა. ეს უკანასკნელი გარემოება საფრანგეთის მმართველი წრეების მხრიდან რუსეთთან მოკავშირეობის გაღრმავების ძალიან სერიოზულ და ძლიერ არგუმენტად განიხილებოდა.

თავის მხრივ, გერმანიის დიპლომატია ცდილობდა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას და, თავისი პოლიტიკური ინტერესების სამხედრო ძალით შესაძლო გადაწყვეტიდან გამომდინარე, ვარაუდობდა შეექმნა ევროპაში ისეთი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც შეაკავებდა საფრანგეთის მმართველი წრეების რევანშისტულ ჩანაფიქრებს, შექმნიდა მაქსიმალურ პოლიტიკურ ბალანსს ევროპაში და უზრუნველყოფდა მომავალში გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ გამარჯვებებს. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მიზეზების გათვალისწინებით, ამ საქმეში გერმანიის ორგანული მოკავშირე აღმოჩნდნენ ავსტრია-უნგრეთი, იტალია და თურქეთი.

სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შესაქმნელად პირველი ნაბიჯი გერმანიის იმპერიამ გადადგა: როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ შორეულ 1882 წელს გერმანიის დიდი კანცლერის – ბისმარკის დიპლომატიური მანევრის შედეგად, მოხერხდა სამი ქვეყნის – გერმანიის, იტალიისა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესების დაახლოება და 1882 წლის 20 მაისს ე.წ. „სამთა კავშირის“ ჩამოყალიბება. ეს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი გულისხმობდა ურთიერდახმარებას და სამხედრო მხარდაჭერას ამ კავშირის შემადგენლობაში მყოფი ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის დროს. ექსპერტები ამ ხელშეკრულების შესახებ აღნიშნავდნენ, რომ „ავსტრიისათვის იტალიელებთან დაახლოება უზრუნველყოფდა საიმედო ზურგს რუსეთთან შესაძლო ომის პირობებში... ხოლო ბისმარკისათვის იტალია გადაუდებლად აუცილებელი და სა-

ჭირო იყო ნებისმიერ შემთხვევაში საფრანგეთის იზოლაციისათვის“[1].

ძალიან მალე ისტორიის განვითარების კანონზომიერებამ, აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში შექმნილმა ვითარებამ თანდათან, მაგრამ მტკიცედ დაუკავშირა გერმანიის ბლოკს თურქეთის დასუსტებული იმპერიაც, რომელიც მთელ თავის იმედებს უკვე გერმანიასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კავშირებზე ამყარებდა, რათა შეენარჩუნებინა თავისი უკიდეგანო ტერიტორიები და საბოლოოდ არ გამხდარიყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სანედლეულო დანამატი.

უფრო რთული და დროში საკმაოდ გაწელილი აღმოჩნდა საფრანგეთის დიპლომატიის მიერ განხორციელებული მანევრი, რომლის მიზანი გერმანული ბლოკის საპირწონე სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების შექმნა იყო. რუსი პოლიტოლოგები ამას ასე აღწერენ: „გერმანიის მიერ ევროპაში სახელმწიფოთა შორის პირველი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის – „სამთა კავშირის“ შექმნა თავისი ისრებით მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომაც ამ ორი ქვეყნის დაახლოება იყო ბუნებრივი პასუხი ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა აგრესიული ბლოკის შექმნაზე.“[2]

უფრო მეტიც, რუსეთის ენერგიული და, როგორც დღეს მას რუსი ისტორიკოსები უწოდებენ, გამორჩეულად „ეროვნული იმპერატორი“ ალექსანდრე III, თხემით ტერფამდე პირწავარდნილი მონარქისტი და დიდმპყრობელობის დიდი მოტრფიალე, საოცარ სითბოსა და სიმპათიებს ავლენდა რესპუბლიკური საფრანგეთის ხელმძღვანელებისა და მათი საგარეო პოლიტიკური მისწრაფებების მიმართ. უკვე 1892 წელს რუსეთმა საფრანგეთთან გააფორმა სამხედრო კონვენცია, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა ორივე სახელმწიფოს სამხედრო ვალდებულებები.

---

[1] История дипломатии, т 2, М.,1945. стр.64.

[2] История Франции. М.,1973, стр. 502.

რაც დრო გადიოდა, საფრანგეთის მმართველ ელიტას სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდა შიშები გერმანიის იმპერიის აგრესიული პოლიტიკის მიმართ და, როგორც ჩანს, მარტო რუსეთის იმედად დარჩენა დიდად ვერ ამშვიდებდა. ამაზე მიუთითებს საფრანგეთის დიპლომატიის უდიდესი ძალისხმევა, რაიმე ფორმით გერმანიის წინააღმდეგ რომელიმე კავშირში, პოლიტიკურ ან სამხედრო ბლოკში გაეერთიანებინა დიდი ბრიტანეთი თავისი უზარმაზარი რესურსებითა და შესაძლებლობებით.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა განრიდებოდა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში მონაწილეობას, შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი და, აქედან გამომდინარე, სამუდამოდ შეენარჩუნებინა არბიტრის ფუნქცია. ბრიტანელები იმჟამად ძალზე ერთგულად ახორციელებდნენ ყოფილი პრემიერ მინისტრის – ლორდ პალმერსტონის ბრძნულ შეგონებას: „ინგლისს არ ყავს არც მუდმივი მტრები და არც მუდმივი მეგობრები. ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები!“

ამ დიპლომატიურ პრინციპს ინგლისის ხელისუფლება მაქსიმალური სკრუპულოზურობით იცავდა და ამ საქმეში დიდი გამოცდილებაც შეიძინა, მაგრამ ახალ ეპოქაში შექმნილმა ვითარებამ მას საფრანგეთთან დაახლოება გადააწყვეტინა. სავარაუდოდ, ამის მიზეზად „ძვირფასი დისშვილისაგან“ მომდინარე საფრთხეები შეიძლება დასახელდეს.

ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფოს მონარქმა ედუარდ VII-მ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში არსებული კანონმდებლობა მონარქს ბევრ უფლებებს არ ანიჭებდა, მაინც მოახერხა, რომ „ძვირფასი დისშვილისათვის“ სერიოზული პრობლემები შეექმნა. ექსპერტების დიდი უმრავლესობა სწორედ მის ზეგავლენას უკავშირებს ინგლისის დაახლოებას თავის „ისტორიულ მტერთან“ – საფრანგეთთან.[1]

1903 წლის გაზაფხულზე ედუარდ VII ეწვია საფრანგეთს და ყოველმხრივ ცდილობდა გამოეხატა თავისი უდი-

[1]История дипломатии, т.2, М.,1945, стр.161.

დესი სიმპათიები და ნაზი გრძნობები საფრანგეთისა და ფრანგი ხალხისადმი. ამ ვიზიტმა საფრანგეთის ხელისუფლებას ინგლისის-საფრანგეთის მომავალი პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცების იმედი ჩაუსახა. იმავე წლის ზაფხულში საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე, საგარეო საქმეთა მინისტრ დელკასესთან ერთად, საპასუხო ვიზიტით ესტუმრა ლონდონს, სადაც მათ მეტად საინტერესო და საქმიანი შეხვედრები გამართეს დიდი ბრიტანეთის მმართველი ელიტის წარმომადგენლებთან.

ასეთი ინტენსიური ურთიერთობის შედეგი აღმოჩნდა 1904 წლის 8 აპრილის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შეიქმნა „ანტანტა“, რომელსაც მომავალში შეუერთდნენ რუსეთი (1907 წ.), ამერიკის შეერთებული შტატები (1915 წ.), იტალია (1915 წ.) და სხვა ქვეყნები. „ანტანტის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულებას ჰქონდა როგორც დეკლარირებული, ისე საიდუმლო მუხლები. სწორედ ამ ხელშეკრულებამ ჩაუყარა საფუძველი ინგლის-საფრანგეთის ინტენსიურ თანამშრომლობას გერმანიის წინააღმდეგ, რაც მომავალშიც საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა.

საფრანგეთ-ინგლისთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ რუსეთს უბიძგებდა არ მარტო პანიკური შიში ბალტიისპირეთსა და პოლონეთში გერმანიის შესაძლო აგრესიისა, არამედ რუსი იმპერალისტური კამარილიის აკვიატებული იდეაც – კიდევ უფრო გაეფართოვებინათ იმპერიის საზღვრები სამხრეთში ახალი ტერიტორიული შენაძენის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, თითქოს რუსეთის იმპერია მსოფლიო ომის გაჩაღებით არ იყო დაინტერესებული და ნიკოლოზ II იმედოვნებდა კიდეც რამდენიმე წლით მის გადადებას,[1] თანამედროვე რუსი ისტორიკოსები, ახლადგამოვლენილი დოკუმენტების საფუძველზე, გვიმტკიცებენ საწინააღმდეგოს – როგორც ჩანს, რუსეთის მინისტრთა კაბინეტი

[1] ციტირებულია: Сер Макс Гастингс, Кто развязал Первую мировую войну: 10 версии. BBC News, p.2.

უკვე 1914 წლის თებერვალში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონსტანტინოპოლის დაკავების რეალური შესაძლებლობა რუსეთს ადვილად გაუჩნდებოდა საერთო ევროპული სამხედრო კონფლიქტის პირობებში. ნიკოლოზ II-მ იმავე წლის აპრილში დაამტკიცა მინისტრთა კაბინეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და დაავალა მთავრობის წევრებს „პირველივე შესაძლებლობისთანავე განეხორციელებინათ ყველა სახის ღონისძიება, რომ დროულად დაეკავებინათ კონსტანტინოპოლი, ბოსფორი და დარდანელი“.[1]

საქმე იმაში იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებას დიდი იმედები ჰქონდა ანატალიაში მცხოვრები დაახლოებით 1 მილიონი სომეხი მოსახლეობისა, რომლის შეგულიანებას, თურქების წინააღმდეგ მათი სამხედრო შესაძლებლობების გამოყენებას რუსეთის სპეცსამსახურები უკვე დიდი ხანია გეგმავდნენ. სამწუხაროდ რუსი იმპერიალისტების ეს გეგმები, რომლებიც ნაწილობრივ განხორციელდება კიდეც, ძალიან ძვირად დაუჯდება მრავალტანჯულ სომეხ ხალხს.

საკუთრივ თურქეთის იმპერიაც, მიუხედავად თავისი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და მიზერული სამხედრო რესურსებისა, დიდ იმედებს ამყარებდა მომავალ მსოფლიო სამხედრო გამოწვევებზე: თურქები ცდილობდნენ გამოესწორებინათ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მათთვის საბედისწერო შედეგები და უკან დაებრუნებინათ ტერიტორიები სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი ბათუმის ოლქი, ყარსის ციხე, ოლთისი, ტაო-კლარჯეთი და სხვ. თანამედროვე თურქი ისტორიკოსი ესინ დაი ამტკიცებს, რომ „ომალეთმა ომის შედეგად (იგულისხმება 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი ა.დ.) დაკარგული ნახსენები ტერიტორიები არ დაივიწყა და არც აქაური ხალხი დაემორჩილა რუსეთთან შეერთებას... ბრძოლამ სამშობლოსთან (ე.ი. თურქეთთან – ა.დ.)

[1] Ю.Роган. Падение Османской империи. Первая мировая война на Ближнем Востоке, 1914–1920 гг М., стр.63.

შეერთებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა“ და ა.შ.[1]

ამ მიზნის მისაღწევად თურქეთის მხარე მაქსიმალურად იყენებდა თავის აგენტურას ბათუმის ოლქში და მესხეთ-ჯავახეთში: თურქეთის ფარული ემისრები, მოლები და ხოჯები, პარტიები „სედაი მილეთი“, „ერთიანობა და პროგრესი“ და მათი აქტივისები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ სამხრეთ კავკასიაში გაეძლიერებინათ პროთურქული განწყობები და ინტერესები.

ამრიგად, ევროპის თითქმის ყველა წამყვანი ქვეყანა უკვე გაერთიანდა ურთიერთდაპირისპირებულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში და ყოველი მათგანის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ შესაძლო კონფლიქტის პირობებში განახორციელებდა საკუთარი ქვეყნისთვის საჭირო და გადაუდებელ სამხედრო-სტრატეგიული ამოცანები. ასეთი იყო მათი სურვილები...

როგორი იყო მოახლოებული ომის კვირაძალზე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში გაერთიანებული ქვეყნების რესურსები.

სტატისტიკური კრებულები მიუთითებენ, რომ მათი შესაძლებლობები მკვეთრად დიფერენცირებული იყო და ბევრ ქვეყანას ამ რესურსების არაადექვატური შეფასება ძალზე ძვირად დაუჯდება.

სამხედრო-სტრატეგიულ კავშირებში გაერთიანებულ ქვეყნებს არათანაბარი **ადამიანური რესურსები** ჰქონდათ. რუსეთის იმპერიაში ომის წინ ცხოვრობდა 170 მილიონი კაცი, თითქმის სამჯერ მეტი ვიდრე გერმანიის იმპერიაში. ამ უკანასკნელში კი ცხოვრობდა 68 მილიონი კაცი. ავსტრია-უნგრეთში – 52,8 მილიონი კაცი საფრანგეთში – 40 მილიონი, იტალიაში – მხოლოდ 15 მილიონი.[2]

---

[1] ესინ დაი, ელვიე – სელასე – სამი სანჯაყი (ყარსი, ბათუმი, არტაანი), იხ. „ახალციხე – ყარსი (სიმპოზიუმის შრომები), ახალციხე-ყარსი, 2001, გვ. 91.

[2] А. Рыбников, Экономика россииской империи,https:\\sputnikprogram.com\history\empire-ekonomiks\86685\tt-1\#.Y15nS_pBzcs, p.4.

რა თქმა უნდა, ამ ჩამონათვალში არ იგულისხმება ინგლისისა და საფრანგეთის უკიდეგანო კოლონიალური იმპერიების მოსახლეობა, რაც თავის მხრივ ადამიანური რესურსების საკითხს „ანტანტის“ სასარგებლოდ წყვეტდა.

რაც შეეხება ტერიტორიულ რესურსებს, ამ შემთხვევაშიც უპირატესობა „ანტანტის“ მხარეზეა – რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიალური იმპერიები უზარმაზარ ტერიტორიებსა და მატერიალურ (წაიღისეულ) რესურებს ფლობდნენ. მარტო რუსეთის იმპერია თითქმის დედამიწის ერთ-მეექვსედზე იყო გადაჭიმული და XX საუკუნის დასაწყისში მას საკმაოდ დიდი ეკონომიკური შესაძლებლობები ჰქონდა.

ევროპის წამყვანი ქვეყნები საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ფინანსური რესურსებითაც. თანამედროვე რუსი მეცნიერების მიერ ჩატარებული ფინანსური ანალიზის თანახმად, 1914 წლისათვის ერთიანი შიდა პროდუქტის მიხედვით ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლით ლიდერობდა რუსეთის იმპერია – 52 მილიარდი დოლარი (1960 წ. კურსი). გერმანიის იმპერიაში ეს მაჩვენებელი უტოლდებოდა 50 მილიარდ დოლარს, დიდ ბრიტანეთში – 45 მილიარდ დოლარს, იტალიაში – 35,6 მილიარდ დოლარს, საფრანგეთში – 27,4 მილიარდ დოლარს, ავტრია-უნგრეთში – მხოლოდ 26 მილიარდ დოლარს.[1]

მიუხედავად ფინანსურ შემოსავლებში ასეთი მკვეთრი დისბალანსისა, რადიკალურად განსხვავებულია ერთიანი შიდა პროდუქტის გადანაწილების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე, რაც რუსეთის იმპერიის მკვეთრად ჩამორჩენილ მდგომარეობას ავლენს – ის ამ კატეგორიაში აუტსაიდერია (306 დოლარი ერთ სულ მოსახლეზე), ეს მაშინ როცა დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი უდრიდა 971 დოლარს (თითქმის 3-ჯერ მეტს), გერმანიაში – 735 დოლარს, საფრანგეთში – 685 დოლარს, ავტრია-უნგრეთში – 492 დოლარს.

ამ უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობების საკმაოდ დიდი ნაწილი ხმარდებოდა ბლოკებად დანაწევრებული

[1] იქვე.

ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტს – მთავრობებმა საკმაოდ კარგად გამოიყენეს სამრეწველო-ტექნიკური რევოლუციის ახალი ტალღის უზარმაზარი შესაძლებლობები და მნიშვნელოვნად გააძლიერეს თავიანთი თავდაცვითი პოტენციალი. ევროპული ქვეყნების სამხედრო საწყობები ყოველწლიურად ივსებოდა ახალ-ახალი, გაუმჯობესებული, ახალი თაობის სამხედრო ტექნიკით, ავიაციით, თანადროული ამუნიციით.

XX საუკუნის დასაწყისში წამყვანი ევროპული ქვეყნების შეიარაღებაში ბრძოლის ძირითადი საშუალება გახდა შაშხანა. სამხედრო ექსპერტების მონაცემებით, მომავალ ომში მისი საშუალებით განადგურდა ცოცხალი ძალის 70-85%. შეიარაღებაში უკვე აპრობირებული იყო და ფართოდაც იყენებდნენ 6,5-8 მმ კალიბრის შაშხანას, რომელიც აღჭურვილი იყო სამიზნით და ჰქონდა 3-5-10 ვაზნის ბუდე.

ომის წინ თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის შეიარაღება შეივსო დაზგოვანი ტყვიამფრქვევებით, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში ბატალიონზე 2 ცალი მაინც უნდა ყოფილიყო. ძალიან პოპულარული გახდა მომავალ ომში ტყვიამფრქვევი „მაქსიმი“ და მისი სხვა ანალოგები.

ისიც აღსანიშნავია, რომ რიგმა ქვეყანამ მოახერხა და XX საუკუნის დასაწყისში თავისი არმიები აღჭურვა თვითმფრინავებით, ტანკებით, წყალქვეშა ნავებით, მომწამლავი ქიმიური ნივთიერებებითაც კი.

მაგალითად, ომის დაწყების წინ გერმანიის შეიარაღებული ძალები უკვე ფლობდნენ 232 ცალ სამხედრო თვითმფრინავს. ავტრია-უნგრეთის არმიას მხოლოდ 65 თვითმფრინავი ჰქონდა. „ანტანტის“ ბლოკიდან ყველაზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი ირიცხებოდა რუსეთის არმიაში – 263 ერთეული. თვითმფრინავების საერთო რაოდენობით აშკარად ლიდერობდა „ანტანტა“ – მის შეიარაღებაში ირიცხებოდა 509 ერთეული საბრძოლო თვითმფრნავი (სამთა კავშირს მხოლოდ 297 სამხედრო თვითმფრინავი ჰქონდა).[1]

ამრიგად, ასეთი იყო საერთო ვითარება I მსოფლიო ომის წინ და მას განსაკუთრებულ სიმწვავეს მატებდა ევ-

[1] М. Р. Галактионов, Париж, 1914 г.: Темпы операций. М., 2001, 704.

როპის წამყვანი ქვეყნების მმართველი ელიტების ფარული თუ აშკარა სურვილები და მიზნები. იმჟამად არავინ ფიქრობდა მათ შემადგენლობაში მყოფი კოლონიალური ქვეყნის მოსახლეობის სურვილებსა და გუნება-განწყობაზე. თუმცა, როგორც ირკვევა, ასეთი აშკარა თუ ფარული სურვილები და იმედები ყველა კოლონიალური ქვეყნის მოსახლეობას ჰქონდა. გამონაკლისს არც ქართველი მოსახლეობა წარმოადგენდა...

§3. ქართული საზოგადოებრიობის იმედები და მიზნები

XX საუკუნე საქართველოშიც დიდი იმედებით დაიწყო; ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების მიუხედავად, ქართული საზოგადოებრიობის ყველა შემადგენელ კომპონენტს – თვითოეულ კლასსა და სოციალურ ფენას ჰქონდა იმედი, რომ ახალი საუკუნე უფრო ბედნიერი, უფრო ნაყოფიერი და უფრო იმედის მომცემი იქნებოდა, ვიდრე გარდასული. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართული საზოგადოებრიობა არ იყო ერთიანი, გამთლიანებული – პირველ ყოვლისა, სოციალური დიფერენციაცია და აქედან გამომდინარე კლასობრივი და რელიგიური განსხვავებები თავისთავადობას სძენდა მათ შეხედულებებსა და იმედებს. სწორედ ამიტომ ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ ქართველი თავადის, კაპიტალისტის, სასულიერო წოდებისა, გლეხისა თუ მუშის იმედები და მისწრაფებები თავისი შინაარსით და მათთვის ბრძოლის ფორმებით და მეთოდებით.

მაგალითად, როგორც დავინახეთ, ქართველი თავადაზნაურების მნიშვნელოვანი ნაწილის იმედები და მოლოდინები მთლიანად რომანოვების დინასტიისადმი გაწეული ერთგულებასა და სამსახურზე გადიოდა. ქართული სასულიერო წოდების უდიდეს ნაწილსაც რუსეთის წმინდა სინოდის უზენაესი გადაწყვეტილებების იმედი ჰქონდა.

ასეთ რთულ, წინააღმდეგობრივ ვითარებაში ქართული საზოგადოებრიობის ერთიანობას განსაკუთრებით დიდი საფრთხე შეუქმნა სოციალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამაც, რომელიც XIX საუკუნის დასასრულს ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ საკმაოდ ფართოდ გავრცელდა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში.

საუკუნის დასაწყისში ქართული სოციალ-დემოკრატია იმჟამად უკვე საკმაოდ მყარად იდგა ფეხზე: მათ არსენალში იყო რამდენიმე წარმატებით ჩატარებული საპირველმაისო დემონსტრაცია, ინტენსიური კონტაქტები მუშებთან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში (ბათუმი, ჭიათურა, გურია, თბილისი და ა.შ.), მუშათა თვითგანათლებისა და პოლიტიკური მომზადების საკმაოდ განტოტვილი ქსელის შექმნა და, გარდა ამისა, საკმაოდ მაღალ დონეზე მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამები და განხორციელდა მარქსიზმის საფუძველების მასობრივი პროპაგანდა პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობაში. ეს კი ქმნიდა სერიოზულ საფუძველს საიმისოდ, რომ სოციალ-დემოკრატია საქართველოს მშრომელების – მუშებისა და გლეხების აზრთა მპყრობელი გამხდარიყო.

მარქსისტების პროპაგანდა თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდა ყოველივე იმას, რასაც „თერგდალეულები“ ასე რუდუნებით და მრავალი წლის განმავლობაში აყალიბებდნენ – ქართველი ერის, ქართული საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის პროცესს. ქართველი სოციალ-დემოკრატები, ისევე როგორც მათი პარტიული ამხანაგები: რუსი, სომეხი, ებრაელი, აზერბაიჯანელი სოციალ-დემოკრატები, აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც, ეროვნული ერთიანობის იდეას, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში მათ მიერ მიუღწეველ ოცნებად გამოცხადდა. ისინი თავისი პოლიტიკური პროპაგანდის დროს პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას მოუწოდებდნენ მარქსიზმის ინტერნაციონალისტური დროშის ქვეშ გაერთიანებისაკენ, ბურჟუაზიისა და თავადაზანურების მიმართ ნერგავდნენ კლასობრივ ზიზღსა და შეურიგებლობას. ილიასეულ „საერთო ნიადაგის“ თეორიას, რომელიც გუ-

ლისხმობდა ეროვნული ინტერესების დაცვას და ამ მიზნით კლასობრივი ინტერესების ჰარმონიზაციას, ისინი მშრომელების კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებად და კლასობრივი კომპრომისის მიღწევად თვლიდნენ და მის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გაჩაღებისაკენ მოუწოდებდნენ.

დროთა განმავლობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეები მოსახლეობის ფართო ფენებში გავრცელდა. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნები სწორედ ის ნავსაყუდელი აღმოჩნდა, სადაც ყალიბდებოდა საქართველოს და მთელი კავკასიის პროლეტარიატის ინტერნაციონალური ერთობა – სოციალ-დემოკრატიის მთავარი და უპირველესი მიზანი. გამოიკვეთნენ იდეოლოგიური ხელმძღვანელებიც: ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, კ. ჩხეიძე, ი. ჯუგაშვილი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, ს. შაუმიანი და სხვ. გამოჩნდნენ მუშა-პრაქტიკოსებიც: ძმები სტურუები, მ. ჩოდრიშვილი, ს. ალილუევი (სტალინის მომავალი სიმამრი), ნ. ალაჯალოვა და სხვ.

1897 წელს თბილისში დაარსდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი კომიტეტი. ასეთივე კომიტეტი მოგვიანებით შეიქმნა დასავლეთ საქართველოში – იმერეთ-სამეგრელოში. ჩამოყალიბდა კავკასიის კავშირიც (1903 წ.) – რეგიონალური ცენტრი. შედარებით სუსტად ვრცელდებოდა მარქსისტული იდეოლოგია აფხაზეთში, იქ ამ იდეოლოგიით უფრო ქართველი მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი დაინტერესდა.

1901 წელს მოხერხდა პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ბრძოლის“ დაარსება, რომელიც მარქსიზმის პროპაგანდას ეწეოდა და საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მუშებს მოუწოდებდა ინტერნაციონალური დროშის ქვეშ ებრძოლათ მეფის ხელისუფლებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. თბილისელმა სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს ავლაბრის არალეგალური სტამბა, სადაც პროკლამაციებსა და პოლიტიკურ ბროშურებს ბეჭდავდნენ. 1903 წელს ქართული „ბრძოლა“ და სომხური „პროლეტარი“ გაერთიანდნენ და დაიწყო გამოსვლა ღრმად

ინტერნაციონალისტურმა გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლა“.

1902 წელს ძლიერი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი შექმნა ბათუმში იოსებ ჯუგაშვილმა. მან მოახერხა ბათუმის ნავთის ბიდონების მწარმოებელ ქარხნების მუშების დარაზმვა სოციალ-დემოკრატიული პრინციპების გარშემო, გააძლიერა პროლეტარული სოლიდარობის გრძნობა.

1903 წელს ლონდონში შეიკრიბა რსდმ პარტიის II ყრილობა, რომელმაც გააერთიანა რუსეთის იმპერიაში თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და ეს ერთობა მტკიცედ დაუკავშირა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ იდეას, ხოლო ეროვნული საკითხის მოგვარება – პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საბოლოო შედეგებს.

რსდმპ II ყრილობას საქართველოდანაც ესწრებოდნენ დელეგატები (დ. თოფურიძე, ა. ზურაბოვი და სხვ.), სწორედ ამ ყრილობაზე წარმოიშვა ორი მიმდინარეობა – „ბოლშევიზმი“ (ვ. ი. ლენინის მომხრეები) და „მენშევიზმი“ (პლეხანოვ-მარტოვის მიმდევრები). საქართველოს წარგზავნილებმა მხარი უფრო „მენშევიკებს“ დაუჭირეს. საქართველოს სოციალ-დემოკრატები ამ პერიოდში რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფას და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას არ მოითხოვდნენ. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ავტონომიის მოთხოვნისაც კი. მარქსისტული დოგმატიდან გამომდინარე, ისინი მომავალში მსოფლიო პროლეტარული სახელმწიფოს შექმნას ვარაუდობდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ეროვნული თავისებურებების გაფეტიშება, ეროვნული საკითხის წინ წამოწევა სერიოზულად დაასუსტებდა პროლეტარიატის ერთიან ბრძოლას ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ.

როგორც ისტორიამ დაგვანახა, სოციალ-დემოკრატების მიერ ფართოდ კულტივირებული „კლასობრივი ბრძოლის“ მარქსისტული თეორია უზრუნველყოფდა ქართული საზოგადოებრიობის დეზინტეგრაციას, რამაც ასევე სერიოზულად შეაფერხა ის დიდი მუშაობა, რაც ილია ჭავჭავაძემ

და მისმა მეგობრებმა წამოიწყეს ქართველი ერის ერთიანობის მიღწევის გზაზე.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ უკვე „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიით შეგულიანებული საქართველოს მოსახლეობის ღარიბი და უღარიბესი ნაწილის გარკვეული ჯგუფები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ რევოლუციური პარტიების მიერ „მებრძოლი რაზმების“ აგრესიულ მოქმედებას, რაც ხშირ შემთხვევაში მკვლელობებით, ექსპროპრიაციით, მემამულეთა ოჯახების აწიოკებით მთავრდებოდა. როცა რუსეთში 1905-1907 წლების რევოლუციამ იმძლავრა, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში სოციალ-დემოკრატების „რევოლუციური მეთოდების“ მსხვერპლი აღმოჩნდა ბევრი ღირსეული მოქალაქე თუ ჩინოსანი: თბილისის გენერალ-გუბერნატორი ტიმოფეევი, თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების უფროსი ლეფევრი, გორში მოკლეს თავადი ერისთავი, მუხათგვერდთან გაძარცვეს ირანის შაჰის ელჩის ეტლი და ა.შ.[1]

რუსეთის რევოლუციონერების, მათ შორის, სოციალ-დემოკრატების მიერ დანთებული რევოლუციური ცეცხლი, მათ მიერ გაჩაღებული რევოლუციური ბრძოლა (ან შეიძლება ითქვას – ტერორისტული თარეში) სულ უფრო მეტი პოლიტიკური მოღვაწის სიცოცხლეს იწირავდა რევოლუციის სამსხვერპლოზე.

ქართველი სოციალ-დემოკრატების პროპაგანდით გონებადაბინდული ადამიანების მსხვერპლი აღმოჩნდა დიდი ილია ჭავჭავაძეც. 1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან, ოლღა გურამიშვილთან ერთად, თბილისიდან საგურამოში მიემგზავრებოდა. წიწამურთან მას შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი დახვდა, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს საქართველოს დიდი ეროვნული მოღვაწე. „ათი დღე, 30 აგვისტოდან – 9 სექტემბრამდე გლოვის ზარი გაისმოდა საქართველოში“ – წერდა ილიას საქმის

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 95, აღ. 1, საქ. 10, ფურც. 10-12.

დიდი დამფასებელი პავლე ინგოროყვა. მოაზროვნე საქართველომ გულწრფელად დაიტირა ერის დიდი მოჭირნახულე.

საუკუნეზე მეტია ათასგვარ ვერსიას განიხილავენ ქართველი ექსპერტები, მაგრამ მთავარი ის არის, რომ „ი. ჭავჭავაძის მკვლელობა იყო ვერაგულად გამიზნული პოლიტიკური აქტი, მიმართული ქართველი ხალხის მთლიანობის წინააღმდეგ“. [1]

ძალიან სწრაფად აგორდა აზრი ამ ტრაგედიის ორგანიზებაში სოციალ-დემოკრატიული კვალის შესახებ. ამ აზრს განამტკიცებდა თვითონ სოციალ-დემოკრატების, მათ შორის ნ. ჟორდანიას ცინიკური გამონათქვამიც – „ტყეს ჭრიან – ნაფოტები ცვივა!“. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე პ. გელეიშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა: „ილია ჭავჭავაძე თავის ძველ იდეალურ საქართველოსთან ერთად სამუდამოდ დაიმარხა“.[2]

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ საქართველოში ილიასა და მისი მეგობრების მიერ დაწყებული ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობა – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინა ეტაპი არა მარტო შეფერხდა, არამედ დიდი ხნით შეწყდა კიდეც. 1907 წლის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ აზრს ტოტალურად უკვე მემარცხენე იდეოლოგია (სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური) აკონტროლებდა და ამიტომაც ქართველმა ხალხმა ეროვნული კონსოლიდაციისათვის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვეღარ მოიცალა.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები (ა. ჯორჯაძე, თ. ღლონტი, შ. ნუცუბიძე და სხვ.) სოციალიზმის პოპულარულ იდეებს ორგანულად უხამებდნენ ეროვნული საკითხის საკუთარ ინტერპრეტაციას და სულ უფრო მზარდ ავტორიტეტს იხვეჭდნენ ქართველთა შორის.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის ღვაწლი, მისი დამსახურება იმჟამად მხოლოდ განათლებულ, ეროვნულ პოზიციებზე მდგომ ქართულ საზოგადოებრიობას ჰქონდა გაცნობიერე-

---

[1] ა. და პ. სურგულაძეები, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 163.
[2] ო. გოგიაშვილი, ილია დღეს, თბ., 2008, გვ. 741.

ბული, და ამიტომაც მათ ასე გულწრფელად დაიტირე იგი. მაგრამ ასეთი ადამიანები იმჟამად საქართველოს მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდნენ. სამართლიანად აღნიშნავენ: „ილიას ვერ გაუგეს... ისეთი „გულთა ძგერით“ და „სულთა-ძვრით“ ემსახურა ილია თავის ქვეყანას და თუმცა მისი დიდი ღვაწლი, განსაკუთრებით სიცოცხლის დასალიერზე, ზოგმა ეჭვის ქვეშ დააყენა, მაგრამ თავად დარწმუნებული იყო, სხვანაირად ვერ შეეჭიდებოდა უმძიმეს ტვირთს ქვეყნის შვილისა...“.[1]

ილიას გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ უამრავი შეხედულება გამოითქვა – ავიც და კარგიც. იმასაც კი ამბობდნენ, რომ 1907 წელს მოკლეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე პოპულარული მოღვაწე“.[2]

პავლე ინგოროყვას მიხედვით კი: „ამაო იყო მტრის წადილი შებრძოლებოდა იმას, რაც მარადისია, მოესპო გასროლილი ტყვიით ის, რაც უკვდავია. უკვდავია ილიას საქმე“.[3]

„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი!“ – იტყვის გალაქტიონი და მართალიც იქნება...

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ დაასრულა ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობის ერთი ეტაპი, რომლის დროს განისაზღვრა ძირითადი საკითხების წრე, შემუშავდა მოქმედების გეგმა, გამოიკვეთა პრიორიტეტები, გადაიდგა რეალური ნაბიჯები და გარკვეული შედეგებიც იქნა მიღწეული. ეს გეგმა, ეს ამოცანა ილია ჭავჭავაძემ საფლავში როდი ჩაიტანა, როგორც ამას პ. გელეიშვილი ვარაუდობდა, – ის ქართველ ერს დაუტოვა, როგორც ანდერძი და როგორც დიადი ამოცანა. ილიას დროს უკვე ნათელი იყო, რომ ამ ამოცანის განუხორციელებლად ქართველობა წინ ვერ წავიდოდა, რომ საჭირო იყო ენერგიული მუშაობა – ერთობ-

---

[1] იქვე, გვ. 740.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 161.

[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებები, პ. ინგოროყვას შესავალი წერილი, თბ., 1957, გვ. VI.

ლივი მუშაობა, შესაძლოა უკვე ახალ ეპოქაში, ახალ თვისებრივ პირობებში.

ქართული საზოგადოებრიობის დეზინტეგრაცია და დასუსტება ძალიან უნდოდა რუსეთის კოლონიალურ რეჟიმსაც, რომელსაც იმჟამად სულ სხვა მიზნები და სულ სხვა ამოცანები ამოძრავებდა კავკასიაში.

რუსეთის ხელისუფლებას სერიოზულად აღელვებდა ქართველი ინტელიგენციის მცდელობა და მათ მიერ ქართველი ერის კონსოლიდაციის მიზნით წარმოებული მუშაობის შესაძლო შედეგები. მეფის რუსეთს საქართველო პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური უფრო აწყობდა, ხოლო თუ კი ქართველებს შორის კონფესიური, ან ეთნოგრაფიული თვალსაზრისით იარსებებდა სერიოზული დაპირისპირება, ეს რუსეთისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა – ის მუდამ შეასრულებდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის მომრიგებლის როლს, ან, გარკვეულ ვითარებაში, თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა ქართველთა ეთნოგრაფიულ თუ კონფესიურ დაპირისპირებას. ამ მიმართულებით რუსეთის სპეცსამსახურები საგანგებო მუშაობას ეწეოდნენ.

საქართველოში რუსულმა „ოხრანკამ“ იმ წლებში სერიოზული ნაბიჯები გადადგა ქრისტიანი და მუსლიმი ქართველების სისხლიანი შეტაკების მოსაწყობად. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „თერგდალეულების“ მუშაობის ერთერთი წარუმატებელი მიმართულება იყო კონფესიური მრავალფეროვნების დაძლევა და, რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, ქართველების კონსოლიდაციის მიღწევა. მართალია, ახალციხესა და ახალქალაქში ეს მცდელობა სერიოზული არც არასოდეს ყოფილა და პოზიტიური შედეგების ფიქსაცია ამ რეგიონში ჭირს, მაგრამ აჭარაში, რომლის მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართული ენა ხმარებაში შემორჩენილი ჰქონდა, ქართველმა ინტელიგენციამ, როგორც თბილისიდან, ისე ბათუმიდან, გარკვეული მუშაობა ჩაატარა ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით, მაგრამ აშკარად – უშედეგოდ.

სწორედ ჯერ კიდევ არსებული ამ გაუცხოების კიდევ უფრო გაღრმავება გადაწყვიტეს რუსეთის სპეცსამსახურებ-

მა. დიდი ქართველი მოღვაწე მემედ აბაშიძე თავის ერთ-ერთ მოგონებაში აღწერს ასეთ ფაქტს: „რევოლუციონერმა იოსებ ბრეგვაძემ ბათუმის ოლქის მმართველს, არქირეაქციონერს ივანოვს ესროლა. მოკლულის გვერდით შემთხვევით მყოფი ხუსეინ-ბეგ შერვაშიძე მკვლელს გამოეკიდა და შეებრძოლა. ბრეგაძემ მასაც დაახალა ტყვია. რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ იმავ წამს გაავრცელა ჭორი, რომ „ქართველ ქრისტიანებს გადაუწყვეტიათ გაწყვიტონ ყველა ბეგი და მაჰმადიანი აზნაური აჭარაში“. ეს ჭორი დაიჯერეს და მუსლიმი მოსახლეობა სოფლებში, განსაკუთრებით მთის სოფლებში, დაირაზმა, შეიარაღდა, დაიძრა ბათუმისაკენ ქართველების დასასჯელად.[1]

როგორც მ. აბაშიძე ამტკიცებდა, პროქართულად განწყობილ ბათუმელ მუსლიმებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ გაავებული ბრბო დაეწყნარებინათ და ამით დაძაბულობა განემუხტათ.

როგორც კი დარწმუნდნენ, რომ პროვოკაციისათვის ნაყოფიერი ნიადაგი შემზადებული იყო, მეფის „ოხრანკამ“ გააძლიერა ანტიქართული მოღვაწეობა ბათუმის ოლქში. როგორც ამტკიცებენ, ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ ბათუმის ოლქში ქრისტიანი ქართული მოსახლეობის მიგრაციას და ადგილზე მათ ადაპტაციას. ამ გზით რუსები ცდილობდნენ მინიმუმამდე შეემცირებინათ ეთნიკური ქართველი და მუსლიმი ქართველების კონტაქტები.[2]

მკვლევარი ო. გოგოლიშვილი აქვეყნებს ინფორმაციას, თუ როგორ ცდილობდა რუსეთის აგენტურა ლოიალურად განწყობილი აჭარელი ბეგების ჩაბმას ანტიქართულ საქმიანობაში, რათა მომხდარიყო ქრისტიანებისა და მულიმების სისხლიანი შეტაკება. ამ მიზნით განსაკუთრებით ცდილობდნენ ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის გამოყენებას, რომელმაც ამ

---

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, მეორე განყოფილება, ფ. 14, აღ. 1, ს. 854, გვ. 20.

[2] ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი, 2005, გვ. 34.

პროვოკაციის შესრულებაზე სასტიკი უარი განაცხადა.[1]

რუსეთის სახელმწიფო აჭარაში ანტიქართულ საქმიანობას ყოველწლიურად აძლიერებდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია წერილი, რომელიც ზემდგომ ინსტანციაში გააგზავნა რუსმა მოხელემ: „თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ ვცდილობთ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა გავაძლიეროთ რუსული ელემენტი ბათუმის ოლქში... ჩვენ გადავწყვიტეთ ეთნოკონფლიქტების ჩამოგდების გზით გაგვეთიშა „ტუზემცები“. ჯერ ვცადეთ ერთმანეთისათვის წაგვეკიდებინა ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები. ამ მიზნით ვეცადეთ მოგვესყიდნა არა ერთი გავლენიანი მაჰმადიანი ქართველი, შევაძლიეთ დიდძალი თანხა... მაგრამ ისინი ყველაფრისაგან შორს იჭერდნენ თავს“.[2]

მართალია, სისხლიანი შეტაკების ორგანიზება ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ე.წ. „ქართველი მასწავლებლების“ საქმე, რომელიც რუსეთის „ოხრანკის“ ბათუმის განყოფილებამ შეთითხნა და საკმაოდ დიდი ხმაურიც ატეხა. რუსეთის აგენტურა ყოველნაირად აფერხებდა ქართველი პედაგოგების მცდელობას – გაევრცელებინათ აჭარაში ქართულ ენაზე წერა-კითხვა. ბათუმში მოსული ცირკულარი ავალებდა ადგილობრივ აგენტურას, ისე დაეგეგმათ საქმე, რომ თვითონ მუსლიმი მოსახლეობა დაპირისპირებოდა ქართველ პედაგოგებს.[3]

სერიოზული პრობლემები შეექმნათ ქართველ მასწავლებლებს აფხაზეთშიც. აქ ქართველთა ყველა მცდელობა, მიეღწიათ ისტორიულ ძმებთან – აფხაზებთან კავშირის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, აწყდებოდა კოლონიალური ხელისუფლების წინააღმდეგობას. მაგალითად, რუსებმა ხელი შეუშალეს ადგილობრივი ქართველების მცდელობას, რომლებიც აპირებდნენ იაკობ გოგებაშვილისათვის დაევალებინათ აფხაზური „დედაენის“ შედგენა და პრაქტიკაში

---

[1] ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი, 2005, გვ. 44.

[2] იქვე, გვ. 77.

[3] იქვე, გვ. 95.

დანერგვა.[1]

ანტიქართულმა, დეზინტეგრაციულმა საქმიანობამ გარკვეული შედეგებიც მოიტანა. ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ეროვნულ-პატრიოტული ძალები გარკვეულწილად დაიქსაქსნენ, მათი პოზიციები შესუსტდა, სოციალური პრობლემების პრიმატი უკან სწევდა ქართული საზოგადოებრიობის ერთიანობის იდეის ცხოველმყოფელობას. მაგრამ საქართველოში, ყველაფრის მიუხედავად, მაინც სახეზეა ეროვნულ-პატრიოტული ძალების ისეთი საქმიანობა, რომლის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაა, ანუ, სერიოზული პრობლემების მიუხედავად, გამოცოცხლდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ჯერ კიდევ 1889 წ. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს ფარული საზოგადოება „საქართველოს თავისუფლების ლიგა“. პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, კიევის, ხარკოვის, ოდესისა და სხვა სასწავლებლების ქართველმა სტუდენტებმა ქუთაისში 1892 წლის 26-29 ივლისს ჩაატარეს პირველი გაერთიანებული ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მიხეილ ხელთუფლიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ელიაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ნიკოლოზ ფანცხავა და სხვ. მათ პროგრამაში ნათქვამი იყო შემდეგი: საქართველო დაჩაგრულია, „ქართველ ხალხს ემუქრება მშობლიური ენის, ზნე-ჩვეულებისა და მიწის დაკარგვის საფრთხე... „თავისუფლების ლიგა“ მიზნად ისახავს საქართველო გამოიყვანოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე. იგი ეცდება ქართველ ხალხს აუხსნას ჩამორჩენილობის მიზეზი, შეაგნებინოს თავისი მძიმე მდგომარეობა, დარაზმოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად“.[2]

საყურადღებოა, რომ ქართველი ახალგაზრდები გეგმავდნენ ანტირუსული გამოსვლის ორგანიზებას მთელი კავკასიის მასშტაბითაც და სწორედ ამ მიზნით იგეგმებოდა

---

[1] ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბ., 2007, გვ. 279.

[2] ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980, გვ. 298.

კავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობებთან მჭიდრო თანამშრომლობა. მეფის საიდუმლო პოლიციამ მიაგნო შეთქმულებს და ყველა აქტივისტი დააპატიმრა.

1907 წელს ქართველი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა: ვარლამ ჩერქეზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა, მიხეილ გვაზავამ ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას ქართველი ხალხის სახელით წარუდგინა „პეტიცია“, რომელშიც დაგმობილი იყო რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში და თხოვდნენ კონფერენციის მონაწილეებს, დახმარებოდნენ ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აღდგენაში გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის ძირითადი პრინციპების საფუძველზე. საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები მხოლოდ თანაგრძნობის გამოხატვით დაკმაყოფილდნენ.[1]

ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის მცირე ჯგუფს ჰქონდა იდეა – ნებისმიერი საშუალება გამოეყენებინათ, მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოების დაპირისპირების პირობებში, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. იდეა, თავითავად მისასალმებელი და შესაშურია, მაგრამ ის ძლიერ სარისკო და არაპროგნოზირებადიც შეიძლება გამხდარიყო სწორედ ისტორიული კატაკლიზმების ეპოქაში. სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა: გიორგი მაჩაბელმა, მიხეილ (მიხაკო) წერეთელმა, პეტრე სურგულაძემ, ლეო კერესელიძემ, გიორგი კერესაელიძემ, ნესტორ მაღალაშვილმა უკვე 1913 წელს განიზრახეს რუსეთის მოწინააღმდეგე სამხედრო-პოლიტიკური ძალების დახმარებით უზრუნველეყოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ნებისმიერი ფორმით და ამ მიზნით დაიწყეს მოლაპარაკებები გერმანიის, ავტრია-უნგრეთისა და თურქეთის მმართველ წრეებთან.

მკვლევარმა დავით პაიჭაძემ გერმანიის არქივებში გამოავლინა და 2000 წელს ჟურნალ „ანალებში“ გამოაქვეყნა ქართველების ამ ჯგუფის მიერ გერმანიისა და თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ურთიერთობების, მოლა-

[1] ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ.,1999, გვ. 217.

პარაკებების პერიპეტიები, ხელშეკრულებების ტექსტები, გაა-შუქა მათი ანტირუსული საქმიანობის საკმაოდ დიდი სპექ-ტრი. ჩვენ შევეცდებით ამ გამოქვეყნებული მასალის საკუ-თარი ინტერპრეტაცია შევთავაზოთ მკითხველს, რადგან მიგვაჩნია რომ ამ მასალას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეპოქის შესწავლაში და გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს სწორედ ომის პირობებში და მისი შედეგებიდან გამომდინა-რე, მომავალი საქართველოს შესაძლო სახელმწიფო საზ-ღვრების საკითხის განსაზღვრისათვისაც.

გერმანიის იმპერია, როგორც ყველა ნებისმიერი აგრე-სიული ქვეყანა, რომელიც ისტორიული ომისათვის ემზადე-ბა, ყველა დასაშვები და დაუშვებელი ხერხებით ცდილობ-და თავისი პოტენციური მოწინააღმდეგის დასუსტებას სე-პარატისტული მოძრაობის გაღვივება-გავითარების ხელშეწ-ყობით. აქედან გამომდინარე, ამ სეპარატისტული მოძრაო-ბის გასაძლიერებლად გამოყოფილი იყო რესურსები (მატე-რიალური, სამხედრო, პროპაგანდისტული და ა.შ.) და იქმნე-ბოდა სპეციალური ორგანიზაციებიც, რომლებსაც ეს დი-ვერსიები უნდა განეხორციელებინათ. მაგალითად, გერმანი-აში არსებობდა „ინდოეთის დამოუკიდებლობის კომიტეტი“, „სპარსული კომიტეტი“, „ტუნისის დამოუკიდებლობის კომი-ტეტი“, „რუსეთის მუსლიმანი სტუდენტების მხარდამჭერი საზოგადოება“ და ა.შ.

ქართველი თავადაზნაურთა მიერ ზემოთ აღნიშნული საზოგადოება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტე-ტი“ ასევე მოხვდა გერმანიის სპეცსამსახურების ზრუნვის სფეროში და მისი რესურსებით სარგებლობდა. ქართველე-ბის ამ ჯგუფის მიერ მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა თურ-ქეთის ანალოგიურ სპეცსამსახურებთან და თურქეთის ხელ-მძღვანელებისაგანაც მიიღეს საინტერესო შეთავაზებები და საყურადღებო დაპირებები. პროფ. დ. პაიჭაძე აქვეყნებს „სა-ქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის მე-მორანდუმს ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობისადმი“, „ქართველთა ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის მი-ერ ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობისადმი შეთავაზე-ბული შეთანხმების პროექტს“. აქვეა წარმოდგენილი დამო-

უკიდებელი საქართველოს სახელმწიფო რუკა, რომელიც „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ წარუდგინა გერმანიის მთავრობას. ასევე გამოქვეყნებულია თურქეთის სამხედრო მინისტრისადმი თავად გ. მაჩაბლის მიერ გაგზავნილი მიმოწერა და ა.შ. ყველა ეს მასალა უაღრესად საინტერესოა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ურთიერთობების შინაარსის, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრის და, გარკვეული აზრით, ქართველებისათვის მომავლში მოსალოდნელი რისკებისა და შესაძლებლობების გასაანალიზებლად.

დოკუმენტები შეიცავენ დაპირებას, ცნონ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, რომ ოსმალეთის მთავრობა არავითარი მოტივით არ შეუქმნის შეფერხებას რუსეთის ჯარის ნაწილებისაგან განთავისუფლებულ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას; ოსმალეთის მთავრობა პირობას დებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ წამოაყენებდა პრეტენზიებს საქართველოში რუსეთის მთავრობის კუთვნილ ქონებაზე და ა.შ.

თავის მხრივ საქართველოს „ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრები იღებდნენ უფლებას თურქეთის ტერიტორიაზე შეექმნათ ქართული ლეგიონები და დაეკომპექტებინა ისინი ომის ქართველი ტყვეებისაგან, ქართველი ემიგრანტებისაგან, საქართველოდან ამ მიზნით ჩამოსული სამოქალაქო თუ სამხედრო პირებისაგან და ა.შ.[1]

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა უაღრესად საინტერესოა და, ამავე დროს, საკმაოდ მოცულობითია. ჩვენ, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, მის ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე ვერ შევჩერდებით, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფთ მომავალი საქართველოს საზღვრების საკითხს, რომლის კონტურები თურქეთის მთავრობამ ხელშეკრულებაში ზუსტად ჩამოაყალიბა და რომლის ფარგლებში საქართველოს აღიარებას

[1] დ. პაიჭაძე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ჟურ. „ანალები“, თბ., 2000, გვ. 117-118.

ოფიციალურად აპირებდა: „საქართველოს საზღვარი იწყება შავი ზღვიდან – დახოვსკიდან და მიჰყვება სწორ ხაზს აბიშირამდე, შემდეგ სწორ ხაზს ელბრუსამდე და შეიცავს ამ უკანასკნელსაც. ელბრუსიდან სწორი ხაზი მიემართება ბალთამდე, ბალთადან სწორი ხაზით – აზახომდე. შემდეგ მიემართება დაღესტნის საზღვრის გასწვრივ სალავათამდე. სალავათიდან სწორი ხაზით – გოგჩის ტბამდე, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი შევა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. გოგჩიდან სწორი ხაზით – ჩილდირამდე, ჩილდირის ტბიდან – ბალვანამდე, ბალვანიდან – არტანუჯამდე. არტანუჯიდან – რუსეთ-თურქეთის საზღვრის გასწვრივ იმ ადგილამდე, სადაც მას მდ. ჭოროხი კვეთს, ამ უკანასკნელი წერტილიდან შავ ზღვამდე ჭოროხის გასწვრივ. ქალაქები – ელიზავეტპოლი, ალექსანდროპოლი, და არდაგანი რჩებიან საქართველოს ტერიტორიის გარეთ.[1]

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება № 2 მუხლში ჩამოყალიბებული შემდეგი დებულება: „ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობა სცნობს, რომ აღნიშნული ტერიტორია არის საქართველოს **ისტორიული და რეალური** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) მიწა-წყალი და რომ ამ უკანასკნელს აქვს აღნიშნული ტერიტორიის უცილებელი ფლობის მტკიცებულება“.

აღნიშნული დოკუმენტების პუბლიკაციის ავტორი მხოლოდ ამ დოკუმენტების გამოქვეყნებით კმაყოფილდება და არ იძლევა ამ მასალის კრიტიკულ შეფასებას. ჩვენ კი, დოკუმენტების დეტალური შესწავლის დროს რამდენიმე შეკითხვა გაგვიჩნდა, რაც გვინდა მკითხველსაც გავაცნოთ:

1. არის თუ არა განსხვავება თურქეთის მიერ შემოთავაზებული მომავალი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების კონფიგურაციაში თანხვედრა-შესაბამისობა ბერლინის კონგრესის მიერ დადგენილ საზღვრებთან, აღიარებდა თუ არა თურქეთის მთავრობა სამხრეთ კავკასიაში იმ ტერიტორიულ ცვლილებებსა და საზღვრებს, რაც ბერლი-

[1] დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117-118.

ნის კონგრესით იყო დამტკიცებული და უკვე თითქმის 40 წელია შედიოდა რუსეთის კავკასიის სამეფისნაცვლოში?

2. რამდენად უანგარო იყო თურქეთის მხარის ეს შეთავაზებები საქართველოს მომავალი სახელმწიფოსათვის და რას ითხოვდა სანაცვლოდ თურქეთის მხარე?

3. რა საფრთხის შემცველი იყო ამ დოკუმენტების რეალიზება საქართველოს მხარისათვის ახლო თუ შორეულ პერსპექტივაში?

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დოკუმენტში დაფიქსირებული საზღვრების კონფიგურაცია და თურქეთის მხრიდან საქართველოსათვის ავანსად გადაცემული საკმაოდ დიდი ტერიტორიები ჩრდილოეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში. დახოვსკი (დახოვკა) – ეს ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, დღევანდელი ადიღე-ჩერქეზეთში მდებარეობს. I მსოფლიო ომის წინ ამ ტერიტორიებს რუსეთი ფლობდა, ის საკმაოდ დაშორებულია აფხაზეთის იმ ტერიტორიას, რომელიც ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. აქედან სწორი ხაზით თურქეთის „ნაჩუქარი“ საზღვარი მიყვებოდა აბიშირის ქედს თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთში, რაც ასევე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. თურქეთის მხარე მომავალი საქართველოს მთავრობას ასევე დიდსულოვნად ჩუქნიდა იალბუზის მთას მთლიანად, შემდეგ აღმოსავლეთით დაღესტნის საზღვრის გაყოლებით – თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიებს გოგჩის ტბამდე (ტბა სევანი). რომლის ჩრდილოეთი, ე.ი. სომხეთით დასახლებული ნაწილი – საკმაოდ დიდი ტერიტორია (რომელიც იმჟამად კავკასიის სამეფინაცვლოში შედიოდა, მაგრამ თბილისის გუბერნიას არ ეკუთვნოდა) ასევე გადადიოდა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიულ გამგებლობაში.

რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს, თურქეთის მთავრობა საქართველოს უთმობდა გოგჩის ტბიდან ჩალადირამდე ტერიტორიებს, ამის შემდეგ მდინარე ჭოროხის წყალგამყოფის მიმართულებით საზღვარი გაივლიდა შავ ზღვამდე, ასე რომ თურქეთის მხარე აღიარებდა საქართვე-

ლოს შემადგენლობაში მხოლოდ ქალაქ არტანუჯს, ართვინის, არდაგანის, ელისავეტაპოლისა (განჯის) და ალექსანდროპოლის (გიუმრის) გარდა, რომლებიც რუსეთმა მიიერთა თურქეთთან 1877-1878 წლების ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე.[1]

ზემოთ მოტანილ დოკუმენტში არ არის ნახსენები ბათუმი და ბათუმის ოლქი, მაგრამ რამდენადაც თურქეთის მხარეს საზღვარი გაჰყავდა მდინარე ჭოროხის წყალგამყოფის მინიშნებით, სავარაუდოდ, ბათუმი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში.

სავსებით ნათელია თურქეთის მიერ შემოთავაზებული ახალი საზღვრების ამ კონფიგურაციის განსხვავება ბერლინის ტრაქტატით განსაზღვრულ საზღვრებისაგან: აშკარაა, რომ თურქეთის სასარგებლოდ იკარგებოდა საკმაოდ დიდი ტერიტოორიები (ართვინი, არდაგანი და ა.შ.), მაგრამ შენარჩუნებულია ბათუმი. სამაგიეროდ თურქეთი საკმაოდ გულუხვია იმ ტერიტორიების შეთავაზებაში, რომელიც არც მას და არც საქართველოს იმჟამად არ ეკუთვნოდათ – ეს იყო ჩრდილო კავკასიის საკმაოდ დიდი ტერიტორია მთელი კავკასიონის ქედის გაყოლებით, დაღესტნის საზღვრის გასწვრივ, თანამედროვე აზერბაიჯანში – განჯის მიმდებარედ და სევანის (გოგჩის ტბის) ჩრდილოეთით.

გოგჩის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე ძირითადად სომეხი მოსახლეობა ცხოვრობდა. ჩვენი აზრით, თურქეთის მხარის ასეთი გულუხვი ტერიტორიული შეთავაზება მიზნად უნდა ისახავდეს ქართულ-სომხური პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ესკალაციას როგორც ახლო, ისე შორეულ მომავალში. როცა ეს დოკუმენტი მზადდებოდა, თურქეთ-სომხეთის დაპირისპირება ჯერ არ იყო ზენიტში ასული, აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დოკუმენტით თურქეთის მხარე ცდილობდა ქართველობაც აქტიურად ჩაება ამ სისხლიან ტრაგედიაში, რომელიც სულ რამდენიმე თვეში თურქეთში, სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე გათამაშდება.

---

[1] დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

ასეთი ტერიტორიული ხელგაშლილობის საფუძვლად თურქეთის მხარემ მოიშველია გარკვეული არგუმენტაციაც, რაც ასევე ასახულია ამ დოკუმენტში: „ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობა სცნობს, რომ აღნიშნული ტერიტორია არის საქართველოს ისტორიული და რეალური მიწა-წყალი და რომ ამ უკანასკნელს აქვს აღნიშნული ტერიტორიის უცილებელი ფლობის მტკიცებულება“. ასეთი განცხადება, უდავოდ, შეიცავს ისტორიულ მტკიცებულებებს – როგორც ჩრდილეთ კავკასიაში მითითებული შემოთავაზებები, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიები ისტორიულად, საქართველოს ძლიერების ხანაში, კონტროლდებოდა (ან უშუალოდ ეკუთვნოდა, ან ყმადნაფიცობის სტატუსით შედიოდა) საქართველოს ერთიანი მონარქიის მიერ. აქედან გამომდინარე, დოკუმენტში მითითებულ ტერმინს (“ისტორიულს“) აქვს არსებობის უფლება და ისტორიულ სიმართლეს შეესაბამება XI-XIII საუკუნეების პოლიტიკური რუკის გათვალისწინებით, მაგრამ იმჟამინდელი **რეალური** მდგომარეობა (ეს ტერმინიც არის ნახსენები დოკუმენტში) უკვე საკმაოდ განსხვავებული იყო: ამ ტერიტორიებზე ეთნიკური სურათი აშკარად შეცვლილია, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია რელიგიური მახასიათებლები, პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები, პროთურქული თუ პრორუსული ფსიქო-სოციალური ფაქტორები და ა.შ.

ასეთივე რთული მდგომარეობა შეიმჩნევა ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის შესაძლო საზღვრის კონფიგურაციის განხილვის დროსაც: ძალიან ძნელი სათქმელია, რომ სამხრეთ კავკასიის მუსლიმი მოსახლეობა დაემორჩილებოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნას იმ მოტივით, რომ ეს ტერიტორიები ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და, ამ შემთხვევაშიც მოსალოდნელი იყო დაძაბულობის ესკალაცია.

იგივე შეიძლება ითქვას გოგჩის ტბის ჩრდილოეთით მდებარე, სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზეც: სომხეთის ნაციონალისტურ ორგანიზაციებს, რომლებიც იმჟამად უკვე „დიდი სომხეთის“ აღდგენის გეგმებით იყვნენ გატაცებულნი და საქართველოს შემადგენლობაში მყოფ მიწებზეც

ჰქონდათ უკვე პრეტენზიები, განა მოეწონებოდათ თურქეთის მიერ ასე უხვად გაცემული ის ტერიტორიები, რომლებიც თავის საკუთრებად მიაჩნდათ, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ამ ტერიტორიებს, უდავოდ, ოდესღაც საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია აკონტროლებდა?

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თურქეთის მხარის ასეთი „ხელგაშლილობა“ შეიძლება დაკავშირებული იყოს ქართულ-სომხური დაპირისპირების ესკალაციასთან როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში, სამხრეთ კავკასიაში პერმანენტული სამხედრო დაპირისპირებების დაგეგმვაში, დაძაბულობის კერების, ურთიერთტერიტორიული პრეტენზიების დაუსრულებელი კასკადის შექმნასთან, რათა თურქეთის სახელმწიფოს მუდამ ჰქონოდა სამხრეთ კავკასიის საქმეებში ჩარევის, მენტორის და მედიატორობის შესაძლებლობები.

რა თქმა უნდა, ასეთი „უხვი“ შეთავაზებები თურქეთის მხრიდან გარკვეულ პირობებს გულისხმობდა, რისი შესრულების გარეშე თურქეთის მხარე ამ დათმობებზე არ წავიდოდა. ეს პირობები არც გასაიდუმლოებული იყო და, ჩვენი აზრით, არც ისე მცირერიცხოვანი: „1. ომის მსვლელობისას თავის განკარგულებაში იქონიოს რკინიგზა და საკომუნიკაციო ხაზები; 2. მოითხოვოს რეკვიზიცია თავისი არმიის საჭიროებისათვის, მაგრამ ეს რეკვიზიცია უნდა გაკეთდეს საქართველოს დროებითი მთავრობის მეშვეობით: 3. მოითხოვს იურისდიქციის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ ძალაში იქნება სამხედრო კანონები და ა.შ. ასევე საქართველოს მხარე ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა თურქეთის მხარეს მთელი თავისი ძალებითა და საშუალებებით რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობის მანძილზე; უნდა გაეწია ენერგიული პროპაგანდა საქართველოში თურქეთის სასარგებლოდ და რუსეთის საწინააღმდეგოდ; უნდა უზრუნველეყო საქართველოში რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა და ყოველმხრივ დაერწმუნებინა ქართველობა თურქეთის ქართველებთან მეგობრობაში; ქართულ მხარეს თურქეთისათვის სისტემატურად უნდა მიეწოდებინა ცნობები რუსეთის არმიის განლაგების, მოქმედების გეგმებისა და

გადაადგილების შესახებ; ასევე, ქართული მხარე ვალდებულებას იღებდა, საქართველოში მეგობრულად მიეღო თურქეთის არმია, ეჩვენებინა გზები და ბილიკები, გაეწია მეგზურობა და გაეადვილებინა მისთვის გადაადგილებები“ და ა.შ.

თუ ერთმანეთს შევადარებთ იმას, რასაც თურქეთი პირდებოდა საქართველოს და იმას, რა ვალდებულებას იღებდა ქართული მხარე, აშკარაა, რომ ქართული მხარე, დოკუმენტის გასაჯაროების შემთხვევაში, აღმოჩნდებოდა საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში: თურქები ქართველებს პირდებოდნენ იმას, რაც ჯერ მათ არც კი ეკუთვნოდათ, სამაგიეროდ ართმევდნენ იმ ტერიტორიულ შენაძენებს, რაც ბერლინის ტრაქტატით მიიღეს (ართვინი, არდაგანი და ა.შ.) და მოითხოვდა ისეთი ამოცანების გადაუდებელ შესრულებას, რასაც აშკარად ღალატის მცდელობად ჩაუთვლიდა ომში ჩართული ნებისმიერი მონაწილე სახელმიწიფო; – ეს ხომ ფაქტობრივად ის პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები იყო, რაც თურქეთში მცხოვრებმა სომეხმა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სულ რამდენიმე თვის შემდეგ, „ანტანტის“ სახელმწიფოების ლიდერების დაპირებების საფუძველზე, განახორციელა რეალურ ცხოვრებაში?

ამრიგად, ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ამ საიდუმლო ხელშეკრულებით თურქეთის მხარე ძალიან სერიოზულ საფრთხეს უგეგმავდა საქართველოს სულ ახლო მომავალში.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იმჟამად გააქტიურდნენ ბაგრატიონის გვარის წარმომადგენლებიც. მაგალითად, ელისაბედ ბაგრატიონი შეეცადა რუსეთის მთავრობასთან დაეყენებინა საკითხი საქართველოს სამეფოს აღდგენის შესახებ. ნიკოლოზ II-მ სცნო მისი უფლებები საქართველოს სამეფო ტახტზე, ფიქრობდა რა, რომ პატივმოყვარე ქალბატონი მხოლოდ ამ უფლების აღიარებით დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ელისაბედ ბაგრატიონმა 1910 წლიდან გაავრცელა განცხადება მოწოდებით “საქართველოს სამეფოს აღდგენა“. ეს უკვე აღარ მოეწონათ რუ-

სეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს და ენერგიული ქალბატონი დააპატიმრეს.[1]

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ქართველი ეროვნების საეკლესიო მოღვაწეებს შორის გაჩნდა სურვილი, ებრძოლათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, რაც რუსეთის ხელისუფლებამ უკანონოდ, ყოველგვარი კანონიკური წესის იგნორირებით, გააუქმა.

1905 წლის თებერვალში იმერეთის სამღვდელოებამ გაუგზავნა პეტიცია რუსეთის ხელისუფლებას და მოითხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. პეტიციაში ინიციატორები ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ სწორედ რუსული ეკლესიის სიმახინჯეები, აშკარა გადახრები მსოფლიო ეკლესიის კანონიკური საფუძვლებიდან, სერიოზულად აკნინებდა ეკლესიას, მრევლის თვალში საეკლესიო მსახურს საიდუმლო პოლიციის აგენტად წარმოაჩენდა და მასში ათეისტურ განწყობილებებს ავითარებდა. იმერეთის სამღვდელოებას მხარი მალე გურია-სამეგრელოს ეპარქიის ღვთისმსახურებმაც დაუჭირეს.

თვალსაჩინო ქართველი საეკლესიო მოღვაწეები: ლეონიდი (ოქროპირიძე), კირიონი (საძაგლიშვილი), ამბროსი (ხელაია), კორნელი კეკელიძე და სხვები ცდილობდნენ რუსეთის სინოდისათვის დაემტკიცებინათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა და კანონიერება. ამ მიზნით სპეციალური საზოგადოებრივი ორგანიზაციაც კი შეიქმნა – „ავტოკეფალისტთა საზოგადოება“. მათი მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა მაშინ, როცა საქართველოდან გაიწვიეს ეგზარქოსი ნიკოლოზი და მის ადგილზე წარმოგზავნეს არქირეაქციონერი ნიკონი[2].

ქართველ მღვდელმთავრებსა და ავტოკეფალისტებს ღრმად სწამდათ, რომ მოახერხებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიღწევას, რაც გახდებოდა ქართველი

---

[1] ა. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 310-311.

[2] ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 351.

ერის კონსოლიდაციის და მისი ზეაღმავალი განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი.

ამ დიდ საქმეში ქართველ სამღვდელოებას მხარში ამოუდგნენ ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის ისტორიკოსებიც: ნიკო მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე და სხვ. განსაკუთრებულია პროფ. ალ. ცაგარელის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში.[1]

საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის მიზნით იღვწოდნენ საქართველოს პოეტები, მწერლები, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ქართველ ინტელიგენციას XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით აღელვებდა ქვეყანაში მოძალებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, რაც, მათი აზრით, აკნინებდა ყოველივე ეროვნულს, ტრადიციულს, ძალას აცლიდა მათ მცდელობას ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით. ისინი თავიანთ პუბლიცისტურ წერილებსა და საჯარო გამოსვლებში ქართველ მოსახლეობას მოუწოდებდნენ ერთიანობისა და ძმური შეკავშირებისაკენ.

ამ ეტაპზე გამორჩეული მნიშვნელობა მიენიჭა ვაჟა ფშაველას მოღვაწეობას ქართველების ერთიანობის მიღწევის საქმეში. ამ მხრივ მისი პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ მაინც გამორჩეულია. ვაჟა სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს უსაგნო კოსმოპოლიტიზმს, რის პროპაგანდასაც მავანნი ცდილობდნენ საქართველოში და აყალიბებს საოცარ ბალანსს ეროვნულსა და საკაცობრიოს შორის. ის არ უპირისპირებდა ამ ორ ფენომენს ერთმანეთს, არამედ ღრმად სწამდა, რომ მათი ჰარმონიული შეხამება შესაძელებელია. ის წერდა: „მეცნიერები და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყველა ერი იქამდის, რომ ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფის

[1] ა. ვარაზაშვილი, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX ს.დასაწყისში. 1917 წლამდე), თბ., 2000, გვ. 75-76.

ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორეს ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე“.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ვაჟა ფშაველა ამ პატარა წერილში კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა თერგდალეულების, ილიასა და მისი მეგობრების მიერ უკვე ჩამოყალიბებულ შეხედულებას ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის შესახებ: „პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად დაჰყევება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორიც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვ.“ ამით ვაჟა ფშაველა კიდევ ერთხელ ახსენებდა საქართველოს საზოგადოებრიობას, რომ უსაგნო კოსმოპოლიტიზმის ნაცვლად გაეთავისებინათ და განემტკიცებინათ ეროვნული ფასეულობები, აეღორძინებინათ ეროვნული კულტურა, მეცნიერება, დამწერლობა და ამის საფუძველზე გაემდიდრებინათ მსოფლიოს ცივილიზაცია, გაეხადათ ქართველებს ქართული კულტურა მსოფლიოსთვის მისაღები, საცნაური.

ასეთი იყო ქართული საზოგადოებრიობის მდგომარეობა, მისი ოცნებები, იმედები და მიზნები XX საუკუნის დასაწყისში, როცა მსოფლიოში ერთა შორის თანდათანობით, მეთოდურად და ეტაპობრივად მწიფდებოდა კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არნახული, დამანგრეველი და დროში ესოდენ გაწელილი საომარი დაპირისპირება.

§4. გასროლა სარაევოში

სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბების პარალელურად მსოფლიოს წამყვანი, მაგრამ უკვე აშკარად იმპერიალისტური ქვეყნები ერთმანეთს ეცილებოდნენ ჯერ კიდევ დარჩენილი გავლენის სფეროებისა თუ ნედლეულის წყაროების მისაკუთრების საქმეში. ამ ეტაპზე თავისებურება მხოლოდ ის იყო, რომ ამ საქმეში გამოცდილ „გრანდებს“, ევროპის წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს ახალგაზრდა, მზარდი და უკვე თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების ერთგული დამცველი, მსოფლიოში დემოკრატიისათვის ვითომ მებრძოლი ქვეყანა – ამერიკის შეერთებული შტატებიც შეუერთდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარმატებით დაძლია სამოქალაქო ომის დროს გამოწვეული ნგრევა და შიდაპოლიტიკური დაპირიპირების კატასტროფული შედეგები და, როგორც დიდი გერმანელი მოაზროვნე მაქს ვებერი ამტკიცებდა, „პროტესტანტული ეთიკის ეკონომიკაში აქტიური რეალიზების საფუძველზე“ საოცრად დაწინაურდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზაზე. სულ რამდენიმე ათწლეულში ეკონომიკური ზრდის ტემპებით და განსაკუთრებით კი ფინანსური სექტორის გაძლიერებით, აშშ „დაეწია და გაუსწრო“ ევროპის ბევრ მოწინავე ქვეყანას. მართალია, ამ დროისათვის მსოფლიო უკვე თითქმის გადანაწილებული იყო გავლენის სფეროები, მაგრამ ჩრდილო ამერიკის მზარდმა შესაძლებლობებმა უკვე ახალი მოთხოვნილებებიც გააჩინა.

1899 წელს ამერიკის კოგრესმენებმა გადაწყვიტეს წერტილი დაესვათ მათი სახელმწიფო ტერიტორიების მახლობლად ევროპელი კოლონიზატორების „სურვილებისა და იმედებისათვის“: ამერიკელები ვეღარ ურიგდებოდნენ ეკონომიკურად უკვე დაუძლურებული და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული ესპანეთის სამეფოს კოლონიალურ ბატონობას კარიბის ზღვის აკვატორიაში. ძალიან ადვილად მოიძებნა საბაბიც – კუბის მოსახლეობის უაღრესად დამცრობილი სოციალური მდგომარეობა, მათი კატორღული შრომა,

ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევა, შაქრისა თუ თამბაქოს უკიდეგანო პლანტაციებში ადამიანის შრომის საშინელი ექსპლოატაცია – ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სულ პატარა „ამერიკულ“ წაბიძგებას კუბაში ძლიერი ანტიესპანური მოძრაობა გაეჩაღებინა, რაც მალე აჯანყებაში გადაიზარდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხედრო თვალსაზრისითაც ძალიან მალე აიძულა ესპანეთის ძირმომპალი მონარქია, დაეტოვებინა ეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონი და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ აღიარა კუბის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. სულ მალე კუბა ამერიკელი მილიონერების საყვარელ დასასვენებელ სავანედ გადაიქცევა. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, ასე დაიწყო მსოფლიოში ტერიტორიული გადანაწილების შეუქცევადი პროცესი.

ამ მოვლენებიდან ძალიან მალე, ჯერ კიდევ დედოფალ ვიქტორიას მმართველობის ხანაში, ინგლისის მმართველი ელიტა სერიოზულად შეაშფოთა სამხრეთ აფრიკაში, ბურების რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებმა და გადაწყდა აქტიური სამხედრო ჩარევა. საქმე იმაში იყო, რომ ამ ტერიტორიებზე, კერძოდ ტრანსვაალში, აღმოჩნდა ოქროს წარმოუდგენლად მდიდარი საბადოები, რომელთა მითვისების დაუოკებელი სურვილი ინგლისის ბურჟუაზიას თავიდანვე გაუჩნდა და მისი რეალიზების გეგმებიც დაისახა.

უნდა განსაკუთრებით აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამავე ქვეყნის სიახლოვეს აღმოჩნდა ალმასით მდიდარი ქვიშრობებიც, რომლის ხელში ჩაგდებაც ასევე მიზნად დაისახეს ინგლისელებმა (ცნობილია, რომ სწორედ ამ საბადოზე იპოვეს იმჟამად მსოფლიოში უდიდესი ალმასი „კულინანი“, 600 გრამი, რომელიც ალმასის მომპოვებელმა კომპანიამ ინგლისის მონარქს – ედუარდ VII მიართვა საჩუქრად). ამ ისტორიული ალმასის ნაწილებისაგან დამზადებული უძვირფასესი ბრილიანტები დღესაც დიდი ბრიტანეთის მონარქთა სამეფო რეგალიებს ამშვენებს.

ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ბურები, რომლებიც ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეში საფრანგეთიდან, ჰოლან-

დიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან რელიგიური დევნის გამო (მათ შორის ბევრი იყო ჰუგენოტი, კალვინისტი და ა.შ.) სამხრეთ აფრიკაში ემიგრირებული მოსახლეობის შთამომავლები იყვნენ. ინგლისელების უცერემონიო ჩარევამ და ბურების წინააღმდეგ წარმოებულმა იმპერიალისტურმა ომმა ბურების დასახმარებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები მიიზიდა პრეტორიაში. მათ შორის არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი თანამემამულე, მუხრანელი ბაგრატიონების გვარის შთამომავალი ნიკოლოზ (ნიკო) ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელიც ცნობილია იმით, რომ დაუყოვნებლივ გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში ბურების დასახმარებლად და არაერთ სამხედრო ოპერაციაშიც მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ის ტყვედ ჩავარდა და რამდენიმე თვე ინგლისელთა საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც თავისი ცხოვრების ბოლო წლებში ცხოვრობდა ნაპოლეონ ბონაპარტე. მოგვიანებით ნიკო ბურმა (ასეთი ზედწოდება მიიღო მან საქართველოში დაბრუნების შემდეგ) თავისი მოგონებები ინგლის-ბურების ომის დრამატული ეპიზოდების შესახებ პატარა წიგნად გამოაქვეყნა, რომელსაც უდიდესი საისტორიო მნიშვნელობა აქვს როგორც უტყუარ წყაროს იმპერიალისტური ომის საშინელებების შესახებ.[1]

მიუხედავად უდიდესი რესურსებისა, ინგლისს ომის წარმოება სამხრეთ აფრიკაში ძალიან გაუჭირდა, საჭირო გახდა 31 თვიანი შეუპოვარი ძალისხმევა, რომ ეს პატარა, მაგრამ თავისუფლებამოყვარე ხალხი, ინგლისელ იმპერიალისტებს საბოლოოდ დაეჩოქებინათ და დაემორჩილებინათ. 1902 წლის 31 მაისს ბურებმა ხელი მოაწერეს კაპიტულაციას, უარი თქვეს თავისუფლებაზე და აღიარეს დიდი ბრიტანეთის მეფის ქვეშევრდომობა.[2]

საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ ამერიკა-ესპანეთის დაპირისპირება კუბის საკითხზე და ინგლის-ბურების

---

[1] ნიკო ბაგრატიონი, ბურებთან, თბ., 1951.

[2] История дипломатии, т 2, М.,1945. стр.143.

ომი – ეს მსოფლიოს კოლონიალური გადანაწილების დასაწყისია. მაგრამ მაშინ ეს პროცესი მხოლოდ დაიწყო...

ინგლისის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა: ამჯერად უკვე ფრანგებმა დაისახეს მიზნად საკუთარი პოზიციების გამყარება ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, ალჟირის მიმდებარე ტერიტორიებზე. XX საუკუნის დასაწყისში ალჟირი თითქმის უკვე სრულად იყო ინკორპორირებული ერთიან ფრანგულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში – აქ ასობით ათასი ფრანგი კოლონისტი ბინადრობდა და საფრანგეთის ბურჟუაზია და მმართველი ელიტა ალჟირს უკვე საფრანგეთის ორგანულ ნაწილად განიხილავდა.

ალჟირის დასავლეთით მდებარეობდა რამდენიმე ისლამური ქვეყანა, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი წიაღისეული რესურსებით, ჰქონდათ ჩინებული გეო-სტრატეგიული მდებარეობა და სასურველ მიზანს წარმოადგენდნენ იმისათვის, რომ მათი გულისათვის ენერგიული დიპლომატიური და სამხედრო მოქმედებები ეწარმოებინა ნებისმიერ იმპერიალისტურ ქვეყანას. ფრანგულმა დიპლომატიამ მისთვის ჩვეული ფილიგრანული ოსტატობით ჩაატარა ოპერაცია, რომლის ძალითაც საფრანგეთის ზეგავლენას ერთიმეორის მიყოლებით დამორჩილდნენ როგორც ტუნისი, ისე მაროკო.[1]

საქმეში ჩახედული ექსპერტები კი აღნიშნავენ: საფრანგეთის აქტივობამ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ისე გააღიზიანა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II, რომ მან განახორციელა წარმოუდგენელი დიპლომატიური დემარში – ის როგორც კერძო მოგზაური, საკუთარი იახტით გაემგზავრა მაროკოში და შეჩერდა ტანჟერში. მაროკოს სულთანმა მას საზეიმო მიღება მოუწყო. ამ შეხვედრაზე გერმანიის კაიზერმა საჯაროდ განაცხადა თავისი და თავისი ქვეყნის სურვილი: რომ ვერ მოითმენდა მაროკოში ერთი რომელიმე ქვეყნის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომ ის აღიარებ-

[1] История Франции, т.2, М.,1973, стр.554-555.

და სულთანის უზენაესს უფლებებს, მაროკოს დამოუკიდებლობას და ამასვე მოითხოვდა ის საფრანგეთისაგან.[1]

გერმანიის იმპერატორის ამ მცდელობას პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია და ძალიან მალე მაროკოც საფრანგეთის გავლენის სფეროთა შორის აღმოჩნდა.

ახალი ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად კონკურენცია გამწვავდა შორეულ აღმოსავლეთშიც: „მეიძის“ რევოლუციით ფრთაშესხმული იაპონური იმპერიალიზმი უკვე აქტიურად ცდილობდა თავის ტერიტორიულ არეალში საკუთარი ჰეგემონია დაემკვიდრებინა და ამით დიდი ხნით უზრუნველეყო თავისი მზარდი ეკონომიკური პოტენციალი იაფი და ადვილად მისაწვდომი სამრეწველო ნედლეულით. აქედან გამომდინარე, იაპონიის იმპერატორს სერიოზულად აღიზიანებდა ევროპელი და ამერიკელი დიპლომატებისა თუ სამხედრო ექსპერტების ზედმეტი აქტივობები ჩინეთში, კორეაში, ვიეტნამში, ფილიპინებზე და სხვა რეგიონებში.

იაპონიის იმპერატორს სერიოზულად აფიქრებდა რუსეთის წრეგადასული პრეტენზიები ჩინეთის, კორეის საზღვრებთან – მეფის ხელისუფლების მიერ გადადგმული ის უამრავი ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური ნაბიჯი, რომლითაც შორეული აღმოსავლეთის ამ ტერიტორიებზე რუსეთის უცილობელი ბატონობა მკვიდრდებოდა.

რუსეთი კი, როგორც მას ჩვეოდა, საკმაოდ ენერგიულად მიიწევდა წინ საკუთარი მიზნების მისაღწევად. პირველ ყოვლისა, მან უზრუნველყო სარკინიგზო კომუნიკაციების მშენებლობა ვლადივასტოკამდე, შემდეგ ჩრდილოეთ ჩინეთში რკინიგზის გაყვანის ექსკლუზიური უფლებაც მოიპოვა, ხოლო ამის შემდეგ – კორეის მფლობელობაში მყოფი ლაო-დუნის ნახევარკუნძულზე რუსეთის სამხედრო-საზღვაო პორტის – პორტ-არტურის მშენებლობის და მისი ექსპლოატაციის უფლების მოპოვებით დააგვირგვინა ამ ტერიტორიების მითვისება.

საერთოდ, შორეული აღმოსავლეთი, განსაკუთრებით ჩინეთი, XX საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის კოლოსა-

[1] История дипломатии, т 2, М.,1945. стр.143.

ლური რაოდენობით და მწირი ეკონომიკური შესაძლებლობებით, არქაული სახელმწიფო სტრუქტურებითა და მოუქნელი სოციალური პოლიტიკით, ჩინებულ ლუკმას წარმოადგენდა ყველა გავეშებული იმპერიალისტური ქვეყნისათვის, რომლებიც, გარეგნულად „დემოკრატის“ მანტიით შემოსილები, კოლონიალიზმს სამარცხვინო, კატეგორიულად მიუღებელ ფაქტად ჯერ კიდევ არ მიიჩნევდნენ. ისინი ამას არც მალავდნენ. მაგალითად, ამერიკელები ცდილობდნენ ჩინეთში დამკიდრებულიყვნენ ე. წ. „ღია კარის“ პოლიტიკით, ინგლისელებმა ჩინეთის იმპერატორს გამოსტყუეს ექსკლუზიური უფლება და თითქმის 100 წლით დაეპატრონენ უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნავსადგურს – ქალაქ ჰონკონგს, რომელიც სულ მალე შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის აქტიური საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვის სადარაჯოზე დააყენეს.

რა თქმა უნდა, ევროპისა და ჩრდილო ამერიკის წამყვანი ქვეყნების ამ საერთო კოლონიალურ სურვილებს და მისწრაფებებს არ ჩამორჩებოდა რუსეთის იმპერიაც, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში იაპონიას თავის ღირსეულ კონკურენტად არ თვლიდა და ვარაუდობდა თავისი გავლენის სფეროების კიდევ უფრო განმტკიცებას უკვე კორეის არქიპელაგზეც. აი, როგორ კომენტარებს აკეთებენ თანამედროვე რუსი ისტორიკოსები რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით: „რუსეთის მმართველი წრეებში არ იყო ერთი აზრი შორეულ აღმოსავლეთში წარმოებული პოლიტიკის შესახებ. ერთი ჯგუფი, რომელსაც ა.მ. ბეზობრაზოვი თავკაცობდა, ემხრობოდა შორეულ აღმოსავლეთში ძალისმიერი პოლიტიკის გატარებას. ნიკოლოზ II-მ მხარი დაუჭირა ამ დაჯგუფებას და სწორედ ეს ბეზობრაზოვი დანიშნა შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული კომიტეტის ხელმძღვანელად... ბეზობრაზოვის პოლიტიკის აშკარა მოწინააღმდეგე, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ს.ი. ვიტე კი გაანთავისუფლეს ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან და, გარკვეული დროის მანძილზე,

უკვე საერთოდ არავითარ როლს აღარ ასრულებდა მთავრობაში.“[1]

ასეთმა ხისტმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა შორეულ აღმოსავლეთში უკიდურესად დაძაბა მდგომარეობა და მან რუსეთის წინაშე სერიოზული პრობლემებიც დააყენა. 1904 წლის 25 დეკემბერს იაპონიის საზღვაო ძალებმა, ომის გამოუცხადებლად, მოულოდნელად განახორციელეს ეფექტიანი შეტევა კორეის ნავსადგურ ჩემულპოზე, სადაც დისლოცირებული იყო კრეისერი „ვარიაგი“ და რუსეთის ფლოტის სხვა ხომალდები. ორი დღის შემდეგ იაპონიის ფლოტმა ასევე გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა პორტ-არტურში განლაგებულ რუსეთის საზღვაო ძალებს – პორტის აკვატორიაში მდებარე სამხედრო ხომალდები საერთოდ გამოიყვანეს მწყობრიდან.

ძალიან მალე იაპონელებმა საბრძოლო ოპერაციები ხმელეთზე გადაიტანეს და აქაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: მუკდენთან იაპონელების წარმატებულმა ბრძოლამ, ცუსიმასთან რუსეთის ფლოტის სამარცხინო ფიასკომ აშკარა გახადა რუსეთის სამხედრო შესაძლებლობების სერიოზული ნაკლი და მისი გენერალიტეტის არაპროფესიონალიზმი. შორეულ აღმოსავლეთში იაპონიამ სერიოზულად განიმტკიცა პოზიციები.

იაპონიასთან წარუმატებელმა სამხედრო ოპერაციამ კიდევ უფრო აშკარა გახადა რუსეთის სახელმწიფოს ის სისხლმდენი წყლულები, რომელთა შესახებ უკვე არაერთი წელი თავის პუბლიკაციებში წერდა დიდი რუსი მწერალი ლ.ნ. ტოლსტოი: „რუსეთის მესამედი გაძლიერებული კონტროლის ქვეშაა, ესე იგი კანონგარეშეა. პოლიციელთა არმია – აშკარაცა და ფარულიც – სულ უფრო იზრდება. ციხეები, გადასახლებისა და საკატორღო ადგილები გადაჭედილია ასეული ათასი სისხლის სამართლის დამნაშავით, პოლიტიკური პატიმრებით, რომლებსაც უკვე მუშებიც მიათვალეს. ცენზურამ მიაღწია აკრძალვების წარმოუდგენელ საზღვრებს, რისთვისაც არ მიუღწევია 40-იანი წლების (იგუ-

[1] Б.Г. Пашков, История России, XX век, М., 2000, стр.30.

ლისხმება ნიკოლოზ I-ის ეპოქა – ა.დ.) საშინელ ხანაშიც კი. რელიგიური დევნა არ ყოფილა ასეთი ხშირი და სასტიკი, როგორც ამჟამად... და როგორც შედეგი ასეთი დაძაბული და სასტიკი მოქმედებისა, მიწათმოქმედი ხალხი – ის 100 მილიონი კაცი, რომლის მხრებზე რუსეთის ძლიერებაა დავანებული, მიუხედავად წარმოუდგენლად მზარდი სახელმწიფო ბიუჯეტისა, ან იქნებ სწორედ ამ ზრდის მიზეზითაც, ღატაკდება ყოველწლიურად... თქვენი მემამულეები თქვენ გარწმუნებენ, რომ შეაჩერებენ რა ხალხში ყოველგვარ მოძრაობას, ამით ისინი უზრუნველყოფენ ამ ხალხის კეთილდღეობას და უშიშროებას, მაგრამ უწინარეს მდინარის დინება შეიძლება შეწყდეს, ვიდრე შეწყდება თვით უფლის მიერ დაკანონებული კაცობრიობის მარადიული მოძრაობა წინ.“[1]

იაპონიასთან განცდილი სამხედრო მარცხის ტრაგიკულმა შედეგებმა, პეტერბურგში 1905 წლის 9 იანვარს განხორციელებული სასტიკი დარბევის – „სიხლიანი კვირის“ შემდეგ დაწყებულმა სტიქიურმა მოვლენებმა რუსეთი თავის ისტორიაში დიდი რევოლუციური გამოსვლებისა და სახალხო მღელვარების წინაშე დააყენა. ნიკოლოზ II-მ ვითარების განმუხტვა სცადა „17 ოქტომბრის მანიფესტით“, რომლითაც დაუშვა რუსეთში წარმომადგენლობითი ორგანოს – სახელმწიფო დუმის ფუნქციონირება, სიტყვის, პრესის, კავშირების თავისუფლება და ა.შ.

რევოლუციური მღელვარება კავკასიაში, განსაკუთრებით კი გურიაში, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი მოვლენა გახდა. მის შესახებ წერდნენ მემარცხენე მიმართულების პარტიების რეზოლუციებშიც, მიესალმებოდნენ მებრძოლ გურულებს, ახალისებდნენ მათ.[2]

რევოლუციური მღელვარება იმპერიის სხვა ქალაქებსა და ტერიტორიებსაც მოედო.

მაგრამ იმჟამად რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ, ფრანგული სუბსიდიების დახმარებით, შეძლო ქვეყანაში

---

[1] ციტირებულია: М. Ферро. Николай II, М., 991, стр. 84.

[2] სკკპ...რეზოლუციებში, ტ. I, თბ., 1954, გვ. 101.

სტაბილიზაციის მიღწევა და ხალხის დიდი მასების დაწყნარება. მთავრობის ახალი თავმჯდომარის პ. სტოლიპინის მიერ განხორციელებულმა, თუმცა ბოლომდე ვერ მიყვანილმა, რადიკალურმა რეფორმებმა, მართალია, გარკვეულწილად კი ჩააწყნარა რუსეთში ფეთქებადსაშიში ვითარება, მაგრამ მომავალში რუსეთს მაინც თავიდან ვერ ააცილა დიდი რევოლუციური მღელვარება.

როგორც საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ისტორიულ განვითარებაზე და მან დიდი რევოლუციური მუხტი შეიტანა ახლო თუ შორეული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, დასაბამი მისცა ხალხის მასების ბრძოლას საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური უფლებებისათვის...

შესაძლოა ეს ასეც იყო, მაგრამ იმპერიალისტური ქვეყნების მცდელობები – გადაენაწილებინათ ნედლეულის წყაროები და გასაღების ბაზრები, რუსეთის ამ რევოლუციას ნამდვილად არ შეუჩერებია და ეს პროცესი კიდევ უფრო დიდი ინტენსივობით მაინც განვითარდა სწორედ 1907 წლის შემდეგ.

ამ ეტაპზე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ვექტორი უკვე კონცენტრირებულია ბალკანეთზე, სადაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები განვითარდა. პირველ რიგში ეს იყო სერბიის სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოების სურვილები და მისი პერსპექტივები.

სამხრეთ ბალკანეთში, ისტორიული განვითარების შედეგად, აქ მცხოვრები სლავური წარმომავლობის ხალხი სამი რელიგიის – კათოლიციზმის, მაჰმადიანობისა და მართლმადიდებლობის მიმდევარი აღმოჩნდა. საქართველოს მსგავსად, ეს არანორმალური მდგომარეობაც იმ კოლონიალური პოლიტიკის შედეგი იყო, რასაც ავსტრიელი თუ თურქი კოლონიზატორები ატარებდნენ ამ ტერიტორიებზე საუკუნეების მანძილზე. კათოლიკური ხორვატია – ავსტრიაუნგრეთის შემადგენლობაში იყო გაერთიანებული, სამხრეთ სლავების დიდი ნაწილი თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში იტანჯებოდა. მხოლოდ ბერლინის კონგრესის შემდეგ

(1878 წ.), ევროპის დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილებით, დაიწყო ბალკანეთში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმირების პროცესი. ერთ-ერთი ახლადშექმნილი სახელმწიფო სერბიაც იყო – ძირითადად მართლმადიდებელი ქვეყანა. სერბიაში არსებობდა მონარქია და აქ ყარაგეორგევიჩების დინასტია მეფობდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სერბიის სამეფო ოჯახს გაუჩნდა პრეტენზია გამხდარიყო სამხრეთ სლავი მოსახლეობის ერთიან დიდ სახელმწიფოში („იუგოსლავია“) გაერთიანების ინიციატორი.

ამ იდეით შეპყრობილი სამეფო დინასტია, ბუნებრივია, დაუახლოვდა იმ ქვეყნებსა და მათ ლიდერებს, რომლებიც „იუგოსლავიის“ შექმნის მოწინააღმდეგეთა ძალებს გაანეიტრალებდნენ – შეძლებდნენ დაპირისპირებოდნენ თურქეთს, ავსტრია-უნგრეთს, გერმანიის იმპერიას. სწორედ აქედან გამომდინარე ბელგრადელი პოლიტიკოსები დაუახლოვდნენ „ანტანტის“ სახელმწიფოებს და მათ მესვეურებს.

საფრანგეთს კი პოლიტიკურთან ერთად, ეკონომიკური ინტერესებიც ჰქონდა ბალკანეთში – ფრანგული კაპიტალი უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სერბეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში. სტატისტიკური კრებულები მონაცემებით, სერბიის ხაზინას ფრანგული ბანკებიდან აღებული ჰქონდა 320 მილიონი ფრანკი სახელმწიფო ვალი, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა.[1]

სერბიის სახელმწიფოს ჩინებული ურთიერთობა ჰქონდა ნიკოლოზ II-სთანაც – რუსეთის იმპერია ტრადიციულად მუდამ ითავსებდა ბალკანეთის სლავების მზრუნველის, მენტორის ფუნქციას და ამ მოტივით არაერთხელ ჩარეულა კიდეც ბალკანეთის ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში.

სრულიად ბუნებრივია, რომ სამხედრო ბლოკში გაერთიანებულ „ანტანტის“ ქვეყნებს, მათ შორის რუსეთსაც, ბალკანეთში ესაჭიროებოდათ ისეთი ერთგული ქვეყანა, რომელიც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა მათ პოტენციურ

[1] СИЭ, т.12, М., 1969. стр.789.

მოწინააღმდეგეს – გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთს.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ „ანტანტის“ სახელმწიფოების მხრიდან იყო ბელგრადის მუდმივი მხარდაჭერა და წაქეზება იმ პროექტის სარეალიზაციოდ, რასაც ერთიანი, სამხრეთსლავიანური სახელმწიფოს („იუგოსლავიის“) ჩამოყალიბება ერქვა.

რა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკური პროექტის რეალიზება სათანადო იდეოლოგიური მომზადების, ნაციონალისტური (ეროვნული) იდეოლოგიის გაძლიერების გარეშე ვერ მოხდებოდა, რადგან ის რაც დაიკარგა საუკუნეების მანძილზე (ეროვნული ერთიანობის იდეა) მტაცებელი მეზობლების განუწყვეტელი სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული აგრესიის შედეგად, საჭიროებდა აღდგენას. ეს კი მოითხოვდა უდიდეს ეროვნული-აღმზრდელობით და მაკონსოლიდირებელ მუშაობას.

ეს პროცესი სერბიის სახელმწიფოშიც დაიწყო და ის შესამჩნევად ძლიერდებოდა. სერბიის სახელმწიფოს ძალისხმევით ეს პროპაგანდა ვრცელდებოდა სამხრეთ სლავ ხალხებში: მონტენეგროში, ხორვატიაში, ბოსნიაში, ჰერცოგოვინაში. სწორედ ამ გარემოებას იყენებს არგუმენტად თანამედროვე ინგლისელი მეცნიერი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი სერ რიჩარდ ჯეინ ევანსი, რომელიც „BBC“-ის მიერ გამოკითხულ 10 მეცნიერს შორის ერთადერთია, ვინც სერბიის სახელმწიფოს ადანაშაულებს I მსოფლიო ომის გაჩაღებაში „შეტანილი წვლილისათვის“: „სერბიას ეკისრება ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა I მსოფლიო ომის გაჩაღებაში. სერბიული ნაციონალზმი და ექსპანსიონიზმი ღრმად დამანგრეველი ძალა იყო, ხოლო სერბების მხარდაჭერა ტერორისტებისათვის – უკიდურესად უპასუხისმგებლო.“[1]

ჩვენ არ ვიზიარებთ ინგლისელი მეცნიერის ამ შეხედულებას – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა,

[1] Сер Ричард Джей Эванс, Кто развязал Первую мировую войну: 10 версии, “BBC News“, Русская служба, 13 февраля 2014 г. Стр.2.

ეროვნული კონსოლიდაციისათვის გაწეული ძალისხმევა მუდამ გულისხმობს აღმზრდელობით-პროპაგანდისტულ საქმიანობას. ხოლო ჭეშმარიტი პატრიოტები ძალიან ადვილად შეიძლება „მოინათლონ“ ტერორისტებად, თუკი მეცნიერს გამოკვეთილი ან აკვიატებული მსოფლმხედველობითი ან პოლიტიკური სიმპათიები ან ანტიპათიები აქვს. რა თქმა უნდა, სრულიად დასაშვებია, რომ სამხრეთ სლავურ ქვეყნებში, რომლებიც არ შედიოდნენ სერბიის სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაგრამ მათ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ეთნიკური სერბები (მაგალითად, ბოსნიაში, მონტენეგროში, ჰერცოგოვინაში) ჰქონოდათ ეთნიკური ერთიანობის საფუძველზე უნიტარული ან ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეა – ცენტრით ბელგრადში. როგორც დასტურდება, ასეთ შეხედულებებს იმჟამად სამხრეთ სლავების ბევრი წარმომადგენელი იზიარებდა და ამ მიზნით საიდუმლო ორგანიზაციებსაც კი ქმნიდნენ. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია „მლადა ბოსნა“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბოსნიაში მცხოვრებ სერბებს შორის. როგორც რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, ეს ორგანიზაციები თავისი სტრუქტურით, მიზანმიმართულებით, იდეოლოგიით ძალიან წააგავდნენ იტალიაში თავის დროზე ასევე პოპულარულ არალეგალურ ორგანიზაციას „ახალგაზრდა იტალია“, რომლის მთავარი ამოცანა იტალიის გაერთიანება და გაძლიერება იყო. ის, რაც იტალიაში დადებითი და მისასალმებელია, რატომ უნდა იყოს ბალკანეთის სლავებისათვის „ტერორისტული“? მიგვაჩნია, რომ დღეს ასეთი ორგანიზაციების „ტერორისტულად“ გამოცხადება, რასაც პატივცემული ინგლისელი პროფესორი გვთავაზობს, გაუმართლებელია.

XX საუკუნის დასაწყისში სერბიის სახელმწიფოს მესვეურები ცდილობდნენ ისტორიული ბედუკუღმართობითა და აგრესიული მეზობლების ხელშეწყობით ტერიტორიულად და რელიგიური თვალსაზრისით დაშლილ-დაქუცმაცებული სლავი ხალხის (ამაში ქართველები ძალიან ვგავართ სამხრეთ სლავებს – საკვლევ პერიოდში ქართველებიც ხომ იყვნენ: მართლმადიდებლები, კათოლიკები, გრიგორიანელები, მუსლიმები) ერთ ძლიერ სახელმწიფოში გაერთიანებას,

რაშიც ყარაგეორგევიჩებს მხარს უჭერდნენ სწორედ „ანტანტის“ წევრი სახელმწიფოები, მათ შორის დიდი ბრიტანეთიც.

ბალკანეთში ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებდა ისიც, რომ თურქეთის დასუსტებული იმპერია ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა ბალკანეთის სლავი ხალხის კონსოლიდაციისათვის; ამ მიზნით, როგორც სამხრეთ კავკასიაში, აქაც აქტიურად იყენებდა რელიგიურ ფაქტორს – ისლამურ სარწმუნოებას, მოლებისა და ხოჯების ზეგავლენას, რომლებიც თურქეთის სულთნის ჭეშმარიტ აგენტებად გადაიქცნენ უცხო სახელმწიფოების ტერიტორიებზე. ამ საქმეში კი თურქების ასევე ენერგიული მხარდამჭერები იყვნენ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი. ეს უკანასკნელი სახელმწიფო კი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ბალკანეთში თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენები კიდევ უფრო გაეღრმავებინა და ახალ ტერიტორიებიც მიეთვისებინა. მოვლენები ევროპაში ელვის სისწრაფით განვითარდა...

ჯერ კიდევ 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ავსტრია-უნგრეთს დროებით ოკუპირებული ჰქონდა ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომელიც ფორმალურად მაინც თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

1908 წელს ავსტრია-უნგრეთმა გადაწყვიტა დროებითი ოკუპაცია მუდმივად გადაექცია და ეს ტერიტორიები საბოლოოდ თავისი იმპერიისათვის შეეერთებინა. დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით მოხდა ფარული გარიგება რუსეთთან, რომელსაც ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი დაპირდა მხარდაჭერას კონსტანტინოპოლსა და სრუტეებზე რუსების სუზერენიტეტის დამყარებაში, თუ რუსეთი არაფერს იტყოდა ავსტრია-უნგრეთის მხრიდან ბოსნია-ჰერცეგოვინის ინკორპორაციაზე.

მართალია, ნიკოლოზ II დაპირდა ავსტრია-უნგრეთის იმპერატორს მხარდაჭერას, მაგრამ ამ ქვეყნის აქტივობამ რეგიონში გააღიზიანა თურქეთი (ბოსნია-ჰერცეგოვინას ფორმალური მესაკუთრე) და სერბიის მეფე (აღნიშნული ტერიტორიების მომავალი მფლობელი). ეს გარიგება დიდად

არ მოეწონათ არც პარიზში და არც ლონდონში. ყველა-ფერმა ამან მიიღო პოლიტიკური კრიზისის ფორმა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ: „ბოსნიის კრიზისმა მკვეთრად გა-აძლიერა წინააღმდეგობები ბალკანეთში, განსაკუთრებით ერთი მხრივ, რუსეთსა და სერბეთს შორის და მეორე მხრივ – ავსტრია-უნგრეთს შორის. მართალია, ამ კრიზისმა ისიც აშკარად აჩვენა, რომ „ანტანტის“ წიაღში უკვე არის გაჩე-ნილი საკმაოდ დიდი ბზარი, მაგრამ ამ კრიზისმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა ის სიღრმისეული დაპირისპი-რებები, რაც არსებობდა ორ მთავარ იმპერიალისტურ დაჯ-გუფებას – ინგლის-საფრანგეთ-რუსეთისა და ავსტრო-გერ-მანულ ბლოკს შორის.“[1]

ამ ეტაპზე კრიზისის განმუხტვა მოახერხეს.

მაგრამ უკვე 1911 წელს კვლავ დაიძაბა ვითარება: ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში – მაროკოსთან დაკავშირე-ბით კვლავ შეიქმნა დაძაბულობა ორ სამხედრო-პოლიტი-კურ ბლოკს შორის. ვილჰელმ II კვლავ შეეცადა დედამიწის ამ რეგიონში დაესუსტებინა ინგლის-საფრანგეთის ზეგავ-ლენა, და მაროკოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია თა-ვის სასარგებლოდ გამოეყენებინა, მაგრამ ვითარება აქაც განიმუხტა.

მაროკოს კრიზისის ლიკვიდაციის შემდეგ კვლავ აფ-რიკაში დაიწყო ე.წ. „ტრიპოლიტანიის ომი“, რომელიც თა-ვისი ტერიტორიული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად აქტიურად გააჩაღეს იტალიელმა კოლონიზატორებმა. აღორძინების გზაზე დამდგარი იტალიის ერთიანი სახელ-მწიფო და მისი მმართველი ელიტა უკვე ამ დროიდან ფა-რულად ატარებდა იდეას, აეღორძინებინა „დიდი რომის იმ-პერია“, როცა ხმელთაშუა ზღვა რომის იმპერიის შიდატე-რიტორიული ტბა იყო. იტალიელებმა საბრძოლო ოპერაცი-ებით ტრიპოლიში საჭირო წარმატებებს მიაღწიეს და იმჟა-მად ტრიპოლის ფაქტობრივი სუზერენი – თურქეთის სულ-თანი დათანმდა იტალიის დიქტატს და დაუთმო მას სამუ-დამო სარგებლობაში ტრიპოლი და კირინაიკა.

---

[1] Всемирная история, т. 7, М., 1960. стр. 495.

იტალიასთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ ყველას დაანახა თურქეთის ძირმომპალი იმპერიის ეკონომიკური და სამხედრო დაუძლურება, ამიტომაც ბალკანეთში თურქების წინააღმდეგ კვლავ დაიწყო სამხედრო მზადება, რათა დაჭრილი ცხოველი საბოლოოდ დაესამარებინათ: გაფორმდა კავშირი თურქების წინააღმდეგ – მოხდა სერბიისა და ბულგარეთის სახელმწიფოების დაახლოება, მაკედონიაც დაირაზმა თურქეთის წინააღმდეგ, ბულგარეთმა კავშირი დაამყარა საბერძნეთთან – ასევე თურქების წიინააღმდეგ, ძალიან მალე მონტენეგროც შეურეთდა ანტითურქულ კოალიციას...

1912 წლის 9 ოქტომბერს მონტენეგრომ ომი გამოუცხადა თურქეთს, 17 ოქტომბერს თურქების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს სერბეთმა და ბულგარეთმა. თურქეთი განწირული ჩანდა...

ასეთი იყო ვითარება ევროპაში I მსოფლიო ომის წინ – მსოფლიო კოლონიალური იმპერიების გადანაწილების პროცესი ფაქტობრივად გაჩაღებული იყო და ყოველწლიურად იზრდებოდა მისი მასშტაბებიც, მასში ჩაბმული სახელმწიფოების რიცხვიც და შეიარაღების რაოდენობაც. საყოველთაო, უდიდეს მსოფლიო კონფლიქტამდე ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი და ამ საქმეში ევროპის ყველა ქვეყნამ – დიდმა თუ პატარამ თავისი ჯეროვანი წვლილი შეიტანა.

ბალკანეთში შექმნილი ასეთი არასტაბილური ვითარება ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ სიფხიზლეს, ბალკანეთში დისლოცირებული ჯარების პერიოდულ ინსპექტირებას. იმპერატორ ფრანც-იოსების ღრმად მოხუცებულობის გამო, ხშირად ამ ფუნქციას ასრულებდა ტახტის მემკვიდრე, იმპერატორის ძმისშვილი ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი. 1914 წლის ზაფხულში ბოსნიის მთავარ ქალაქში – სარაევოში დაიგეგმა ავსტრია-უნგრეთის სამხედრო კონტინგენტის მანევრები.

ამ სამხედრო ღონისძიებაზე დასასწრებად ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე, მეუღლესთან ერთად, ივნისის ბოლოს სარაევოში გაემგზავრა. ფრანც-ფერდინადი, რო-

გორც თანამედროვე ექსპერტები ამტკიცებენ, სლავიანოფილი ყოფილა – ის ცდილობდა ბალკანეთში შეექმნა ძლიერი სლავური ერთიანი სახელმწიფო ავსტრია-უნგრეთის სუზერენიტეტით. ეს იდეა ბევრს მოსწონდა, მაგრამ ის არ მოსწონდათ სერბიის სამეფოს კარზე და, ასევე, არ მოსწონდათ ის სერბ-ნაციონალისტებს სერბებით დასახლებულ არასერბულ ტერიტორიებზეც.

1914 წლის 28 ივნისს სერბიის ქალაქ სარაევოში, ჯარების ინსპექტირების დროს, ღია ავტომანქანაში მჯდომ ფრანც-ფერდინანდს თავს დაესხა ბოსნიელი სერბი ნაციონალისტი, საიდუმლო ორგანიზაცია „მლადა ბოსნა“-ს წევრი, 19 წლის გაბრიელ პრინციპი, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე, რამაც საფუძველი დაუდო ე.წ. „ივნისის კრიზისს“.

დაიწყო ინტენსიური დიპლომატიური ორთაბრძოლა, რაც სულ რამდენიმე დღეში I მსოფლიო ომში გადაიზრდება...

მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსის, ლონდონის ეკონომიკური სკოლის პროფესორის, დოქტორ ჰეზერ ჯონსის მეტად საგულისხმო შენიშვნაზე: „1914 წლამდე სამეფო გვარის წარმომადგენლის მკვლელობას არასოდეს გამოუწვევია სამხედრო შეტაკება.“[1]

და ეს მართლაც ასე იყო – 1898 წელს ჟენევაში იტალიელმა ანარქისტმა მოკლა ავსტრია-უნგრეთის დედოფალი ელისაბედ ავსტრიელი („სისი“), 1900 წელს ქუჩაში მოკლეს იტალიის მეფე უმბერტო I (არის სხვა მაგალითებიც), მაგრამ ომი არავის დაუწყია.

სარაევოს გასროლამ კი შექმნა საბედისწერო პრეცენდენტი...

ავსტრია-უნგრეთის მხარე არ დაელოდა გამოძიებას და ბოსნიელი მოქალაქის გამო, რომელიც მხოლოდ ეთნიკური სერბი იყო და არა სერბიის სამეფოს მოქალაქე, ულტიმა-

[1] Хезер Джонс, Кто развязал Первую мировую войну: 10 версии, “BBC News“, Русская служба, 13 февраля 2014 г. стр.3.

ტუმი წაუყენა სერბიის სახელმწიფოს. ეს ულტიმატუმი აშკარად სახელმწიფო ღირსების შემლახავი იყო – მისი ავტორები ვითარების გამწვავებას ვარაუდობდნენ. ულტიმატუმი სულ 10 პუნქტს შეიცავდა: სერბიას უნდა დაეხურა ყველა გამომცემლობა, რომელიც კი ავსტრია-უნგრეთის სიძულვილს თესავდა მოსახლეობის ფართო ფენებში; აუცილებლად უნდა დაეხურათ ორგანიზაცია „სახალხო დაცვა“ და სხვა მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც ავსტრიის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდნენ; სახალხო განათლების სისტემაში ანტიავსტრიული პროპაგანდის სრული ფილტრაცია უნდა მომხდარიყო; სახელმწიფო და სამხედრო სამსახურიდან უნდა გაენთავისუფლებინათ ყველა ოფიცერი და მოხელე, რომლებიც შემჩნეული იყვნენ ანტიავსტრიულ პროპაგანდაში; სერბიის ტერიტორიაზე უნდა დაეშვათ ავსტრია-უნგრეთის სპეციალური ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც გააკონტროლებდნენ ქვეყანაში ნებისმიერ ანტიავსტრო-უნგრულ საქმიანობას და ა.შ.

ექსპერტების დიდი უმრავლეობა მიიჩნევს, რომ ამ ულტიმატუმის რეალიზება ღირსების შემლახავი იქნებოდა ნებისმიერი, თავისი თავის პატივისმცემელი სახელმწიფოსათვის და ულტიმატუმის ავტორებმა ეს სპეციალურად გააკეთეს იმისათვის, რომ სერბიას ულტიმატუმი არ მიეღო და ამ საბაბით დაეწყოთ სამხედრო კონფლიქტი.

ამის შემდეგ ვითარება ევროპაში ძალიან სწრაფად დაიძაბა. მეტად საინტერესოა ამ კონფლიქტის ვითომდა განმუხტვის მიზნით ჩატარებული დიპლომატიური დემარშების ქრონიკა:

23 ივლისს ავტრია-უნგრეთმა სერბიას წარუდგინა ულტიმატუმი;

იმავე დღეს ლონდონში, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი გრეი შეხვდა ავსტრია-უნგრეთის ელჩს – მენდსდორფს, რომელთანაც განიხილეს ავსტრია-უნგრეთის ულტიმატუმის ძირითადი პუნქტები;

24 ივლისს პეტერბურგში შეიტყვეს ავსტრია-უნგრეთის ულტიმატუმის შესახებ – რაზეც რუსეთის საგარეო საქმეთა

მინისტრმა საზონოვმა აღშფოთებულმა განაცხადა – „ეს ხომ უკვე საერთოევროპული ომია!“;

25 ივლისს ნიკოლოზ II-ის თავმჯდომარეობით შეიკრიბა მინისტრთა საბჭო. თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება, ჩარეულიყვნენ ავტორია-უნგრეთისა და სერბიის კონფლიქტში, რისთვისაც გაიცა განკარგულება საჯარისო კონტინგენტის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოსაყვანად.

იმავე დღეს რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობის მეთაურებმა მიმართეს წინადადებით ინგლისის მთავრობას, რომ „ნათლად და მკაცრად“ შეეფასებინა ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა სერბებთან დაკავშირებით.

25 ივლისის საღამოს 6 საათზე სერბეთმა გაასაჯაროვა თავისი დამოკიდებულება ულტიმატუმთან დაკავშირებით – რამდენიმე პუნქტი თითქმის სრულად მიიღეს (1-3 პუნქტი), ზოგიერთი სრულად (8 და 10 პუნქტი), დანარჩენი – მეტნაკლებად, რაც იძლეოდა საფუძველს, კეთილი ნების არსებობის პირობებში, დაწყებული კონფლიქტი არ გადაზრდილიყო მსოფლიო ომში; ეს შანსი იმჟამინდელ სახელმწიფო მოღვაწეებს აშკარად ჰქონდათ – არც ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის, არც მისი მეუღლის, არც ძირმომპალი ავსტრია-უნგრეთის ფსევდოსახელმწიფო ინტერესები არ ღირდა იმ ტრაგედიად, რაც ამ ადამიანებმა, ევროპის სახელმწიფოების ლიდერებმა, თავს დაატეხეს მთელ მსოფლიოს, გააჩაღეს რა წარმოუდგენლად სასტიკი და ულმებელი ომი, რომელშიც შემდეგ თვითონაც აღმოჩნდნენ ჩათრეულები და, საკუთარი სიცოცხლის თუ ქვეყნის უბედურების ფასად, მკაცრად დაისაჯნენ ყველა იმ დანაშაულისათვის, რაც მათ ისტორიას მოუტანეს მსოფლიო ომის გაჩაღებით.

ჩვენ არ შევუდგებით I მსოფლიო ომის დაწყებამდე არსებული ყველა დიპლომატიური პერიპეტიების დეტალურ გადმოცემას, ეს ჩვენი წიგნის მიზანი არ არის. მით უფრო, რომ მათ არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ, რადგან ვერ შეაჩერეს ომის გაჩაღების ტემპები და ვერ შეინარჩუნეს მშვიდობა.

1914 წლის 30-31 ივლისს მსოფლიო ომისათვის მზადებამ კულმინაციას მიაღწია, ჯერ ინგლისის მეფემ გეორგ

V-მ გააგზავნა წერილი ბერლინში, რომელშიც იყო მცდელობა, როგორმე მოეგვარებინათ კონფლიქტი; ამის საპასუხოდ ვილჰელმ II-მ გამოაცხადა „მდგომარეობა, მიახლოებული საომართან“ და ულტიმატუმი გაუგზავნა რუსეთს. 1 აგვისტოს ნიკოლოზ II გადაუგზავნა თავისი უკანასკნელი დეპეშა ვილჰელმ II-ს. იმავე დღეს საფრანგეთმა და გერმანიამ გამოაცხადეს საყოველთაო მობილიზაცია. გერმანიის ჯარები სწრაფად უახლოვდებოდნენ საფრანგეთისა და ბელგიის საზღვრებს. იმავე დღის საღამოს 6 საათზე გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს.

ისტორიამ შემოინახა დოკუმენტური კადრები ფილმისა, რომელშიც ასახულია ზამთრის სასახლის აივნიდან მრავალათასიანი მიტინგის წინაშე ნიკოლოზ II-ის სიტყვით გამოსვლის მთავარი ეპიზოდი: „ათასობით რუსი ადამიანი იჩოქებს მეფის წინაშე, შემდეგ წამოდგებიან და ყვირიან „ურა!“ აფრიალებენ ხელში უზარმაზარ ტრანსპარანტს – „დაეხმარე შენს უმცროსს ძმას – სერბეთს!“ ამ ამაღელვებელი სცენის დამნახავი რუსეთის მეფე და დედოფალი გრძნობამოჭარბებულნი, ხელს უქნევენ სასახლის წინ შეკრებილ ადამიანებს.“[1]

ზამთრის სასახლის წინ მოწყობილი გრანდიოზული მიტინგის შესახებ ასეთ ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის იმჟამად რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე მ.ვ. როძიანკო: „ჰაერი გააპო მეხივით გავარდნილმა შეძახილმა – „ურა!“... და მთელი ბრბო, როგორც ერთი კაცი, დაემხო მეფის წინაშე მუხლებზე. მეფეს სურდა რაღაც ეთქვა, მან ხელიც კი აღმართა. მიტინგზე მყოფთა პირველი რიგები შეიძრნენ, მაგრამ მათი განუწყვეტელი ყიჟინა – „ურა!“ და საშინელი ხმაური მეფეს შესაძლებლობას არ აძლევდა სიტყვა წარმოეთქვა. მან თავი დახარა და რამდენიმე წუთს გარინდული იდგა, რომ სრულად შეეგრძნო თავის ხალხთან ერთიანობის ამ დიდი ისტორიული მომენტის

[1] М. Ферро. Николай II. М.,1991, стр. 184.

სრული სხივმოსილება. ამის შემდეგ შებრუნდა და ოთახის სიღრმეში ჩაიკარგა“[1]

ამ საზეიმო ცერემონიალის დასრულების შემდეგ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, რომელიც ნიკოლოზ II-მ უკვე დანიშნა რუსეთის ჯარების მთავარსარდლად, გადაულაპარაკებს მასთან ახლოს მდგომ საფრანგეთის ელჩს, მორის პალეოლოგს: „ეს სასწაულია, დიდი სასწაული. რადგანაც ღმერთი და თვით ჟანა დარკიც კი ჩვენთან არიან, ეს ომი უკვე მოგებული გვაქვს!“.

[1] М.В. Родзянко. Крушение империи, М., 1992, стр.98.

თავი IV

ომი დაიწყო!

§1. ყოვლისმომცველი ეიფორია

რუსეთის იმპერიის დედაქალაქში ომის საზეიმოდ გამოცხადების ცერემონიალის შემდეგ დაწყებული შოვინისტური ეიფორია ძალიან მალე პერიფერიებსაც მოედო. იმავე დღეს, კვირას, 1 საათზე თბილისის ერევნის მოედანზე ჩატარდა თბილისის ქალაქის თავის, ალექსანდრე ხატისოვის მიერ ინიცირებული საზეიმო სახალხო ლოცვა ხელმწიფეიმპერატორისა და რუსეთის ჯარების გამარჯვების აღსანიშნავად. საზეიმო წირვა ჩაატარა საქართველოს ეგზარქოსმა პიტერიმმა. ალექსანდრე ნეველის ლავრიდან, სიონის საკათედრო ტაძრიდან მოეწყო მლოცველთა დიდი მასების ჯვრით ლიტანიობა[1].

თბილისის ოფიციოზმა, გაზეთმა „კავკაზმა“ მეფის მანიფესტი გამოაქვეყნა 22 ივლისს, მაგრამ საჯაროდ მისი წაკითხვა მოხდა დედა-დედოფლის – მარია-თევდორეს ასულისადმი მიძღვნილ საზეიმო წირვაზე, რომელიც თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში ჩატარდა და უამრავი ხალხი დაესწრო.[2]

როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავდა, ცნობამ ომის დაწყების შესახებ, კავკასიის დედაქალაქშიც დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. იმჟამად თბილისში ქართველები უმცირესობას შეადგენდნენ. თბილისის ორი მესამედი არაქართველი იყო. რუსებს თბილისში იმჟამად ძლიერი პოზიციები ჰქონდათ – არსებობდა რუსების შოვინისტური („შავრაზმული“), პატრიოტული ორგანიზაციები, რომლებიც ასეთ ენთუზიაზმს ყოველთვის მხარს უჭერდნენ. თბილისის ქალაქის თავი, ეთნიკური სომეხი ალექსანდრე ხატისოვი, რუსეთის იმპერიის უერთგულესი ქვეშევრდომი იყო და მუდამ თანაუგრძნობდა მონარქისტულ განწყობებს; სწორედ

[1] «Кавказ», 1914 წ. 22 ივლისი.

[2] იქვე, 23 ივლისი.

დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს
დედოფალი ვიქტორია და მისი ვაჟი - მეფე ედუარდ VII

„ტყუპები“: დეიდაშვიილები -
ნიკოლოზ II და გეორგ V

ნიკოლოზ II და ვილჰელმ II

ნიკოლოზ II და ალექსანდრა
თევდორეს ასული

ნიკოლოზ II- საპარადო
მუნდირში

ნიკოლოზ II ოჯახთან ერთად

გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II

თურქეთის სულთანი
მეჰმედ V

ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი
ფრანც-იოსები I

ბოსნიელი სერბი ნაციონალისტი გაბრიელ პრინციპი

პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე

კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი
ილარიონ ივანეს ძე
ვორონცოვ-დაშკოვი

კავკასიის მეფისნაცვალი,
დიდი მთავარი, ნიკოლოზ
ნიკოლოზის ძე რომანოვი

ნიკოლოზ II თბილისში

კავკასიის ფრონტის სარდლები
გენერალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იუდენიჩი და გენერალი
ალექსანდრე ზაქარიას ძე მიშლაევსკი

მსოფლიო ომის ფრონტებზე

რუსეთის დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს
ასული - მოწყალების და

სანიტარული ეშელონი ფრონტზე

ომის დროს განსაკუთრებით გამდიდრებული თბილისელი
კაპიტალისტი გ. იარალოვი (აივანზე თეთრ ქურთუკში)

თბილისელი მაგნატი გ. ადელხანოვი

მიხეილ ჯავახიშვილი

ელისაბედ ჩერქეზიშვილი

“ჩოხოსნები”

ზაქარია ფალიაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

გენერალი გ.კვინიტაძე

გენერალი გ.მაზნიაშვილი

თებერვლის რევოლუცია

„ოზაკომი“



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

დამოუკიდებლობის დეკლარაცია

ნოე ჟორდანია პარტიულ ამხანაგებთან ერთად

კარლო ჩხეიძე

აკაკი ჩხენკელი

ქართული სამთავრებო დელეგაცია ბერლინში: ს.კედია, გ.მაჩაბელი, მ.წერეთელი, ნ.ნიკოლაძე, ა.ჩხენკელი, ზ.ავალიშვილი

გერმანიის ელჩი საქართველოში - გრაფი ვ.ფონ დერ შულენბურგი

გერმანელი ჯარისკაცები თბილისში

ირაკლი წერეთელი

ნიკო ნიკოლაძე

სახალხო გვარდია

ინდოელი სამხედროები ბათუმში

ქართველი ბოლშევიკები

I მსოფლიო ომის ფრონტებზე

თბილისის ლაზარეთი

მარშალი ფერდინანდ ფოში

გერმანიის კაპიტულაცია



ამერიკის პრეზიდენტი ვ.ვილსონი



გამარჯვებული „ანტანტა“-ს ლიდერები

მოლაპარაკება ვერსალში

საფრანგეთის პრეზიდენტი
რ. პუანკარე



ინგლისის პრემიერ მინისტრი
ლ. ჯორჯი

მან უზრუნველყო მანიფესტანტები მარშისათვის საუკეთესო პირობებით.

იმავე დღეს ნიკოლოზ II-ს მანიფესტი წაიკითხეს თბილისის სუნიტურ მეჩეთშიც. დღეს ძნელი სათქმელია, რამდენად თანაუგრძნობდა ამ საერთო იმპერიულ აჟიოტაჟს ქართული საზოგადოებრიობა: როგორც უკვე აღინიშნა, იგი საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო – აქ იყვნენ აშკარა მონარქისტებიც, „რუსეთუმეებიც“, ცარიზმისადმი ლოიალურნი და მისი აშკარა მოწინააღმდეგენიც (ქართველი სოციალ-დემოკრატები, პატრიოტულად განწყობილი თავადაზნაურობის ერთი ჯგუფი და ა.შ.). თუმცა იმის დამადასტურებელი დოკუმენტურ მასალა, რომ ქართველების დიდმა უმრავლეობამ რაიმე ფორმით მაინც არ გაიზიარა ეს საერთო იმპერიული ეიფორია, ჩვენ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

კიდევ უფრო გრანდიოზული მანიფესტაცია ჩატარდა თბილისში 22 ივლისს. გვიან ღამით, 12 საათზე, თბილისის სათათბიროს ხმოსნები და სტუმრები, სამხედრო ორკესტრის თანხლებით, სახელმწიფო ჰიმნის („Боже царя храни!“) გალობით, ხმამაღალი შეძახილებით „ურა!“ გადაადგილდებოდნენ მიხეილის პროსპექტზე. დემონსტრანტებს უერთდებოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რიგითი მოქალაქეები, ენთუზიაზმს აყოლილი „ობივატელები“. რუსულ კლუბთან მეფის უზარმაზარი სურათი იყო გამოფენილი, ყველგან ფრიალებდა რუსეთისა და საფრანგეთის დროშები; მანიფესტანტები გაეშურნენ გოლოვინის პროსპექტისაკენ, მივიდნენ მეფისნაცვლის სასახლესთან და მოედანზე გამართეს მიტინგი. მანიფესტაცია ღამის 2 საათამდე გაგრძელდა. ისმოდა შეძახილები „გაუმარჯოს ხელმწიფე-იმპერატორს!“, „გაუმარჯოს რუსეთის ჯარსა და ფლოტს!“, „გაუმარჯოს საფრანგეთსა და სერბიას“, ხშირად ჟღერდა რუსეთის სახელმწიფო ჰიმნი და ა.შ.

საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობაში რომ გარკვეული მზარდი ენთუზიაზმი შესამჩნევი იყო, ეს დაადასტურა საყოველთაო მობილიზაციის შემდეგ წვევამდელთა და თადარიგში მყოფთა ჯარში გაწვევამ: ნიკოლოზ II-ის სამეფო დროშის ქვეშ საქართველოს ორივე გუბერნიი-

დან 200 ათასი კაცი (ივარაუდება გაცილებით მეტიც) დადგა, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. საქართველოს მოსახლეობის ამ ენთუზიაზმზე მიანიშნებს კავკასიის მეფისნაცვალი ი. ვორონცოვ-დაშკოვიც იმპერატორისადმი გაგზავნილ თავის საიდუმლო წერილში, სადაც აღნიშნავს: „კავკასიის ოკრუგის მობილიზაციამ ჩაიარა ბრწყინვალედ. სათადარიგო ჯარისკაცები ცხადდებიან იშვიათი აღმაფრენით. გამოუცხადებლობის შემთხვევები არ ყოფილა, ამიტომ სათადარიგო ჯარისკაცები გაცილებით მეტი მოვიდნენ. ჯარის განწყობა შესანიშნავია“[1].

მობილიზებულთა შორის, რა თქმა უნდა, ქართველებიც იყვნენ, როგორც ჩანს, საყოველთაო ეიფორია მათთვისაც გადამდები აღმოჩნდა. პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ „ქართველი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს თავის სამშობლოდ რუსეთი მიაჩნდა, თუმცა ბოლომდე არა ჰქონდა დაკარგული ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, რამაც გარკვეულად იჩინა თავი თურქეთის ომში ჩაბმის შემდეგ“[2].

ჩვენი აზრით, დასაშვებია, რომ საქართველოს ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ჰქონოდა რუსეთისადმი ლოიალური და, შეიძლება ითქვას, ერთგული დამოკიდებულებაც კი, რაც მომავალში ფრონტსა თუ ზურგში მათ მიერ განხორციელებულ საქმეებსა და აშკარა გმირობებშიც აისახა. ამ ომში მედგრად იბრძოდა ასი ათასობით საქართველოს მცხოვრები და დაახლოებით 7 000 ქართველი ოფიცერი, რომელთა შორის იყვნენ ისეთი თვალსაჩინო სტრატეგები, როგორიც გენერალი გ. მაზნიაშვილი, გენერალი გ. კვინიტაძე, გენერალი ი. ოდიშელიძე, გენერალი ვ. წულუკიძე, პოლკოვნიკი რ. მუსხელიშვილი, ლეგენდარული ქ. ჩოლოყაშვილი და ბევრი სხვა. მათ საგმირო საქმეებზე წერდა იმჟამინდელი ქართული დემოკრატიული პრესაც.

---

[1] ციტირებულია: გ. გოცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ. 2009, გვ. 80.

[2] იქვე.

რა თქმა უნდა, ქართული საზოგადოებრიობა ამ ომის მიმართ ნეიტრალური ვერ დარჩებოდა. რუსეთთან თანაცხოვრების თითქმის საუკუნოვანი ისტორია ქართველებს რუსეთთან გარკვეულ დამოკიდებულებას უყალიბებდა, რაც განპირობებული იყო სოციალურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური, კულტურულ-რელიგიური ფაქტორებით და უამრავი ხილული თუ უხილავი ძაფებით. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს არისტოკრატიის ძირითადი ნაწილი უკვე ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის მონარქიულ სახელმწიფოს მიმათ და ეს კავშირები საკმაოდ მჭიდრო ჩანს.

ქართველი მაღალი სასულიერო წოდება, XIX საუკუნის დასასრულს მთლიანად იყო ინკორპორირებული რუსეთის სინოდალურ ეკლესიაში, თუმცა მასში ჯერ კიდევ ცოცხლობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ძლიერი სურვილი, რისი იმედიც 1905-1907 წლების რევოლუციის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა და გაჩნდა რწმენა, რომ დიდი ომის დასრულების შემდეგ რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე წავიდოდა და საქართველოს ეკლესიის მიმართ სამართლიანობას აღადგენდა.

საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა (მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), სოციალ-რევოლუციონერები, და სხვები ლოიალურ პოზიციაზე იდგნენ და სეპარატისტულ განწყობებს იმჟამად არ ავლენდნენ. განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ მემარცხენე სოციალისტ-დემოკრატებს (ბოლშევიკებს), რომლებიც რუსეთის პროლეტარიატის ერთობლივი ძალისხმევით ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღებას და მომავალში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას გეგმავდნენ, მაგრამ ისინი უმცირესობაში იყვნენ.

მხოლოდ ქართველი თავადაზნაურობის ერთ ჯგუფი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ცდილობდა მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო კრიზისი გამოეყენებინა იმგვარად, რომ რუსეთის მოწინააღმდეგე ძალების – გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის დახმარებით მოე-

ხერხებინა საქართველოს დამოუკიდებლობის რაიმე ფორმით აღდგენა, იქნებოდა ეს სრული დამოუკიდებლობა თუ გერმანიის იმპერიის სუზერენიტეტი.[1]

საკუთარი სამხედრო და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, გერმანიისა და თურქეთის მთავრობები ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებისა და გაძლიერებისათვის, მოეხდინათ მათ ზურგში „აფეთქება“ და ამით უზრუნველეყოთ საკუთარი მოქმედი არმიებისათვის ხელსაყრელი პირობები სამხედრო მოწინააღდეგეებთან ბრძოლის დროს. ამიტომაც ისინი ამისათვის არც ფულს იშურებდნენ და არც დაპირებებს.

თავდაპირველად რუსეთი I მსოფლიო ომში ჩაება დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით, ისიც საფრანგეთის ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნით, მაგრამ ყოველგვარი მომზადების გარეშე, რუსეთმა დაიწყო სამხედრო ოპერაციები აღმოსავლეთ პრუსიაში. პირველ ეტაპზე რუსეთის სამხედრო ძალებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. ამ მიმართულებით ძირითადად რუსეთის ორი არმია იბრძოდა – რენენკამფისა და სამსონოვის სამხედრო შენაერთები. სწრაფი მარშით რუსებმა აღმოსავლეთ პრუსიის დიდი ტერიტორია დაიკავეს, რამაც აიძულა გერმანიის იმპერატორი საფრანგეთზე წამოწყებული გაძლიერებული შტურმი შეესუსტებინა და სამხედრო ნაწილები და შეიარაღება აღმოსავლეთ პრუსიაში გადაესროლა. ამის შედეგად პარიზი ოკუპაციას გადაურჩა, მაგრამ გერმანელებმა მოახერხეს აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრილი რუსული ჯარების ხელმძღვანელების შეცდომაში შეყვანა და 1914 წლის 27 აგვისტოს პირწმინდად გაანადგურეს გენერალ სამსონოვის II არმია. სასოწარკვეთილმა სამსონოვმა თავი მოიკლა.

ასეთი ფატალური დამარცხების შემდეგ რუსები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. გერმანელები რუსეთის

---

[1] დ. პაიჭაძე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ჟურ. „ანალები“, 2000, №1, გვ. 113.

იმპერიის საზღვრებში – ბალტიისპირეთში შევიდნენ და წარმატებით მიიწევდნენ წინ.

ომის პირველსავე ეტაპზე რუსეთის ასეთმა წარუმატებლობამ წააქეზა თურქეთის სულთანი, რომელიც თავდაპირველად ომში ჩაბმას საერთოდ არ აპირებდა და ნეიტრალიტეტის პოზიციას უჭერდა მხარს. მაგრამ გერმანიის იმპერატორის საჩუქრად გადაცემულმა ორმა კრეისერმა ის ამ საკითხის მიმართ უფრო დამყოლი გახადა. 1914 წლის ოქტომბერში თურქეთმა თავისი სამხედრო კრეისერები მიუახლოვა შავი ზღვის სანაპიროებს, რომლებმაც რუსეთის ტერიტორიაზე დაბომბეს ქალაქები სევასტოპოლი, ოდესა და სხვ.

თურქეთის სამხედრო ხომალდების მიერ შავიზღვისპირეთის ქალაქების დაბომბვამ აფხაზეთის მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. ქართული გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ შეშინებულმა მოსახლეობამ, განსაკუთრებით ოჩამჩირის უბანში, სრულად მიატოვა სახლ-კარი და თავშესაფარი სხვაგან მოძებნა. ეს შიში, როგორც ჩანს, რამდენიმე თვე გაგრძელდა.

თურქეთის ამ სამხედრო დემარშის პასუხად ნიკოლოზ II-მ გამოსცა მანიფესტი საომარი ოპერაციების დაწყების შესახებ და თურქეთს ომი გამოუცხადა. მეფის ეს მანიფესტი გაზეთმა „კავკაზმა“ ოპერატიულად გამოაქვეყნა. ამის შემდეგ შეიქმნა კიდეც კავკასიის ფრონტი.

იმჟამად თურქები „დიდი თურქეთის“ შექმნის იდეით იყვნენ შეპყრობილნი და კავკასიის მისადგომებთან განალაგეს მე-3 არმია, ქვეითების 12 დივიზია და ცხენოსანთა 6 დივიზია. თურქების რეზერვს წარმოადგენდა ქვეითთა 66-ე დივიზია

რუსეთს კავკასიის ფრონტზე მხოლოდ I კორპუსი ჰყავდა, რომელიც მე-20 და 39 დივიზიებისაგან შედგებოდა.[1] რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ კავკასიაში დისლოცირებული ჯარის ძირითადი შემადგენლობა ომის დაწყების,

[1] ვ. გურული, პირველი მსოფლიო ომი და კავკასია, წიგნში: „კავკასიის ისტორია“ ტ. II, თბ., 2022, გვ. 40.

განსაკუთრებით სამსონოვის არმიის კატასტროფის შემდეგ, დასავლეთის ფრონტზე გადაისროლა, რამაც გაართულა კავკასიის 600 კილომეტრიანი ფრონტის დაცვა.

ამით ისარგებლეს თურქმა ასკერებმა და ოქტომბერ-ნოემბერში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და კავკასია-ში დაიკავეს რუსეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთი ტერი-ტორიები. ამან თბილისში გარკვეული პანიკა გამოიწვია. მე-ფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით განხორცი-ელდა ბათუმიდან, ყარსიდან და სხვა დასახლებული პუნ-ქტებიდან მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანიზაციების ნაწილობრივი ევაკუაცია[1].

თურქეთის სამხედრო წარმატებებმა კავკასიის ფრონ-ტზე შეაგულიანა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და მათ ანტირუსული, პროთურქული აჯანყება დაიწყეს. კავკასიის რუსულმა სამ-ხედრო შენაერთებმა შეძლეს ვითარების დარეგულირება და თურქეთის ჯარების წინსვლა შეჩერდა. დაიწყო პოზიციური ბრძოლები.

§2. ნიკოლოზ II თბილისში

აშკარაა, რომ ომის პირველი თვეები რუსეთისათვის მარცხით დაიწყო: აღმოსავლეთ პრუსიაში წარუმატებელმა ოპერაციამ, რასაც რუსეთის ოფიციოზი მაქსიმალურად ჩქმალავდა, გარკვეული მორალურ-ფსიქოლოგიური განწყო-ბა შექმნა მმართველ ელიტაში, რის განმუხტვასაც პროპა-განდისტულ-აღმზდელობითი ღონისძიებით შეეცადნენ – გა-დაწყდა რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის სტუმრობა თბილისში; მას უნდა ჩაეტარებინა კავკასიაში დისლოცირე-ბული რუსეთის სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელობის ინსპექტირება, აემაღლებინა მოსახლეობაში პატრიოტული

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არ-ქივი, ფ. 13, აღ. 1, საქ. 665, ფურც. 13.

(უფრო კი – შოვინისტიური) გუნება-განწყობილებები, ხოლო ფრონტზე საბრძოლო შემართება განემტკიცებინა იმ რიგითი ჯარისკაცებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ „მამამეფის“ იდეების ერთგულნი იყვნენ. ნიკოლოზ II ჯერ კიდევ დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც ჯარში, ისე მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში. აშკარაა – საერთო ეიფორიის მდგომარეობა მის სტუმრობას კავკასიაში კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შესძენდა, უზრუნველყოფდა როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ნაწილების მორალურ-ფსიქოლოგიურ ერთიანობას სახელმწიფოსთან და მის უმაღლეს პოლიტიკურ – სამხედრო ხელმძღვანელობასთან, რისკენაც ასე ენერგიულად მიისწრაფოდა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა.

თბილისში ნიკოლოზ II-ის მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ პირველი ინფორმაცია გაჟღერდა ქალაქის თავის, ა. ხატისოვის მიერ ჩატარებულ თათბირზე, 1914 წლის 21 ნოემბერს (იმპერატორის ოფიციალურ ვიზიტამდე თითქმის ერთი კვირით ადრე). ქალაქის თავმა თათბირის მონაწილეებს აცნობა, რომ უახლოეს დღეებში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ეწვეოდა კავკასიის დედაქალაქს და საჭირო იყო ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომ სამეფო სტუმარს ღირსეულად დახვედროდნენ. თათბირზე მიიღეს შემდეგი დადგენილება: 1. მიღებულ იქნეს ცნობად ქალაქის თავის ა. ხატისოვის ინფორმაცია; 2. გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სათათბიროს („დუმის“) სპეციალური, საგანგებო სხდომის მოწვევა; 3. ამ სხდომაზე ქალაქის გამგეობას ეთხოვოს, ყველაფერი შეამზადოს ხელმწიფე-იმპერატორის საზეიმოდ დასახვედრად.[1]

ქალაქის თავმა საზეიმო ღონისძიებებისათვის მოითხოვა 25 ათასი მანეთი. თათბირზე ძირითადად დაიგეგმა ოფიციალური საზეიმო ცერემონიალი, რაც რუსულ ტრადიციულ დახვედრას გულისხმობდა („პურით და მარილით“). თათბირზე ასევე გადაწყდა ეთხოვათ იმპერატორისათვის

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 192, აღ. 11, საქ. 40, ფურც. 2.

თბილისის ლაზარეთების მონახულება, ქალაქის თავს დაევალა ხელმწიფე-იმპერატორის მიპატიჟება საზეიმო ბანკეტზე და ა.შ.

საყურადღებოა, რომ თბილისის მესვეურების გადაწყვეტილებით, ამ „ისტორიული თარიღის“ აღსანიშნავად გამოიცა სპეციალური განკარგულება, რომლის ძალით თბილისის უღარიბეს მოსახლეობას აპატიეს ქალაქისადმი მათი 50 000 მანეთიანი დავალიანება. [1]

თათბირის მეორე დღეს თბილისის ქალაქის თავმა 4 ენაზე (რუსულ, ქართულ, სომხურ, თათრულ ენებზე) გამოაქვეყნა სპეციალური მიმართვა მოქალაქეებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „ჩვენი მხურვალე დახვედრა ერთხელ კიდევ დაამტკიცებს ჩვენს განუზომელ სიყვარულს და ერთგულებას რუსეთის გვირგვინოსანი წინამძღოლის მიმართ და ჩვენს ძლიერ სურვილს, მსხვერპლი მივიტანოთ იმ ჩვენი სამშობლოს საკურთხეველზე, რომელიც ასე მედგრად იტანს განსაცდელის მძიმე ტვირთს“.[2]

მზადება მიმდინარეობდა მეფისნაცვლის სასახლეშიც. მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იმჟამად შეუძლოდ იყო და დახვედრის საორგანიზაციო საკითხებს მისი კანცელარიის დირექტორი უძღვებოდა. წინასწარ შემუშავდა იმპერატორთან წარსადგენი დეპუტაციების სიები, რომელშიც შედიოდნენ: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლები და მათი ამალა, კავკასიის ხალხების წარმომადგენლობითი დეპუტაცია, სომეხი ვაჭრების ნაკრები, ამქრების წარმომადგენლობა და ა.შ.

მეფისნაცვლის კანცელარიამ შეიმუშავა დასწრების ეტიკეტიც – იმპერატორთა შესახვედრად მოწვეულ სტუმარს უნდა სცმოდა ან ფრაკი, ან ეროვნული ტანსაცმელი[3].

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 192, აღ. 11, საქ. 40, ფურც. 4.

[2] იქვე, ფურც. 3.

[3] იქვე, ფურც. 21.

მოწვეულ სტუმართა კონტინგენტი დამუშავდა უშიშროების სამსახურის მიერ და მათგან ოფიციალური დასტურიც იყო მიღებული.

1914 წლის 23 ნოემბერს გაზეთმა „კავკაზმა“ დაბეჭდა მეფისნაცვლის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მიმართვა ხელმწიფე იმპერატორის სტუმრობასთან დაკავშირებით – „თბილისში ხელმწიფე-იმპერატორის ჩამოსვლის გამო“. მისივე სპეციალური განკარგულებით, იმ დღეს თბილისში სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასწავლებლებს უნდა შეეწყვიტათ საქმიანობა და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი სტუმრის საზეიმო დახვედრის ცერემონიალში. როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ II-ის თბილისში ჩამოსვლას თავიდანვე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა და მთელი საზოგადოებრიობა თუ არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც, სერიოზულ მზადებაში ჩაება.

აი, როგორი პათოსით დაიწყო თავისი „მოწინავე“ გაზეთმა „კავკაზმა“ 26 ნოემბერს, ნიკოლოზ II-ის თბილისში ჩამოსვლის დღეს: „მსოფლიო ომის ამ დიად წელიწადს კავკასია, უკეთილშობილესი გმირების ეს ძველთაძველი აკვანი, ეგებება თავის ხელმწიფეს. დიდი რუსეთის სადღაც, განაპირა ცალკეულ საზღვართან, გასროლილი ზარბაზნების გრუხუნის ხმის გაგონებაზე კავკასიის მთების მგზნებარე ექო ისე ძალუმად გამოეხმაურა მას, რომ გამოაღვიძა ასე მშვიდად მთვლემარე, თოვლით დაფარული ყაზბეგი, იალბუზი და არარატი“[1]

26 ნოემბერს თბილისში თბილი და მზიანი დღე გათენდა. როგორც თბილისის პრესა იუწყებოდა – „დილიდანვე ქუჩები ხალხით გადაიჭედა“. გაზეთის კორესპონდენტი ცდილობდა ასე აღეწერა თბილისში გამეფებული ეიფორია: „ყველა ხარობს, ყველა ფუსფუსებს, ყველა ცხოვრობს რაღაც განსაკუთრებული, ამაღლებული განწყობილებით. დილიდანვე ქალაქში უკვე ხმაური და ჩოჩქოლია... ყველა სადღაც მიიჩქარის, ღელავენ, ფუსფუსებენ“.[2]

---

[1] « Кавказ», 26 ноября 1914 г.

[2] « Кавказ», 27 ноября 1914 г.

თბილისის რკინიგზის სადგურის წინა მოედანზე დილიდანვე განლაგდა საპატიო ყარაული დროშებით და სამხედრო მუსიკით. მთელი ვაგზლის მოედანი, მისი მიმდებარე ქუჩები შემკულია ბრწყინვალედ დეკორირებული დროშებით და მწვანე მცენარეების გირლანდებით. „ვაგზლის ცენტრში აღმართული იყო ოთხი ობელისკი, რომლებსაც ეროვნული დროშის ფერის ფიანდაზი ამკობდა. გარშემო ფრიალებდა ათასობით დროშა, გირლანდი, ირხეოდა მცენარე და ძვირფასი ხალიჩა. ყველა შენობა ვაგზლიდან მიხეილის პროსპექტამდე მორთული იყო ასეთივე გირლანდებითა და დროშებით. მიხეილის პროსპექტი მთლიანად ჩაფლული იყო სახელმწიფო დროშის ფერებში, ხალიჩებში, ბაირაღებში“.

სადგურის წინ, სკვერში იდგნენ თბილისის ამქრები თავისი ამქრული სიმბოლიკით და დროშებით, ოდნავ მოშორებით ადგილი დაიკავეს თბილისის სამხედრო სასწავლებლების კურსანტებმა.

11 საათზე სადგურის წინ მოედანზე გამოცხადდა მეფისნაცვლის თანაშემწე, ინფანტერიის გენერალი ა.ზ. მიშლაევსკი და სასახლის ჰოფმეისტერი ნ.ლ. პეტერსონი გენერალიტეტის თანხლებით. მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კვლავ ავად იყო და ამიტომ მეფეს სადგურზე ვერ დახვდა – ოფიციალური შეხვედრის ცერემონიალი სასახლეში იყო დაგეგმილი.

მეფისნაცვლის ავადმყოფობის გამო, მის ნაცვლად ხელმწიფე-იმპერატორის დასახვედრად რკინიგზის სადგურში მოვიდნენ გრაფის მეუღლე გ. ვ. ვორონცოვა-დაშკოვა და მისი თანხლები პირები.

ნიკოლოზ II მატარებელი თბილისის სადგურს მოადგა დანიშნულ დროს. ხელმწიფე ვაგონიდან გადმოვიდა ობერ-ჰოფმარშლის, გრაფ ბენკენდორფის თანხლებით. როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, რუსეთის იმპერატორი კავკასიურ ჩოხაში იყო გამოწყობილი, თავზე კავკასიური ფაფახა-ქუდი, ხოლო მხრებზე – კავკასიური ნაბადი ჰქონია მოსხმული. იმპერატორმა ჩაიბარა პატაკი და მისთვის საგანგებოდ გამზადებულ ოთახში შევიდა.

რუსთა ხელმწიფეს ოთახში დახვდნენ თავადაზნაურთა წარმომადგენლები, ქალაქის ხელმძღვანელობა, კავკასიის ჯარების გენერალიტეტის სრული შემადგენლობა.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძოლმა, თავადმა კონსტანტინე აფხაზმა ხელმწიფეს შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა: „თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ! უსაზღვრო სიხარულისა და ერთგულების გრძნობით გილოცავთ ქართველი თავადაზნაურობა თქვენს მშვიდობიან მობრძანებას თქვენი ძველი ივერიის ქვეყანაში. „დადგა დრო!“ – თქვენ ბრძანეთ ეს, მეფეო და ქართველი თავადაზნაურობისა და ხალხის შვილები დიდი სიხარულით სწირავენ სიცოცხლეს თავისი გვირგვინოსანი სარდლის პატივის, სახელის, ძლიერებისა და თქვენი უდიდებულესობის დიადი სამეფოსათვის“[1].

შემდეგ ხელმწიფე-იმპერატორს მოკლე სიტყვით მიმართა თბილისის ქალაქის თავმა ა. ხატისოვმა და რუსული ტრადიციით მიართვა მას „პური და მარილი“.

ამ ისტორიულ სანახაობას გაზეთ „კავკაზის“ გრძნობამოჭარბებული რუსი კორესპონდენტი ასეთი ფრაზით ამთავრებს: „და კიდევ ეს მზე, ეს მწველი სამხრეთული მზე, ასე რომ ანათებს გარშემო ყველაფერს თავისი მწველი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი სხივებით. და აი, დასასრულს, ნამდვილად ხალხური, ნამდვილად ადამიანური სიხარულის ტალღების ფონზე, ხალხის წინაშე წარმოსდგა მათი მეფე, ხელმწიფე-იმპერატორი, რომელიც ასე გულმოწყალედ პასუხობს მათ ოვაციებს“.

ამ მოკლე ოფიციალური შეხვედრის შემდეგ ნიკოლოზ II გამოვიდა მოედანზე და ჩაჯდა სპეციალურად მომზადებულ ავტომობილში. მის გვერდზე ადგილი დაიკავა გენერალ-ადიუტანტმა გრაფმა ბენკენდორფმა. საპატიო კორტეჟი გაემართა სიონის საკათედრო ტაძრისკენ. ნიკოლოზ II ავტომობილის კორტეჟი თბილისის ცენტრალური ქუჩებზე ძალიან ნელა გადაადგილდებოდა. კორტეჟმა გაიარა ვაგზლის ქუჩა, ელიზავეტას, პიროგოვის, მიხაილოვის, კირიჩნის ქუ-

[1] გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. №48, 28 ნოემბერი.

ჩები, გადაიარა ვერეს ხიდი და აუყვა ვერეს აღმართს. ოლგას ქუჩიდან კორტეჟმა შეუხვია გოლოვინის პროსპექტზე, ჩაუარა მეფისნაცვლის სასახლეს და გაემართა ერევნის მოედნისაკენ. ქუჩები გადაჭედილი იყო ზღვა ხალხით, რომელიც დიდი ენთუზიაზმით სკანდირებდა: „ურა!, ურა!“

ერევნის მოედანზე, სპეციალურად ამ შეხვედრისთვის, აღმართული იყო ჩინებული თაღი, რომელიც შემკული იყო გერბებით, გირლანდებით, დროშებით და უზარმაზარი წარწერით „Боже царя храни!“

სომხების ბაზართან, მოედანზე შემოსასვლელ მხარეს აღმართული იყო უზარმაზარი პლაკატი წარწერით: „Старый Тифлис бьет челом своему Царю!“

სიონში იმპერატორს დახვდა საქართველოს ეგზარქოსი პიტირიმი და უმაღლესი სამღვდელოება. როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, ეგზარქოსმა ხელმწიფე-იმპერატორს „საუცხოო სიტყვით“ მიმართა: „თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, უკეთილშობილესო დიდო ხელმწიფევ! როგორც ნათელი დილის რიჟრაჟი, ისე შემობრძანდით თქვენ, ჩვენო კეთილშობილო ხემწიფევ, ჩვენთან სწორედ იმ დროს, როცა მამულის დაცვაში გამოვლენილი თქვენი მეფური სიმტკიცე ასე ნათელია ყველა თქვენი ქვეშევრდომისათვის“. და ა.შ. და ა.შ.

ამ სიტყვების შემდეგ ნიკოლოზ II-მ დაიჩოქა ეგზარქოსის წინაშე და ემთხვია ღვთისმშობლის ხატს და წმ. ნინოს ჯვარს. ხელმწიფე-იმპერატორმა სიონში დაათვალიერა ქართველი კათოლიკოსების მიტრები – ერთი მთლიანად ოქროსი, ხოლო მეორე – მარგალიტებით მდიდრულად შემკული. შეხვედრის დასასრულს საქართველოს ეგზარქოსმა ნიკოლოზ II-ს საჩუქრად გადასცა ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რაზეც იმპერატორმა უღრმესი მადლობა გადაუხადა.

სიონის ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ, დაახლოებით 1 საათსა და 5 წუთზე, ნიკოლოზ II მეფისნაცვლის სასახლის კარის ჰოფმაისტერის ნ. ლ. პეტერსონის თანხლებით გაემართა სომხურ-გრიგორიანული ვანქის ტაძრისაკენ, რომლის შესასვლელთან მას დახვდა სრულიად სომხების კათოლიკოსი გევორქ V და ორი სომეხი ეპისკოპოსი. სომეხთა

კათოლიკოსმა მისასალმებელი სიტყვა რუსულად წარმოთქვა.

შემდეგ იმპერატორმა მოინახულა თბილისის შიიტური და სუნიტური მეჩეთები. აქ მას დახვდნენ ამიერკავკასიის შიიტების წინამძღოლი ახუნდ-ჰუსეინ ზადე და მისი თანმხლები მოლები. ნიკოლოზ II იყო ასევე თბილისელი სუნიტების მეჩეთშიც, სადაც მას დახვდა მუფტი ჰუსეინ-ეფენდი გაიბოვი. თვითმხილველთა გადმოცემით, თბილისის მაჰმადიან მოსახლეობასთან შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა.

თბილისის დროით 2 საათზე კავკასიის მეფისნაცვლის სასახლის თავზე აღიმართა რუსეთის იმპერატორის შტანდარტი – სასახლე უკვე ელოდა მეფის მობრძანებას.

თბილისის ქრისტიანული და მაჰმადიანური საკულტო ძეგლების მონახულების შემდეგ ნიკოლოზ II მეფისნაცვლის სასახლეში მივიდა ზუსტად 3 საათზე. სასახლეში მას შეეგებნენ კავკასიის მეფისნაცვალი, გრაფი ი. ვორონცოვ-დოშკოვი მეუღლითურთ და სასახლის სხვა წარჩინებულები.

საზეიმო მიღებაზე, ახლა უკვე მეფისნაცვლის სასახლეში, კვლავ განმეორდა ოფიციალური მიმართვების სერია. იმპერატორის წინაშე პირველი სიტყვით აქაც წარსდგა თავადი კონსტანტინე აფხაზი: „თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, სიმშვიდის ამპარტავნებით შესცქერის ქართველი თავადაზნაურობა რუსეთის კურთხეული ლაშქრის საგმირო საქმეებს, რომლის მახვილიც მრისხანებით არღვევს მტრულ სახელმწიფოთა სიმტკიცეს. და თუ კვლავ საჭიროა ძალა თქვენი უდიდებულესობის სამეფოს სადიდებლად, გვიბრძანეთ ხელმწიფეო და მთელი ქართველი თავადაზნაურობა და მასთან მთელი ქართველი ერი აღსდგება უძვირფასესი საუნჯის – რუსეთის სახელმწიფოს დასაცავად. ხელმწიფეო, მალე მძიმე განსაცდელის დღეები ისტორიულ და დიდების დღეებად შეიცვლებიან – სასიხარულოდ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის, დიდებული რუსეთის საკეთილდღეოდ და ქართველ აზნაურთა და ხალ-

ხის, თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ერთგულ ყმათა, საბედნიეროდ.“[1]

კონსტანტინე აფხაზის ამ გრძნობამორეულ სიტყვებს ნიკოლოზ II-მ ასე უპასუხა: „გადაეცით თბილისის თავადაზნაურობას ჩემი გულითადი მადლიერება ასეთი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობისათვის. მე გამორჩეულად მსიამოვნებს თქვენი ხილვა ამ ძნელბედობისა და უმნიშვნელოვანეს დღეებში. ღმერთის შეწევნით ჩვენ გავიმარჯვებთ ძლიერსა და ჯიუტ მტერზე, რომელსაც დაამარცხებენ ჩვენი სახელოვანი და გმირი ჯარები. რუსეთის არმიას წინ ვერავინ ვერ აღუდგება“.

შემდეგ ხელმწიფეს სიტყვით მიმართა ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავადმა დ. ნიჟარაძემ, რომელმაც აღნიშნა: „ქუთაისის გუბერნიის ქართველი თავადაზნაურობა ბედნიერია და თავისი წინამძღოლების პირით სალამს უძღვნის თქვენს უდიდიდებულესობას საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქში მობრძანებისათვის. ერთგული თავისი ისტორიული აღთქმებისა, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ამ წუთსაც მზად არის დასდვას თავი თავისი და საცხოვრებელი დიდი რუსეთის მიწა-წყლის უმაღლესი წინამძღოლის ფეხთა წინაშე (დოკუმენტის სტილი დაცულია – ა.დ.)...“

ოფიციალური მიღების დასასრულს ხელმწიფე-იმპერატორს კვლავ მიმართა თბილისის ქალაქის თავმა ა. ხატისოვმა: „გაგვაბედნიერეთ, ხელმწიფევ, ჩვენ თქვენი მობრძანებით უძველესი ქალაქის კედლებში და შეიტყვეთ, თუ როგორ ძლიერ ძგერს მრავალეროვანი მოსახლეობის გული ერთი მგზნებარე სურვილით – სრულიად შეერწყას თავის მეფეს და თავისი თავი გაიღოს მისთვის და ჩვენი დიდი მამულისათვის.“

ოფიციალური მიღების შემდეგ ხელმწიფე-იმპერატორი გაემართა თბილისის ლაზარეთების მოსანახულებალად. მან დაათვალიერა სომხური საქველმოქმედო საზოგადოების

[1] გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. №48, 28 ნოემბერი.

კუთვნილი, ვაჭართა კავშირისა და სასამართლო უწყების ლაზარეთები.

საკმაოდ დატვირთული დღის შემდეგ, ნიკოლოზ II შეღამებისას სასახლეში დაბრუნდა. ქალაქი მთლიანად იყო განათებული ელექტრონათურებით.

სასახლეში ნიკოლოზ II-მ თავის კაბინეტში მიიღო სახალხო დეპუტაცია, ქალაქის თავი ა. ხატისოვი და სხვა საპატიო სტუმრები.

ოფიციალური შეხვედრის ამ ნაწილში ქართველი თავადაზნაურობის ზოგიერთი წარმომადგენილი გამოწყობილი იყო ეროვნულ ტანსაცმელში. როგორც აღნიშნავენ, ეროვნული კოსტუმის განსაკუთრებული სიმდიდრითა და ორიგინალობით გამოირჩეოდნენ თავადები გიორგი ოთარის ძე ამილახვარი, გრიგოლ ადამის ძე ყარანგოზიშვილი და ოზურგეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი. იმპერატორი ისე მოიხიბლა მათი ჩაცმულობით, რომ მიუახლოვდა მათ და დიდხანს ესაუბრა მისთვის საინტერესო საკითხებზე[1].

შეხვედრის დასასრულს გაიმართა კონცერტი და რუსეთის იმპერატორმა მოისმინა კავკასიის ხალხების მდიდარი ფოლკლორული შემოქმედება. როგორც ადგილობრივი პრესა მოგვიანებით მიუთითებდა, კონცერტში მონაწილე მომღერლები და მოცეკვავეები მეფური გულუხვობით დაჯილდოვეს მაღალმხატვრული შესრულებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ II-ის ჩამოსვლის მეორე დღეს რუსეთის ოფიციალურმა პრესამ გამოაქვეყნა საკუთარი ინტერპრეტაცია იმ გრძნობებისა და განწყობების თაობაზე, რაც, მათი აზრით, დაეუფლა (ან „შეიძლებოდა დაუფლებოდა“) კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას ხელმწიფე-იმპერატორის სტუმრობის დროს. გაზეთმა „კავკაზმაც“ ანალოგიურად აღწერა კავკასიის მთელი მოსახლეობის – სომხების, მუსლიმების, მოლოკნების და, რა თქმა უნდა, ქართველების ემოციები იმპერატორის ჩამოსვლასთან

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 192, აღ. 11, საქ. 40, ფურც. 29.

დაკავშირებით. საინტერესოა როგორ აღიქვამდნენ რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები ქართველების ემოციებს ამ ფაქტთან დაკავშირებით: „მეფის ჩამოსვლას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ქართული პრესა და ამისათვის მათ გამოიყენეს განსაკუთრებით თბილი და გულითადი სიტყვები. ქართველებს, როგორც მათი პრესა აღნიშნავს, თავისი მეფის ხილვა, თუნდაც იმის შეგრძნება, რომ ის ცხოვრობს მათ ძველთაძველ დედაქალაქში, უდიდესი ბედნიერებაა, რასაც ისინი ელოდნენ ორ ათეულ წელზე მეტ ხანს, ხელმწიფის გამეფების შემდეგ. პატარა საქართველო გმირულად და თავდადებულად იბრძოდა რუსეთის დიდებისა და ღირსებისათვის, დღეს სიყვარულითა და ერთგულებით თავი ასე რომ დაუხრია თავისი ხელმწიფის წინაშე.“[1]

რამდენად ადექვატური იყო რუსი კორეპონდენტის ეს გრძნობამოჭარბებული ინტერპრეტაცია ქართული საზოგადოებრიობის ჭეშმარიტ გუნება-განწყობისა ნიკოლოზ II-ის სტუმრობის გამო, დღეს ძალიან ძნელი სათქმელია. აშკარაა ერთი – გარეგნულად ყველაფერი თითქოს ხალხის დიდ სიხარულსა და აღტაცებზე მიუთითებდა.

თბილისში სტუმრობის მეორე დღეს, 27 ნოემბერს, ნიკოლოზ II-მ მეფისნაცვლის სასახლეში მიიღო სამოქალაქო და სამხედრო ჩინოსნები, თავადაზნაურობის წარმომადგენლები, ვაჭრები, გლეხების დეპუტაცია. მიღება დაიწყო დილით 9 საათზე. სასახლის ყვითელ სასტუმრო დარბაზში მეფისნაცვლის თანაშემწის, ინფანტერიის გენერლის ა.ზ. მიშლაევსკის მეთაურობით, განლაგდნენ კავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ნ.ნ. იუდენიჩი (მოგვიანებით ანტისაბჭოთა „თეთრი მოძრაობის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი), კავკასიის არმიის გენერალ-კვარტირმაისტერი, გენერალი-მაიორი ბოლხოვინცევი და სხვა სამხედრო თუ სამოქალაქო პირები.

აქვე იდგნენ წარსულში კავკასიის სამეფისნაცვლოს ძალიან ცნობილი ჩინოსანი, ამჟამად უკვე „ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცებისათვის დახმარების გამწევი სრული-

[1] «Кавказ», 27 ноября 1914 г.

ად რუსეთის საერობო კავშირის“ ხელმძღვანელი, გრაფი პ. ს. შერემეტევი და სხვა მაღალი რანგის სამოქალაქო პირები.

სასახლის თეთრ დარბაზში კი შეიკრიბნენ სამოქალაქო უწყებების წარმომადგენლები და კავკასიის სხვადასხვა წოდების სპეციალური დელეგაციები. მათ ხელმძღვანელობას უწევდა მეფისნაცვის სასახლის კარის ჰოფმეისტერი ნ. ლ. პეტერსონი. აქვე იდგნენ კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრები: ნ. ფ. ჯუნგკოვსკი, მ. პ. ჰაკელი, ე. გ. ვეიდელბაუმი და სხვ. ამ ჩამონათვალში, როგორც ვხედავთ, არც ერთი არ იყო ქართველი, სომეხი და მუსლიმი.

მათ გვერდით განლაგდნენ კავკასიის გუბერნიების წარმომადგენლები – პირველად თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავადი კ. აფხაზი, მასთან ერთად ხელმწიფე-იმპერატორს ელოდებოდნენ თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლები. მომდევნო ადგილს იკავებდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი და მისი გარემოცვა. მათ უკან იდგა თბილისის ქალაქის თავი ა. ი. ხატისოვი, ქალაქის ხმოსნების წარმომადგენლები და ა.შ.

ამ აუდენციაზე ნიკოლოზ II-ს გამოელაპარაკა თბილისის ქალაქის თავს ა. ხატისოვს, რომელმაც კვლავ საზეიმო სიტყვით მიმართა იმპერატორს, რაზეც ნიკოლოზმა ასევე მადლობით უპასუხა. ნიკოლოზ II-ის ეს მადლობის შემცველი სიტყვა ქალაქ თბილისის ხელმძღვანელობამ დაბეჭდა და ათასობით გაავრცელა მოსახლეობაში.[1]

თბილისში სტუმრობის მეორე დღე ნიკოლოზ II-მ მთლიანად დაუთმო ლაზარეთების მონახულებას, იყო არამიანცის საავადმყოფოში, დაათვალიერა ზუბალოვის პავილიონი და სხვა სამედიცინო დაწესებულებები.

შებინდებისას, სასახლის წინ, თბილისელმა მოსწავლე ახალგაზრდებმა მეფის საპატივსაცემოდ გამართეს დიდი მანიფესტაცია.

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 192, აღ. 11, საქ. 40, ფურც. 109.

რუსეთის იმპერატორს მესამე დღეც მეტად დატვირთული ჰქონდა: 28 ნოემბერს იგი ესტუმრა ალექსანდრე ნეველის სახ. სამხედრო ტაძარს, იყო „დიდების ტაძარში“, სადაც გაეცნო კავკასიის არმიის თითქმი საუკუნოვან ისტორიას. შემდეგ იმპერატორმა დაათვალიერა ქალაქის №1 გიმნაზია, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი, წმ. ნინოს სახ. სკოლა, კადეტთა კორპუსი და ა.შ.

საღამოს, დავით სარაჯიშვილის სასახლეში (დღეს – მწერალთა კავშირის შენობა), გაიმართა იმპერატორის სტუმრობასთან დაკავშირებული „რაუტი ჩაით“. ხელმწიფე-იმპერატორი დავით სარაჯიშვილს სახლს საღამოს 5 საათზე ესტუმრა. სასახლის კარებთან ნიკოლოზ II-ს მიეგება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი კ. აფხაზი და მაზრების წარმომადგენლები: თბილისის მაზრის – თავადი ა. სუმბათაშვილი, თელავის მაზრის – თავადი მ. ჭავჭავაძე, სიღნაღის მაზრის – თავადი მ. ანდრონიკაშვილი, დუშეთის მაზრის – თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი, გორის მაზრის – თავადი ერისთავი და კამერჰერი უგანათლებულესი თავადი პ. ა. გრუზინსკი.

დარბაზის შესასვლელთან იმპერატორს შეეგებდნენ „რაუტის“ დიასახლისები: სტატსდამა კნეინა ბაგრატიონ-მუხრანსკისა, კნეინა ამილახვრისა და უგანათლებულესი კნეინა დ. გრუზინსკისა. „რაუტზე“ მოწვეული იყო საქართველოს ეგზარქოსი პიტირიმი, ასევე მეფისნაცვლის მეუღლე გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვა თავისი ფრეილინებით.

ნიკოლოზი შევიდა იმ დარბაზში, სადაც სამეფო სუფრა იყო გაშლილი. აქ მას წარუდგინეს თავადაზნაურთა წინამძღოლების მეუღლეები და სახლის დიასახლისი – დავით სარაჯიშვილის ქვრივი ე. ი. სარაჯიშვილისა.

სამეფო ოთახის კარებთან მეფეს კვლავ მიეგება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურების წინამძღოლი თავადი კ. აფხაზი. ორკესტრმა და მომღერალთა გუნდმა შეასრულა „სახალხო ჰიმნი“.

ნიკოლოზ II-ს ძალიან მოეწონა სახლი, დაათვალიერა ის და თან შეკითხვებსაც აძლევდა თანმხლებ პირებს.

„რაუტის“ დაწყებამდე კ. აფხაზმა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურების სახელით ხელმწიფეს საჩუქრად გაუმზადა უზარმაზარი, მოვერცხლილი ჯიხვის რქა ქართული წარწერით: „ჩვენს დიდებულ ხელმწიფეს – ქართველი თავადაზნაურობა, 28 ნოემბერი, 1914 წ.“ დარბაზის შუაგულში მდგომმა კ. აფხაზმა კახური ღვინით დალოცა ხელმწიფე იმპერატორი და ეს მდიდრული საჩუქარი გადასცა. ნიკოლოზ II-მ მადლობა გადაუხადა ქართველ თავადაზნაურობას მის მიმართ გამოვლენილი სიყვარულისა და ერთგულებისათვის.

ამის შემდეგ ორკესტრმა შეასრულა ქართული „მრავალჟამიერი“. როგორც ჩანს, ნიკოლოზ II იცნობდა ქართულ პატრიოტულ სიმღერას „სამშობლოს“ – მან ითხოვა მისი შესრულება და სიამოვნებით მოისმინა სხვა ქართული საგალობლებიც.

„რაუტზე“ მას ქართველების სახელით მიმართა გ. ჟურულმა: „უსაზღვროდ ბედნიერია მართლმადიდებელი საქართველო, რომ ხედავს თავის მთა-გორებს შორის რუსეთის მიწა-წყლის თვითმპყრობელ წინამძღოლს, სრულიად რუსეთის დიდ იმპერატორს, რომელსაც აგერ უკვე მეორე საუკუნეა ქართველთა მიწა თავის ბუნებრივ ქართველ მეფედ აღიარებს...“

სადიდებული სადღეგრძელოებისა და ჩინებული ქართული გასტრონომიული შედევრების დაგემოვნების შემდეგ, ნიკოლოზ II თავის რეზიდენციაში გაემგზავრა.

თბილისში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთები სავსე იყო კორესპონდენციებითა და რეპორტაჟებით, რომლებიც მეფის სტუმრობას ასახავდა. მათ არც ქართულენოვანი გაზეთები ჩამოუვარდებოდნენ. მაგალითად, გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“ გამოაქვეყნა ასეთი კორესპონდენცია: „ეს დღე ფრიად ღირშესანიშნავია და ისტორიულ კვალს დატოვებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში... ქართველ წოდებათა წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ წარუდგნენ ხელმწიფე-იმპერატორს, გაუზიარონ გრძნობები და აუწყონ თავიანთი საჭიროებანი. იმ დროს, როდესაც მრავალი ათასი ქართველი ახალგაზრდა სიცოცხლეს სწირავს ბრძოლის

ველზე, მათთვის და მათი ოჯახებისათვის დიდ ნუგეშს წარმოადგენს ხელმწიფე იმპერატორის მობრძანება. იგი იმედს მისცემს მეომრებს, როცა რუსეთი თავს დაადწევს ახლანდელ განსაცდელს, საქართველოსაც ეღირსება უკეთესი პირობები ეროვნული ცხოვრებისათვის“.

მსგავსი შინაარსის სტატიები იბეჭდებოდა სხვა ქართულენოვან გაზეთებშიც – ქართველები ხელმწიფე იმპერატორისაგან, დიდ ომში გამარჯვების შემხვევაში, რადიკალურ ცვლილებებს მოელოდნენ და, როგორც ჩანს, ამ იმედებს არც მალავდნენ.

თბილისში სტუმრობის ბოლო დღეს, 29 ნოემბერს, დილიდანვე, ნიკოლოზ II-მ სასახლეში მიიღო კავკასიის ხალხების დეპუტაცია, მას ეახლნენ რუსების, ქართველების, სომხების, ებრაელების, მუსლიმების წარმომადგენლები. ეს შეხვედრა სასახლის თეთრ დარბაზში შედგა. ქართველების დეპუტაციას ამჯერად გ.დ. ჟურული ხელმძღვანელობდა. მის გვერდით იდგა ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ბრწყინვალე თავადი მ. ა. გრუზინსკი, ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე ნ.დ. ერისტოვი.

ქართველებს გვერდით ამოუყენეს კავკასიის სომეხთა წარმომადგენლობითი დელეგაცია ს.ს. არუთინოვის წინამძღოლობით. აქ საპატიო ადგილი ეკავა თბილისის ქალაქის თავს ა. ხატისოვს, ნ. ვ. არღუთინ-დოლგორუკოვს და სხვ.

დღის ბოლოს კი მეფის საპატივსაცემოდ უკვე ქალაქის ხელმძღვანელობამ მოაწყო „რაუტი“ თბილისის თეატრული საზოგადოების შენობაში; აქ მასპინძელი ქალაქის თავი ა. ხატისოვი იყო და მან კვლავ საზეიმო სიტყვით მიმართა ხელმწიფეს. სიტყვის დასასრულს კი ა. ხატისოვმა ხელმწიფეს საჩუქრად გადასცა თბილისის ხედების ამსახველი ძვირფასი ალბომი.

ნიკოლოზ II მოხიბლული დარჩა თბილისში სტუმრობით. ეს მან თავის სამადლობელ სიტყვაშიც ასახა, რომელიც ქალაქიდან გამგზავრებისას გაუგზავნა საქართველოს მოსახლეობას: „გულითადი მადლობა ძველ ქალაქ ტიფ-

ლისს გამორჩეულად მხურვალე მიღებიათვის, გთხოვთ გადასცეთ მთელ მოსახლეობას ჩემი გულითადი მადლობა ასეთი გულწრფელი გამოვლენისათვის სიყვარულისა და იმ ერთგულების, რაც უძველესი დროიდან ასე აერთიანებს კავკასიასა და რუსეთს.“[1]

უკვე მეორე დღეს, 8 საათზე გოლოვინის პროსპექტზე უამრავმა ხალხმა კვლავ მოიყარა თავი – თბილისი ამჯერად უკვე ხელმწიფე-იმპერატორს ემშვიდობებოდა.

9 საათზე სასახლის სამხრეთის შესასვლელთან სამეფო კორტეჟი ჩამოდგა, მალე კარებთან ავტომობილების კოლონაც გააჩერეს. ათისნახევარზე კი გაისმა ომახიანი შეძახილები – „ურა!“

კარებთან ნიკოლოზ II გამოჩნდა. მას როგორც ჩამოსვლისას, ისე ახლაც, კავკასიური ჩოხა, ფაფახი და ნაბდის მოსაცმელი ეცვა.

სასახლის მოპირდაპირე შენობებიდან ბენგალიური ცეცხლი ააგუზგუზეს, ხოლო ფოიერვერკების შუქზე თბილისელებმა უკანასკნელად შეავლეს თვალი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს ნიკოლოზ II-ს, რომელიც ფრონტის წინა ხაზზე – სარიყამიშის რაიონში გაემგზავრა.

ამრიგად, თითქმის ოთხი დღის განმავლობაში რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II სტუმრობდა ქართველების უძველეს და უმშვენიერეს დედაქალაქს. მას აქ მოუწყვეს მართლაც მეფური დახვედრა, გაჯერებული ზღვარგადასული ლიქნით და არსებული ვითარების ვარდისფრად წარმოჩენის სურვილით.

როცა დღეს ამ სტუმრობის ამსახველ რეპორტაჟებს ეცნობი და მეფისადმი მიმართულ საზეიმო სიტყვებს კითხულობ, გიკვირს როგორც რუსი, ისე ქართული თუ სომეხი ჩინოსნების, თანამდებობის პირებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ასეთი არაბუნებრივი, ადამიანის ღირსების შემლახავი დამოკიდებულება მეფისადმი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ზღვარგადასული, გულისამრევი ლიქ-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 192, აღ. 11, საქ. 40, ფურც. 47.

ნი. თითქოს არ ყოფილიყოს 1905-1907 წლების რევოლუცია, სისხლიანი შეტაკებები, მონარქიის წინააღმდეგ მიმართული-ნი საპროტესტო მიტინგები, პროკლამაციები. თითქოს დიდ მწერალს, ლ. ტოლსტოის არ მიემართოს ნიკოლოზისათვის ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი, სიტყვებით...

თითქოს ეს ყველაფერი რუსეთის პოლიტიკურმა, სამხედრო, სამოქალაქო ელიტამ (რუსებმა, ქართველებმა, სომხებმა) სულ დაივიწყა, წყალს გაატანა... თითქოს რუსეთის იმპერიაში სუფევდა საოცარი ჰარმონია და საყოველთაო კეთილდღეობა, თითქოს სულ რაღაც ორი თვის წინ ბალტიისპირეთში რუსეთის არმიებმა სერიოზული მარცხი არ განიცადეს და ყოველდღიურად ფრონტებზე ათასობით ადამიანი არ იღუპებოდა...

წარმოდგენილი საგაზეთო რეპორტაჟები ასევე ძალზე მდიდარ მასალას შეიცავენ XX საუკუნის ათიან წლებში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ორგანულად შერწყმული საქართველოს მაღალი საზოგადოების (არისტოკრატიის) გარკვეული ჯგუფების ფსიქო-სოციალური პორტრეტის დასახასიათებლად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოებრიობის მორალურ-ფსიქოლოგიური იმპულსების გაგებისათვის, რაც, სულ რამდენიმე თვეში, ასე რადიკალურად შეიცვლება და სრულიად სხვა, ახალი შინაარსით აღივსება.

§3. ქართველების ფსიქო-მორალური სულისკვეთება I მსოფლიო ომის დასაწყისში

ნიკოლოზ II-ის სტუმრობამ თბილისში აშკარად აჩვენა, რომ XX საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური, სოციალური, მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქართველების დიდი უმრავლესობა მთლიანად იყო ინტეგრირებული რუსეთის იმპერიაში და ათასი ხილული და უხილავი ძაფებით, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ფსიქო-სოციალური ფაქტორებით უკვე მჭიდროდაც დაკავშირე-

ბული რუსეთთან, რაც I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე განსაკუთრებით საცნაური ჩანს.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა სოციალური და ეთნიკური თვალსაზრისით ძალიან იყო დანაწევრებული და ყველა მათგანს (კლასს, სოციალურ თუ პოლიტიკურ ჯგუფს, ცალკეულ ეთნოსს) თავისი, კლასობრივი თუ ეთნიკური ინტერესებიდან გამომდინარე, გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდა ცარიზმთან, რუსულ კოლონიალიზმთან, I მსოფლიო ომთან, მასში თავისი ეთნოსის წარმომადგენლების მონაწილეობასთან და ა.შ.

ქართველების დამოკიდებულებას I მსოფლიო ომთან და რუსეთის მხარეზე ქართველების მონაწილეობას საბჭოთა ისტორიოგრაფია განიხილავდა კლასობრივი ბრძოლის პოზიციებიდან და აღნიშნავდა: „მეფის რუსეთის ჩაბმას იმპერიალისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში ამერიკავკასიის გაბატონებული კლასები – მემამულეები, ბურჟუაზია და მათი ინტერესების დამცველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები აღტაცებით შეხვდნენ“[1].

მკვლევარი მ. ცერცვაძე განსაკუთრებით გამოკვეთს ქართველი თავადაზნაურობის დამოკიდებულებას ომისადმი და მიუთითებს მის ალიანსზე მეფის ხელისუფლებასთან, რაც გამოვლინდა მათ მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებებში.[2]

არ შეიძლება არ დაეთანხმო მ. ცერცვაძეს, როცა გახსენდება თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლების გრძნობამორეული გამონათქვამები ნიკოლოზის სტუმრობის დროს. შეიძლება დღეს ეს ქართველი თავადაზნაურთა შორის იმჟამად გავრცელებულ კონფორმიზს დავაბრალოთ და დავუშვათ, რომ ისინი სახლში სხვაგვარად, ანუ – ანტირუსულად ფიქრობდნენ. მაგრამ I მსოფლიო ომის ფრონტებზე ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა საგმირო საქმეები, მათი თავდადება, კა-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 354.

[2] М. Церцвадзе, Революционное движение в Грузии в 1914-1917 годах. М.,1957, стр. 136-139.

რიერული წინსვლა, სამხედრო ჯილდოები და აღიარება აშკარად მიუთითებს მათ ღრმა ერთგულებაზე თუ არა, რეჟიმისადმი აშკარა ლოიალობაზე მაინც.

მ. ცერცვაძე დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრიობის პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულებას ომისადმი. მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტები თურქეთის აგენტებად მიაჩნია, საქართველოს სომეხი ინტელიგენცია – რუსეთის იმპერიალიზმის ინტერესების გამტარებლად, ჟურნალი „კლდე“ და მისი მომხრე საზოგადოება კი – პატრიტული სულისკვეთების გამომხატველად და ა.შ.

ძალიან საყურადღებოა XIX–XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ჩინებული მცოდნის, მაგრამ იმჟამად ჯერ კიდევ საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლის, პროფ. ა. სურგულაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება I მსოფლიო ომისადმი ქართველების დამოკიდებულების შესახებ. თავის ნაშრომში ის მიმოიხილავს საქართველოს პოლიტიკური ძალების დამოკიდებულებას ომისადმი და აღნიშნავს: „მენშევიკებმა იმპერიალისტური ომი თავდაცვის ომად გამოაცხადეს და მშრომელებს მოუწოდეს სისხლი „სამშობლოს სიკეთისათვის“ ეღვარათ. ომის დაწყებიდან პირველივე თვეებში მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელებს განსხვავებული პოზიციები ჩამოუყალიბდათ: ერთი ნაწილი (ჟორდანიას მეთაურობით) ომისათვის მხარდაჭერას და მასებში მის პროპაგანდას მოითხოვდა. მეორე ნაწილს, როგორც ჩანს, იმპერიალისტური ომისათვის აშკარა მხარდაჭერა ეუხერხულებოდა და ნეიტრალიტეტის პოზიციას ამჯობინებდა... ქართველი ბურჟუაზიის ინტერესების აშკარა დამცველად გამოვიდა სოციალ-ფედერალისტთა პარტია... ომის პირობებში ფედერალისტთა მესვეურებმა საქართველოს ავტონომიის ლოზუნგის განხორციელების ხელსაყრელი ვითარება დაინახეს. ომში რუსეთის დამარცხება, მათი აზრით, საქართველოს განთავისუფლების მთავარი პირობა იყო; ქართველი ნაციონალისტები რუსეთიდან გამოყოფას და გერმანიის მმართველობაში შესვლის პროპაგანდას ეწეოდნენ. გერმანიისა და თურქეთის გამარჯვება მიმდინარე

ომში „სამშობლოს ხსნის“ საიმედო საშუალებად მიაჩ-ნდათ“.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ I მსოფლიო ომისადმი ქართული საზოგადოების დიფერენცირებული დამოკიდებულება აღი-ნიშნება პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც. ამ საკითხს საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს პროფ. გ. გოცირიძე თა-ვის მონოგრაფიულ გამოკვლევაში, რომელიც I მსოფლიო ომის საკითხებს მიუძღვნა. როგორც აღვნიშნეთ, მისი დას-კვნა ძალიან საყურადღებოა: „ქართველი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს თავის სამშობლოდ რუსეთი მიაჩნდა, თუმცა ბოლომდე არ ჰქონდა დაკარგული ეროვნული თვით-შეგნების გრძნობა, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი თურქეთის ომში ჩაბმის შემდეგ“.[2]

პროფ. გ. გოცირიძეს ეს განცხადება მთლიანად ეფუძ-ნება არსებული ვითარების ობიექტურ ანალიზს და ჩვენც სრულად ვიზიარებთ მას.

თავისი მოსაზრების გამყარებას გ. გოცირიძე ცდი-ლობს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების ომთან დაკავშირებული გამონათქვამების ანალიზის საფუძველზე. მაგალითად, ის აქვეყნებს აკაკი წერეთლის შემდეგ შეფასე-ბას: „ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერ-ჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებით არა ყოფილა რა! ყვე-ლა თავისი სურვილ-ნებით და სიხარულით მიისწრაფოდა რუსის გმირებთან ერთად თავდასადებად შორეულ ქვეყნებ-ში... დღევანდელ ქართველში გამოიღვიძა წინაპარმა.“[3]

შემდეგ ავტორს მოჰყავს მეორე ქართველი საზოგადო მოღვაწის ნ. ბალანჩივაძის საგაზეთო წერილის ამონარიდი, სადაც ხაზგასმულია შემდეგი: „ქართველების იდეალი ყო-ველთვის იყო ეროვნული ცხოვრების გაუმჯობესება მხო-ლოდ საერთო-საიმპერიო გზით. რუსეთის ხალხთან ერ-თად.“[4]

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 361-362.
[2] გ. გოცირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.
[3] იქვე, გვ. 82.
[4] იქვე.

ასეთი განცხადებების შემდეგ პროფ. გ. გოცირიძე გვთავაზობს, ჩვენი აზრით, უკვე საკმაოდ სადავო შემდეგ დებულებას: „პირველმა მსოფლიო ომმა ნათელყო ქართველთა სრული ერთგულება რუსეთისადმი. რითი იყო ეს ერთგულება გამოწვეული? რატომ ენდობოდნენ ქართველები რუსეთს იმ დროს, როდესაც მათგან არაფერი სიკეთე არ ახსოვდათ ისტორიულად, პირიქით, მხოლოდ გულგატეხილობას და იმედის გაცრუებას თუ გაიხსენებდნენ. ვფიქრობთ ამ ერთგულების მიზეზი ქართველი ხალხის ფსიქიკაში უნდა ვეძებოთ. ოპტიმისტი ერი, დაინახავდა თუ არა სანთელის შუქს, ყველაფერ ცუდს ივიწყებდა და მომავალს იმედიანად შესცქეროდა. ოპტიმიზმი და მიმტევებლური ბუნება – აი, ჩვენი აზრით, ერთგულებისა და თავგანწირვის თავი და თავი“.[1] მიგვაჩნია, რომ ავტორის ეს სენტენცია სრულად არ ასახავს შექმნილ ვითარებას და ცალმხრივია, ამასთან, ქართველ ხალხს არცთუ სასურველ შუქზე წარმოსახავს. ავტორის მიხედვით, გამოდის რომ ქართველები ილუზიებით იკვებებოდნენ და მათ ამ ერთგულებას ჰქონია „მიმტევებლური ბუნება“. ჩვენ კი გვგონია პირიქით – ქართველები ისტორიულმა განვითარებამ პოლიტიკურ პრაგმატიკოსებად აქცია, ქართველმა ჩინებულად იცოდა, რა იყო მისთვის კარგი, სასარგებლო და რა არა. XX საუკუნის დასაწყისი – ეს მსოფლიო კოლონიალური იმპერიების არსებობის პერიოდია და ამ იმპერიების რღვევა იმჟამად წარმოუდგენლად მიაჩნდათ. საქართველომ, რომელმაც ისტორიული ქარცეცხლი გამოიარა და ძლივს გადარჩა ფიზიკურად, რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირი თავისი ისტორიული განვითარებისათვის საჭიროდ ჩათვალა და არც შემცდარა – ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება მოხერხდა მხოლოდ რუსეთის სკიპტრის ქვეშ, რომ თვითონ ქართველი მეფე-მთავრები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ამ გაერთიანებას (იმერეთის ბაგრატიონები, დადიანები, გურიელები, შერვაშიძეები და ა.შ.); რომ სწორედ რუსეთის სამხედრო ძლიერებამ მისცა

[1] გ. გოცირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანას, დაებრუნებინა ისტორიული ტერიტორიები: ახალციხე, ახალქალაქი, აჭარა, კოლა-არტაანი და ა.შ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხდებოდა ქართველობის ძალისხმევითაც და აშკარად გამოხატავდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ეს კი სრულიად მისაღები იყო ქართველობისათვის. ეს ხსოვნა იმჟამად ჯერ კიდევ საკმაოდ რეალური და ანგარიშგასაწევი იყო. ამ განწყობას, რა თქმა უნდა, არ აფერმკრთალებდა ის, რომ ამ ყველაფერს რუსეთის იმპერია თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდა და ძალიან ნაკლებად ფიქრობდა (ან საერთოდ არც კი ფიქრობდა) ქართველი ერის კონსოლიდაციაზე, მის ტერიტორიულ გაფართოებასა თუ ისტორიული მიწების დაბრუნებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ რუსეთის საშუალებით მოხერხდა ევროპის კულტურული მიღწევების გათავისება და სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული წინსვლა – ქვეყნის პროგრესული განვითარება, რა თქმა უნდა, კოლონიალიზმის უღლისა და უამრავი უარყოფითი ფაქტორის გათვალისწინებით (გავიხსენოთ ი. სტალინის ე.წ. „მცირე ბოროტების თეორია“), ამიტომაც ეს ერთგულება და თავდადება ომის წლებში ამ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის განვითარების ლოგიკური მახასიათებელი იყო. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს ფაქტორები XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ჯერ კიდევ რეალურად და საკმაოდ მადლიერებით აღიქმებოდა ქართველი საზოგადოებრიობის უმრავლესობის მხრიდან და სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის ერთგულება, რაც ქართველობამ (მისმა დიდმა უმრავლესობამ) გამოიჩინა I მსოფლიო ომის დროს და რაზეც ჩვენ ყურადღებას კიდევ გავამახვილებთ ქვემოთ.

ათასჯერ მართალია ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მეცნიერი რედაქტორი, პროფ. უჩა ბლუაშვილი თავის ამ შენიშვნაში: „რუსეთისადმი ერთგულების მიზეზად ქართველების „ოპტიმიზმის და მიმტევებლური ბუნების“ დასახელება, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა არ უნდა იყოს მართებული... სურათის სრულად წარმოდგენისათვის კი კარგი იქნებოდა შემდეგ მომენტზე ყურადღე-

ბის გამახვილება: ტორიჩელის სიცარიელეზე დაყრდნობილი ქართველთა ოპტიმიზმი ძნელად ასახსნელი ფენომენია. ასეთივე ფენომენია ჩვენი მომტეეებლობაც. ქართველ კაცს მტრობა, სიძულვილი, შურისძიება სიამეს არ ჰგვრის, ვერაგობას ადვილად პატიობს, სიკეთე კი ნაღრძობივით ახსოვს და სამაგიეროს მიგების სურვილი არ ასვენებს. აფხაზი და ოსი სეპარატისტების მიერ ქართველთა მიმართ გამოვლენილი უმადურობის მიუხედავად, ქვრთველი კაცის გულში აფხაზებისა და ოსების მიმართ მტრობამ ვერ იხარა. რუსების პირდაპირი აგრესიის მიუხედავად, არც რუსოფობიას დაუსადგურებია მის გულში. ეს არც უჭკუობით მოგვდის და არც მიამიტობით. უბრალოდ ასეთები ვართ და რამდენჯერაც არ უნდა წაგვამტრევინოს კისერი, ჩვენ ამ ჩვევას ვერ მოვიშლით“. ჩვენი მხრიდან ვიტყვით – ჭეშმარიტებაა ასეთი და ამას ვერაფერს დაამატებ...

ჩვენთვის ასევე საინტერესოა I მსოფლიო ომთან ქართველების დამოკიდებულების ის ინტერპრეტაციაც, რაც „საქართველოს ისტორია (XX საუკუნე)“ ავტორებმა განსაზღვრეს 2003 წელს გამოქვეყნებულ უმაღლესი სკოლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში. ამ ინტერპრეტაციის ავტორი, პროფ. მ. ვაჩნაძე აფასებს ქართველების ერთი ჯგუფის საქმიანობას ომის წლებში და აღნიშნავს: „ეროვნულ დემოკრატიული მიმდინარეობის აქტიურობა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შეინიშნებოდა...პოლიტიკური დევნის გამო ემიგრაციში წასულმა ეროვნულ-დემოკრატებმა... 1913 წელს ჩამოაყალიბეს ჯგუფი „თავისუფალი საქართველო“...ეენევაშივე ჩაეყარა საფუძველი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“... საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ თავისი მოღვაწეობის მიზნად მიიჩნევდა: ა)საქართველოსთან დაკავშირებას, ქართული პოლიტიკური ძალების მისწრაფების გაცნობას; ბ) დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას სამშობლოში; გ) იარაღის შემოტანას საქართველოში; დ) გერმანიაზე ორიენტირებული პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას ევროპაში; ე) ქართული ლეგიონის ჩამოყალიბებას თურქეთში შემდგომში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მისი გამოყენების მიზნით,

... სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ომის წლებში ძალზე პოპულარული გახდა ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის (თვითგანსაზღვრის) შესახებ; ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას;... სოციალისტ-ფედერალისტები პირველი მსოფლიო მის დაწყების შემდეგაც ერთგულნი დარჩნენ თავიანთი საპროგრამო მოთხოვნებისა. რუსეთთან დამოკიდებულებაში ისინი წინააღმდეგნი იყვნენ რადიკალური პოლიტიკური კურსისა. რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება მათაც ავანტურად მიაჩნდათ...“[1]

ამრიგად, პროფ. მ. ვაჩნაძეც საკმაოდ დიფერენცირებულად წარმოაჩენს ქართველების დამოკიდებლებას I მსოფლიო ომისადმი. მაგრამ საქართველო ხომ არ ყოფილა მონოეთნიკური ქვეყანა: აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო რუსი მოსახლეობა – რუსეთის იმპერიის ძირითადი დასაყრდენი კავკასიაში. აქვე იყო გავლენიანი ფენა (ფულით, რესურსებით, საზღვარგარეთიდან მხარდაჭერით, რუსეთის მმართველ წრეებთან ალიანსით და ა.შ.) – სომხური ბურჟუაზია და სომეხი მოსახლეობა, რომლის დიდ ნაწილს ჰქონდა აშკარად ქართველებისაგან განსხვავებული სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები და შორსგამიზნული გეგმები, რომელთა რეალიზებას რუსეთის სამხედრო ძლიერებას უკავშირებდნენ.

საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა მაჰმადიანი მოსახლეობაც: როგორც ეთნიკური მუსლიმები, ისე მაჰმადიანი ქართველები (ანუ თურქები ქართული წარმომავლობით), რომელთა პოლიტიკური შეხედულებები უფრო პროთურქული იყო, ვიდრე პროქართული ან პრორუსული. ეს საკითხები ჯერ სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა ქართულ ისტორიოგრაფიაში (არც ძველში, და არც ახალში). ამ ფაქტორების გათვალისწინება

[1] საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ., 2003, გვ.43-44.

კი აუცილებლად მიგვაჩნია და ეს საკითხები მოითხოვს დამატებით კვლევებს.

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ცნობილია, საქართველოს უკვე ჰყავდა საკმაოდ ძლიერი ფენა თავადაზნაურული თუ „რაზნოჩინცული“ ინტელიგენციისა, რომელიც ჩინებულად ერკვეოდა მოვლენებში, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და ძირითად ტენდენციებში. სწორედ მათი ყველაზე გონიერი და შორსმჭვრეტელი ნაწილის დამსახურებაა, რომ I მსოფლიო ომის წლებში საქართველომ თავიდან აიცილა ტრაგიკული მოვლენები, გენოციდი, ეთნიკური წმენდა და მასობრივი დეპორტაციები და ა.შ.

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო მასალას აქვეყნებს პროფ. გ. გოცირიძე ქართველი ერის ღირსეული მამულიშვილების გამონათქვამებიდან, რომლებიც ჩინებულად აფასებდნენ I მსოფლიო ომის მიზნებს, ამოცანებს, ააშკარავებდნენ სახელმწიფოების გეგმებს და მიმდინარე პოლიტიკის თავისებურებებს. მაგალითად, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე ასე აფასებდა ომსა და მასთან დაკავშირებულ სამხედრო პერიპეტიებს: „საზოგადოდ იმპერიალისტურ პოლიტიკას მისდევს ყოველი დიდი და ენერგიული ერი, რომელიღაც თავის ისტორიულ საზღვრებში ვეღარ ეტევა და ხელმწიფეობისადმი, ესე იგი სხვა ერების დაპყრობისათვის მიისწრაფვის. დღეს ასეთ პოლიტიკას ყველაზე აშკარად გერმანია ადგია. მაგრამ ყველა მეზობელ ერზე ეს აშკარად არ ითქმის, ვერ ვიტყვით, რომ ბელგია, სერბია, ბულგარეთი ან ოსმალეთი მსოფლიო იმპერიის დასაარსებლად იბრძოდეს.“[1]

ისტორიის ანალებმა შემოინახა გერონტი ქიქოძის შემდეგი შეფასებაც: „დღევანდელი ომი – ეროვნული ომია და სწორედ ამიტომ არის იგი გამსჭვალული დიდი მიზნებით და იდეალებით“.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ და გავიმეორებთ, რომ საქართველო, იდეოლოგიური თვალსაზრისით, XX საუკუნის დასაწყისში უკვე საკმაოდ დიფერენცირებულ იყო. აქ თანა-

[1] გ. გოცირიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

არსებობდნენ მონარქისტული, ლიბერალური, კონსერვატული, სეპარატისტული, პანთურქული, სოციალ-დემოკრატიული და სხვა შეხედულებები.

სოციალ-დემოკრატიული შეხედულებები საქართველოში, როგორც აღინიშნა, საკმაოდ პოპულარული გახდა, რადგან XIX საუკუნის დასასრულს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იდგილობრივი ორგანიზაციები საკმაოდ ეფექტიანად საქმიანობდნენ და მიაღწიეს იმასაც, რომ სამხრეთ კავკასიას რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროში საქართველო ძლიერი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციით იყო წარმოდგენილი (ა. ჩხენკელი, ი. წერეთელიმ, ნ. ჩხეიძე).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია არ იყო ერთიანი – ის შედგებოდა ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ქართველები წამყვან პოზიციებს ინარჩუნებდნენ როგორც პარტიის მემარჯვენე ფლანგზე (მენშევიკებთან), ისე მემარცხენე მიმართულებაში (ბოლშევიკების დაჯგუფება). ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოში უფრო პოპულარული ჩანს სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე მიმართულება, რასაც, ჩვენი აზრით, განაპირობებდა ორი გარემოება – მენშევიკების შედარებით ლოიალური პოზიცია არსებულ ხელისუფლებასთან, მათი ორგანიზაციების ლეგალური ხასიათი და აქტიური პროპაგანდის შესაძლებლობა ფართო მასებში, რაც ბოლშევიკების შემთხვევაში სრულიად გამორიცხული იყო: ბოლშევიკების წრეგადასული რადიკალიზმი, უკომპრომისობა და მათი ამგვარი პოლიტიკის საბედისწერო (აშკარად სისხლიანი) შედეგები რუსეთის I რევოლუციის (1905-1907 წწ.) პერიოდში, რამაც სოციალ-დემოკრატიის ეს მიმართულება ცარიზმისათვის განსაკუთრებით მიუღებელრი გახადა. სწორედ ამის გამოც ამ პარტიის ლიდერები ან ემიგრაციაში იყვნენ, ან ციმბირში – ხანგრძლივ გადასახლებაში, რამაც ამ პარტიას რიგით მოსახლეობაში პოპულარობა თითქმის სრულად დაუკარგა.

მემარჯვენე ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც არჩეულნი იყვნენ რუსეთის სახელმწიფო სათაბიროში (სახელმწიფო დუმაში), ლეგალურად მოღვაწეობდნენ, სარგებლობდნენ სადეპუტატო იმუნიტეტით, სიტყვის თავისუფლებით და დიდი გავლენა ჰქონდათ როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. მათი ავტორიტეტი განსაკუთრებით საქართველოში ჩანს საცნაური – სახელმწიფო სათათბიროს ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები (კ. ჩხეიძე, ა. ჩხენკელი, ი. წერეთელი) პირველი მსოფლიო ომის პერიოდში საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ ქართველ ამომრჩევლებს, ესაუბრებოდნენ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე, აძლევდნენ რჩევებს, იყენებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს და ოფიციალური შეკითხვებითაც მიმართავდნენ რუსეთის ადგილობრივ ადმინისტრაციას უმაღლეს წარმომადგენლებს. ამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ სახელმწიფო დუმის დეპუტატის, სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერის, აკაკი ჩხენკელის მოგზაურობას დასავლეთ საქართველოს სოფლებში 1915 წლის მაის-ივნისში: დეპუტატმა საკმაოდ ბევრი სოფელი მოინახულა, იყო ბანძაში, ნოქალაქევში, აბაშაში, ძველ სენაკში, ზუგდიდში, ჩოხატაურში. მას განსაკუთრებით აინტერესებდა სოციალური საკითხები, რიგითი ადამიანების მატერიალური მდგომარეობა. ქართული პრესა აქვეყნებდა ინფორმაციებს ამ შეხვედრების შესახებ, რომლის დროსაც გამოიკვეთა შემდეგი აქტუალური თემები: 1. დამშეული მოსახლეობისათვის სიმინდის გამოყოფის პრობლემა; 2. დამშეული მოსახლეობის დეტალური სიების შედგენა; 3. თავადაზნაურებისათვის სესხის სახით გამოყოფილი თანხის გაცემის დაჩქარება; 4. სახელმწიფო და საერობო გადასახადების ვადის გადადება ყველა წოდებისათვის; 5. სურსათსანოვაგის გაძვირების წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების მიღება და ა.შ.[1]

როგორც საგაზეთო პუბლიკაციები ადასტურებენ, დეპუტატმა ამ შეხვედრების დროს მთავარი ყურადღება და-

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 4 ივნისი.

უთმო შიმშილობის პრობლემას და ადგილებზე მის პრევენციას. ნიშანდობლივად გვეჩვენება მისი ერთი შენიშვნა, რომელიც არ გამოეპარათ გაზეთის კორესპონდენტებს – „დეპუტატმა უსაყვედურა ხალხს თვითმოქმედების უქონლობა“. აქ აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ის ტრადიციული პასიურობა და კონსერვატიზმი, რაც დამახასიათებელი იყო ქართული ყოფისათვის – პირადი ინიციატივის არარსებობა, სხვის მომლოდინედ ყოფნა, საქმიანი ურთიერთობებისადმი პასიური დამოკიდებულება. ამ შენიშვნაში ასევე შეიძლება ვიგულისმოთ ის გარემოებაც, რომ რიგ სოფლებში იყო სამომხმარებლო კოოპერატივების შექმნისა და კერძო ინიციატივის გააქტიურების მცდელობა, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფდა ადგილობრივ მოსახლეობას, თავიდან აეცილებინა შიმშილობის კატასტროფული შედეგები; ამ ინიციატივას ჭირდებოდა შემდგომი პოპულარიზება, წახალისება და, ჩვენი აზრით, დეპუტატი ალბათ სწორედ აქეთკენ მოუწოდებდა ხალხს მასთან შეხვედრების დროს.

სახელმწიფო დუმის ქართველი დეპუტატები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხების განხილვებშიც, რასაც ჩვენ ქვემოთ კიდევ შევეხებით.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატების მემარცხენე (ბოლშევიკურ) მიმდინარეობას, მათი ქართველი ლიდერები, როგორც აღინიშნა, ან ციმბირში იყვნენ გადასახლებულნი (ი. სტალინი და სხვები), ან საზღვარგარეთ ემიგრაციაში (მ. ცხაკაია და სხვები). ბევრ მათგანს კავკასიაში ცხოვრება აკრძალულიც კი ჰქონდათ და ძირითადად რუსეთში საქმიანობდნენ, ამიტომაც ქართულ საზოგადოებრივ აზრზე ისინი განსაკუთრებულ ზეგავლენას ვერ ახდენდნენ. ეს მოგვიანებით (1924 წ.), საჯაროდ, თვითონ სერგო ორჯონიკიძემაც კი აღიარა.

§4. ქართველები I მსოფლიო ომის ფრონტებზე

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, კავკასიის ფრონტზე სამხედრო ოპერაციები თურქეთის მიერ ომი გამოცხადებისთანავე დაიწყო. რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას კავკასიის ფრონტზე ორი ძირითადი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი: დაეცვა ბაქო–ვლადიკავკაზის რკინიგზის მაგისტრალი, საქართველოს სამხედრო გზა და არ მიეცა შესაძლებლობა თურქებისათვის საფრთხე შექმნათ ბაქოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონისათვის. ამ უპირველესი ამოცანის შემდეგ, კავკასიის არმიას უკვე ევალებოდა ფორსირებული ტემპით დაეკავებინა თურქეთის ანატოლია და შორს გაჭრილიყო დასავლეთის მიმართულებით.

ომის დაწყებისთანავე რუსეთის ჯარებმა დაიწყეს მოძრაობა ერზრუმის, ოლთისის მიმართულებით. ერზრუმისკენ მოძრავმა რუსეთის სამხედრო ძალებმა თავდაპირველად შეძლეს კარა-დერბენტის მთის დაკავება, დაეუფლნენ ბაიაზეთს, დიადინს, ალაშკერტსა და კარაკლისს, უკუაგდეს თურქეთის შემტევი დივიზია და საგრძნობლად წაიწიეს წინ. მაგრამ რუსეთის წინსვლას აფერხებდა ის, რომ სათანადო კომუნიკაციები არ იყო მომზადებული, რის გამოც რუსების სწრაფი წინსვლა შეჩერდა და თურქებმა სწრაფი კონტრიერიშით გამოასწორეს ვითარება, როცა დაიკავეს ართვინი, ბორჩხა. ისინი ბათუმის სანაპირო რაიონშიც კი შეიჭრნენ.[1]

თურქეთის არმიას კავკასიაში სარდლობდა ჰასან იზეთ ფაშა, რომელსაც შტაბის უფროსად გერმანელი ოფიცერი ჰყავდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით იყო მცდელობა, გაერღვიათ რუსების თავდაცვა და კავკასიის ცენტრში – თბილისისაკენ გაჭრილიყვნენ. ეს ამოცანა თურქეთის მე-3 არმიას უნდა განეხორციელებინა. რუსეთის კავკასიას კი იცავდა კავკასიის I კორპუსი, რომელიც ქვეითთა მე-20 და 39-ე დივიზიებისაგან შედგებოდა. კორპუსს ხელმძღვანელობდა გენერალი გეორგ ბერხმანი. როგორც ირკვევა, კავ-

[1] ა. სურგულაძე, დასახ ნაშრომი, გვ. 357.

კასიის არმიის სარდლობა, ძალების სიმცირის გამო, შეტევით სამხედრო ოპერაციების განხორციელებაზე არც ფიქრობდა. აქცენტი თავდაცვით ბრძოლებზე იყო გადატანილი, რითიც ისარგებლეს თურქეთმა და ომის დაწყების გარკვეულ ეტაპზე, უკვე ნოემბრის დასაწყისში, შეძლეს რუსების შევიწროება ბათუმის რაიონში.[1]

ნიკოლოზ II, რომელიც ნოემბრის ბოლოს საერთო ვითარების გასაცნობად თბილისში იყო ჩამოსული, როგორც აღვნიშნეთ, კავკასიის მოქმედ არმიაში გაემგზავრა. არსებობს ჯარში ნიკოლოზ II სტუმრობის ქართველი თვითმხილველის ჩინებული გადმოცემა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე უცნობი იყო და სულ ბოლო ხანს გამოქვეყნდა: „30 ნოემბერი. ველით ხელმწიფეს. პუნქტი მორთულია, მოირეცხა, გაიწმინდა. საწოლებს ახალი ზეწრები და ახალი საბნები აფარია. როგორი დაცინვაა! ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სიმართლე მიჩქმალონ. დაჭრილები და ავადმყოფები ევაკუირებულნი არიან, სურთ წესრიგით მოაწონონ თავი, უფროსების თვალში გაიბრწყინონ, მაგრამ გეგმა ჩაუფლავდათ. ხელმწიფემ შეიტყო, რომ პუნქტზე დაჭრილები არ იყვნენ და შენობაში ფეხიც არ შემოუდგამს“[2].

ეს არის ამონარიდი პირველი ქართველი ქალი – ფოტოგრაფის, მოწყალების დის ნინო ჯორჯაძის არაჩვეულებრივი მოგონებების წიგნიდან. ის ომის პირველივე დღიდან კავკასიის მოქმედ არმიაში იყო და თავის მოგონებებში ასახა ომის საშინელებები, ნიკოლოზ II სტუმრობა ფრონტზე და კავკასიის ფრონტის რიგითი მეომრების გუნება-განწყობილება. მის მოგონებებში ჩანს, რომ ხელმწიფე-იმპერატორის სტუმრობამ მოქმედ არმიაში მნიშვნელოვნად გაზარდა ჯარისკაცების სამხედრო შემართება, ნიკოლოზ II ჯერ კიდევ სარგებლობდა დიდი რეპუტაციით და რიგით ჯარისკაცებში პოპულარული იყო. ნინო ჯორჯაძე წერს: „ხელმწიფე მოვიდა. დაღლილი სახე ჰქონდა – გასაოცარი სიმშვიდე

[1] ვ. გურული, პირველი მსოფლიო ომი და კავკასია, იხ.: „კავკასიის ისტორია“, ტ. II, თბ., 2022, გვ. 411.

[2] თ. თავართქილაძე, ნინო ჯორჯაძე – ქართველი ქალის თვალით დანახული პირველი მსოფლიო ომი, თბ., 2015, გვ. 68.

სახეზე. დიადიც ხომ ის არის, ვინც ბრძოლის შუაგულშიც კი საღი და მშვიდი რჩება. გამგზავრების ლამაზი სცენა: ხელმწიფე მარტო დგას ბაქანზე, თითქოს ქანდაკებაა. მატარებელი ნელა შორდება იქაურობას და ისმის აღტაცებული „ვაშა“.[1]

ნიკოლოზ II ინსპექტირებამ კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებში მართლაც გააათკეცა სამხედრო შემართება – ეს ძალიან მალე გამოვლინდა: პოზიციური ბრძოლა შეიცვალა შეტევითი სამხედრო ოპერაციებით. განსაკუთრებით დიდი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლას სოფელ სარიყამიშის მახლობლად, სადაც რუსებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ეს სოფელი მდებარეობდა მთის უტყეო ზეგანზე, ზღვის დონიდან 2 100 მეტრზე. ბერლინის ტრაქტატით ის რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. მას მნიშვნელოვანი სტრატეგიული დანიშნულებაც ჰქონდა – ის კეტავდა უღელტეხილზე გამავალ გზას, რომელიც არზრუმიდან მოდიოდა და სარიყამიშის გავლით ყარსისაკენ მიემართებოდა. სარიყამიშის დასავლეთით მდებარეობდა ოლთისი, საიდანაც იწყებოდა გზა ბათუმისაკენ. სარიყამიშის აღმოსავლეთით მდებარეობდა ერევანი, საიდანაც გზა, ერთი მხრივ, თბილისისაკენ და, მეორე მხრივ, ბაქოსკენ უხვევდა. ამრიგად, სარიყამიში უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ცენტრი იყო და მისი დაკავება ომში ჩართული ორივე მხარისათვის უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენდა. ამ მაღალმთიან სოფელში ზამთარი განსაკუთრებით ცივი იცოდა, იმ წელს კი იყო დიდთოვლობა, რაც ძალიან აძნელებდა სამხედრო ოპერაციებს.

1914 წლის 11 დეკემბერს მოქმედ არმიაში ჩავიდნენ კავკასიის მეფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის მოადგილე, ინფანტერიის გენერალი ალექსანდრე მიშლაევსკი და კავკასიის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ იუდენიჩი. 12 დეკემბერს სარიყამიშს უკვე ოლთისიდან დაძრული თურქეთის X კორპუსი მიუახლოვდა. 13-14 დეკემბერს სარიყამიშის მისადგომებთან გაიმართა უმძიმესი ბრძოლა.

[1] თ. თავართქილაძე, ნინო ჯორჯაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

ოსმალები ცდილობდნენ რუსეთის არმიების შევიწროებას – რუსების მე-2 ბრიგადა იცავდა სოფელს, რომელსაც თურქების მე-5 დივიზია უტევდა. ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ თბილისის იუნკერთა სკოლის კურსდამთავრებულებიც, რომლებიც გმირულად ებრძოდნენ შემოჭრილ მტერს. ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, გარკვეულ ეტაპზე რუსების ძალები ისე შეავიწროვეს თურქებმა, რომ, როგორც ამტკიცებენ, მეფისნაცვლის მოადგილემ, გენერალმა ა. მიშლაევსკიმ გამარჯვების რწმენაც კი დაკარგა, ჯარი მიატოვა და თბილისში გაიქცა. სრული კატასტროფისაგან ვითარება იხსნა გენერალმა ნ. იუდენიჩმა – მისმა გაბედულმა და ენერგიულმა მოქმედებამ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა[1].

სარიყამიშთან მიმდინარეობდა ნამდვილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. როგორც თვითმხილველი აღწერდა: „გზის პირებზე ყრია მკვდარი ცხენები, დამტვრეული ფორნები, სკამები, მიმობნეულია ნივთები... გზის პირად წევს ლამაზი კაცი, ალბათ სირიელი. მის ნაცრისფერ თვალებში ჩარჩენილია რაღაც გამოუთქმელობა, ეტყობოდა ეს ყოველივე მას საშინელ სიზმრად ეჩვენებოდა. ზედა ტუჩი აწეული აქვს, ალბათ ისე, როგორც იმ წამს, როდესაც ტყვია მისწვდა და ასევე დარჩა“[2].

1914 წლის 17 დეკემბერს რუსეთის კავკასიის არმია უკვე შეტევაზე გადავიდა. თურქების IX კორპუსი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, 19 დეკემბერს რუსებმა მათ უკანდასახევი გზა მოუჭრეს. რუსებმა გამარჯვება იზეიმეს – მათ დაატყვევეს 40 თურქი ოფიცერი და 5 ათასი ჯარიკაცი, ხელში ჩაიგდეს 6 ქვემეხი. გენერალმა ნ. იუდენიჩმა მიღწეული წარმატები სტრატეგიულ გამარჯვებად აქცია – 1914 წლის 20-23 დეკემბერს მან რამდენიმე მძიმე დარტყმა მიაყენა თურქეთის სამხედრო შენაერთებს და მათი ცოცხალი ძალები თითქმი სრულად გაანადგურა; თურქების მე-10

---

[1] ვ. გურული, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.

[2] თ. თავართქილაძე, ნინო ჯორჯაძე – ქართველი ქალის თვალით დანახული პირველი მსოფლიო ომი, თბ., 2015, გვ. 104.

კორპუსის ნარჩენებმა მთებს შეაფარეს თავი, მაგრამ რუსებმა ისინიც პირწმინდად გაანადგურეს. ამ სამხედრო ოპერაციებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თავადმა გიორგი წულუკიძემ, რომელიც კავკასიის მსროლელთა მე-10 პოლკს მეთაურობდა.[1]

როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, სარიყამიშის „ამ ოპერაციას გადაჰყვა თურქეთის მესამე არმია, რომლის შემადგენლობიდან ბრძოლის ველზე დარჩა 70 000 თურქი ჯარისკაცი და ოფიცერი (30 000 მოყინული). ენვერ ფაშამ თავისი შტაბით ერზრუმისაკენ მოკურცხლა, სარიყამიშის ტრაგედიას თურქი სამხედროები თავის ხალხს დიდი ხნის განმავლობაში უმალავდნენ. რუსეთის არმიამ თავისი პოზიციები ამ ოპერაციაში მტკიცედ დაიცვა და ურყევად შეინარჩუნა. ამავე დროს მისი დანაკარგი თურქებზე 3,5-ჯერ ნაკლები იყო.“[2]

სარიყამიშთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თავადმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმაც. ის იმჟამად ასეულს ხელმძღვანელობდა. კავკასიის ფრონტის სარდლობამ მის საჯარისო ქვედანაყოფს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტის – „არწივის ბუდის“ თურქი ასკერებისაგან განთავისუფლება დაავალა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ეს ოპერაცია სწრაფად და დიდი დანაკარგების გარეშე დაასრულა, თუმცა ბრძოლის დროს ფეხში დაიჭრა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ბრძოლის ველზე დარჩა და ბრძოლას განაგრძობდა. უკვე მომდევნო ბრძოლებში ის უფრო სერიოზულად დაიჭრა მკერდის არეში, რამაც აიძულა ინტენსიურ მკურნალებაზე გადასულიყო.[3]

ისტორიამ შემოინახა ამბავი სამხედრო გმირობისა, რომელიც სარიყამიშის ოპერაციის დროს გამოიჩინეს მე-14 ბრიგადის მებრძოლებმა კაპიტან ტარასი ვაშაკიძის მეთაურობით. ურთულესი რელიეფის მიუხედავად, მათ შეძლეს და

---

[1] ვ. გურული, დასახ. ნაშრომი, გვ. 414.

[2] ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 358.

[3] ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, „იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ!“, თბ., 2005. გვ. 8.

ხელში ჩაიგდეს თურქების 8 ზარბაზანი, დაატყვევეს თურქების მე-9 კორპუსის მეთაური ისხანა-ფაშა თავისი შტაბი-თურთ. ამასთან, მათთან ერთად დაატყვევეს თურქების მე-17, 28-ე და 29-ე დივიზიების მეთაურები, რისთვისაც რუსებმა მას პირდაპირ პოლკოვნიკის სამხედრო ჩინი მიანიჭეს, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტმა სამხედრო მედლით დაა-ჯილდოვა.[1]

ექსპერტების შეფასებით, ასეთი წარმატებების მიუ-ხედავად, 1915 წლიდან კავკასიის ფრონტზე არსებული ვი-თარება არ გაუმჯობესებულა. აი, რაზე ამახვილებენ ექ-სპერტები ყურადღებას: „ჯარისკაცთა მორალური განწყობა კავკასიის ფრონტზე, დასავლეთის ფრონტთან შედარებით, თითქოს უფრო მტკიცე უნდა ყოფილიყო, რადგან აქ მათ არ განუცდიათ მარცხის ისეთი მძიმე ზეგავლენა, რაც დასავ-ლეთის ფრონტმა იწვნია. ჯარისკაცები აქ სხვის ტერიტო-რიაზე ომობდნენ და არ ყოფილან სამეურნეო ნგრევის უშუ-ალო მოწმენი; მაგრამ მეფის არმიაში გამეფებულმა ჯოხის დისციპლინამ, ინოროდცებისადმი (არარუსი ჯარისკაცები-სადმი) ქუდმაღლურმა დამოკიდებულებამ, ფრონტის მოუმა-რაგებლობამ საომარი მასალით, სურსათით და ტანსაცმე-ლით, დისციპლინა კავკასიის ფრონტზე ომის დაწყებისთა-ნავე შეარყია და ხელი შეუწყო არმიის ხრწნას.“[2]

ჩვენ ასეთი მკაცრი შეფასება შეიძლება საბჭოთა ის-ტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ანტიცარისტული იდეოლოგიისათვის დაგვებრალებინა და არც გაგვეთვალის-წინებინა, მაგრამ ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ქართველი მოწყა-ლების დის მეტად საყურადღებო და უშუალოდ განცდილ-გადატანილი შეხედულებები, რაც საბჭოთა ისტორიკოსების თვალსაზრისთან ძალიან ახლოს დგას და ამდენად ის სარ-წმუნოა.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ფრონტზე მებრძოლ ჯარისკაცებს ბრძოლა უხდებოდათ მეტად რთულ გეოგრა-ფიულ პირობებში: უცნობი რელიეფი, მთაგორიანი მხარე,

---

[1] М. Гогитидзе, Грузинский генералитет (1699-1921). Киев, 2001, стр, 68-69.

[2] ა.სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 389.

საგზაო კომუნიკაციის არარსებობა, რასაც თან ერთვოდა შეფერხებები იარაღით, ტყვია-წამლითა და ფურაჟით მომარაგებაში, ძალიან ართულებდა ჯარისკაცის ყოველდღიურ ცხოვრებას და აძლიერებდა უკმაყოფილების მუხტს.

პროფ. ა. სურგულაძე იმოწმებს რიგითი ჯარისკაცების წერილებიდან ამონარიდებს, რაც ჩვენ ძალიან სარწმუნოდ და საყურადღებოდ გვეჩვენება. ამ წერილებში მოტანილია რიგითი ჯარისკაცის დამოკიდებულება როგორც საკუთრივ ომთან, ისე ომის გაძღოლის არსებულ პრაქტიკასთან, რაც როგორც ზემოთაც დავინახეთ, ყოველთვის არ იყო სათანადო დონეზე.

აი, რას სწერდნენ რიგითი ჯარისკაცები თავიანთ ოჯახებში საფრონტო ცხოვრებისა და ყოველდღიურობის შესახებ: „აუტანელია ჩემი ცხოვრება. გვაძლევენ ყოვლად უვარგის საჭმელს. დილით – მწნილეული, საღამოთი მწნილეული – სინამდვილეში წყალი. ულუფა 21 მისხალი თუ იქნება“; „ჩვენ ფეხშიშველა დავდივართ, არ გვაქვს ჩექმები... გვკვებავენ შიმშილით – წყურვილს გვიკლავენ სიცივით“; „ჯარისკაცები ტიტვლები არიან. დავდივართ უშარვლოდ. ახლა მაწანწალები ვართ და სხვა არაფერი.“

ჯარისკაცებისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება და სრულიად გაუსაძლისი ვითარება ფრონტზე წარმოშობდა პროტესტის გრძნობას არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგში დისლოცირებულ სამხედრო შენაერთებშიც. ამ პროტესტმა, როგორც ჩანს, კავკასიის ფრონტის ჯარიკაცებს შორის ომის დაწყებისთანავე იჩინა თავი და მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღწერილია შემთხვევა, რომელიც მოხდა 1914 წლის სექტემბერში დუშეთში დისლოცირებულ სამხედრო შენაერთში, როცა რიგითმა ჯარისკაცებმა მოაწყვეს საპროტესტო გამოსვლა პრაპორშჩიკ ჭიჭინაძის უხეში საქციელის გამო. შეტაკების დროს ჯარიკაცებმა დაჭრეს ბატალიონის მეთაური კვინიხიძე და სამი ოფიცერი, რის გამოც 20 ჯარისკაცი სამართალში მისცეს.

1915 წელს გაასამართლეს 232-ე დონის დრუჟინის მთელი ასეული, რომლის პირადმა შემადგენლობამ ოფიცრები-

სადმი პროტესტის ნიშნად, უარი თქვა მისალმებაზე. იმავე წლის აგვისტოში სერიოზულ მღელვარებას ჰქონდა ადგილი 114-ე სათადარიგო პოლკის ბატალიონში და ა.შ.[1]

ომის დაწყების პირველ ეტაპზე ჯარისკაცების საპროტესტო გამოსვლები მაინც არ ყოფილა არც მასიური და არც დამანგრეველი. კავკასიის ფრონტზე სამხედრო ვითარება ძირითადად წარმატებული ჩანს და ამ საქმეში ქართველ ჯარისკაცებსაც შეჰქონდათ თავისი დამსახურებული წვლილი. საქართველოდან 200 ათასი სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცი იბრძოდა I მსოფლიო ომის ფრონტებზე. ჩვენი გაანგარიშებით, იმჟამად მეფის არმიაში დაახლოებით 7000 ქართველი მარტო ოფიცერი მსახურობდა, რომლებიც მიმოფანტული იყვნენ სხვადასხვა ფრონტებსა და საჯარისო დანაყოფში.

ბევრმა ქართველმა თავი გამოიჩინა, როგორც ღირსეულმა და მამაცმა სტრატეგმა. მაგალითად, გენერალ-ლეიტენანტი გიორგი ანდღულაძე ბალტიისპირეთში იბრძოდა და მან განსაკუთრებით ისახელა თავი ე.წ. „ბრუსილოვის გარღვევის“ დროს. იგი მეთაურობდა ბრესტის 49-ე ფეხოსან პოლკს და მდინარე სერეტის ფორსირების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის დააჯილდოვეს წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით.[2]

ილია ჭავჭავაძის დისშვილი, თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი კოტე აფხაზი, რომელმაც თბილისში ნიკოლოზ II სტუმრობის დროს თავი განსაკუთრებით გამოიჩინა, ფრონტზეც გმირული შემართებით იბრძოდა. მან თავისი პირადი სახსრებით ჩამოაყალიბა საარტილერიო ბრიგადა, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. სამხედრო მამაცობისათვის 1915 წელს მას მიენიჭა წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი (ხმლებითა და ბაფთით).[3]

გენერალ-მაიორი ზაქარია ბაქრაძე ომის წლებში იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე და ხელმძღვანელობ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 390.

[2] М. Гогитидзе, Грузинский генералитет (1699-1921). Киев, 2001, стр, 26-27.

[3] იქვე, გვ. 99.

და მინსკის ქვეითთა პოლკს. ფრონტზე გამოჩენილი მამაცობისათვის ის დააჯილდოვეს წმ. გიორგის მე-3 ხარისხის ორდენით.

I მსოფლიო ომის წლებში საბრძოლო შემართებით გამოირჩეოდნენ ბევრი ისეთი სამხედრო ოფიცერი, რომლებმაც მოგვიანებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში: მაგალითად, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მსახურობდა გრაფ მურავიოვ-ამურსკის სახ. პოლკში. მან თავი გამოიჩინა საგმირო შემართებით, ბრძოლებში ორჯერ დაიჭრა. იგი მხოლოდ მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე დაინიშნა დასავლეთის ფრონტზე მებრძოლი ციმბირის I პოლკის უფროსის თანამდებობაზე. მომავალში მთელი თავისი სამხედრო ცოდნა და გამოცდილება გენერალმა გ. მაზნიაშვილმა საქართველოს I რესპუბლიკის სამხედრო აღმშენებლობის საქმეს მოახმარა.

გენერალ-მაიორი გიორგი კვინიტაძე კავკასიის სამხედრო ოლქის გენშტაბში მსახურობდა, იბრძოდა კავკასიის ფრონტზეც, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ერზრუმის სამხედრო ოპერაციაში, რისთვისაც მას მიანიჭეს წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი და ოქროს ხმალი.

დიდ წარმატებებს მიაღწია I მსოფლიო ომის ფრონტებზე სახელოვანმა მხედართუფროსმა ილია ოდიშელიძემ – მას I მსოფლიო ომმა თურქესტანში მოუსწრო, სადაც ის თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე. აქ მისი უშუალო მეთაური იყო ასევე ცნობილი, მაგრამ ტრაგიკული ბედის მქონე რუსი გენერალი ალ. სამსონოვი. ეს სწორედ ის რუსი გენერალია, რომლის საბედისწერო შეცდომებმა ბრძოლის ველზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერიოზული დამარცხება მოუტანა რუსეთის არმიას ომის პირველსავე თვეებში, რის გამოც მან თავი მოიკლა.

1914 წლის 13 ოქტომბერს ილია ოდიშელიძე ჩრდილოდასავლეთის ფრონტის X არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა. გერმანელების წინააღმდეგ წარმოებული გმირული ბრძოლების ორგანიზებისათვის ის უკვე 25 ოქტომბერს და-

აჯილდოვეს წმინდა ანას I ხარისხის ორდენით (ხმლებით), ხოლო 23 დეკემბერს ი. ოდიშელიძე კვლავ დააწინაურეს და I არმიის შტაბის უფროსად დანიშნეს.[1]

ომის ფრონტებზე, ახლა უკვე სპარსეთში მიმდინარე სამხედრო ექსპედიციის შემადგენლობაში, კვლავ თავი გამოიჩინა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. სპარსეთში ის იბრძოდა ქართველ ცხენოსანთა რაზმში. მისი ხელმძღვანელობით ქართველმა კავალერისტებმა განახორციელეს ლეგენდარული რეიდი სპარსეთის ფრონტზე. პაპანაქება სიცხეში ქართველმა კავალერისტებმა მარშით გადაკვეთეს მესოპოტამიის უდაბნო და მდინარე ტიგროსის ნაპირებთან მოკავშირე ინგლისის სამხედრო ექსპედიციის ნაწილებს შეუერთდნენ. ისტორიკოს გ. შარაძის შეფასებით: „ეს თითქმის ავანტურული სამხედრო ოპერაცია იყო. რუსეთის ჯარის სარდლობის სტრატეგიული სვლა გერმანიის მოკავშირე თურქეთის არმიის ზურგში ორი მოწინააღმდეგე ქვეყნის არმიების შეერთება მეტოქეს ბევრ უსიამოვნებას უქადდა. ზურგში ახალი ფრონტი იხსნებოდა, ამიტომ თურქეთმა უმალ გადაისროლა ჯარები მესოპოტამიაში და შეასუსტა კავკასიის ფრონტზე, ბათუმის მიმართულებით შეტევა. ქაქუცას რაზმის გაგზავნის მიზანიც ეს იყო. აღნიშნული რეიდი სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად არის მიჩნეული“.[2]

ბევრი ქართველი მხედართუფროსი დაწინაურდა I მსოფლიო ომის ფრონტებზე გამოჩენილი გმირობისათვის: გენერალი ა.მ. ბენიაევი (ბენაშვილი) 1916 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი გახდა, ხელმძღვანელობდა მთელ საარმიო კორპუსს.

I მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე ქართველი მებრძოლების მიერ ჩატარებული საბრძოლო გმირობის მსგავსი მაგალითები უამრავია, რაც, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალურ შესწავლას და კვლევებს საჭიროებს.

მაგრამ პარალელურად იყო I მსოფლიო ომის ფრონტებზე ქართველების ბრძოლის სხვა ისტორიაც: დასტურ-

---

[1] მ. ბახტაძე, გენერალი ილია ოდიშელიძე, თბ., 2017, გვ. 11.

[2] გ. შარაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თბ., 1989, გვ. 132.

დება, რომ ქართველების გარკვეული ნაწილი, უფრო ხშირად სამხედრო ტყვეები, მსახურობდნენ სპეციალურად შექმნილ სამხედრო შენაერთებში – „ქართულ ლეგიონებში“, გერმანულ-თურქული კოალიციის მხარეზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ბოლო წლებში სათანადოდ დამუშავდა და არსებობს საკმარისი ინფორმაცია თურქეთის ტერიტორიაზე, ქართველების მონაწილეობით, ანტირუსული სამხედრო შენაერთების საქმიანობის შესახებ.[1]

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ ომამდე, ქართველი პატრიოტების ერთი ჯგუფი ცდილობდა და დაამყარა კიდეც კავშირი გერმანიისა და თურქეთის კომპეტენტურ წრეებთან საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში დახმარების აღმოჩენის მიზნით. პროფ. უ. ბლუაშვილმა დეტალურად შეისწავლა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მრავალმხრივი საქმიანობა და გამოაქვეყნა თურქეთთან ქართველების მიერ გაფარმებული ხელშეკრულების სრულ ტექსტი, სადაც თურქეთის მხარე ვალდებულებას იღებს, ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ქართველებს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში, დაეხმაროს მათ ფინანსურად, შეიარაღებით და ა.შ.[2]

სამაგიეროდ ქართველები პირობას დებდნენ, რომ შექმნიდნენ ქართულ სამხედრო შენაერთებს და უზრუნველყოფდნენ საქართველოსა და მთელს კავკასიაში ანტირუსული აჯანყების ორგანიზებას.

ამ შეთანხმებიდან გამომდინარე, როგორც ირკვევა, თურქეთის ტერიტორიაზე, ლეო კერესელიძის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა „ქართული ლეგიონი“, რომელშიც თავდაპირველად მხოლოდ ლაზები და აჭარლები იყვნენ გაერთიანებულნი. საბრძოლო ნათლობა ამ ლეგიონმა თურქეთის მიერ პირველივე სამხედრო ოპერაციაში მიიღო. ქარ-

---

[1] ამ თემაზე დეტალურად იხ. უ. ბლუაშვილი, საქართველოს ისტორია 1900-2016, თბ.,201, გვ.62-72; ა. ჩაჩხიანი. ქართული ლეგიონი პირველი მსოფლიო ომის წლებში და გერმანიის სარდლობის პოლიტიკა ამიერკავკასიაში. „ანალები“, № 17, თბ., 2021, გვ. 168-194.; და სხვ.

[2] უ. ბლუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

თულ ისტორიოგრაფიაში არის ცნობა, რომ „ახლადჩამოყალიბებულმა ქართულმა ლეგიონმა საზღვარზე მყოფი რუს კაზაკთა რაზმები გაანადგურა და აიღო რამდენიმე სოფელი. მათ ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ქვემეხი და ტყვედ აიყვანეს მრავალი რუსი ჯარისკაცი. ქართული ლეგიონის მიერ მურღულთან და მაჭახელასთან ჩატარებულმა სწორედ ამ წარმატებულმა ოპერაციამ გაუკაფა გზა გერმანულ-თურქულ სადესანტო ნაწილების ელვისებურ წარმატებას ბათუმთან...[1]

ჩვენ არ შევუდგებით ქართული ლეგიონერების საბრძოლო მამაცობის და მათი მიღწევების გადმოცემას, ეს სათანადოდ არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენ მხოლოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება პატარა ერის მძიმე ხვედრზე – იმ ტრაგიკულ ვითარებაზე, როცა ბარიკადების ორივე მხარეს გათხრილ სანგრებში ქართველი ერის შვილები ერთმანეთს ებრძვიან და ამას ისინი სჩადიან სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესებისთვის თავგანწირულნი, რადგან ღრმად სწამთ, რომ ამით დიდ სარგებელს მოუტანენ მშობლიურ საქართველოს...

§5. „აჭარის საქმე“

ზემოთ ჩვენ მიმოვიხილეთ კავკასიის ფრონტზე არსებული დრამატული ვითარება, რამაც ცვალებადი წარმატებები მოიტანა. გარკვეულ პერიოდში მანვე შექმნა რუსეთის სამხედრო წარუმატებლობის განცდაც და, აქედან გამომდინარე, აშკარად გამოკვეთა ძალზე რთულად გადასაწყვეტი პრობლემებიც.

როგორც ჩანს, სარიყამიშის ბრძოლის წარმატებამ რუსეთის კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას არ დაავიწა სამხედრო ოპერაციების პირველ ეტაპზე, რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ სასაზღვრო რეგიონებში მცხოვრები მაჰმადიანი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების პროთურქული

[1] იქვე, გვ. 178.

განწყობები და მათი ანტირუსული საქმიანობა. ეს საკითხი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიის დაინტერესებასაც იწვევდა თუმცა, მას აშკარად ტენდენციურადაც განიხილავდნენ: „ენვერი (იგულიხმება ენვერ-ფაშა – ა.დ.) მაგალითად, დარწმუნებული იყო, რომ მისი ემისრების გამოჩენა კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაში საკმარისი იყო რუსეთის წინააღმდეგ მათი ამხედრებისათვის. სარიყამიშის ოპერაციის წინ ამ მიზნით მან აჭარაში თავისი ერთგული პირები გააპარა. აჭარის მოსახლეობა არ აჰყვა თურქი აგენტების დაპირებას. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა რუსეთისა და მის არმიას ყოველმხრივ ხელს უწყობდა შეტევის წარმოებაში.“[1]

აშკარაა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია მთლიანად გამორიცხავდა აჭარის მოსახლეობის მხრიდან ომის დროს რაიმე „ღალატის“ შემთხვევას.

მკვლევარი მ. სიორიძე, რომელიც საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს I მსოფლიო ომის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებაზე აჭარის რეგიონში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებთან, რეგიონში ვითარების გაუარესებას ომის საწყის ეტაპზე რუსეთის ადგილობრივი სარდლობის უნიათობას მიაწერს. ხოლო რაც შეეხება ომში ჩაბმული მხარეებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას, აღნიშნავს შემდეგს: „ოსმალთა პროპაგანდისტები მოედვნენ სამუსლიმანო საქართველოს დაბა-სოფლებს, მოსახლეობას მოუწოდებდნენ ჩაწერილიყვნენ „ჩეთეში“ (სახალხო შეიარაღება – ა.დ.), მიელოთ იარაღი და ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ. ისინი რელიგიურ ფანატიზმთან ერთად იყენებდნენ მუქარას, საზოგადოებიდან გარიყვა-მოკვეთით დაშინების და იძულების სხვა ფორმებს. ამის მიუხედავად, ოსმალთა პროპაგანდას მნიშვნელოვანი წარმატებები არ მოჰყოლია. მაჰმადიან ქართველთა მასობრივ შეიარაღებას და გამოსვლას ვერ მიაღწიეს.“[2]

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1972, გვ. 358.

[2] მ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში (სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება), ავტორე-

მ. სიორიძის მსჯელობებში მოვლენების შეფასებისას აშკარად სუბიექტური დამოკიდებულებები სჭარბობს. მაგალითად, ის ამტკიცებს, რომ რეგიონში რუსები „განსაცდელისაგან იხსნა გენერალ ალ. გაბაშვილის გამჭრიახობამ და თავგამოდებამ, რომელმაც ოსმალებს სარიყამიშთან კატასტროფა მოუწყო. ამის შემდეგ რუსეთის მრავალრიცხოვანმა არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველობა შეადგენდა, 1915 წლის თებერვალ-მარტში გაანთავისუფლა ჭოროხის ხეობა, 1915 წლის მეორე ნახევარში კი ე.წ. „ოსმალეთის ლაზეთი“, ხოლო 1916 წ. აპრილში ქ. ტრაპიზონი.“[1]

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პროფ. ვ. გურული რეგიონში სამხედრო ვითარების გამოსწორებასა და თურქების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებულ განვითარებას მთლიანად გენერალ ნ. იუდენიჩს მიაწერს, რომელმაც შეძლო რადიკალურად შეეცვალა ვითარება სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ობიექტურად და საქმის ცოდნით სწავლობს პროფ. ო. გოგოლიშვილი, რომელმაც სამხრეთ-დესავლეთ საქართველოში I მსოფლიო ომის დროს განვითარებულ მოვლენებს მიუძღვნა როგორც სადოქტორო დისერტაცია, ისე თავისი სხვა საყურადღებო ნაშრომები[2].

აჭარის რეგიონში ომის დაწყების შემდეგ შექმნილ ვითარების გასაგებად ის აქვეყნებს მეტად საინტერესო დეპეშებს, რაც გვაძლევს საფუძველს არ დავეთანხმოთ ზემოთ აღნიშნული ორივე ავტორის (ა. სურგულაძისა და მ. სიორიძის) მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. აი, რას წერს

ფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2001, გვ. 16-17.

[1] მ. სიორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17.

[2] ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასალეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი, 2005; ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის პირველ მესამედში“, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003.

პროფ. ო. გოგოლიშვილი: „ოსმალების ბათუმის ოლქის საზღვრებში შემოჭრასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვალს მოუვიდა არა ერთი შეტყობინება ადგილობრივი მოსახლეობის მოქმედების თაობაზე. კერძოდ 1914 წლის დეკემბერში მას აცნობეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი მტრის მხარეზე გადავიდა და მასთან ერთად მოქმედებდა ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო კიდევ ერთ შეტყობინებაში მეფისნაცვალს ატყობინებდნენ იმ პიროვნებებისა შესახებ, რომლებიც მტერს მეგზურად მიჰყვებოდა. 1914 წლის 19 დეკემბერს გუბერნატორს შეატყობინეს ვინმე ნური ბეგ ბეჟანიძის შესახებ, რომელიც მტერს აჩვენებდა იმ პიროვნებების სახლებს, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების მომხრენი იყვნენ. კიდევ ერთ შეტყობინებაში საუბარი იყო მარადიდელი და კირნათელი გლეხების შესახებ, რომლებმაც მტერს მეგზურობა გაუწიეს. მითითებული იყო მათი გვარებიც. ასევე საინტერესოა პოლიციის დასმენები, რომლებიც თითქმის ყოველდღიური გახდა...“[1]

ამრიგად, სამხრეთ-საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ I მსოფლიო ომის წლებში მეომარი მხარეების მიმართ ქართველ მეცნიერთა შორის არერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, რაც საფუძველს გვაძლევს ახლა უკვე ჩვენ შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ პოზიციები აღნიშნულ პრობლემაზე გამოვლენილი ახალი დოკუმენტური მასალის საფუძველზე.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თურქეთისა და გერმანიის გარკვეულ წრეებს ომის პერიოდში რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებზე ანტირუსული აჯანყების გამოწვევა უნდოდათ და ყოველმხრივ მიესალმებონენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების ერთი ჯგუფის (მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, ლ. კერესელიძე და სხვ.) ანტირუსულ საქმიანობას. ვნახეთ და გავაანალიზეთ ამ თანამშრომლობის დოკუმენტები, მისი მიზნები და ამოცანები. ქართველების ეს ნაწილი რუსეთის მოწინააღმდეგე მხარეს უმტკიცებდა, რომ

[1] ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასალეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი, 2005, გვ. 84.

მათ შეეძლოთ სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე შეემზადებინათ აჯანყება, გამოეწვიათ მოსახლეობაში ანტირუსული განწყობები, მათ შორის – აჯანყებაც კი. სწორედ ამ იმედით თურქეთისა და გერმანიის ხელისუფლებები აფინანსებდნენ ქართველი პოლიტიკოსების საქმიანობას, პირდებოდნენ სამხედრო ძალების („ქართული ლეგიონი“) ორგანიზებაში დახმარებას, გამარჯვების შემთხვევაში უზრუნველყოფდნენ დიდი ტერიტორიული შენაძენებით როგორც ჩრდილოეთ, ისე აღმოსავლეთ და ცენტრალურ კავკასიაში. ამაზე უკვე გვქონდა საუბარი.

ყველა ამ ამოცანის რეალიზება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადგილობრივი მოსახლეობა ენერგიულად შეუერთდებოდა ქართველი პოლიტიკოსების ამ ჯგუფების ანტირუსულ მცდელობებს. გ. მაჩაბელი და მისი ორგანიზაციის სხვა წევრები, რა თქმა უნდა, დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის პროთურქულ და ანტირუსულ განწყობებში, ამის გარეშე ისინი გერმანიისა და თურქეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ასეთ დაპირებებზე ვერ წავიდოდნენ.

მ. სიორიძე კარგად იცნობს გ. მაჩაბლისა და მისი ჯგუფის ანტირუსულ საქმიანობას, მიესალმება მას, მაგრამ მაინც აკეთებს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ დასკვნებს: „ამის მიუხედავად, ოსმალთა პროპაგანდას მნიშვნელოვანი წარმატებები არ მოჰყოლია. მაჰმადიან ქართველთა მასობრივ შეიარაღებას და გამოსვლას ვერ მიაღწიეს“.

ჩვენ კი გვაქვს საფუძველი, საკითხი ცოტა სხვა რაკურსით განვიხილოთ. დავიწყოთ იქიდან, თუ როდის გაიჟღერა საქართველოში პირველმა ხმამ ამის შესახებ და როდის გახდა აქტუალური I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაჰმადიანი მოსახლეობის ქმედების მაკომპრომეტირებული დოკუმენტების შეგროვება, ან როგორი იყო ამაზე ქართული საზოგადოებრიობის რეაქცია.

პირველი სიმპტომი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი მცხოვრებლების ანტირუსულ საქმიანობაზე

გამოჩნდა პეტროგრადის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული დეპეშაში, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოებრივი აზრის დიდი აღშფოთება გამოიწვია. დეპეშის კომენტარებისას ქართველი მიმომხილველები ხაზს უსვამდნენ მეტად საინტერესო ნიუანსს: „სამაჰმადიანო საქართველოს – შავშეთ-აჭარას იარაღი დაურიგეს და იქ ოსმალეთის შესვლისთანავე აჯანყება იფეთქებს“ (ეს ერთი) და მეორეც – „დეპეშის შინაარსი მიუთითებს, რომ ის 4-5 თვის წინ არის შედგენილი. რატომ დაჭირდათ ახლა მისი გამომზეურება და მთელ რუსეთში აურზაურის ატეხვა?“.

საგაზეთო პუბლიკაცია, რომელიც ჩვენ დავიმოწმეთ, 8 მარტს არის გამოქვეყნებული და აშკარაა, რომ 4-5 თვე – ზუსტად ემთხვევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფრონტებზე ცვალებადი შედეგებით მიმდინარე ოპერაციებს. დეკემბერში, სარიყამიშის ბრძოლაში რუსების ბრწყინვალე გამარჯვებამდე, მართლაც იყო მცირე პერიოდი, როცა თურქეთმა შეძლეს რუსების შევიწროება და ბათუმისკენ გაჭრა, ისინი მთიან აჭარაშიც კი შევიდნენ. როგორც ჩანს, იმ დროს იქ რადაც უმართავი პროცესები განვითარდა...

როგორ მოიქცა ადგილობივი მაჰმადიანი მოსახლეობა იმ რთულ პერიოდში? მათ შორის ხომ იყვნენ როგორც ქართველი, ისე არაქართველი მაჰმადიანები, თარაქამები, ქურთები?

სამწუხაროდ, ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსს ხშირად ავიწყდება დიდი მამულიშვილის, მემედ აბაშიძის მიერ გამოთქმული შეხედულებები XX საუკუნის დასაწყისის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-ფსიქოლოგიური განწყობილების შესახებ: „ჩვენ მიზნად დავისახეთ მუსლიმან ქართველებში შეგვეტანა ნაციონალური შეგნება, რაც ჩვენთვის წარმოადგენდა უაღრესად ძნელ საქმეს, რაც არა თუ ისე უხიფათო იყო ჩვენთვის, რადგან სიტყვა „ქართველი“ ჩვენი მუსლიმანებისათვის წარმოადგენდა

ქრისტიანობის სინონიმს... ჩვენი პირველი მცდელობა ამ მიმართულებით განიცდიდა წარუმატებლობას“[1]

აქედან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, რომ „მაჰმადიანი ქართველი“ ეს ეთნონიმია, რომელსაც ყველა სამხრეთ-დასავლელი მაჰმადიანი არ იზიარებდა, რადგან მათთვის „ქართველი“ იყო სინონიმი „ქრისტიანობის“, ამიტომაც მისთვის – მიუღებელი. მართალია, იყვნენ პროქართული ჯგუფები (მ. აბაშიძე, გ. კაიკაციშვილი, ჯ. ქიქავა და სხვ.), მაგრამ სწორედ ეს ადამიანები აღნიშნავდნენ, რომ მაჰმადიან ქართველებში ერთიანი ნაციონალური თვითშეგნების ფორმირების მიზნით გაწეულმა მათმა მუშაობამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, რეგიონში არსებობდა სივრცე პროთურქული, ანტირუსული და ანტიქართული ტენდენციების განვითარებისათვის, რაც კავკასიის ფრონტზე სწრაფმა სამხედრო ცვლილებებმა კიდევ უფრო გააცხოველა და სააშკარაოზეც გამოიტანა.

პირველ რიგში, შევეხებით თურქულ ორიენტაციას. ამის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი და აღვნიშნეთ, რომ როგორც თურქეთის სახელმწიფო, ისე მისი ფარული წარმომადგენლობა, ადგილობრივი რელიგიური ორგანიზაციები (მედრესეები და მეჩეთები, მაგალითად „აზიზიეს მეჩეთი“ ბათუმში), მოლები, ხოჯები ქედაში, ხულოში, ართვინში, ოლთისში და სხვ., ბათუმისა და არდაგანის რეგიონებში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, როგორც თურქული (მაგალითად, „ფარული ისლამური კომიტეტი“ და სხვ.), ისე ადგილობრივი (მაგალითად, „სედაი მილეთი და სხვ.“), ეწეოდნენ ანტირუსულ, ანტიქართულ საქმიანობას და ელოდებოდნენ მათთვის „დედა-სამშობლოსთან“, თურქეთის იმპერიაში დაბრუნებას. ამ საქმიანობის შესახებ ხომ დღესაც გარკვეულად მიანიშნებენ თანამედროვე თურქი ისტორიკო-

[1] საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14., აღ. 1, ს. 854, ფურც. 18.

სებიც (მხედველობაში გვაქვს ესინ დაის, ნურჰან აიდინის და სხვათა გამოკვლევები)[1].

სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებითაც უნდა განვიხილოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესები და მხოლოდ მაშინ გახდება იმჟამად მიმდინარე მეტად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება გასაგები.

I მსოფლიო ომის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პროცესებზე ქართული საზოგადოებრივი აზრის ევოლუციაზე დაკვირვება მეტად საინტერესო მოცემულობას იძლევა და, შესაძლებელია, სწორედ ეს გახდეს მეცნიერისათვის გასაღები რეგიონში მიმდინარე პროცესების ობიექტურად გასააზრებლად.

„აჭარლების მოღალატეობის“ შესახებ პირველივე განცხადებებმა ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი პროტესტი გამოიწვია. უკვე 1915 წლის მარტ-აპრილში როგორც ოფიციალური პირები (მაგალითად, სახელმწიფო დუმის ქართველი დეპუტატები), ისე წამყვანი ქართული გაზეთების ხელმძღვანელობა (როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე მიმართულების) ერთხმად აცხადებდნენ, რომ ეს ხმები იყო ბოროტი ძალების ცილისწამება და სინამდვილეში ღალატს ადგილი არა ჰქონია.

ამ განცხადებებს მოჰყვა ხმები აჭარის მოსახლეობის მიმართ განხორციელებული არაადეკვატური, ძალისმიერი ქმედებების შესახებ, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის რეპრესიები რუსეთის სამხედრო ნაწილების მხრიდან. რეგიონში სამხედრო მოქმედებების შედეგად გადაიბუგა სოფლები, მთელი დასახლებული ადგილები კი მოსახლეობისაგან დაიცალა.

ქართველების პირველივე რეაქცია ამ ხმებზე იყო თანამოძმეებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. აქეთკენ მოუწოდებდნენ მათ ასევე აჭარის პროქართული ორიენ-

---

[1] ესინ დაი, ელვიე-ი სელასე\სამი საჯაყი (ყარსი, ბათუმი, არტაანი), იხ.: კრ. „ახალციხე-ყარსი“, ახალციხე, 2001, გვ.91-92; ნურჰან აიდინი, ყარსის ხელშეკრულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა, იხ.: კრ. „ახალციხე-ყარსი“, ახალციხე, 2001, გვ. 134-135.

ტაციის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ლიდერები: მ. აბაშიძე, გ. კაიკაციშვილი, ჯ. ქიქავა და სხვ. ისინი თბილისის ქართულ პრესაში აქვეყნებდნენ სტატიებს აჭარის მოსახლეობის გადაუდებელი დახმარების საჭიროების შესახებ[1].

ამ მოწოდებებს მოჰყვა მყისიერი რეაქცია: ქართველობა ტოტალურად დაირაზმა მოძმე აჭარლების გადასარჩენად. დაიწყო სახალხო მოძრაობა მატერიალური დახმარების გასაწევად. ინდივიდუალური და კოლექტიური შეწირულობები იგზავნეოდა აჭარელთა დახმარების ფონდებში. მაგალითად, ექიმმა ნესტორ ბერძენიშვილმა ფონდში შეიტანა 3 მანეთი, აბაშის მოსახლეობის ერთი ჯგუფი: სალომე ნარსია, პელაგია ბზიავა, ოლია ინასარიძე და სხვები გაერთიანდნენ და შეაგროვეს ფინანსური რესურსი აჭარლების დასახმარებლად. ოზურგეთში ვლ. სულქველიძემ, ლოლა სულაქველიძემ, ანეტა ცერცვაძემ და სხვებმა მოახერხეს გარკვეული ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა. ქუთაისის სანიტარული მატარებლის თანამშრომლები გაერთიანდნენ და ხელფასიდან გარკვეული თანხა გაიღეს აჭარელი ძმების დახმარების ფონდში. ინიციატორებს შორის იყვნენ დათიკო ხავთასი, ჯიმშედ ნიკოლაიშვილი, ვასო მხეიძე და სხვ. მატერიალური დახმარების შესახებ ინფორმაცია თითქმის ყოველდღიურად იბეჭდებოდა როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე მიმართულების გაზეთებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მაჰმადიანი ქართველების დახმარება მიზნად დაისახა ქართველობამ ერთიანად – პოლიტიკური მრწამსისა თუ პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად.

მოძმე აჭარლების დახმარების დროს ძალიან მალე გამოჩნდა მეორე, უფრო ჰუმანური ფორმაც – უპატრონოდ დარჩენილი აჭარელი ბავშვების აღსაზრდელად აყვანა, საკუთარ სახლში ჩამოყვანა, მათზე მზრუნველობა. გაზეთი „საქართველო“ ხშირად ბეჭდავდა პუბლიკაციებს ასე გადარჩენილი ბავშვების შესახებ. ერთ-ერთ პუბლიკაციაში საუბარია ქობულეთიდან თბილისში ჩამოყვანილ ათ ბავშვზე,

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 22 მარტი.

რომლებიც ქართველებმა შეიფარეს და სასწავლებლად თბილისის სკოლებში მიაბარეს.[1]

არის ასეთი ცნობებიც: სახელოვანმა თავადმა ფალავანდიშვილმა განაცხადა, რომ მისი საგვარეულო დახმარებას გაუწევდა აჭარიდან ლტოლვილ 20 ოჯახს. თავადმა დ. ჩოლოყაშვილმა აღსაზრდელად აიყვანა 2 აჭარელი ბავშვი და ა.შ.

გაზეთები ბეჭდავდნენ ინფორმაციებს აჭარიდან დევნილ ქვრივებზე, მარტოხელა დედებზე, რომლებიც თავისი მცირეწლოვანი შვილებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლდნენ და ქართველი ძმებისაგან ქმედითი დახმარებებიც მიიღეს.

ამრიგად, აჭარის პრობლემის წარმოშობის პირველ ეტაპზე აშკარად ჭარბობდა ჰუმანიტარული მდგენელი და იყო ქართველების საყოველთაო აღშფოთება აჭარლების მიმართ განხორიცელებული რეპრესიული ღონისძიებების გამო.

მეორე ეტაპზე უკვე გამოიკვეთა საკითხში ღრმად გარკვევის აუცილებლობა და თბილისის რამდენიმე გაზეთმა, ადგილზე ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების საფუძველზე, გადაწყვიტა სპეციალური კორესპონდენციები მოეზადებინა და მხოლოდ ამის შემდეგ ეცნობებინა მკითხველებისათვის სიმართლე აჭარასა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაჰმადიანურ რეგიონებში მიმდინარე პროცესების შესახებ. გაზეთ „თანამედროვე აზრის“ კორესპონდენტმა რაფაელ აცანელმა იმოგზაურა აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ რეგიონებში, რომელსაც შეეხო სამხედრო ოპერაციები და რომლის მოსახლეობასაც ცარიზმი „სამშობლოს ღალატში“ ადანაშაულებდა. კორესპონდენციის ავტორმა რამდენიმე, საკმაოდ დეტალური და ვრცელი, წერილი მიუძღვნა ამ პრობლემას. ადგილზე ის ესაუბრა ადგილობრივ მოსახლეობას, რუს ჩინოსნებს და სამხედროებს, ამიტომაც მისი პუბლიკაციები სანდო და ტევადი ინფორმაციის შემცველია, რაც გვაძლევს

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 16 ენკენისთვე.

ობიექტური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. რ. აცანელი მემარცხენე მიმართულების გაზეთის წარმომადგენელი იყო და მის პუბლიკაციებში არ იგრძნობა ხელისუფლებასთან „რევერანსების კეთების“ სურვილი, მას უფრო აინტერესებს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს მკითხველ საზოგადოებრიობას. „ბევრი რამ გვსმენია აჭარლების აწიოკებისა, – წერდა რ. აცანელი, – აქ ახლო წარსულში ოსმალოების ჯარები იდგა. მის ორივე კალთაზე სოფლები მოსჩანს, მაგრამ უადამიანო სოფელი რა სოფელია, არსად ადამიანი, არსად სიცოცხლის ნიშანი არ შეიმჩნევა... არც ერთი სახლის ბუხრიდან კვამლი არ ამოდის... ყველა სოფელი დამწვარია, ყველგან სიცარიელეა და ერთი-მეორეზე დამაფიქრებელი მდგომარეობაა. მახუნცეთის სკოლაში ფანჯრებია ჩამტვრეული, კარადები დამტვრეულია... ყველა სკოლაში ჯარი დგას...“[1]

ტრაგიკული სურათის აღწერის შემდეგ კორესპონდენციის ავტორი გადადის ფაქტების კონსტატაციაზე: „ქვემო აჭარის თითქმის 17 სოფელი გაჰყვა თათრის ჯარს, როცა უკანასკნელმა უკან დაიხია“; „დაწვა ერთმა, დაიტაცა მეორემ, გაძარცვა – მესამემ“ – ჩამოთვლის ავტორი გარემოებებს. როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მართლაც, გადავიდა თურქების მხარეზე.

„რა იყო მიზეზი ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ოსმალეთის მხარეზე გადასვლისა?“ – სვამს ამ კითხვას კორესპონდენტი და ამ კითხვაზე ადგილზე მოსმენილ პასუხს იხმოვანებს – „ეს იყო ღალატი!“

ამ კითხვის დასმის შემდეგ რ. აცანელი ცდილობს ისტორიის მოშველიებით გაიაზროს მიმდინარე პროცესების ტრაგიკული შედეგი და აყალიბებს, ჩვენი აზრით, უაღრესად დამაფიქრებელ და საყურადღებო დასკვნას: „სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალოს ხელში ყოფნამ ძლიერ დაამახინჯა აჭარა-ქობულეთის ქართველობა. მათ საფუძვლიანად დაივიწყეს თავისი ეროვნული ჩამომავლობა. ქართველები სძულდათ. ქართველობა ლანძღვად მიაჩნდათ (აქ დროული

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 15 აპრილი.

იქნება გავიხსენოთ მემედ აბაშიძის მოგონებიდან ჩვენ მიერ არაერთხელ მოტანილი ამონარიდი – ა. დ.)... ერთი წლის წინ მთავრობამ წინადადება მისცა ხალხს სკოლის გახსნის შესახებ. ყოველ ხარჯს მთავრობა კისრულობდა. ხალხმა ერთხმად უარი განაცხადა“.

კორესპონდენტის ამ განცხადებაში აშკარად იგრძნობა აჭარლების, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ქმედებათა მოტივაციის მოძიების სურვილი და პასუხს, ჩემი აზრით, აშკარად ობიექტურს, ის პოულობს კიდეც – „სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალოს ხელში ყოფნამ ძლიერ დაამახინჯა აჭარა-ქობულეთის ქართველობა“. აშკარა იყო, რომ ბევრისთვის უფრო ღირებული იყო ისლამური ცნობიერება და ისლამური ტრადიციები, ისინი თავისთვის უფრო ორგანულად ახლოდ მდგომად განიხილავდნენ თურქ ასკერებს, ვიდრე რუს ან ქართველ სამხედროებს, რომლებიც იმჟამად საერთო მიზნით მოქმედებნენ.

რა თქმა უნდა, რუსი ოფიციოზი, განსაკუთრებით სარიყამიშის ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოითხოვდა მათ მიერ დასმულ უხერხულ კითხვებზე პასუხებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრი რეპრესიებით იმუქრებოდა.

სწორედ ასეთ განწყობას გადააწყდა რუსეთის სახელმწიფო დუმის ქართველი დეპუტატი ნ. ჩხეიძე კავკასიის მეფინაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის თანაშემწესთან, ჰოფმეისტერ პეტერსონთან შეხვედრის დროს, როცა შეეცადა როგორმე შეესუსტებინა იმჟამად რუს ჩინოსნებში გამოწვეული აღშფოთება აჭარლების ქმედების გამო. მეფინაცვლის მოადგილემ დეპუტატს მოსთხოვა, აჭარის დევნილ მოსახლეობას დაემტკიცებინა, რომ „მათ ღალატი არ ჩაუდენიათ“.

მეფის მთავრობამ აჭარაში მიმდინარე საკითხების გარკვევა დაავალა კომისიას, რომელსაც გრაფი ნიროდი და გრაფი ადელბერგი ხელძღვანელობდნენ. ისინი ჩავიდნენ ადგილზე, შეხვდნენ მოსახლეობას, ადგილობრივ ჩინოსნებს, სამხედროებს. მათ შეაგროვეს საკმაოდ სერიოზული ინფორმაცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ომის დაწყების ერთ ეტაპზე მიმდინარე პროცესების შესახებ. საქმის

შესწავლა მიმდინარეობდა სისხლის სამართლის 108 მუხლით, რაც გულისხმოდა მტრის ყოველმხრივ დახმარებას – იქნებოდა ეს პასიური, თუ აქტიური, რაც ფასდებოდა სამშობლოს ღალატად და ისჯებოდა ან ჩამოხრჩობით, ან სამუდამო კატორღით.

კომისიამ საკმაოდ ბევრი მასალა დააგროვა, რომელშიც მრავლად იყო ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის მაკომპრომიტერებელი ფაქტიც და ქცევაც ომის დაწყების პირველ ეტაპზე. ამ დოკუმენტურ მასალას ადასტურებდნენ როგორც რუსი სამხედროები, ისე რუსეთის სახელმწიფოსთან ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. იყო ასეთი ინფორმაციაც: „მაშინ როცა ჩვენი ჯარი (იგულისხმება რუსეთის შეიარაღებული ძალები – ა.დ.) ოსმალოს ეჩხუბებოდა და მღვრიე წყალში მონადირენი, გონებით მახინჯი ფირალები უკნიდან ესროდნენ ჩვენებს (იგულისხმება – რუსებს –ა.დ.)“[1]

კომისიის წარმომადგენლებმა ფეხით შემოიარეს თურქებისაგან განთავისუფლებული მთელი ქედის დასახლების საპოლიციო უბანი და დეტალურად გამოიკითხეს შექმნილი ვითარება. დადასტურდა, რომ სოფელ ქედაში სულ ითვლებოდა 862 კომლი. თურქეთში გაქცეული იყო 16 ოჯახი სრული შემადგენლობით, 83 ოჯახიდან – ცალკეული პიროვნება, გადამწვარი იყო 9 სახლი. ხერთვისის ოლქში რეგისტრირებული იყო 786 კომლი. ამ ოლქიდან თურქებს გაჰყვა 295 ოჯახი და 50 ცალკეული პირი, გადამწვარი დახვდათ 196 სახლი.[2]

1915 წლის ზაფხულში აჭარაში განვითარებულ პროცესებზე საუბარი იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიც. ქართველმა დეპუტატმა ნ. ჩხეიძემ თავის გამოსვლებში მოითხოვა აჭარის პრობლემის არა ემოციურ, არამედ პრაგმატულ ჭრილში განხილვა, მან მოიგერია რუსი შოვინისტების ზღვარგადასული თავდასხმები და მოითხოვა საკითხის სამართლიანი შესწავლა. საერთოდ ქართველი დეპუტატები

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 15 აპრილი.

[2] იქვე.

სახელმწიფო დუმაში ცდილობდნენ ღრმად ჩაწვდომოდნენ პრობლემას, მაგალითად, დეპუტატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე პირადად ჩავიდა მთიან აჭარაში, იმოგზაურა ფრონტისპირა აჭარის სოფლებში, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას ვერ შეხვდა – ყველა უკვე გახიზნული იყო.

მეფის ხელისუფლებამ აჭარის საკითხის განხილვა დაავალა სამხედრო ტრიბუნალს, რომელსაც გენერალი მანსვეტაშვილი ხელმძღვანელობდა. საქმე ირჩეოდა, როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის 108 მუხლით, რომელიც სახელმწიფო ღალატს გულისხმობა.

ქართველი ადვოკატები დაირაზმნენ აჭარელი ძმების ღირსებისა და სიმართლის დასაცავად. ვექილები (ადვოკატები): ს. ჯაფარიძე, პ. გედევანიშვილი, ი. ბარათაშვილი და სხვები აგროვებდნენ მასალებს ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გასანეიტრალებლად და ბრალდებულთა ხვედრის შესამსუბუქებლად. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა 5 პროცესი. მარტო ერთი მათგანი – ე.წ. „არტანუჯელების საქმე“ მოიცავდა 49 ბრალდებულს.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების პროცესშიც ძალიან აქტიურობდნენ ქართული ჟურნალ-გაზეთები. ისინი აქვეყნებდნენ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის შეფასებებს მიმდინარე მოვლენებზე, მოჰყავდათ მათი არგუმენტები, რაც შეიძლებოდა გათვალისწინებულიყო სასამართლო პროცესის მსვლელობისას. აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა გულწრფელად აღნიშნავდა შემდეგს: „ოჯახი არ არის უმახინჯოდ, თორემ ამდენ ხალხში ყოველთვის ურევია ათი-თორმეტი თავზე ხელაღებული კაცი, რომელიც არ უწევს ანგარიშს ხალხის მდგომარეობას. ის მოქმედებს ისე, როგორც მას მოესურვება. ასეთმა პირებმა ჩააგდო ხალხი ასეთ განსაცდელში. ჩვენ აჭარლები განსაკუთრებით დაგვღუპა მურღულის მხარეზე, ჭოროხის ხეობაში მცხოვრებთა ნაწილმა...“

აშკარაა, რომ ადგილობრივი მკვიდრი, მაგრამ რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ნაწილი, ცდილობდა შეერბილებინა არსებული დრამატული სიტუაცია და ყურადღება გადაეტანა საკითხის კრიმინალურ მდგენელზე,

თურქების მხარდამჭერები, მათი აზრით, მხოლოდ ადგილობრივი კრიმინალური ელემენტები იყვნენ: „ღალატის განზრახვა არავის ჰქონია, თუ ვინმე აღმოჩნდა თავისი ნებით ოსმალების საზღვრებში – ესენი ყველანი ქურდები იყვნენ“ – იყო ასეთი არგუმენტიც.

ვითარების განსამუხტად და აჭარელი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად თბილისში ჩამოვიდნენ აჭარის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ღირსეული მამულიშვილები, რომლებიც გამოირჩეოდნენ ლოიალურობით რუსეთის ხელისუფლების მიმართ: ისკანდერ ბეგი ცივაძე, თემურ-ბეგი ხიმშიაშვილი, რეჯებ ბეგი ნიჟარაძე და სხვა დამსახურებული აჭარელი ლიდერები. პრესის საშუალებით მათ უდიდესი მადლობა გადაუხადეს ქართველ ძმებს მატერიალური დახმარების გაწევისათვის. აჭარელ სტუმრებს თბილისის საზოგადოებრობამ 200 კაციანი მიღება მოუწყო ახალი კლუბის დიდ დარბაზში. როგორც ამ შეხვედრებზე, ისე საგაზეთო წერილებში აჭარლები აღნიშნავდნენ: „ჩვენ მადლობელნი ვართ, რომ მოგვიწოდებთ ქართველები შევერთდეთ და ჩვენი ეროვნული მთლიანობა შევინარჩუნოთ. მართალია, ჩვენ მაჰმადიანები ვართ, თქვენ ქართველები, მაგრამ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, ერთის წინაპარისა, ერთის სისხლისა და ერთის ხორცისა...“[1]

ემოციური შეხვედრებისა და გრძნობამოჭარბებული სტატიების ფონზე რუსეთის ხელისუფლება აგრძელებდა „აჭარლების ღალატის საქმის“ შესწავლას. პროკურატურის გარდა, საკითხის შესწავლის სურვილი ჰქონდა რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილ საზოგადოებრიობასაც. სწორედ ამ მიზნით ბათუმში ჩავიდნენ თბილისის ქალაქის თავი ა. ხატისოვი, საზოგადო მოღვაწე გ. ჟურული და სხვ. მათ გამოარკვიეს, რომ ომის დაწყების წინ სულ ბათუმის ოლქში ცხოვრობდა 180 ათასი კაცი. ომის პირველსავე ეტაპზე თურქეთში გადაიხვეწა 50 ათასი კაცი, 35 ათასი ლტოლვილი შეეხიზნა ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებს. თბილისიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ბათუმის ქალაქის თავს,

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ, 8 ღვინობისთვე.

თავად ანდრონიკაშვილს აღუთქვეს მატერიალური დახმარება ლტოლვილებისათვის, გამოიყო 50 ათასი მანეთი საქველმოქმედო საჭიროებისათვის.

ამასობაში რუსეთის პროკურატურამ ძირითადად დაასრულა „აჭარელთა საქმის“ შესწავლა, შეგროვდა გარკვეული მასალა. ხულოში სპეციალურად ჩავიდა გენერალ-ლეიტენატი პოროშინი, რომელმაც მოსახლეობასთან შეხვედრისას ადგილობრივებს აშკარად დასდო ბრალი სახელმწიფო ღალატში: „თქვენ, აჭარლები რომ რუსეთის ერთგულები ყოფილიყავით, მათ ამის საშუალებას არ მისცემდით (იულისხმება თურქების მხარეზე გადასული მოსახლეობა – ა.დ.), ანაცვალებდით რუსეთს სიცოცხლეს თქვენსას და აგრეთვე თქვენი ოჯახისას. გამოდექით სუსტნი, ვერ დაამტკიცეთ რუსეთისადმი ერთგულება. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, ზოგიერთმა ურცხვად გვიღალატა, გადავიდა მტრის მხარეს და იარაღით ხელში წინააღმდეგობა გაგვიწია“.[1]

ეს იყო უაპელაციო შეხედულება ოფიციალური რუსეთისა, რომელმაც ბოლომდე ვერ გაბედა შურისძიების განხორციელება და, საბედნიეროდ, აჭარლების ტოტალური დასჯა აღარ მოხდა. როგორც გენერალ-ლეიტენანტმა პოროშინმა აღნიშნა: „ამ ხანად გაპატიებთ. ხოლო თუ მომავალში თურქეთი კიდევ შემოიჭრება და თქვენ ისევ ისე მოიქცევით, რუსეთის ძლიერი მთავრობა სულ სხვა ზომებს მიიღებს“. აქ აშკარა მუქარასთან გვაქვს საქმე. ჩვენი აზრით, სავარაუდოა, რომ რუსების მხრიდან ასეთი ლმობიერება უნდა გამოეწვია თურქეთის იმპერიაში იმჟამად მიმდინარე სომეხთა მასობრივი ჟლეტის კოლოსალურ მასშტაბებს, რამაც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დიდი აღშფოთება გამოიწვია თავისი ყოვლისმომცველი ხასიათისა და დრამატული შინაარსის გამო. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლება, რომელსაც ალბათ არ უნდოდა თურქეთის მთავრობას დამსგავსებოდა, აჭარლების შემთხვევაში გარკვეულ კომპრომისებზე წავიდა. დაკმაყოფილდნენ აჭარლების ცალ-

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 28 მაისი.

კეული, განსაკუთრებით ოდიოზური, პირების სასამართლო პროცესების ორგანიზებით. საყურადღებოა, რომ „არტანუჯელების საქმის“ ვერდიქტის მიხედვით 16 კაცი გამართლდა, 30 კაცს – სამუდამო კატორღა მიესაჯა და მხოლოდ 3 პირს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. გადასახლებულთა ნაწილი ხარკოვში ჩაასახლეს, სადაც ისინი შახტებში, უმძიმეს პირობებში იძულებით შრომობდნენ. ასე გაგრძელდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, როცა პოლიტიკური ვითარება რუსეთში რადიკალურად შეიცვლება, რა თქმა უნდა, მათ შორის რეპრესირებული აჭარლების მიმართაც.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ „აჭარლების საქმემ“ და მის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა, ქრისტიანი ქართველების, ქართული საზოგადოებრიობის ერთსულოვანმა მხარდაჭერამ და უანგაროდ გაღებულმა მატერიალურმა თუ სულიერმა თანადგომამ ძალიან სერიოზული ზეგავლენა მოახდინა იმჟამად ქართველების ეროვნული კონსოლიდაციის პროცესზე. ტრაგიკული მოვლენების გამო ქარისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ურთიერმოქმედებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა ეროვნული ერთიანობის გრძნობა, რაც უწინ შედარებით ნაკლებად იყო შესამჩნევი. ძმური ურთიერთობის ინტენსივობა და აქტიური რეალური მხარდაჭერა ის მატერიალური საფუძველი აღმოჩნდა, რამაც კიდევ ერთი ნაბიჯი წინ გადაადგმევინა სხვადასხვა კონფესიის ქართველებს ეროვნული ერთიანობის მიღწევის გზაზე. როგორც აჭარლები, ისე ქართლელები, იმერლები, მეგრელები, გურულები ერთიანად იბრძოდნენ საერთო ეროვნული საქმისათვის. მაგალითად, ჟურნალისტი გიორგი პირველი თავის საგაზეთო წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენმა მაჰმადიანმა ძმებმა ნახეს გზა და შეუერთდნენ თავის დედა-სამშობლოს საქართველოს, თავის ძმებს – ქართველებს“.

გაზეთ „სახალხო ფურცელში“ თავის წერილში „სალამი გამოფხიზლებულ ქართველ მუსლიმანებს“ ჟურნალისტი გ. ახალციხელი სწორედ ქართველთა პოლიკონფესიურობის დაძლევის აუცილებლობაზე საუბრობდა და მი-

აჩნდა, რომ მიმდინარე ომი სწორედ აქეთ წაუბიძგებდა როგორც ქრიატიან, ისე მაჰმადიან ქართველებს. ის ხაზგასმით წერდა: „ბევრს იმათგანს ჯეროვანი საზღვარი ვერ დაუდვიათ რწმენასა და ეროვნულ შემეცნებას შორის და ეგრეთვე იმიტომ, რომ ჩვენი მრავალრიცხოვანი მტრები მზაკვრულად ცდილობენ ჩვენს დაქსაქსვას – დაყოფას და ჩვენში ეროვნული გრძნობის აღმოფხვრას... რჯული, რწმენა – ყველა ცალკე პიროვნების სინდისის საქმეა, ვისაც როგორ სურს და ესმის საიქაო ყოფა, ისე იწამოს... შორს აღარ არის ის დრო, როცა თანამემამულეები, რა რჯულისაც უნდა იყვნენ, შეიგნებენ, რომ ჩვენ ყველა ერთი შტოს, ერთი დიდი ოჯახის შვილნი ვართ; საერთო წარსული გვქონდა და შეერთებული ძალით საერთო მომავალიც უნდა შევქმნათ...“[1]

ამრიგად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ომის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლტიკურმა და სამხედრო პროცესებმა, ზოგ შემხვევაში მათმა ტრაგიკულმა შედეგებმაც კი, უდავოდ, გამოიწვიეს ქართველთა ეროვნული ერთიანობის გრძნობის გაძლიერება და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადაიდგა წინ – გაჩნდა სურვილი, ერთობლივი ძალისხმევით გადაელახათ 300 წლიანი გაუცხოვების შედეგები და ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში გარკვეულ წინსვლასაც მიაღწიეს.

§6. სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა თურქეთში და ქართული საზოგადოებრიობა.

I მსოფლიო ომის დროს სომეხი ხალხის მიერ განცდილი დრამა არის XX საუკუნეში ერთ-ერთი უპირველესი და უდიდესი ტრაგედია, გამოწვეული სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებით და ის შეფასებულია კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ უდიდეს დანაშაულად. ამ ტრაგედიის განსაკუთრებული ხასიათი დღეს უკვე აღიარა მსოფლიო სა-

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. 19 ივლისი.

ზოგადოებრიობამ, თუმცა მისი გამომწვევი მიზეზებისა და მასშტაბების შესახებ არის სხვადასხვა აზრი, სხვადასხვა შეფასება სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსთა შრომებსა თუ პოლიტიკოსთა ტრაქტატებში.

საქმე ისაა, რომ I სოფლიო ომის მზადების პერიოდში და ომის მსვლელობის დროსაც, დიდი სახელმწიფოების სპეციალური დანიშნულების ორგანიზაციები (მაგალითად, უშიშროების, დაზვერვის და ა.შ.) ყოველმხრივ ცდილობდნენ მოენახათ მოწინააღმდეგე მხარისათვის „სუსტი რგოლი“, „სუსტი ადგილი“, რომ მათ, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად გამოეყენებინათ ნებისმიერ მოწინააღმდეგე ქვეყანაში მიმდინარე, მათთვის სასარგებლო ტენდენცია, მოვლენა თუ გარემოება, რათა სერიოზულად დაესუსტებინათ მოწინააღმდეგე მხარე. ამას სჩადიოდა ომში ჩაბმული ყველა სახელმწიფო, რა თქმა უნდა, შეძლების ფარგლებში. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორც ინტენსიურ საქმინობას ეწეოდნენ გერმანიის ბლოკის სახელმწიფოები და მათი საიდუმლო სამსახურები რუსეთის იმპერიაში სეპარატისტული ტენდენციების გასაღვივებლად. სამაგალითოდ წარმოვაჩინეთ გ. მაჩაბლის პოლიტიკური ჯგუფის საქმიანობა, რათა გერმანიისა და თურქეთის სახელმწიფოების რეალური დახმარების საფუძველზე მოეხერხებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა – თავისთავად ეს უდავოდ დიდი მამულიშვილური მიზანი იყო. მაგრამ ამ მხარდაჭერისათვის, როგორც დაინახეთ, გერმანიისა და თურქეთის მთავრობა მოითხოვდა ქართველებისაგან ანტირუსული აჯანყების ორგანიზებას, რუსეთის ზურგში პარტიზანული-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას. საქართველოს პოლიტიკური პარტიების დიდმა უმეტესობამ მხარი არ დაუჭირა ასეთ წინადადებას, ხოლო საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი რუსეთისადმი ლოიალურ პოზიციაზე დარჩა.

ანალოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ „ანტანტის“ ქვეყნების საიდუმლო სამსახურები გერმანიის ბლოკის ქვეყნებში, სეპარატისტული ტენდენციების გასაღვივებლად, ომის პირობებში მოწინააღმდეგისათვის დამატებითი პრობლემე-

ბის შესაქმნელად. როგორც თანამედროვე სომხური ისტორიოგრაფია ამტკიცებს, თურქეთის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ეთნიკური სომხების წინააღმდეგ თურქეთის ხელისუფლებას არაერთხელ განუხორციელებია დიდი სადამსჯელო, უკანონო და უსამართლო ღონისძიებები, რომელიც მუდამ ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის დიდი ჯგუფების რეპრესიებით მთავრდებოდა. თურქეთში მცხოვრები სომხების მიმართ ასეთი რეპრესიები, როგორც დასტურდება, ხორციელდებოდა სხვა, არათურქი ეთნოსების მხრიდანაც – ცნობილია, მაგალითად, ქურთების, ჩერქეზების მხრიდან სომხების მასიური მკვლელობების შესახებ.

ამრიგად, სომხები, რომლებიც შეწუხებულნი იყვნენ თურქეთში მათ მიმართ განხორციელებული მასობრივი რეპრესიების გამო, უდავოდ ატარებდნენ გულში ოცნებას, გარკვეული ისტორიული პირობების შემთხვევაში, გამოეყენებინათ საზღვარგარეთის მხარდაჭერა და მოეშორებინათ თურქეთის უღელი, ანუ შეექმნათ სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც მათ დაკარგეს მრავალი საუკუნის წინ...

XX საუკუნის სომხების ეს პოლიტიკური ოცნებები კი ტერიტორიულად უკვე გულისხმობდა ტიგრან დიდის პერიოდის „დიდი სომხეთის“ აღდგენის შესაძლებლობას და ამით ნაყოფიერ საფუძველს უქმნიდა სომხეთის პოლიტიკურ ელიტას, განსაკუთრებით ნაციონალისტური პარტიების ხელმძღვანელებს, ეწარმოებინათ ფარული მოლაპარაკებები ანტითურქულ კოალიციასთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – „ანტანტის“ ბლოკის სახელმწიფოების მესვეურებთან.

თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები 200 ათასი სომეხი ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს რუსეთის სამხედრო ძალებში. ამასთან, „რამდენადაც რუსეთის ცარიზმის დაპყრობითი გეგმები თანხვედრაში აღმოჩნდა სომეხი ხალხის სურვილთან – გაეთავისუფლებინათ დასავლეთ სომხეთის ისტორიული მიწები თურქების ბატონობისაგან, სომხეთის პოლიტიკური პარტიები აქტიურ პროპაგანდისტულ და ორგანიზაციულ საქმიანობას ეწეოდნენ მოხალისეთა მოძრაობის განსა-

ვითარებლად. მათი ძალისხმევით ჩამოყალიბდა მოხალისეთა 7 რაზმი საერთო რაოდენობით 10 ათასი კაცამდე“[1].

ზუსტად ისევე, როგორც გ. მაჩაბლის პოლიტიკური ჯგუფი დაპირდა თურქეთისა და გერმანიის მმართველ წრეებს მოახლოებულ ომში მხარდაჭერას, როგორც ჩანს, ისევე სომეხთა პოლიტიკური პარტიების ლიდერების მნიშვნელოვანი ნაწილიც მხარს უჭერდა რუსეთისა და მისი მოკავშირეების ანტითურქულ პოლიტიკას. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიულ პრესაში ამ მიზნებს სომხები არც მალავდნენ და, მაგალითად, თბილისში გამომავალ სომხურ და რუსულ გაზეთებში ამის შესახებ საკმაოდ ხშირად ბეჭდავდნენ კიდეც ანტითურქულ სტატიებს.

თურქეთი კი XX საუკუნის დასაწყისში, როგორც აღვნიშნეთ, ძლიერ დასუსტებული პოლიეთნიკური სახელმწიფო იყო და კოლონიალურ იმპერიებს ძალიან სურდათ ხელში ჩაეგდოთ იმჟამად ჯერ კიდევ თურქების ხელში მოქცეული თითქმის მთელი არაბული სამყარო. აქედან გამომდინარე, „ანტანტის“ ქვეყნების ხელმძღვანელები თურქებისადმი მტრულად განწყობილ ყველა პოტენციურ ძალას ყოველმხრივ მხარდაჭერას პირდებოდნენ, მაგრამ განსხვავებით საქართველოსაგან, სადაც გ. მაჩაბლის პოლიტიკურ დაჯგუფებას მხარი თითქმის არავინ დაუჭირა, რუსეთის იმპერიაში პრივილიგირებული სომხური ბურჟუაზიის ნაციონალისტური პრესა ყოველმხრივ ახალისებდა ანტითურქულ საქმიანობას, განსაკუთრებით კავკასიის რეგიონში. ზემოთაღნიშნული 7 მოხალისე ბრიგადის შექმნაში კავკასიის, განსაკუთრებით თბილისის სომხური გაზეთების რედაქციების დიდი დამსახურებაც იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საზოგადოებრიობას აშკარად აფრთხობდა თბილისის სომხური პრესის ზოგიერთი ფლაგმანის (მაგალითად, გაზ. „ჰორიზონის“ რედაქციის) ანტითურქული, პროვოკაციული პუბლიკაციები ჯერ კიდევ ომში თურქეთის ოფიციალურ ჩაბმამდეც. როგორც ჩანს, კავკასიის სომხური პოლიტიკური სპექტრის

[1] А.Э.Хачикян, История Армении. Ереван, 2016, стр. 171.

გარკვეულ ჯგუფებს სურდათ ქართველების „შეგულიანებაც“, მათი პროვოცირება, რომ უფრო გააქტიურებულიყვნენ ანტითურქულ საქმიანობაში. მაგალითად, თბილისის სომხური პრესა ბეჭდავდა ინფორმაციას, რომ თურქეთის ემისრები პირდებონენ სომხებს და მათთან ერთად ქართველებსაც და ადგილობრივ მცხოვრებ მაჰმადიანებს, რომ ისინი „ამიერკავკასიას გადააქცევდნენ თვითმმართველ ოჯახად, რომ სამი უმთავრესი ერი სომხობა, ქართველობა და თათრები მიიღებდნენ ავტონომიას. თუ მოხერხდებოდა ოსმალეთისა და რუსეთის სომხობის ერთი თვითმმართველობის ქვეშ გაერთიანება“[1].

იგივე გაზეთმა „ჰორიზონი“ ქართველების „შესანჯღრევად“ გამოაქვეყნა ცნობა სტამბოლიდან, რომ „სტამბოლის ქუჩებში ვიღაც საეჭვო პირები ჩოხებსა და ფაფახებში გამოწყობილნი, ხანჯლებით შეიარაღებულნი“ საიდუმლოდ თათბირობდნენ „სხვადასხვა პირთან ქართველი ერის სახელით.“[2]

არ არის გამორიცხული, რომ სტამბოლში მცხოვრებმა სომხებმა მართლაც, დააფიქსირეს გ. მაჩაბლის პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლები ან რაიმე ინფორმაცია ჰქონდათ მათ ურთიერთობებზე თურქეთის ხელისუფლებასთან (ჩვენ ხომ ზემოთ აღვნიშნეთ ამ მოლაპარაკებების აქტიური ფაზის შესახებ), რაც თბილისში აცნობეს და ეს ინფორმაცია გაზეთმა გაასაჯაროვა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოებრიობა ამ ცნობას ძალიან სკეპტიკურად მოეკიდა: „იმ წუთს, როდესაც მთელს იმპერიაში ერთგულება და ლოიალობა მოქალაქეობის პირველ სათნოებად არის აღიარებული – წერა იმის შესახებ, რომ სტამბოლში ვიღაც უსახელო პირებს ქართველი ერის სახელით რაღაც მოლაპარაკება აქვთ გამართული – ნამდვილი დაბეზღებაა“ – აღშფოთებას ვერ მალავდა ერთ-ერთი ქართული გაზეთის კორესპონდენტი.

---

[1] გაზ. „ახალი ევერია“, 1914 წ. 11 ოქტომბერი.

[2] იქვე, 14 ოქტომბერი.

ზემოთ მოტანილი ქართული საზოგადოებრივი აზრის მეტად იმპულსური, მაგრამ ფრთხილი და სამართლიანი განცხადება ჩვენ ძალზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება: „როდესაც მთელს იმპერიაში ერთგულება და ლოიალობა მოქალაქეობის პირველ სათნოებად არის აღიარებული“ – ასეა მინიშნებული საგაზეთო წერილში. ამ პუბლიკაციიდან ჩვენ გამოვყოფდით ფრაზას – „ერთგულება და ლოიალობა“ – როგორც პოლიტიკური სიბრძნის ნიმუშს და აუცილებელი პოლიტიკური ქმედებების ბარომეტრს გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომ ვიღაცის დაუფიქრებელმა დემარშმა არ გამოიწვიოს მომავალში ერისათვის, საზოგადოებრიობისათვის საბედისწერო შედეგების მთელი კასკადი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოებრიობა ასევე ფრთხილი იყო სომხური პრესის იმ ეიფორიის მიმართაც, რაც ძალიან შესამჩნევი გახდა სარიყამიშში რუსეთის წარმატებული ოპერაციის შემდეგ. ამ ეიფორიამ ტოტალურად მოიცვა სომხური საზოგადოებრიობა როგორც თბილისში, ისე თურქეთის სომხებით დასახლებულ ტერიტორიებზე. სწორედ სარიყამიშის ბრძოლამ შეუქმნა თურქეთის სომხებს ილუზია, რომ თურქების საქმე საბოლოოდ წაგებულია და მათ დაუყოვნებლივ გააძლიერეს ანტითურქული საქმიანობა თურქეთის ტერიტორიაზეც. თბილისის სომხურ პრესაში იბეჭდებოდა ასეთი მოწოდებები: „სომხები იარაღით ხელში ამჟამად იბრძვიან სომხეთის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ამავე დროს ისინი თავისი მსხვერპლით სჭედენ უკეთეს მომავალს საქართველოსა და ქართველებისათვის“[1] .

აშკარაა, რომ თბილისის სომხურენოვანი გაზეთების ხელმძღვანელები ასეთი შეძახილებით ქართველებისაგან რაღაც ქმედებებს მოითხოვდნენ, ან ამ ქმედებების კიდევ უფრო გააქტიურებას ცდილობდნენ (ეს შეძახილები საოცრად წააგავს თანამედროვე უკრაინელი პოლიტიკოსების მოწოდებებს, რომლებსაც საქართველოს ჩართვა სურთ რუსე-

[1] გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. 13 ნოემბერი.

თის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოელიან „მეორე ფრონტის“ გახსნას).

როგორი იყო ქართველი მხარის რეაქცია ასეთ მოწოდებებზე?

ზომიერი და გაწონასწორებული!

„ქართველ საზოგადოებაში, ერში არ მოიპოვება არც ერთი პირი, რომელსაც არ ახარებდეს საზოგადოთ რომელიმე ერის განთავისუფლება, მით უფრო მეზობლისა. ამიტომ ყოველთვის უნდა მოელოდოს განურჩევლად ყველა დაჩაგრული ერი, მათ შორის სომხებიც, ქართველების მხრით თანაგრძნობას და სიმპატიას“ – საოცრად დიპლომატიური და გაწონასწორებული პასუხია.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამან მაინც არ დააკმაყოფილა თბილისის სომხური პოლიტიკური ელიტა. აშკარაა, რომ 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში როგორც კავკასიის, ისე თურქეთის სომხებში გარკვეული პოლიტიკური ძალები ძალიან დიდი ოპტიმიზმის იმედებს აღძრავდნენ. თბილისის სომხურ გაზეთებში უკვე ვრცელდებოდა ინფორმაცია ახლო მომავალში სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ რუსი ან უცხოელი პრინცის მეთაურობით. მეტად შორსმჭვრეტელური და დროული გვეჩვენება ქართული გაზეთის „ახალი ივერიის“ ანონიმური ავტორის წერილის შემდეგი შეგონება: „რაიმე რეალური, პოლიტიკური თამასუქი ან თუნდაც დაპირება მაინც, სომხებს ჯერ არა აქვთ და ძნელია ლაპარაკი იმაზედ თუ სინამდვილეში რა სახეს მიიღებს სომხების დღევანდელი მისწრაფება“.[1]

მალე დადგა 1915 წელი, რომელმაც თურქეთის სომხებისათვის აშკარად შეცვალა ვითარება. სომხური ოფიციალური ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ 1911 წელს „ახალგაზრდა თურქების“ პარტიის საიდუმლო თათბირების დროს მიიღეს გადაწყვეტილება თურქეთის იმპერიის პოლიეთნიკური მოსახლეობის გათურქების, ხოლო ქრისტიანების – ამოწყვეტის შესახებ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ახალგაზრდა თურქებმა“ ეს ამოცანა თავის პოლი-

[1] იქვე, 18 ნოემბერი.

ტიკურ მიზნად გაიხადეს. სომეხი ისტორიკოსების მტკიცებით, გენოციდი გარკვეულ, წინასწარ შემუშავებულ გეგმას დაექვემდებარა – არმიაში გაიწვიეს თურქეთში მცხოვრები ყველა სომეხი მამაკაცი, რათა სომეხი ეთნოსისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა არ მიეცათ. მეორეც – მთლიანად იქნა ლიკვიდირებული სომეხი ინტელიგენცია, რათა მას არ მოეხდინა სომხური წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზება. როგორც ამტკიცებენ, 1915 წლის მარტ-აპრილში დააპატიმრეს 600 კაცი: თურქეთის პარლამენტის სომეხი დეპუტატები, მწერლები, ცნობილი კომპოზიტორი კომიტასი. პატიმრობის ადგილებში მათზე ძალადობდნენ, აყენებდნენ შეურაცხყოფას, ამცირებდნენ. 1915 წლის 24 აპრილს თურქეთის მთავრობამ სიკვდილით დასაჯა 20 სომეხი პოლიტპატიმარი.[1]

თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის სომხურ ვილაეთებში სულ 2,5 მილიონი ეთნიკური სომეხი ცხოვრობდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1915 წლის მარტ-აპრილში ჩატარებული რეპრესიები თურქეთის მხრიდან საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება იმ მასშტაბებთან შედარებით, რაზეც დამოწმებული სომეხი ავტორი ამახვილებს ყურადღებას და რაზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

ინფორმაცია თურქეთში მიდინარე დრამატული მოვლენების შესახებ ქართულ პრესაში პირველად უკვე 1915 წლის 3 აპრილს გახმოვანდა და ეხებოდა ყარსის ოლქის (რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში) სოფლებში სომეხი ხიზნების სავალალო მდგომარეობას. სოფელ მიცარსაში ლტოლვილი იყო 1 500 სომეხი. „სიბინძურე, ანტისანიტარია, საოფლეა გავრცელებული. არც ექიმი, არც ფერშალი. ეკონომიკურადაც დიდ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ მაშველი არავინაა. დახმარება ხიზანზე იყო 17 კაპ. სულზე. ადგილობრივები (ე.ი. სომხები – ა.დ.) ლტოლვილებს ტყავს აძრობენ. 1 ჭიქა რძეში 5 კაპ. ახდევინებენ, როცა ადრე 5 კაპ. ლიტრი ღირდა.“[2]

---

[1] А.Э.Хачикян, დასახ. ნაშრომი, გვ. 172-173.

[2] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 3 აპრილი.

უკვე 1915 წლის ზაფხულის თვეებში ქართულ პერიოდიკაში თურქეთის სომხებთან დაკავშირებით მეტად დრამატული ინფორმაციები გაჩნდა: „სტამბოლში სომხების ყველა დუქანი დაკეტილია, სომხების ქონება თათრებს მთლიანად მიუთვისებიათ, ამიტომ სომხობა განიცდის საშინელ სიღარიბეს. ხოცა-ჟლეტის შიშით გარეთ არავით გამოდის... სტამბოლის პოლიციელები შედიან სიებით სახლიდან სახლში და იჭერენ სიაში აღნიშნულ პირებს... თათრებს კილიკიაში დაუხოციათ 40 000 სომეხი, ქალაქი ერზინკა, ბაბერდი და ქღი გაწმენდილია სომხებისაგან. ხნუს-კალეის სომხობა მთლად დახოცილია. დიაბექირში სომეხთა დაპატიმრება გრძელდება. ეჩმიაძინში ამჟამად იმყოფება 35 000 გამოქცეული, ერევანში – 20 000. გამოქცეულთა მდგომარეობა აუწერელია. უმრავლესობა ავადაა...“[1]

როგორც ქართული გაზეთებიდან ირკვევა, 1915 წლის ზაფხულში თურქეთში დაწყებულმა ანტისომხურ ექსცესებს ვანის ოლქში სომხების დიდი სამხედრო წინააღმდეგობა გამოუწვევია, რადგან არის ცნობა, რომ „ვანელი და ალაშქერთელი სომხები, 12 000 სომეხი იბრძვის“.[2]

თუ სომეხ ავტორს დავუჯერებთ, რომ თურქეთმა მთელი ზრდასრული მამაკაცები ჯარში გაიწვია, იბადება კითხვა საიდან გაჩნდნენ ვანსა და ალაშქერთში 12 000-იან ჯარში სომეხი მამაკაცები, ან ვინ აღჭურვა ისინი, რომ მათ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა? ეს კითხვა ჯერაც პასუხგაუცემელია და კვლევას საჭიროებს.

სომხების აჯანყებამ დამოუკიდებელი სახელწიფოს შესაქმნელად, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გააღიზიანა თურქეთის მხარე. რეპრესიების ტალღა კიდევ უფრო გაძლიერდა და ყოვლისმომცველი გახდა. სომხური წყარო არ იძლევა საშუალებას, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის უშუალო პროცესზე. ის გვმცნობს მხოლოდ შედეგს: თურქეთის იმპერიის 2,5 მილიონიანი სომეხი მოსახლეობიდან 1,5 მილიონი მთლიანად განადგურდა,

---

[1] იქვე, 13 აგვისტო.

[2] იქვე, 18 აგვისტო.

დანარჩენი გაიფანტა მთელს მსოფლიოში. პროფ. ა. ხაჩიკიანი აღნიშნავს, რომ „მოსახლეობის ნაწილმა თავის შველა შეძლო რუსეთის არმიის დახმარებით და, მიატოვა რა ყველაფერი, მშობლიური ადგილებიდან გაიქცა რუსეთის იმპერიის საზღვრებში“.[1]

მაგრამ სომეხი ავტორი არაფერს ამბობს, რომ რუსეთის იმპერიაში შემოსული სომეხი ლტოლვილების უდიდესი ნაწილი საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში განთავსდა: ახალქალაქში, აჭარაში, სოხუმის ოლქში. ბევრი ჩამოვიდა თბილისში, გორში. დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ საქართველოში 1915 წელს, სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის პიკის პერიოდში, დაახლოებით 30 ათასი სომეხი ლტოლვილი იმყოფებოდა. ბერძენი ლტოლვილების დიდი რაოდენობა ასევე თავმოყრილი იყო შავი ზღვის სანავსადგურო ქალაქებში – ბათუმში, სოხუმში.

ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტური ცნობებით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული იყვნენ სომეხი ლტოლვილები: ბიტლისიდან (ხაჩმანუკიანები, კანდახჩიანები, კაუკჩიანები, სირუნიანები, გუკასიანები, სააკიანები და სხვ.), ვანიდან (დაბაღიანები, შატახჩიანები, მელიქიანები და სხვ.), ერზრუმიდან (აღაჯანიანები, ბოიაჯიანები, ტატიკიანები და სხვ.), ყარსიდან (ასლანიანები, აივაზიანები, აკოპიანები და სხვ.), ტრაპიზონიდან (ვაგანიანები, არუთიანები, მინასიანები, კირაკოსიანები, ლაზარიანები და სხვ).[2]

სომეხი ლტოლვილების ეს უზარმაზარი არმია გაიფანტა თბილისში, გორში, ბორჩალოში, ახალქალაქსა და ახალციხეში, შეერია იქ უკვე მცხოვრებ სომეხ მოსახლეობას და გააძლიერა ამ რეგიონებში სომხური ეთნოსის პოზიცია, ეს ტერიტორიები სამშობლოდ გაიხადა, რა თქმა უნდა „მეორე სამშობლოდ“, რადგან მათ თავის ისტორიულ სამშობლოში – თურქეთის სომხეთში წასვლა და მისთვის ბრძოლა უკვე აღარ უნდოდათ.

---

[1] А. Э. Хачикян, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

[2] საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 13, აღ. 1, ს. 41, ფურც. 17-18.

რა თქმა უნდა, ლტოლვილებმა დამატებითი პრობლემები შეუქმნეს კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას და ქართველობასაც – მათი პატრონობა, დაბინავება, კვება თავის თავზე აიღეს როგორც სახელმწიფო, ისე საქველმოქმედო ორგანიზაციებმა. ეს პროცესი არ იყო უმტკივნეულო, არის ცნობები, რომ აფხაზეთში განთავსებული სომეხი ლტოლვილების მიმართ ადგილობრივმა მაჰმადიანებმა განახორციელეს ძალადობა, მოკლეს რამდენიმე სომეხი ლტოლვილი.

თბილისში სომეხი ლტოლვილები განათავსეს საბურთალოს ჯერ კიდევ დაუსახლებელ ტერიტორიებზე. თბილისის სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენლები მაქსიმალურს აკეთებდნენ თანატომელების დასახმარებლად. ქართველმა ხალხმა გულით მიიღო თურქების გენოციდს გამოქცეული მოძმე სომეხი ხალხის წარმომადგენლები. ათასჯერ სწორია მკვლევარი ლ. თოიძე, როცა აღნიშნავს: „ვინმეს ხომ უნდა შეეკედლებინა ეს მართლაც დაჩაგრული, მაშინ ბედისაგან განწირული, თავისუფლებისმოყვარე და პატიოსანი ხალხი. ხომ არ შეიძლება ყველას ხელი ეკრა მათთვის? ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის მაღალ პრინციპებს რომ თავი დავანებოთ, უბრალო ადამიანური დამოკიდებულება ხომ უნდა გამოეჩინათ მათ მიმართ? შიმშილით ღია ცის ქვეშ ხომ არ უნდა დახოცილიყვნენ?“ [1].

ქართველობამ დიდი მწუხარებით აღიქვა მოძმე ერის ეს უბედურება. თბილისის გაზეთები აღსავსე იყო თანაგრძნობის წერილებით, მოძმე ხალხის უბედურების გათავისების სურვილით და იმ მიზეზების გარკვევით, თუ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა!

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთში მცხოვრები სომეხთა 2/3 გაჟლიტეს და მთელი სომხეთი ააოხრეს... ამის მსგავსი რამ ახალ ისტორიას არ ახსოვს. დემოკრატიის თანაგრძნობა სომეხი ერის მხარეზეა. ოსმალეთის ომში ჩართვისთანავე სომეხთა განთავისუფლების საკითხიც წა-

[1] ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ., 1999, გვ.186.

მოდგა... დემოკრატიის ვალია ისარგებლოს ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით ეროვნული მონობის ამოსაგდებად და თავისუფლების დასამყარებლად“[1].

ქართული საზოგადოებრივი აზრი შეძრწუნებული იყო მოძმე სომეხი ერის ტრაგედიის მასშტაბებით და შედეგებით და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მოსაწონი და ხაზგასასმელია, ქართველმა პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ტრაგიკული პრობლემის დამუშავება და საყურადღებო თვალსაზრისების ჩამოყალიბება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია გაზეთ „თანამედროვე აზრში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რომელშიც საუბარია სომეხი ერის ლიდერების საქმიანობაზე, მათ გეგმებზე, მათი პასუხისმგებლობის ხარისხზე. აი, რას წერდა ქართული გაზეთი მათი საქმიანობის შესახებ: „პრესაში არკვევენ სხვადასხვა პროექტს სომხეთის მომავალი მოწესრიგების შესახებ. მათი მთავარი ნაკლია ის, რომ ყველა წინადადება შენდება პრობლემატურ დებულებაზე – ოსმალეთის იმპერიის დაქუცმაცებულობაზე ე.ი. დავობენ ჯერ კიდევ ცოცხალი მხეცის ტყავის დანაწილებაზე. აზრი ეყრდნობა არა ფაქტს, არამედ სურვილს. არა სამშვიდობო კონფერენციას, ძალთა რეალურ განაწილებებს. ამ სურვილზეა აგებული არა მხოლოდ სხვადასხვა პროექტები, არამედ გარკვეული ეროვნული პოლიტიკაც. მარა წარმოვიდგინოთ, რომ მხეცი ცოცხალი დარჩა, სურვილი ოცნებად გადაიქცა, რა მოხდება მაშინ? კავკასიის „განთავისუფლების“ იმედი დაიმსხვრევა, ხოლო სომეხთა ერი ოსმალეთში ისეთ საფრთხეში ჩავარდება, რომელიც მას დედამიწის ზურგიდან სრულად აღგვას უქადის. ნაციის მომავლის დაკავშირება იმ სახელმწიფოს დაფშვნასთან, რომლის ფარგლებში ერი ბინადროს, ეს ნიშნავს ერის ბედის სათამაშო საგნად გადაქცევას.“[2]

უნდა აღინიშნოს, რომ საოცრად გაწონასწორებული და დროის გადასახედიდანაც კი – უაღრესად პრაგმატული

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 20 ოქტომბერი.

[2] იქვე.

და სამართლიანი თვალსაზრისია. მიგვაჩნია, რომ ავტორი ამ შემხვევაში სომხების ტრაგედიაზე კი საუბრობს, მაგრამ საკუთარი ერი – ქართველობა ჰყავს მხედველობაში და მის მომავალზე აკეთებს აქცენტს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ როგორც სომეხ მოსახლეობას შთააგონებდნენ გარკვეული უცხო პოლიტიკური ძალები და საკუთარი ლიდერებიც კი შეიარაღებული გამოსვლების დაწყებას საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ, ისევე საქართველოშიც იყვნენ ძალები, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ I მსოფლიო ომის დროს შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და გერმანიისა და თურქეთის დახმარებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა აჯანყების გზით. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ პოლიტიკოსებს გულისხმობდა გაზეთ „თანამედროვე აზრის“ მიმომხილველი თავის პოლიტიკურ შენიშვნებში და აფრთხილებდა როგორც ქართველ ხალხს, ისე მის პოლიტიკურ ელიტას, რომ თავი შეეკავებინათ ავანტურისტული, გაუაზრებელი პოლიტიკური ნაბიჯებისაგან, რაც ქართველ ხალხს სომხების ბედში ჩააგდებდა. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი პოლიტიკური თვალსაზრისების ჰეგემონიამ უზრუნველყო I მსოფლიო ომის დროს საქართველოში შესაძლო მასობრივი ხოცვა-ჟლეტის პროცესის თავიდან აცილება. ეს კი ქართველი საზოგადოებრიობის უდიდესი დამსახურებაა ქართველი ერის წინაშე.

თავი V

ქართული საზოგადოებრიობის სადაბი დღეები

§1. ეკონომიკური განვითარება

I მსოფლიო ომის წინ საქართველო სრულად იყო ინტეგრირებული რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში და მას მომავალი განვითარებისათვის საკმაოდ ძლიერი იმპულსებიც ჰქონდა. როგორც უახლესი გამოკვლევები ადასტურებენ, საქართველოს ეკონომიკა კაპიტალისტურ საფუძველზე კი ვითარდებოდა, თუმცა არა სრულყოფილი, „კლასიკური“ ფორმით, არამედ ე.წ. „მიბაძვივის ფორმით“, რაც გამოწვეული იყო რიგი ადგილობრივი თავისებურებებით:

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიაში, კაპიტალიზმი ვითარდებოდა რუსეთის თვითმპყრობელური მონარქიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში (ანუ „კაპიტალიზმის არათავისუფალი განვითარება“), რუსული ბიუროკრატიული სახელმწიფო მანქანის მიერ ძლიერ დამახინჯებული. ამასთან, საქართველოში ამას ემატებოდა „კოლონიზატორული პოლიტიკის“ რეალიზების პირობები და აშკარად გამოხატული, რუსეთისათვის მუდამ დამახასიათებელი „მიბაძვის ფორმა“, რომელსაც მთელი თავისი არსებობის მანძილზე მუდამ ჰქონდა ევროპის „დაწევის“ მიზანი[1];

კლასიკური კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, საქართველოში (ისევე როგორც რუსეთში) კაპიტალიზმი განვითარდა ორთოდოქსული საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ყოფიერების პირობებში (ფილოსოფოს მ. ვებერის კონცეფციის გათვალისწინებით). ამან პროტესტანტული მსოფლმხედველობის განვითარების ორგანულ შედეგს – კაპიტალიზმის ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებს თავისი სპეციფიკური შინაარსი და, აქედან გამომდინარე, მკვეთ-

[1] ამის შესახებ დეტალურად იხ.: ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, საქმიანი საქართველო 1801-1920 წწ., თბ., 2022, გვ. 199-201.

რი თავისებურებები შესძინა, რამაც საგრძნობლად შეაფერ-ხა სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი ამ სფეროში;

საქართველოში აგრარული სექტორი ყველაზე ნაკლებად დაემორჩილა კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებს: ვერ მოხერხდა ტოტალური ფეოდალი მემამულის კაპიტალისტურ აგრომეწარმედ გარდაქმნა. თავადაზნაურობის, როგორც კლასის ევოლუცია, მრავალმხრივ იყო გაძნელებული რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს თავადაზნაურული ბუნების გამო. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ თითქმის ყველა ქართული თავადაზნაურულ-კაპიტალისტური წამოწყება აგრარულ სფეროში, უპერსპექტივო აღმოჩნდა და შეწყვიტა არსებობა (დ. ჭავჭავაძის მამული, ივ. მუხრან-ბატონის მამული და სხვ.). საქართველოს გლეხობის უზარმაზარი მასა პროლეტარიზაციის პროცესს ნაკლებად დაექვემდებარა და თავისუფალი პროლეტარიატი („მოჯამაგირეები“) გლეხობის საერთო შემადგენლობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა. რაც შეეხება სოფლის ბურჟუაზიას, მისი ხვედრითი წილი, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, მერყეობდა 1,2 პროცენტიდან 5 პროცენტამდე. გლეხობის ძირითადი ნაწილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მქონე „საშუალო გლეხის“ კატეგორიას წარმოადგენდა უხვად შემორჩენილი გლეხური ფსიქოლოგიით, რაც ასევე აძნელებდა საზოგადოებრიობის კაპიტალიზაციის პროცესს.

ამ პროცესთან სრულ თანხვედრაში ჩანს მხოლოდ საქართველოს სავაჭრო-კომერციული სექტორი, რომელიც ქართულ სინამდვილეში „პირველადი კაპიტალის დაგროვების“ მთავარი ბერკეტი გახდა და სწორედ ამ სფეროში მოპოვებული ფულით დაიწყო კაპიტალიზმის ადრეული ინვესტიციები ინდივიდუალურ, კომერციულ დონეზე. რამდენადაც საქართველოში სავაჭრო-კომერციული სფერო ძირითადად მონოპოლიზებული იყო არაქართველი ეთნოსების მხრიდან (ამ სფეროში უფრო აქტიურობდნენ სომხები), საქართველოში კაპიტალისტებს შორის გაბატონებული მდგომარეობა თავიდანვე მოიპოვეს ამ ეთნოსის წარმომადგენლებმა, რამაც არა მარტო მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კაპი-

ტალიზმის განვითარებაზე საქართველოში, არამედ არაჯანსაღი ურთიერთობა ჩამოაყალიბა სომეხ ბურჟუასა და ქართველ პროლეტარიატს შორის, მოგვიანებით – სომეხ ბურჟუაზიასა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის.

საქართველოში დაწყებული კაპიტალიზმის დამკვიდრების პროცესი შეეხო მეურნეობრიობის მრავალ მიმართულებას, მაგრამ კაპიტალიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ მხოლოდ ის საწარმოები, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკურ მიმოქცევაში თავიდანვე ჩაებნენ და მსოფლიო ბაზრის ინტერესებს აკმაყოფილებდნენ (მარგანეცისა და ქვანახშირის წარმოება, ბაქოს ნავთობის ევროპაში იმპორტირებისათვის ბიდონების წარმოება, სპილენძის წარმოება და ა.შ.). დანარჩენი საშუალო და წვრილი საწარმოები გამოირჩეოდნენ არასტაბილური მუშაობით და აშკარად მილევად რეჟიმში იმყოფებოდნენ.

კაპიტალისტური საწარმოებისათვის მანქანა-დანადგარები და კვალიფიციური მუშახელი კაპიტალიზაციის თითქმის სრულ პერიოდში (1870-1920 წწ.) შემოდიოდა დასავლეთ ევროპიდან. ამ აუცილებელი „კონვეირის“ შეფერხება, მისი მწყობრიდან გამოსვლა იწვევდა მთლიანი ეკონომიკური ციკლის მოშლას მეტად დრამატული სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით (ამის მაგალითი ძალიან ბევრია).

საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მნიშვნელოვანი წილი იმპერიის საფინანსო ინსტიტუციებს ეკუთვნდა („სახაზინო წარმოება“) – რკინიგზების, პორტების, უმნიშვნელოვანესი საწარმოების, „საუფლისწულო მამულების“ ფლობა და განკარგვა სახელწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა. პარალელურად, ეკონომიკაში შემოდიოდა უცხოური (ნობელის, როტშილდის, „ბელგიის ანონიმური საზოგადოების“ და ა.შ.) და ადგილობრივი (ხოშტარიას, სარაჯიშვილის, იარალოვის, ადელხანოვისა და სხვ.) მნიშვნელოვანი ინვესტიციებიც. სერიოზულ საინვესტიციო გარემოს ქმნიდნენ კომერციული ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები (თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები, თბი-

ლისის კომერციული ბანკი და სხვ.). XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, რუსეთში განხორციელებული ფინანსური რეფორმის წყალობით შენარჩუნებული იქნა გარკვეული ფინანსური სტაბილურობა, დაბალი ინფლაცია და ეკონორმიკურ პროცესების დინამიკა. ამ სფეროში (სექტორებში) კაპიტალიზაციის დონე შედარებით მაღალი ჩანს.

მაკროეკონომიკური სტატისტიკის ანალიზი მოწმობს, რომ XX საუკუნის 10-იან წლებში კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ „გარდამავალი“ (ე.წ. „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“), ანუ მისი პირველი ეტაპი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო: არამდგრადობა განვითარებაში, ალტერნატიულობა, მრავალწყობიანობის სინდრომი, ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნების სურვილი, ეკონომიკური საქმიანობის მოტივირება და ა.შ. (პროფ. პროსკურიაკოვას თვალსაზრისი)[1].

ბოლო წლებში რუსულ და საზღვარგარეთულ გამოცემებში ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება I მსოფლიო ომის წინ რუსეთის ეკონომიკის განსაკუთრებით გამორჩეული მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, ჰიუსტონის უნივერსიტეტის პროფ. პ. გრეგორი ამტკიცებს, რომ მისი კვლევების მიხედვით რუსეთის ეკონომიკის ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავია: 1910-1913 წლებში ის შეადგენს 7,5 პროცენტს. მისი მიხედვით 1890-1913 წლების მონაკვეთში ეკონომიკური ზრდით რუსეთი უსწრებს გერმანიას, იტალიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს.[2]

თუმცა უფრო კრიტიკულად განმსჭვალული თანამედროვე რუსი ექსპერტები ადასტურებენ, რომ ომის წინ რუსეთის ეკონომიკა სერიოზული კრიზისის ნიშნებს ავლენდა: „ადგილი აქვს ეკონომიკის განვითარების ტემპების საგრძნობ შემცირებას. იმპერიის ეკონომიკა „გადახურდა“ და გარკვეულ ეკონომიკურ ზრდას მოჰყვა საქმიანი ურთიერთობის დაქვეითება, ზოგიერთ დარგში (მაგალითად, მეტა-

[1]მხედველობაში გვაქვს მოსაზრებები გამოთქმული საიტზე: https://sputnikiprogram.com/history/empire-ekonomiks/866885/ee1/#Y15nS_pBzcs.pp.9.

[2] იქვე.

ლურგიაში) გამოიკვეთა აშკარა კრიზისი. ზედმეტად გაიბერა „ბუშტი“ საფონდო ბირჟაზე, ბევრი მნიშვნელოვანი ბანკისა თუ სააქციო საზოგადოების აქციების ღირებულება განახევრდა...“[1]

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ თანამედროვე ექსპერტების მოსაზრებებს აშკარად წინ უსწრებდნენ და საკმაოდ ობიექტურადაც კი აფასებდნენ უკვე I მსოფლიო ომის პერიოდში გაზეთ „თანამედროვე აზრის“ პუბლიცისტები ომის დაწყების მეორე წელსვე: „რუსეთი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანაა, მისი საწარმოო ძალები განუვითარებელია, მისი ბუნებრივი სიმდიდრეების, ვგონებთ, ერთი მეათასედიც არ არის დამუშავებული“[2].

რუსეთის ეკონომიკაში პრობლემები და თავისებურებები განსაკუთრებით საცნაური გახდა ომის დაწყებისთანავე, როცა ომმა მოითხოვა საწარმოო მუშაობის რადიკალური გარდაქმნა, ახალი გამოწვევების, მოთხოვნების გათვალისწინება და ადაპტირება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო პირობებში. ყველა საწარმომ ეს ვერ შეძლო, ვერც ცენტრში და ვერც პერიფერიაში, ამიტომაც ომით გამოწვეული სამრეწველო კრიზისის ნიშნები თანდათან მოედო მთელი ქვეყნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას.

ომის დაწყების პირველსავე თვეებში სერიოზულმა პრობლემებმა იჩინა თავი საქართველოს სოფლის მეურნეობაში: სოფლის მამაკაცების მასობრივმა მობილიზაციამ სასოფლო სექტორი მუშახელის გარეშე დატოვა, მობილიზაციას დაექვემდებარა მუშა პირუტყვიც – ცხენი, რამაც კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ომის წლებში ძალიან გაძნელდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენა, რემონტი ან მისი განახლება. შემცირდა ხორბლეულის ნათესი ფართობები, მუშახელი მოაკლდა მეაბრეშუმეობას, მევენახეობას, მეთამბაქოეობას. როგორც ქართველი ექსპერტი-აგრარიკოსი მიუთი-

---

[1] იქვე, გვ. 30.

[2] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 12 აპრილი.

თებს: „ომმა საქართველოს სოფლის მეურნეობა რღვევისა და მოშლის გზაზე დააყენა. მოსახლეობის ყველაზე ჯანსაღი და შრომისუნარიანი ნაწილის არმიაში გაწვევამ მეურნეობის ყველა დარგი დასცა. ომის წლებში გაცვდა და დაიმტვრა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომელთა ყიდვა-განახლება ომის პირობებში აღარ შეიძლებოდა. შემცირდა ხორბლეულის ნათესი ფართობები. მეაბრეშუმეობას, მევენახეობას, მეთამბაქოეობას და ინტენსიური მეურნეობის სხვა დარგებს გაჩანაგება დაეტყო. იკლო შინაური პირუტყვის რაოდენობამ. გლეხობას შემოაცვდა აუცილებელი საოჯახო მოწყობილობა, ტანსაცმელი. სოფლებში მასობრივმა სიღატაკემ და შიმშილობამ დაისადგურა“.[1]

მართალია, ეს დასკვნა ეკუთვნის საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლს, მაგრამ ის ზუსტად ასახავს ომის პირობებში ქართულ სოფელში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. ამას ადასტურებს დღევანდელი კვლევებიც და ახალი საარქივო თუ პრესის მონაცემები.

ომის წლებში, ჩვენი კვლევის შედეგად, მართლაც, ძლიერ დაზიანდა ინტენსიური სოფლის მეურნეობა, რომელიც კვალიფიცირებულ მუშახელსა და გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს მოითხოვდა. ტექნიკური კულტურების მოყვანა ან ძალიან შემცირდა, ან სრულიად შეწყდა.

სტატისტიკური კრებულებს მონაცემებით, უკვე 1916 წელს ხორბლის ნათესები თბილისის გუბერნიაში 173 071 დესეტინამდე, ქუთაისის გუბერნიაში – 150 816 დესეტინამდე შემცირდა[2].

სერიოზული პრობლემები შეექმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს – მეცხოველეობას. ომის წლებში მასობრივი ხასიათი მიიღო საქონლის ეპიდემიურმა დაავადებებმა, რამაც დიდძალი პირუტყვი იმსხვერპლა. როგორც ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, 1913 წელთან შედარებით 1916 წელს საქართველოში მსხილ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 374.

[2] სტატისტიკური კრებული 1909-1921 წწ. გვ. 15, ცხრ. 11.

ფეხა პირუტყვის რაოდენობა შემცირდა 282 814 სულით – რაც სერიოზული დანაკარგი იყო.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ომის წლებში ძლიერ შემცირდა მოსავლიანობა, რაც მთელი რიგი ფაქტორებით იყო გამოწვეული. ომის წლები გამოირჩეოდა ცუდი მეტეოროლოგიური პირობებით: დასავლეთ საქართველოში ვეგეტაციის პერიოდში ინტენსიური წვიმები არ იძლეოდა სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დროულად ჩატარების საშუალებას, რაც ცუდად აისახებოდა მოსავლის შედეგებზე. აღმოსავლეთ საქართველოში გვალვები და უთოვლო ზამთარიც ხელს უშლიდა ვეგეტაციურ პროცესებს. საქართველოს პრესაში არაერთი სტატია თუ რეპორტაჟი მიეძღვნა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში შექმნილ რთულ მეტეოროლოგიურ ვითარებას. მაგალითად, იყო ასეთი ინფორმაცია: „სამწუხარო ამბები მოგვდის მოსავლის შესახებ კახეთის სოფლებიდან. გვალვამ და უთოვლო ზამთარმა, ავდარმა და ადრე გაზაფხულმა ძლიერ იმოქმედა ჯეჯილზე.“[1] „სენაკის მაზრის სოფ. ქოლუბანი მდ. ცხენისწალმა გაანადგურა. ამას ზედ დაერთო ბოლო ორი წლის მოუსავლიანობა“ – აღნიშნავდნენ გაზეთის კორესპონდენტები[2].

ომის პირველ წლებში კიდევ უფრო დაზარალდა მეღვინეობა. რუსეთის იმპერიაში შემოიღეს ე.წ. „მშრალი კანონი“, რაც მაგარი სასმელებით ვაჭრობის მაქსიმალურ შეზღუდვას და ზოგ ადგილზე მის მთლიან აკრძალვასაც გულისხმობდა. გაზეთი „ახალი ივერია“ მწუხარებით იუწყებოდა: „როგორც ვიცით, მთავრობამ, ომის გათავებამდე დუქნებში ღვინით და მაგარი სასმელებით ვაჭრობა სასტიკად აკრძალა. ამ გარემოებამ ქართული მევენახეობა ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა. რთველი უკვე დაიწყო და ღვინის დაყენება მოახლოვდა და ქვევრები ისევ ძველი ღვინით არის სავსე. ეს გარემოება ბაზარზე ყურძნის ფასს მეტად დასცემს, რაც მევენახეებს დიდ ზარალს მიაყენებს.“[3]

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. 23 ივლისი.

[2] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 1 აპრილი.

[3] გაზ „ახალი ივერია“,1914 წ.30 სექტემბერი.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ომის პერიოდის საქართველოს ეკონომიკის განვითარებას ცალსახად შავი ფერებით სახავდა, თუმცა ეს მდგომარეობა დოკუმენტურად ყოველთვის არ დასტურდება. როგორც ჩანს, საქართველოს მეღვინეებმა შეძლეს ვითარების გამოსწორება და, შესაძლოა, მთავრობაც გარკვეულ კომპრომისზეც წავიდა, რადგან არის ინფორმაცია ომის წლებში მეღვინეობის პროდუქციის ზრდის შესახებ და ეს მოხდა უკვე ომის მეორე-მესამე წელიწადს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მეღვინეთა საზოგადოება „კახეთის“ მუშაობის შედეგები 1915 წელს. ამ საზოგადოებას 221 წევრი ყავდა. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელები აცხადებდნენ, 1914 წელს საზოგადოებამ სარეკოდო რაოდენობის ღვინო გაყიდა. 1915 წელი კიდევ უფრო უკეთესი მონაცემებით დაასრულეს – გაიყიდა 65 324 ვედრო ღვინო, სულ 352 300 მანეთად. ვედრა ღვინო დაუჯდათ 5 მან და 38 კაპ. 1916 წლისათვის ღვინის ფასი უკვე 8 მანეთი და 37 კაპიკი გახდა. ამ საწარმოო გაერთაიანებას თავისი ფილიალები ჰქონია აშხაბადსა და ტაშკენტში. საანგარიშო წელს ორგანიზაციამ წმინდა შემოსავალმა შეადგინა 103 642 მანეთი.[1]

I მსოფლიო ომის პერიოდში სოფლის მეურნეობაში შექმნილმა მძიმე კრიზისულმა ვითარებამ ასახვა პოვა სამომხმარებლო კალათაზე, ფასები ძალიან გაიზარდა და ამან დამატებითი სიძნელეები შექმნა ქვეყანაში. ქვემოთ მოტანილ ცხრილში შედარებულია პირველადი მოხმარების საგნებზე მზარდი საცალო ტარიფები:[2]

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 28 თებერვალი.

[2] ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ. წყარო: გაზ. „საქართველო“ 1916 წ. 3 მარტი.

ომის წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ზრდის მაჩვენებელი

საქონლის დასახელება	1913 წ.	1915 წ.	1916 წ.
ხორბალი (ფუთი – მანეთი)	1.6	2.30	4
პურის ფქვილი	1.6	2.60	4.50
სიმინდი	0.81	1.35	2.40
კარტოფილი	0.66	1.10	2
ლობიო	1.60	2	4.48
ხარი (ცალი)	56.40	97	204
ცხენი	69.40	133	278
მეწველი ძროხა	43.50	68	120
ცხვარი	5.70	8.30	16.40
კარაქი (ფუთი)	17.47	23.40	50.30

სერიოზული პრობლემები შეიქმნა მრეწველობაშაც, ზოგი საწარმო საერთოდ დაიხურა, ზოგმა შეამცირა დატვირთვა, თუმცა იყვნენ ისეთი საწარმოებიც, რომლებმაც ომის პირობებში გააორმაგეს და გაასამმაგეს პროდუქციის წარმოება. საფაბრიკო ინსპექციის ცნობით, მარტო თბილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში დაიხურა 5 ფაბრიკა-ქარხანა, რომლებიც წლიურად აწარმოებდნენ 71 ათასი მანეთის პროდუქციას, 13 ქარხანამ შეამცირა წარმოება. ამასთან შეამცირა მუშათა კონტინგენტიც – 320 კაციდან წარმოებაში დატოვა მხოლოდ 179 მუშა.[1]

სერიოზული პრობლემები დაფიქსირდა სამშენებლო ბიზნესშიც. ომმა ბევრი არქიტექტურული პროექტი გააჩერა ან გაყინა. მოთხოვნილება ბინათმშენებლობაზე მკვეთრად დაეცა. ამის გამო ამ დარგში მომუშავე საწარმოების დიდი ნაწილი გაჩერდა. მაგალითად, 1915 წელს თბილისის გუბერნიაში მხოლოდ 46 აგურის ქარხანადა დარჩა, რომელმაც 80 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. რთულად იყო მშე-

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 8 მაისი.

ნებლობის საქმე ქუთაისის გუბერნიაშიც. აქ აგურის ქარხნების რაოდენობა 378 ერთეულიდან დავიდა 215 ერთეულამდე, წარმოებული პროდუქციის რაოდენობაც და ღირებულებაც კატასტროფულად შემცირდა. ამ მდგომარეობამ კი ბინებზე ფასი წარმოუდგენლად გაზარდა.

მაგრამ საბჭოთა ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ გარკვეული წარმატებებიც რიგ სამრეწველო საწარმოსა თუ სააქციო საზოგადოების საქმიანობაში. კავკასიაში ცნობილი თბილისელი ბიზნესმენის გ. იარალოვის სააქციო საზოგადოებას, რომელიც ლითონგადამამუშავებელ ქარხნებს აერთიანებდა, სახელმწიფო დაკვეთები მთელი ომის განმავლობაში არ მოკლებია. პირიქით, სამხედრო უწყება მას ყოველწლიურად უზრდიდა დაკვეთებს და როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ამან მნიშვნელოვნად გააძლიერა სააქციო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა. მარტო გ. იარალოვის საწარმომ 1914 წელს სუფთა მოგება მიიღო 17 598 მანეთი, 1915 წელს – 26 474 მანეთი.[1]

კიდევ უფრო წარმატებული იყო ა. ადელხანოვის სააქციო საზოგადოება, რომელიც ტყავისა და ფეხსაცმლის წარმოებაზე იყო სპეციალიზებული. ამ სააქციო საზოგადოების ნაბად-ქეჩის საწარმომ 50% გაზარდა წარმოება, ხოლო ფეხსაცმლის საწარმომ – 200 პროცენტით. ეს საწარმო მთლიანად სამხედრო შეკეთების შესრულებაზე გადავიდა და ძირითადად სამხედრო ჩექმებს აწვდიდა კავკასიის ფრონტს.[2]

ომის მიუხედავად, ასევე წარმატებული იყო სპილენძის სამთამადნო წარმოება – ამ სისტემის ყველა ქარხანაში (ალავერდში, ერგიაში, ართვინში) მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. აჭარის სოფელ მურღულთან 62 ვერსის მოშორებით მდებარე საბადოშიც, მსოფლიო ომის მიუხედავად, შრომა ერთი დღე არ შეწყვეტილა. აქ 2500 კაცი იყო

---

[1] ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, საქმიანი საქართველო 1801-1920 წწ., თბ., 2022, გვ. 170.

[2] იქვე.

დასაქმებული. მას საზღვარგარეთული კაპიტალი (ინგლისამერიკული) აკონტროლებდა და ყოველწლიურმა დაბანდებამ 20 მილიონი მანეთი შეადგინა. წარმოება ჩინებულად იყო აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით, ტექნოლოგია მთლიანად იმპორტული იყო. საწარმოს ჰქონდა სპილენძის სარეცხი და სადნობი დანადგარები, არსებობდა დაკიდული რკინიგზა, ახლომდებარე მდინარეს იყენებდნენ ჰიდრავლიკური ენერგიის მისაღებად. ადმინისტრაცია აერთიანებდა 100 კაცს, მათ შორის ძირითადად ინგლისელები იყვნენ, მაგრამ ადმინისტრაციაში მუშაობდნენ სომხები, რუსები და ქართველებიც. სამაგიეროდ მუშების უმეტესობა საზღვარგარეთელი მუსლიმები იყვნენ.[1]

პრობლემები შეექმნა საქართველოს სამთამადნო მრეწველობას და მის ფლაგმანს – ჭიათურის მარგანეცის უნიკალურ საბადოებს. I მსოფლიო ომის კვირაძალზე მადნის მოპოვებამ ჭიათურაში შეადგინა 40 446 ათასი ფუთი. ქალაქში მწარმოებლები (მადნის მომპოვებლები) ძირითადად ქართველები იყვნენ, თუმცა მადნის ექსპორტი მთლიანად უცხოელების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც ამ საჭირო ნედლეულის საზღვარგარეთ გასატანად ძირითადად ფოთის ნავსადგურს იყენებდნენ. ჭიათურის მარგანეცი საკუთარი მეტალურგიის გასავითარებლად დიდი პარტიებით გაჰქონდათ შემდეგ ქვეყნებს: დიდ ბრიტანეთს, ჰოლანდიას, ბელგიას, აშშ-ს, საფრანგეთს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ „გერმანულმა ფირმებმა დიდძალი კაპიტალი დააბანდეს ჭიათურაში. მათ ძლიერ შეავიწროვეს არა მარტო ადგილობრივი კაპიტალის პოზიციები, არამედ ინგლისური და ფრანგული კაპიტალიც. ორივე გერმანული ფირმა აფართოებდა ოპერაციებს და წარმატებით იკაფავდა გზას მარგანეცის მრეწველობაში მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად. მათ ხელში ჩაიგდეს ექსპლუატაციაში შესული, საუკეთესო საბადო ზეგნების ფართობის თითქმის მესამედი, სესხების გა-

[1] ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 19.

ცემით დააკაბალეს ადგილობრივ მეწარმეთა ერთი ნაწილი. გერმანული სააქციო გაერთიანებანი გულმოდგინეთ ეწეოდნენ საკუთარ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურო აღჭურვას...“[1]

გერმანელი ბიზნესმენები ყოველწლიურად ზრდიდნენ გატანილი მადნის რაოდენობას, მათ ნედლეული გაჰქონდათ როგორც ბათუმის, ისე ფოთის პორტიდან. სტატისტიკური მონაცემები მიუთითებენ საქართველოდან გერმანიაში მარგანეცის ექსპორტის განუხრელ ზრდაზე: თუ 1885 წელს გერმანელებმა საქართველოდან გაიტანეს 2 566 581 ფუთი მადანი, 1900 წელს უკვე 28 698 357 ფუთი.

I მსოფლიო ომის გამო გერმანული ფირმების საქმიანობა ჭიათურაში შეწყდა. მაგრამ ჭიათურის მარგანეცი იმდენად საჭირო იყო გერმანიის მეტალურგიისათვის, რომ სცადეს საქართველოში შემობრუნება ნეიტრალური ქვეყნების დახმარებით. დადასტურებულია, რომ გერმანელები შეეცადნენ ამ მიზნით გამოეყენებინათ ნეიტრალური შვედეთის ფირმა „ვინტერვიკენი“, თუმცა ეს მიზანი ბოლომდე ვერ შეისრულეს[2]

მეფის ხელისუფლებამ განახორციელა გერმანელების ქონების ნაციონალიზაცია და ის გასაყიდად გამოიტანა. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამ ქონების ხელში ჩაგდებას შეეცადნენ როგორც რუსი, ისე სომეხი კაპიტალისტები.[3]

საქართველოდან გერმანული ბიზნესის გასვლამ, საზღვარგარეთთან სატრანსპორტო მიმოსვლის შეჩერებამ მარგანეცის გატანა საზღვარგარეთ ძალიან შეზღუდა, რაც სტატისტიკაშიც აისახა: თუ 1914 წელს საზღვარგარეთ გავიდა 40,5 მილიონი ფუთი მარგანეცი, 1915 წელს – მხოლოდ 15,4 მილიონი ფუთი, 1916 წელს – 14,8 მილიონი ფუთი, ხოლო 1917 წელს მხოლოდ 12,6 მილიონი ფუთი.[4]

---

[1] ა. ფარსადანიშვილი, უცხოური კაპიტალი საქართველოში XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს, თბ., 1992, გვ. 64.

[2] ნ. ლიპარტელიანი, ნ. ჯოლბორდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

[3] იქვე.

[4] ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.81.

მეფის რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა მარგანეცის დიდი პარტიები გაეტანა რუსეთში – არაებობს ცნობა მთავრობის მიერ 600 000 ფუთი მარგანეცის ცენტრალურ გუბერნიებში ჩატანის შესახებ.[1]

მიუხედავად კრიზისული მდგომარეობისა, ომის წლებში ქართული ბიზნესის საქმიანობა არ შეწყვეტილა. ცნობილი ქართველი ბიზნესმენები ა. ხოშტარია, მ. ლაღიძე და სხვები განაგრძობდნენ ეკონომიკურ საქმიანობას: ა. ხოშტარიას სერიოზული ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა ირანში, ხოლო მ. ლაღიძე აფართოებდა თავისი გამაგრილებელი უალკოჰოლო სასმელების წარმოებას და ომის წლებში მისი რეკლამები თბილისის თითქმის ყველა გაზეთში იბეჭდებოდა.

სერიოზული სიძნელეებისა და პრობლემების მიუხედავად, როგორც დასტურდება, კერძო ბიზნესი ომის წლებშიც მცდელობას არ აკლებდა ეკონომიკის განვითარებას, ადგილი ჰქონდა რაციონალიზაციას, გამომგონებლობას, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებასაც კი. თბილისის საქმიანი წრეებისა და მოსახლეობის დიდი დაინტერესება გამოიწვია ახალბედა გამომგონებლის კოტე ონიკაშვილის მიერ საწერი მელნის, ახალი, თვისებრივად განსხვავებული ქიმიური შემადგენლობის შემცველი ნივთიერების მასობრივი წარმოებისათვის ბიზნეს-გეგმის შემუშავებამ.

ეს წამოწყება იმდენად საინტერესოდ ეჩვენათ, რომ ამ პროექტის სარეალიზაციო თანხები გამოიძებნა და თბილისში, მოსკოვის ქუჩა №16-ში გაიხსნა ახალი ქიმიური შემადგენლობის მელნის საწარმო „ადაროლია“. როგორც აღნიშნავდნენ, მელანმა გამორჩეული საწერი თვისებები გამოავლინა, ის განსაკუთრებით კარგი ყოფილა ასლების გადაღების დროს [2].

ცალკეული მიღწევები, საყურადღებო გამოგონებები და მიგნებები ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ვერ ფარავდა იმ საერთო მძიმე მდგომარეობას, რაც ძალიან მალე შეიქმნა

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 8 აგვისტო.

[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 11 ღვინობისთვე.

რუსეთის ეკონომიკურ განვითარებაში: არსებული ეკონომიკური შესაძლებლობები და მისი შედეგები ვერ უზრუნველყოფდნენ ფრონტის სათანადო მომარაგებას ვერც იარაღითა და ვერც ამუნიციით. ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეფერხებებს ტრანსპორტის მუშაობაში – გვიანდებოდა ფრონტისათვის სამხედრო დაკვეთების მიწოდება, ქალაქების პურით მომარაგება შეფერხდა, ფრონტს აკლდა ბევრი აუცილებელი სამრეწველო საქონელი. ამ პრობლემების გადასაწყვეტად რუსეთის ბიზნესის წარმომადგენლების ინიციატივით გადაწყდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების შექმნა ცენტრში და ადგილებზე – უნდა ჩამოყალიბებულიყო ძლიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც დაეხმარებოდნენ ხელისუფლებას კერძო მრეწველებთან უფრო მჭიდრო კომუნიკაციაში, უზრუნველყოფდნენ სამხედრო შეკვეთების დროულ და ხარისხიან მიწოდებას, ტრანპორტის გამართულ მუშაობას და ა.შ.

1915 წლის ივლისში შეიკრიბა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების I ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა მომავალი მუშაობის გეგმა და უპირველესი ამოცანები. სამრეწველო კომიტეტები შეიქმნა კავკასიაშიც. დასტურდება თბილისში საერთო კავკასიური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის აქტიური ფუნქციონირება. მას ფართოდ განტოტვილი ქსელი ჰქონდა: გუბერნიებში, ბევრ დიდ ქალაქში არსებობდა ადგილობრივი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი, რომლის მოვალეობას შეადგენდა შეექმნათ პირობები, რომ ადგილობრივ მრეწველობას უფრო სრულყოფილად დაეკმაყოფილებინა ფრონტის მოთხოვნები, დახმარებოდა კერძო კაპიტალს ფრონტის საჭიროების დროულად და მაღალხარისხიანად შესრულებაში, უზრუნველეყო წარმოება მაღალკვალიფიური კადრებით და ა.შ.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ერთ-ერთი მოვალეობა ისიც იყო, რომ ომის შედეგად გაჩერებული საწარმო-დაწესებულებები აემოქმედებინა, შეეცვალა მათთვის პროფილი, უზრუნველეყო ნედლეულით, ახალი კვალიფიციური მუშა-ხელით.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები მუდმივმოქმედი ორგანიზაციები იყვნენ და მისი ხელმძღვანელი ბირთვი პერიოდულად იკრიბებოდა, იყო მსჯელობა თუ როგორ დახმარებოდნენ უკეთ ფრონტს, ადგილობრივ მრეწველობას. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე, თბილისში, დაიბადა იდეა, რომ საქართველოში უკვე გაჩერებულ ქარხანაში შეექმნათ ხელყუმბარების მწარმოებელი სახელოსნო ან ქარხანა, რომელიც ამ მეტად საჭირო იარაღით მოამარაგებდა კავკასიის ფრონტს.

ამ იდეის შესახებ შეიტყო პეტერბურგელმა ბიზნესმენმა ვინმე გ. იტოევმა, რომელმაც თბილისის სამხედრო-სამრწველო კომიტეტის გვერდის ავლით, უშუალოდ პეტროგრადში მიაღებინა გადაწყვეტილება მის მიერ კავკასიაში, კერძოდ ბათუმში ხელყუმბარების მასობრივი წარმოების დაწყების შესახებ. ამ მიზნით მან ბათუმში იჯარით აიღო სამი საკმაოდ მოზრდილი ქარხანა, დაუკავშირდა ბათუმის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელობას და სთხოვა ამ წამოწყებაში დახმარება.

როგორც დასტურდება დოკუმენტურად, ბათუმის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა ამ საკითხის განსახილველად მოიწვია საგანგებო სხდომა. თათბირის დროს გაირკვა, რომ ბიზნესმენი აპირებდა ამ მიზნით ბათუმში ჩამოეყვანა კვალიფიციური 2500 მუშა და საქმისთვის სპეციალურად მომზადებული სპეციალისტები. თათბირზე გადაწყდა, რომ ამ საქმეში გამოეყენებინათ ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების მწარმოებელი ბათუმელი მუშების კონტინგენტი, რომლებიც უმუშევრად დარჩნენ ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის შეწყვეტის გამო. ძირითად საწარმოო ბაზად აირჩიეს სწორედ ომის შედეგად გაჩერებული ბათუმის ეს საწარმოები.[1]

ბათუმში ხელყუმბარების წარმოების ორგანიზება გადაწყდა როტშილდის, არვანიტოდის, ხაჩატურიანცის გაჩერებულ ქარხნებში. წარმოებას კი „ძმები პიტოევების სახ-

[1] ა. ფარსადანიშვილი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1914-1917 წლებში, თბ., 1974, გვ. 97.

ლი“ პეტროგრადიდან ხელმძღვანელობდა. სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოებისა და საწარმოო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, საწარმო ექსპლოატაციაში შევიდა 1916 წლის თებერვალში. ახლადგახსნილი საწარმო შედგებოდა მექანიკური, ჩამომსხმელი და სამანქანო განყოფილებებისაგან. მუშების ხელფასი 1,50 მანეთიდან 2,5. მანეთამდე მერყეობდა. წარმოების რამდენიმე სექტორში იყენებდნენ ქალებისა და მოზარდების შრომასაც. უკვე აპრილის ბოლოს ქარხანამ ფრონტის საჭიროებისათვის დაამზადა 1000 ცალი ხელყუმბარა – ეს იყო წარმოუდგენლად მიზერული რაოდენობა იმასთან შედარებით, რასაც საწარმოო დავალება ითვალისწინებდა. როგორც აღნიშნავენ: „მან ვერ გაამართლა ვერც დამკვეთისა და ვერც მკეთებლის იმედები, ომით გამოწვეული ნგრევა უარყოფითად მოქმედებდა ქარხნის წარმადობაზე. ბათუმის კაპლანის ქარხანა დაკვეთილი ნაწილების შესრულებას უგვიანებდა, რადგან კოქსი არ ჰქონდა. დიდი დაგვიანებით მიიღო ქარხანამ მჟავა, რომელიც შეკავშირებისათვის იყო საჭირო...“ და ა.შ.[1]

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის დახმარების შედეგად, ბათუმის ქარხანამ გარკვეულწილად შეძლო ვითარების გამოსწორება და ხელყუმბარების დიდი პარტიების დამზადება, თუმცა სახელმწიფოს დაკვეთა – წლიურად 3 მილიონი ხელყუმბარის წარმოება საბოლოოდ მაინც ვერ უზრუნველყვეს. მომდევნო პერიოდში, რუსეთში სამეურნეო ნგრევისა და ეკონომიკური ქაოსის გაძლიერების ვითარებაში, ბათუმში ხელყუმბარების წარმოება შეწყდა.

რაც დრო გადიოდა, სამრეწველო კრიზისი როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში ღრმავდებოდა და ის სერიოზულ სოციალურ დაძაბულობას იწვევდა.

ომის დაწყებით აღძრული ეიფორია, თბილისში ნიკოლოზ II სტუმრობით გამოწვეული საზეიმო განწყობები ძალიან მალე შეიცვალა ღრმა და სერიოზული სოციალური პრობლემებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეკონომიკის სხვადასხვა დარგში შექმნილმა კრიზისებმა გამოიწ-

[1] ა. ფარსადანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

ვიეს. ამ პრობლემების წარმოშობა და მისი სოციალური შედეგები აშკარად მიუთითებს, რომ ამერიკელი პ. გრეგორის ზემოთ მოტანილი შეხედულებები ომისწინა პერიოდში რუსეთში ეკონომიკის პოზიტიური განვითარების შესახებ, ისტორიის მკაცრმა ლოგიკამ არ დაადასტურა და უფრო სამართლიანი აღმოჩნდა თანამედროვე სანკტ-პეტერბურგელი ეკონომისტის პროსკურატოვასა და სხვა რუსი ეკონომისტების შეხედულებები, რომლებიც საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ რუსეთის ეკონომიკურ მდგომარეობას ომის წინ.

სწორედ მათ მიერ აღნიშნულმა ობიექტურმა გარემოებებმა და კანონზომირებებმა გამოიწვიეს ის დაუძლეველი კრიზისული ვითარება ქვეყანაში, რაც რეალური გახდა რუსეთის იმპერიაში ომის დაწყებიდან ძალიან მალე.

მაგალითად, საქართველოში რთული სოციალური დაძაბულობა დაფიქსირდა ომის დაწყების პირველსავე თვეებში. ადგილობრივი გაზეთების პუბლიკაციებში უკვე ჩანს სოციალური კრიზისის ცალკეული ნიშანი: მაგალითად, ფასების მატება. გაზეთი „ახალი ივერია“ აღშფოთებული წერდა, რომ „ვაჭრებს ომი ფულის მოგების „არენად“ აქვთ გახდილი... ჩვენი თანამოძმენი – საქართველოს საუკეთესო შვილები სისხლს ღვრიან, რომ სამშობლო განსაცდელიდან გადაარჩინონ და ამ დროს ჩვენი ქუჩის ვაჭრები მის მაგიერ, რომ მეომართა გაღატაკებულ ცოლ-შვილს დახმარება გაუწიონ, ერთიორად ახდევინებენ ფულს უსაჭიროეს სანოვაგეში.“

სერიოზული სოციალური კრიზისი შეიქმნა უკვე 1915 წლის გაზაფხულზე: საქართველოს ცალკეულ რეგიონში გაჩნდა შიმშილის საფრთხე, და რაც ყველაზე შესაზარი იყო – ეს საფრთხე გაჩნდა სოფელში, სადაც ძირითადად სწორედ სურსათ-სანოვაგე იწარმოებოდა და მიეწოდებოდა ქალაქებს, ჯარს. გაზეთ „თანამედროვე აზრის“ კორესპონდენტები უკვე 1915 წლის მარტში აქვეყნებდნენ ინფორმაციას დასავლეთ საქართველოში კერძოდ, გურიაში გამეფებული შიმშილობის პირველი ნიშნების შესახებ: „ჩოხატაურის საბოქაულოში შიმშილობის საკითხის გასარკვევად არსებობს კომისია ექვსი კაცის შემადგენლობით. მათ მთავრო-

ბას მიმართეს თხოვნით მიეცა ხალხისათვის სესხი სიმინ-
დით, რაზეც მთავრობა თანახმაა“[1]

შიმშილობამ თავი იჩინა სენაკისა და ზუგდიდის მაზ-
რებშიც. როგორც აღნიშნავდნენ, ამ მიზეზით სერიოზული
პრობლემები შექმნილა სოფლებში: სალხინოში, სენაკში,
თამაკონში და უშაფათში. სენაკის მაზრა მთავრობისაგან
დახმარების სახით ითხოვდა 430 ფუთ სიმინდს, ხოლო ზუგ-
დიდის მაზრა – 302 ფუთს. ამ მძიმე სოციალურ ვითარებაში
ღრმად ჩახედული კორესპონდენტები წერდნენ: „დღეს აგერ-
აგერ უკვე თავი იჩინა „მეფე შიმშილმა“ სამეგრელოში. შიმ-
შილი ესტუმრა მათ, ვისაც ორი თუ სამი ქცევა მიწა აქვთ.
დიდი უბედურება ტრიალებს ამისთანა სოფლებში და ასე
გაჭირვებულ ოჯახებში. ტიტველ-მშიერი ბავშვები დარბიან
სახლში და მათ მწარე მოთქმას საზღვარი არა აქვს“.[2]

ვითარება არ შეცვლილა არც მომდევნო წლებში. 1916
წელს შიმშილმა მთელი იმპერიის მასშტაბით საგანგაშო
მდგომარეობა შეიძინა. გაზეთ „საქართველოს“ კორეპონდენ-
ტი განაზოგადებდა შექნილ ვითარებას და მიუთითებდა,
რომ „რაც დღე გადის ხალხის გამოკვების საკითხი უფრო
მწვავდება მთელს რუსეთში... სამი მინისტრი ზრუნავს სა-
სურსათო საქმის მოგვარებაზე... მაგრამ ვერ იქნა და ხალ-
ხის გამოკვების საქმე ვერ მოეწყო ისე, როგორც ჯარისა“[3]

როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ხელისუფლება
გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავდა, რომ სოციალური და-
ძაბულობა ომის მძიმე ვითარებაში ძალიან არ გამწვავებუ-
ლიყო, რომ შიმშილს რევოლუციური სიტუაცია არ შეექმნა.
ამიტომ გამოიძებნა გარკვეული სახსრები და შეიქმნენ ორ-
განიზაციული სტრუქტურებიც, რომლებსაც ევალებოდათ
სახელმწიფოს დახმარება უშუალოდ მიეტანათ შეჭირვებუ-
ლი მოქალაქეებამდე. ამ საკითხებზე მუშაობდნენ ცალკეუ-
ლი ქალაქები, მათი ხელმძღვანელი ორგანოები როგორც
ცალკ-ცალკე, ისე ერთობლივად. 1916 წლის სექტემბერში

[1] გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. 9 ნოემბერი.
[2] გაზ. „თანამედროვე აზრი, 1915 წ. 7 მარტი
[3] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 11 ღვინობისთვე.

თბილისის ქალაქის ხელმძღვანელობამ სპეციალური თათბირი მოიწვია კავკასიის დედაქალაქში შიმშილის პრობლემის მოსაგვარებლად. თბილისის ქალაქის თავი ა. ხატისოვი ამ კრებაზე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „მართლაცდა ქალაქში პურის შიმშილი ჩამოვადნილა“. სხდომაზე საუბარი შეეხო პურის ფასის კატასტროფულ მატებას: თუ ადრე გირვანქა პური ღირდა 2 შაური, ახლა უკვე 9 კაპიკი.

მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ უკვე ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა მთელ ქალაქში პური საერთოდ აღარ ცხვებოდა – მცხობელებს ხორბლის ფქვილი აღარ ჰქონდათ. მაგალითად, გაზეთები იუწყებოდნენ, რომ 17 სექტემბერს თბილისის ძალიან ბევრ თონეში პური საერთოდ არ გამოუცხვიათ. [1]

იყო შემთხვევები, როცა ფქვილის დიდ პარტიებს, საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამხედრო უწყება უკეთებდა რეკვიზიციას და მას გადასცემდა სამხედრო საჭიროებისათვის. მაგალითად, არის ცნობა, რომ ქალაქმა ფოთმა თავის საჭიროებისათვის მიიღო 23 ვაგონი ფქვილი, რომლის მთლიანი რეკვიზიცია მოახდინა სამხედრო უწყებამ და ქალაქი უპუროდ დატოვა.

შიმშილობის გაძლიერების, ცხოვრების გაძვირების საკითხებს მიეძღვნა თბილისში ჩატარებული კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა IV ყრილობა. მას 206 დელეგატი, 15 ქალაქის თავი, 760 ხმოსანი, წითელი ჯვრისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლი ესწრებოდა. ყრილობა გასხნა მეფინაცვლის თანაშემწემ გენერალმა ნ. პეტერსონმა. მოხსენებით გამოვიდა თბილისის ქალაქის თავი ა. ხატისოვი.

ყრილობის დელეგატთა ერთმა ჯგუფმა გააკეთა სპეციალური განცხადება ქუთაისის გუბერნიის დამშეული გლეხკაცობის შესახებ. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ „მეტად აღმაშფოთებელი ამბები მოდის ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილიდან: შიმშილობა მეტად

[1] გაზ. საქართველო, 1916 წ. 18 ენკენისთვე.

ფართო და საშიშ ხასიათს ღებულობს“. ამ განცხადებას ხელს აწერდნენ კიტა აბაშიძე, ბათუმის ქალაქის თავი ანდრონიკოვი, ქუთაისის ქალაქის თავის მოადგილე მოსიძე და სხვ. ისინი მოითხოვდნენ რადიკალური ზომების გატარებას, რომ დახმარებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.[1]

რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ორგანოები ცდილობდნენ პრობლემის მოგვარებას, ამ მიზნით გამოინახა სპეციალური სახსრები, მართვის ადგილობრივ სტრუქტურებს ევალებოდათ გამოყოფილი სახსრებით სურსათ-სანოვაგის, სიმინდის, ხორბლის შეძენა და დამშეულ სოფლებში განაწილება. მაგრამ, როგორც თბილისური პრესა მიუთითებს, ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს, გამოყოფილი ფულის მითვისებას, უხარისხო პროდუქციის შეძენა-დარიგებას, რაც მოსახლეობის კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა.

შიმშილობის სუსხის შემცირებას ცდილობდნენ საქველმოქმედო ორგანიზაციებიც, რომლებიც ომის წლებში საკმაოდ ბევრი შეიქმნა. ერთ-ერთ ასეთ საქველმოქმედო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა თავადი გ. მაჩაბელი, მისი მოადგილე გახდა მომავალში სახელგანთქმული ქართველი მწერალი პ. გოთუა. საქვემოქმედო ორგანიზაციას ჰქონდა თავისი ფილიალები ქუთაისში, ბათუმში, სოხუმაში, ზესტაფონში, გორში, ახალსენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ახალციხეში.

ამ ფონდში აკუმულირებული იყო საქველმოქმედო თანხები სხვადასხვა ფონდებიდანაც (მაგალითად, მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულის ფონდიდან, სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების შემოწირულობა, კავკასიის ლტოლვილთა საქმის რწმუნებულის მიერ გადმორიცხული თანხები და სხვ.). 1916 წლის ოქტომბერში ფონდმა შეჭირვებულ მოსახლეობას დაურიგა 51 500 მანეთის ღირებულების სურსათ-სანოვაგე. [2]

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 28 მაისი.

[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 6 ივნისობისთვე

საქველმოქმედო ფონდების საქმიანობა არ შეწყვეტილა მსოფლიო ომის მიმდინარეობის მთელ პერიოდში, მაგრამ მას არ შეეძლო მთლიანად დაეკმაყოფილებინა შეჭირვებული მოსახლეობის ყველა მოთხოვნა და ეპასუხა ყველა გამოწვევაზე. საჭირო იყო სხვა, უფრო ეფექტიანი ფორმების დანერგვა-განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებას. ასეთ ფორმად ჩაითვალა საკოოპერაციო მოძრაობა, რაც ომის წლებში საკმაოდ ინტენსიურად განვითარდა.

როგორც დოკუმენტები მიუთითებენ, ამ მოძრაობის ინტენსიფიკაციას ემხრობოდნენ და საკმაოდ დიდ პროპაგანდასაც უწევდნენ საქართველოს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პოლიტიკური ძალები და თვითონ ხელისუფლებაც – არსებული პოლიტიკური რეჟიმიც. მეფის ხელისუფლება არ იყო წინააღმდეგი ომით გამოწვეული რიგი პრობლემის გადაწყვეტა გადაებარებინა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. სამომხმარებლო კოოპერატივები ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო ფორმად ჩაითვალა. ინიციატივიანი ადამიანები, ძირითადად ქართულ სოფლებში, ქმნიდნენ ამხანაგობებს, რომელთა მიზანი იყო საპაიო პირობების უზრუნველეყოთ პირველადი მოთხოვნილების საგნების მოძიება, ადგილზე მიტანა და მისი რეალიზება. ვაჭრობის ეს ფორმა ძალიან იმედის მომცემი ჩანდა იმ პირობებში, როცა ომის დაწყების შემდეგ ძალიან მალე გამოჩნდა ცენტრალური ხელისუფლების „პარალიჩი“ დროულად გადაეწყვიტა ეს საკითხები, გამოესწორებინა ტრანსპორტის გაუმართავი მუშაობა, აღედგინა ტრადიციული ეკონომიკური კავშირები და ა.შ.

1915-1916 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: კახეთში, იმერეთში, გურიასა თუ სამეგრელოს სოფლებში იხსნებოდა სხვადასხვა სამომხმარებლო კოოპერატივის მაღაზიები. მაგალითად, ყვირილას სამომხმარებლო საზოგადოება „ერთობამ“ დაბა შორაპანში გახსნა თავისი ფილიალი, რომელიც პურით ვაჭრობდა. ახლო მომავალში ვარაუ-

დობდნენ, რომ შეძლებდნენ სურსათის სხვა სახეობების შოვნას და ადგილზე რეალიზებას [1].

არსებობდა ლილოს მერძევეობის ამხანაგობა, რომელიც რძისა და რძის პროდუქტების რეალიზებით იყო დაკავებული. მცხეთაში ფინანსურ წარმატებებს მიაღწია ადგილობრივმა კოოპერატიულმა საზოგადოებამ, რომლის წლიურმა მოგებამ შეადგინა 1 193 მანეთი. სამეგრელოში ონტოფოს სამომხმარებლო ორგანიზაცია „თანაგრძნობამ“ იშოვა და თანასოფლელებში გაყიდა შაქარი გირვანქა 35 კაპიკად, რაც 1917 წლისათვის უკვე დეფიციტური საქონელი იყო[2].

კოოპერატიულმა მოძრაობამ საქართველოს მოსახლეობაში გარკვეული აღიარებაც კი მოიპოვა, თუმცა იყვნენ სკეპტიკოსებიც, რომელთაც საერთოდ არ სჯეროდათ კოოპერატიული მოძრაობისა. ასეთ კრიტიკულ განწყობილებას აძლიერებდა ის დამახინჯებები და გადაცდომები, რაც შეიმჩნეოდა ომის პირობებში კოოპერატიულ მოძრაობაში და რის შესახებ პერიოდული პრესა საკმაოდ კრიტიკულად წერდა. უნდა აღინიშნოს, რომ საკოოპერაციო მოძრაობას თავისი მაკონტროლებელი ორგანოებიც ჰქონდა, რომლებიც პერიოდულად ამოწმებდნენ ადგილზე მოქმედ კოოპერატივებს და ავლენდნენ დარღვევებს. მეტად საინტერესოა, რომ ომის წლებში კოოპერატიული მოძრაობის კონტროლიორთა შორის იყო შემდგომში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი, კარლ მარქსის კაპიტალის ქართულად მთარგმნელი მალაქია ტოროშელიძეც.

კოოპერატივები დემოკრატიულ საწყისებზე საქმიანობდნენ, ანგარიშგება და შიდა აუდიტი მათთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. პერიოდულად სამომხმარებლო ორგანიზაციები ატარებდნენ ანგარიშგება-არჩევნებს, თავისი წევრების წინაშე კოოპერატივების გამგეობები ანგარიშვალდებულები იყვნენ და აკეთებდნენ წლიურ შეფასებებს, ირჩევდნენ გამ-

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 11 ღვინობისთვე

[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 1 მარტი.

გეობის წევრებს, ატარებდნენ რევიზიას. მაგალითად, 1915 წლის მარტში ქუთაისში ჩატარდა სამომხმარებლო საზოგადოება „კოოპერაციის“ ყოველწლიური კრება, რომელმაც მოისმინა ორგანიზაციის წლიური ანგარიში. კრებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „ცხოვრების გაძვირების“ საკითხებს. ომი სულ რამდენიმე თვის დაწყებული იყო და ქალაქში აშკარა შეიქმნა ეკონომიკური სიდუხჭირე. საინტერესოა კრების რეზოლუცია: „ცხოვრების გაძვირებასთან და საქონლის ფალსიფიკაციასთან ბრძოლაში საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს თვით სამომხმარებლო ორგანიზაცია“. რეზოლუცია მოუწოდებდა კოოპერტივის წევრებს, უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ ორგანიზაციის საქმიანობაში, რომ უფრო ეფექტიანი გაეხადათ მისი მუშაობა [1].

კოოპერატიული მოძრაობა რუსეთის მთელ იმპერიაში ვრცელდებოდა და ძალებს იკრებდა. ომი, აშკარად, მალე დასრულებას არ აპირებდა და ამიტომაც სამომხმარებლო ორგანიზაციების წევრებს დიდი და სერიოზული სამუშაოები ელოდათ წინ. საყურადღებოა, რომ 1916 წელს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის სამომხმარებლო ორგანიზაციების კავშირის ყრილობა, რომელზეც თავი მოიყარეს ქართველმა, რუსმა, სომეხმა და სხვა ეროვნების კოოპერატორების წარმომადგენლებმა. დაისახა ახალი ორიენტირები და სამოქმედო გეგმები. მაგრამ 1917 წლის თებერვლის მოვლენებმა რუსეთის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ახალი ამოცანების წინაშე დააყენა – პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში კიდევ უფრო დამძიმდა.

კოოპერატიული მოძრაობა სოფლად, ქალაქებში მიმდინარე საქმიანობა მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრების შესაცვლელად, რა თქმა უნდა, გარკვეული შედეგის მომტანი იყო, მაგრამ მას არ შეეძლო საფუძვლიანად შეეცვალა მდგომარეობა და ყველა ადამიანის ცხოვრებისეული პრობლემები გადაეწყვიტა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი კრიტიკული მუხტი ძლიერდებოდა, უკმაყოფილების ელემენტი აშკარად იჩენდა თავს როგორც

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 6 ენკენისთვე.

სოფელში, ისე ქალაქში. მოსახლეობა მოელოდა ხელისუფლებისაგან უფრო ქმედით დახმარებას, რაც არ ჩანდა, მდგომარეობა კი დღითი დღე იძაბებოდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ომის წლებში ადგილი ჰქონდა სახალხო პროტესტს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, მუშათა გამოსვლებს, გაფიცვებს. „რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ომის პირველ წელს მინელდა, ისევ აღმავლობას იწყებდა“ – აღნიშნავდა საბჭოთა იტორიკოსი [1].

პროფ. მ. ცერცვაძემ ორი ტომი მიუძღვნა საქართველოში მუშათა მოძრაობის ინტენსიფიკაციას I მსოფლიო ომის პერიოდში და ამტკიცებდა საქართველოში მუშათა კლასის რევოლუციური შემართების ზრდას[2].

უდავოდ, ეკონომიკური სიდუხჭირე, მძიმე სოციალური ფონი, ომით გამოწვეული პრობლემები განსაკუთრებით მგრძნობიარედ აისახებოდა დაბალ სოციალურ ფენებზე: მუშებზე, გლეხებზე. არის ფაქტები მუშათა სოციალური პროტესტისაც, მაგალითად, ლორეში არსებულ ალავერდის სპილენძის საბადოს მუშების მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. მათ შეიმუშავეს პეტიცია და ის წარუდგინეს ქარხნის გამგეს, ინჟინერ ვახტანგ ზარაფიშვილს. პეტიციაში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო მუშათა მძიმე ეკონომიკური პირობების შესახებ და მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები გაფიცვის დაწყებით იმუქრებოდნენ.

ინჟინერმა ვ. ზარაფიშვილი, დაეყრდნო რა სამხედრო ვითარებიდან გამომდინარე წესებს, სასტიკად დაემუქრა მუშებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მუშაობის შეჩერებას დააპირებდნენ: „პოლიციას ჩავრთავ და ძალით გამუშავებთო“ – შეუთვალა მეწარმემ მუშებს.[3]

როგორი იყო საქართველოს მუშების ჭეშმარიტი მდგომარეობა და რამდენად რევოლუციური იყო მათი საპროტეს-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 380.

[2] М. Церцвадзе, Революционное движение в Грузии в 1914-1917 годах. М.,1957, стр. 277.

[3] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 28 მაისი.

ტო მოძრაობა – ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ყველაზე სრული ინფორმაცია ექნებოდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ადგილებრივი გაზეთების რედაქციებს. ამ მხრივ ყველაზე სანდოდ გვესახება გაზეთ „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე 1917 წლის დასაწყისში, თებერვლის რევოლუციამდე ზუსტად ერთი თვით ადრე გამოქვეყნებული მოწინავე სტატია, რომელშიც არის ასეთი ინფორმაცია: „იყო დრო, როდესაც მთავარი სახელოსნოების მუშები დიდ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივ მოძრაობაში. მაგრამ ეს იყო წინათ, როცა სულ სხვაგვარი მდგომარეობა იყო ჩვენში – ცხოვრებას ჩამორჩნენო, ამ ჟამად მათ არაფერი არ ინტერესებთო, დაივიწყეს ყველაფერიო, ფეხქვეშ გათელეს ყველაფერი ის, რაც ძვირფასია მუშათა კლასისათვისო. აღნიშნავენ, რომ სადღაც მუშათა უმცირესობა კვლავ აქტიურობს – ომის დაწყების დროიდან სულ აირდაირია საქმე სახელოსნოებში. ყველა გაიტაცია გამდიდრების სენმა – ქრთამის გაღება, ქურდობა, ერთის მეორეს დაბეზღება და ლოთობა – აი, სანამდის მივიდა მათი საქციელი“ [1].

ჩვენ სანდოდ გვეჩვენება გაზეთის ეს განცხადება, რადგან გაზეთი „თანამედროვე აზრი“ იყო წინამორბედი შემდგომში საქართველოში მეტად პოპულარული გაზეთისა „ერთობა“ – რომელიც სულ მალე ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ოფიციალური ორგანო გახდება და, უდავოდ, მისი რედაქცია ღრმად იყო ჩახედული მუშათა მოძრაობაში არსებული საქმეების ჭეშმარიტ ვითარებაში.

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1917 წ. 28 თებერვალი

§2. საზოგადოებრივი საქმიანობა

მიუხედავად ომის შედეგად საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ვითარებისა, არსებული დოკუმენტური მასალის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ომის წლებში მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ტრადიციული საზოგადოებრივი აქტივობა მაინცდამაინც არ შემცირებულა. მართალია, უფრო გამკაცრდა ცენზურა, გახშირდა საგაზეთო სტატიებში „თეთრი ლაქები“, კიდევ უფრო იმატა თვითცენზურის შემთხვევებმაც, მაგრამ საქართველოში ინტელექტუალური განვითარება, სულიერი ცხოვრება, კულტურული და პარტიული საქმიანობა არ შეფერხებულა.

ომის წლებში გააქტიურდა პარტიული ცხოვრება. პირველ რიგში გააქტიურდნენ სოციალ-დემოკრატები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე განსაკუთრებით – ქვეყნის გარეთ. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) რუსეთში ლეგალური პოლიტიკური ძალა იყო – 1912 წლიდან მათი ფრაქცია რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში, როგორც აღინიშნა, ძირითადად ქართველებით იყო დაკომპლექტებული და თავისუფალი პროპაგანდის უფლებაც ჰქონდათ როგორც პრესაში, ისე საჯარო გამოსვლების დროს. პარტიის ლიდერები – ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი, აკაკი ჩხენკელი – რუსი მემარცხენე პოლიტიკურ მიმართულების ძირითადი და უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ და მუშათა მოძრაობის ლიდერებში, პროლეტარულ მასებში. ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ეს პოლიტიკური მოღვაწეები აქტიურად იყვნენ ჩაბმული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ თავის ამომრჩევლებთან. როგორც XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი პროფ. ა. ბენდიანიშვილი აღნიშნავს: „ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) უმრავლესობაც სამშობლოს დაცვის პოზიციაზე დადგა.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მხოლოდ მცირე ნაწილს ეუხერხულებოდა „იმპერიალისტური“ ომისათვის აშკარა მხარდაჭერა და ნეიტრალიტეტის დაცვას ამჯობინებდა.“[1]

ქართველი მემარცხენე სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) ლიდერების დიდი უმეტესობა საქართველოში უკვე აღარ იმყოფებოდა, ისინი ან ციმბირში იყვნენ გადასახლებულნი (მაგალითად, იოსებ ჯუგაშვილი-სტალინი), ან შორეულ ემიგრაციაში დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდნენ (მაგალითად, მიხა ცხაკაია, რომელიც ემიგრაციიდან შემდგომში ლენინთან ერთად დაბრუნდება და სხვ.), ან რუსეთში მოღვაწეობდნენ (მაგალითად, სერგო ორჯონიკიძე, სამუელ ბუაჩიძე და სხვ.). საქართველოში დარჩენილი ქართველი ბოლშევიკები (მაგალითად, თ. ჟღენტი, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე და სხვ.) არც თეორიული ცოდნით, არც პოლიტიკური აქტივობით არ გამოირჩეოდნენ, ამიტომაც ქართულ საზოგადოებრიობაში განსაკუთრებული ავტორიტეტით არც სარგებლობდნენ.

ბოლშევიკების პოლიტიკურ მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მათმა ლიდერმა და მთავარმა იდეოლოგმა ვ.ი. ლენინმა ომის დაწყებისთანავე რადიკალურად პაციფისტური პოზიცია დაიკავა და როგორც რუსულ, ისე მსოფლიო პროლეტარიატს მოუწოდებდა „გადაექციათ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!“.

ამ მოწოდებას დასავლეთში მემარცხენე სოციალ-დემოკრატების უმნიშვნელო ნაწილი გამოეხმაურა (როზა ლუქსემბურგი, კლარა ცეტკინი, კარლ ლიბკნეხტი და სხვ.). II სოციალისტური ინტერნაციონალის პარტიების დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სამხედრო კრედიტებს (სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა მოტივაციით: მაგალითად რუსი სოციალ-დემოკრატების ლიდერი გ. პლეხანოვი ომისადმი თავის მხარდაჭერას ასე ამართლებდა: „რაც შეეხება რუსეთის პროლეტარიატს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ის დაინტერესებულია მხოლოდ ერთში: რუსეთის ტერიტორია

[1] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ.,1999, გვ. 227.

არ გახდეს გერმანიის იმპერიალისტების ხელში ექსპლოატაციის საგნად“[1]) და როგორც ვ.ი. ლენინი ამტკიცებდა – ამ ბელადებმა „თავი მოიჭრეს საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე“. საბჭოთა ისტორიოგრაფია დასავლეთის სოციალ-დემოკრატიის ასეთ პოზიციას „პროლეტარიატის საერთაშორისო ძმობის ლოზუნგის („პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“) ღალატად თვლიდა და აცხადებდა, რომ ამ ფაქტმა მთლიანად დაასამარა II სოციალისტური ინტერნაციონალი.[2]

ქართველი ექსპერტების აზრით, „მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ „პორაჟენცული“ პოზიცია დაიკავა, მაგრამ მისი ასეთი განწყობილების მოტივი და მიზანი არსებითად განსხვავდებოდა ბოლშევიკებისაგან. თუ ბოლშევიკები ომს რევოლუციის კატალიზატორად მიიჩნევდნენ და ომში რუსეთის ცარიზმის დამარცხებას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობად თვლიდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები იმედოვნებდნენ, რომ დიდ სახელმწიფოთა ჭიდილი წყალს დაასხამდა დაჩაგრული ერების წისქვილზე, რუსეთის დამარცხება გააადვილებდა იმპერიის განაპირა ერების განთავისუფლებას, მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენას“[3]

ქართული საზოგადოებრიობის გარკვეული ნაწილი (თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება, „რაზნოჩინცული“ ინტელიგენციის წარმომადგენლებიც) ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის მონარქიისადმი. ბევრი მათგანი გაერთიანებული იყო მონარქისტულ ან პრორუსულ პარტიებში („ოქტიაბრისტების“, „კადეტების“, „სოციალისტ-რევოლუციონერების/ესერების და სხვ.). მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი არსებული რეჟიმისადმი ლოიალური დამოკიდებულებით ომის გამოცხადების პირველივე დღეებში და ნიკოლოზ II-ს თბილისში სტუმრობისას, თუმცა მათი საქ-

---

[1] გ. პლეხანოვის მიერ გაზ “Речь“-ში გამოქვეყნებული წერილის ამონარიდი დამოწმებულია: გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 22 აგვისტო.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 359.

[3] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ.,1999, გვ. 227.

მიანობა ამ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ ჯერაც არ არის შესწავლილი.

საქართველოში მოქმედი პარტიული ორგანიზაციები და მათი აქტივი აკონტროლებდა ქვეყანაში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელოვან ნაწილს. როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე მიმართულების ჟურნალ-გაზეთები მოიცავდნენ საზოგადოებრივობის დიდ სეგმენტს და უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მიმდინარე პოლიტიკის კრიტიკულ გააზრებაზე, მომავლის პერსპექტივების განსაზღვრის ამოცანებზე.

იმ წლებში ქართველი მკითხველისათვის კვლავ ხელმისაწვდომი იყო როგორც ოფიციალური ჟურნალ-გაზეთები (ცენტრალური თუ ადგილობრივი), ისე საკმაოდ მრავალფეროვანი ქართული (მემარჯვენე, მემარცხენე მიმართულების) პრესა. ჟურნალ-გაზეთები თბილისში გამოდიოდა რუსულ და სომხურ ენებზეც. ტირაჟი მთლიანად დაკავშირებული იყო მკითხველზე, ეს განსაკუთრებით ეხება ქართულენოვან გაზეთებს. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი მეცენატების აქტივობასაც. მიშანდობლივია, რომ თვითონ გაზეთები პირველ გვერდებზე მკითხველებს სარეკლამო განცხადებებით სისტემატურად მოუწოდებდნენ ხელმოწერების გაგრძელებას. ომის წლებში რადიკალურად არ შემცრებულა არც გაზეთების ფორმატი. ისეთი ქართული გაზეთები, როგორიც იყო „ახალი ივერია“, „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ. სრულად აკმაყოფილებდნენ საქართველოს ქართულოენოვანი საზოგადოებრიობის მრავლმხრივ მოთხოვნილებებს, თუმცა ამ ფაქტორის გადაჭარბებული შეფასებაც არ შეიძლება – უნდა გვახსოვდეს რომ ომის წინ ჟურნალ-გაზეთები განსაზღვრული ტირაჟით იბეჭდებოდა და მოსახლეობის უმრავლესობაც წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

ქართველი მკითხველის დასაინტერესებლად გაზეთების რედკოლეგიები და კორესპონდენტები, როგორც ზემოთ არაერთხელ დავინახეთ, საკმაოდ ღრმა და არგუმენტირებულ სტატიებს აქვეყნებდნენ, რომლებიც ეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს: ადგილობრივ

პოლიტიკას, საგარეო ურთიერთობებს, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, ქვეყნის კულტურულ განვითარებას. რა თქმა უნდა, ომის პერიოდში ყველა გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა სამხედრო ოპერაციების, საომარი შეტაკებების აღწერას, ევროპაში მიმდინარე პროცესების ძირფესვიან შეფასებას. ამისთვის სპეციალური რუბრიკებიც არსებობდა.

გარკვეული ეტაპზე ამ საკითხებს შორის როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ქართულ პრესაში გამოჩნდა სტატიები, რომლებშიც წამოჭრილი და გაანალიზებული იყო კავკასიაში, მათ შორის საქართველოში „ერობების“ შექმნა-განვითარების აქტუალური პრობლემა.

„ერობები“ – ეს რუსეთის ცარისტული სახელმწიფოს მიგნებაა, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლების დიდი რეფორმების განხორციელების პერიოდში დაინერგა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, თუმცა არა ყველგან. არ განხორციელდა „ერობები“ კავკასიაშიც. როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ: „1865 წელს რუსეთში შემოღებული იქნა „ერობები“ – პირველი არჩევითი დაწესებულება... ცარიზმი, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზებით, კიდევ უფრო ძუნწი აღმოჩნდა საქართველოში ბურჟუაზიულ რეფორმათა განხორციელებაში. საერობო მმართველობა აქ საერთოდ არ შემოუღიათ.“[1]

რუსეთში განხორციელებული საერობო რეფორმის მიზანი იყო შეექმნათ არჩევითობის (დემოკრატიზმის) ილუზია, განემუხტათ ანტიფეოდალური განწყობილებები სოფლად, გლეხების გარკვეული კატეგორია, სხვა სოციალურ ფენებთან ერთად, ჩაებათ ბუტაფორულ საარჩევნო სისტემაში, რომელიც გლეხებისათვის მრავალსაფეხურიანი იყო. ხოლო თვითონ რუსეთში, უკვე რეალიზებულ ერობებს, აშკარად დაჰყვათ კლასობრივი შეზღუდულობის დაღი – მათში თავადაზნაურობის წარმომადგენლების პრიმატი თავიდანვე სამუდამოდ უზრუნველყოფილი იყო. ასეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ძირითადად ევალებოდათ ადგი-

[1] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 74.

ლობრივი, მაგრამ მეტად საჭირბოროტო საკითხების (სკოლების, საავადმყოფოების, გზების, სამკითხველოების და ა.შ.) მოწესრიგება. როგორც წესი, ისინი ადგილობრივი ხელისუფლების (გუბერნატორები, მაზრის უფროსები, პოლიცია, ჟანდარმერია და ა.შ.) ზედამხედველობას განიცდიდნენ და განსაკუთრებული აქტივობებით არც გამოირჩეოდნენ. ისინი თავიდანვე რუსეთის მემარცხენე მიმართულების სოციალ-დემოკრატების მუდმივი დაცინვის ობიექტად გადაიქცნენ, რომლებიც მას „რუსეთის თვითმპყრობელობის სახელმწიფო მანქანის მეხუთე ბორბალს“ უწოდებდნენ.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ერობების შემოღება საქართველოს მოწინავე ინტელიგენციას გარკვეულ პანაცეად ესახებოდა და ძალიანაც შეურაცხყოფილი იყო, რომ ერობების საკითხის გადაწყვეტა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში ძალიან გაჭიანურდა. პროგრესულ მოღვაწეებს საქართველოში, საპოლიციო მმართველობასთან შედარებით, საერობო თვითმმართველობა დადებით მოვლენად მიაჩნდათ და მისი მოპოვებისთვის თავიდანვე იბრძოდნენ. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ საქართველოს თავადაზნაურობას მაინცდამაინც არ სურდა საერობო თვითმმართველობის შემოღება. ერობის შემოღების იდეის პროპაგანდას ძირითადად ლიბერალები ეწეოდნენ, რომლებსაც ხშირად მხარს უჭერდნენ რევოლუციონერ-დემორატები“. ქართულ საზოგადოებაში ერობების დამკვიდრების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ 1892-1897 წლებში დაფიქსირდა რამდენიმე მცდელობა, როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მხრიდან, რომ მიეღწიათ რუსეთის უზენაესი მმართველობისაგან ამ გუბერნიებში ერობების შემოღების საკითხის დადებითი გადაწყვეტა, მაგრამ მათმა მცდედლობამ შედეგი არ მოიტანა.

თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, რუსეთის პირველი რევოლუციის დროსაც საქართველოში იყო მცდელობა დაეყენებინათ რუსეთის მმართველი წრეების წინაშე კავკასიაში ერობების შემოღების საკითხი. პრობლემით დაინტერესებულებმა შეძლეს მაშინ კავკასიის მეფისნაცვლის ყურადღების მიპყრობაც კი, რომელმაც სცადა ეს საკითხი

სანკტ-პეტერბურგში გადაეწყვიტა დადებითად, მაგრამ დედაქალაქში კვლავ თვლიდნენ, რომ კავკასია ერობებისათვის მზად არ იყო. მეფის მინისტრთა კაბინეტმა ეს შუამდგომლობა არ დაამტკიცა.

I მსოფლიო ომის პერიოდში ქართველმა ინტელიგენციამ ეს საკითხი გაიხსენა და დაიწყო ინტენსიური პროპაგანდა პრესაში, რომ ერობების შექმნის პრობლემა მკვდარი წერტილიდან დაძრულიყო: „ათი წელია ეს საკითხი აღელვებს საზოგადოებას, ამ ბოლო დროს კვლავ აქტუალური გახდა“ – წერდა 1915 წლის ზაფხულში პოპულარული გაზეთი „თანამედროვე აზრი“.

როგორც ჩანს, ომის პირობებში, გარკვეული გარემოებების წყალობით საზოგადოების გარკვეულ წრეებში ეს საკითხი მომწიფდა. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი უნდა იყოს ზემოთ ჩვენს მიერ მოტანილი მოსაზრება, რომელსაც დაუფარავად აჟღერებდნენ ქართულ გაზეთებში მათი ავტორები: ომის პირობებში მოკავშირეები რუსეთისაგან მოელოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებისაკენ მიმართულ რადიკალურ ცვლილებებს, ფიქრობდნენ, რომ ომის შემდეგ რუსეთი აღარ იქნებოდა ისეთი, როგორიც ის იყო ომამდე და ა.შ.

ეს მოსაზრება საქართველოს გარკვეული წრეებისათვის მეტად ფასეული ჩანდა, რადგან ისინი საქართველოში ერობის დაფუძნებას (მიუხედავად ამ ორგანიზაციების კლასობრივი შეზღუდულობისა) პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის საშუალებად მიიჩნევდნენ. უფრო მეტიც, პრესის ფურცლებზე მიმდინარეობდა დისკუსია თემაზე, თუ „როგორი ერობები უნდა დამკვიდრებულიყო საქართველოში“.

ერობების ინიციატორებს საქართველოსთვის სურდათ რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედი ერობის აპრობირებული მოდელი, ამასთან, თავის მხრივ, ამატებდნენ სოციალური თანასწორობის მოთხოვნასაც, რათა მთლიანად დაძლეულიყო ამ ორგანოებში არსებული კლასობრივი შეზღუდუ-

ლობა. ივარაუდებოდა არსებული ქონებრივი ცენზის მნიშვნელოვანი შემცირება, კურიების თითქმის გაუქმება და ა.შ.[1]

ერობების მომხრეები საქართველოში აპირებდნენ დიდი პიარკომპანიის ჩატარებას, ამ საკითხით სახელმწიფო დუმის დეპუტატების დაინტერესებას და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმასაც.

საქართველოში ერობისათვის ბრძოლის „მოსამზადებელი სამუშაო“ დაიწყო რუსეთში ერობის აპრობირებული სტრუქტურის საფუძველიანი კრიტიკით და ალტერნატიული პროექტების შემუშავებით. ქართველი მემარცხენეები რუსეთში აპრობირებულ მოდელს უწუნებდნენ: „1. კლასობრივ სულისკვეთებას; 2. ადმინისტრაციულად შეზღუდულობას; 3. საზღვრების სიფართოვეს.“[2]

ქართველი „ერობისტების“ პროექტი თავის თავში გულისხმობდა გარკვეულ სიახლეებსაც: „საჭიროა სამაზრო ერობიდან გამოიყოს ცალკე წვრილი საერობო ერთეული, რომელიც მჭიდროდ იქნება შეკავშირებული სოფლის საზოგადოებასთან და უკეთ განაგებს მის საქმეებს... ერობის განხორციელებას წინ უნდა უსწრებდეს სოფლად რადიკალური ცვლილებები – წვრილი ერობა, სამაზრო ერობა, საგუბერნიო ერობა. ცუდი არ იქნება, თუკი მოიწვევენ კავკასიის ხალხების ერობას მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად“ – აღნიშნულ იყო ერთ-ერთ ასეთ პროექტში.

როგორც ჩანს, ერობის შემოღების საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა უკვე 1916 წელს. საკითხით დაინტერესებას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: 14 სექტემბერს თბილისში გაიმართა კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოების კრება. მასზე მოწვეული იყო სახელმწიფო დუმის დეპუტატი ვ.ა. რჟევსკი. როგორც ჩანს, ერობის ქართველმა თაყვანისმცემლებმა მას თავისი ჩანაფიქრი გააცნეს და მხარდაჭერა სთხოვეს. ვ. ა. რჟევსკის მათთვის უცნობებია, რომ კავკასიაში ერობის შემოღების დადებითად გადაწ-

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 6 აგვისტო.

[2] იქვე.

ყვეტას აქტიურად მხარს უჭერს რუსი დეპუტატების ერთი ჯგუფი.

ამ ინფორმაციით გახარებული ქართველი „ერობისტები“ ძლიერ შეგულიანდნენ და გადაწყვიტეს ზუბალაშვილების სახალხო სახლში ჩაეტარებინათ დიდი შეკრება ერობის საკითხის ყოველმხრივ დასამუშავებლად. როგორც გაზეთ „საქართველოს“ ინფორმაცია ადასტურებს, შეკრებაზე თავი მოიყარეს ქართველმა თავადაზნაურებმა, სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა და რაზნოჩინულმა ინტელიგენციამ. გაზეთი იმასაც იტყობინებოდა, რომ კრების დროს ქართველები ერობისაგან მოითხოვდნენ უფრო მეტ დემოკრატიას, ვიდრე ეს რუსეთის შიდა გუბერნიებში იყო დაკანონებული[1].

საქართველოში ერობის შემოღების საკითხით დაინტერესებული პირები, როგორც ჩანს, რამდენჯერმე კიდევ შეიკრიბნენ და საკმაოდ მწვავე პოლემიკაც ჰქონდათ. საქმეში ჩახედულები იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი შეკრებების თავდაპირველი გამორჩეული მასობრივობა თანდათან აშკარად შემცირდა და ბოლოს შეკრებებზე დარბაზში დარჩნენ მხოლოდ „შეძლებული კლასების“ წარმომადგენლები.

საგაზეთო პუბიკაციებიდან აშკარაა, რომ კლასობრივმა განსხვავებებმა და კლასობრივმა დიფერენციაციამ გადასძალა „დემოკრატიულ საფუძვლებს“ და საბოლოოდ ერობებში ყველა კლასი თავისი ინტერესების დაცვას ითხოვდა: „თავადაზნაურობა თხოულობდა არისტოკრატიულ ერობას, ბურჟუაზია – ბურჟუაზიულს. როგორც ჩანს, ქართველ თავადაზნაურებს კლასობრივი სოლიდარობა გამოუცხადეს თათართა ბეგებმაც და ისინიც მათ გვერდით დადგნენ. საინტერესოა გაზეთ „თანამედროვე აზრის“ კორეპონდენტის დასკვნა ამ საკითხთთან დაკავშირებით: „ამ ორივემ აიყოლია თავთავისი ინტელიგენცია, რომელმაც გამოკვეთა ამ ინტელიგენციის კლასობრივი ხასიათი და ფედერალისტებსა და დაშნაკებს სოციალისტობა გადაუხურდავა ლეკურზე და არშინზე.“[2]

---

[1]გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 17 ენკენისთვე.

[2] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1917 წლის 1 იანვარი.

ძალიან საიტერესო დასკვნაა. როგორც ირკვევა, თებერვლის რევოლუციის კვირაძალზე, სულ ერთი თვით ადრე საქართველოში, ჩვენი აზრით, ზედმეტად თვალშისაცემი კლასობრივი დიფერენციაციაა და აშკარად ვერ მოხერხდა საერთო კონსენსუსის მიღწევა თვით ყველაზე უმტკივნეულო საკითხშიც კი – ერობის დემოკრატიულობის მასშტაბების საკითხში. აქედან გამომდინარე, გაზეთის მიერ შემოთავაზებული დასკვნა, რომ „საერობო დავამ გამოააშკარავა ის, რომ კავკასიის გაბატონებულ კლასს არ ძალუძთ ხელი მისცენ საერთო კავკასიური საქმეების მორიგებაში და გარეშე ძალის წინაშე ერთი ადგილობრივი დროშით წარსადგენად“ – მთლიანად შეეფერებოდა სიმართლეს და თებერვლის რევოლუციის წინ საქართველოში პოლიტიკური ძალების მაღალ პოლარიზებაზე მიუთითებდა.

როგორც ჩანს, პეტროგრადელი დეპუტატების იმ ჯგუფს შორის, რომელიც ემხრობოდა კავკასიაში ერობის შემოღების საკითხს, იყო სახელმწიფო დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძეც. ამას გვაფიქრებინებს დეპუტატის მიერ გაზეთში „დენ“-ში (№40) გამოქვეყნებული სტატია „ერობა კავკასიაში“.

საგაზემო წერილის ლაიტმოტივს წარმოადგენს კავკასიაში ერობის დაუყოვნებლივ შემოღების იდეა. დეპუტატის აზრით ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან „ერობა არის არა მარტო სამეურნეო ორგანიზაცია, არამდ სხვაგვარიც, რომელიც უნდა ემსახურებოდეს არა მარტო საავადმყოფოებს, სკოლებს, მერძევეობას... არამედ უფრო დიდ მიზნებსაც...“.

როგორც ჩანს, რუსეთის სოციალ-ემოკრატების ლიდერმა კარგად იცოდა თბილისში მიმდინარე ერობასთან დაკავშირებულ შეკრებებზე წარმოშობილი აზრთა დაპირისპირება ერობის კლასობრივი შემადგენლის გარშემო, ამიტომაც მან პეტროგრადიდან მოუწოდა ერობის გულმხურვალე მომხრეებს: „კავკასიას ერობა ეჭივრება, იგი უნდა მოვიპოვოთ, მარა იმას კი არ უნდა ვცდილობდეთ, რომ იგი იყოს ქართველი თავადების, თათრების ბეგების და სო-

მეხი ბურჟუაზიის ხელში, არამედ კავკასიის მშრომელთა ხელში“ (ავტორის სტილი დაცულია – ა.დ.)[1]

კარლო ჩხეიძის ამ პუბლიკაციის შემდეგ ერთ კვირაში რუსეთში განვითარდა რევოლუციური პროცესები, რომელთა შედეგადაც დაემხო მეფის ხელისუფლება და რუსეთი დადგა ახალი არჩევანის წინაშე. ერობის საკითხიც მიმდინარე რევოლუციური პროცესების შემადგენელი ნაწილი გახდა.

მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ომის პირობებში აღელვებდა საქართველოს საზოგადოებრიობას – ეს იყო ეროვნული საკითხი. ჩვენ აქ არ შევუდგებით საქართველოს პოლიტიკური პარტიების ეროვნული პროგრამების განხილვას. ისინი ძირითადად უკვე შემუშავებული იყო და შეძლებისამებრ ახორციელებდნენ კიდეც თვითონ პოლიტიკური პარტიები. ეს საკითხები საკმაოდ სრულად არის დამუშავებული როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა ქართულ ისტოორიოგრაფიაში. ჩვენ შევეხებით პრესის ფურცლებზე იმ წლებში გამოქვეყნებულ განსაკუთრებულად რეზონანსულ წერილებს, რომლებსაც ღრმა და საყურადღებო შინაარსი ჰქონდათ.

დასაწყისში აღვნიშნავთ, რომ ეროვნული საკითხის განსაკუთრებული გააქტიურება გამოიწვია I მსოფლიო ომმა და ომის გარშემო ევროპის პოლიტიკურ ცენტრებში შექმნილმა აჟიოტაჟმა ნაციონალისტებსა და ინტერნაცონალისტებს შორის. აშკარაა, რომ დასავლეთ ევროპელმა სოციალდეოკრატებმა (რომლებიც ათეული წლების მანძილზე ევროპის პროლეტარიატს ზრდიდნენ მარქსისტული ლოზუნგით „პროლეტარიატს არა აქვს სამშობლო!“ და მოუწოდებდნენ – „პროლეტარებო ყველ ქვეყნისა, შეერთდით!“) განიცადეს სერიოზული მარცხი – ბევრმა მათგანმა მხარი დაუჭირა საკუთარ პარლამენტში სამხედრო ბიუჯეტს, რითაც მწვანე შუქი აუნთო საყოველთაო ხოცვა-ჟლეტას, რაც ძირშივე ეწინააღმდეგებოდა მათ იდეოლოგიურ დოგმატიკას. მათმა ასეთმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო დააშორა ერ-

[1] იქვე, 21 თებერვალი.

თმანეთს მემარჯვენე და მემარცხენე სოციალ-დემოკრატია. ეს უკანასკნელები ეროპულ მემარჯვენე (და არა მარტო ეროპელ, არამედ საკუთარ, რუსეთის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებსაც) მარქსისტული იდეების ღალატში ადანაშაულებდნენ და, როგორც აღვნიშნეთ, მოითხოვდნენ მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას. II სოციალისტური ინტერნაციონალი აშკარად კრიზისის ფაზაში შევიდა.

ეს კრიზისი შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს, სხვა ანტისოციალისტურ მიმართულებების წარმომადგენლებს, რომლებიც ღიად ალაპარაკდნენ „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კრიზისზე“, ეროვნული იდეის პრიმატზე. ამ დისკუსიაში ჩაებნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კორიფეებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ამ პერიოდში დიდი მამულიშვილის – ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკა, I მსოფლიო ომის პერიოდში მისი დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. იმ წლებში საინტერესო სტატიების აქვეყნებდნენ გერონტი ქიქოძე, დავით კასრაძე და სხვები.

ინტერნაციონალიზმის საწინააღმდეგოდ დიდი ნიკო ნიკოლაძე წერდა შემდეგს: „საბედნიეროდ უცაბედად დაჭქროლა ბუქმა ომისამ, და იმწამსვე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ ეროვნება, ეროვნული თვითარსებობა – რაგინდ მეორადი იყოს, – წარსულის „მყრალი“ მტვერი კი არა, უკვდავი და ცხოველმყოფელი ძლიერება ყოფილა. გავარდა თუ არა პირველი მეხი, კვამლივით გაჰქრა ბოდვა ხალხთა შუა ძმობაზე და მუდმივ მშვიდობაზე. ერთბაშად მოისპო ყოველი მხრით ეროვნების, ეროვნული თვითარსებობის (ნ. ნიკოლაძის ტერმინია – ა.დ.) უარყოფა.“[1]

ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისს სრულად იზიარებდა სოციალისტ-ფედერალისტების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი თედო ღლონტიც, რომელიც თავის პუბლიკაციებში ასევე მიესალმებოდა ეროვნული თვითშემეცნებისა და ეროვნული მეობის განმტკიცების პროცესების განვითარე-

[1] ნ. ნიკოლაძე, „საამდროისო“, გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. 28 სექტემბერი.

ბას ქართველებში, სწორედ მსოფლიო ომის გამოწვევების ფონზე. მისი აზრით, ამ გამოწვევებმა გახადეს „ქართველი ერი მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი, რომლის ფაქტორია ტოლერანტობა, ქართული დემოკრატია, ქართული ლიტერატურა.“[1]

ქართველი მემარცხენეები არ იზიარებდნენ ეროვნულ-პატრიოტული ძალების ასეთ აღფრთოვანებას და არც ინტერნაიონალიზმის კრახს აღიარებდნენ. გაზ. „თანამედროვე აზრის“ გარშემო შემოკრებილი ქართველი ინტელიგენტები უარყოფდნენ ინტერნაციონალიზმის პრინციპების კრიტიკას, მოუწოდებდნენ საქართველოს მშრომელებს ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ, ხოლო ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს ნაციონალიზმში დებდნენ ბრალს.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის წლებში ეროვნული მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში იგრძნობა მოძალება სტატიებისა, რომლებიც ფაქტობრივად ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ სულისკვეთებას აგრძელებენ და მიზნად აქვთ დასახული ქართული ხასიათის, ქართული მენტალობის კორექცია, გარკვეული კათარზისი, პიროვნულ დონეზე არსებული ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორების სურვილი. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საცნაურია გაზეთში „ახალი ივერია“, რომლის კორესპონდენტებს, სტატიების ავტორებს არა ერთხელ დაუყენებიათ ეროვნული კათარზისის საკითხები, გამოუთქვამთ ქართული ხასიათის გამოსწორების, ქართული მენტალობის სრულყოფის სურვილი. მაგალითად, გაზეთში დაბეჭდილი წერილის „ამონაკვნესი“ ავტორი ი. მარჯანიძე წერდა: „რომელი დარგიც უნდა აიღო ჩვენის ცხოვრებისა, ყველგან შეხვდებით ზერელობას, შენ-ჩემობას და სულიერ თუ ფიზიკურ ლაქიობას. და თუ გულწრფელი ქართველი ხართ, სიმწრის ცრემლი გაღრჩობთ... თითოეული – თავზე ხელაღებული, თითოეული – უკმეხი თუ უვიცი, ყბად იღებდა ილიასთანა კაცებსაც კი და მათი ამლაგმავი, მათი პასუხის გამცემი კი აღარავინ იყო... მე არ ვიცი რა

[1] თ. ღლონტი, „ეროვნულოი სიმტკიცე“, გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. 27 ნოემბერი.

გვეშველება, რა გამოგვაფხიზლებს, როდის დაერქმევა ჩვენ-ში შავს შავი და თეთრს თეთრი, მაგრამ ასე ცხოვრება არ შეიძლება... “[1].

ცნობილი პუბლიცისტი ვასილ წერეთელი კრიტიკაში კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს შემდეგს: „მაგრამ აქვეა სათავე ქართველის ხასიათის უმთავრესი ნაკლოვანე-ბისა. ქართველს თავი ზედმეტად უყვარს და ხშირად სხვის პიროვნებას შესაფერისად ვერ აფასებს. უფრო თავის უფ-ლებებს გადაამეტებს ხოლმე, უმეტესს არ შეუძლია თავი დაიჭიროს და დისციპლინას აუცილებლად დაემორჩილოს. და ამის გამო ყოველივე ინიციატივა სათავეშივე კვდება.“[2]

ასეთი თვითკრიტიკული წერილები ქართულ პერიოდი-კაში უფრო ომის დაწყების პირველ თვეებში და ისიც, ეროვნული მიმართულების ჟურნლ-გაზეთებისათვის იყო და-მახასიათებელი. რაც შეეხება მემარცხენე პრესას, ისინი მთლიანად იყვნენ კონცენტრირებული ომისა და სოციალუ-რი ურთიერთობების პრობლემატიკაზე და ქართველების ეროვნული ხასიათის ნაცვლად პროლეტარიატის, მშრომელ-თა ინტერნაციონალური კავშირის საკითხები აღელვებდათ.

თუმცა იყვნენ ქართველი მამულიშვილები, რომლებიც ოპტიმისტურად უყურებდნენ ქართველების შესაძლებლო-ბებს, უფრო წინ წამოწევდნენ მათ ჰეროიკულ წარსულს, ნათელ პერსპექტივებს. ასეთ ოპტიმისტებს შორის ჩანს გე-რონტი ქიქოძე, რომელიც იმ ქარცეცხლიან დღეებში წერდა: „დამსახურებული გამჭრიახობა ქართული გონიერების დი-დი პოტენციალია ქართველებში ჩადებული. იმედი უნდა ვი-ქონიოთ, რომ რაც დრო გავა, მით უფრო გაძლიერდება სა-ქართველოს როლი, როგორც გადასაცემი პუნქტი რუსეთისა და წინა აზიას შორის “[3]

---

[1] ი. მარჯანიძე, „ამონაკვნესი“, გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. 2 ოქტომბერი.

[2] გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. 4 ოქტომბერი.

[3] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 1 მარტი.

გერონტი ქიქოძის თითქმის 110 წლის წინ ნათქვამი ეს სიტყვები საოცარ რეალობად ექცა ქართველობას უკვე XXI საუკუნეში.

ამრიგად, აშკარაა, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი ომის ურთულესი პირობების მიუხედავად, იცლის როგორც სოციალურად აქტუალურ საკითხებზე, ასევე ეთიკის, ეროვნული იდენტობისა და კათარზისის მარადიულ საკითხებისთვისაც. მაგრამ, თუკი ღრმად ჩავუკვირდებით თითქმის ასი წლის წინ დაწერილ ამ სტატიებს, აშკარაა, რომ ქართველების მენტალობაში რადიკალური ცვლილებები მაინც არ მომხდარა, რომ გასულმა ათწლეულებმა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რადიკალურმა ცვლილებებმა მენტალობაში ტექტონიკური ძვრები არ გამოიწვია.

§3. საეკლესიო ცხოვრება

ომის წლებში განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინეს რელიგიურმა კონფესიებმაც: ომით დაზაფრული მორწმუნე ადამიანებისათვის რელიგია მნიშვნელოვან სულიერ და მორალურ-ფსიქოლოგიურ ნავსაყუდლად გადაიქცა და ამიტომაც საეკლესიო ცხოვრების ინტენსიფიკაციაც სახეზეა. სამხრეთ კავკასია პოლიკონფესიური რეგიონი იყო და თვითონ ქართველებიც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევრეები იყვნენ. ძირითადი და განმსაზღვრელი, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლური სარწმუნოება იყო, რომელსაც პეტროგრადიდან ოპერატიულად მართავდა რუსეთის „უწმინდესი სინოდი“ თავისი ობერპროკურორის ხელმძღვანელობით.

როგორც თანამედროვე ქართველი თეოლოგები აღნიშნავენ, სწორედ რუსეთის სინოდი განსაზღვრავდა მთელ საქართველოში საეკლესიო პოლიტიკას და ქართველი სამღვდელოება (როგორც შავი, ისე თეთრი) მთლიანად იყო ინკორპორირებული რუსული საეკლესიო ინსტიტუციის მი-

ერ.[1] მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ქართულ ეკლესიაში მოღვაწეობდნენ ისეთი მაღალი რანგის სასულიერო იერარქები, როგორიც იყვნენ: ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე) და სხვ., მან მაინც ვერ შეძლო შეესრულებინა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის როლი,

ზემოთ, სათანადო ადგილზე ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ ქართველ სასულიერო წოდების ზოგიერთ წარმომადგენელში და ინტელიგენციის გარკვეულ ფენაშიც იყო იმედი, რომ შეძლებდნენ მიეღწიათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ამ მიზნით წინა წლებში (განსაკუთრებით 1905-1907 წლებში) მათ ქმედითი ნაბიჯებიც კი გადადგეს, მაგრამ უშედეგოდ.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზეც, თუ როგორ გამოეხმაურა საქართველოს საეგზარქოსო I მსოფლიო ომის დაწყებას, როგორ დახვდნენ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს თბილისში. ამ დღეებში გამოვლინდა სრული ლოიალობა საქართველოში მოქმედი ყველა რელიგიური კონფესიის სულიერი ლიდერის მხრიდან რუსეთის ხელისუფლებისადმი და ეს მდგომარეობა ფაქტობრივად არ შეცვლილა მთელი ომის განმავლობაში.

მეტად ორიგინალურ მოსაზრებას გვთავაზობს პროფ. ქ. პავლიაშვილი იმაზე, თუ როგორ აქტიურად ჩაერთო საქართველოს საეგზარქოსო მსოფლიო ომისათვის მზადების პროცესში ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე: „მთავრობის მითითებით, ეკლესიამ ომისათვის მზადება დაიწყო 1910 წლიდან... ომისათვის სამზადისში ჩართვა საეგზარქოსოს ხელისუფლების ინტერესებშიც იყო, რამეთუ ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია საეგზარქოსოს ბატონობას კავკასიაში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. აქედან გამომდინარე ის ეძებდა რთული ვითარები-

[1] მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009, გვ. 1099.

დან თავის დახსნის გზას; ამ შემთხვევაში საეგზარქოსო ასეთ გზად მოიაზრებდა ომისათვის მზადებას და მასში აქტიური როლის შესრულებას.“[1]

ჩვენი აზრით ეს სადავო დებულება ავტორს დოკუმენტურად დადასტურებული არა აქვს და ჩვენ ვთვლით, რომ ეს მისი სუბიექტური ინტერპრეტაციის შედეგი უნდა იყოს, რადგან ძალიან ძნელი დასაჯერებელია საქართველოს საეგზარქოსოს დავაბრალოთ ის, რაც მთლიანად რუსეთის იმპერიამ ვერ მოახერხა – I მსოფლიო ომისათვის ღირსეული მომზადება.

1914 წლიდან საქართველოს ეგზარქოსის ფუნქციას ახორციელებდა ეპისკოპოსი პიტირიმი, რომელიც ქართველების მიმართ უფრო დამთმობი, ლოიალური პიროვნება აღმოჩნდა. ექსპერტები აღნიშნავენ: ის „შედარებით ლოიალობას იჩენდა ქართული ეკლესიის მტკივნეული საკითხებისადმი, რაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ამ იდეამ კვლავ მთელი ძალით მოიცვა საზოგადოების დიდი ნაწილი.“[2]

საქართველოს ეგზარქოსის ლოიალური დამოკიდებულება ქართველების მიმართ, როგორც ჩანს, პეტროგრადში, მაინცდამაინც, არ მოეწონათ და 1916 წლიდან საქართველოში მოავლინეს ახალი ეგზარქოსი, ეპისკოპოსი პლატონი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში იმპერიული პოლიტიკის უფრო მტკიცე გამტარებელი აღმოჩნდა.

ეს იმპერიული პოლიტიკა კი, როგორც ჩანს, უკვე აწყდებოდა მოსახლეობის გარკვეული წრეების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას რელიგიურ სფეროშიც, რაც გასაკვირი არ არის, რადგან მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ზეგავლენა საქართველოში ყოველდღიურად იზრდებოდა – მა-

---

[1] ქ. პავლიაშვილი,საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებულური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი I, თბ., 2008, გვ. 241.

[2] ა. ვარაზაშვილი, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX ს. დასაწყისი, 1917 წლამდე), თბ., 2000, გვ. 122.

თი ლიდერები სახელმწიფო დუმის დეპუტატები იყვნენ და ისინი სულ უფრო მზარდი გავლენით სარგებლობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. ხოლო ქართველი სოციალ-დემოკრატები, მემარჯვენეებიც და მემარცხენეებიც, თავგამოდებული ათეისტები იყვნენ და ათეიზმს აშკარად ქადაგებდნენ.

შეიძლება სწორედ მათ ზეგავლენას მივაწეროთ, რომ ომის დაწყებიდან ძალიან მალე ზოგიერთ რეგიონში გავრცელდა მასობრივი მოძრაობა – აღარ აღენიშნათ რელიგიური დღესასწაულები და არ ევლოთ ეკლესიებში. ასეთი საპროტესტო მოძრაობა დაფიქსირდა კახეთის სოფლებში: ბოდბეში, ვაქირში, მაჩხაანში.[1]

მიუხედავად ასეთი ფაქტებისა და სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავრცელებისა, საეკლესიო ცხოვრება საქართველოში ტრადიციული წეს-განრიგით მაინც წარიმართებოდა და ომის მძიმე პირობებში რელიგია ასრულებდა სულიერი სიმშვიდის, სასოწარკვეთის დათრგუნვისა და შვების მინიჭების კეთილშობილ მისიას.

ამის გარდა, ომმა ეკლესიას, ყველა კონფესიას დააკისრა აუცილებლად შესასრულებელი მოვალეობებიც. როგორც დასტურდება, „ომის საჭიროებისათვის ეკლესია შემოწირულობათა აკრეფის ინიციატორადაც გამოდიოდა. ის მოსახლეობისაგან ითხოვდა გამოსაღების სისტემატურ ზრდას. მარტო 1915 წელს საქართველოს საეგზარქოსოში 5 მილიონი მანეთი შეგროვდა, საიდანაც 300 000 მანეთი საეკლესიო დაწესებულებებიდან იქნა ამოღებული.“[2]

ომის საჭიროებებისათვის ეკლესიის მსახურები ორგანიზებას უკეთებდნენ საქველმოქმედო ღონისძიებებს, კონცერტებს, ლექციებს, საიდანაც შემოსული თანხები თავდაცვისა და საქველმოქმედო ფონდებში ირიცხებოდა.

ომის წლებში შეიქმნა და დიდ საქმიანობას ეწეოდა „საქართველოს საეგზარქოსოს ომის საჭიროების შეწირულობათა შემგროვებელი კომიტეტი“, რომლის წევრებიც იყ-

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 2 აპრილი.

[2] ქ. პავლიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

ვნენ ეგზარქოსი პიტირიმი, ერევნის ეპისკოპოსი პიმენი, გორის ეპისკოპოსი ანტონი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორი მიტროფანე პოპოვი და სხვ.

ამ კომიტეტის გადაწყვეტილებით, შემოწირულობის გაღებაში სამღვდელოებას მრევლისთვის მაგალითი უნდა მიეცა, რისთვისაც სამღვდელოებას ყოველთვიური ჯამაგირის 2% ექვითებოდა.[1]

ომის წლებში, როგორც ჩანს, გააქტიურდნენ სხვა კონფესიებიც: გრიგორიანული ეკლესია, კათოლიკური ტაძარი, მაჰმადიანური მეჩეთი.

გვაქვს ცნობა, რომ ომის წლებში ძალიან გააქტიურდა სომხურ-გრიგორიანული ეკლესიისა და მისი მსახურების მისიონერული საქმიანობა საქართველოს არასომხებით დასახლებულ კუთხეებშიც კი. ისინი მოსახლეობას ომით შეჭირვებული ადამიანების დახმარების გაწევასთან ერთად, საკუთარი რელიგიური რწმენის გაზიარებასაც სთავაზობდნენ. ამის შედეგად, როგორც დოკუმენტურად დასტურდება, საქართველოს რიგ მაზრებში ადგილი ჰქონდა ქართველების გასომხების ტენდენციის გაძლიერებას. არის დოკუმენტური ცნობები, რომ ასეთი პროპაგანდის შედეგად კახეთის ქალაქებსა და სოფლებში დაფიქსირდა ქართველების გასომხება – ველისციხეში მცხოვრები 1200 კომლიდან, რომლებიც „სომხებად“ იწერებოდნენ, სინამდვილეში ერთი წილი ეთნიკური ქართველობა იყო, სამი წილი – სომეხი. თელავში, სიღნაღში სომხების ერთი მეხუთედი მაინც ქართველი იყო, რომლებიც „სომხებად“ იყვნენ ჩაწერილები.[2]

თავისი მისიონერული საქმიანობა გააააქტიურეს ომის წლებში ისლამური რელიგიის წარმომადგენლებმაც, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთში, აჭარის რეგიონში, მესხეთ-ჯავახეთში. მოლებისა და ხოჯების გარკვეული ნაწილი რელიგიურ პროპაგანდასთან ერთად ეწეოდა პროთურქულ საქმიანობასაც. ეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აჭარაში თურქების მიერ გარკვეულ ეტაპზე მიღწეული სამხედრო

---

[1] ქ. პავლიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 12 ღვინობისთვე.

წარმატებების შედეგები იყო და მას სერიოზული პრობლემები მოჰყვა აჭარის მოსახლეობისათვის.

ქუთაისში, გორში, თბილისში გააქტიურდა კათოლიკური სამღვდელოებაც, თუმცა ისინი არ გასცილებიან დასაშვებ ნორმებს და ომის წლებში ხელისუფლების მიმართ სრულ ლოიალობას ადასტურებდნენ.

ხელისუფლების, განსაკუთრებით საიდუმლო სამსახურების (პოლიციის "ოხრანკის") სერიოზულ ყურადღებას იქცევდა პროტესტანტული სარწმუნოების წარმომადგენლებისა და მათი კონფესიების საქმიანობაც. ამ მიმართულების მიმდევართა მცირერიცხოვნობა მათგან მომავალ საფრთხეებს გარკვეულად ამცირებდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ომის დაწყების პირველივე დღეებიდან გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მოქალაქეების მიმართ განხორციელდა პრევენციული ღონისძიებები, (საქართველოში, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებშიც ცხოვრობდნენ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ქვეშევრდომები), რადგან საქართველოში დამკვიდრებულ გერმანელებშიც ბევრს შენარჩუნებული ჰქონდა გერმანიის მოქალაქეობა. 1915 წლის 2 თებერვალს ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც უცხო ქვეყნების მოქალაქეებს – გერმანელებს, თურქებს, ავსტრია-უნგრელებს რუსეთის იმპერიაში ეკრძალებოდათ უძრავი ქონების რაიმე ფორმით შეძენა[1].

რელიგიური ღვთისმსახურების ცენტრი კვლავ იყო წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი გოლოვინის პროსპექტზე. კავკასიაში რუსეთის ბატონობის ეს სიმბოლო თითქმის ყოველდღიურად აწყობდა პარაკლისებს რუსეთის არმიის გამარჯვების სადიდებლად, ხელმწიფე-იმპერატორისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობასა და წარმატებას შესთხოვდა უფალს. ის ცხოვრებაში ამკვიდრებდა რუსეთში აპრობირებულ ტრადიციულ რელიგიური წეს-განრიგს.

ომის წლებში საქართველოს საეგზარქოსოს ინიციატივით დაარსდა რამდენიმე თავშესაფარი ომის დროს და-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 13, საქ. 665, ფურც. 4.

ობლებული ბავშვებისათვის, მოეწყო ლაზარეთები, რომ-ლებშიც მოწყალების დებად მონაზვნები მსახურობდნენ, გროვდებოდა შემოწირულობები და ისინი იგზავნებოდა ფრონტზე და ა.შ.

დოკუმენტურად დასტურდება ისიც, რომ ომის წლებ-ში ქართველ პატრიოტებს ერთი დღეც კი არ შეუნელებიათ ფიქრი და განსჯა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, რუსეთის სინოდის შემადგენლობიდან ქართული ეკლესიის გამოყოფის საკითხებზე.[1]

ეს ძლიერი მოძრაობა ვლინდებოდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში გააქტიურებულ პროპაგანდაში, რათა საბოლოოდ მიეღწიათ ეკლესიებში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღდგენისათვის. ამის აუცილებლობას კი გაზეთე-ბი იმით ასაბუთებდნენ, რომ „რუსულმა საეკლესიო გარუ-სებამ გადააგვარა ქართული ღვთისმსახურება და დააშორა სამწყსოს“[2]

პეტროგრადშიც და თბილისშიც როგორც სასულიერო, ისე საერო მოღვაწეები უდიდეს თეორიულ და თეოლოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ, რომ ლოგიკურად დაესაბუთებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცი-ლებლობა. სწორედ ამ მიზნით ქართველი ეპისკოპოსებისა (კირიონის, ლეონიდეს, ამბროსის) და მეცნიერების (კორნე-ლი კეკელიძის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, სერგი გი-ორგაძისა და სხვების) მიერ ჩატარებული უდიდესი სამეცნიე-რო-ორგანიზაციული საქმიანობა აღმოჩნდა ის ძლიერი თეო-რიული ფუნდამენტი, რასაც სულ რამდენიმე თვეში დაეფუძ-ნება ქართველების მიერ ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის რეალური ისტორიული ფაქტი.

---

[1] ამის შესახებ დეტალურად: ა. ვარაზაშვილი, ქართველი ისტო-რიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძო-ლაში (XX ს. დასაწყისი, 1917 წლამდე), თბ., 2000.

[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 1 მარტი.

§4. კულტურა და ყოფა

რაოდენ პარადაქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, I მსოფლიო ომის წლებში საქართველოში კულტურული ცხოვრება არ ჩამკვდარა და „მუზებიც არ დადუმებულან“. ჩანს, რომ საზოგადოება, განსაკუთრებით ომის დაწყების პირველ ეტაპზე, არ იყო ომით ისე დათრგუნული, რომ მისთვის უინტერესო გამხდარიყო თეატრალური ცხოვრება, ლიტერატურა, მეცნიერების განვითარება, კულტურა: როგორც დასტურდება, ისევ იწერებოდა ლექსები, მოთხრობები და რომანები, დგამდნენ სპექტაკლებს, ხალხი კვლავ დადიოდა თეატრებში, კინოში.

ეს თავისებურება განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ფონზე, როცა ძალიან მალე საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად იმპერიაში, ეკონომიკური ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, მატერიალურმა გაჭირვებამ შეაბიჯა თითქმის ყველა ოჯახში და ზოგიერთ რეგიონებში შესამჩნევი გახდა შიმშილის ეპიდემიაც კი.

ომის მკაცრ პირობებს, გაჭირვებას, გაუსაძლის მდგომარეობას საქართველოში დაემატა ისიც, რომ ამ წლებში ქართულმა სიტყვაკაზმულმა მწერლობამ დაკარგა თავისი გამორჩეული წარმომადგენლები: 1915 წლის მარტში გარდაიცვალა აკაკი წერეთელი, იმავე წლის 2 აგვისტოს მიწას მიაბარეს ვაჟა ფშაველა, ხოლო ცოტა მოგვიანებით – შეწყდა ხალხოსანი მწერლის, ნიკო ლომოურის გულისძგერა...

ეს იყო უდიდესი დანაკარგი ქართული კულტურისათვის და მას უკვალოდ არ ჩაუვლია. ქართულმა საზოგადოებრიობამ გენიალური მწერლებისა და პოეტების ხსოვნის საპატივსაცემოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა ქალაქში, ჩაატარა მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები, რომლებშიც საზოგადოებისთვის მეტად ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მაგალითად, სახელმწიფო დუმის ქართველმა დეპუტატმა ნ. ჩხეიძემ, რომელიც 1915 წლის მარტში თბილისში იმყოფებოდა, მონაწილეობა მიიღო აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ დილაში.

ქართული მწერლები, პოეტები ჟურნალ-გაზეთებში ხშირად აქვეყნებდნენ მოთხრობებს, ლექსებს, რა თქმა უნდა, ძირითადად პატრიოტულ თემატიკაზე. ომის მძიმე პირობების მიუხედავად, ამ ლექსებში კვლავ ირეკლებოდა მომავლის იმედი, ნათელი ოპტიმიზმი, პატრიტული სულისკვეთება.

ვნახე ვაჟკაცი,
მხნე და მამაცი,
ძლევის ნიაღვარს
ეურჩებოდა
    იდგა თამამი,
    ვით დღის ალამი,
    და საიმედო
    ჩანგს დამღეროდა!..

იყვნენ მგოსნები, რომლებიც უფრო კრიტიკულ ლირიკას ამჯობინებდნენ, წერდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ პრობლემებზეც, თუმცა მომავლის იმედის განცდა არც მათ ლირიკას აკლია:

უმეცრება და შიმშილი,
ორივე ერთად სწვევიათ,
ტანჯვის აკვანი დაუდგამთ
და მკაცრად დაურწევიათ.
    ხედავ და გული გიკვდება
    და ეკითხები გონებას.
    სადაც ედემი ლამაზობს,
    რა უნდა ტანჯვა-მონობას?!

ლიტერატურული შეხვედრები, საღამოები არ შეწყვეტილა გაუსაძლისი ომის პირობებშიც. თბილისის სალიტერატურო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1915 წლის ოქტომბერში ცნობილი რუსი პოეტის – კონსტანტინე ბალმონტის მიერ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის საჯარო მოსმენა და მისი განხილვა. ამ მიზნით

3 ოქტომბერს თბილისის თეატრალური საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართა ახლად დასრულებული თარგმანის ნაწვეტების კითხვა, რამაც ქართული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.[1]

ომის წლებში ლიტერატურული საქმიანობა არ შეუწყვეტიათ იმჟამად უკვე სახელოვან მწერლებსა და პოეტებს: იროდიონ ევდოშვილს, კონდრატე თათარაშვილს (უიარაღო), გიორგი ქუჩიშვილს. ამ უკანასკნელმა 1914 წელს ლექსების ორი კრებული გამოაქვეყნა, რომელშიც ფართოდ გაამუქა თავისი დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე, მიმდინარე ომზე, კაცობრიობის განვითარების მომავალ პერსპექტივებზე. გ. ქუჩიშვილი ლიტერატურაში მემარცხენე მიმართულების, ანუ როგორც საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში იყო დამკვიდრებული – „კრიტიკული რეალიზმის“ ტიპიური წარმომადგენელი იყო და თავის პოეტურ შემოქმედებაში „ცხოვრების გერთა“ – ლუმპენპროლეტართა და პროლეტართა შრომასა და ბრძოლას ასახავდა. „მე პოეტი ვარ ქარიშხალისა“ – აცხადებდა რევოლუციური სულისკვეთებით განწყობილი პოეტი და როგორც მიუთითებენ, „ოცნებობდა იმ დროზე, როცა მუშათა კლასი ბრძოლით დაამსხვრევდა თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიულ წყობილებას“[2]

სწორედ ომის წლებში დაიწყო მუშაობა თავის მნიშვნელოვან ისტორიულ რომანზე „უბედური რუსი“ მომავალში სახელგანთქმულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ შალვა დადიანმა. რომანში თამარ მეფის ოჯახური დრამა არის წარმოჩენილი და როგორც ლიტერატურათმცოდნეები აცხადებენ, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით არის განმსჭვალული“.

ომის წლებში საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ გალაქტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი.

---

[1] გაზ. „ახალი ივერია“, 1915 წ. 8 მარტი.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 728.

მიხეილ ჯავახიშვილი ომის წლებში მხატვრულ შემოქმედებას ორგანულად უხამებდა პუბლიცისტურ საქმიანობასაც, თანამშრომლობდა თბილისში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან და ძალიან ხშირადაც იბეჭდებოდა. მიმდინარე მოვლენებისადმი მას საკმაოდ კრიტიკული პოზიცია ეჭირა და ქართულ საზოგადოებრიობას ანებივრებდა ღრმა შინაარსის, მეცნიერულად არგუმენტირებული პუბლიცისტური წერილებით.

ომის წლებში ქართულ საზოგადოებრიობას განსაკუთრებით აინტერესებდა საზღვრების საკითხი – საქართველოში ძალიან ბევრი ფიქრობდა, რომ როგორც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, შესაძლებელი იყო საქართველოს ისტორიული ტერიტორიების, განსაკუთრებით ლაზიკის შემოერთება.

სწორედ მათთვის და საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის მ. ჯავახიშვილმა სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა მეტად საინტერესო სტატიები: „საქართველოს საზღვრები“, „კარები ჩავკეტოთ“, „საქართველოს კარებები“, „ „ისევ საქართველოს საზღვრებისათვის“ და სხვ. ეს აშკარად მიუთითებს, რომ მწერალს სერიოზულად აღელვებდა საქართველოს პოლიტიკური საზღვრების ფორმირების პრობლემა, რომელიც I მსოფლიო ომის დასასრულს განსაკუთრებით აქტუალური გახდა და საჭიროებდა დროულ გადაწყვეტას.

როგორი იყო ამ მხრივ საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა?

მ. ჯავახიშვილის აზრით – არადამაკმაყოფილებელი: „საქართველო ამ მხრივ ბედნიერი არ არის. მაგრამ არც უბედურთა შორის ჩაითვლება. მას აქვს თავისი ბუნებრივი სტრატეგიული საზღვრები. გადახედეთ საქართველოს რუკას. მისი ეკონომიკური, ტოპოგრაფიული, სტრატეგიული და ისტორიული საზღვრები ერთი და იგივე არიან. ბევრი სახელწიფო ინატვრის ასეთ მთლიანობას და მკაფიოდ გამოჭრილ-გამოკვეთილ ჩარჩოს. უდიდესი ბოროტება იქმნება წინაშე ჩვენის ერისა და მისი მომავლისა ამ ბუნებრივ ჩარჩოს დარღვევა მთლიანად იმიტომ, რომ მის ამა თუ იმ მცირე

კუთხეში ქართველი უმცირესობას შეადგენს. ამ მთლიანი ჩარჩო-საზღვრების შესაქმნელად ჩვენს წინაპრებს ზღვა სისხლი დაუღვრიათ და მრავალი თაობა მისთვის შეულევიათ.“[1]

ამრიგად, მიხ. ჯავახიშვილი პოლიტიკური საზღვრების ფორმირების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ერის ისტორიულ დამსახურებას, საკუთარი ტერიტორიის დაცვის მიზნით ჯერ კიდევ წინაპრების მიერ გაწეულ ღვაწლს საზღვრების განსამტკიცებლად; სამწუხაროდ, ეს ღვაწლი არც მსოფლიოში და არც საქართველოში იმჟამად განსაკუთრებით დაფასებული არ იყო.

ომის წლებში ვლინდება მ. ჯავახიშვილის დაინტერესება მეზობელი სომხეთის ტერიტორიული მოწყობის საკითხებითაც. „დიდი სომხეთი“, მიხეილ ჯავახიშვილის თვალსაზრისით, უნდა აერთიანებდეს ერზუმის, ვანის, ბითლისის, ტრაპიზონის, დიარბექირის, ხარპუთის, კილიკიის ვილაიეთებს, მარშას რაიონს, ერევნის გუბერნიას, განჯას (მის ნახევარს), ყარსსა და კაღიზმანს. ასეთი „დიდი სომხეთი“, ავტორის გამოთვლით, მოიცავს 372 ათას კვადრატულ კილომეტრს, სადაც იცხოვრებდა დაახლოებით 5 906 ათასი მოსახლე[2]

საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით სომხეთის სახელმწიფო საზღვრებით დაინტერესებას ავლენს მ. ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებაზე მსჯელობის დროსაც: „სანამ არსებობდნენ დამოუკიდებელი და ძლიერი სომხეთი, ბიზანტია და ტრაპეზუნდი (ძველი პონტი), საქართველც დამოუკიდებელი, ძლიერი იყო, რადგან მისი სამხრეთის კარები დაკეტილი იყო. სომხეთისა, ბიზანტიისა და ტრაპიზუნდის დაშლის შემდეგ ეს კარებიც გაიღო, ზღუდენი მოიშალნენ და ოსმალეთის ტალღებმა წალეკეს და ჩამოგვაცალეს ნახევარი საქართველო, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენი საქართველოსი იმდენად გაივსო მრავალ საუკუნეთა გამავლობაში სამუსულმანო ქვეყნებიდან

[1] მიხ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 7, თბ., 2008, გვ. 152.
[2] იქვე, გვ. 181.

მომდინარე სომხებით, რომ მათ ფაქტობრივად დაიმკვიდრეს დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოსი და მისი ერთი ნაწილი შეიერთეს კიდეც.“[1]

თავის საგაზეთო წერილებში მ. ჯავახიშვილი განსაზღვრავს „დიდი საქართველოს“ ტერიტორიული კონფიგურაციასაც, რაც მოიცავს: „საქართველოს დღევანდელ საზღვრებში, ანუ თბილისის გუბერნიას, ქუთაისის გუბერნიას, სოხუმის გუბერნიას, ბათუმის ოლქს, საინგილოს, არტაანსა და ოლთისს, ყაზახს, ყარსსა და ყაღიზმანს, გუმბრს (შურაველს), ლაზისტანს, თორთუმს და ასპირს.[2]

ასეთი „დიდი საქართველო“ მიხ. ჯავახიშვილის მიხედვით ტერიტორულად მოიცავს 103 827 კვადრატულ კილომეტრს, სადაც იცხოვრებს 3 700 000 მოსახლე.

რა თქმა უნდა, მიხ. ჯავახშვილის მიერ ჩამოყალიბებული საზღვრები ვირტუალურია და მხოლოდ პუბლიცისტის სუბიექტურ განწყობებს ასახავს: სინამდვილეში არც „დიდი სომხეთი“ შეიქმნა, არც „დიდი საქართველო“ – ამას უდიდესი დაბრკოლებები ედობებოდა წინ, რასაც თვითონ მწერალიც კარგად ხვდებოდა და ასკვნიდა კიდეც შემდეგს – „ამ გეგმას საქართველო თავისი მცირე ძალით ვერ განახორციელებს“.

ამის შემდეგ მ. ჯავახიშვილი გვთავაზობს მეტად საყურადღებო მსჯელობას, რომელსაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს: „საქართველო მსოფლიო ძალთა გზა და ხიდია, რომლის ხელში ჩასაგდებად კიდევ მრავალი სისხლი დაიღვრება და მის ზურგზე მრავალჯერ დაეჯახებიან ერთმანეთს დიდი სახელმწიფოები. ჩვენი დამოუკიდებლობა ნაყოფია ამ ძალთა კომბინაციისა, რომელიც ჩვენს თვალწინ იცვლება. ჩვენი ვალია ამ კომბინაციის მიმდინარეობას გავყვეთ და არსებული პირობები გამოვიყენოთ ჩვენი ხალხისა და სამშობლოს სასარგებლოდ.“[3]

---

[1] მიხ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 7, თბ., 2008, გვ. 124.

[2] იქვე, გვ. 182.

[3] იქვე, გვ. 184.

თითქმის 100 წლის წინ ნათქვამი ეს სიტყვები დღესაც აქტუალურად ჟღერს, რადგან თანამედროვე მსოფლიოში, როცა ინგრევა უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოთა ტრადიციული კონფიგურაციები და სერიოზული საფრთხე ექმნება თვით მათ სახელმწიფოებრიობას, ასევე მათ პოლიტიკურ საზღვრებს, „ჩვენი ვალია ამ კომბინაციის მიმდინარეობას გავყვეთ და არსებული პირობები გამოვიყენოთ ჩვენი ხალხისა და სამშობლოს სასარგებლოდ“.

ძალიან საინტერესო პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე. ომის წლებში ის სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში და ქართველ მკითხველში დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

ამ წლებში დაბეჭდილი მისი სტატიები და წერილები გამოირჩევა ღრმა ეროვნული გრძნობებით, საქმის ცოდნით, კრიტიკული პათოსით და საჭირბოროტო პრობლემების ამომწურავად შესწავლის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ორიგინალურად გაშუქების უნარით. მწერალი აქტიურად თანამშრომლობდა თბილისში ძალიან პოპულარულ გაზეთთან „სახალხო ფურცელი“, რომელშიც ის სისტემატურად ბეჭდავდა მიმდინარე ომის, ეკონომიკური ცხოვრების, სოციალური პრობლემების, კულტურისა და მეცნიერებისადმი მიძღვნილ საკითხებთან დაკავშირებულ თავის საყურადღებო და არგუმენტირებულ სტატიებს.

მიმდინარე მსოფლიო ომი ქართველი მწერლისთვის ტრაგიკული და ფატალური მოვლენა იყო. გ. ქიქოძე წერდა: „ჩვენ თითქო განვლეთ ჩვენი ისტორიის საგმირო ხანა და დღეს ვთვლემთ მწუხრის ბინდ-ბუნდში გახვეულნი. ნახევრად ჩრდილი გვფარავს და ერთმანეთის სახეებს ვეღარ ვხედავთ. აღარ გვესმის საერთო გულისცემა. თვით ჩვენ აჩრდილს ვემსგავსებით, უსისხლოს და უკუნთებოს... გამოსაფხიზლებლად ძლიერი სენსაციები გვჭირდება.

აი, მსოფლიო ომს უხვად მოაქვს ძლიერი შაბეჭდილებანი. მისი ჭექა-ქუხილი ყურთა სმენას გვიმახვილებს, მისი ცეცხლის ალი – მხედველობას. მეომარ გმირთა მიერ დან-

თხეული სისხლი ჩვენს ძარღვებში ჩადის და ჩვენს მოდუნებულ სხეულს ცხოველმყოფელ ძალას მატებს.“[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პუბლიცისტიკა ომის წლებში ძალიან საინტერესო გახდა. ამას განაპირობებდა თავად ეპოქის განსაკუთრებული მდგომარეობა – რიგითი მკითხველი დაინტერესებული იყო ომის შედეგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ვითარების ობიექტური ანალიზით, სოციალური კატაკლიზმების პირობებში სურდა ჰყოლოდა დამრიგებელი, მრჩეველი, იმედის გამღვივებელი, ერთგული მოამაგე...

ამ სოციალურ ფუნქციას მთლიანად ითავსებდნენ ქართველი მწერლები, ჟურნალისტები. ომის მიუხედავა.დ, საქართველოში იმჟამად საკმაოდ ბევრი ქართულენოვანი გაზეთი გამოდიოდა, როგორც მემარჯვენე მიმართულების („ახალი ივერია“, „საქართველო“ და სხვ.), ისე მემარცხენე პოზიციებზე მდგომნი („თანამედროვე აზრი“, „ცნობის ფურცელი“, „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და სხვ.).

ამ გაზეთებში მომუშავე მწერალ-შემოქმედნი, ლიტერატორები, ლიტმუშაკები უდიდეს ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, უპირველესად ქართული საზოგადოებრიობის ინფორმირებით, რომ ომის მძიმე წლებში მისთვის შვება და ნუგეში მიეტანათ. ისინი ქმნიდნენ უნიკალურ გალერეას – ეპოქის ობიექტურ მატიანეს, რაც დღეს უკვე გამორჩეული საისტორიო ღირებულების მატარებელია.

ქართველ მწერლებთან და პოეტებთან ერთად შემოქმედებითი მუშაობა ერთი დღე არ შეუწყვეტიათ ქართველ მეცნიერებს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

იმჟამად საქართველოში სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობისათვის განსაკუთრებული პირობები არ იყო შექმნილი, ამიტომ ქართველი მეცნიერების დიდი უმრავლესობა რუსეთის სხვადასხვა ქალაქის სამეცნიერო ორგანიზაციებ-

---

[1] გ. ქიქოძე, ომი და უზენაესი მორალი. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. №96. იხ.: გ. ქიქოძე, პატარა ერის ხვედრი, თბ., 2003, გვ. 81.

სა და უნივერსიტეტებში იყო გაფანტული, მაგრამ, მიუხედავად გაჭიანურებული ომის მძიმე პირობებისა, ისინი მაინც საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას აგრძელებდნენ.

ომის წლებში თბილისში არსებული შემოქმედებითი გაერთიანებები და ორგანიზაციები პერიოდულად იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, საზოგადოებრიობას გაწეული მუშაობის კონკრეტულ შედეგებს აბარებდნენ, სახავდნენ მომავალი სამეცნიერო საქმიანობის გეგმებს. მაგალითად, 1916 წლის თებერვალში თავისი სამეცნიერო მუშობის შედეგები წარმოადგინა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, რომლის საანგარიშო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა თვით ექვთიმე თაყაიშვილი. ამ მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამ საზოგადოებას ომის წლებში ჰქონდა გაკეთებული როგორც მნიშვნელოვანი საანგარიშო საქმე, ისე ძლიერ სასახელოც – უშუალოდ ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით და მონაწილეობით მოხერხდა კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის ორგანიზება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. კვლევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხუროთმოძვარი ა. კალგინი, მხატვრები: დ. შევარდნაძე, ლ. გუდიაშვილი და მომავალში სახელოვანი კინორეჟისორი – მიხეილ ჭიაურელი. ექსპედიციის წევრებმა შეისწავლეს ხახულის, იშხნის, ოშკის, თორთუმის და რეგიონში განლაგებული სხვა ტაძარ-მონასტრებისა თუ ციხე-სიმაგრეების მხატვრული და მეცნიერული ღირებულებები. ექსპედიციის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის, ისე ქართული მონუმენტური ხელოვნების ამ გამორჩეული ძეგლების შესწავლის საქმეში.

ომის წლები განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილისათვის, რომელი პეტროგრადში მოღვაწეობდა და სწორედ ამ პერიოდში დიდი პროდუქტიულობითაც გამოირჩეოდა. 1916 წელს მან გამოაქვეყნა პირველი წიგნი კაპიტალური ნაშრომისა „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“. როგორც ივ. ჯავახიშვილის ბიოგრაფები მიუთითებენ: „ეს წიგნი ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიმო-

ხილვას ეძღვნება. ეს დიდი სერია ავტორს სამ წიგნად ჰქონდა განზრახული. ისინი საისტორიო მეცნიერების შესავლად იყო განკუთვნილი“[1]

სამეცნიერო საქმიანობას ივანე ჯავახიშვილი ორგანულად უხამებდა აღმზრდელობით-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. მისი ხელმძღვანელობით, ომის წლებშიც, პეტროგრადში საისტორიო მეცნიერების საფუძვლებსა და საქართველოს ისტორიის კვლევის უახლეს მეთოდებს ეცნობოდნენ ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც მოგვიანებით ღრმა კვალს დატოვებენ ქართულ მეცნიერებასა თუ ქვეყნის კულტურულ განვითარებაში: შ. დადიანი, ი. ანთაძე, დ. კაკაბაძე, გ. თარხნიშვილი, გ. ჭუბაბრია და სხვ.

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ I მსოფლიო ომის ბოლო წლებში ივანე ჯავახიშვილს გაუძლიერდა იდეა, ყველაფერი გაეკეთებინა თბილისში ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებლის – უნივერსიტეტის დასაარსებლად. ის ამ დიდ ისტორიულ იდეას, თანამგრძნობთა და მეგობართა მხარდაჭერით, სულ რამდენიმე თვეში შეასრულებს კიდეც.

ივანე ჯავახიშვილის ერთგულ მხარდამჭერთა შორის, უპირველეს ყოვლისა, პეტრე მელიქიშვილს ასახელებენ. ქიმიის მეცნიერების დარგში მისი მიღწევები იმჟამად უკვე საკმაოდ აღიარებული და დაფასებული ჩანს. 1885 წლიდან პ. მელიქიშვილი ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი იყო და საინტერესო კვლევა-ძიებას აწარმოებდა ორგანული ქიმიის დარგში. პ. მელიქიშვილმა გამოიკვლია ორგანულ მჟავათა ზოგიერთი წარმომადგენლისა და მათი წარმოებულების სინთეზისის საკითხები, მათი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. მომავალში მეცნიერის ეს უდიდესი ღვაწლი სათანადოდ დაფასდება, განსაკუთრებით მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

ომის წლებში, საქართველოში, თბილისში პერიოდულად იმართებოდა სამეცნიერო ლექციები, დისპუტები, შეხ-

[1] ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 167.

ვედრები მეტად აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხებზე. მაგალითად, ქართველი ლიტერატორთა 28 თებერვლის შეხვედრაზე, რომელმაც ქართველი მწერლებისა და პოეტების მუშაობის ანგარიში მოისმინა, გადაწყდა დაეარსებინათ „სალიტერატურო ფონდი“, რომელზეც მომავალში ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ.

საიტერესოდ ჩატარდა 1916 წლის სექტემბერში ქართველ ხელოვანთა საზოგადოების საანგარიშო კრება, რომელმაც ქართველი მხატვრების მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული მუშაობა განიხილა. განსაკუთრებით აღინიშნა ის დიდი მუშაობა, რაც ქართველმა მხატვრებმა ზაფხულში ჩაატარეს ნაბახტრევში, როცა ძველ ტაძარ-მონასტრებში გადაიღეს 19 ფრესკის სრულყოფილი ასლი[1].

საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებას აგრძელებდა ქართული თეატრი, რომელიც ძლიერ უფრხილდებოდა წინა წლებში მიღწეულ დიდ ტრადიციებს. მართალია, ომის დაწყებისთანავე, 1914 წლის სექტემბერში, თავადაზნაურთა სახლში მოხდა ხანძარი, რომელმაც აქ არსებული თეატრი და ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მთლიანად გაანადგურა, მაგრამ ამან მაინც ვერ შეაფერხა ქართველთა თეატრალური ცხოვრება როგორც დედაქალაქში – თბილისში, ისე პერიფერიებში. ქართული გაზეთები აანონსებდნენ თეატრალურ საღამოებს, ბენეფისებს, საქველმოქმედო კონცერტებს. მაგალითად, თბილისის ქართულ თეატრში 1914 წლის 12 ოქტომბერს წარმოადგინეს ისტორიული სპექტაკლი „ციხის საიდუმლო“, ჭიათურის თეატრში დადგეს პიესა – „ალქაჯი“. არის სხვა მაგალითებიც.

1916 წლის თებერვალში თბილისის თეატრალურმა საზოგადოებამ დამსახურებული მსახიობის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის საიუბილეოდ დიდი ბენეფისი მოამზადა. ღვაწლმოსილ მსახიობს თბილისის თავადაზნაურობამ – 300 მანეთი, სათავადაზნაურო ბანკმა – 200 მანეთი, დავით სარაჯიშვილის მეუღლემ – 150 მანეთი, თბილისელმა ვაჭრებმა – 100 მანეთი შეაშველეს. სულ ბენეფისმა 2900 მანეთზე

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 6 ოქტომბერი.

მეტი შემოიტანა, რაც ომის პირობებში დამსახურებული ხელოვანისათვის მნიშვნელოვანი შეწევნა იყო.[1]

I მსოფლიო ომის წლები სერიოზული გამოცდა გამოდგა განათლების სისტემისთვისაც; ომის დაწყების წინ საქართველოში არსებობდა სულ 773 დაწყებითი და 34 საშუალო სასწავლებელი. თბილისსა და ქუთაისში ფუნქციონირებდნენ სათავადაზნაურო გიმნაზიები, თბილისში, ქუთაისში, გორში და სხვა ქალაქებში გახსნილი იყო სასულიერო სემინარიები, სამრევლო სკოლები. ექსპერტების ცნობით, ომის დაწყების წინ „წერა კითხვის მცოდნეთა რიცხვის მიხედვით საქართველო მოწინავე ადგილზე იდგა რუსეთის იმპერიაში. და მაინც სასკოლო ქსელი ვერ აკმაყოფილებდა განათლებისადმი ქართველი ხალხის ტრადიციულ ლტოლვას.“[2]

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ იმჟამად თბილისში საინტერესო საქმიანობას ეწეოდა სახალხო უნივერსიტეტი. მას ქართული, სომხური და რუსული სექტორების გარდა, შექმნილი ჰქონდა ოსური და თათრული ჯგუფებიც. უნივერსიტეტში, ომის დაწყების პირველ თვეებში, სხვადასხვა თემაზე ლექტორებმა წაიკითხეს 51 ლექცია, რომელსაც დაესწრო 18 700 მსმენელი. უნივერსიტეტს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში დაარსებული ჰქონდა 6 სკოლა – უფროსი ასაკის მსმენელებისათვის.

როგორც ირკვევა, ომის წლებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა სკოლას: „სახალხო განათლების სისტემა გაჩანაგებამდე მივიდა იმპერიალისტური ომის დროს... წარმოშობილი სამეურნეო ნგრევის პირობებში. შემცირდა სასწავლო მატერიალური საშუალებები. შიმშილობდნენ მასწავლებლები. ხელმოკლეობის გამო მოსახლეობის დიდ უმრავლესობას კდევ უფრო უძნელდებოდა ბავშვების მიბარება სკოლაში“ – ამტკიცებდნენ საბჭოთა ისტორიკოსები.[3]

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 25 ენკენისთვე.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 711.

[3] იქვე.

უდავოდ, ომი თავის დრამატულ ზეგავლენას საზოგადოებრიობის ცხოვრების ყველა სფეროზე ტოვებდა და გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც განათლების სისტემა იქნებოდა, მაგრამ ჩვენ მიერ შესწავლილი დოკუმენტური მასალა ახალი, საინტერესო შეხედულებების განვითარების შესაძლებლობასაც გვაძლევს...

რა თქმა უნდა, სკოლას ძლიერ გაუჭირდა: „ზემო ჭალის (სურამის საბოქაულო) სკოლა დახურვის გზაზეა. უშეშობის გამო სიცივით იხოცებიან“[1] – შეშფოთებით აღნიშნავდა გაზეთის კორესპონდენტი. მართლაც, ასე იყო ბევრ სკოლაში. მაგრამ ომის წლებში დაფიქსირდა მეტად საინტერესო მეორე ტენდენციაც – მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გამძაფრებული ლტოლვა ცოდნისა და განათლებისაკენ. ამას გვაფიქრებინებს გაზეთ „საქართველოში“ ვ. ელიანის მიერ გამოქვეყნებული საყურადღებო ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „ომამდე იდგა სავალდებულო სწავლების კანონის მიღების საკითხი, მაგრამ საუბრები შეწყდა. საქართველოში სწავლა-განათლების წყურვილმა ბოლო დროს ისეთი ელემენტარული სიძლიერით იჩინა თავი, რომ ზოგიერთ კუთხეში თითქმის კიდეც განხორციელდა პირველდაწყებითი წერა-კითხვის სავალდებულო სისტემა. მაგალითად, ასე მოხდა გურიაში. დუხჭირი პირობების მიუხედავად, ხალხი მაინც დიდი სიყვარულით ეკიდება სკოლას.“[2]

ამ მეტად საყურადღებო თვალსაზრისს ორგანულად ეხმიანება და აძლიერებს თბილისში, ცნობილი მილიონერის ადელხანოვის ტყავის ქარხნის მუშების (როგორც ქალების, ისე კაცების) მიმართვა თბილისის სახალხო უნტივერსიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობისადმი, რომელშიც ისინი ითხოვდნენ ქარხანასთან ახლოს, ერთ-ერთ სკოლაში, ქართულ და რუსულ ენებზე, მუშებისათვის საღამოს საგანმანათლებლო კურსების ორგანიზების საქმეში დახმარებას.

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 2 მარტი.

[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 24 ენკენისთვე.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ამ შეთავაზებას დათახმდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი იქნებოდა სათანადო დაფინანსება – სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას იმჟამად სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა. მილიონერმა გ.გ. ადელხანოვმა საღამოს სკოლის გასახსნელად გამოყო 60 მანეთი და თავის მუშებს დაპირდა, რომ „თუ საქმე კარგად წავიდოდა, უფრო მეტ თანხას დაუმატებდა“.[1]

სერიოზული პრობლემები მარტო განათლების სისტემაში არ იყო, გაჭიანურებულმა ომმა სერიოზულად დააზიანა საზოგადოებრიობის ყოველდღიური ცხოვრება და ყოფა – გამოიწვია უმუშევრობა, შიმშილი, სიცივე, საყოველთაო გაჭირვება...

ამან კი, თავის მხრივ, გააუარესა კრიმინალური ფონი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შესამჩნევი გახდა ძალადობის კულტივირება, ყაჩაღობა, ქურდობა, ადამიანების გატაცებაც კი.

კრიმინალის შესახებ ხშირად იუწყებოდა როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პრესა – ქართული საზოგადოებრიობა შეშფოთებული იყო კრიმინალების თარეშით, დაუსჯელობის სინდრომის გავრცელებით.

გარკვეულ პერიოდში კრიმინალური ვითარება დაიძაბა დუშეთის მაზრაში. როგორც იუწყებოდნენ, საგურამოში „ყაჩაღებს კვლავ დაუწყიათ თარეში. იმათ ერთ სოფელში გაუზამთრებიათ და ამ სოფელს არც ეხლა ეშვებიან“.

ქუთაისიდან იტყობინებოდნენ, რომ ადგილი ჰქონდა კრიმინალების თავდასხმებს და ადამიანების გატაცებას.[2]

მემარცხენე მიმართულების გაზეთები იუწებოდნენ, რომ ზემო ქართლში, სურამის საბოქაულოში, მეტად გახშირებულა შენობებისთვის ცეცხლის წაკიდება და ქურდობა. კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ამა თუ იმ დაბა-სოფელში მაღაზიები ან სახლები არ გაეტეხათ თავგასულ ქურდებს. თებერვალში, როგორც ჩანს, სადგურ მიხაილოვოში (ხაშური) ასეთი ქურდების დიდი ჯგუფი დააკავეს კიდეც.

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1917 წ. 3 მარტი.

[2] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1917 წ. 10 აპრილი.

გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტები აღშფოთებით იტყობინებოდნენ „ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ ჩვენი ცხოვრება უკანასკნელ ხანებში სახიფათო გზით ვითარდება. ძარცვა-გლეჯა, ადამიანთა მოტაცება და ამ ნიადაგზე – მკვლელობა და დაშავება ჩვენი სამშობლოს მხოლოდ რომელიმე კუთხის უბედურებას უკვე აღარ შეადგენს. ის ფეხს იდგამს და ვითარდება ყველგან“.

საბჭოთა ისტორიოგრაფია წლების განმავლობაში კატეგორიულლად ამტკიცებდა, რომ რუსეთის მმართველი კლასი არაფერს არ აკეთებდა იმისათვის, რომ როგორმე შეემსუბუქებინა მოსახლეობის უქონელი ფენების ასეთი გაუსაძლისი მდგომარეობა.

ვერ ვიტყვით, რომ ეს მოსაზრება ჭეშმარიტებას არ შეესაბამება და ის მხოლოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიის კლასობრივი ბუნებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ ის საქმიანობა, რასაც მეფის ადგილობრივი ხელისუფლება უქონელთა პრობლემების მოსაწესრიგებლად აკეთებდა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებითაც, აშკარად არასაკმარისი ჩანს და ვერ ფარავდა გაჭირვებულთა ყოველდღიურ მოთხოვნილებებს.

ომის გაუსაძლისი პირობების გამო საქართველოში დაფიქსირდა ეპიდემიების სერიოზული შემთხვევები. მაგალითად, კახეთში 1915 წლის მარტში დააფიქსირეს გადამდები სენი – ყელჭირვება. გაზეთ „თანამედროვე აზრის“ კორესპონდენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იტყობინებოდნენ ყვავილის, ქუნთრუშის, წითელას ეპიდემიის შესახებ.[1]

1916 წლის მკათათვეში თბილისში აღინიშნა ქოლერის მძიმე ფორმა – 322 დაავადებულიდან გარდაიცვალა 130 კაცი (30%).[2] არის სხვა ტრაგიკული მაგალითებიც.

გარკვეული პროფილაქტიკური ღონისძიებები, უდავოდ, ტარდებოდა. მაგალითად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები ცდილობდნენ უზ-

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1917 წ. 4 აპრილი.

[2] გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 25 ენკენისთვე.

რუნველეყოთ მოსახლეობა სამედიცინო დახმარებით, მაგრამ მათი რესურსები ძლიერ შეზღუდული იყო – სახელმწიფოს მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა სამხედრო მოსამსახურეთა, დაჭრილი ჯარისკაცების მომსახურებაზე და რიგითი ადამიანებისათვის არც დრო და არც საშუალება აღარ რჩებოდათ. რაც დრო გადიოდა, მედიკამენტებიც დეფიციტური გახდა.

ასეთ ვითარებაში რიგითი ადამიანების დახმარების საქმე თავის თავზე აიღეს საქველმოქმედო ორგანიზაციებმა და საზოგადოებებმა. თვითონ საიმპერატორო ოჯახის თითქმის ყველა წევრი როგორც წესი, ან თვითონ აყალიბებდა თავისი სახელობის საქველმოქმედო საზოგადოებას, ან აქტიურად თანამშრომლობდა უკვე არსებულ ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში. თვით იმპერატორ ნიკოლოზ II-ს მეუღლე, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული მოწყალების დად მსახურობდა ცარსკოე-სელოში მის მიერ დაარსებულ ლაზარეთში.

საქართველოშიც ფუნქციონირებდა რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაცია. მათ შორის განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობდა. მისი მიზანი იყო მატერიალური დახმარების აღმოჩენა ომში წასულების, ინვალიდების და მძიმე სიღარიბეში ჩავარდნილი ოჯახებისათვის. ისინი ხშირად მიმართავდნენ „ყულაბით ფულის შეგროვების“ მეტად პოპულარულ საქველმოქედო აქციებს. მათ თავის არსენალში ჰქონდათ საქველმოქმედო კონცერტები, კინო-სეანსები და ა.შ.

არის ცნობა, რომ ძალიან დიდ მუშაობას ეწეოდა ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც თავისი ფილიალები პროვინციაშიც კი ჰქონდა – მაგალითად, მცხეთაში. საზოგადოების წევრები კითხულობდნენ ლექციებს, თანამშრომლობდნენ ლაზარეთებში, უვლიდნენ დაჭრილებს.[1]

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1917 წ. 18 მარტი.

საქველმოქმედო ორგანიზაციები ჰქონდათ დიდ საუწყებო დაწესებულებებს, მაგალითად, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, რომელიც ფაქტობრივად აკონტროლებდა ამიერკავკასიაში მთელ სარკინიგზო ინფრასტრუქტურას. სამმართველოს ადგილობრივმა ქალთა კომისიამ მოქმედ ჯარში გააგზავნა 25 ყუთი შაქარი, ჩაი, თუთუნი, თბილი საცვლები და სხვ.

ძალიან პოპულარული გახდა აჭარელი თანამემამულეების ფინანსური თუ მორალური დახმარება, მათთვის ფულის შეგროვება, საკუთარ სახლში მათი განთავსება, უპატრონო ბავშვების შეკედლება და სხვ. (ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ).

მაგრამ დროთა განმავლობაში ეს გულმოწყალებაც აღარ კმაროდა შექმნილი სიდუხჭირის ფონზე. ქართულ, და არამარტო ქართულ, საზოგადოებრიობას თანდათან ეუფლებოდა მძიმე განცდა, უსასოობა, გაჭიანურებული ომით გამოწვეული პიროვნული დეკადანსი.

აი, როგორი განწყობით შეხვდა ქართული საზოგადოებრიობის ერთი, უფრო კრიტიკულად მოაზროვნე, ნაწილი 1917 წელს – რუსეთისათვის ასე განსაკუთრებულად დრამატულსა და საბედისწერო წელს:

ახალი წელი მოდის, მოჰფრინავს,
მაგრამ ახალი მოაქვს მას რამე?
სიცოცხლე ტანჯვის ხუნდში კვლავ გმინავს,
ჯერ ისევ ბნელა, ღამეა, ღამე!
ბოროტი სული ისევ ხარხარებს,
სიკეთეს სცელავს, ბოროტს ამყარებს.

§5. „ზედაფენების კრიზისი“

ძალიან მალე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ რუსეთი ომისათვის მზად არ აღმოჩნდა – არც ეკონომიკურად და არც მორალურად. ომისაგან დაღლა ძალიან მალე შეეტყო ქვეყანას, პირველ რიგში მის მმართველ კლასს და ეს არც იყო გასაკვირი: ასეთი ხანგრძლივი, დამქანცველი, უზარმაზარი ადამიანური და ამტერიალური რესურსების შთანმთქმელი საბრძოლო ოპერაციები რუსეთს არასოდეს უწარმოებია. სრულიად შესაძლებელია, რომ გარკვეული როლი ამ საქმეში ითამაშა „საბედისწერო დასაწყისმაც“ – ტანენბერგთან განცდილმა მარცხმა. ომის პირველივე თვეებში ეს გამანადგურებელი კონფუზი, ქვეცნობიერად, მორალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებს უქმნიდა პირველ რიგში სწორედ მმართველ კლასს.

სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნა საიმპერატორო ოჯახს. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ნიკოლოზ II და მისი მეუღლე – ალექსანდრა თეოდორეს ასული, ზედმეტად რელიგიური, მისტიციზმითა და ცრურწმენებით შეპყრობილი ადამიანები იყვნენ. განსაკუთრებით დედოფალი, რომელიც უაღრესად იყო დათრგუნული ვაჟიშვილის, ცესარევიჩ ალექსის ქრონიკული ავადმყოფობის გამო. ზედმეტად მგრძნობიარე ქალი-დედა თავის თავს ადანაშაულებდა ერთადერთი ვაჟიშვილის განუკურნებელ დაავადებაში, რაც ცესარევიჩ ალექსის განსაკუთრებით მძიმე ფორმით განუვითარდა და ნებისმიერი შემთხვევითი ნაკაწრი ან უმნიშვნელო ტრავმა შეიძლება მისთვის საბედისწერო შედეგით დასრულებულიყო.

დედოფლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ყურადღებას ამახვილებს თავის მოგონებებში რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე მ. როძიანკო, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნებულ მემუარებში აღნიშნავს: „საერთო აზრი, და უეჭველად მართალი, მდგომარეობდა იმაში, რომ იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნა უკვე ბავშვობიდან მიდრეკილი იყო მისტიკური მსოფლმხედველობისკენ... ეს თანდაყოლილი თვისება იყო, რაც კიდევ უფრო უმყარდებოდა და

უძლიერდებოდა წლების განმავლობაში, ხოლო ჩემს მიერ აღწერილ პერიოდში (იგულისხმება I მსოფლიო ომის პერიოდი – ა.დ.) ამ თვისებამ შეიძინა რელიგიური მანიის შინაარსი.“[1]

მისტიციზმი, რელიგიურობა, ზედმეტი ემოციურობა დამახასიათებელი იყო თვით იმპერატორისათვისაც. მასზე ადვილად ახდენდნენ ზეგავლენას ძლიერი და საეჭვო რეპუტაციის ადამიანები. საბჭოთა ისტორიკოსები წერდნენ ნიკოლოზ II კეთილგანწყობაზე ისეთი საეჭვო რუპუტაციის ადამიანების მიმართ, როგორიც იყვნენ თავადი მ.მ. ანდრონიკოვი[2] და ა.ნ. ხვოსტოვი.[3]

ასეთ ვითარებაში რუსეთის დედოფალს გააცნეს გრიგოლ რასპუტინი, რომელიც სანკტ-პეტერბურგის სალონების გრძნობამოჭარბებულ მანდილოსნებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სწორედ თავისი მისტიციზმით, ოკულტიზმით, გამორჩეული ბუნებრივი ექსტრასენსური თვისებებით. გ. რასპუტინი ახერხებდა იმას, რასაც ვერ ახერხებდნენ რუსეთის გამოჩენილი მედიკოსები – მან ჰემოფილიით დაავადებული უფლისწული არაერთხელ გამოიყვანა კომიდან, შეუმსუბუქა ტკივილები, რითიც დედოფალზე

---

[1] М.В. Родзянко, Крушение империи, М.,1992, стр.21.

[2] მ. მ. ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, გამომცემელი. მამა – მიხეილ აბელის ძე ანდრონიკაშვილი, ხოლო დედა – ქალიშვილობაში ბარონესა უნგერნშტენბერგი პეტერბურგის არისტოკრატიის მაღალ წრეს განეკუთვნებონენ. მ.მ. ანდრონიკოვმა ბრწყინვალე განათლება მიიღო – იყო პოლიგლოტი, ეთაყვანებოდა სლავიანოფილურ იდეოლოგიას. ახლო მეგობრულ ურთირთობებში იყო დიდ მთავრებთან: კონსტანტინ კონსტანტინეს ძესა და დიმიტრი კონსტანტინეს ძესთან, კარგად იცნობდა თვით ელინების დედოფალ ოლგა კონსტანტინეს ასულსაც. I მსოფლიო ომის წინ ის გაეცნო და დაუახლოვდა რასპუტინს, დედოფლის ახლობელ მეგობარს გრაფინია ა.ა. ვირუბოვას. ომის წლებში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. საბჭოთა ისტორიოგრაფია მას აბრალებდა სხვადასხვა ფინანსურ საეჭვო ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობას.

[3] სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში, ტ.1, თბ., 1938, გვ.71.

წარმოუდგენელი ზეგავლენა მოიპოვა. დედოფლის მეშვეობით კი ეს კეთილი დამოკიდებულება ნიკოლოზ II-საც გადაეცა. ზოგიერთი ცნობით, რასპუტინმა გარკვეული გავლენებიც კი მოიპოვა თვით ხელმწიფე-იმპერატორზეც. შემორჩენილია რუსეთის დედოფლის მიერ ნიკოლოზ II-სადმი გაგზავნილი პირადი წერილი, რომელიც სწორედ ასეთ ურთიერთობაზე მიანიშნებს: „ძვირფასო, მერწმუნე, შენ უნდა უსმენდე ჩვენი მეგობრის რჩევას. იგი ესოდენ მხურვალედ დღედაღამ ლოცულობს შენთვის. იგი გიცავდა იქ, სადაც შენ იყავი... მხოლოდ უნდა უსმენდე, ენდობოდე და რჩევას ჰკითხავდე – არ უნდა ფიქრობდე, რომ მან რაიმე არ იცის. ღმერთი ყველაფერს უცხადებს მას.“[1]

თანდათან რასპუტინმა სამეფო ოჯახზე განუსაზღვრელი ზეგავლენა მოიპოვა და პოლიტიკური განცხადებებისა და თვალსაზრისების წამოყენებაც დაიწყო. მისი შუამდგომლობით საპასუხისმგებლო თანამდებობებზე (მინისტრების დონეზეც კი) ინიშნებოდნენ მოხელეები.

სისხლისმღვრელი ომის პირობებში რუსეთისათვის კადრების საკითხი გადაუჭრელი პრობლემა აღმოჩნდა – აშკარა გახდა, რომ ამ მხრივაც რუსეთის იმპერია ომისათვის სათანადოდ არ მოემზადა. ომის მსვლელობის ორი წლის მანძილზე შეიცვალა მინისტრთა საბჭოს ოთხი თავმჯდომარე (ი.ლ. გორემიკინი, ბ.ვ. შტიურმერი, ა.ფ. ტრეპოვი, ნ.დ. გოლიცინი), ექვსი შინაგან საქმეთა მინისტრი, სამი – სამხედრო მინისტრი, სამი – საგარეო საქმეთა მინისტრი. საბჭოთა ისტორიკოსები ირონიით მიუთითებდნენ: „ისინი გამოჩნდებოდნენ, ცოტა ხანს ლანდივით დადიოდნენ დედამიწაზე და ჰქრებოდნენ. ამას ეწოდებოდა „მინისტრთა ოთურმა“. მინისტრთა საბჭოს ირონიულად „კუვირკ-კოლეგიას („ყირამალა-კოლეგიას“) უწოდებდნენ. პორტფელების განაწილება დამოკიდებულება იყო ბნელ ვიგინდარათა რეკომენდაციებზე, იმაზე თუ რა აზრს გამოთქვამდა „ვარსკვლავთა პალატა“, როგორც რასპუტინის წრეს უწოდებდნენ.“[2]

---

[1] Переписка Николая и Александры Романовых, т.5, М., 1927. стр. 160.

[2] სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში, ტ. 1, თბ., 1938 გვ. 71-72.

შეიძლება ასეთი რადიკალურად კრიტიკული თვალსაზრისი ნიკოლოზ II-ის საკადრო პოლიტიკაზე საბჭოთა ისტორიოგრაფიის კლასობრივი ბუნებისათვის დაგვებრალებინა, მაგრამ დაახლოებით მსგავსი შეხედულებები აქვთ ნიკოლოზ II-ის მინისტრებსა და საერთოდ საკადრო პოლიტიკაზე უცხოელ ისტორიკოსებსაც. მაგალითად, ნიკოლოზ II-ის შესახებ ძალიან გახმაურებული მონოგრაფიის ავტორი მარკ ფერო წერს: „სულ რამდენიმე წელში რასპუტინმა გააფართოვა თავისი „იმპერია“... დედოფალზე მისი მორალური ზეგავლენა წარმოუდგენლად უსაზღვრო გახდა. მართალია, ნიკოლოზზე ეს გავლენა აშკარად არ ვრცელდებოდა, მაგრამ მეფე თანდათან აქტიურად ერთვებოდა ალექსანდრას მისტიკურ გარემოცვაში და სულ უფრო ემორჩილებოდა მის (აქ იგულისხმება რასპუტინი – ა.დ.) ზეგავლენას.“[1]

რა თქმა უნდა, რუსეთში იყვნენ ძალები, რომლებიც ამას ხედავდნენ და ცდილობდნენ ამ მდგომარეობის გამოსწორებას. სამეფო დინასტიის წარმომადგენლებიც ცდილობდნენ რაპუტინის ფაქტორის ნეიტრალიზებას – მათ აშინებდათ რომ გაქნილი „რუსი მუჟიკის“ ხშირი ტრიალი ხელმწიფისა და მისი ოჯახის გარშემო შეარყევდა უკვე თითქმის ისედაც მთლიანად შერყეულ მონარქისტულ პრინციპებს რუსეთში და საფრთხეს შეუქმნიდა რომანოვების დინასტიას. ასეთ პრაგმატულ ადამიანებს შორის იყო მარია თევდორეს ასული – დედოფალი-დედა. მას არ უყვარდა რძალი და ცდილობდა შვილისთვის აერიდებინა მეუღლის დამღუპველი ზეგავლენა, მაგრამ, როგორც მოვლენებმა დაადასტურეს, ყველა ცდა ამაოდ დარჩა.

დაძაბული ვითარების განმუხტვას ცდილობდნენ მეფის ბიძები – დიდი მთავრები, მათი ოჯახის წევრები, მაგრამ ნიკოლოზ II ფანატიკურად ერთგული იყო ცოლის და არავითარ გონივრულ რჩევას, რაც დედოფალს არ მოსწონდა, ის არ იზიარებდა.

ეს კი საერთო ვითარებას ქვეყანაში კიდევ უფრო ამძიმებდა. შოვინისტური აჟიოტაჟი რუსეთში, როგორც დავი-

[1] Марк Ферро, Николай II, М., 1991, стр.204.

ნახეთ, ძალიან მალე შეიცვალა აპათიით. რუსეთის უზარმაზარმა არმიებმა პირველ სერიოზულ დარტყმებს ვერ გაუძლეს. XX საუკუნეში მეფის ხელისუფლება უკვე მეორედ აგებდა ომს: უამრავი დაღუპული, დაჭრილი, დასახიჩრებული. ეკონომიკა ძალიან სწრაფად მოიშალა. სამხედრო დაკვეთების შესრულებას საფრთხე დაემუქრა, ფრონტი – როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის – ამუნიციის გარეშე დარჩა. მოუქნელი რუსული ეკონომიკური სისტემა ვერ ახერხებდა იმ ამოცანების გადაწყვეტას, რასაც ასეთი მასშტაბური სამხედრო კამპანია მოითხოვდა. თუმცა გარეგნულად თითქოს ყველაფერი კეთდებოდა, რომ მატერიალური რესურსების მაქსიმალური მობილიზაციით, როგორც შეიარაღებით, ისე კვებით და თუნდაც მინიმალური საარსებო პირობებით უზრუნველეყოთ საბრძოლო ნაწილები და მთელი საარმიო შენაერთები

ფრონტებზე ვითარება კი დღითი დღე მძიმდებოდა. გაჭიანურებული პოზიციური ომები ძალას ართმევდა რიგით ჯარისკაცებს, ყოველდღიურად ათასობით და ათიათასობი იღუპებოდა, ან ტყვეობაში ვარდებოდა. რუსი ჯარისკაცები აშკარად გადაიღალნენ...

ძალიან მალე ომისაგან რუსეთის მმართველი ელიტაც დაიღალა. ის გრძნობდა კატასტროფის მოახლოებას და გადასარჩენად გამოსავალს ეძებდა, მეფის სასახლეში დაიწყეს სეპარატისტულ შეთანხმებაზე საუბარი, გაიხსენეს გერმანიასთან ნათესაური ურთიერთობებიც (დედოფალი ალექსანდრა ხომ გერმანელი პრინცესა იყო). რუსეთის იმპერიალისტური წრეები, რომლებიც კონსტანტინოპოლზე ოცნებობდნენ, უკვე აშკარად ნიკოლოზ II-ს უუნარობაში ბრალს სდებდნენ. სერიოზული შეცდომა იყო ის, რომ ნიკოლოზ II-მ რუსეთის ჯარების მთავარსარდალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თანამდებობიდან გადააყენა და კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე განამწესა.

რუსეთის ჯარების მთავარსარდლობა საკუთარ ხელში აიღო თვითონ იმპერატორმა, რასაც დღეს ბევრი პოლიტოლოგი სერიოზულ შეცდომად თვლის, რადგან იმპერატორმა უშუალოდ აიღო პასუხისმგებლობა ფრონტებზე მიმდინარე

მოვლენების შედეგებზე, რაც ცვალებადი წარმატებებით გამოირჩეოდა და ეს შედეგები, განსაკუთრებით – წარუმატებელი სამხედრო ოპერაციები, სერიოზულად აზიანებდნენ იმპერატორის ავტორიტეტს და სრულად ანადგურებდნენ მითს „მამა-მეფის“ უძლეველობაზე[1].

მთელმა რუსეთმა წაიკითხა „რუსკაია ვედომოსტში“ დაბეჭდილი ცნობილი პოლიტიკოსის ვ. მაკლაკოვის სტატია: „ტრაგიკული მდგომარეობა, შეშლილი მძღოლი“. ეს წერილი მეტად საინტერესო ალეგორიაა და ქვემოთ მთლიანად მოვიყვანთ მას:

„თქვენ მიჰქრიხართ ვიწრო მოსახვევებიან გზაზე, ერთი არასწორი ნაბიჯი და – თქვენ უეჭველად დაიღუპებით. ავტომობილში თქვენი უძვირფასესი ადამიანი, თქვენი დედაა.

და თქვენ მოულოდნელად ამჩნევთ, რომ მძღოლს მართვა აღარ შეუძლია. იქნებ იმიტომ, რომ არ იცის როგორ მართოს მანქანა თავდაღმართზე, ან იქნებ ის დაიქანცა და უკვე აღარ შეუძლია განსაზღვროს – რა აკეთოს, მაგრამ მას მიჰყავხართ დაღუპვისაკენ თქვენც და საკუთარი თავიც, და თუ გააგრძელებს სრბოლას, რასაც ის აკეთებს დასანახად – უდავო სიკვდილია.

საბედნიეროდ, მანქანაში არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მანქანის მართვა, საჭიროა ისინი მივუშვათ საჭესთან. მაგრამ გაქანებულ მანქანაში საჭესთან მისვლა და მართვა ძნელი და სახიფათოა: ერთი წუთი მართვის გარეშე და – ავტომანქანა გადაიჩეხება.

მაგრამ არჩევანის დრო აღარ არის – და თქვენ ამაზე მიდიხართ.

მაგრამ მძღოლი არ გემორჩილებათ. შეიძლება იმის გამო, რომ ის დაბრმავდა და ვეღარ ამჩნევს, რომ ის დასუსტდა და აღარ აზროვნებს. შეიძლება პროფესიული თავმოყვარეობის გამო და შეიძლება უბრალოდ – სიჯიუტის გამოც, ის მაგრად ჩასჭიდებია საჭეს და არავის უშვებს მასთან.

---

[1] Марк Ферро, იქვე, გვ. 190-191.

რა უნდა გავაკეთოთ ასეთ წუთებში...

ძალით აიძულოთ დაგითმოს თავისი ადგილი... მაგრამ ეს მეთოდი კარგია უსაფრთხო ურემში ან ჩვეულებრივ დროს, სწორ ადგილზე, წყნარად მიმავალ მანქანაში. მაშინ ეს ბრძოლა შვებად შეიძლება აღმოჩნდეს. მაგრამ შეიძლება ეს გააკეთო საშინელ დაღმართზე, მთიან გზაზე? რაც უნდა მოხერხებულიც იყოთ და ძლიერიც – მის ხელში ფაქტობრივად საჭეა, მანქანას ამჟამად ის მართავს და ერთი არასწორი მოხვევა, ან უხერხული მოძრაობა და – მანქანა დაღუპულია. ეს თქვენც იცით, მაგრამ ეს მანაც იცის. თუმცა ის დასცინის თქვენს შეშფოთებას და თქვენს უძლურებას: „აბა გაბედეთ და ხელი მახლეთ“.

და ის მართალია, თქვენ ხელს არ გაანძრევთ... უფრო მეტიც, თქვენ შეეცდებით მის დახმარებას რჩევით, მითითებებით, ქმედებით. და თქვენ მართალი იქნებით – სწორედ ასეა საჭირო მოქმედება, მაგრამ რა გრძნობას განიცდით იმ აზრის გამო, რომ თქვენ თავშეკავებას არაფერი შედეგი არ მოჰყვება, და რომ თქვენი დახმარებითაც მძღოლი ვერ დაიმორჩილებს მანაქანას, განა არ დაგეუფლებათ აღშფოთება, თუკი თქვენი დედა ხიფათის მოლოდინში თქვენ დახმარებას გთხოვთ და გაოცებულია თქვენი საქციელით, დანაშაულებრივი გულგრილობით და უმოქმედობით?“.[1]

საოცრად მოხდენილი კალამბურია, ჩინებული ილუსტრაციაა მაშინდელი რუსეთის ინტელიგენციის გაუბედაობის, უსუსურობის – ხედავდე ტრაგედიის სათავეს და იყო ჩუმად, ელოდებოდე მოვლენების სტიქიურ მსვლელობას, რაღაც სასწაულს ციდან...

ამ „შეშლილ მძღოლში“ მთელმა რუსეთმა იოლად შეიცნო თავისი „მეფე-მამილო“ – ნიკოლოზ II. რეჟიმი დაღუპვისთვის იყო განწირული. რუსეთის იმპერიის დასასრული დაიწყო.

რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ გამოსავალი რასპუტინის მკვლელობაში მონახა – საქმე იმაში იყო, რომ „წინასწარმეტყველმა“ დაიწყო აშკარა აგიტაცია ომის წინააღ-

[1] Марк Ферро, Николай II, М., 1991, стр.200-201.

მდეგ, ბევრს საუბრობდა იმაზე, რომ რუსეთი დაიღალა, რომ ხალხის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რომ ომის გაგრძელება საფრთხეს შეუქმნიდა სამეფო ოჯახს, დინასტიას, რომ საჭირო იყო გერმანიასთან მოლაპარაკების დაწყება...

საქმე იმაშიც იყო, რომ გერმანიის მხარეც ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას – სეპარატული ზავი გერმანიას ხელს გაუხსნიდა დასავლეთის ფრონტებზე აქტიური მოქმედებებისაკენ. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ გაგანია ომში დედოფლის ძმამ – ჰესენის ჰერცოგმა ერნიმ დას წერილი გამოუგზავნა და, როგორც ამბობენ, გერმანიის იმპერატორის პრაგმატული წინადადებებიც თან დაურთო.

შემორჩენილია დედოფლის მიერ მეუღლესთან გაგზანილი წერილი, რომელშიც ურჩევდა მას, გულისყურით მოჰკიდებოდა ჰერცოგის წინადადებებს.[1]

საბჭოთა ისტორიოგრაფია სეპარატული ზავის საკითხზე მსჯელობისას არგუმენტად იშველიებდა დედოფალთან დაახლოებული ფრეილინა ვასილჩიკოვას მცდელობებსაც. ეს ქალბატონი ენათესავებოდა გერმანიის არისტოკრატიის ცნობილ წარმომადგენლებს და მისი დახმარებით იმპერატორმა ვილჰელმ II რამდენიმე წერილი გაუგზანა ნიკოლოზ II-ს ზავის დადებასთან დაკავშირებით. ეს ქალბატონი, რომელიც მუდმივად ავსტრიაში, თავის მამულში ცხოვრობდა, გაგანია ომის ვითარებაში პეტროგრადშიც კი ჩამოვიდა, რომ ხელმწიფე-იმპერატორს შეხვედროდა. მისი ეს ნაბიჯი იმდენად გამომწვევი იყო, რომ სასახლეში ის დემონტრაციულად არ მიიღეს და ქალაქიდან გააძევეს.

ეს აქტივობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რუსეთში „ანტანტის“ ელჩებს – დროზე ადრე ომიდან რუსეთის გამოთიშვა სერიოზულ – აშკარად საბედისწერო ვითარებას შექმნიდა დასავლეთის ფრონტებზე, ამიტომაც გერმანიასთან სეპარატული ზავის შესახებ ფიქრიც კი დაუშვებლად მიაჩნდათ. არის მოსაზრება, რომ სწორედ მათ შთააგონეს რუსი არისტოკრატების გარკვეულ ჯგუფს, მათ შორის მეფის ნათესავს, თავად იუსუპოვს, თავიდან მოეშორებინათ რასპუ-

[1] სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში, ტ. 1, თბ., 1938 გვ. 81.

ტინი – გერმანიასთან რუსეთის დაზავების ერთგული მხარდამჭერი.

რასპუტინის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ დიდი მთავრებიც, რომლებმაც ერთად მიიწვიეს რასპუტინი იუსუპოვების სასახლეში ჩინებულ ნადიმზე. რასპუტინის მკვლელობის შესახებ უამრავი ვერსია, გამოკვლევა, ინფორმაცია და მხატვრული ნაწარმოებიც კი არსებობს, მაგრამ ფაქტი ერთია – 1916 წლის 16-17 დეკემბერს ღამით, იუსუპოვის სასახლეში შეთქმულებმა სასიკვდილოდ დაჭრეს „წმინდა მოხუცი“ და შემდეგ ის მდინარეში გადააგდეს.

მაგრამ ამ მკვლელობამ უკვე ვეღარ უშველა ვერც რუსეთს და ვერც ნიკოლოზ II-ს...

§6. თებერვლის რევოლუცია

როგორც აღვნიშნეთ, I მსოფლიო ომისთვის ყველაზე ცუდად რუსეთის იმპერია მოემზადა: მიუხედავად თანამედროვე რუსი ექსპერტების მტკიცებისა, რომ ომის წინ რუსეთი განსაკუთრებულ ეკონომიკურ წინსვლას განიცდიდა და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია, ომის ვითარებაში შექმნილი რეალობა უფრო რადიკალურად განსხვავებული დასკვნების საშუალებას იძლევა – ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების მხრივ, რუსეთი, თავის მოკავშირეებთან შედარებით, აშკარად დიდ უძლურებას ავლენდა. ეს ყველაფერი კი, პირველ რიგში, ფრონტის საჭიროებაზე აისახა: არ იყო საკმარისი საჭურველი, საბრძოლო მასალები, თანამედროვე სამხედრო ტექნიკა. ამ ვითარებამ კი გერმანიის იმპერიის კარგად მობილიზებული არმიების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის არაერთი სერიოზული მარცხი განაპირობა. ამ წარუმატებლობებს ვერ ფარავდა ავსტრია-უნგრეთისა და კავკასიის ფრონტებზე მოპოვებული ცალკეული, ზოგჯერ მნიშვნელოვანი გამარჯვებებიც კი.

მაგრამ მთავარი და სერიოზული პრობლემები რუსეთის სახელმწიფოს შეექმნა არა ფრონტებზე, როგორც დღეს ექსპერტთა უმრავლესობა ფიქრობს, არამედ ზურგში და ეს პრობლემებიც, ძირითადად, ისევ ეკონომიკასთან იყო დაკავშირებული. გაირკვა, რომ რუსეთის სახელმწიფო არ მოელოდა ომის გაჭიანურებას და მისი რეზერვები ერთობ მოკრძალებული აღმოჩნდა. ძალიან მალე გუბერნიებს შორის ეკონომიკური კავშირები სერიოზულად გაძნელდა, ტრანსპორტი მოიშალა, ჭირდა სამხრეთის გუბერნიებიდან ცენტრში – პეტროგრადსა და მოსკოვში პურის დიდი პარტიების გადატანა. იმპერიის დედაქალაქში სასურსათო მაღაზიებთან უზარმაზარი რიგები გაჩნდა. აი, როგორც აფასებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია აღნიშნულ ვითარებას: „ბურჟუაზია და მემამულეები ომის საშუალებით ჯიბეებს ისქელებდნენ. მუშები და გლეხები კი სულ უფრო და უფრო მეტ გაჭირვებასა და ტანჯვას განიცდიდნენ. ომი ანგრევდა რუსეთის სახალხო მეურნეობას. დაახლოებით 14 მილიონი ჯანსაღი მუშაკი წაყვანილი იყო არმიაში, მოწყვეტილი იყო მეურნეობას. ფაბრიკები და ქარხნები ჩერდებოდა. შემცირდა მარცვლეულის ნათესები – მუშაკები არ იყო საკმარისი. მოსახლეობა და ფრონტზე მყოფი ჯარისკაცები შიმშილობდნენ, ტიტველ-შიშველნი იყვნენ. ომი ნთქავდა ქვეყნის ყველა რესურს“[1].

პოსტსაბჭოთა რუსული ისტორიოგრაფია აღნიშნულ ვითარებას დაახლოებით ასევე აფასებს: „ომის პერიოდში არმიაში მობილიზებული იყო დაახლოებით 15 მილიონი კაცი. სოფელი დარჩა მილიონობით მუშახელის, ცხენების გარეშე, დასავლეთი გუბერნიების ოკუპაციამ შეამცირა სათესი ფართობები. რუსეთში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი. ის სულ უფრო და უფრო მოიცავდა ეკონომიკის ახალ-ახალ დარგებს: მეტალურგიას, ქვანახშირის წარმოებას და ა.შ. რკინიგზები ვერ ახერხებდნენ ტვირთების გადაზიდვას, რადგან არ ჰყოფნიდათ საწვავი და ვაგონების შემადგენლო-

[1] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, თბ.,1952, გვ. 211.

ბა. საწვავის არქონის გამო უკვე 1916 წლის დეკემბერში პეტროგრადში გაჩერდა 80 საწარმო. არ ყოფნიდათ სურსათი: მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა რუსეთის 31 გუბერნიაში დაეკანონებინა ხორბლის სავალდებულო გაწერა. წარმოუდგენლად გაიზარდა ფასები საქონლის ყველა სახეობაზე“[1].

თანამედროვე რუსი ისტორიკოსის ზემოთაღნიშნულ შეფასებას თითქმის მთლიანად ეთანხმებიან საქმეში ღრმად ჩახედული, თანამედროვე უცხოელი ისტორიკოსებიც: „მთელი სამრეწველო საქმიანობის სამხედრო წარმოებაზე კონცენტრაციამ მთლიანად დაანგრია საშინაო ბაზარი. მრეწველობა ვეღარ უზრუნველყოფდა სამოქალაქო მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებას. სულ რამდენიმე თვეში ზურგში შეიქმნა სამრეწველო საქონლის მწვავე დეფიციტი. გლეხობამ, იმის გამო, რომ ვეღარ იღებდა საჭირო სამრეწველო საქონელს, შეწყვიტა სურსათის მიწოდება ქალაქებისათვის. ამან საოცრად გაზარდა ფასები სასურსათო პროდუქტებზე. შემდეგ ფასები გაიზარდა სამრეწველო საქონელზეც. ქვეყანაში დაიწყო ინფლაცია და გაჩნდა მწვავე დეფიციტი. 1914 წლის ივლისიდან 1917 წლის იანვრამდე ფასებმა ძირითად პროდუქციაზე მოიმატეს 4-5 ჯერ... მშრომელთა ცხოვრების პირობები წარმოუდგენლად გაუარესდა.“[2]

ამრიგად, შეიძლება კონსტატირება გაუკეთდეს ფაქტს, რომ რუსეთის სახელმწიფო მანქანამ, მმართველმა ელიტამ, სამეფო დინასტიამ ომის ურთულეს პირობებში ვერ მოახერხეს ეკონომიკური პრობლემების მინიმიზაცია და დაუშვეს ქვეყანაში ისეთი მძიმე ეკონომიკური ვითარების შექმნა, რომელმაც მოამწიფა რევოლუციური სიტუაცია და სერიოზული პრობლემა შეუქმნა პოლიტიკურ სტაბილურობას ქვეყანაში. ყველა ექსპერტი (როგორც საბჭოთა, ისე არა საბჭოთა) ერთხმად აღნიშნავს სახელმწიფოს მეთაურის – რუსე-

---

[1] Б. Пашков, История России, XX век. М.,2000, стр. 83.

[2] Н. Верт. История советского государства., М,, 2002. стр. 69.

თის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის უუნარობას, ასეთ რთულ ვითარებაში გაძღოლოდა ქვეყნის მმართველობას და შეეთავსებინა როგორც უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელის, ისე უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციები.

ნიკოლოზ II-ის მმართველობით უკმაყოფილონი იყვნენ რომანოვების საგვარეულოს წარმომადგენლებიც – მეფის ბიძები, ბიძაშვილები, რომლებიც შიშობდნენ, რომ უნიათო მეფეს შეეძლო ქვეყანაში ანტიმონარქიული რევოლუცია გამოეწვია. რუსეთის ხელისუფლებით უკმაყოფილონი იყვნენ დასავლეთელი პარტნიორებიც – „ანტანტის“ ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც აშკარად ხედავდნენ, რომ რუსეთი იყო ყველაზე „სუსტი რგოლი“ მებრძოლ ქვეყნებს შორის. პეტროგრადში, ფარულად თუ აშკარად, არსებული ხელისუფლების შესაცვლელად იგეგმებოდა შეთქმულების სხვადასხვა ვარიანტი.

რევოლუცია კი სრულიად მოულოდნელად დაიწყო: 1917 წლის 14 თებერვალს პეტროგრადის ქუჩებში დაახლოებით 50 ათასი მუშა გამოვიდა ლოზუნგებით: „ძირს ომი!“, „ძირს თვითმპყრობელობა!“. მათ მოგვიანებით შეუერთდნენ პეტროგრადის უდიდესი საწარმოს – პუტილოვის ქარხნის მშრომელებიც. 23 თებერვალს (8 მარტს) გაფიცვებს შეუერთდნენ პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-ქალებიც.

მოსახლეობის უკმაყოფილება ძალიან მალე ისეთი უმართავი გახდა, რომ ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა, მიეღო რადიკალური ზომები ომის პირობებში დაუშვებელი საპროტესტო მოძრაობების გასანეიტრალებლად. მთავრობისათვის მოულოდნელად დაიწყო მუშა-გაფიცულებისა და მათ დასაშოშმინებლად გაგზავნილი ჯარისკაცების დაძმობილება.

ნიკოლოზ II-მ ბრძანა „უწესრიგობების“ აღკვეთა – პეტროგრადში გამოცხადდა კომენდანტის საათი, მაგრამ გაფიცვები მაინც გრძელდებოდა. 26 თებერვალს ჯარის ნაწილებმა გაფიცულებს ესროლეს, იყო მსხვერპლი. მემარცხენე პოლიტიკურმა პარტიებმა (ესერებმა, მენშევიკებმა, ბოლშევიკებმა) მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება გაფიცვების გაგრძელების შესახებ. 27 თებერვალს მთელი პეტროგრადი

ამბოხებულების ხელში აღმოჩნდა. თავრიზის სასახლეში, სადაც სახელმწიფო სათათბირო მუშაობდა, შეიკრიბნენ მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები და შექმნეს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოების დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი მენშევიკ ნ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით. ამავე დროს, პარალელურად შეიქმნა სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტიც. ქვეყანაში ვითარება ისე გამწვავდა, რომ იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. ტახტზე უარი განაცხადა მისმა ძმამ – დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ. შეიქმნა დროებითი მთავრობა თავადი გ.ე. ლვოვის ხელმძღვანელობით.

მეტად საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროფ. ო. ჯანელიძე რუსეთის სამეფო დინასტიის მმართველობის კატასტროფული დასასრულის პოლიტიკური შეფასებისას: „საკვირველია, რომ მეფის ხელისუფლებას დამცველი არავინ გამოუჩნდა. ძნელი დასაჯერებელია, მთელ რუსეთს ერთბაშად შეექცია ზურგი მონარქიისათვის. კი წერს ნიკოლოზ მეორე დღიურში თავის გადადგომის დღეს: „ირგვლივ ღალატია, ვაი, საცოდავო რუსეთოო“, მაგრამ უფრო საფიქრებელია შემდეგი: **გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა – ვერც საერომ, ვერც სამხედრო და ვერც სასულიერომ – ვერ გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა. ისინი დაყვნენ მოვლენათა შეთავაზებულ განვითარებას და არ მიმართეს გადამჭრელ ზომებს**“[1] (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.).

გამოთქმული მოსაზრება მრავალმხრივ საყურადღებოა და ჩვენთვის მთლიანად მისაღები. მას შეიძლება კიდევ ის ფაქტიც დაემატოს, რომ უბედური მეფე და მისი ოჯახი ინგლისში არ მიიღო მისმა „ტყუპმა“ დეიდაშვილმა – გეორგ V-მ, რომელიც აჰყვა ჭორებს ნიკოლოზის შესაძლო მოლაპარაკებების შესახებ ვილჰელმ II-სთან, რაც იმჟამად „ანტანტის“ მესვეურების მხრიდან მომაკვდინებელ დანაშაულად ითვლებოდა და „კომპრომიტირებული“ დეიდაშვილისა

[1] ო. ჯანელიძე, „ფოსტით მიღებული რევოლუცია“ (1917 წლის თებერვალი-მარტი საქართველოში), „ანალები“, 2017, №13, გვ. 101.

და მისი ოჯახის ინგლისში ემიგრაცია მიზანშეუწონლად ჩათვალა. ამრიგად, ნიკოლოზი და მისი ოჯახი შინ და გარეთ, ახლობელმა თუ შორეულმა – ყველამ მიატოვა და გაწირა იმ საშინელი აღსასრულისთვის, რომელსაც ის და მისი ოჯახი ციმბირში, გადასახლების დროს, ასე ტრაგიკულად შეხვდებიან.

მაგრამ პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებებმა რევოლუციური მღელვარებები რუსეთში ვერ დააცხრო. მთელი სიმწვავით დადგა ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხი – უზარმაზარ სახელმწიფოში, საომარ პირობებში, სწრაფად უნდა შეცვლილიყო სახელმწიფო სტრუქტურები, ადგილებზე უნდა შექმნილიყო ადგილობრივი, დროებითი ორგანოები მანამდე, სანამ რუსეთის დამფუძნებელი კრება არ გადაწყვეტდა, რა ფორმისა და რა მოდელის სახელმწიფო შეიქმნებოდა ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე.

ამასობაში დროებითმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერკავკასიის სამართავად შექმნილიყო „ოზაკომი“ (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი). გადაწყვეტილებას მისი შექმნის შესახებ თავადმა ლვოვმა 9 მარტს მოაწერა ხელი. ის დააკომპლექტეს სახელმწიფო სათათბიროს სამხრეთ კავკასიელი დეპუტატებით. მასში შევიდნენ: კადეტები ვ. ხარლამოვი და მ. პაპაჯანოვი, მუსავატი მ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალიტი კ. აბაშიძე, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი ა. ჩხენკელი. დროებითი მთავრობის სპეციალური რწმუნებულებით აღჭურვილნი „ოზაკომის“ წევრები თბილისისაკენ გამოემართნენ[1].

კავკასიის მეფისნაცვალი იმ დროს მეფის ბიძა – დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი იყო, რომელიც ფიქრობდა, რომ პეტროგრადში „უწესრიგობები“ სწრაფად აღმოიფხვრებოდა, ამიტომაც პირველ ხანებში კავკასიის პრესა პეტროგრადის მოვლენების შესახებ სწორ ინფორმაციას არ იძლეოდა. თბილისში თებერვლის რევოლუციის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ნ. ჩხეიძის

[1] ა. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917 – 1918 წ.წ.), თბ., 1957, გვ. 118

დაშიფრული დეპეშით გაიგეს: „მთავრობაძე გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებს და ნაცნობებს“.

მცდელობის მიუხედავად, კავკასიაში თებერვლის რევოლუციის შესახებ მაინც შეიტყვეს: „იმავე დღეს უჩვეულო სანახაობას წარმოადგენდა თბილისი. მშრომელები ერთმანეთს ულოცავდნენ მეფის ხელისუფლების დამხობას. მთელ რიგ საწარმოებში მუშაობა შეწყდა. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები და ოსტატები შეიკრიბნენ მიტინგზე, რომელსაც 3 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგმა გაუგზავნა მისალმება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს“[1].

თებერვლის რევოლუციის შესახებ ინფორმაცია თანდათან მოედო მთელ კავკასიას: ბაქოში, ერევანში, ვლადიკავკაზში, სტავროპოლში, გროზნოში, ნალჩიკსა და მახაჩკალაში ყველამ გაიგო, რომ ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა და მონარქია დაემხო.

საქართველოში თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ვითარება „ავტოკეფალისტებმა“ კარგად გამოიყენეს და 1917 წლის 12 მარტს, „განსაკუთრებული კომისარიატის წევრების“ თბილისში ჩამოსვლამდე, მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აღადგინეს რუსეთის იმპერატორის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში უკანონოდ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. მოგვიანებით საეკლესიო კრებამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ეპისკოპოსი კირიონი.

ამასობაში ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრები თბილისში ჩამოვიდნენ და შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას. უპირველეს ყოვლისა, მათ მოამზადეს ერთობლივი მიმართვა ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი, რომელშიც ასეთი სიტყვებიცაა: „ძველი კოშმარული რეჟიმი, საუკუნეების მანძილზე რომ ჩაგრავდა რუსეთის ყველა ხალხს, დაემხო. თავისუფალი რუსეთის საზღვრებში ყველა ეროვნების წინაშე გაიხსნება შესაძლებლობა, მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, რომ ყველა მათგანის კულტურულმა

[1] ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

და ეკონომიკურმა მოთხოვნილებამ მიიღოს საუკეთესო და სრული დაკმაყოფილება.“ მოწოდებას ხელს აწერდნენ: „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ წევრები: ვ. ხარლამოვი, მ. პაპაჯანოვი, კ. აბაშიძე, ა. ჩხენკელი, მ. ჯაფაროვი.[1]

კავკასიის ახალი ხელისუფლება ხალხის წინაშე პირობას დებდა, რომ სრულად განახორციელებდა დემოკრატიულ თავისუფლებებს: სიტყვის, პრესის, კავშირების, რწმენის. ამასთან, ის მოუწოდებდა მოსახლეობას რევოლუციური სიფხიზლისკენ, წესრიგისკენ, ხელისუფლების გადაწყვეტილებებისადმი უსიტყვო მორჩილებისკენ.

„ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ წევრები იმ დღეებში ენთუზიაზმით წერდნენ: „როსტოვიდან დაწყებული ყველა მსხვილ სადგურში ჩვენ გვხვდებოდნენ აღფრთოვანებული ჯარის ნაწილები, მუშები, მოსახლეობა, აღმასკომები, რომლებიც ამჟღავნებდნენ დროებითი მთავრობის, სახელმწიფო სათათბიროს მიმართ დიდ სიმპათიებს.“ თებერვლის რევოლუციის გამო, როგორც ჩანს, დიდი მანიფესტაციები გაიმართა ბაქოში, დერბენტში, არმავირში, პეტროვსკში და კავკასიის სხვა ქალაქებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ახალ ხელისუფლებას, რომელიც იმჟამად რუსეთი დროებითი მთავრობის ინტერესებს იცავდა და სეპარატისტულ განწყობილებას ჯერ კიდევ არ ავლენდა, სერიოზული პრობლემების გადაჭრა მოუწია. რევოლუციურმა ენთუზიაზმა, რომელიც მთელ კავკასიას მოედო, წამოატივტივა და უმართავი გახადა ანარქიული პროცესებიც. სწრაფად და მარტივად ვერ მოხერხდა ადგილებზე ახალი ხელისუფლების ერთგული ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება. გარდამავალ პერიოდში კავკასიის ზოგიერთ მხარეში, მათ შორის საქართველოშიც, თავი იჩინა ბანდიტიზმა, ძარცვა-რბევამ, გახშირდ ქურდობა. „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ არქივი სავსეა კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან შემოსული

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2081, აღ.1, ს. 187, ფურც. 29.

დეპეშებით, სადაც საუბარია ანარქიაზე, ბანდიტიზმზე, ბინების დაყაჩაღებაზე, საქონლის გატაცებაზე. ქუთაისის გუბერნიიდან შემოსულ დეპეშაში საუბარია თერჯოლაში რობაქიძეების წინააღმდეგ განხორციელებული ყაჩაღობის ფაქტის შესახებ[1], სოფელ საზანოში მსხვერპლმა შეიცნო თავდამსხმელები – საკუთარი მეზობლები.[2]

ხელისუფლების უძლურება ამიერკავკასიაში დისლოცირებულ არმიის ნაწილებზეც აისახა: სურსათით მომარაგების შეფერხებამ, დისციპლინის მოშლამ კავკასიის არმიის ცალკეულ ნაწილებში გააძლიერა მარადიორობისაკენ მიდრეკილება. „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტს“ კოლა-არტაანიდან ატყობინებდნენ რუსი ჯარისკაცების მხრიდან ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის დაყაჩაღების ფაქტების შესახებ და ითხოვდნენ დახმარებას[3].

კავკასიაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სწრაფად უარესდებოდა. საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება, რომ ანარქიის სიმპტომები კატასტროფაში არ გადაზრდილიყო; „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ ერთ-ერთი პირველი ღონისძიება ადგილებზე ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბება და ადგილობრივი ძალოვანი სრუქტურების შექმნა იყო. „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ მიერ მიღებული „მილიციის შესახებ დროებითი დებულება“ ითვალისწინებდა სწორედ კავკასიის მასშტაბით გამოვლენილი ანარქიის ელემენტების დროულ ნეიტრალიზებას. დადგენილებით გადაწყდა სოფლებში „განსაკუთრებული სასოფლო მილიციის“ ჯგუფების შექმნა. განისაზღვრა შტატებიც – სულ კავკასიის მასშტაბით 57 მილიციის ქვედანაყოფი შეიქმნა. გამოინახა დაფინანსების წყაროები: სულ კავკასიაში 212 საუბნო მილიციის ქვედანაყოფი დამტკიცდა, უფროსი ცხენოსანი მილიციონერი – 641, უმცროსი ცხენოსანი მილიციონერი – 8157. მარტო

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2081, ს. 53, ფურც. 6.

[2] იქვე.

[3] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2081, ს. 22, ფურც. 5-9.

თბილისის გუბერნიაში 9 სამაზრო მილიციის განყოფილება შეიქმნა, ზაქათალაში – 1, ქუთაისის გუბერნიაში – 7, სოხუმში – 1, ერევნის გუბერნიაში – 7, ელიზავეტოპოლის გუბერნიაში – 8, ბაქოში – 6, დაღესტანში – 9.[1]

მაგრამ, როგორც ჩანს, გატარებული ღონისძიებები ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა და რაც დრო გადიოდა, რევოლუციურ ეიფორიას აშკარად ცვლიდა უიმედობის გრძნობა. რევოლუციური ერთიანობა შეირყა. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ არსებული ვითარების შესახებ პოსტსაბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „საგუბერნიო (აგრეთვე სამაზრო) კომისრებსა და ადგილობრივ არჩევით ორგანოებს შორის რევოლუციის დემოკრატიულ ხასიათზე აზრთა სხვადასხვაობა თითქმის არ არსებობდა. მაგრამ დავა-კამათი მიმდინარეობდა უფლება-კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მეტ დამოუკიდებლობას, თვითმოქმედების თავისუფლებას მოითხოვდნენ. საგუბერნიო და სამაზრო კომისრები კი ადგილებზე ანარქიული სიტუაციის შექმნას დემოკრატიულ ძალთა თვითნებობით ხსნიდნენ და თავიანთი ერთპიროვნული ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერება-გაფართოების საკითხს აყენებდნენ. ერთი სიტყვით, საერთო დემოკრატიაში შეუთანხმებლობა არსებობდა, შეძლებული კლასებისა და დაბალი მასის ინტერესები არცთუ იშვიათად ერთმანეთს უპირისპირდებოდა. ინტერესთა სხვადასხვაობა აშკარად იჩენდა თავს კომისრების დანიშვნის, თვითმმართველობის განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევის დროს. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ყოფილი მოხელეები, ვაჭარ-მრეწველები, მდიდარი გლეხები და მოსახლეობის დაბალი ფენების წარმომადგენლები“[2].

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2081, ს. 3, ფურც. 53.

[2] ა. ბენდიანიშვილი, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია და პოლიტიკური ვითარება საქართველოში, იხ.: საქართველოს ისტორია, ტ. 4, თბ., 2012, გვ. 169.

მოტანილი ამონარიდი, მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს საქართველოში თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ზოგადპოლიტიკურ ვითარებას. „საერთო დემოკრატიაში შეუთანხმებლობის არსებობა“ – ძალიან მალე შესამჩნევი გახდა როგორც პეტროგრადსა და მოსკოვში, ისე ყოფილი იმპერიის პერიფერიების დედაქალაქებშიც. ეს კი ჩინებულ საფუძველს აძლევდა ბოლშევიკურ პარტიას ამ „შეუთანხმებლობებზე“ აეგო თავისი პოლიტიკა, მაქსიმალურად გამოეყენებინა კონკურენტი პარტიების ტაქტიკური თუ სტრატეგიული შეცდომები და მიეღწია მოსახლეობაზე თითქმის არარსებული ზეგავლენის (ასეთი იყო ის თებერვლის რევოლუციის საწყის ეტაპზე) მნიშვნელოვნად გაძლიერებისათვის უკვე 1917 წლის აგვისტოსთვის. მათი წარმომადგენლობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში თითქმის ყოველთვიურად იზრდებოდა.

ეს მაშინ, როცა რუსეთის დროებითი მთავრობის ავტორიტეტი მოსახლეობის რევოლუციურად განწყობილ ნაწილში სულ უფრო დაეცა. ამას ისიც აპირობებდა, რომ დროებითი მთავრობა აგრძელებდა თავისი სამოკავშირეო ვალდებულებების შესრულებას – I მსოფლიო ომი კვლავ მიმდინარეობდა და რუსეთის აღმოსავლეთ ფრონტს კვლავ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ „ანტანტის“ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მათი ოფიციალური დელეგაციები, პეტროგრადში მათი დიპლომატიური წარმომადგენლები დროებითი მთავრობისაგან მოითხოვდნენ საომარი ოპერაციების განახლებას, აღმოსავლეთის ყველა ფრონტზე სამხედრო ოპერაციების წარმატებით დაგვირგვინებას. ამისათვის მთავრობას პირდებოდნენ დიდ ფინანსურ დახმარებას, კრედიტებს.

აღმოსავლეთის ფრონტზე რუსებმა ბრძოლები განაახლეს 1917 წლის 18 ივნისს. შეტევა ავსტრია-გერმანიის არმიების წინააღმდეგ დაიწყო 70 კილომეტრიან ფრონტის ხაზზე. რუსებმა აქ თავი მოუყარეს 300 ათასამდე ჯარისკაცს, 800-მდე მსუბუქ ზარბაზანს და 500-ზე მეტ საშუალო და მძიმე ზარბაზანს. ორდღიანი საარტილერიო მომზადების შემდეგ რუსეთის საჯარისო შენაერთები გადავიდნენ შეტე-

ვაზე, დაიკავეს მტრის სანგრები. მაგრამ, როგორც საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, „უნიჭო გენერლებმა ვერ გამოიყენეს წარმატება. დამხმარე ძალები სადღაც გაიჩხირნენ, ნელა ახლოვდებოდნენ. მოწინააღმდეგემ დრო მოიგო, ძალები დააგროვა და აიძულა რუსები უკან დაეხიათ“. ივნისის სამხედრო ოპერაციის დროს რუსებმა დაკარგეს 60 ათასი ჯარისკაცი. ამ წარუმატებლობამ კიდევ უფრო დასცა დროებითი მთავრობის ავტორიტეტი მოსახლეობაში, არმიასა და ფლოტში, ხელი შეუწყო პეტროგრადში ბოლშევიკური ზეგავლენის ზრდას.

პრობლემები იყო კავკასიის ფრონტზეც – მართალია, „ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტსა“ და რუსეთის კავკასიის ფრონტის ხელმძღვანელობას შორის ძალიან მალე დაიმყარდა ლოიალური დამოკიდებულება, მაგრამ რევოლუციურმა ენთუზიაზმა (საფრანგეთის დიდი რევოლუციისაგან განსხვავებით) ჯარისკაცებში საბრძოლო აღტყინება კი არ გამოიწვია, არამედ გააძლიერა მორიდიორობა, სახლში დაბრუნების ძლიერი სურვილი.

რუსეთის არმიის დემორალიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა ქვეყანაში მემარცხენე პარტიების ლიდერების: ლენინის, ტროცკის, ზინოვიევის და სხვების დაბრუნების შემდეგ. I მსოფლიო ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და „უანექსიო და უკონტრობუციო“ ზავის დაუყოვნებლივ დადების იდეის პროპაგანდით ბოლშევიკებმა დეზინტეგრაციული პროცესები რუსეთის არმიასა და ფლოტში მაქსიმალურად გააძლიერეს.

პოლიტიკური კრიზისი პეტროგრადში ყოველდღიურად მწვავდებოდა, რუსეთს ვერ უშველა „დროებითი მთავრობის“ შემადგენლობის რადიკალურმა გადახალისებამაც კი. სოციალისტ (ესერი) ა. კერენსკის მთავრობაც (მის შემადენლობაში მცირე ხნით შედიოდა ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი ირ. წერეთელი) უძლური აღმოჩნდა, პოლიტიკურ ანარქიას გამკლავებოდა.

ამასობაში პეტროგრადის მუშათა და დეპუტატების II ყრილობაზე რუსმა ბოლშევიკებმა „დროებითი მთავრობა“ გადაყენებულად გამოაცხადეს. ამავე დროს, რევოლუციუ-

რად განწყობილმა ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა შტურმით აიღეს ზამთრის სასახლე, სადაც დროებითი მთავრობა თათბირობდა და მინისტრები დააპატიმრეს. ბოლშევიკურმა რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც ოქტომბრის ამბოხებას ხელმძღვანელობდა, ძალაუფლება გადასცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობას, რომელმაც ჩამოაყალიბა ახალი აღმასრულებელი ორგანო – სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით. ამ, უკვე საბჭოთა მთავრობაში, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად დაინიშნა იოსებ ჯუგაშვილი (სტალინი).

რუსეთში დაიწყო ახალი – ბოლშევიკური ერა...

ეს იყო 1917 წლის 25 ოქტომბერი (7 ნოემბერი).

თავი VI

I მსოფლიო ომი და საქართველოს I რესპუბლიკა

§1. დამოუკიდებლობის დეკლარაცია

რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე დაამტკიცეს პირველი საბჭოთა დეკრეტები – მათ შორის „დეკრეტი ზავის შესახებ“. ბოლშევიკური რუსეთის ახალი ხელმძღვანელობა წინადადებას აძლევდა ყველა მეომარ ქვეყანას, დაეყოვნებლივ დაედოთ დროებითი ზავი, სამი თვით მაინც, რათა დაეწყოთ მოლაპარაკება საბოლოო ზავის გასაფორმებლად. დეკრეტში მოუწოდებდნენ ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატს: „ხელი შეეწყოთ იმისათვის, რომ წარმატებით მიყვანილ იქნას ბოლომდე ზავის საქმე და ამასთან ერთად მოსახლეობის მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ყოველგვარი მონობისაგან და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების საქმე“.

დეკრეტი ზავის შესახებ იმჟამად ბოლშევიკების მთავარ დაპირებას წარმოადგენდა და მათი პაციფისტური პოლიტიკისათვის უნდა გაესვა ხაზი. ამიტომაც ახალი მთავრობის უპირველესი მიზანი გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან საზავო მოლაპარაკების დაწყება და ზავის დროულად ოფიციალური გაფორმება გახდა. მაგრამ იმჟამად და დღესაც ძალზე პოპულარულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ დეკრეტით, ამ მოლაპარაკების დაწყებით ლენინმა და რუსმა ბოლშევიკებმა გერმანიის იმპერატორს მადლობა გადაუხადეს მათთვის სამშობლოში დაბრუნების დროს გაწეული ქმედითი დახმარებისათვის: აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანიის, ავტრია-უნგრეთისა და თურქეთის საჯარისო კონტინგენტების აქტიური საბრძოლო ოპერაციებისაგან განთავისუფლება გერმანიას და მის მოკავშირეებს აძლევდა ახალ შანსს და დიდ იმედს, მიეღწიათ გადამწყვეტი გამარჯვებისათვის დასავლეთში, უფრო მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაციებსა და ფრონტებზე.

ასევე დაუყოვნებლივ მიიღეს და მალეც გამოქვეყნდა „დეკრეტი მიწის შესახებ“, რომელიც, რუსეთის სოფელში რევოლუციური მეთოდებით მიწების გადანაწილებას გულისხმობდა: „მიწის მემამულური საკუთრება უქმდება დაუყოვნებლივ, ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე“[1]

მრავალეროვან რუსეთში ეროვნული ურთიერთობების პრობლემების მოწესრიგებას ითვალისწინებდა საბჭოთა მთავრობის სპეციალური დადგენილება: „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს ანიჭებდა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას, მათ შეეძლოთ შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო; თუ სურდათ – დარჩებოდნენ ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში. დეკლარაცია საზეიმოდ აცხადებდა, რომ გაუქმდა ყველა რელიგიური და ეროვნული პრივილეგია, აღიარებდა ეროვნული უმცირესობებისა და ეთნოლოგიური ჯგუფების განვითარების თავისუფლებას.[2]

ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის იყო გადაწყვეტილება, რომ ფინეთს, რომელიც რუსეთს დიდი ხანია დაპყრობილი და ანექსირებული ჰქონდა, სახელმწიფო დამოუკიდებლობა მიანიჭეს. ეს ისტორიული აქტი ი. ბ. სტალინის „ხელით“ განხორციელდა. 1917 წლის 16 ნოემბერს ი. ბ. სტალინმა, სახკომსაბჭოს დავალებით, ფინეთის სდმპ ყრილობაზე ჰელსინფორსში საზეიმოდ გამოაცხადა ეროვნულ საკითხში ახალი ხელისუფლების ძირითადი პრინციპები: „თავისი ცხოვრების მოწყობის სრული თავისუფლება ფინელი ხალხისათვის, ისე როგორც რუსეთის სხვა ხალხებისათვის! ფინეთის ხალხის ნებაყოფლობითი და პატიოსანი კავშირი რუს ხალხთან! არავითარი მეურვეობა, არავითარი ზედამხედველობა ფინელ ხალხზე! ასეთია სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო საწყისები“.[3]

მაგრამ დაკვირვებულ მკვლევარს არ უნდა გამოეპაროს ლენინ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ერთი

---

[1] Б. Г. Пашков. ИсторияРоссии,XX век , М., 2004, стр.112.

[2].საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, თბ., 1952, გვ. 261

[3] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 4.

ილუზიის შემდეგი შტრიხები, რომელიც გამოსჭვივის შემდეგ სიტყვებში: „მხოლოდ ასეთი პოლიტიკის შედეგად შეიძლება შეიქმნას რუსეთის ხალხთა ურთიერთნდობა, მხოლოდ ასეთი ნდობის ნიადაგზე შეიძლება ცხოვრებაში გატარდეს რუსეთის ხალხის შეკავშირება ერთ არმიად... აი რატომ არის, რომ ჩვენ ყოველთვის გვეღიმება, როცა გველაპარაკებიან ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეის ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით რუსეთის გარდაუვალი დაშლის შესახებ“.

იმჟამად რუს ბოლშევიკებს ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ თუ კოლონიალურ ერს მიანიჭებდი „თვითგამორკვევის უფლებას გამოყოფამდე“, ისინი მხოლოდ ამით დაკმაყოფილდებოდნენ და მეტროპოლიასთან ერთად მტკიცედ და ერთხმად გაერთიანდებოდნენ საერთაშორისო პროლეტარული სახელმწიფოს ასაშენებლად.

მაგრამ ძალიან მალე კრემლშიც დარწმუნდნენ, რომ დაპყრობილ ერებს მარტო „უფლება“ აღარ აკმაყოფილებდათ – რუსეთის იმპერიის რღვევის პროცესი ისეთი სწრაფი ტემპით წავიდა წინ, რომ ბოლშევიკებმა საერთოდ დაივიწყეს „ერების თვითგამორკვევის უფლება“ და პროლეტარიატის ინტერნაციონალური ერთობის დროშა კვლავაც ააფრიალეს. ხოლო სადაც ინტერნაციონალისტური ლოზუნგები აღარ კმაროდა, იქ უხეში სამხედრო ძალაც აქტიურად გამოიყენეს, რომ მართლაც საბოლოოდ არ დაშლილიყო „ერთიანი და განუყოფელი“ ახალი პროლეტარული სახელმწიფო.

სწორედ ასეთ რთულ, წინააღმდეგობრივ ვითარებაში მიმდინარეობდა რუსეთის „დამფუძნებელი კრების“ არჩევნები, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის მომავალი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების კარდინალური საკითხები. მასზე ბოლშევიკები დიდ იმედებს ამყარებდნენ და ვარაუდობდნენ, რომ „დამფუძნებელი კრება“ უზრუნველყოფდა მათი ძალადობრივი გადატრიალების კანონიზირებას. პარალელურად ხდებოდა ახალი, საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურების მშენებლობაც.

ძალიან მალე ახალმა საბჭოთა ხელისუფლებამ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ გააუქმა და 1917 წლის დეკემბერში კავკასიაში თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად, ცნობილი სომეხი ბოლშევიკი, სტეფანე შაუმიანი დანიშნა.

ამ გადაწყვეტილებამ საქართველოში ძალიან გაართულა მდგომარეობა. როგორც ნოე ჟორდანიამ ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა: „რუსეთში ანარქიას ბოლო არ უჩანს, მასთან კავშირი ფაქტიურად გაწყვეტილი გვაქვს იმის გამო, რომ ცენტრში ბურჟუაზიული და სოციალისტური პარტიების კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება არ ხერხდება, მიზანშეწონილია ამიერკავკასიაში ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანოები შევქმნათ“[1].

„ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომისარიატმა“ მუშაობა შეწყვიტა და ადგილი დაუთმო ახალ პოლიტიკურ ორგანოს – ამიერკავკასიის კომისარიატს (ამიერკავკასიის მთავრობას), რომელსაც ცნობილი სოცილ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი ჩაუდგა სათავეში. მინისტრის პორტფელები გადაინაწილეს: შ. ალექსი-მესხიშვილმა, დ. დონსკოიმ, ნ. ნურუჩევმა, აკ. ჩხენკელმა, ს. ხაჩიკიანმა, ფ. ხანხოელმა.

ის რომ, ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ ეთმობოდათ ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს იდეა და მაქსიმალურად გამოიყენეს თავისი პოლიტიკური ზეგავლენა მის შესაქმნელად, ეს მათი მარქსისტული მსოფლმხედველობით უნდა აიხსნას – ამ თეორიის მიხედვით დიდი, ერთიანი სახელმწიფო პროლეტარიატის ინტერესებისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე პატარა ნაციონალური სახელმწიფოების ფორმირება. მაგრამ, იმავე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიით – პარალელურად აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული საბჭოებიც, რომლებსაც იდეაში უნდა უზრუნველეყოთ მრავალეროვან სახელმწიფოში კონკრეტული ერის ინტერესების დაცვა და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება. კავკასიაშიც შეიქმნა ასეთი ეროვნული საბჭოები: ქართვე-

[1] ა. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

ლების, სომხების, ოსების, თათრების, აფხაზების, რუსების და სხვ. ბევრ მათგანს თავისი სამხედრო ფორმირებებიც ჰქონდა.

ამასობაში პეტროგრადში 1918 წელს 5 იანვარს გაიხსნა რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელშიც მანდატების უმრავლესობას არაბოლშევიკური პარტიები ფლობდნენ. კრებამ მხარი არ დაუჭირა საბჭოთა დეკრეტებსა და საკანონმდებლო გადაწყვეტილებებს, მან ვერ უზრუნველყო ბოლშევიკური გადატრიალების კანონიზირება, რის გამოც ლენინის ბრძანებით დამფუძნებელი კრება ძალის გამოყენებით გარეკეს.

ამ უკანონო ქმედებამ კი კავკასიის პოლიტიკურ პარტიებს ახალი რადიკალური ნაბიჯის გადადგმის საშუალება მისცა – გადაწყდა სამხრეთ კავკასიაში ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომლის საკანონმდებლო ორგანოდ განისაზღვრა პარლამენტი (სეიმი). მასში გაერთიანდა 32 ქართველი სოციალ-დემოკრატი, 30 მუსავატელი თათარი (ადერბეიჯანელი), 27 სომეხი დაშნაკი. სხვა პარტიების წარმომადგენლები სეიმში ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ. სეიმის პირველი სხდომა უკვე 1918 წლის 15 თებერვალს გაიმართა, განიხილეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები, იყო კამათი ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადების შესახებ. სეიმმა დაამტკიცა ამიერკავკასიის მთავრობაც ე. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით.

მაგრამ ამიერკავკასიის ერთიან სახელმწიფოს თავიდანვე ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში მოუწია საქმიანობა. სეიმის დეპუტატი ლასხიშვილი ოფიციალური ტრიბუნიდან აცხადებდა: „ძნელია იმაზე მძიმე სიტუაციის წარმოდგენა, რომელშიც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით“[1].

და ეს არ იყო ცარიელი ფრაზა. ვითარება სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც, ყოველდღიურად მძიმდებოდა და ეს გაუარესება ძირითადად ხდებოდა ეთნი-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1819, აღ. 1, ს. 37, ფურც. 15.

კურ ნიადაგზე. ადგილი ჰქონდა ეროვნულ ფორმირებებს შორის შეტაკებებსაც კი.სეიმის სოციალისტ-ფედერალისტი დეპუტატები აშკარად მიუთითებდნენ, რომ ამიერკავკასიაში რთულ ვითარებას განაპირობებდა ეროვნული საკითხის გადაუჭრელობა, ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნის პროცესის გაჭიანურება. „მოეწყოს ყველა ნაციონალი თავის შიგნით!“ – მოუწოდებდნენ სეიმის ტრიბუნიდან ფედერალისტები.

სეიმის სოციალისტ-ფედერალისტმა დეპუტატებმა ოფიციალურად დააყენეს საკითხი, რომ შექმნილიყო სპეციალური ერთაშორისი კომისია, რომელიც ამიერკავკასიის ერების მშვიდობიან გამიჯვნას უზრუნველყოფდა და ამისათვის მოამზადებდა ეროვნულ ინსტიტუციებს.

ეროვნულ საკითხთან ერთად, ახალი სახელმწიფო სტრუქტურის წინაშე რუსეთის რევოლუციის მთავარი – აგრარული საკითხიც დადგა. მიწის შესახებ კანონპროექტზე მუშაობდა სეიმის აგრარული კომისია (თავმჯდომარე ნ. ხომერიკი). კომისიამ რამდენიმე კანონპროექტი შეიმუშავა. საბოლოო პროექტი უფრო შემთანხმებლური გამოვიდა – ივარაუდებოდა სახელმწიფოს მხრიდან ჩამორთმეული მიწების კომპენსაცია[1].

დასახული ყველა რეფორმის რეალიზაცია მხოლოდ მშვიდ ვითარებაში იყო შესაძლებელი, ამიერკავკასიის სეიმს კი მემკვიდრეობით გადმოჰყვა ანარქია, რაც სერიოზულ პრობლემებს უჩენდა ადგილობრივ ხელისუფლებას. ანარქია განსაკუთრებით მძვინვარებდა საქართველოს რეგიონების პერიფერიულ ნაწილებში, ძნელად მისადგომ, მთაგორიან ტერიტორიებზე, სადაც ხელისუფლება ვითარებას ვეღარ აკონტროლებდა.

მძიმე ვითარება შეიქმნა რუსეთშიც – ვ.ი. ლენინისა და ბოლშევიკების ოპტიმისტური სურვილების მიუხედავად, ვერ მოხერხდა „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავის დადება. ბოლშევიკური რუსეთი იძულებული გახდა ზავის სანაცვლოდ გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის გადაეცა

[1] იქვე, ფ.1819, ს. 187, ფურც. 2.

თითქმის მთელი უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი. გერმანიასა და მის მოკავშირეებთან 1918 წლის მარტში გაფორმებული „ბრესტ-ლიტოვსკის“ ზავი ითვალისწინებდა, აგრეთვე, ტერიტორიულ ცვლილებებს კავკასიაშიც – რუსეთი თურქეთს უბრუნებდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაკარგულ ტერიტორიებს – ფაქტობრივად საქართველოს ისტორიულ მიწებს: აჭარას, კოლა-არტაანს, ართვინს, ტაო-კლარჯეთს. ხელშეკრულების მე-4 მუხლი მიუთითებდა: „არდაღანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები ასევე დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ რუსეთის ჯარებმა. რუსეთი, ამასთან, არათუ არ ჩაერევა ამ ოლქების ახალ სახელმწიფო-სამართლებრივ და საეროვნებათაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობათა ორგანიზებაში, არამედ მიანიჭებს ამ ოლქების მოსახლეობას უფლებას, დაამყაროს ახალი წყობილება მეზობელი სახელმწიფოების, განსაკუთრებით თურქეთის თანხმობით“[1].

აშკარაა, ეს ხელშეკრულება უხეშად ლახავდა ქართველი და სომეხი ხალხების ეროვნულ ინტერესებს, ამიტომაც მან საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია – ამიტომაც მათ არ ცნეს არც რუსეთის ახალი ხელისუფლება და არც მათ მიერ „სამთა კავშირთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.

სამხრეთ კავკასიაში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ კი ვითარება უკიდურესობამდე გაამწვავა – ხელშეკრულება ითვალისწინებდა რუსეთის მხრიდან კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციას, ჯარისკაცების დემობილიზაციას, რაც საოცრად სწრაფად მოხდა – კავკასიის ფრონტი მოიშალა. რუსი ჯარისკაცები სამშობლოში გაემგზავრნენ და თურქებს მიეცათ შესაძლებლობა, ადვილად დაეკავებინათ მათთვის ასე სანუკვარი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიები, განსაკუთრებით ქალაქი ბაქო და მისი ნავთობით მდიდარი საბადოები.

რუსი ჯარისკაცების დემობილიზაციამ ვითარება უკიდურესად გაართულა სამცხე-ჯავახეთში, ბათუმის ოლქში,

[1] Документы внешней политики СССР., М.,1957, с.121.

ტაო-კლარჯეთში. აქ გააქტიურდნენ „პან-ისლამისტური“ ძალები, რომლებიც ამ რეგიონში მუდამ საქმიანობდნენ, მაგრამ „ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა“ მათ ახალი იმედები გაუჩინა – მათ დაიწყეს ანტიქართული საქმიანობის გააქტიურება. რეგიონში მოქმედ თურქულ პარტიებს ახალციხის მაზრაში თავისი ლიდერები ჰყავდათ. მაგალითად, თურქული პარტიის „ერთობა და პროგრესი“ ერთ-ერთი ლიდერი იყო თურქეთში, სტამბოლში მცხოვრები გათურქებული ქართველი აჰმედ ბეგი, გვარად თავდგირიძე, სამცხე-ჯავახეთში სამაზრო მმართველობის უფროსი გუდიევი, ურავლის ბექაური ზურხან მუსაკიევი, ახალციხის უმაღლესი სასულიერო პირი „ყაზი“, ნაქართველარი ალი ეფენდი ეფენდიევი, ახალციხის მაზრის აგრონომი ზია-ბეგ ავალიშვილი, ახმედ–ბეგ ფეფინოვი (ფეფინაშვილი) და სხვ. ამ ჯგუფში თავისი ავტორიტეტით ყველას ჩრდილავდა სერვერ-ბეგ ათაბაგ ქობლიანელი – ჯაყელების ცნობილი დინასტიის უღირსი წარმომადგენელი, რომელმაც თავიდანვე ანტიქართული პოზიცია დაიკავა და ყველანაირად ცდილობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქეთის ზეგავლენა გაეძლიერებინა.

ექსპერტი სამართლიანად მიუთითებს, რომ „პირველი იმპერიალისტური ომის წინ მესხეთი სავსე იყო ასეთი თურქოფილური ელემენტებით და ემისრებით, რომელთა შორის ყალიბდებოდა ერთიანი თურქული სახელმწიფოს შექმნის იდეა. ისინი ეწეოდნენ თურქულენოვანი ხალხის გაერთიანების პროპაგანდას.“[1]

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ ეს პროთურქული, ანტიქართული ძალები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ისინი მარტო პროპაგანდით აღარ კმაყოფილდებოდნენ – მათ აშკარად დაუჭირეს მხარი თურქეთის იმპერიულ პოლიტიკას, რომელიც ცდილობდა 1877-1878 წლებში დაკარგული მიწების უკან დაბრუნებას. თურქეთის იმპერია, რომელიც I მსოფლიო ომის ფრონტებზე სასტიკ მარცხს ხშირად განიცდიდა, რა თქმა უნდა, თავისთვის სასარგებლო გადაწ-

[1] დ. ჟუჟუნაძე, სამოქალაქო ომი სამცხე-ჯავახეთში 1917-1921 წლებში, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 2013, გვ. 142.

ყვეტილებას მაქსიმალურად გამოიყენებდა, ამიტომ ის არავითარ კომპრომისზე აღარ წავიდა. პირიქით, თურქეთის მხარის მოთხოვნით ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის ფედერაციის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა აკ. ჩხენკელი, რომელმაც შეითავსა საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციაც.

თბილისიდან სასწრაფოდ ტრაპიზონში გაემგზავრა ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია ა. ჩხენკელის ხელმძღვანელობით, მაგრამ დიპლომატიური, კეთილმეზობლური დიალოგი შეიარაღებულ და რევანშისათვის აშკარად მომზადებულ თურქეთის სახელმწიფოსთან ამიერკავკასიის სეიმის წარმომადგენლებს არ გამოუვიდათ. ტრაპიზონში ჩასული ამიერკავკასიის დელეგაცია და მისი ხელმძღვანელი ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდნენ – ვერ ხერხდებოდა სომეხ და აზერბაიჯანელ წარმომადგენლებს შორის საერთო კონსენსუსის მიღწევა.[1]

დელეგაციის ხელმძღვანელი ა. ჩხენკელი თავის ერთ-ერთ დიპლომატიურ წერილში ასახავს იმ სასოწარკვეთილ მდგომარეობას, რაც შეიქმნა მოლაპარაკების დროს: „... თუ გერმანიის დელეგაციამ გადამწყვეტი დახმარება არ გაგვიწია, თურქები დაგვჩაგრავენ... იცოდეთ, თურქებთან ომის განახლების შემთხვევაში აზერბაიჯანელები სომხებს გასწირავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ. თუ თურქებმა და თათრებმა თავისი გაიტანეს, მაშინ აუცილებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ზავის შეკვრა ჩვენთვის უფრო მისაღები პირობებით“.[2]

ტრაპიზონის კონფერენციაზე აზერბაიჯანელებისა და სომეხი პოლიტიკოსების დაპირისპირება კი ყოველდღიურად მწვავდებოდა – სომხებს თურქების არ სჯეროდათ, მათ მოგონებებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო 1915 წლის სომეხთა

---

[1] დეტალურად იხ.: ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (დოკუმენტების კრებული), ბათუმი, 1996.

[2] ციტირებულია: ა. დაუშვილი, საქართველოს II რესპუბლიკა, თბ., 2021, გვ. 23.

მასობრივი ხოცვა-ულეტის წარუშლელი ტრაგედიის ფაქტები და ამ საქმეში თურქეთის სახელმწიფოს დანაშაულებრივი ქმედება. აზერბაიჯანელები კი თვლიდნენ, რომ მათი მომავალი სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის აუცილებელი იყო მჭიდრო კავშირი და ყოველმხრივი თანამშრომლობა თურქეთის ერთმორწმუნე სახელმწიფოსთან. აშკარად გამოიკვეთა, რომ ქართველების ზეგავლენა უკვე ვეღარ შველოდა სახელდახელოდ შეკოწიწებული საკავშირო სახელმწიფოს მდგრადობის საქმეს და რომ მისი დაშლის საფრთხე მოახლოვდა.

ტრაპიზონში ვითარების გამწვავების პარალელურად მდგომარეობა უკიდურესად გართულდა მესხეთ-ჯავახეთშიც – თურქების აგრესიულმა პოლიტიკამ და რევაშისტულმა განწყობამ, „პანთურქიზმის“ პოლიტიკის აღორძინებამ და მთელი კავკასიის მუსლიმების თურქეთის სულთნის სკიპტრის ქვეშ გაერთიანების იდეამ, შეაგულიანა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანები, მათ შორის ქართველი მუსლიმების გარკვეული ნაწილიც. შექმნილ ვითარებაში „ოსმალო ემისრები ადგილობრივ მაჰმადიანებში ავრცელებდნენ „პან-თურქიზმის“ იდეებს და ცდილობდნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების დაახლოების საქმეში ხელის შეშლას. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ქართველები ერთად იქნებოდნენ, ოსმალეთი დასაყრდენს დაკარგავდა. ქრისტიანული რელიგიისაადმი პანიკურმა შიშმა ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა მესხეთ-ჯავახეთში თურქეთის პოლიტიკურ აგენტებს“.[1]

ტრაპიზონის კონფერენციისა და მის შემდგომ პერიოდში სამხრეთ-საქართველოში მოქმედი ეს ძალები უკვე აშკარა მოქმედებაზეც გადავიდნენ – ისინი თავს ესხმოდნენ ქრისტიან მოსახლეობას: ქართველებს, სომხებს, ერეკებოდნენ საცხოვრებელი ადგილებიდან. ასეთი ფაქტები მრავლად დაფიქსირდა განსაკუთრებით ახალციხესა და ახალქალაქში, ბათუმის ოლქში და სხვა რეგიონებშიც. ბორჯო-

[1] დ. ჟუჟუნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

მის ხეობას მოაწყდნენ ქართველი ლტოლვილების უზარმაზარი ჯგუფები.

თურქების მხარდაჭერით რეგიონში გაძლიერდა პროთურქული ორიენტაციის პარტიის, „სედაი მილეთის“ საქმიანობა. თურქი და ადგილობრივი კოლაბორაციონისტები საშინელი სისასტიკით მოქმედებდნენ; იმდროინდელი პრესა აღსავსეა კორესპონდენციებით, რომლებიც თურქების ამ სისასტიკეს ასახავენ: „დაატყვევეს 300 ქართველი, შერეკეს ერთ შენობაში, თვითონ დათარეშობდნენ. ბევრი მათგანი ჩახოცეს ოჯახებში. ცულით დაჩეხეს აბასთუმნის ეკლესიის შესავალი კარები, გაიტანეს 5 ფუთამდე ვერცხლის განძეულობა, 500 000 მანეთის განძეული, მოაოხრეს ყველაფერი“. შემაშფოთებელი დეპეშები მოდიოდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან: „თათართა ბანდები იჭრებიან ოჯახებში, აუპატიურებენ ქალებს, მიჰყავთ ტყვედ მამაკაცები, ცეცხლს უკიდებენ შენობებს“.

ახალქალაქის რაიონში თურქების ძალმომრეობის შედეგად გაწყდა რამდენიმე ათასი მაცხოვრებელი. თვითმხილველები ყვებოდნენ, რომ რაიონში სურსათის მხრივ აუწერელი გაჭირვება იყო, თითქმის ყოველ სახლში შეხვდებოდით შიმშილისაგან ლოგინად ჩავარდნილ ქალებსა და ბავშვებს. ბალახის ჭამით ყველას ტუჩები დახეთქილი და ღრძილები ჩაშავებული ჰქონდა. უამრავ ოჯახში ფიზიკურად გაულიტეს მამაკაცები...[1]

ამასობაში, ტრაპიზონში კონფერენციაზე თურქეთი მოლაპარაკების დროს აშკარად გადავიდა ულტიმატუმზე, რამაც განსაკუთრებით გაართულა ქართული დელეგაციის საქმიანობა. ქართულმა მხარემ გადაწყვიტა დახმარებისათვის გერმანიისათვის მიემართა.

გერმანიის დიპლომატიასთან მოლაპარაკებამ კი კვლავ ააღორძინა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, რადგან ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი გახდა აზერბაიჯანელი და სომეხი პოლიტიკოსების ინტერესთა შეხამება, ერ-

[1] ციტირებულია: დ. მუსხელიშვილი. გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი, ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016, გვ. 335.

თობლივი პოლიტიკური კურსის შემუშავება. ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ გადაწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს თბილისში მყოფმა ამიერკავკასიის სეიმის სომეხმა და აზერბაიჯანელმა დეპუტატებმაც.

1918 წლის 26 მაისს, კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის სასახლის დიდ დარბაზში ხელი მოეწერა „საქართველოს დამოუკიდელობის აქტს“, რომელმაც 1801 წელს რუსეთის მიერ უკანონოდ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა აღადგინა. იმჟამად ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რაც არც დაუმალავთ და ეს მათ პარტიულ გაზეთ „ერთობაში“ გამოაქვეყნეს კიდეც: „ჩვენი დემოკრატია, რომელიც იბრძოდა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და მზად იყო კვლავ ამ ძველი, ნაცადი გზით ევლო, დღეს **იძულებული შეიქმნა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) თავისი მოქმედების ასპარეზი საქართველოს ფარგლებით განესაზღვრა“[1].

უშუალოდ „დამოუკიდებლობის აქტში“ ხაზგასმული იყო საქართველოს ახალი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპები: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა; საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზსს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს...“ და ა.შ.

სასახლის წინ უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. სასახლის აივნიდან მათ წაუკითხეს „დამოუკიდებლობის აქტი“, რომელმაც საოცარი ენთუზიაზმი გამოიწვია. სასახლის თავზე აფრიალდა დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა. თბილისის ტაძრების ზარები საზეიმოდ გუგუნებდნენ. ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა დამოუკიდებელი

[1] გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 4 ივნისი.

საქართველოს გერბი – „თეთრი გიორგი“ და დაიწერა ეროვნული ჰიმნი – „დიდება“.

ამრიგად, საქართველოს I რესპუბლიკა დაიბადა ფაქტობრივად I მსოფლიო ომის ფრონტებზე მიმდინარე საბრძოლო და პოლიტიკური ბატალიების დრამატული განვითარების შედეგად, რამაც ამ ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნასა და განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობაც შესძინა და უნიკალური თავისებურებაც მიანიჭა.

§2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

საქართველოს ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა პირველებმა „დე ფაქტოდ“ გერმანიის იმპერიამ და თურქეთის სახელმწიფომ აღიარეს, განსხვავებით „ანტანტის“ სახელმწიფოების ხელმძღვანელებისაგან, რომლებიც კავკასიას იმჟამად ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის წილხვედრად თვლიდნენ და ბოლშევიკური ხელისუფლების ლიკვიდაციას დღედღეზე მოელოდნენ: რუსეთის იმპერიის დაქუცმაცება იმჟამად მათ პოლიტიკურ გეგმებში არ შედიოდა.

ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას უარყოფითად გამოეხმაურა მოსკოვიც – ბოლშევიკური გაზეთები „პრავდა“ და „იზვესტია“ მკვეთრად უარყოფითი განცხადებებით შეხვდნენ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას: „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობამ, რაც წინ უსწრებდა სეიმის სხვა დანარჩენ ღალატს, გამოიწვია აღშფოთება მთელი ქართველი და სომეხი ხალხების, რომელთაც სტიქიურად აღმოხდათ: „მოღალატენო!“ გეგეჭკორისა და კომპანიის მიმართ“[1]. იყო ასეთი პუბლიკაციაც: „ყველაზე მკაცრი დარტყმა კავკასიის მშრომელი მასებისათვის იყო კავკასიის ჩამოცილება რუსეთისაგან. ყვე-

[1] გაზ „Правда“, 1918 წ. 20 ივნისი.

ლას კარგად ესმის, რომ რუსეთისაგან ჩამოცილება ნიშნავს გერმანია-თურქეთის მონობას“[1].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეროვნული საბჭოს საფუძველზე ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი. ახალმა ხელისუფლებამ შეძლო თურქეთის აგრესიის შეჩერება, გერმანიის იმპერიასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც სხვადასხვა სფეროში ინტენსიურ თანამშრომლობას გულისხმობდა. მართალია, თურქეთთან დაზავებამ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დააკარგვინა (ზემოთ აღნიშნულ ისტორიულ ტერიტორიებს თურქეთმა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც მიამატა), მაგრამ დარჩენილ ტერიტორიებზე დაიწყო ახალი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობა დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე.

ხელისუფლების სათავეში თავიდანვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები (ე.წ. „მენშევიკები“) აღმოჩნდნენ – პოლიტიკური თვალსაზრისით ისინი უფრო გამოცდილი, უფრო ორგანიზებული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და ძალიან ბევრი მკვეთრად გამორჩეული ლიდერიც ჰყავდათ: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პირველი თავმჯდომარე), ირაკლი წერეთელი (რუსეთის დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი), აკაკი ჩხენკელი – რუსეთში ცნობილი და აღიარებული სოციალ-დემოკრატი და სხვ.

ახალი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის საფუძველი – მრავალპარტიული დემოკრატია იყო. საქართველოში მოღვაწე ყველა პოლიტიკურ ძალას ჰქონდა უფლება თავისუფალი აგიტაცია-პროპაგანდის, საკანონმდებლო სტრუქტურებში არჩევნების, თუკი მისი წესდება და პროგრამა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკი-

[1] გაზ „Правда“, 1918 წ. 28 ივნისი.

დებლობისა და სუვერენიტეტის ფუძემდებლურ პრინციპებს. 1918 წლის 22 ნოემბერს დამტკიცდა „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება“: სწორედ დამფუძნებელ კრებას უნდა განესაზღვრა მომავალი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის ფუნდამენტური პრინციპები, დაემტკიცებინა საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

საქართველოს ახალ ხელისუფლებას რამდენიმე მიმართულებით მოუწია მუშაობის გაგრძელება. უპირველესი იყო საშინაო პოლიტიკა – ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კარდინალური საკითხების მოწესიგება. ამ მხრივ კი პრობლემები თავიდანვე გაჩნდა: ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ საქართველოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია არ ვარაუდობდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიკური ფენდამენტის რადიკალურ ნგრევას (რასაც მოითხოვნდა ლენინური მიმართულების ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატია). მარქსისტული დებულებებიდან გამომდინარე, რომელსაც აღიარებდნენ ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, კაპიტალიზმმა ეკონომიკური საფუძველი უნდა მოუმზადოს სოციალიზმს და ამ ფორმაციის განვითარების ხელოვნური დაჩქარება, ან მკვეთრი სუბიექტური ჩარევა („ბლანკიზმი“) შეაფერხებდა სწორედ სოციალიზმის ფუნდამენტური ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბებას. ისინი მართვის მეთოდად კაპიტალისტური ეკონომიკის გაჯანსაღების ხელისშეწყობას და სახელმწიფოს მხრიდან მის გარკვეულ რეგულირებას ითვალისწინებდნენ.

ქართველი სოციალ-დემოკრატების აღიარებული ლიდერი ნ. ჟორდანია საჯაროდ აცხადებდა: „ჩვენში, საქართველოში, სოციალისტური რევოლუცია შეიძლება დავსახოთ როგორც მიზანი, როგორც ისტორიული პერსპექტივა, და არა როგორც უახლოესი პრაქტიკული ამოცანა. ჩვენ ვუყენებთ სახელმწიფოს გარკვეულ მიზანს: საზოგადოების გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე, ხოლო მივისწრაფით რა აქეთკენ, ჩვენ უნდა გავიაროთ აუცილებელი პოლი-

ტიკურ-ეკონომიკური საფუძვლები (ეტაპები), რომელიც არც გადახტომას და არც შემოვლას ისტორია არ დაგვანებებს.“[1]

ამასთან, სოციალ-დემოკრატები ფიქრობდნენ, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური სტრუქტურის საფუძვლები უნდა განესაზღვრა დამფუძნებელ კრებას. ამის გამო ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარება გაჭიანურდა, რამაც პირველ რიგში საქართველოს სოფლის მოსახლეობის პრობოლშევიკურად განწყობილი ნაწილი გააღიზიანა. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ჩვენსა და გლეხობას შორის ხიდია ჩატეხილი“, „გლეხობას ჩვენ ვერ მივეცით მიწა და ეს გარემოებაა, რომ სოფელი ჩვენს მთავრობას აღარ ემორჩილება...“[2].

გლეხობის უკმაყოფილებას კარგად იყენებდნენ მოსკოვზე ორიენტირებული ქართველი ბოლშევიკები და მათი ხელშეწყობით გლეხობის ანტისამთავრობო გამოსვლები საქართველოში იმდენად მასშტაბური ხასიათის გახდა, რომ მმართველ პარტიას საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელი „ვანდეა“ გაახსენა. აგრარული პრობლემების გამო სერიოზული გამოსვლები დაიწყო დუშეთის მაზრაში, საჩხერეში, სამეგრელოში და სხვა ადგილებში.

არსებობს არგუმენტირებული მოსაზრება, რომ სამცხე-ჯავახეთში ანტიქართული ტენდენციები გააძლიერა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რადიკალურმა აგრარულმა პოლიტიკამ, რაც მემამულეთა მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამორთმევას ითვალისწინებდა. იმასაც ამტკიცებენ, რომ ქართველი მუსლიმების ავტორიტეტული ლიდერი სერვერ-ბეგ ათაბაგ-ჯაყელი, რომელიც უზარმაზარ ლატიფუნდიებს ფლობდა, სწორედ ამის გამო გადავიდა ანტიქართულ პოზიციაზე.[3]

აგრარულ სფეროში შექმნილი პრობლემები უნისონში აღმოჩნდა მრეწველობაში მიმდინარე დრამატულ ტენდენცი-

---

[1] კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 48.

[2] გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 28 ივნისი.

[3] დ. ჟუჟუნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

ებთან: I მსოფლიო ომის გამო ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთთან, ჩრდილოეთ კავკასიასთან, ევროპასთან შეფერხდა ან მთლიანად შეწყდა. საქართველოს საწარმოთა დიდი უმეტესობა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. დოკუმენტურად ცნობილია, რომ 1920 წელს საქართველოს 392 სამრეწველო საწარმოდან მთელი წლის მანძილზე მუშაობდა მხოლოდ 234 ქარხანა (59,7%), ნაწილობრივ მუშაობდა -109 (26%), სულ არ მუშაობდა 56 (14,3%).

მაგრამ პრობლემების მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სიახლესაც – თბილისში გაიხსნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი. მისი ძირითადი კაპიტალი 50 მილიონით განისაზღვრა. ფინანსური პრობლემების მოსაწერიგებლად მიმოქცევაში გამოუშვეს ქართული ბონები. იყო სერიოზული მცდელობები, რომ აღედგინათ და ხელახლა დაემყარებინათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიასთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ევროპასთან; სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შვიდი თვის განმავლობაში განხორციელებულმა ექსპორტმა 141 მილიონი მანეთი, ხოლო იმპორტმა – 87 მილიონი მანეთი შეადგინა.[1]

თანამედროვე ქართველი ექსპერტების აზრით, საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ „შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიების გზად ზოგიერთი საქონლის ექსორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება ჩათვალა, რათა მოგების მეტი ნაწილი შესულიყო ხაზინაში“. ამ მხრივ მონოპოლია პირველ რიგში წარმატებით განხორციელდა მარგანეცის მრეწველობაში, თამბაქოს ბიზნესში. იგეგმებოდა ამ პროგრამის რეალიზება მატყლისა და აბრეშუმის პარკის წარმოებაშიც. ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ მთავრობის ასეთ ეკონომიკურ პოლიტიკას მოწინააღმდეგენიც ჰყავდა იგივე სამთავრობო სტრუქტურებში.[2]

---

[1] ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, საქმიანი საქართველო 1801-1921, თბ., 2022, გვ. 202.

[2] თ. ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2006.

რაც დრო გადიოდა, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა უარესდებოდა. ქართული ბიზნესის არაქართველი ბიზნესმენები, რომლებიც მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობდნენ, არ იყვნენ კეთილგანწყობილნი საქართველოს ახალი დემოკრატიული ხელისუფლების მიმართ. დასტურდება, რომ ისინი ყველა შესაძლო ხერხით აფერხებდნენ მის ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ამაზე მიანიშნებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი თავის ნაშრომში, როცა აღნიშნავს: „ჩვენში იყვნენ საქმიანი ინიციატივის, ცოდნის და გამოცდილების კაცები, ვაჭრები და მრეწველები; ხოლო მათი დიდი ნაწილი, უფრო შეძლებული და უფრო დაკავშირებული საერთაშორისო ბაზრებთან, უცხო ელემენტს წარმოადგენდა, ძალიან ნაკლებად დაინტერესებული საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში; მათზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა; ქართული ბურჟუაზია სუსტი იყო და მოუწყობელი, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, იგი ისეთ უნარს და ისეთ ენერგიას ვერ იჩენდა, რაიც მისგან მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო და რისი პრეტენზია მათ იდეოლოგიურ წარმომადგენლებს ჰქონდათ.“[1]

გარკვეული ეკონომიკური პრობლემების თაურსახეს ქმნიდა საკუთრივ საქართველოს ხელისუფლება თავისი ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც მარქსიზმის პრინციპებს ეფუძნებოდა. სამართლიანად შენიშნავდა ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და ხელისუფლების მუდმივი კრიტიკოსი სპ. კედია, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიულმა მთავრობამ ვერ მოახერხა „სოციალისტური ხიფთანის“ გახდა და კაპიტალისტური ეკონომიკის კანონების საფუძველზე მეურნეობრიობის გაძღოლა. ის საჯაროდ აღნიშნავდა, რომ „ჩვენ სასიკვდილოთ ვაზიანებთ მრეწველობის ინტერესს და გადაჭარბებით ვიცავთ მუშას.“[2]

---

[1] კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 81.

[2] ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 310.

ეკონომიკის რადიკალურად გარდაქმნა ვერ მოხერხდა: თვით ნ. ჟორდანიაც კი აღნიშნავდა ერთ-ერთ ეკონომიკურ თათბირზე, რომ ვითარება ეკონომიკაში კატასტროფული შეიქმნა და რეალური გარდატეხა აშკარად იგვიანებდა. ეკონომიკურმა პრობლემებმა სერიოზულად იმოქმედა ფასებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები პირველადი მოთხოვნილების საგნებზე. მაგალითად, თუ 1913 წელს ფუთი ხორბალი 1,35 მანეთი ღირდა, 1920 წელს იგივე ხორბალი ღირდა უკვე 2100 მანეთი; ძროხის ხორცის ღირებულება 0,13 მანეთიდან გაიზარდა 56,79 მანეთამდე და ა.შ.

დუხჭირი ეკონომიკური ცხოვრება, ხალხის დიდი მასების გაღატაკება აპირობებდა და, ამასთან, წარმოაჩენდა საზოგადოებაში არსებულ სხვა, თანმდევ პრობლემებსაც.

საქართველოში სერიოზული გამოწვევები შექმნა მოსახლეობის მრავალეროვანმა შემადგენლობამაც, – რაც, როგორც ქვეყნის ისტორიული განვითარების, ისე რუსეთის იმპერიის ანტიქართული დემოგრაფიული საქმიანობის შედეგიც იყო. ქართველების დაუკითხავად, რუსეთმა, სადაც კი შეძლო, ჩამოასახლა გერმანელები, სომხების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რუსი დუხაბორები, ესტონელებიც კი. არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო მისაღები არ იყო და ისინი აშკარად „ნიკოლოზის ეპოქაზე“ ოცნებობდნენ. მოსკოვზე ორიენტირებული ქართველი ბოლშევიკები მაქსიმალურად ცდილობნენ ეროვნებათაშორისო ურთიერთობის სფეროში არსებული პრობლემების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. პრობლემები რომ ამ სფეროში ბევრი იყო და სასწრაფოდ გადასაწყვეტიც, ამაზე მიანიშნებს დამფუძნებელი კრების დეპუტატის პ.ი. ბრულის მოხსენებითი ბარათი. დეპუტატმა შეისწავლა ბორჩალოს მაზრაში არსებულ ეროვნებათაშორისო ურთიერთობა და ასეთი დასკვნა გააკეთა: „პატარა მეფეებივით იქცევიან (იგულისხმებიან ადგილობრივი ქართველი ჩინოვნიკები და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები – ა.დ.), ეს პირდაპირი დაცინვაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, დემოკრატიზ-

მი ძლივს შეიმჩნევა, სამაგიეროდ უხვად არის არათუ ნაციონალიზმი, შოვინიზმიც კი“[1].

საქართველოს ახალ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემების მოგვარება მოუწია აფხაზეთში, შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობასთან, სერიოზული სიტუაცია შეიქმნა აჭარაშიც და საქართველოს სხვა რეგიონებში. ეროვნებათაშორისო ურთიერთობის პრობლემების მოწესრიგება ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, როგორც აღვნიშნეთ, „ეროვნული საბჭოების“ შექმნით სცადეს, მაგრამ ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ეს საბჭოები სეპარატიზმის ხელისშემწყობ ორგანოებად გადაიქცნენ. ამას თვითონ ხელისუფლებაც ხედავდა, მაგრამ „ეროვნული საბჭოები“ ფუნქციონირებას მაინც განაგრძობდნენ. ქართულ გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა კრიტიკული შენიშვნები „ეროვნულ საბჭოებში“ შექმნილი რეალური ვითარების შესახებ: „სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ... მოინდომა ძალაუფლების ხელში ჩაგდება“, აფხაზეთის „ეროვნული საბჭო სავსებით ვერ ახორციელებს თავისი მოქმედების სწორ ხაზს“[2] და ა.შ.

სერიოზულად დაიძაბა ვითარება შიდა ქართლში, ოსებით დასახლებულ სოფლებში. ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებებს აქტიურად გამოეხმაურა საქართველოში, ცხინვალის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე მცხოვრები ოსი მოსახლეობის ერთი ნაწილიც. მათ უკვე 1918 წლის გაზაფხულზე დაიწყეს ლიახვის ხეობაში აგრარული მოძრაობა, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა უკანონო ქმედებებს: ბანდიტიზმს, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის დატერორებას, ეთნიკური ქართველების ოჯახებზე თავდასხმებს და ა.შ.

იმჟამად ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 50%) არ ცხოვრობდა თანამედროვე, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე, ბევრი ოსი ცხოვრობდა თბი-

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1833, აღ. 1, ს. 153, ფურც. 512-513.

[2] გაზ. „ერთობა“. 1919 წ. 5 ივნისი.

ლისში, კახეთში, ქართლის სხვადასხვა რეგიონში – ისინი ეთნიკურ ქართველებთან მჭიდრო ეკონომიკური და ხშირად ნათესავური ღვედებითაც იყვნენ დაკავშირებულნი. მათ ქართველებთან ერთად თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება სურდათ, მაგრამ ოსების პროკომუნისტური დაჯგუფებების ანტიქართული საქმიანობა მათ ინტერესებს აშკარად ეწინააღმდეგებოდა.

დოკუმენტურად დასტურდება, რომ საქართველოში მცხოვრები ოსები, ისევე როგორც სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, ფლობდნენ ყველა იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც დემოკრატიულ ფასეულობებში მოიაზრება. მათ ინტერესებს იცავდა „ოსთა ეროვნული საბჭო“, რომელიც თბილისში არსებობდა და თანამშრომლობდა ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო სტრუქტურებთან, ხოლო შემდეგ საქართველოს კანონიერ მთავრობასთან.

ნებისმიერი ქვეყნის კანონიერ ხელისუფლებას მუდამ აქვს უფლება ძირშივე აღკვეთოს მოსახლეობის ცალკეული ნაწილის კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი და დასაჯოს დამნაშავენი, თუკი მათი ქმედება ხელს უშლის მშვიდობიანი მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებას. იმ დროს ბოლშევიზმი ცივილიზებული სამყაროს მიერ აღიქმებოდა დემოკრატიული ფასეულოებებისადმი საპირისპირო მოძრაობად, რომელიც უნდა აღმოფხვრილიყო დაუყოვნებლივ, მკაცრად, ერთხელ და სამუდამოდ. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ ჯერ ამიერკავკასიის ხელისუფლება, ხოლო შემდეგ საქართველოს კანონიერი მთავრობა, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ყოველგვარი ძალადობის საწინააღმდეგოდ, ქმედებას ახორციელებდნენ სახალხო გვარდიის საშუალებით.

შიდა ქართლის ოსური მოსახლეობის პროკომუნისტურად განწყობილმა ნაწილმა, როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ 1918 წლის გაზაფხულზე დაიწყო „რევოლუციური აჯანყებები“ და შეეცადა, შიდა ქართლის ძირითადად ოსებით დასახლებულ ტერიტორიებზე დაემყარებინა საბჭოთა ხელისუფლება. მათ ცხინვალზე თავდასხმაც კი სცადეს და დიდი

აგრესიით გამოირჩეოდნენ. იმჟამად ცხინვალში ოსები თითქმის არ ცხოვრობდნენ. ქალაქში ძირითადად მოსახლეობდნენ ქართველები, ებრაელები და რუსები.

ამიერკავკასიის ხელისუფლებამ ამბოხებულთა შესაჩერებლად და ძალადობის აღმოსაფხვრელად გაგზავნა სახალხო გვარდიის ნაწილები, რომლებმაც დაამარცხეს ამბოხებულები. ეს უკანასკნელნი იძულებული გახდნენ, ოჯახებით ჩრდილოეთ კავკასიაში გადახვეწილიყვნენ. რა თქმა უნდა, სამხედრო ოპერაციის დროს ყველა ეტაპზე ვერ მოხერხდა ზომიერების დაცვა – ოსი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე აშკარად განხორციელდა ძალადობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოსვლების პარალელურად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (სამეგრელოში, ზემო იმერეთში, კახეთში, სამხრეთ საქართველოში) ადგილი ჰქონდა ანალოგიურ (აგრარულ პროკომუნისტურ) ამბოხებებს, რომელშიც ქართველი მოსახლეობის ნაწილიც მონაწილეობდა. სახალხო გვარდიამ ამ რეგიონებშიც ჩაატარა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, აქაც იყო დაპატიმრებები, ძალის გადამეტების შემთხვევები.

ვითარებას კიდევ უფრო ართულებდნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც მთლიანად კრემლიდან იმართებოდნენ და არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერებას, მთავრობის წევრებს უწოდებდნენ „სოციალ-გამყიდველებს“ და ყველა შესაძლო შემთხვევას იყენებდნენ ანტისამთავრობო აგიტაცია-პროპაგანდისათვის; ამასთანავე, სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციებს მოსკოვს, ორგანიზებას უკეთებდნენ სოციალურ პროტესტს, გლეხების გამოსვლებს, ანტისახელმწიფო საქმიანობასაც კი.

1919 წლის ოქტომბერში, რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების წლისთავზე, ქართველმა ბოლშევიკებმა დაგეგმეს სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც წარმატების შამთხვევაში უნდა უზრუნველეყო კომუნისტური რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემობრუნება. ამ მიზნით შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომელიც თავისი აგენტუ-

რის საშუალებით აკონტროლებდა ბოლშევიკების მზადყოფნას მთელი საქართველოს მასშტაბით.[1]

მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა და აჯანყებამდე ორი დღით ადრე დააპატიმრა სამხედრო-რევოლუციური შტაბის სრული შემადგენლობა. მასობრივი დაპატიმრებები განხორციელდა მაზრებში. თუმცა ზოგიერთ ქალაქსა და სამაზრო ცენტრში ბოლშევიკებმა მოახერხეს მომხრეების მობილიზება და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების ორგანიზება. აჯანყებები მოხდა ოზურგეთი, გორის, ცხინვალის მაზრებში, მაგრამ მეამბოხეთა ერთიანი ცენტრიდან კოორდინაციის არარსებობამ და მთავრობის ორგანიზებულმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად გააიოლა აჯანყების ლიკვიდაცია.

ამ ეტაპზე სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შემობრუნება ვერ შედგა – ეს მომავლისათვის გადაიდო.

§3. საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები

საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს კიდევ უფრო სერიოზული პრობლემები შეექმნა საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, რაც საკმაოდ კარგად არის შესწავლილი როგორც საბჭოთა (რა თქმა უნდა, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით), ისე პოსტსაბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში. საკითხის მასშტაბურობიდან გამომდინარე, ჩვენ ამ ეტაპზე მხოლოდ I მსოფლიო ომთან დაკავშირებული საკითხების ინტერპრეტაციით შემოვიფარგლებით.

მოხდა ისე, რომ საქართველოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა, რომლებმაც კატეგორიული უარი განაცხადეს 1915 წელს გერმანიის იმპერიასთან რაიმე ფორმით თანამშრომლობაზე და, ფაქტობრივად,

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ.,1971, გვ. 455.

ნიკოლოზ II-ს სახელმწიფოს დაუდგნენ დარაჯად, უკვე 1918 წელს გერმანია არა მარტო რეგიონში, არამედ ევროპაშიც მთავარ „მოთამაშედ“ ჩათვალეს. ასე ფიქრობდა საქართველოს პოლიტიკური ელიტა. მართალია, უკვე ამ დროს „სამთა კავშირი“ და, მათ შორის გერმანიაც, სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიდნენ, რაც პირდაპირ ზემოქმედებდა სამხედრო ოპერაციების საბოლოო შედეგებზე, მაგრამ კაიზერმა ვილჰელმ II-მ შეძლო რუსი ბოლშევიკების მიერ ბრესტ-ლიტოვსკში მიღწეული ზავის საფუძველზე ძალების გადაჯგუფება, უზარმაზარი მატერიალური რესურსების მიღება (გერმანიამ დაიკავა მთელი ბალტიისპირეთი, პოლონეთი, უკრაინა და ბელორუსია, რუსეთმა გაიღო დიდი რეპარაციები და ა.შ.), ისე რომ სამხრეთ კავკასიაში გერმანია-თურქეთის ალიანსი იმჟამად, როგორც ჩანს, დაუმარცხებელი ჩანდა.

გერმანიის დიპლომატია მეთოდურად ანადგურებდა რუსეთის ზეგავლენას სამხრეთ კავკასიაში, აყალიბებდა რა ამ ტერიტორიაზე ახალ ვასალურ სახელმწიფოებს, რომლებიც გარეგნულად „დამოუკიდებლები“ იყვნენ. რეგიონში თავისი გავლენის განმტკიცება სურდა თურქეთსაც, რომელიც გერმანიასთან დადებული პოლიტიკური შეთანხმებების მიუხედავად, საკუთარ ინტერესებს – პანთურქული პოლიტკის განმტკიცებას არ ივიწყებდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ინტერესი გერმანიისადმი გასაგები გახდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია, ევროპაში ყველაზე დარაზმული და ძლიერი გაერთიანება, საკუთარი სახელმწიფოს გვერდით დადგა და მხარი დაუჭირა I მსოფლიო ომში თავდაცვით პოლიტიკას. ქართველ სოციალ-დემოკრატებს კი განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გერმანელ „ამხანაგებთან“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიასთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების მომხრე იყო ქართველ პატრიოტთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის წინა პერიოდში ინტენსიური კავში-

რი დაამყარა გერმანიის სპეცსამსახურებთან და სწორედ „სამთა კავშირის“ დახმარებით ვარაუდობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამრიგად, 1918 წლის მაისში, ბოლშევიკების გარდა, საქართველოს პოლიტიკური სპექტრი გერმანიასთან ალიანსის მომხრე იყო. თვითონ გერმანიაც არ იყო წინააღმდეგი რომ საქართველო, რუსეთის შემდეგ, ახლა უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ შესულიყო. ეს საკმაოდ არაორაზროვნად გამოხატა გერმანიის წარმომადგენელმა გენერალმა ფონ კრესმა ნოე ჟორდანიასთან შეხვედრის დროს. თვითონ ნოე ჟორდანია 1918 წლის ზაფხულში გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი შემდეგი მიზეზებით ხსნიდა: „... ჩვენი ურთიერთშორის დამოკიდებულება იყო ლოიალური, მეგობრული, გულწრფელი. იმავე გერმანელები იმავე დროს სრულიად სხვანაირათ მოიქცენ უკრაინაში. იქ ისინი თვით აყენებდნენ და გადააყენებდნენ მთავრობას, აწყობდენ შინაურ ურთიერთობას – ერთი სიტყვით იქცეოდნენ როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. რით აიხსნება ეს ორი სხვადასხვა საზომი ჩვენ და უკრაინის მიმართ? უეჭველია ერთი გარემოებით: იქ იყო სრული ანარქია, შინაური ბრძოლა, ბოლშევიკების თარეში, პარტიათა ჭიდილი, უწესრიგობა და უთაობა. გერმანელთ კი ეჭირვებოდა წეს-რიგი, და ისეთი მთავრობა, რომელსაც ერი სცნობდა და მას ნორმალურად წარმოადგენდა და მართავდა. ჩვენში კი სწორედ ის პოვეს, რასაც ეძებდნენ – წეს-რიგი, მთელი ერი მთავრობის ირგვლივ დარაზმული, არავითარი ქაოსი და ანარქია – ერთი სიტყვით ნამდვილი თანამედროვე სახელმწიფო“[1] (სტილი დაცულია – ა.დ.). რამდენად სამართლიანი იყო მთავრობის თავმჯდომარის მიერ გვიანდელ მემუარებში საკუთარი თავისა და შთამომავლობისათვის გამხელილი ეს დასკვნა, ამაზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ, მაგრამ იმჟამად გერმანიასთან ალიანსი საქართველოსთვის ყოველმხრივ მისაღებად ჩაითვალა.

[1] ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 91.

სწორედ ამიტომაც, 1918 წლის 28 მაისს ფოთში დაიწყო მოლაპარაკება გერმანიის იმპერიასა და საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის. თურქების შემოტევების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობისათვის, ალბათ, ერთადერთი ოპტიმალური ვარიანტი გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება ჩანდა. დაიდო „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“.

რაში მდგომარეობდა საქართველო-გერმანიის 1918 წლის 28 მაისის შეთანხმების არსი?

ამ დოკუმენტის მიხედვით იმპერიული გერმანია საქართველოს მთავრობას „დე ფაქტოდ“ აღიარებდა და ომის პირობებში საქართველოს რკინიგზებზე გერმანიის კონტროლს აწესებდა. მომავალი ეკონომიკური პროგრამისა და სესხის შესახებ საქართველოს მთავრობა კონტრაქტს დებდა გერმანიასთან. საქართველოს მთავრობა აგრეთვე იმედოვნებდა, რომ გერმანია ხელს შეუწყობდა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობის დარეგულირებას და დაეხმარებოდა საქართველოს სტაბილურ, კარგად ორგანიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში..[1]

ამასთან ერთად გაფორმდა ორი დამატებითი ხელშეკრულებაც, რომლებსაც უნდა დაერეგულირებინათ როგორც ფინანსური, ისე უფლებრივი ურთიერთობები ორ მხარეს შორის. გერმანელები ქართულ მხარეს დაპირდნენ, რომ ფინანსურო სესხი, რომელსაც ისინი საქართველოს გამოუყოფდნენ, შეიძლება დაფარულიყო საქართველოს რკინიგზებისა და ფოთის ნავსადგურებიდან მიღებული შემოსავლებიდან, რასაც მთავარი ხელშეკრულების ძალით, გერმანიის მხარე აკონტროლებდა. ამასთანავე გათვალისწინებული იყო საქართველოში მცხოვრები გერმანელი კოლონისტების ინტერესებიც – მათ უნარჩუნდებოდათ არსებული პრივილეგიები, ენიჭებოდათ გერმანიაში დაბრუნების თავისუფალი უფლება, ხოლო გერმანიის მხარეს ეძლეოდა შე-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1880, ს. 152, ფურც. 8.

საძლებლობა მათთვის ნებისმიერ დროს გაეწია საჭირო მფარველობა.[1]

საქართველოსათვის ეს ხელშეკრულება საკმაოდ დამამცირებელი იყო. მთავრობას მნიშვნელოვან ტერიტორიულ დათმობებზე მოუწია წასვლა, მაგრამ ამის საფასური იყო მშვიდობა, რაც საქართველოს მთავრობას აძლევდა დროს, რომ გადაჯგუფება მოეხდინა და გერმანიის დახმარების იმედით დაკარგული ტერიტორიების ნაწილის დასაბრუნებლად დიპლომატიური ბრძოლა წამოეწყო. აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს რკინიგზებსა და ნავსადგურებზე გერმანიის კონტროლის დამყარებასაც ითვალისწინებდა. ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს მხარეს გერმანიისათვის უნდა გადაეცა მის პორტებში დისლოცირებული ყველა გემი: სამგზავრო ხომალდი, ბუქსირები, ბარჟები, მოტორიანი ნავები, ბოგირები.

საქმეში გერმანიის ჩარევამ მოსალოდნელი შედეგი არ გამოიღო – დამოუკიდებელი საქართველო იძულებული გახდა თურქეთისათვის აჭარასთან ერთად ახალციხე და ახალქალაქიც დაეთმო. ამ მდგომარეობამ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება მკაცრი კრიტიკის მარწუხში მოაქცია როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან.

1918 წლის 7 ივნისს ფოთის ნავსადგურში გერმანიის დიდი სამხედრო ხომალდი შემოვიდა. 3-4 ათასი ჯარისკაცი ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებით ქალაქის სხვადასხვა უბანში განლაგდა. ოპერატიული დავალებების შესასრულებლად ფოთიდან ყოველდღიურად გადიოდა რკინიგზის ეშელონებით 200 კაციანი სამხედრო რაზმები.[2]

გერმანიის საექსპედიციო კორპუსმა ქალაქში წესრიგი და სიმშვიდე დაამყარა: იმჟამად საქართველოს სხვა ქალაქებს შორის ფოთი დისციპლინით და წესრიგით გამოირჩეოდა.

---

[1] ზ. ავალიშვილი.საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990, გვ. 87.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1880, საქ. 152, ფურც. 8.

გერმანიის წარმომადგენელი ფონ კრესი და გერმანიის ელჩი საქართველოში გრაფი შულენბურგი საქართველოში ავტორიტეტული პირები გახდნენ, რომელთა რჩევას, კრიტიკულ შენიშვნას იზიარებდნენ და ანგარიშსაც უწევდნენ თბილისში. გერმანიის ელჩი იმხანად ახალგაზრდა დიპლომატი იყო. საქართველოს წინაშე გაწეული დამსახურებისათვის ის წმინდა მეფე თამარის ორდენითაც კი დაჯილდოვდა და მას გერმანიის „რკინის ჯვრის“ ორდენის ქვემოთ ატარებდა (საყურადღებოა, რომ II მსოფლიო ომის წინ გრაფი შულენბურგი გერმანიის ელჩი იყო საბჭოთა კავშირში და სწორედ მან გადასცა საბჭოთა ხელისუფლებას გერმანიის ოფიციალური ცნობა ომის დაწყების შესახებ).

გერმანელები ეხმარებოდნენ ქართველებს საკუთარი შეიარაღებული ძალების ორგანიზებაში. არსებობს ფონ კრესის დეპეშა, რომელშიც საუბარია გენერალ მაზნიაშვილისათვის ჯავშანტექნიკის მიწოდებაზე, გერმანელების მონაწილეობის მნიშვნელობაზე კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების განმუხტვის ღონისძიებებში და ა.შ.[1]

ფოთის შეთანხმებიდან ძალიან მალე გერმანიაში გაემგზავრა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ა. ჩხენკელის, ნ. ნიკოლაძის და ზ. ავალიშვილის შემადგენლობით.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მხარემ გერმანიაში ოფიციალური დელეგაციის გაგზავნით ძალიან იჩქარა. დელეგაცია 29 მაისს გერმანული ხომალდით უკვე რუმინეთის ნავსადგურს – კონსტანცას უახლოვდებოდა. ფაქტობრივად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ორ-სამ დღეში, თითქმის მოუმზადებლად, სახელდახელოდ, ოფიციალური დელეგაცია მიემგზავრება იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელთან თანამშრომლობაზე ქართველმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა ნ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით სასტიკი უარი განაცხადეს ჯერ კიდევ 1915 წელს.

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, საქ. 2, ფურც. 232; საქ. 9, ფურც. 77.

ხოლო 1918 წლის მაის-ივნისში, როცა I მსოფლიო ომის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, ისინი ოფიციალური ხელშეკრულებების ხელმოსაწერად და ეკონომიკური პროექტების დასამტკიცებლად მიემგზავრებოდნენ იმ ქვეყნის დედაქალაქში, სადაც, სულ მალე, 1918 წლის ნოემბერში რევოლუციური მღელვარება წალეკავს ვილჰელმ ჰოჰენცოლერნის საიმპერიო ხელისუფლებას. ეს აშკარად ნონსენსია.

უფრო მეტიც, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ნ. ჟორდანიას მიერ თავის გვიანდელ მემუარებში მოყვანილი ერთი საყურადღებო ფაქტი: ბერლინიდან ნ. ნიკოლაძის დაბრუნების შესახებ საუბრისას ნ. ჟორდანია აღწერს ამ უკანასკნელის აღფრთოვანებას გერმანიის სამხედრო ძალით, გერმანიის სამხედრო პერსპექტივებით: „გერმანიის გამარჯვება უზრუნველყოფილია, მას ვერავითარი ძალა ვერ უძლებს, შეგვიძლია ავიღოთ ხაზი გადაჭრით გერმანიაზეო. ასეთი აზრი არა მარტო ჩემია, არამედ მთელი დელეგაციის, ჩხენკელის მეთაურობითო.“[1]

აშკარაა, რომ ვერც საქართველოს დელეგაცია და ვერც იმჟამინდელი ხელისუფლება სწორედ ვერ გაერკვა ევროპაში მიმდინარე პროცესებში: შედეგად, მოახდინეს არსებული სამხედრო ვითარების მცდარი შეფასება, განსაზღვრეს არასწორი საგარეო პოლიტიკური ორიენტირები და ამით მომავალში, უკვე პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, I მსოფლიო ომში გამარჯვებული „ანტანტის“ ხელმძღვანელებთან მნიშვნელოვნად გაირთულეს საქმე.

გერმანიასთან ეს თანამშრომლობა სერიოზულად აღიზიანებდა ბოლშევიკურ რუსეთს. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის ზაფხული მისთვის მძიმე გამოცდის პერიოდი იყო (მოხდა სამოქალაქო ომის ესკალაცია, „ანტანტის“ მხარდაჭერით გულმოცემული „თეთრი მოძრაობა“ თითქმის მოსკოვს მიუახლოვდდა, სერიოზული პრობლემები იყო ასევე სამხრეთით, სადაც ძლიერდებოდა დენიკინის მოხალისეთა არმია), კომუნისტური რუსეთის ოფიციალური პრესა სა-

[1] ნ. ჟორდანია, დასახ ნაშრომი, გვ. 91.

ქართველოს მიმართ გესლიანი სტატიებით იკმაყოფილებდა იმჟამად შესუსტებულ მოთხოვნილებებს: „...აღიარებენ რა ვილჰელმის (იგულისხმება გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II – ა.დ.) უპირატესობას, თბილისელი მენშევიკები თამაშობენ დამოუკიდებლობას. ასე ჭირდება გერმანიის დიპლომატიას, რომ დააქუცმაცოს ამიერკავკასია ნაჭრებად, მაგრამ რა არის ეს – უბრალო ოკუპაცია თუ დამოუკიდებლობა?! ოკუპირებულია ბელგია, პოლონეთი, ლიტვა და სხვა ხალხები. იქ არ იგრძნობა „დამოუკიდებლობის“ თამაში. ხალხმა იცის, რომ დამპყრობლის ჩექმამ ის მიწას გააკრა.“[1]

მოსკოვი განსაკუთრებით გააღიზიანა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, რუსების ყოფილ დიდების ტაძართან (დღეს – „სამხატვრო გალერეა“) საქართველოსა და გერმანიის ერთობლივი სამხედრო აღლუმის ჩატარებამ. იმ დღეს, 11 ივლისს, საღამოს 5 საათზე დიდების ტაძართან განლაგებული აღლუმის წინაშე გამოვიდნენ ოფიციალური პირები: მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი, გერმანიის რწმუნებული გრაფი შულენბურგი, საქართველოს სამხედრო მინისტი გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი ბაბერი, ობერლეიტენანტი კაიზერი. მთავრობის თავმჯდომარემ ჩაატარა აღლუმის ინსპექტირება და მიმართა სიტყვით გერმანიის მხედრიონს. ამ სიტყვაში ნ. რამიშვილმა ჩამოაყალიბა ქართული მხარის პოზიცია და გერმანიასთან მეგობრობის სურვილი, დასასრულს გამოთქვა რწმენა, რომ ქართული და გერმანული არმიები, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, შეძლებენ წესრიგის დამყარებას. საპასუხო სიტყვაში გრაფმა შულენბურგმა გამოთქვა იმედი, რომ გერმანიის საიმპერიო ჯარები და საქართველოს მხედრიონი მუდმივად მეგობრულ ურთიერთობაში იქნებიან და მტკიცედ დაიცავენ ერთმანეთის კანონიერ ინტერესებს.[2]

სამხედრო თანამშრომლობასთან ერთად გერმანიას საქართველოში დიდი ეკონომიკური ინტერესებიც ჰქონდა. სისხლისმღვრელი ომის ვითარებაში მას სამხრეთ კავკასია ესა-

---

[1] გაზ. „Правда“, 1918 წ.30 ივნისი.

[2] გაზ. „Правда“, 1918 წ. 30 ივნისი.

ჭიროებოდა როგორც ნედლეულის წყარო: მარგანეცი, ხეტყე, ქვანახშირი. საქართველო იყო ტრანზიტი ბაქოს ნავთობისაკენ, აგრეთვე საქართველოსა და ამიერკავკასიის რკინიგზების საშუალებით შეიძლებოდა ჩრდილო ირანში შესვლას, ინგლისის ინდოეთის კოლონიებში შეღწევას და ა.შ. ამიტომაც ეს მეგობრობა იმჟამად ორმხრივ სასარგებლო ჩანდა.

თუმცა ეს თანამშრომლობა ყოველთვის უპრობლემო არ ყოფილა. არსებობს დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებენ, რომ გერმანელმა ჯარისკაცებმა მოკლეს ქართველი, გადაუწვეს ადგილობრივ მცხოვრებლებს სახლ-კარი, მოაოხრეს მათი კარმიდამო. ბორჩალოს მაზრის სოფელ გომარეთში მცხოვრები დიმიტრი რაზმაძე 1918 წლის 20 ივნისს მთავრობასთან ჩიოდა, რომ გერმანელების რაზმმა მას სახლ-კარი გადაუწვა. მაგრამ იმჟამად საქართველოს ხელისუფლება გერმანიასთან ურთიერთობის გაუარესებას გაურბოდა და ამ ფაქტებზე თვალს ხუჭავდა. ახალშექმნილ სახელმწიფოს ძალიან სჭირდებოდა ძლიერი ევროპელი მფარველის მხარდაჭერა და ამის გამო ბევრ დათმობაზეც მიდიოდა.

შექმნილ ვითარებას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება იდეოლოგიურ საფუძველს უძებნიდა და მოსახლეობას ამ პოლიტიკის გაგებისაკენ მოუწოდებდა. გაზეთი „ერთობა“ იმხანად წერდა: „საქართველოს არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, არ შეუძლია საკუთრივ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა...“ ასე ასაბუთებდა ოფიციოზი გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობას, რაც, როგორც ჩანს, ყველა სოციალ-დემოკრატს გულზე არ ეხატებოდა და ხელისუფლებას თავშეკავებისკენ მოუწოდებდა.

კრიტიკის მიუხედავად, 1918 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია თავის გერმანელ კოლეგებთან ერთად ორ ქვეყანას შორის ფართო ხელშეკრულების მოსამზადებლად ინტენსიურად მუშაობდა. მთავარი დაბრკოლება საბჭოთა რუსეთის რეაქცია გახლდათ, რომელიც გერმანიისა და საქართველოს შორის „დე იურე“ მოლაპარაკების წინააღმდეგი

იყო. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გერმანიის ზეწოლის გამო დათმო და ოფიციალურად განაცხადა, რომ მართალია, თვითონ რუსეთს საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ არ უღიარებია, მაგრამ ის არ ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატების მე-13 პუნქტის თანახმად გერმანიის მხრიდან მის აღიარებას. 1918 წლის 3 ოქტომბერს ხელშეკრულების ხელმოსაწერად ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ამჯერად გერმანიამ ვეღარ შეძლო ამის გაკეთება, რადგან გერმანიაში დაიწყო სამთავრობო კრიზისი, რაც ნოემბრის რევოლუციაში გადაიზარდა. გერმანიაზე საქართველოს ორიენტაციის პოლიტიკა უეცრად გაკოტრდა.გასაგები მიზეზების გამო, გერმანიასთან ხელმოსაწერად გამზადებული როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური შეთანხმებები მხოლოდ პროექტებად დარჩა და, ცხადია, აღარასოდეს შესულა ძალაში. გერმანიის დატოვებამდე, საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრისას, ქართული დელეგაციის წარმომადგენელი ზურაბ ავალიშვილი ესაუბრა დოქტორ გროპერტს, რომელმაც ქართველებს მეგობრული რჩევა მისცა: „ეცადეთ „ანტანტის“ ქვეყნები რაც შეიძლება სწრაფად გადმოიბიროთ თქვენს მხარეზე. ეს ძნელი ამოცანა იქნება, რადგან მოკავშირე სახელმწიფოები, რომელთა მიზანიც გაერთიანებული რუსეთის აღდგენაა, ყოფილი სასაზღვრო ქვეყენების წინააღმდეგ გამოვლენ. უფრო მეტიც, ახლა სომხები, ალბათ, „ანტანტის“ ფავორიტები გახდებიან. „ანტანტა“ შეეცდება ცრემლი შეუშროს და მათი პრეტენზიები თქვენ რაიონებზე – ბორჩალოსა და ახალქალაქზე – დაუკმაყოფილოს“.[1] ეს სიტყვები ნამდვილი მეგობრისაგან გახმოვანებული ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება აღმოჩნდა.

თურქეთი. სურდა თუ არა, გერმანიას, თავისი მოკავშირის – თურქეთის ინტერესებზეც უნდა ეზრუნა. საქართველოს პოლიტიკოსების მიზანი, დაედოთ თურქეთთან უანექსიო და უკოტრიბუციო ზავი, ვერ განხორციელდა. თურქებმა ულაპარაკოდ წაიღეს 1877-1878 წლებში რუსეთთან წაგებული ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები და მას

[1] ზ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

1829 წელს დაკარგული ახალციხის საფაშოს ტერიტორიებიც მიაყოლეს. თურქეთის ზეწოლის შედეგად ქართული მხარე იძულებული გახდა ხელი მოეწერა 1918 წლის 4 ივნისის „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებისათვის“, რომლის ძალით საქართველო აღიარებდა თურქეთის სუზერენიტეტს წართმეულ მიწებზე.

ამ ტერიტორიებზე რთული, გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა. ეს ისტორიული ქართული ტერიტორიები გარკვეული თავისებურებით ნიკოლოზ II დროსაც გამოირჩეოდნენ. გეოსტრატეგიული მდებარეობით საინტერესო ეს მხარე რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და ყველა შესაძლო ხერხებით ცდილობდა აქ რუსული ზეგავლენის დამკვიდრება-გაძლიერებას: აქ ასახლებედნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან წამოსულ კოლონისტებს, ადგილზე ინახავდნენ რუსული ჯარის დიდ კონტინგენტს, უღვივებდნენ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას ანტიქართულ განწყობილებას და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ტერიტორიებზე რუსეთს დახვდა ძლიერი მაჰმადიანური ზეგავლენა, მოლებისა და ხოჯების განუსაზღვრელი ძალაუფლება, შარიათის წესები და ტრადიციები. თურქეთი ამ ტერიტორიებზე საკუთარი ზეგავლენის შესანარჩუნებლად დიდ თანხებს ხარჯავდა და გარკვეულ შედეგებსაც აღწევდა – გაბატონებული კლასების მნიშვნელოვანი ნაწილი, ქართული წარმომავლობის თურქები „სედაი მილეთის“ პროთურქულ ორგანიზაციაში იყვნენ გაერთიანებული, ისინი თურქეთთან კვლავ შეერთებაზე ოცნებობდნენ. ორივე იმპერია – თურქეთიც და რუსეთიც სახსრებს არ ზოგავდნენ რეგიონში თავისი ინტერესების დასაცავად.

რეგიონში მარტოსული და ეული იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის აქტივისტი მამულიშვილები, ხშირად სიცოცხლისა რისკის ფასად, ცდილობდნენ ქართულ მოსახლეობაში ერთიანი ქართული ცნობიერების აღდგენას. ამაში მათ მხოლოდ ქართველი ინტელიგენციის მოკრძალებული (მატერიალური შესაძლებლობებით) მცდელობა და ქართული ენის ძლიერება ეხმა-

რებოდათ. ახლა კი, თურქეთის ოკუპაციის პირობებში, ქართველი პატრიოტების მცდელობას – მიეღწიათ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ერთიანობისათვის – სერიოზული საფრთხე შეექმნა.

გაღიზიანებული თურქი დამპყრობელი, რომელმაც საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით „სახე“ შეინარჩუნა და გარკვეული გამარჯვებაც მოიპოვა, საქართველოსგან მიტაცებულ მიწებზე მურვან-ყრუსავით იქცეოდა.

ბათუმში ჩამოვიდა თურქეთის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა, რომელმაც საზეიმოდ განაცხადა, რომ თურქეთმა უკან დაიბრუნა ძალით წართმეული მიწები და „ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედა-სამშობლოს“.თურქების მხარდაჭერით რეგიონში გააქტიურდა პროთურქული ორიენტაციის პარტიის „სედაი მილეთის“ საქმიანობა.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ოკუპირებულ მიწებზე რეფერენდუმის ჩატარება. ამ მიზნით გააძლიერეს მუშაობა: დარჩენილ ქართველებს აიძულებდნენ საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინათ და გახიზნულიყვნენ, გააძლიერეს ასკერების პატრულირება, არაქართველ მოსახლეობას ძალას ატანდნენ, მათთვის სასურველი გადაწყვეტილება მიეღოთ, ყოველმხრივ ხელს უწყობნენ „სედაი მილეთის“ ორგანიზაციის წევრებისა და მაჰმადიანი სასულიერო პირების პროპაგანდისტულ საქმიანობას.

მაგრამ თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა ბევრს არ უნდოდა. ეს ცხადყო რეფერენდუმის შედეგებმაც. მარტო ქალაქ ბათუმში ჩატარებული კენჭისყრის დროს, რომელიც ძალმომრეობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ხმები ასე განაწილდა: თურქეთთან შეერთებას 4312 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 2669 კაცმა. ქართველების, სომხების და ებრაელების მხრიდან თურქების სასარგებლოდ ხმა მისცა მხოლოდ 644 კაცმა, წინააღმდეგი იყო 30, არჩევნებზე არ გამოცხადდა – 648 კაცი. რუსების მხრიდან თურ-

ქეთთან შეერთებას ხმა მისცა 467 კაცმა, წინააღმდეგი იყო 77, არჩევნებზე საერთოდ არ გამოცხადდა – 648 კაცი.[1]

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ამ რეფერენდუმის შედეგებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თვით ოსმალეთის სამხედრო წარმომადგენლებიც კი ხვდებოდნენ, რომ ასეთი ღონისძიება არავითარ ზეგავლენას არ მოახდენდა ბათუმის ოლქის შემდგომ ბედზე.[2]

„არჩევნები“ იმდენად უწესრიგოდ და კანონის დარღვევით ჩატარდა, რომ ის გააპროტესტა საბჭოთა რუსეთმაც კი. საგარეო საქმეთა კომისრის გიორგი ჩიჩერინის 1918 წლის სექტემბრის ნოტაში ნათქვამია: „რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი პროტესტს გამოთქვამს თურქეთის მიმართ, ბრესტის ზავის პირობების დარღვევის გამო. ეს უკანასკნელი ყარსში, არდაგანსა და ბათუმში მიმართავს ძალადობას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ამასთან, თურქული ადმინისტრაციის დამყარებისთანავე ადგილი ჰქონდა 19 წლის მამაკაცების იძულებით სამხედრო გაწვევას. არჩევნების დროს სამივე ოლქის მოსახლეობას თავისუფალი ნების გამოხატვის უფლება არ მისცეს, ისინი დაატერორეს და აბუჩად აიგდეს. არჩევნების წინ ანტითურქულად განწყობილი ავტორიტეტის მქონე ხალხი გაასახლეს და დააპატიმრეს, ზოგ შემთხვევაში მათ ხვრეტდნენ კიდეც. არჩევნები თურქეთის ხელისუფლების ზეწოლის პირობებში მიმდინარეობდა. ასეთი არჩევნების შედეგები, რა თქმა უნდა, წინასწარვე იყო ცნობილი. რუსეთისაგან ჩამოშორებული ოლქების მოსახლეობაზე განხორციელებული აშკარა ძალადობა არღვევს შეთანხმების IV მუხლის პირობებს, რის გამოც საბჭოთა ხელისუფლება არ აღიარებს ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქებში ე.წ. თავისუფალი არჩევნების შედეგებს“.[3]

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 24 ივლისი.

[2] ო. გოგოლაშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი, 2005, გვ. 127.

[3] Документы внешней политики СССР, т.1, М.,1957, стр. 490-491.

მაგრამ ამ ძალადობას არ შეეძლო გამოესწორებინა თურქეთის მეტად მძიმე მდგომარეობა – ის სერიოზულ წარუმატებლობას განიცდიდა მაკედონიისა და პალესტინის ფრონტებზე, რამაც, საბოლოოდ, I მსოფლიო ომში თურქეთის სასტიკი დამარცხება გამოიწვია: თურქეთის იმპერია დაიშალა. „ანტანტასთან“ გაფორმებული მუდროსის ზავით თურქეთი მის წნაშე წამოყენებულ ყველა პრეტენზიას დაეთანხმა, ამასთან, მას სწრაფად უნდა დაეცალა, ბათუმი და ბათუმის ოლქი, მის მიერ ძალით მიტაცებული ისტორიული საქართველოს ტერიტორიები. გამარჯვებული „ანტანტის“ ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ ბათუმში დიდი ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსი შესულიყო.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში. 1918 წლის 3 დეკემბერს ბათუმში შევიდა დიდი ბრიტანეთის საადმირალოს გემი „ლივერპული“ და ორი კრეისერი. ჩამოსვლისთანავე ინგლისელებმა განაცხადეს თავისი პოლიტიკური მიზნების შესახებ – მათ ჯერ ქალაქის რუსულენოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დააყარეს კავშირი, მხოლოდ ამის შემდეგ მიიწვიეს კრეისერზე ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ეს შეხვედრები მიზნად ისახავდა მხოლოდ პირადად გაცნობას და ადგილობრივ სიტუაციაში გარკვევას.

ქალაქის რუსული სათვისტომოს წარმომადგენლებმა ინგლისელებს განუცხადეს, რომ ბათუმი და მისი ოლქი არის რუსეთის სახელმწიფოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი. გარკვეული ფიქრის შემდეგ ინგლისელებმა გამოაცხადეს თავიანთი ვერდიქტი: რადგან ბათუმის ოლქი წარმოადგენს მეფის რუსეთის განუყოფელ ნაწილს, ხოლო ინგლისელებს სურთ რუსეთში აღადგინონ კანონიერი ხელისუფლება, ამის გამო ბათუმის ოლქის მმართველობა უნდა გადაეცეს რუსების ეროვნულ საბჭოს ინგლისის გენერალ-გუბერნატორის სისტემატური კონტროლის პირობებში. ინგლისის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი კუკკოლისი.

1918 წლის 25 დეკემბერს უკვე ფოთშიც შემოვიდა ინგლისის საექსპედიციო კორპუსი. მეორე დღესვე ფოთის ნავ-

სადგური დატოვა გერმანიის სამხედრო ეშელონმა. თბილისიდან სასწრაფოდ ჩამოსულმა სპეციალურმა მისიამ ჩაიბარა გერმანელების სამხედრო ქონება.[1]

ინგლისელებმა შემოსვლისთანავე ყველას დაანახეს, რომ ისინი გამარჯვებული ბანაკის წარმომადგენლები არიან და მოითხოვენ უპირობო მორჩილებას. მათ დაათვალიერეს საქართველოს შავი ზღვის პორტები. გემების ნაწილი გააგზავნეს ბათუმში. ფოთში ღუზა ჩაუშვა ინგლისელების სამმა ტრალერმა და ერთმა ნაღმოსანმა. ინგლისის წარმომადგენლებმა ნავსადგურის უფროსს მოთხოვეს ნავსადგურში მყოფი ყველა გემის, ბარჟის და ამწის დათვალიერების უფლება. ამასთან სურდათ, რომ ქართულ მხარეს მათთვის გადაეცა ნავსადგურში მდგომი ნაღმოსანი და ამწე.

ფოთში ინგლისელებს განუცხადეს, რომ ცენტრალური მთავრობის ნებართვის გარეშე ასეთ საპასუხისმგებლო მოთხოვნას ვერ შეასრულებდნენ. წინააღმდეგობის მიუხედავად, 1919 წლის იანვარში აღნიშული ამწე მაინც გადაეცათ ინგლისელებს

30 დეკემბერს ბათუმს მოადგა დამატებით კიდევ 4 ინგლისური გემი, რომელმაც ქალაქში ჩამოიყვანა 15 000 ჯარისკაცი. მათ გენერალი ფოსტერ უოკერი ხელმძვანელობდა.[2]

3 იანვარს ფოთში დამატებით კიდევ შემოიყვანეს ინგლისური დესანტის 600 კაციანი რაზმი. ინგლისელებმა დაათვალიერეს და თავისთვის მოინდომეს ნავსადგურის პროფკავშირების სახლი. ამ შენობაში განთავსებული იყო კავშირის იაფი სასადილო, სამკითხველო და გამგეობა. ქართული მხარის არავითარმა პროტესტმა არ გაჭრა, ინგლისელებმა ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელებთან საუბარი არც კი ისურვეს. ამ ფაქტმა პორტის მშრომელების აღშფოთება და გაღიზიანება გამოიწვია. ნავსადგურის პროფკავშირული ორგანიზაციის მდივანი დეპეშით აცნო-

---

[1] ა. დაუშვილი, ფოთის საზღვო პოროტი 1917-1921 წლებში. „ანალები“, 2011, №7, გვ. 216.

[2] გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 5 იანვარი.

ბებდა თბილისში მთავრობას, რომ მას ზეგავლენა მოეხდინა ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელობაზე, რათა შეეწყვიტათ ფოთში მათი ჯარისკაცებისა და ოფიცრების აღვირახსნილი თარეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები გაფიცვებით იმუქრებოდნენ.[1]

ფოთში ინგლისელთა უკანონობას ბოლო არ უჩანდა. აშკარად იყო, რომ თბილისი ინგლისელებთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა, ბევრ დათმობაზე მიდიოდა და ითვალისწინებდა გამარჯვებული ქვეყნების ხელმძღვანელების გუნება-განწყობილებას, რათა დაეჩქარებინა მათი მხრიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება. სწორედ ამაზე მიუთითებს საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლების ლოიალური განცხადებები სამხრეთ კავკასიაში ინგლისელების შემოსვლის პირველ ხანებში: „პატივი გვაქვს განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობას სურს განაგრძოს იგივე მუშაობა შეთანხმების სახელმწიფოთა (იგულისხმება „ანტანტა“ – ა.დ.) რიგებში და იბრძოლოს საერთო მიზნის გამარჯვებისათვის, ანარქიის ჩაქრობისა და წესრიგის აღდგენისათვის. ჩვენი პატარა სახელმწიფო მზადაა თქვენი მოწოდებით დადგეს შეთანხმების სახელოვანი დროშების ქვეშ“.

საქართველოს მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ოფიციალურად აცხადებდა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმა იყო თბილისში შემოსულიყვნენ ინგლისელების ქვეითი და საარტილერიო ბრიგადები. ინგლისის სამხედრო ნაწილები თბილისშიც დაბანაკდნენ. ინგლისელების გაოცებას იწვევდა წითელი დროშებისა და მარქსის სურათების სიჭარბე საქართველოს დედაქალაქში, ისინი ეკითხებოდნენ ოფიციალურ პირებს ამის შესახებ და იღებდნენ დამამშვიდებელ პასუხს, რომ წითელი დროშის ფრიალი არ გულისხმობდა მთავრობის სოციალისტურ ბუნებას და მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბოლშევიკურ იდეოლოგიასთან. მაგრამ ინგლისელებს, განსაკუთრებით

[1] ა. დაუშვილი, ფოთის საზღვო პოროტი 1917-1921 წლებში. „ანალები“, 2011, №7, გვ. 217.

მათ ხელმძღვანელებს, აშკარად გაჰყვათ უნდობლობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიმართ და ამას ხშირადაც ავლენდნენ.

საქართველოში ყოფნისას ინგლისელები მუდამ იცავდნენ „თეთრი რუსეთის“ გენერლის – დენიკინის ინტერესებს და ქართულ მხარეს კატეგორიულად მოსთხოვეს დაეტოვებინა სოჭის ოლქი, რომელიც ქართველთა მხედრობამ დაიკავა ბოლშევიკური ამბოხების ჩაქრობის შემდეგ.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს ისინი კატეგორიულად ითხოვდნენ დენიკინთან მოლაპარაკებას და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას. ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს გენერალმა ბრიგსმა პირდაპირ განუცხადა ევგენი გეგეჭკორს: „ინგლისელები და იტალიელები წავლენ, რუსეთი კი დარჩება, ამიტომაც მასთან კარგ ურთიერთობაში უნდა იყოთ. აი, ჩემი რჩევა თქვენ – დათმეთ თქვენი თავმოყვარეობა, გაუწოდეთ დენიკინს ხელი და უთხარით მას – „ჩვენ თქვენთან ვართ!“. ყველა პატარა სახელმწიფო სუსტია, ისინი კი არ უნდა ებრძოდნენ ერთმანეთს, არამედ უნდა ერთიანდებოდნენ“.[1]

ქართული ინტერესების იგნორირება, რუსეთის ინტერესების ლობირება დამახასიათებელი იყო ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელობისათვის, თუმცა ინგლისელებს შორის იყვნენ ოფიცრები, რომლებიც ვითარების ობიექტური ანალიზის საფუძველზე აშკარად იკავებდნენ ქართულ პოზიციას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა ინგლისელების მიერ ოკუპირებულ ბათუმის ოლქში. ამ ტერიტორიების მომავალზე ინგლისელებს სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ: პირველი და მათთვის მთავარი – ბათუმი უნდა გადაეცათ აღდგენილი რუსული სახელმწიფოსთვის, იყო აგრეთვე ამ ტერიტორიიის თურქეთისათვის გადაცემის მოსაზრებაც. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ პერიოდში ინგლისურ ადმინისტრაციასთან მოუხშირეს ვიზიტები

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ს. 734, ფურც. 7.

აზერბაიჯანის სახელმწიფოს წარმომადგენლებმაც – ისინი ბათუმის ოლქის გადაცემას ითხოვდნენ. ასევე იყო აზრი, გამოეცხადებინათ ბათუმი „პორტო-ფრანკოდ“.

გენერალმა კუკ-კოლისმა ბათუმი აშკარად ანტიქართული ინტრიგების ბუდედ გადააქცია. აქ პროქართულ ორგანიზაციებს უჭირდათ მუშაობა, ისინი იატაკქვეშ გადავიდნენ. სამაგიეროდ გამოცოცხლდა „სედაი მილეთის“ პროთურქული ორგანიზაციის საქმიანობა. მათ თავისი გაზეთიც კი დააარსეს და სასტიკად ებრძოდნენ ქართულ ორგანიზაციებს, პროპაგანდას უწევდნენ თურქეთთან შეერთების იდეას.

ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების თავისებურებები. ამერიკა შედარებით გვიან შეუერთდა „ანტანტას“, მაგრამ მალე მისი აქტიური წევრი გახდა. იმჟამად მას კავკასია დიდად არ აინტერესებდა, მაგრამ ამ რეგიონში მტკიცედ იცავდა თავისი ყოფილი რუსი მოკავშირის ინტერესებს. ამერიკის ადმინისტარაცია ბოლშევიზმს შემთხვევით მოვლენად თვლიდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად ესახებოდა. ამერიკისათვის იმჟამად მიუღებელი იყო რუსეთის სახელმწიფოს დაშლა.

სამხრეთ კავკასიაში აქტიურად მოღვაწეობდა ამერიკული საქველმოქმედო მისია – „ამერიკის ახლო აღმოსავლეთის დახმარების კომიტეტი“, რომელიც სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლით ეხმარებოდა კონფლიქტურ რეგიონების მოსახლეობას. კომიტეტს ჰქონდა თავისი სასაწყობო მეურნეობაც, სადაც დასაქმებული იყვნენ საქართველოს მოქალაქეებიც. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მისიის წარმომადგენლებს სისტემატურად ჩაჰქონდათ ჰუმანიტარული ტვირთი.[1]

აქტიურობდნენ ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც. სერიოზულად იგეგმებოდა ამერიკა-საქართველოს მადნეული კომპანიის ამოქმედება. საზღვაო ტრანსპორტის განვითარების მიზნით საქართველოს მთავრობას კომერციული წინადადებით მიმართა ამერიკელი ბიზნესმე-

[1] ქ. ქართველიშვილი, ამერიკის პირველი საკონსულო შენობის იდენტიფიციორების საკითხისათვის, „ანალები“, 2012, №8, გვ. 45-44.

ნების ერთმა ჯგუფმა· ამერიკის სატრანსპორტო სამსახური სთავაზობდა საქართველოს ხელისუფლებას 3500-4000 ტონა წყალწყვის ხის გემების შეძენას. თითო გემი 30 მილიონი მანეთი ღირდა. პროექტით გემების ღირებულების 50 პროცენტი უნდა გადახდილიყო გემების მიღებისთანავე, დანარჩენი – სამ თვეში ერთხელ 18 თვის განმავლობაში. საქართველოს მთავრობამ პროექტი დაიწუნა მისი სიძვირისა და გემების მასალის გამო.[1]

1919 წელს თბილისში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსული ჩარლზ მოზერი. ამერიკის მისია განთავსდა თბილისის ცენტრში – ველიამინოვის ქუჩაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ, თავისი პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ „დე ფაქტო“ ცნო და ხელს არ უშლიდა ამერიკის საქველმოქმედო ორგანიზაციებს შეჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად გაეშალათ ნაყოფიერი საქმიანობა. იმჟამად ამერიკის შეერთებული შტატები უფრო სომხეთის სახელმწიფოს ინტერესებს ითვალისწინებდა.

სამხურ-ქართული დაპირისპირება. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დამოუკიდებლობა გამოაცხადა სომხეთმაც. სანამ საქართველოში გერმანიის სამხედრო კორპუსი იმყოფებოდა, სომხები ტერიტორიულ პრეტენზიების გაცხადებას ვერ ბედავდნენ. როგორც კი მსოფლიო ომში გერმანია დამარცხდა, სომხეთის მმართველი ელიტა (რომელშიც ძალიან ბევრი თბილისში ნამსახური ჩინოვნიკიც იყო. მაგალითად, ალექსანდრე ხატისოვი – წლების მანძილზე თბილისის ქალაქის თავი), აღივსო სურვილით, გაეფართოებინა თავისი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე. სომხეთი პრეტენზიას აცხადებდა ყარსის მხარის, არდაღანისა და ოლთისის ოლქებზე (ამჟამად ეს ოლქები თურქეთის ვილაიეთის – ყარსის ნაწილს წარმოადგენს), რომლებიც იმჟამად საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. სომხეთმა ბორჩალოსა

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1891, ს. 314, ფურც. 7.

და ახალქალაქის მაზრებიც სადავო გახადა. ამ პრეტენზიებს იმით ასაბუთებდნენ, რომ ისტორიის გარკვეულ მომენტებში ეს ტერიტორიები სომხური სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. სომხების პრეტენზიები ბორჩალოს მაზრაზე, არდაღანისა და ოლთისის ოლქებზე ეთნიკური თვალსაზრისით სარწმუნოდ დასაბუთებული არ ყოფილა, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა აქ თურქულენოვანი ხალხი, გერმანელები და რუსები იყვნენ. სომხებს განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთი, ლორე-ბამბაკის ტერიტორია ალავერდის მდიდარი საბადოებით და ხრამის აუზის მიწები იზიდავდათ. მათ შეძლეს სამხრეთ საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის ერთი ნაწილის გადაბირება – ისინი მოხალისეებად ეწერებოდნენ სომხურ სამხედრო ნაწილებში.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების რევოლუციური ფრაზეოლოგია გარკვეულ იმედებს აღუძრავდა სხვისი ტერიტორიების მომხვეჭელებს. ჯერ კიდევ პეტროგრადში, ამიერკავკასიის საერობო კონფერენციის დროს, ქართველი სოციალ-დემოკრატები სომხეთის ნაციონალისტური პარტიების ხელმძღვანელობას დაპირდნენ ეთნიკური ნიშნის მიხედვით გადაეხედათ ამიერკავკასიის ზოგიერთი ადმინისტრაციული საზღვრისათვის.[1] თავის მხრივ, საქართველოს მთავრობა აღნიშნავდა, რომ მიუხედავად ამისა, მათ ამ დაპირებისათვის ხელშეკრულების ოფიციალური ფორმა არასოდეს მიუციათ.

პირველი თავდასხმა სომხეთის მხედრიონმა უკვე 1918 წლის 18 ოქტომბერს სცადა: სომხეთის მოწინავე რაზმმა თურქების მიერ ადრე ოკუპირებული თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ზონაში, სოფელ კამენკას სამხრეთით გადაკვეთა სადემარკაციო ხაზი და დაიკავა სარკინიგზო ასაქცევი კობერი. საპასუხოდ ქართულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ კონფლიქტის ზონაში ორი ჯავშანმატარებელი გაგზავნა და თან დამატებით 250 კაციანი რაზმიც მია-

[1] ნ. მირიანაშვილი, საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1938 წწ. თბ., 2012, გვ. 16.

ყოლა, რამაც მოწინააღმდეგე აიძულა 20 ოქტომბრისათვის კობერი დაეტოვებინა.

1918 წლის ნოემბერში ქართულ და სომხურ მხარეებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. საქართველოს ხელმძღვანელობამ ერევანში თავისი სპეციალური რწმუნებულის მეშვეობით სომხებს უმოკლეს ვადაში თბილისში კონფერენციის ჩატარება შესთავაზა. სომხური მხარე ძირითადად დაეთანხმა ამ წინადადებას, თუმცა თან მთელი რიგი პრეტენზია წამოაყენა. 1918 წლის 10 ნოემბერს თბილისში კონფერენცია მაინც გაიხსნა. მას ესწრებოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლები. სომხეთის დელეგაცია კონფერენციაზე არ ჩამოვიდა. კონფერენცია ჯერ 20 ნოემბრისათვის, ხოლო შემდეგ 30 ნოემბრისათვის გადაიდო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ სომხეთის მხარე დროის მოგებას ცდილობდა.

9 დეკემბერს სომხეთის რეგულარულმა ნაწილებმა დაიწყეს ფართომასშტაბიანი შემოტევა. სომხეთის მხრიდან მოქმედებდა 4500 კაციანი სამხედრო კორპუსი. მას წინააღმდეგობას უწევდა თბილისის საგუბერნიო ბატალიონი და ჯავშანმატარებელი. ალავერდთან დისლოცირებული იყო მე-5 ქვეითი პოლკის სამი ასეული, მე-6 პოლკის ერთი ასეული, ქართველების საერთო რაოდენობა ამ მიმართულებაზე არ აღემატებოდა 550 კაცს. ასეთი თანაფარდობა ქართველების მხრიდან მოითხოვდა გონივრულ მანევრირებას, რაც ჩინებულად განხორციელდა კიდეც.

სომხეთის ნაწილებმა ისარგებლეს რიცხობრივი უპირატესობით და გარკვეულ ტაქტიკურ წარმატებას მიაღწიეს – ქართველებმა ორგანიზებულად დაიხიეს სადახლოს მიმართულებით. სადახლოსთან ბრძოლებში კი ქართველების მცირერიცხოვანმა სამხედრო შენაერთმა მთლიანად გაანადგურა სომხური ავანგარდი.

მნიშვნელოვანი იყო ბრძოლა ეკატერინენფელდთან 19 დეკემბერს, რაც ქართველების უპირატესობით წარიმართა. ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა და მოწინააღმდეგე აიძულეს უკან დაეხია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლებში მონაწილეობდა სახალხო გვარდიის შენაერთებიც, მაგრამ საბრძოლო შემართებასთან ერთად ეს დანაყოფები აშკარად ავლენდნენ უდისციპლინობას, ზერელობას, რაც მუდამ დამახასიათებელი იყო ასეთი რანგის სამხედრო შენაერთებისათვის.

დეკემბერს დასასრულს ქართველებმა ჩინებულად ჩაატარეს შულავერის სამხედრო ოპერაცია. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ: „საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით, 1918 წლის 28 დეკემბერს დაწყებული შულავერის გენერალური ბრძოლა ქართული მხარის წარმატებული ოპერაცია იყო, რომელიც 25-29 დეკემბერს წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დამაგვირგვინებელ ნაწილს წარმოადგენდა. საერთო-საჯარისო ოპერაციის თითოეული ბატალია ქართული მხარისათვის დიდი წარმატებით დასრულდა. ხოლო ბრძოლის დაგეგმვის სისრულითა და შტურმის განხორციელების ტემპით, ტაქტიკური თვალსაზრისით, ქალაქ შულავერის აღება წარმატებული შეტევითი ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენდა. “.[1]

თუმცა იმასაც მიუთითებენ, რომ მიუხედავად მოპოვებული დიდი წარმატებისა, საქართველოს მხარემ სტრატეგიული ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელა: სომხური შენაერთების ალყაში მოქცევა და მისი განადგურება ვერ მოხერხდა.

ქართველებმა სამხედრო წარმატება ვერ გამოიყენეს – სომხებს მფარველად გამოუჩნდა დიდი ბრიტანეთის მისია, რომელმაც დეკემბრის შუა რიცხვებში საქართველოს მთავრობას სომხეთთან ომის შეწყვეტის საქმეში შუამავლობა შესთავაზა. ამრიგად, „ანტანტა“ სომხეთს შანსს აძლევდა მოლაპარაკებების გზით მიეღწია სასურველი შედეგებისათვის. საქართველომ მოლაპარაკებაზე მზადყოფნა განაცხადა. ერევანში გააგზავნეს ტელეგრამა, სადაც ჩამოთვლილი იყო წინასწარი სამშვიდობო შეთანხმების პუნქტები.

---

[1] ა. ჩაჩხიანი, სომხეთ-საქართველოს ომის შულავერის ოპერაცია, „ანალები“, 2023, №19, გვ. 100.

როგორც ისტორიკოსების ერთი ნაწილი ამტკიცებს, სომხური მხარე ამ სამხედრო ავანტიურას არ დაიწყებდა, რომ არა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა და მათგან მომდინარე იმედები. ქართველების სამხედრო წარმატებებმა ინგლისელები აიძულა სხვა მხრივ დახმარებოდნენ სომხებს.

ინგლისელების მოთხოვნით, 1919 წლის 1 იანვარს საომარი მოქმედებები შეწყდა და სამშვიდობო მოლაპარაკებები ჯერ კარაკლისში დაიწყო, ხოლო შემდეგ თბილისში გაგრძელდა. სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც 1919 წლის 9-17 იანვარს ჩატარდა, ომის ოფიციალურ დასრულებასა და სამშვიდობო პირობების გაფორმებას მიეძღვნა. ამ კონფერენციის შედეგების მიხედვით ხელი მოეწერა სამთავრობო ხელშეკრულებას ომის დამთავრებისა და ლორეში ნეიტრალური ზონის შექმნის შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე სადავო ტერიტორია – ბორჩალოს მაზრა სამ ნაწილად დაიყო: ჩრდილო ნაწილი გადაეცა საქართველოს, სამხრეთი – სომხეთს, ხოლო ლორეს ტერიტორია, სპილენძის მდიდარი საბადოებით, ახტალის ქართული მონასტრით, ე.წ. „ნეიტრალურ ზონად“ გამოცხადდა. ამ ტერიტორიაზე ინგლისელებმა თავისი სამხედრო ნაწილები შეიყვანეს.

ფაქტობრივად მოხდა ისე, რომ ინგლისელების ზეწოლის შედეგად ქართველებმა თავისი სამხედრო უპირატესობა და წარმატებები ბოლომდე ვერ გამოიყენეს და ლორეზე თავისი სუვერენული უფლებები უკვე ამ ეტაპზე დათმეს. მიუხედავად ამისა, ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების დიდი ჯგუფი (771 კაცი) დაჯილდოვდა გიორგის ჯვრებითა და მედლებით.

დაახლოებით ოთხი კვირის მანძილზე მიმდინარე ომი საქართველოს ასეულობით მებრძოლის სიცოცხლედ დაუჯდა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა და ბორჩალოს მაზრის ტერიტორიის მცირე ნაწილიც დაიკარგა. ეს ყველაფერი უარყოფითად აისახა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზეც და, შესაბამისად, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება გარკვეულწილად შეაფერხა.

სომეხ-ქართველთა დაპირისპირება და ზემოთ აღწერილი ომი ორი მეზობელი ხალხის ისტორიაში ნონსენსია და

მიუთითებს თუ როგორ კარგად შეიძლება გამოიყენოს მესამე მხარემ ვითარება და წყალს გაატანოს (თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე) საუკუნეების მანძილზე ნალოლიავები ძმობა და მეგობრობა.

ქართულ-სომხურმა ამ დაპირისპირებამ ორი მეზობელი ხალხის ურთიერთობაში გარკვეული ლექიც დატოვა, რის გამოსწორებასაც დასჭირდა საკმაო დრო და დიდი პროპაგანდისტული მუშაობა.

აზერაბაიჯანი და დამოუკიდებელი საქართველო. 1918 წლის ზაფხულში, როცა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გერმანიაზე აიღეს ორიენტაცია, ბოლშევიკური რუსეთის ოფიციალურმა პრესამ გაავრცელა ჭორი, რომ გერმანია აპირებდა საქართველოსთვის გადაეცა ბაქოს ნავთობის მდიდარი საბადოები.[1] ამ მონაჭორს არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნდა. ამ დროისათვის ბაქოში სტეფანე შაუმიანის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლება – „ბაქოს კომუნა“ არსებობდა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა მოსკოვი: ეს მას უნარჩუნებდა მსოფლიოში უნიკალურ ნავთობის საბადოზე კონტროლის შესაძლებლობას. მაგრამ ბოლშევიკებმა ვერ შეინარჩუნეს ძალაუფლება, ბაქოს კომუნა დაეცა, ბაქოელი კომუნარები (შაუმიანი, ჯაფარიძე, ფიალეტოვი და სხვ.) დახვრიტეს. ბაქოში გაბატონდნენ ნაციონალისტები – მუსავატელები.

საქართველოს დემოკრატიულ ხელისუფლებას სურდა სამხრეთ კავკასიაში დაემყარებინა ხანგძლივი მშვიდობა და იმედოვნებდა, რომ ამას კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევით მიაღწევდა. მაგრამ ასეთი კონფერენციის ჩატარებას ართულებდა როგორც რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ისე მეზობელ სახელმწიფოებს შორის არსებული ტერიტორიული პრეტენზიები.

ექსპერტები საქართველოს ხელისუფლებას უმტკიცებდნენ, რომ 1918 წლის შემოდგომაზე „ზაქათალის ოლქი უკვე ოფიციალურად შედიოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის

[1] გაზ. „Правда“, 1918 წ. 20 ივნისი.

ფარგლებში“.[1] სარგებლობდა რა თურქეთის მხარდაჭერით, რელიგიური ფაქტორით, აზერბაიჯანის სახელმწიფო ზაქათალაში აძლიერებდა ანტიქართულ პროპაგანდას, მოლებისა და ხოჯების ზეგავლენით ქართველ მუსლიმებზეც ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა, რაც გარეგნულად ქმნიდა აზერბაიჯანთან ზაქათალის სრული ინკორპორაციის შტაბეჭდილებას, თუმცა ფიქსირდებოდა ქართველი ინგილოების ლტოლვა საქართველოსკენ. რადგან ეს ლტოლვა უკავშირდებოდა მათ ეკონომიკურ ინტერესებს (სასაზღვრო ვაჭრობა, განსაკუთრებით ინტენსიური – საქართველოს სიღნაღის მაზრასთან), საქართველოს მთავრობას უნდა ხელი შეეწყო ამ ინტერესების გაღვივებისათვის და ეს ფაქტორი საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა. სამწუხაროდ, რთული პოლიტიკური და, რაც მთავარია, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, შესაძლებლობას არ იძლეოდა, რომ ქართულ სახელმწიფოს ინტენსიურად ემუშავა ამ მიმართულებით და ზაქათალის საკითხი სერიოზულად განსახილველად ორი ქვეყნის ლიდერებს შორის არც კი დამდგარა. პირიქით, მოგვიანებით, უკვე ინგლისელების ოკუპაციის წლებში, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა ინტენსიურად ცდილობდა, გამოეყენებინა თავისი ეკონომიკური ინტერესი ევროპაში ბაქოს ნავთობის დაუბკოლებლად გატანის თაობაზე, და უსაბუთებდა ინგლისის გენერალ-გუბერნატორს აზერბაიჯანთან ბათუმის მიერთების აუცილებლობას.

ქართულ-სომხური დაპირისპირების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებით ცდილობდა აზერბაიჯანთან ურთიერთობის ნორმალიზებას, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა ჩრდილო კავკასიაში შექმნილი ვითარებაც: აქ რუსეთის დაპირისპირებული ძალები ებრძოდნენ ერთმანეთს, ვითარება ყოველთვიურად იცვლებოდა, ბოლშევიკების ხელისუფლებას ცვლიდა გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიის ძალაუფლება. დენიკინი არ ცნობდა რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ სახელმწიფოებს და მათ სე-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ.1863, საქ. 9, ფურც. 50.

პარატისტებს უწოდებდა. გამარჯვების შემთხვევაში ის რუსეთის „ერთიანი და განუყოფელი“ სახელმწიფოს აღდგენას ვარაუდობდა. ეს მიზანი მიუღებელი იყო როგორც საქართველოსთვის, ისე აზერბაიჯანისათვის, სწორედ ამ საფუძველზე მოხდა ორი მეზობელი ხალხის გაერთიანება.

1919 წლის 16 ივნისს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც თავისი შინაარსით და მასში ჩადებული მიზნებით მეტად მნიშვნელოვანი იყო და მიუთითებდა ორი სახელმწიფოს ინტერესთა თანხვედრას. ხელშეკრულების მიხედვით: „შეთანხმების დამდები სახელმწიფოები ვალდებული არიან ერთად გამოვიდნენ ყველა თავისი შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველგვარ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთს ან ორსავე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხებლობას“.[1]

ხელშეკრულება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ის მოიწონეს საქართველოს ოპოზიციურმა პარტიებმა და ეს, ალბათ, ის მცირედი გამონაკლისი იყო, როცა დოკუმენტი არ გაუტარებიათ კრიტიკის ქარცეცხლში. ყველაზე დიდმა ოპოზიციონერმა, ეროვნულ-დემოკრატმა სპირიდონ კედიამ განაცხადა: „ეს ხელშეკრულება მოწმობს, რომ ჩვენმა პასუხისმგებელმა მესვეურებმა თავიდან მოიშორეს ის პარტიული პრინციპები, რომელიც დღემდე ხელს უშლიდა საქართველო-აზერბაიჯანის კავშირს. ვიმეორებ, ეს გარემოება მეტად სასიხარულოა და თან იმას მოწმობს, რომ ჩვენ თანდათან მივუახლოვდით ნამდვილ სახელმწიფოებრივ კონცეფციის შეთვისების მომენტს“. ხელშეკრულება დადებითად შეაფასეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, ქართველმა ესერებმა და ა.შ. თუმცა ხელშეკრულება დაიწუნა და მას გაემიჯნა სომხეთის სახელმწიფო: იმჟამად მას თურქეთის შიში უფრო ჰქონდა, ვიდრე ჩრდილოეთის დიდი მეზობლის. მაგრამ, რაც უნდა კარგი იყოს ხელშეკრულება და მასში

[1] გ. ბოგვერაძე, საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა 1918-1920 წლებში, ქუთაისი, 2005, გვ. 68.

გათვალისწინებული იყოს დიპლომატიური კანონების ყველა ხერხი თუ კანონი, თუ მან არ იმუშავა, კონკრეტული შედეგი არ მოიტანა, მისი ღირებულება ნულის ტოლფასია. ასეთი ხელშეკრულებები იმჟამად უამრავი დაიდო და გაფორმდა, მაგრამ დარჩა ფარატინა ქაღალდად.

კავკასიის ხალხთა ერთიანობის მიღწევის მცდელობები. ოქტომბრის გადატრიალებამ და ჩრდილო კავკასიაში დენიკინის გამოჩენამ პოლიტიკური ვითარება რეგიონში, როგორც აღინიშნა, გაართულა. დენიკინი კავკასიელი ხალხების ერთიანი სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგი იყო. ეს უფრო ბოლშევიკების იდეა იყო, რომელიც მხოლოდ საბჭოთა სისტემის გამარჯვების შემთხვევაში იყო შესაძლებელი. ამიტომაც დენიკინის ჯარების მიერ ჩრდილო კავკასიის დაკავების შემდეგ, დამოუკიდებლობის მოტრფიალე ჩრდილო კავკასიელთა ლიდერები თბილისში დამკვიდრდნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ 1919 წლის საერთაშორისო კონფერენციებშიც.

ბოლშევიკური ზეგავლენის გაძლიერების პარალელურად ყუბანის, თერგისა და დონის კაზაკთა წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებას აშკარად სთხოვდნენ საერთო ფრონტის შექმნას ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ. ეს კაზაკობა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის ხელკეტი იყო თავისუფლებისმოყვარე, დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგ პერმანენტულ ბრძოლაში. მათ საქართველოშიც არაერთხელ დაურბევიათ ქალაქები თუ სოფლები, „ეგზეკუციებში“ გაუმათრახებიათ და „გაუციმბირებიათ“ მშვიდობიანი მოსახლეობა. ახლა კი ისინი თავად ითხოვდნენ შველასა და დახმარებას. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა 1920 წლის მარტში შეხვედრის დროს განაცხადა, რომ იდეა ერთიანობისა – დიდებულია, მაგრამ მის შეშფოთებას იწვევდა კაზაკთა დაპირისპირება მთიელებთან და ამ შემთხვევაში საქართველოს სურდა შეესრულებინა საშუამავლო მისია. ე. გეგეჭკორის აზრით, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ორმხრივი დათმობა-კომპრომისების გზით უნდა ყოფილიყო

მიღწეული შეთანხმება. მოლაპარაკებების ყველაზე ოპტიმალურ ადგილად ქართულ მხარეს მიაჩნდა თბილისი – ნეიტრალური ზონა.

სოციალ-დემოკრატებს გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ მოხერხდებოდა წყლისა და ცეცხლის შერიგება: თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენისა და დამპყრობელი რუსი კაზაკის გაერთიანება. ისტორიამ ასეც განსაჯა. ამ მოლაპარაკების შემდეგ ძალიან მალე ბოლშევიკებმა მთელი კავკასია ჩაიგდეს ხელში და კარგად დაიმახსოვრეს, რომ რამდენიმე თვის წინ თბილისი აქტიურად ავლენდა ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნის სურვილს.

§4. ფრონტებსა და ბრძოლის ველზე

როგორც უკვე აღინიშნა, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით რუსეთის ახალ, ბოლშევიკურ მთავრობას ყველა ფრონტზე სამხედრო ოპერაციები სწრაფად უნდა დაესრულებინა, განეხორციელებინა ჯარების დემობილიზაცია და უნდა უზრუნველეყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება – რუსული სამხედრო ფორმირებებისაგან მთლიანად დაეცალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიები: უკრაინა, ბალტიიპირეთი, კავკასიის ის რეგიონებიც, რომლებიც 1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთმა თურქეთს ჩამოაჭრა და კავკასიის სამეფინაცვლოს შეუერთა.

მაგრამ ეს გადაწყვეტილება სამხედრო თვალსაზრისით ვარაუდობდა ფრონტის გეგმაზომიერ ლიკვიდაციას, სასაზღვრო ხაზთან საჯარისო ფორმირებების თანდათანობით ჩანაცვლებას, სამხედრო ეშელონებით ჯარისკაცების დროგამოშვებით და მშვიდობიანად სამშობლოში, ცენტრალურ რუსეთში გამგზავრებას.

ყველასათავის მოულოდნელად ეს პროცესები უმართავი გახდა და პრობლემებიც ბევრი მოიტანა – ჯარისკაცებმა ფრონტი ფორსირებულად მიატოვეს, ათიათასობით აპირებ-

დნენ რუსეთში სწრაფად გამგზავრებას და ეს უნდა მომხდარიყო თბილისის გავლით. სარწმუნო ცნობით კი კავკასიის ფრონტზე იმჟამად იმყოფებოდა რუსეთის 500 000 შეიარაღებული ჯარისკაცი.[1]

ამიერკავკასიის სეიმის ხელმძღვანელობამ, რომელშიც წამყვან ძალას ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯარისკაცებს იარაღი ჩაებარებინათ და უიარაღოდ, დასახული გეგმის მიხედვით, მშვიდად გამგზავრებულიყვნენ სამშობლოში. რუსმა ჯარისკაცებმა ეს იუკადრისეს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ იარაღი სჭირდებოდათ რუსეთში უკვე დაწყებული უცხო სახელმწიფოების ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში და იარაღის ჩაბარება არ ისურვეს. სეიმის ლიდერების გადაწყვეტილებით უნდა მომხდარიყო რუსი ჯარისკაცების ძალით განიარაღება, რომ მათ თბილსში და სამხრეთ კავკასიაში არ გაემძაფრებინათ უკვე დაწყებული ანარქიული პროცესები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის სეიმის ხელშეწყობით, პარალელურად, უკვე დაწყებული იყო ეროვნული სამხედრო ფორმირების ჩამოყალიბების პროცესი: იქმნებოდა ქართული, სომხური, აზერბაიჯანული ფორმირებები. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ქმნიდა ეროვნულ გვარდიას – სამხედრო სტრუქტურას პარტიული კუთვნილებისა და მარქსისტული იდეოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით.

შამქორთან, ფრონტიდან მომავალ ჯარისკაცებით გადაჭედილ ეშელონებს ამიერკავკასიის სეიმის ხელმძღვანელებმა დაახვედრეს სწორედ ეს თავისი ერთგული, ახლადჩამოყალიბებული სამხედრო ნაწილები და გვარდიელი მებრძოლები, რომლებმაც რუს ჯარისკაცებს მოსთხოვეს იარაღის ჩაბარება.

რატომ მოითხოვეს ამიერკავკასიის სეიმის ხელმძღვანელებმა რუსი ჯარისკაცებისაგან იარაღის ჩაბარება?

---

[1] ა. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917-1918 წწ.). თბ., 1957, გვ. 364.

საერთოდ ცნობილია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები, როგორც მემარჯვენეები, ისე მემარცხენეები ჯარისკაცების ინტერესების მხურვალე დამცველებად აცხადებდნენ თავს, იბრძოდნენ მათი ღირსებისა და პატივის დასაცავად ცარიზმის ანტიჯარისკაცული კანონმდებლობის წინააღმდეგ. ხომ აშკარად ჩანდა, რომ რომ ასეთი ნაბიჯი: 1. ადვილად გამოიწვევდა შეტაკებას დაპირისპირებულ, შეიარაღებულ ჯარისკაცებს შორის, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა მსხვერპლი ორივე მხრიდან: 2. წარმატების შემთხვევაში ჯარისკაცების განიარაღების ამ ფაქტს საკმაოდ კარგად გამოიყენებდა ბოლშევიკური პროპაგანდა სეიმის დისკრედიტაციისათვის, რაც სინამდვილეში ასეც მოხდა.

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტი ასე არის ახსნილი: სავარაუდოდ, რუსი ჯარისკაცების განიარაღების აუცილებლობა გამოიწვია შიშმა, რომ ბოლშევიკურად განწყობილი რუსი ჯარისკაცები მოახდენდნენ თბილისში ბრლშევიკურ გადატრიალებას და ხელს შეუწყობდნენ ანარქიული პროცესების განვითარებას, დეზორგანიზებული ჯარისკაცების ნიაღვარი წალეკავდა დემოკრატიის იმ მონაპოვარს, რისი შენარჩუნებაც ასე უნდოდათ საქართველოს არაკომუნისტურ პარტიებს.[1]

ეს არგუმენტი სრულიად ლოგიკური ჩანს, თუმცა საიდან გაჩნდა კავკასიის ფრონტზე ეს „ბოლშევიკური გავლენები“, როცა პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში ადიარებულია მოსაზრება, რომ კავკასიაში ბოლშევიკური ზეგავლენა თითქმის აღარ არსებობდა (და ეს მართლაც ასე იყო), რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ლიდერები ხშირად ხვდებოდნენ როგორც მოსახლეობას, ისე ჯარისკაცებს, იყვნენ სახელმწიფო დუმის ოფიციალური წარმომადგენლები და პატივისცემით სარგებლობდნენ საზოგადოებრიობაში, – ამაზე პასუხი ჯერ კიდევ არ არის.

აი, როგორ ასახავდა საბჭოთა ისტორიოგრაფია შამქორთან განვითარებულ მოვლენებს: „თბილისში სწორედ ამ

[1] შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 59.

დროისათვის ფეხზე დააყენეს გვარდია, ქუჩებში გამოჩნდა ზარბაზნები, მიღებული იქნა ზომები თბილისზე შორეული შემოვლით ნაწილებისათვის ახალი გზის გასაყვანად, გაძლიერდა რეპრესიები... რუსეთის ნახევრმილიონიანი არმიის განიარაღების გეგმის სულისჩამგმელთა როლში გამოვიდნენ ინგლისისა და ამერიკის მისიები ამიერკავკასიაში...“[1]

რუსი ჯარისკაცების განიარაღება განახორციელა როტმისტრმა აფხაზავამ და მაღალოვმა. ამ პროცესს არ ჩაუვლია უსისხლოდ და, როგორც აღნიშნავდნენ, „ათასობით რუსი ჯარისკაცის გვამით მოიფინა რკინიგზის ხაზი. ეშელონებს ჩამოართვეს 15 000 თოფი, 7 ტყვიამფრქვევი და ორი ათეული ზარბაზანი.“

ამ ინციდენტს თვით ბოლშევიკური რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი ი.ბ. სტალინი გამოეხმაურა გაზ. „პრავდაში“ ძალიან მკაცრი წერილით, რომელშიც მან საჯაროდ დაადანაშაულა ამიერკავკასიის ხელისუფლება საერთოდ, ხოლო ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები („მენშევიკები“) პროლეტარიატისა და რიგითი ჯარისკაცების ინტერესებისა და უფლებების უგულებელყოფაში, საერთაშორისო ბურჟუაზიასთან თანამშრომლობაში, პროლეტარიატის წმინდათაწმინდა ინტერესების ღალატში და ა.შ.

თავის წერილში ი. ბ. სტალინი აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ამიერკავკასიის მენშევიკური ხელისუფლებამ დაუშვა სამხრეთის ფრონტიდან მომავალი რუსი ჯარისკაცების ძალით განიარაღება, რამაც უმსხვერპლოდ არ ჩაიარა.

ი. ბ. სტალინი ამ ფაქტს „დანაშაულებრივ ავანტიურას“ უწოდებს, რომლის დროს „მოვლენათა მსვლელობაში გაქრა სოციალისტური საჟღარუნოები და ადგილი დაუთმო ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციურ „საქმეს“. ჩხეიძე, გეგეჭკორი, ჟორდანია მხოლოდ ფარავენ თა-

[1] ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 365.

ვიანთი პარტიული დროშით ამიერკავკასიის კომისარიატის საზიზღარ საქმეებს“.[1]

ი. ბ. სტალინი ჩინებულად ხედავდა ამ აქციის შორს გამიზნულ ჩანაფიქრს: „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი ვარაუდობდა ერთბაშად ორი კურდღელი დაეჭირა. ერთი მხრივ, იგი სპობდა სერიოზულ რევოლუციურ ძალას, რუსეთის რევოლუციურ არმიას, რომელზედაც შეეძლო უმთავრესად დაყრდნობოდა მხარის ბოლშევიკურ კომიტეტს. მეორე მხრივ, ამგვარად იგი იღებდა „საჭირო“ იარაღს, რათა შეეიარაღებინა ქართული, სომხური და მუსლიმანური ნაციონალური პოლკები, რომლებიც მენშევიკურ-კონტრრევოლუციური კომისარიატის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს“.

აი, ი. ბ. სტალინის მკაცრი დასკვნაც: „კიდევ დიდხანს იარსებებს თუ არა ეს კონტრრევოლუციური კომისარიატი, რომელსაც ისტორიამ უკვე გამოუცხადა სასიკვდილო განაჩენი – ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში ეს უახლოეს მომავალში გამოირკვევა. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ ჩამოგლიჯა სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკ სოციალ-კონტრრევოლუციას და ახლა მთელ რევოლუციურ სამყაროს შესაძლებლობა აქვს თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატსა და მის „სეიმურ-ნაციონალურ“ დანამატთა სახით საქმე გვაქვს ყველაზე ბოროტ კონტრრევოლუციურ ბლოკთან, რომელიც ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხობის წინააღმდეგ არის მიმართული.[2]

„ყველაზე ბოროტი კონტრევოლუციური ბლოკი“ – ასე შეარქვა სტალინმა ამიერკავკასიის არაკომუნისტური პარტიების ალიანსს და ერთში კი მართალი აღმოჩნდა – ამ ბლოკმა დიდხანს მართლაც ვერ შეძლო არსებობა და, როგორც დავინახეთ, ის დაასამარა სწორედ „სომეხ-თათართა ჟლეტამ“ ანუ გადაულახავმა პოლიტიკურმა წინააღმდეგობამ ამიერკავკასიის წამყვან ერებს შორის.

---

[1] ი. ბ.სტალინი, თხზ, ტ. 4, გვ. 64

[2] იქვე.

შამქორის განიარაღების სამხედრო ოპერაციაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: ამ ოპერაციაში უკვე მიიღო მონაწილეობა ქართულმა საჯარისო შემადგენლობამ და სახალხო გვარდიის პირველმა რაზმებმა.

კარლ მარქსს მიეწერება გამონათქვამი, რომ არაფრად ღირს რევოლუცია, თუ მას თავისი დაცვა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატია, რევოლუციამდე ძალიან დიდი ხნით ადრე, სხვადასხვა შეხვედრების, თეორიული დისკუსიების დროს სამხედრო ფორმირებების მიმართ აყალიბებდა თავის დამოკიდებულებას, რომელმაც საბოლოოდ ასე განისაზღვრა: როდესაც პროლეტარიატი ხელში აიღებდა ძალაუფლებას, ის გააუქმებდა პროფესიონალურ არმიას და მას შეცვლიდა სახალხო შეიარაღებით. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში, რომელსაც აღიარებდნენ როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, ეს მოთხოვნა დაფიქსირებულია ჯერ კიდევ 1903 წელს მიღებულ პარტიულ პროგრამაში: „მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით.“[1]

აქედან გამომდინარე, თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისთანავე რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (და არა მარტო მან) დაიწყო პარტიული აქტივისტების შეიარაღება, რომლებიც სახალხო გვარდიის („წითელი გვარდიის“) რიგებს ავსებდნენ და უდიდესი წვლილიც შეიტანეს რევოლუციური პროცესების ესკალაციის საქმეში როგორც ცენტრში (რუსეთში), ისე პერიფერიებში (მათ შორის კავკასიაში).

ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ერთგულად იცავდნენ პარტიული პროგრამის ამ დებულებას და უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ, მათი აზრით, ყველაზე დემოკრატიული და სახალხო სამხედრო შენაერთების და მათი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების საქმეს. სახალხო გვარდიის ქართულ ნაწილებს ყოფილი ბოლშევიკი, იმ-

[1] სკკპ რეზოლუციებში... თბ., 1954, გვ. 44.

ჟამად უკვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მხარეზე გადასული ვალიკო ჯუღელი ხელმძღვანელობდა.

რუსეთში განხორციელებული დემობილიზაციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ საქართველოდან გაწვეული სამხედრო ოფიცრები, რიგითი ჯარისკაცები, სამხედრო ექიმები, მედდები. სწორედ მათგან ჩამოყალიბდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის პროფესიული თუ არაპროფესიული სამხედრო სტრუქტურები, რომლებიც თანაარსებობდნენ და ვითარდებოდნენ.

საქართველოში დაბრუნდა მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე წარმატებული არა ერთი ქართველი მხედართუფროსი. მაგალითად, სახელგანთქმული გენერალი ილია ოდიშელიძე საქართველოში 1917 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. რამდენიმე თვე იგი კავკასიის არმიის სარიდალი იყო. მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის სეიმმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ილია ოდიშელიძე დამოუკიდებელი კავკასიის სამხედრო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. უდიდესია მისი დამსახურება სამხედრო სექტორისათვის ყველა საჭირო წესდების გადასინჯვის, თარგმნის, გამოცემის, სამხედრო ფორმის ახალი პროექტის განხილვის, ჯარების სამსახურთან და მოწყობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების მოწესრიგების საქმეში. როგორც სამხედრო ექსპერტები სამართლიანად აღნიშნავენ: „არც ერთ ქართველ გენერალს არ ჰქონდა ამხელა საბრძოლო და, ზოგადად, სამხედრო გამოცდილება.“[1]

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში გენერალ გრიგოლ გიორგაძეს, რომელიც დემოკრატიული საქართველოს პირველი სამხედრო მინისტრი გახდა; სწორედ მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა საქართველოში სტრუქტურულად და შინაარსითაც ახალი საჯარისო შენაერთების ფორმირება. მისი უდიდესი გამოცდილება და თეორიული ცოდნა ფასდაუდებელი იყო იმ მძიმე წლებში, როცა ყალიბდებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნებისაკენ მიმარ-

[1] მ. ბახტაძე, გენერალი ილია ოდიშელიძე, თბ., 2017, გვ. 14.

თული, ახალი სამხედრო სტრუქტურების თეორიული და პრაქტიკული საფუძლები.

ამ კოჰორტას შეუერთდა სახელოვანი გენერალი გიორგი მაზნიაშვილიც – პირველი მსოფლიო ომის ცნობილი მონაწილე; საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი აქტიურ სამხედრო სამსახურში ჩადგა: ჯერ დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდლად, შემდეგ ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორიც გახდა.

სამშობლოში დაბრუნდნენ და ქართული პროფესიული არმიის მშენებლობას უდიდესი ღვაწლი დასდეს ცნობლმა მხედართუფროსებმა: გიორგი კვინიტაძემ, ლევან მაღალაშვილმა, ალექსანდრე ერისთავმა, ინფანტერიის გენერალმა გაბაშვილმა, გენერალ-მაიორმა არჯევანიძემ და სხვებმა, რომლებიც ენერგიას და ცოდნას არ იშურებდნენ, რომ საქართველოს ახალგაზრდები აღეზარდათ ძლიერ და ორგანიზებულ ჯარისკაცებად. სწორედ ამ გენერალიტეტისა და I მსოფლიო ომის ფრონტზე ბრძოლებგამოვლილი ოფიცრებისა და ზემდეგების საშუალებით ჩამოყალიბდნენ საქართველოში პირველი პროფესიული სამხედრო სტრუქტურები. ძალიან მალე დამტკიცდა საომარი სტრუქტურების მშენებლობის საკმაოდ კვალიფიციური გეგმაც, განისაზღვრა საჯარისო კონტინგენტის რაოდენობა, შეიარაღებისა და ამუნიციის ოდენობა, მაგრამ როგორც საქმეში ღრმად ჩაახედული ექსპერტები ამტკიცებენ, ყველაფერი გეგმის მიხედვით ვერ განხორციელდა: „ყველა გვარეულობის ჯარებში პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების მაჩვენებელი იყო 40%-ი, ხოლო საკავალერიო ნაწილებში – მხოლოდ და მხოლოდ 20%“[1].

ახლადშექმნილ ქართულ პროფესიულ ჯარს თავიდანვე დაჰყვა სერიოზული „აქილევსის ქუსლი“, რომლის ბოლომდე განეიტრალება მაინც ვერ მოხერხდა – ეს იყო რიგითი ჯარისკაცების სამხედრო მომზადების პრობლემა. აი,

[1] ა. ჩაჩხიანი, საქართველოს შეიარაღღებული ძალების ჩამოყალიბება და ჯარების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა 1918 წელს, „ანალები“, 2020 წ. №16, გვ. 131.

რას წერდნენ გამოცდილი ქართველი ოფიცრები: „გაუწ-ვრთნელი, გამოუცდელი ჯარისკაცები, რომელთა შორის ბევრი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პოლკში სულ რამდენი-მე დღის მოსულები იყვნენ. მეც და ჩემს ოფიცრებს პირდა-პირ პოზიციებზე გვიხდებოდა ჯარისკაცებისათვის იარაღის დატენვის, სამიზნის დაყენებისა და სროლის სწავლება.“[1]

კიდევ უფრო ცუდად იყო საქმე სახალხო გვარდიელთა რიგებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამხედრო სტრუქტურა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გამორჩეული მზრუნვე-ლობის ობიექტი იყო და შეძლებისამებრ – პრივილეგირე-ბულიც, ის მაინც ხდებოდა ხოლმე კრიტიკის ობიექტი. აი, როგორც ახასიათებს გამოცდილი გერმანელი სამხედრო ექ-სპერტი ბარონი ფონ კრესი სახალხო გვარდიას, რომელიც: „თავის რიგებში უბოროტეს ელემენტებს აერთიანებდა, ყოვ-ლად უსირცხვილო, პრეტენზიულ მოთხოვნებს აყენებდა ანაზღაურებისა და სურსათ-სანოვაგის თაობაზე – ატერო-რებდა ქვეყანასა და მთავრობას ყველაზე საშინელი ფორ-მით“[2]

სამწუხაროდ მოხდა ისე, რომ საქართველოში პროფე-სიონალი ჯარისა და სახალხო გვარდიის ჯგუფების გამო-ყენება თავიდანვე დასჭირდათ პრობოლშევიკური, ანტიე-როვნული აჯანყებების სალიკვიდაციოდ და გლეხების გა-მოსვლების დასაშოშმინებლად აფხაზეთში, შიდა ქართლში, საჩხერეში, დუშეთში, რომლის დროსაც, ზოგჯერ, ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას და რამაც საქართველოში მცხოვრებ ზოგიერთი ეთნოსის წარმომადგენელში ცუდი მოგონება დატოვა. ეს სამართლიანად არის აღნიშნული თა-ნამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

I მსოფლიო ომი კი გრძელდებოდა...

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ვითარება ევ-როპაში მკვეთრად შეიცვალა. საბრძოლო მოქმედებებიდან რუსეთის გამოთიშვამ და აღმოსავლეთის ფრონტის ლიკვი-

---

[1] ა. ჩაჩხიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[2] ო. ჯანელიძე, გენერალ ფონ-კრესის მემუარები და 1918-1921 წლე-ბის ქართული სინამდვილე. „ანალები“, 2011 წ. №7, გვ. 262.

დაციამ განსაკუთრებული შვება მაინც ვერ მოუტანა გერმანიის იმპერიას. მართალია, დივიზიების გარკვეული რაოდენობა გერმანელებმა გადაისროლეს დასავლეთის ფრონტზე, მაგრამ აღმოსავლეთში, უკრაინისა და ბალტიისპირეთის გასაკონტროლებლად, მაინც დარჩა გერმანელების განსაზღვრული სამხედრო კონტინგენტი.

ამასთან, 1917 წლის ბოლოს უკვე ამერიკის შეერთებული შტატები ჩაება ომში და მან უზარმაზარი სამხედრო დესანტი (200 000 კაცი) გადმოსხა საფრანგეთის სანაპიროებზე. მათი რაოდენობა სულ მალე მილიონი გახდა. ომში ამერიკის ჩაბმამ „ანტანტის“ სამხედრო შესაძლებლობები წარმოუდგენლად გაზარდა – გერმანიის მომავალი საკმაოდ უპერსპექტივოდ ჩაითვალა, მიუხედავად უაღრესად გამოცდილი და პროფესიონალი გენერალიტეტისა, რომელიც ამ რთულ სიტუაციაშიც ბოლომდე იბრძოდა გერმანიის გამარჯვებისათვის. როგორც სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ: „გერმანიის მხედრიონის სამხედრო ამოცანას შეადგენდა ინგლისის ჯარების წინააღმდეგ არასსა და ლა-ფერომს შორის გამანადგურებელი დარტყმის განვითარება, ფრანგული და ინგლისური შენაერთების გახლეჩა და ინგლისელების ლა-მანშისაკენ გადარეკვა.“[1]

ამ მიმართულებით გერმანელებს ადამიანური რესურსების მხრივ მცირე სამხედრო უპირატესობა ჰქონდათ. ბევრი სამხედრო ექსპერტი საბედისწერო შეცდომად უთვლის გერმანელებს იმას, რომ მათ ასეთ მნიშვნელოვანი ბრძოლებისათვის უკრაინიდან და ბალტიისპირეთიდან არ გადმოისროლეს დამატებითი შეიარაღება, რაც მნიშვნელოვნად გაძლიერებდა მათ შეტევით ოპერაციებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ბერლინში გადაწყვიტეს რესურსებით მდიდარი უკრაინის შენარჩუნება და ეგონათ მოხერხდებოდა დასავლეთში სამხედრო ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინება.

გერმანელებისათვის სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ფრანგულმა მხარემ დაგეგმა და მოამზადა I მსოფლიო ომის დროს ერთ-ერთი უნიკალური სამხედრო

[1] История Франции, т.2. М.,1973, стр. 604.

ოპერაცია, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას მარშალი ფოში უწევდა. 1918 წლის 18 ივნისს ვილკერ-კოტრეს ტყის მასივიდან, სრულიად მოულოდნელად, წინასწარი საარტილერიო მომზადების გარეშე, 1500 ბომბდამშენის ცეცხლის გრუხუნში დაიძრა ფრანგების 340 ტანკი, რომელმაც უკან ფეხოსნების 16 დივიზია გაიყოლა. ამ ისტორიულ შეტაკებას კიდევ უფრო აძლიერებდა 40 ავიაესკადრონის აქტიური მოქმედება.[1]

შეტევა იმდენად მასშტაბური და მორალურად დამანგრეველი იყო, რომ მან რიგით გერმანელ ჯარისკაცზე მომნუსხავი ზეგავლენა მოახდინა. მართალია, გერმანელებმა შეძლეს ამ გამანადგურებელი შეტევის შეჩერება, მაგრამ ჯარების საერთო სულისკვეთება წარმოუდგენლად იყო დაზიანებული.

8 აგვისტოს, ქალაქ ამიენთან, მარშალ ფოშის ჯარებმა კვლავ მიიტანეს იერიში გერმანელების პოზიციებზე და აიძულეს უკან დაეხიათ. 26 სექტემბრიდან „ანტანტის“ ჯარები გადავიდნენ საერთო შეტევაზე. 28 სექტემბერს გერმანიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ლიუდენდორფმა მთავრობას მოსთოვა დაუყოვნებლივ დაედოთ დროებითი ზავი. გერმანელები უკან იხევდნენ...

წარუმატებლობამ საგრძნობლად შეარყია გერმანიის მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობილება, თუმცა ამას გარეგნულად არ ავლენდნენ. საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრები ბერლინში სწორედ ამ დროს იმყოფებოდნენ და თვალს ადევნებდნენ მიმდინარე პროცესებს: „როგორი გამოცოხლებაა, რამდენი ხალხია ბერლინში ამ გრილ შემოდგომის კვირას! ყველა დამშვიდებულია, ყველაფერი ჩვეულებრივად გამოიყურება, ამ დროს კი... „შუა ევროპას“, უეჭველია, ბზარი გაუჩნდა! შედრკა ბულგარეთი – და ამ კარში შემოვარდება გამარჯვებას მოწყურებული რკინის ლაშქარი! აქ კიდევ იმედოვნებენ,

[1] История Франции, т.2. М.,1973, стр. 604.

რომ ბზარი გამთელდება, და მაინც იწყება ხანა განსაცვიფრებელი ცვლილებებისა და მოულოდნელობებისა...“[1]

1918 წლის 7 ნოემბერს დასავლეთის ფრონტზე, გერმანელების პოზიციებიდან დაიძრა ავტომობილი, რომელზედაც აღმართული იყო თეთრი ბაირაღი. ის გადაივლის სანგრებს და გაემართება დასახლებული პუნქტისაკენ, სადაც ფრანგ ჯარისკაცებს ჩაბარდება. ავტომობილით ჩამოიტანეს დროებითი დაზავების გერმანული პირობები.

8 ნოემბერს სადგურ რეტონდასთან, კომპიენის ტყეში, სადაც მარშალ ფოშის ვაგონი იდგა, მიიყვანეს გერმანიის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელსაც გადაეცა „ანტანტის“ სახელმწიფოთა მეთაურების ერთობლივი ულტიმატუმი – თუ 11 ნოემბრის დილის 11 საათისათვის გერმანია ხელს არ მოაწერდა დაზავების ამ მოთხოვნებს, მარშალი ფოში გააგრძელებდა შეტევას.

მაგრამ ამ დროისათვის ბერლინში უკვე გაიმარჯვა რევოლუციამ, იმპერატორი ვილჰელმ II ტახტიდან გადადგა და დატოვა ქვეყანა. 11 ნოემბერს, დღის 12 საათზე პარიზში იქუხა ცეცხლსასროლი იარაღის 101 ზალპმა, რამაც კაცობრიობას ამცნო – I მსოფლიო ომი, რომელიც გრძელდებოდა 4 წელი, 3 თვე და 26 დღე – დასრულდა.

დასრულდა სამხედრო ოპერაციები მიწაზე, ზღვაზე, ჰაერში...

სამაგიეროდ, დაიწყო დიპლომატიური ოპერაციები ომის შედეგების საერთაშორისო კანონებით საბოლოოდ გასაფორმებლად. გადაწყდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა პარიზში...

[1] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1990, გვ. 155.

თავი VII

ომი დამთავრდა..!

§1. „ანტანტამ“ გაიმარჯვა

ურყევი ჭეშმარიტება, რომ მიმდინარე ომში გერმანიის ბლოკის სახელმწიფოები დამარცხდებოდნენ და „ანტანტა“ გაიმარჯვებდა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის ნათელი გახდა უკვე 1918 წლის დასაწყისში. ამას გვაფიქრებინებს მის მიერ ჯერ კიდევ 1918 წლის 8 იანვარს გაცხადებული მსოფლიოში ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარების მისეული, 14 პუნქტიანი გეგმა, რომელსაც „საბჭოთა ისტორიოგრაფიაც კი „დიპლომატიის უდიდეს მანევრს“ უწოდებს და განსაკუთრებულად გამორჩეულ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს.[1]

ჩვენც ვთვლით, რომ ვილსონის ეს 14 პუნქტიანი გეგმა შეიცავს მსოფლიოს ახალი საგარეო-პოლიტიკური წეს-განრიგის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომელმაც დიდი ხნით უზრუნველყო XX საუკუნეში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ურთიერთობის კონკრეტული რეალიები. ამ დოკუმენტის დიდი მნიშვნელობის გამო მას ჩვენ მთლიანად დავიმოწმებთ: „1. მხოლოდ ღია სამშვიდობო ხელშეკრულებები, ღია განხილვები, რომელთა შემდეგ არ იქნება არავითარი ხასიათის არანაირი საიდუმლო ხელშეკრულება; ხოლო დიპლომატია – იმოქმედებს მხოლოდ ღიად, გულახდილად და მხოლოდ აშკარად; 2. სავაჭრო ზღვაოსნობის აბსოლუტური თავისუფლება როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს; 3. საერთაშორისო ვაჭრობისთვის ყველა წინააღმდეგობის დაძლევა; 4. იმის სამართლიანი გარანტიები, რომ ეროვნული შეიარაღებული ძალები შემცირდება იმ განსაზღვრულ მინიმუმამდე, რაც თავსებადი გახდება სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის; 5. ყველა კოლონიალური დავის თავისუფალი, გულწრფელი და აბსოლუტურად მიუკერძოებელი გადაჭრა, რაც მკაცრად უნდა დაე-

[1] Всемирная история, т.8, М., 1961, стр. 98.

ფუძნოს მხოლოდ იმ პრინციპის დაცვას, რომ ყველა ასეთი საკითხის მოგვარებისას, განსაკუთრებით, რაც შეეხება სუ-ვერენიტეტს, მოსახლეობის ინტერესებს, უნდა ჰქონდეს თა-ნაბარი წონა იმ სახელმწიფოების სამართლიან მოთხოვნებ-თან, რომელთა უფლებებიც მან უნდა განსაზღვროს; 6. გერ-მანიის მიერ ყველა რუსული ტერიტორიის განთავისუფლება და რუსეთთან დაკავშირებული ყველა საკითხის ისეთი გა-დაწყვეტა, რომელიც მისთვის უზრუნველყოფს ყველაზე სრულ და თავისუფალ მხარდაჭერას სხვა ერების მხრიდან, რათა მან საკუთარი პოლიტიკური განვითარებასა და თავი-სივე ნაციონალურ პოლიტიკაზე მიიღოს სრული და დაუბ-რკოლებელი მოქმედების შესაძლებლობა და, ამასთან, უზ-რუნველყოფილი იყოს მისი გულმხურვალე მიღება თავისუ-ფალი ერების თანამეგობრობაში მმართველობის იმ კონკრე-ტული ფორმით, რომელსაც ის თვითონვე აირჩევს. და ამ მიღებაზე მეტიც – ყოველმხრივი მხარდაჭერა ყველაფერში, რაც მას სჭირდება და რაც მას თავისთვის სურს. დამოკი-დებულება რუსეთის მიმართ სხვა ერების, მისი დების მხრი-დან მომავალ თვეებში იქნება სწორედ ის საჯილდაო ქვა იმ კეთილი გრძნობებისა, მისი სურვილების გაგებისა და მინიშნება მათ უნარზე – გამოჰყონ ისინი საკუთარი პირადი ინტერესებისაგან, რაც იქნება მათი სიბრძნისა და უანგარო სიმპათიების მაჩვენებელი; 7. ბელგიის განთავისუფლება და აღდგენა; 8. საფრანგეთისათვის ელზას-ლოტარინგიის დაბ-რუნება; საფრანგეთის ოკუპირებული ოლქების განთავი-სუფლება და აღდგენა: 9. იტალიის საზღვრების ჩასწორება უნდა განხორციელდეს აშკარად გამოკვეთილი ნაციონალუ-რი საზღვრების გათვალისწინებით; 10. ავტონომია ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში შემავალი ხალხებისათვის; 11. გერმანიის ჯარების სრული ევაკუაცია რუმინეთიდან, სერ-ბიიდან და მონტენეგროდან; სერბიის თავისუფალი და საი-მედო უზრუნველყოფა ზღვაზე გასასვლელით; 12. ავტონო-მია იმ ხალხებს, რომლებიც ბინადრობენ თურქეთში; დარ-დანელის სრუტის გახსნა ყველა ქვეყნისათვის; 13. დამოუ-კიდებელი პოლონეთის შექმნა, რომელსაც ექნება გასას-ვლელი ზღვაზე და პოლონეთისათვის იმ ტერიტორიების

შემოერთება, რომლებიც დასახლებული არიან პოლონელებით; 14. აუცილებლად უნდა შეიქმნას ერების ერთიანი გაერთიანება განსაკუთრებული სტატუსების საფუძველზე, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთ-გარანტიების შექმნის მიზნით როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოებისათვის".[1]

იმდენად, რამდენადაც ვ. ვილსონის ეს 14 პოლიტიკური შეთავაზება საფუძვლად დაედო არა მარტო მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკებებს პარიზში, არამედ მან მნიშვნელოვნად განსაზღვრა ომისშემდგომი მსოფლიოს საერთაშორისო მოწყობის ძირითადი პრინციპები, ამ დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ მასზე საგანგებოდ შევჩერდებით. ვილსონის შემოთავაზიბული პრინციპებიდან ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ რამდენიმეს: ეს არის „რუსეთის საკითხი", ავსტრია უნგრეთსა და თურქეთის იმპერიებში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გეგმა, პოლონეთის პრობლემა. ამ საკითხებმა, უდავოდ, მიიქცია ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება და აი, რატომ...

„რუსეთის საკითხი" ვილსონის პოლიტიკურ გეგმებში განსაკუთრებით დიდ ადგილს იკავებს როგორც სიტყვების რაოდენობით, ისე მიზანდასახულობის სიცხადითაც: „გერმანიის მიერ ყველა რუსული ტერიტორიის განთავისუფლება და რუსეთთან დაკავშირებული ყველა საკითხის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც მისთვის უზრუნველყოფს ყველაზე სრულ და თავისუფალ მხარდაჭერას სხვა ერების მხრიდან, რათა მან საკუთარი პოლიტიკური განვითარებასა და თავისივე ნაციონალურ პოლიტიკაზე მიიღოს სრული და დაუბრკოლებელი მოქმედების შესაძლებლობა და, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს მისი გულმხურვალე მიღება თავისუფალი ერების თანამეგობრობაში მმართველობის იმ კონკრეტული ფორმით, რომელსაც ის თვითონვე აირჩევს. და ამ მიღებაზე მეტიც – ყოველმხრივი მხარდაჭერა ყველაფერში, რაც მას სჭირდება და რაც მას თავისთვის სურს. დამოკიდებულება რუსეთის მიმართ სხვა ერების, მისი დების მხრი-

[1] т.2. М.,1945, стр. 366.

დან, მომავალ თვეებში იქნება სწორედ ის საჯილდაო ქვა იმ კეთილი გრძნობებისა, მისი სურვილების გაგებისა და მინიშნება მათ უნარზე – გამოჰყონ ისინი საკუთარი პირადი ინტერესებისაგან, რაც იქნება მათი სიბრძნისა და უანგარო სიმპათიების მაჩვენებელი“ – აშკარად მიანიშნებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამორჩეულ კეთილ-განწყობაზე რუსეთის იმპერიის შესაძლო კანონმემკვიდრის მიმართ.

ვ. ვილსონის მიერ „რუსეთის საკითხის“ განხილვისას ყურადღებას იქცევს არა მარტო „გერმანიის მიერ ყველა რუსული ტერიტორიის განთავისუფლება“, რაც მიანიშნებს აშშ-ს, როგორც „ანტანტის“ წევრის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების უპირატეს აღიარებას რუსეთთან დაკავ-შირებით – „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იმპერიუ-ლი პრინციპიდან გამომდინარე, არამედ ამ მუხლში აშკარად იკითხება, რომ რუსეთის დაშლის ხელშეწყობის შანსს ვილ-სონი არავის არ უტოვებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, გერ-მანიის ხელშეწყობით შექმნილ ახალ დამოუკიდებელ სა-ხელმწიფოების მესვეურებსაც. ამ მოთხოვნაში გასაკვირი არაფერია: რაც არ უნდა ბევრი ვისაუბროთ დღეს ევროპის წამყვანი ქვეყნების დემოკრატიულ მიღწევებზე, XX საუკუ-ნის დასაწყისში, I მსოფლიო ომის დასასრულს, თითქმის ყველა მათგანი კოლონიალური იმპერია იყო, არც ერთი (განსაკუთრებით გამარჯვებული ქვეყნები) საკუთარი იმპე-რიების დაშლას არ გეგმავდა. უფრო კი პირიქით – ომში გამარჯვებული ქვეყნები, რა თქმა უნდა, იმ ფარული თუ აშკარა ტერიტორიული მონაპოვრების დაკანონებას ვარაუ-დობდნენ, რაზეც ომის დაწყებამდე ოცნებობდნენ და რის გამოც დაიწყეს იმჟამად კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დამანგრეველი და სასტიკი ომი.

ვილსონის გეგმაში თვალში საცემია ავსტრია-უნგრე-თისა და თურქეთის იმპერიებში ეროვნული საკითხის გა-დაწყვეტის მისეული შეთავაზება: „ავსტრია-უნგრეთის შე-მადგენლობაში შემავალი ხალხებისათვის ავტონომია; ავ-ტონომია იმ ხალხებისათვის, რომლებიც ბინადრობენ თურ-ქეთში; დარდანელის სრუტის გახსნა ყველა ქვეყნისათვის“.

ამ შემთხვევაში თვალშისაცემია ავტონომიის, როგორც ამ ორი მსოფლიო იმპერიის პოლიტიკური მოწყობის საკითხის ერთნაირი გადაწყვეტა – ვილსონი არ აპირებს ამ სახელმწიფოების დაქუცმაცებას, მისთვის საკმარისია, რომ ამ მრავალეროვან იმპერიების პოლიტიკური მოწყობის დროს დაცული იყოს ადგილობრივი ეთნოსებისათვის ავტონომიური მოწყობის უფლება – როგორც საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმა. სავარაუდოდ, მოგვიანებით საქართველოს ისტორიული მიწების ანექსიის დროს, თურქეთის მიერ ბათუმის ოლქისათვის ავტონომიის მინიჭების იდეის პროპაგანდა, ცნობილი ქართველი მამულიშვილის მემედ აბაშიძის პოლიტიკურ მოთხოვნებში – აჭარის მოწყობის დროს ფართო ავტონომიის მოთხოვნის პრინციპის პრიმატი, შესაძლოა, ასევე ვილსონის ამ 14 პუნქტიანი შეთავაზებიდან იყოს ნასესხები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრია-უნგრთისა და თურქეთის იმპერიებში ვილსონის ამ შეთავაზებამ არ იმუშავა – ორივე ეს იმპერია სულ ახლო მომავალში დაიშალა.

თვალში საცემია ისიც, რომ ვილსონი პოლიტიკური მოწყობის დროს დამოუკიდებლობის მინიჭებას გეგმავს მხოლოდ პოლონეთისათვის, რომელსაც გარდა ისტორიული ტერიტორიებისა, აუცილებლად უნდა შეერთებოდა ის მიწებიც, სადაც ძირითადად ეთნიკური პოლონელები ცხოვრებდნენ – ე.ი. რუსეთის იმპერიის ის ტერიტორიებიც, რომლებზედაც პოლონელები ბინადრობდნენ და ეს სწორედ ის ტერიტორიებია, რაც პოლონეთმა მიითვისა კიდეც მოგვიანებით და დღეს უკვე ცნობილია „დასავლეთ უკრაინისა“ და „დასავლეთ ბელორუსიის“ სახელწოდებით.

ვ. ვილსონის ეს სამშვიდობო გეგმა გამოქვეყნდა იმ დროს, როცა ევროპაში ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობამ ის მაინც აღიქვა როგორც იმედი და როგორც მომავალი ისტორიული განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი. ეს თვალსაზრისი დღესაც არ შეცვლილა, თუმცა მისი ისტორიული შეფასების თაობაზე ჩვენ გვაქვს განსხვავებული მოსაზრება, რასაც ქვემოთ დავასაბუთებთ.

ჩვენ ვთვლით, რომ ვილსონის 14 პუნქტიან ჩამონათვალში, პოლონეთის სახელმწიფო მოწყობის გეგმის შემუშავებისას, ვ. ვილსონი უშვებს სერიოზულ შეცდომას, როცა აღნიშნავს: „დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნა, რომელსაც ექნება გასასვლელი ზღვაზე და პოლონეთისათვის იმ ტერიტორიების შემოერთება, რომლებიც დასახლებული არიან პოლონელებით“. ამ შემთხვევაში ვ. ვილსონის ეს პრინციპი სრულიად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის „ისტორიზმის პრინციპს“ – ისტორიული ტერიტორიების კანონიერად ფლობის უფლებას. ვ. ვილსონის მიერ პოლონელებთან დაკავშირებით დაშვებული შემოთავაზება ქმნის პრეცედენტს, რომ თუკი რომელიმე ეთნოსი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ცხოვრობს სხვა ეთნოსის ისტორიულ, მშობლიურ მიწა-წყალზე, მათ ამ ტერიტორიების მისაკუთრების უფლება უნდა მიეცეთ.

საკითხის ასე დაყენება ვ. ვილსონის 14 პუნქტიანი შემოთავაზების მთავარ ნაკლად გვესახება. თუმცა ეს არ არის გასაკვირი – აშშ-ისათვის, რომელიც როგორც სახელმწიფო, ჩამოყალიბდა სრულიად სხვა, ეთნიკურად განსხვავებული ხალხების ისტორიული მიწების ანექსიისა და მითვისების საფუძველზე, უკანონო და უსამართლო დაპყრობითი ომების შედეგად, ტერიტორიული მოწყობის „ისტორიზმის პრინციპი“ საფუძველშივე მიუღებელი მოთხოვნაა. აშშ-მა ამერიკელ ინდიელებს წაართვეს მამული, იდენტობა, საკუთარი სახელმწიფოც კი და სამაგიეროდ თავს მოახვიეს ინგლისიდან შემოტანილი ეკონომიკური წყობა, სამართლებრივი სისტემა, კულტურული გარემო და ამ პროცესს სრულიად კანონიერად თვლიდნენ. სწორედ აქედან და სწორედ ამის გამო, ეს მუხლი სრულიად მიუღებელი იყო ქართული საზოგადოებრიობისათვის.

ამასობაში კი I მსოფლიო ომი დასასრულს მიუახლოვდა...

როგორც აღვნიშნეთ, გერმანიის იმპერის სახელმწიფო დელეგაცია იძულებლი გახდა 1918 წლის 8 ნოემბერს დათანხმებულიყო კომპიენის დაზავებას და ხელი მოაწერა მარშალ ფოშის მიერ შეთავაზებულ საზავო პირობებს, რომ-

ლის ძალით 15 დღეში მას მთლიანად უნდა დაეცალა ბელგიის, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის ოკუპირებული ტერიტორიები, დაებრუნებინა საფრანგეთისათვის ელზასი და ლოტარინგია, გამოეყვანა თავისი სამხედრო ძალები ავსტრია-უნგეთიდან, რუმინეთიდან და თურქეთიდან. მდინარე რაინის მარცხენა მხარის ტერიტორიები გერმანიის ჯარებს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ, ხოლო მათ ადგილს კი დაიკავებდნენ მოკავშირეთა ჯარის ნაწილები, რომელთა შენახვას გერმანიის მხარე კისრულობდა. კომპიენის ხელშეკრულების საფუძველზე გერმანიამ მოკავშირეებს თავისი სამხედრო შეიარაღების მნიშვნელოვანი ნაწილიც გადასცა.[1]

მსოფლიო ომი დასრულდა უდიდესი მსხვერპლის ფასად – ის მიმდინარეობდა თითქმის 4 წელზე მეტ ხანს, მასში მონაწილეობდა 34 სახელმწიფო და დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი (მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 67%). ომის შედეგად დაიჭრა 20 მილიონი და გარდაიცვალა 10 მილიონი ადამიანი. დიდი ადამიანური დანაკარგები განიცადეს: რუსეთმა (2 მილიონ 300 ათასი კაცი), გერმანიამ (2 მილიონი კაცი), ავსტრია-უნგრეთმა (1 მილიონ 400 ათასი კაცი), საფრანგეთმა (1 მილიონ 383 ათასი კაცი), ინგლისმა (744 ათასი კაცი), იტალიამ (700 ათასი კაცი), ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (53 ათასი კაცი). საერთო სამხედრო დანახარჯებმა შეადგინეს იმ დროისათვის კოლოსალური თანხა – 208 მილიარდი დოლარი.[2]

ამ დიდი გამარჯვების საბოლოოდ გასაფორმებლად გადაწყდა გამარჯვებულებიც და დამარცხებულებიც ერთად შეკრებილიყვნენ საფრანგეთის დედაქალაქში – პარიზში და ემსჯელათ, თუ როგორ მოეწესრიგებინათ საერთაშორისო ურთიერთობები ისე, რომ დედამიწაზე დაემყარებინათ ხანგრძლივი მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

---

[1] Всемирная история, т.8, стр. 98.

[2] Всемирная история, т.8, стр. 99.

§2. პარიზის სამშვიდობო კონფერენცია

პარიზში ეტაპობრივად ჩავიდნენ სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების დელეგაციები: დიდი ბრიტანეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იტალიიდან, ბელგიიდან, იაპონიიდან, ბრიტანეთის დომინიონებიდან, ინდოეთიდან, საბერძნეთიდან, გვატემალადან, ჰაიტიდან, ჰიჯაზიდან, პანამიდან, პოლონეთიდან, ჰონდურასიდან, ჩინეთიდან, კუბიდან, ლიბერიიდან, ნიკარაგუადან, სერბო-ხორვატო-სლოვენიური სახელმწიფოდან, პორტუგალიიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, პერუდან, ეკვადორიდან, ბოლივიიდან, ურუგვაიდან. საბჭოთა რუსეთი კონფერენციაზე საერთოდ არ მიუწვევიათ.

გერმანია და მისი ყოფილი მოკავშირეები პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მხოლოდ მას შემდეგ დაუშვეს, რაც ძირითადმა მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს მათთან ზავის გასაფორმებლად მომზადებული პროექტები. კონფერენციაზე დელეგაციები გააგზავნეს კავკასიის თვითგამოცხადებულმა, „ანტანტის“ მიერ არაღიარებულმა სახელმწიფოებმაც: საქართველომ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა და მთის რესპუბლიკამ.

საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედიის ავტორების აზრით, „პარიზის სამშიდობო კონფერენციის მონაწილეები არ იყვნენ თანასწორნი, ისინი ფაქტობრივად იყოფოდნენ 4 კატეგორიად. კონფერენციის რეგლამენტი ისე იყო განსაზღვრული, რომ კონფერენციაზე გამოკვეთილი ყოფილიყო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და აშშ-ს გაბატონებული მდგომარეობა: სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენელთა (დ. ლოიდ-ჯორჯის, ჟ. კლმანსოსა, და ვ. ვილსონს) შორის გამართული საიდუმლო მოლაპარაკებების დროს ხდებოდა კონფერენციის ძირითადი საკითხების გადაწყვეტა“.[1]

ეს თვალსაზრისი შეიძლება საბჭოთა ისტორიოგრაფიის იდეოლოგიურ ხასიათსა და არაობიექტურობას მივაწეროთ, მაგრამ ზუსტად ამავე თვალსაზრისს ავითარებს თა-

[1] . Советская историческая энциклопедия, т.10, М..1967, стр. 850.

ნამედროვე სომეხი ისტორიკოსი ა. ხაჩიკიანიც, რომელიც თავის ნაშრომში ხაზგასმით მიუთითებს „ანტანტის“ ამ ქვეყნების ხელმძღვანელთა გამორჩეულ როლზე კონფერენციის ფუძემდებლური პრინციპების დადგენისა და მათი რეალიზების საქმეში[1].

ანალოგიური თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ცნობილ ფრანგ ჟუნალისტს ჟენევიევა ტაბუისაც, რომელიც პირადად ესწრებოდა კონფერენციას და საერთოდ მიჩნეულია XX საუკუნის 20-30-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობების ავტორიტეტულ სპეციალისტად. აი, რას წერდა ის: „კლემანსო გაემიჯნა საერთო მსვლელობას, რადგან მოისურვა წასვლა ვილსონთან და ლოიდ ჯორჯთან ერთად. ენთუზიაზმით შეპყრობილი ხალხის მასა აღტაცებით ესალმება ტრიოს. ამ სამი ადამიანის კავშირი მიაჩნიათ საიმედო გარანტიად მშვიდობიანი და აყვავებული მომავლის მისაღწევად“.[2]

პარიზის საერთაშორისო კონფერენცია საზეიმოდ გაიხსნა 1919 წლის 18 იანვარს სასტუმრო „კრეიონში“. მას 27 ქვეყნის დელეგაცია ესწრებოდა. კონფერენცია გახსნა საფრანგეთის პრეზიდენტმა რ. პუანკარემ, რომელმაც ღიად ჩამოაყალიბა გამარჯვებული საფრანგეთის მოლოდინები: „ბატონებო, ზუსტად ორმოცდარვა წლის წინ ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში გამოცხადდა გერმანიის იმპერიის შექმნა. დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რომ დავანგრიოთ და შევცვალოთ ის, რაც შეიქმნა სწორედ იმ დღეს.“ [3]

სამშვიდობო კონფერენციამ მუშაობა დაიწყო...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ინტერესებს კონფერენციაზე წარმოადგენდა ოფიციალური უფლებამოსილი დელეგაცია, რომელსაც ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე ხელმძღვანელობდა.

კარლო ჩხეიძე რუსეთის იმპერიაში და დემოკრატიულ რუსეთშიც გამოჩენილი და დამსახურებული პოლიტიკოსი

---

[1] А. Хачикян. История Армении, Ереван. 2016, 2016, стр. 200.

[2] Ж. Табуи, 20 лет дипломатической борьбы, М.,1960, стр. 39.

[3] там же, стр. 40.

იყო; როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, იგი წლების მანძილზე ხელძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას რუსეთის სახელმწიფო დუმაში, გარკვეულ პერიოდში ეკავა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობაც. მას კარგად იცნობდნენ როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე საზღვარგარეთაც, განსაკუთრებით მემარცხენე, ევროპის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. დელეგაციის ხელმძღვანელის თანამდებობა მას ჩააბარეს სწორედ ამ წარსული დამსახურებებისა და ევროპის პოლიტიკურ ლიდერებთან პირადი ნაცნობობის გამო.

რატომ არ დანიშნა საქართველოს მთავრობამ დელეგაციის ხელმძღვანელად ასევე ცნობილი და აღიარებული პოლიტიკოსი აკაკი ჩხენკელი, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა? ჩვენი აზრით ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ ა. ჩხენკელი ხელმძღვანელობდა ბერლინში 1918 წლის ზაფხულში გაგზავნილ დელეგაციას და აქტიურ ურთიერთობაში იყო ჩართული საქართველო-გერმანიას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსის მოლაპარაკებებში, სამთავრობათაშორისო დოკუმენტების შედგენაში. საქართველოს მთავრობას, ალბათ, არ სურდა „ანტანტის“ ლიდერებისათვის ეს, მათთვის არც თუ მაინცდამაინც სასიამოვნა, ფაქტის შეხსენება.

ასევე ცნობილი და გამოცდილი პოლიტიკოსი იყო დელეგაციის მეორე წევრიც – ირაკლი წერეთელი, ჩინებული ორატორი, ევროპის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ავტორიტეტული მოღვაწე, რომელიც რუსეთის დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრიც იყო და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა რუსეთის დემოკრატიულ მოძრაობაში.

საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებიც: კ. გვარჯალაძე, ზ. ავალიშვილი, დ. ღამბაშიძე და სხვები დიპლომატიურ ურთიერთობებში ღრმად ჩახედული პოლიტიკოსები იყვნენ და მათ ერთად თუ ცალკ-ცალკე გააჩაღეს მრავალმხრივ საინტერესო საქმიანობა, რათა მთავრობის მიერ დასახულ მიზნებს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე სა-

ქართველოსათვის დამოუკიდებლობის ნანატრი აღიარება მოეტანა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთგვაროვანი აზრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ფორმირების, პერსონალური შემადგენლობის, მისი რაოდენობის, საქმიანობისა და ამ საქმიანობის შედეგების შესახებ. საქართველოს ახალი ისტორიის ჩინებული მცოდნე პროფ. ალ. ბენდიანიშვილი პარიზის სამშიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციაში მოიაზრებს მხოლოდ ზ. ავალიშვილს, დ. ღამბაშიძეს, კ. ჩხეიძესა და კ. წერეთელს.[1]

მკლევარი ხ. ქოქრაშვილი კი თვლის, რომ საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ: ზ. ავალიშვილი, დ. გვარჯალაძე, დ. ღამბაშიძე, კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი. ხელმძღვანელებად განწესებულნი იყვნენ კ. ჩხიძე და ი. წერეთელი.[2]

პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლობის საკითხს ეხება პროფ. პ. სურგულაძეც, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: „დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ კონფერენციაზე ოფიციალური დელეგაციის გაგზავნის საკითხი 1918 წლის 17 ნოემბერს განიხილა და დელეგაციის მეთაურობა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს მიანდო. მასთან ერთად: ნოე რამიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ რცხილაძე და სპირიდონ კედია. რამიშვილის წაუსვლელობის შემთხვევაში ის უნდა შეეცვალა ირაკლი წერეთელს. შემდეგში ეს შემადგენლობა რამდენჯერმე გადახალისდა. 6 დეკემბრისათვის დელეგაციის წევრებად შეირჩნენ კარლო ჩხეიძე (თავმჯდომარე), ირაკლი წერეთელი, გრიგოლ რცხილაძე და ნიკოლოზ ჯაყელი. დელეგაციას თან უნდა ხლებოდა „მცოდნე პირების“ და სპეციალისტების ჯგუფი ე.წ. „მოთათბირენი“. მათ შორის პროფ. ივანე ჯავახიშვილი, გენერალი ილია ოდიშელიძე, დამფუძნებელი კრების წევრი ვლასა მგელაძე და სხვ. ივანე

---

[1] ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ. 278.

[2] ხ. ქოქრაშვილი, პარიზის საზავო კონფერენცია და საქართველო, „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, №6, თბ., 2002 გვ. 226.

ჯავახიშვილს საქართველოს ტერიოორიისა და ეთნოგრაფიული ყოფის აღწერა, ასევე საქართველოს მიმართ მეზობლების – სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული პრეტენზიების უსაფუძვლობის დასაბუთება დაევალა...“[1]

ევროპის არქივების ჩინებული მცოდნე პროფ. ი. ტაბაღუა კი საქართველოს სამთავრობო დელეგაციაში მოიაზრებს მხოლოდ კ. გვარჯალაძეს, ზ. ავალიშვილს, დ. ღამბაშიძეს. იგი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის არქივში ნახა მათ მიერ პარიზის კონფერენციის ხელძღვანელობისათვის წარდგენილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაცემული, კონფერენციაზე მათი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.[2]

მიგვაჩნია, რომ საქართველოს დელეგაციის ფორმირების საკითხი ყველაზე სრულყოფილად შესწავლილი აქვს მკვლევარ ნ. ვაშაყმაძეს თავის მონოგრაფიაში, სადაც ის ადასტურებს, რომ „საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 17 ნოემბერს დაადგინა: ევროპაში პროპაგანდისათვის და კონგრესზე დასწრებისათვის გაიგზავნოს დელეგაცია კარლო ჩხეიძის, ნოე რამიშვილის, ნ. ნიკოლაძის, გრ. რცხილაძის და სპ. კედიას შემადგენლობით. ნოე რამიშვილის წაუსვლელობის შემთხვევაში მისია დაეკისროს ირ. წერეთელს“... საქართველოს მთავრობამ 21 ნოემბერს სხდომაზე შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა... დელეგაციის საბოლოო შემადგენლობა დამტკიცდა 4 დეკემბრის სხდომაზე: ნ. ჩხეიძე – თავმჯდომარე. დელეგატი ი. წერეთელი, გრ. რცხილაძე, ნ. ჯაყელი. მოთათბირენი – პროფ. ივ. ჯავახიშვილი, გენ. ი. ოდიშელიძე, ვლ. მგელაძე, ვახ. ღამბაშიძე, სეკრეტარიატი – ივ. ზურაბიშვილი, ი. გოგოლაშვილი, ა. დეკანოზიშვილი, ე. წერეთელი, გ. რობაქიძე, სამეურნეო ნაწილის თანაშემწე ა.

---

[1] პ. სურგულაძე, პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, იხ. კრებლი: „რუსეთის ექსპანსია საქართველორში და საქართველო“, ინტერნეტ გამოცემა.

[2] ი. ტაბაღუა, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბიკის მთავრობის დელეგაცია პარიზში (1919 წ.), იხ. კრებული „საქართველოს–ევროპა-ამერიკა, თბ., 1998, გვ. 15.

გვათუა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე გ. ნაზარიშვილი, რადიოს სპეციალისტი ე. წვერავა... საქართველოს მთავრობის მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის წინაშე დასმული სახლმწიფოებრივი საზღვრების სამართლიანობის დასაბუთება უნდა მოეხდინა ივ. ჯავახიშვილს. ეს საკითხი მას დეტალურად ჰქონდა შესწავლილი და გაანალიზებული მონოგრაფიაში: „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“.[1]

როგორც ვხედავთ, ხშირ შემთხვევაში ურთიერგამომრიცხავი მოსაზრებებია წარმოდგენილი. სხვადასხვა ავტორები დელეგაციის შემადგენლობაში სხვადასხვა პირს ასახელებენ. ჩვენ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში მოვიძიეთ საქართველოს დელეგაციის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები და შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს საქმეების განსახილველად ფაქტობრივად ორი დელეგაცია იყო გაგზავნილი. სრულიად დასაშვებია, რომ საქართველოს მთავრობამ ერთ (ან რამდენიმე) ოფიციალურ დოკუმენტში განსაზღვრა როგორც დელეგაციის მთავარი წევრები, ისე მათი „დამხმარე“ პერსონალი, ე.წ. „მომთათბირებლები“, ანუ ექსპერტები, კონკრეტული საქმეების კონკრეტული პროფესიონალები. ეს ბუნებრივი და გასაგებია, მაგრამ, როგორც ჩანს, უამრავი დაბრკოლების გამო (ამაზე საკმაოდ კარგად მიანიშნებს პროფ.-პ. სურგულაძე), უშუალოდ პარიზში, კონფერენციაზე ყველა ვერ ჩავიდა. გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ზოგიერთ მათგანს (ჩვენი აზრით, უფრო „მომთათბირებლებს“) არ მიეცა პარიზში გამგზავრების საშუალება, ხოლო ზოგი კი გაემგზავრა, მაგრამ კონსტანტინოპოლში დარჩა, პარიზში ვეღარ ჩავიდა.

საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობის, პარიზში ჩასვლისა და დელეგაციის საქმიანობის

---

[1] ნ. ვაშაყმაძე, სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში 1918-1921 წლებში, ქუთაისი, 2002, გვ. 91.

პირველ ნაბიჯებზე ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის პირადი ბარათი, რომელიც მან პარიზიდან მთავრობის თავმჯდომარეს გამოუგზავნა და მის პირად ფონდში ინახება: „პარიზში ჩამოვედით 27 თებერვალს. მთელი დელეგაციიდან მხოლოდ მე და ირაკლი. სხვები მაშვინ არ გამოუშვეს. ბევრი ცდის შემდეგ ახლა შემოგვითვალეს საფრანგეთის სამინისტროდან, რომ ნიკოლაძეს და გაბეჩიას გაეგზავნა ნებართვაო.“[1]

ამრიგად, პარიზში, კონფერენციაზე პირველები ჩავიდნენ მხოლოდ ნიკოლოზ ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. ჩვენ მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროში მოძიებული მასალები საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე „დე-ფაქტო“ ორი პარალელური დელეგაცია საქმიანობდა. ერთს მართლაც ხელმძღვანელობდნენ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწენი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატები კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი. მათი ხელძღვანელობით მოქმედ დელეგაციას შეიძლება ეწოდოს „პირველი“, „მთავარი“ დელეგაცია, და იყო „დე-ფაქტო“ მეორეც – კ. გვარჯალაძის, ზ. ავალიშვილისა და დ. ღამბაშიძის შემადგენლობით. სწორედ ეს მეორე დელეგაციის წევრები პარიზის კონფერენციის ოფიციალურ გახსნამდე, ადრევე ჩავიდნენ ლონდონში, იქიდან შემდეგ პარიზში, აწარმოებდნენ დიპლომატიურ მიმოწერას ბელგიაში, იტალიაში და, შესაბამისად, დოკუმენტურად დასტურდება მათ მიერ „დაზვერვითი სამუშაოების“ დიდი ხნით ადრე დაწყება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დელეგაციის შემადგენლობის მიმართ მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულებაა დაფიქსირებული პოსტსაბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში: „მიუხედავად კ. ჩხეიძის და ი. წერეთლისა, მათი საზავო კონფენციაზე ქართული დელეგაციის მეთაურებად დანიშვნა **შეცდომა იყო** (ხაზგასმა ჩვენია- ა.დ.)“[2].

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2115, საქ. 20, ფურც. 1.

[2] გრ. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.74.

ისტორიკოსი გრ. ბოგვერაძე თავის ამ კატეგორიულ განცხადებას ასე ასაბუთებს: „მართალია, ორივე მათგანი ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული წრეების სიმპათიას ადვილად იხვეჭდა, მაგრამ გადამტერებულ იმპერიათა შეტაკებების დროს საქართველოს დამოუკიდებლოისათვის ბრძოლა მათთვის მოულოდნელი და უცხო ამოცანა იყო. ამასთან, საქართველოს და, სამწუხაროდ, ამ მსოფლიოს ბედს არა კარლ კაუცკი ან რამზეი მაკდონალდი, არამედ ლოიდ ჯორჯი და ვუდრო ვილსონი წყვეტდნენ“.

ქუთაისელი მეცნიერის ეს კატეგორიული განცხადება, ჩვენთვის საინტერესოა, თუმცა არა ბოლომდე სამართლიანი: მართალია კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი არ იყვნენ პროფესიონალი დიპლომატები (საქართველოში დიპლომატიური კორპუსი იმჟამად მხოლოდ ყალიბდებოდა), მაგრამ მათ პოლიტიკური ბრძოლის უდიდესი გამოცდილება ჰქონდათ, ღრმად განათლებული და პოლიტიკურ ნიუანსებში საკმაოდ კარგად ჩახედული პირები იყვნენ: ამაზე მოწმობს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დუმის მუშაობაში მათი ხაგრძლივი საქმიანობა, თებერვლის რევოლუციასა და რუსეთის დროებითი მთავრობის მუშაობაში თანამონაწილეობა და სხვ. თავისი ინტენსიური პოლიტიკური საქმიანობით მათ უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული რუსეთის პოლიტიკურ წრეებში და, გარკვეულწილად, ცნობადი სახეები იყვნენ დასავლეთ ევროპელი ბევრი პოლიტიკოსისათვის, თუნდაც მემარცხენე მიმართულების პოლიტიკოსებისათვის (საკმარისია გავიხსენოთ, რომ იგივე რამზეი მაკდონალდი ამ ამბებიდან სულ მალე ინგლისის პრემიერ მინისტრი გახდა, ფრანგი სოციალისტები საფრანგეთის პოლიტიკურ სპექტრში გამორჩეულ როლს ასრულებდნენ და ა.შ.) ამასთან, კ. ჩხეიძესა და ი. წერეთელს დელეგაციაში ჰყავდათ სწორედ საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო ჩახედული ზ. ავალიშვილი და დ. ღამბაშიძე. მათ კონსულტაციას უწევდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორიც და სხვა ქართველი პოლიტიკოსებიც.

აქედან გამომდინარე, კატეგორიულად მტკიცება, რომ კ. ჩხეიძის და ი. წერეთლის შეყვანა საზავო კონფერენციაზე

გასაზავნ დელეგაციაში „შეცდომა იყო“, ჩვენ გადაჭარბებულად გვესახება.

უნდა ხაზგასმით ისიც აღვნიშნოთ, რომ სამთავრობო დელეგაციის წევრების მიმართ გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულება იმჟამად საქართველოს პოლიტიკური ელიტის ცალკეულ წარმომადგენლებსაც ჰქონდათ. მაგალითად, მკვლევარი პ. სურგულაძე იმოწმებს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, გიორგი გვაზავას თვალსაზრისს დელეგაციის შემადგენლობასთან დაკავშირებით, რაც ჩვენ, ასევე, საკმაოდ კრიტიკულად გვესახება: „მე წინააღმდეგი ვიყავი სოციალისტების გაგზავნისა კონფერენციაზე, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს ჩვენი დელეგატი, ის თავდაპირველად დელეგატია საქართველოსი და არა პარტიის წარმომადგენელი“ ... დელეგატებს აქვთ თავისი დანიშნულება, აქვთ მინდობილი ჩვენ მიერ პარიზის კონფერენციაზე ილაპარაკონ საქართველოს სახელით და დაიცვან მისი ინტერესი“[1]

დელეგაციის მიმართ ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება, როგორც დასტურდება, იმჟამად მაინც ერთეულებს ჰქონდათ, ძირითადად კი შეინიშნებოდა აღფრთოვანება საქართველოს დელეგაციის ავტორიტეტით, მათი პროფესიონალიზმით, საერთაშორისო კავშირებით. მაგალითად, საქართველოს იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრი კონტანტინე კანდელაკი აღფრთოვანებული იყო დელეგაციის პერსონალური შემადგენლობით და ხაზგასმითაც მიუთითებდა, რომ „საზავო კონფკერენციაზე პარიზში საქართველომ დიდი და ყოველგვარი ექსპერტებით შეკაზმული დელეგაცია გააგზავნა, მაგრამ ამ მრავალრიცხოვანი დელეგაციიდან მხოლოდ რამდენიმე კაცმა, უმთავრესად პოლიტიკურმა დელეგატებმა, დიდის ვაივაგლახით მიაღწიეს პარიზს“.

როგორც იმჟამინდელი, ისე დღევანდელი ქართველი ექსპერტები დელეგაციის წევრთა შემადგენლობის, მათი კომპეტენციის შეფასების დროს განსაკუთრებით გამოკვეთენ დელეგაციის ხელმძღვანელთა სწორედ სოციალ-დემოკრატიულ კუთვნილებას, რაც გ. გვაზავასაგან განსხვავებით,

[1] პ. სურგულაძე, დასახ. ინტერნეტ გამოცემა.

მათ ძალიან მოსწონთ და მიაჩნიათ, რომ სწორედ ეს მახასიათებელი იყო მათი გამორჩეული „კოზირი“ და მნიშვნელოვანი ფაქტორი პარიზში საქმიანობის დროს. ამ საკითხს საგანგებოდ ეხება პროფ. შ. ვადაჭკორია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დელეგაციის წევრების (კ. ჩხეიძის, ირ. წერეთლის და სხვ.) მჭიდრო და საქმიან კავშირს საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, II ინტერნაციონალის ლიდერებთან.[1]

ევროპის სოციალისტებთან ურთიერთობას განიხილავს მკვლევარი ხ. ქოქრაშვილიც. ის იმოწმებს II ინტერნაციონალის ხელმძღვანელი ორგანოების ქმედით დახმარებას ქართველების მიმართ და აღნიშნავს: „II ინტერნაციონალის კონგრესმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვდა პარიზის საზავო კონფერენციისა და ყველა სხვა სახელმწიფოებისაგან, სასწრაფოდ ეცნოთ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა.“[2]

თუმცა აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ II სოციალისტური ინტერნაციონალი და მისი ლიდერები იმჟამად, მართალია, ჯერ კიდევ ფლობდნენ გარკვეულ გავლენებს ევროპის მუშათა მრავალმილიონიან არმიაზე, მაგრამ 1918-1920 წლებში დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ პროცესებზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას, მაინცდამაინც, ვერ ახდენდნენ.

ცალკე კვლევის საკითხია პარიზის კონფერენციის ორგანიზატორების მხრიდან ახლადწარმოქნილი სახელწიფოების დელეგაციებისათვის კონფერენციაზე დაშვების ნებართვის გაცემის ფაქტი. მაგალითად, ცნობილია, რომ აზერბაიჯანს ასეთი ნებართვა არ ჰქონდა.

საქართველოს დელეგაციასთან დაკავშირებით არის აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, მკვლევარი ნ. ვაშაყმაძე ამტკიცებს, რომ „რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ წარ-

---

[1] შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატიახ 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 390.

[2] ხ. ქოქრაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

მოქმნილი სახელწიფოთა დელეგაციები კონფერენციაზე არ დაუშვეს.“[1]

პროფ, პ. სურგულაძის აზრით, „რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დელეგაციები პარიზის კონფერენციაზე არ დაუშვეს.“[2]

ისტორიის დოქტორი ხ. ქოქრაშვილი კი ამტკიცებს, რომ საქართველოს დელგაციამ პარიზში ჩასასვლელად ვიზები მიიღო 1919 წლის 17 იანვარს.[3]

ჩვენ ვეთანხმებით აზრს, რომ პარიზის კონფერენციაზე დაშვების უფლება საქართველოს ოფიციალური დელეგაციის გარკვეულ ჯგუფს, უდავოდ, ჰქონდა. ამაზე მიანიშნებს მათი აქტიური საქმიანობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები. თუმცა არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ დელეგაციის გარკვეული ნაწილი ასეთ ოფიციალურ ვიზას არ ფლობდა, თუმცა მაინც აქტიურად მონაწილეობდნენ დელეგაციის ყოველდღიურ საქმიანობაში.

საქართველოს სამთავრობო დელეგაცია პარიზის ცენტრში, პერუზის ქუჩაზე დაქირავებულ შენობაში ცხოვრობდა და საქმიანობდა. დელეგაციის ორგანიზებული მუშაობისათვის საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა სპეციალური ხარჯთაღრიცხვაც, მონახა მატერიალური რესურსები, რომ დელეგაციას პარიზში შედარებით ნორმალურად ეცხოვრა და ემუშავა. პარიზში, გამანადგურებელი ომის შემდეგ ეკონომიკური კრიზისით მოცულ ქალაქში, დელეგაციის შენახვა რამდენიმე ასეული ათასი ფრანკი ჯდებოდა (ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით პარიზში საქართველოს წარმომადგენლობის შენახვა საქართველოს მთავრობას წლიურად 294 100 ათასი ფრანკი უჯდებოდა. განსაზღვრული იყო როგორც საშტატო განაკვეთების ანაზღაურება, ისე წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინებები, ტექნიკური პერსონალისათვის საჭირო ხარჯები და ა.შ..).

---

[1] ნ. ვაშაყმაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 930.

[2] პ. სურგულაძე, დასახ. ინტერნეტ გამოცემა.

[3] ხ. ქოქრაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

იმ დროისათვის თბილისსა და პარიზს შორის რეგულარული სატრანსპორტო თუ საფოსტო კომუნიკაცია ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამ პრობლემას ორი დიპლომატიური კურიერი აგვარებდა, თუმცა ხშირი იყო შეფერხებები და საქართველოს დელეგაციას ხშირად უხდებოდა იმპროვიზირება.

რამდენად შეასრულა დელეგაციამ დაკისრულებული მოვალეობა, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.

§3. საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შეთავაზება პარიზის სამშვიდობო კონფერენციას

საქართველოს მთავრობა პარიზის საზავო კონფერენციისათვის მზადების პერიოდში გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებული იყო 1918 წლის მაისიდან ნოემბრამდე გერმანიის იმპერიასა და თურქეთთან ურთიერთობის ხასიათთან; კერძოდ, ყველაფერი ის, რასაც რამდენიმე თვის წინ საქართველოს ხელისუფლება მიღწევად და პრობლემის ადეკვატურ გადაჭრად მიიჩნევდა, ფუჭი აღმოჩნდა: გერმანიის ბლოკის მარცხმა და „ანტანტის“ ისტორიულმა გამარჯვებამ ყველა იმ ქვეყანას, ვინც კი გერმანიის იმპერიასთან რაიმე ფორმით თანამშრომლობდა, სერიოზული პრობლემები გაუჩინა და დაუყოვნებლივ საჭირო გახდა ამ შთაბეჭდილებების განეიტრალება როგორც ლონდონში, ისე პარიზსა და გამარჯვებული „ანტანტის“ სხვა მონაწილე ქვეყნების დედაქალაქებში.

ამ ამოცანას კი სჭირდებოდა გარკვეული კონცეფციის – შეხედულებათა სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც წარუდგენდნენ გამარჯვებული სახელმწიფოების ხელმძღვანელებს და გაანეიტრალებდნენ იმ შთაბეჭდილებას, რაც შეიძლება შექმნილიყო საქართველო-გერმანიის თანამშრომლობის მოკლევადიანი პერიოდის საფუძველზე.

ასეთი კონცეფცია შემუშავდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1918 წლის ნოემბერ – 1919 წლის 22 იანვრის პერიოდში. დრო ძალიან მცირეა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ქართულმა მხარემ შეძლო დიპლომატიურად გამართული კონცეფციის შემუშავება და ის შესთავაზა გამარჯვებული ქვეყნების ლიდერებს.

ამ კონცეფციის ტექსტი ჩვენ მოვიძიეთ საქართველოს I რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში შემონახულ, 1919 წლის 22 იანვარს გაგზავნილ დეპეშაში, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს გამარჯვებული ქვეყნების ლიდერებისათვის მიეცათ მკაფიო განმარტება ქართული მხარის ოფიციალურ პოზიციაზე გერმანიასთან და თურქეთთან საქართველოს ხელისუფლების თანამშრომლობის შესახებ. დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოგვაქვს მისი მოკლე შინაარსი (პერიფრაზირება): ფოთის 1918 წლის 28 მაისის ხელშეკრულებას არ ჰქონდა არავითარი აღმასრულებელი ძალა, თუმცა ითვალისწინებდა ეკონომიკურ დამოკიდებულებას გერმანიისადმი, ზოგიერთ პრივილეგიას გერმანელი კოლონისტებისათვის. ამის სანაცვლოდ იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დაპირება. იგეგმებოდა კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე საკითხების განხილვა-შესრულება, მაგრამ ის არ შედგა და არც ბათუმის კონფერენციის გადაწყვეტილებები შესულა ძალაში. ამით კი საქართველოს დიპლომატიამ მოიპოვა წარმატება“ – ამტკიცებდა საქართველოს ხელისუფლება.

დეპეშაში ქართული მხარე დეტალურად განმარტავდა გერმანიასთან საქართველოს ურთიერთობის შინაარსს და წინ წამოწევდა ეკონომიკურ ინტერესებს (მარგანეცის გატანა ევროპაში, ფოთის პორტის ექსპლოატაცია და ა.შ.). ხაზგასმული იყო ისიც, რომ გერმანიის მხარემ იკისრა, ეთხოვა რუსეთისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, რასაც საქართველოსათვის უდიდესი საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ყველაფრის მიუხედავად, ამ დოკუმენტში ქართული მხარე ირწმუნებოდა, რომ გერმანიასთან არც ერთი პროექტი ხელმოწერილი არ იყო.

აღნიშნულ დოკუმენტში არის მცდელობა, გაანეიტრალოს, როგორც ეს დეპეშის შინაარსიდან ირკვევა, პრესისა და ზოგიერთი პიროვნების მიერ გავრცელებული „გერმანიის მიერ საქართველოს ოკუპაციის მითი“. ქართული მხარე ამტკიცებდა, რომ „მართლია, გერმანელები შემოვიდნენ საქართველოში, მაგრამ ოკუპაციას ადგილი არა ჰქონია, ისე როგორც დღეს თბილისში ინგლისის წარმომადგენლობის არსებობა არ ნიშნავს ოკუპაციას“[1].

დიპლომატიურ დეპეშაში ქართულმა მხარემ საჭიროდ ჩათვალა, „ანტანტის“ ხელძღვანელებისათვის განემარტა გერმანიასთან კონტაქტების მიზეზები; მაგალითად, მოტანილია ასეთი მიზეზი: „საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა მოეწვია გერმანიის მთავრობა, რომ უფრო აქტიურად გამოეყენებინა რაზმები მთელი რიგი მიმართულებების დასაცავად“. მაგრამ ამას, როგორც დეპეშის ავტორები ამტკიცებდნენ, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

დეპეშაში, ასევე, ყურადღება აქვს დათმობილი თურქეთთან თანამშრომლობის შთაბეჭდილების ნეიტრალიზებას და ამ კონტექსტში აღნიშნულია საქართველოში თურქების აგრესიული მიზნების შესახებ: „თურქებმა მაინც გააგრძელეს წინსვლა და დაიკავეს ბათუმი, რომლის დაცვა ვერ მოხერხდა რუსეთის ფრონტის წარმოუდგენელი დეზორგანიზაციის გამო. ქართულმა ძალამ ოზურგეთის მისადგომებთან სერიოზული დაბრკოლებმა შეუქნა თურქებს“[2].

საინტერესოდ გვეჩვენება ქართული მხარის მიერ „ანტანტის“ სახლმწიფოების მესვეურებისათვის იმის ჩვენებაც, თუ როგორ მოახერხა საქართველომ გაეღრმავებინა დაპირისპირება გერმანელებსა და თურქებს შორის: „საქართველოს მთავრობამ შეძლო დაემყარებინა გერმანელების კონტროლი თურქებზე – ამან ძლიერ შეუწყო ხელი მტრული დამოკიდებულების გაღრმავებას თურქეთსა და გერმანე-

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, საქ. 55, ფურც.17-18.

[2] იქვე, ფურც. 15.

ლებს შორის და გააღრმავა მოკავშირეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა. ამასთან, იმითაც, რომ საქართველომ მიიზიდა თურქეთის ძალები თავის ტერიტორიაზე, ამით უზრუნველყო, გარკვეულწილად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ რეგიონში თურქეთის დასუსტება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია თურქეთის სასტიკი დამარცხება 1918 წლის შემოდგომაზე."[1]

ამრიგად, წარმოდგენილი დეპეშა აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოს მხარე, ერთი მხრივ, ცდილობს მაქსიმალურად გაანეიტრალოს გამარჯვებული სახელმწიფოების ლიდერებში, როგორც ჩანს, უკვე ჩამოყალიბებული აზრი ქართულ-გერმანული აქტიური თანამშრომლობის შესახებ როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ისე სამხედრო სფეროში; და მეორე მხრივ, შექმნას შთაბეჭდილება, რომ ახლო აღმოსავლეთში „ანტანტის" მიერ მოპოვებულ გამარჯვებებში საქართველოს დამსახურებაც არის, რომელმაც: „მიიზიდა თურქეთის ძალები თავის ტერიტორიაზე, უზრუნველყო, გარკვეულწილად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ რეგიონში თურქეთის დასუსტება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია თურქეთის სასტიკი დამარცხება 1918 წლის შემოდგომაზე".

რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი მიზნებით სრულიად გამართლებული დეპეშა, მეტწილად, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რადგან ფაქტობრივად სახეზე იყო რეალური ხელშეკრულებების გაფორმებაც, ეკონომიკური თანამშრომლობაც და ერთობლივი სამხედრო ოპერაციებიც.

ზემოთ, სათანადო ადგილზე, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გერმანიასთან თანამშრომლობის მომხრენი საქართველოში ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის წინ საკმაოდ ენერგიულად საქმიანობდნენ გერმანიის სახელმწიფო სტრუქტურებთან, ხოლო ომის დასკვნით ეტაპზე, განსაკუთრებით ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ და თურქეთის აგრესიის ფონზე, ეს თანამშრომლობა აშკარად უფრო რელიეფური გახდა – სწორედ გერმანელების დახმარებით შეძლო საქართველომ და-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, საქ. 55, ფურც. 18.

მოუკიდებლობის ოფიციალური გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს.

და კიდევ, პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში გვაქვს საკმაოდ ბევრი და არგუმენტირებული გამოკვლევა, სადაც დადასტურებულია საკმაოდ მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობა საქართველოსა და გერმანიას შორის საკვლევ პერიოდში. მაგალითად, მკვლევარმა მ. დღვილავამ თავის სადისერტაციო ნაშრომში დაადასტურა ამ თანამშრომლობის ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების არსებობა[1].

საფუძვლიანი გამოკვლევები არსებობს ქართულ-გერმანული ეკონომიკურ კავშირებზე (მაგალითად ამტკიცებენ, რომ „საქარველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში მხოლოდ გერმანიის დახმარებით აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, გერმანიის სამრეწველო ინტერესები საქართველოს ხელისუფლებისათვის უკვე ანგარიშგასაწევი გახდა. ამ დროს კვლავ გააქტიურდა „გელზენკირჰენის სამთო-სამრეწველო საზოგადოება“. ამ საზოგადოებამ ხელშეკრულებებიც გააფორმა ქართულ მხარესთან და მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებასაც აპირებდა“ და ა.შ.)[2]

უხვად არის ინფორმაცია სამხედრო თანამშრომლობის შესახებაც (მაგალითად ასეთი: „1918 წლის 7 ივნისს ფოთის ნავსადგურში გერმანიის დიდი სამხედრო ხომალდი შემოვიდა. 3-4 ათასი ჯარისკაცი ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებით ქალაქის სხვადასხვა უბანში განლაგდა. ფოთიდან ოპერატიული დავალებების შესასრულებლად ყოველდღიურად გადიოდა რკინიგზის ეშელონებით 200 კაციანი სამხედრო რაზმები“).[3]

---

[1] მ. დღილავა, გერმანიის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, თბ., 1997, გვ. 109-110.

[2] ა. კაჭარავა, ა. დაუშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.1918-1921 წწ.), თბ., 2012, გვ. 84-85.

[3] ა. დაუშვილი, ფოთის საზღვაო პორტი 1917-1921 წწ, „ანალები“, 2011 წ. №7, გვ. 210.

დაფიქსირებულია გერმანელი ჯარისკაცების მხრიდან განხორციელებული ძალადობისა და მარადიორობის ფაქტებიც: მაგალითად, ბორჩალოს მაზრის სოფელ გომარეთში მცხოვრები დიმიტრი პეტრეს ძე რაზმაძე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1918 წლის 20 ივნისს ატყობინებდა, რომ „გერმანელების „დამსჯელმა რაზმმა“ ცეცხლს მისცა მისი სახლი“[1]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსებობს ნოე ჟორდანიას მიერ გერმანელებთან ჩინებული, უღრუბლო, თითქმის იდეალური თანამშრომლობის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისი, რომელითც მოგვიანებით აისახა კიდეც მის მემუარებში და ჩვენ ზემოთაც კი მოვიტანეთ, და რაც შეიძლება მის გულმავიწყობას მივაწეროთ.

ამრიგად, დასკვნა ცალსახაა – საკვლევ პერიოდში საქართველო-გერმანიის სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა საკმაოდ მნიშვნელოვანი და პერსპექტიული იყო, თუმცა არც მთლად უღრუბლო – გამოკვეთილია უკმაყოფილების ელემენტებიც.

ჩვენთვის არ არის ცნობილი ქართული მხარის მიერ გერმანია-საქართველოს ერთიერთობების შესახებ ოფიციალურ პოზიციის გამჟღავნების ამ მცდელობებს რა რეაქცია მოჰყვა ადრესატებში, „ანტანტის“ ქვეყნების ლიდერებში: რამდენად დაიჯერეს, ან არ დაიჯერეს მათ ქართული მხარის ეს მტკიცებულებები, მაგრამ ის, რომ ქართული მხარე შეეცადა გაენეიტრალებინა გერმანია-თურქეთთან თანამშრომლობის შედეგები – სახეზეა

ახლა კი ისევ პარიზის საზავო კონფერენციისათვის შემუშავებულ კონცეფციას დავუბრუნდეთ...

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი კონცეფციის გასავრცელებლად საქართველოს მთავრობის მხრიდან გამოიყენებოდა ყველა შესაძლო პლატფორმა, მას ოფიციალური დეპეშებით, კერძო საუბრებში აგიტაციას უწევდნენ ქართველი დიპლომატებიც. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სა-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1880, აღ. 1, საქ. 152, ფურც. 8.

ქართველოს წარმომადგენლების – კ. გვარჯალაძის, ზ. ავალიშვილისა და დ. ღამბაშიძის მიერ ორგანიზებული ინტენსიური საქმიანობა პარიზის კონფერენციამდე როგორც ზემოთ მოტანილი კონცეფციის გასავრცელებლად, ისე საქართველოს მთავრობის მიზანგანზრახულობათა პოპულარიზებისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ ლონდონიდან, სადაც ისინი ჩავიდნენ უკვე 1919 წლის 2 იანვარს, პარიზის კონფერენციის გახსნამდე თითქმის ორი კვირით ადრე, გაშალეს აქტიური დიპლომატიური საქმიანობა. ისინი დაუკავშირდნენ ინგლისის საგარეო ურთიერთობის სამინისტროს წარმომადგენლებს, იყო მცდელობა დაკავშირებოდნენ ლონდონში იაპონიის დიპლომატიურ მისიასაც კი – როგორც ჩანს მათი მიზანი იყო იაპონიას ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ქართველი დიპლომატების ამ „სამეულის“ საქმიანობიდან განსაკუთრებით გამოვყოფდით ურთიერთობას ინგლისელ დიპლომატთან სერ ლუი მალეტისთან. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში შემონახულ ოფიციალურ დოკუმენტებშია მითითებული, ქართული დიპლომატიის ამ „სამეულს“ ეს ურთიერთობა უფრო ადრეც ჰქონიათ დაწყებული. მათი პირველი კონტაქტები თარიღდება უკვე 1918 წლის ოქტომბრით – ე.ი. I მსოფლიო ომი ჯერ არ იყო დასრულებული და პარიზის საზავო კონფერენცია ჯერ არც კი იგეგმებოდა. შემდეგ, უკვე 1919 წლის 1 იანვარს ქართველი დიპლომატები კვლავ უგზავნიან მას წერილს. ამ წერილის მიზანი იყო ინგლისელ დიპლომატს უზრუნველეყო დიდი ბრიტანეთის მთავრობის კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ.

ამ წერილში ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია არა მარტო ქართველი დიპლომატების საქმიანი ტონი, არამედ გარკვეული პრინციპული კატეგორიულობაც – „ჩვენთვის არ არის მთავარი, რომ ჩვენ დაშვებულნი ვართ სამშვიდობო კონფერენციაზე, რაც ხაზგასმულია საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე 18 დეკემბერს გამოგზავნილ წერილში... საქართველოს მთავრობამ კარგად იცის, რომ შეუძლია თავისი სურვილები დააფუძნოს ყველა ხალხის წმინდათაწმინდა უფლებებზე – აირჩიონ თავისუფალი მართვის

ფორმა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, რაც აღიარებულია მოკავშირე ქვეყნების მიერ“[1].

წერილის დასკვნით ნაწილში კი ხაზგასმულია: „დელეგაცია იმედოვნებს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა ცნობს საქართველოს „დე ფაქტოდ“ და გახსნის თავის წარმომადგენლობას თბილისში, ხოლო საქართველოს წარმომადგენლობას – ლონდონში“.

ამრიგად, საქართველოს მთავრობის ჩართულობით დიპლომატიურმა სამსახურმა შეიმუშავა სახელმწიფოებრივი კონცეფცია, რომელიც საქართველოს ოფიციალურმა დელეგაციამ ჩაიტანა როგორც პარიზში, ისე ლონდონში. მისი მთავარი მიზანი იყო საქართველოს ხელისუფლების რეაბილიტაცია ქართულ-გერმანულ-თურქული თანამშრომლობის გამო, საქართველოს „დე ფაქტოდ“ ცნობა „ანტანტის“ ლიდერების მხრიდან და მათი სახელმწიფოების დედაქალაქებში საქართველოს წარმომადგენლობის ოფიციალური გახსნა.

§4. საქართველოს დელეგაციის მრავალმხრივი საქმიანობა

როგორც ჩანს, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას სერიოზული დაბრკოლებების გადალახვა მოუწია. ეს დაბრკოლებები იმდენად მასშტაბური და თვალშისაცემი იყო, რომ პროფ. ო. ჯანელიძემ მათი საქმიანობა „ყრუ კედლის განგრევას“-აც კი შეადარა[2].

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, აღ.1, საქ. 55, ფურც.12.

[2] ო. ჯანელიძე, საქართველო და პრიზის სამშვიდობო კონფერენცია: ყრუ კედლის შენგრევა. „პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ https://gfsis.org.ge/ge/publications/view/3414 გვ. 215.

აი, როგორ იგონებდა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. ჩხეიძე პარიზში მათი საქმიანობის პირველ დღეებს: „აქ ჩამოსვლისთანავე გავეცანით აქაურ მდგომარეობას. მაშინვე შევუდექით ჩვენს საქმეს. ვინახულეთ აქაური პარტიების გამოჩენილი წარმომადგენლები. ვნახეთ სოციალისტები: ალფრედ ტომა, კაშენი, გედი, ლაფონი, მუტიე და სხვ. მიგვიპატიჟეს და შეგვპირდნენ ყოველმხრივ დახმარებას. რადიკალებიდან ვინახულეთ ფრანკლინ ბულიონი (საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე), ბრიანი (საფრანგეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი – ა.დ.), ვივიანი, პარლამენტის თავმჯდომარე დეშანელ და სხვ. ყველა სიმპათიებით მოგვეპყრო.“[1]

ამრიგად, სახეზეა ინტენსიური და მიზანმიმართული მუშაობა, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ნ. ჩხეიძის მიერ ჩამოთვლილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეები იმჟამად ჯერ კიდევ არ ქმნიდნენ საფრანგეთის პოლიტიკას და მათ მხარდაჭერას, „სიმპათიის გამოხატვას“, „შეპირებულ ყოველმხრივ დახმარებას“ საქართველოს საქმის წინ წაწევაში ქმედითი და რეალური დახმარების შესაძლებლობა, ფაქტობრივად, არა ჰქონდა.

როგორც წერილიდან ირკვევა, ამას, თვითონაც ძალიან მალე მიხვდა ნ. ჩხეიძე და ხაზგასმით გამოთქვამს წუხილს: „საფრანგეთი... პატარა ეროვნების საქმეს არ უყურებს საზოგადოდ კარგად. საფრანგეთს სურს ადადგინოს რუსეთი ძველ ფარგლებში.“[2]

უკვე მაისის თვეში ეს ეჭვები საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს ჯანსაღ სკეპტიციზმში გადაეზარდა და მწუხარებით აღნიშნავდა: „გადაჭრილათ და გარკვეულათ შეუძლებელია გარკვეულად რაიმე ვთქვათ, თუ რა ბედი მოელის ჩვენს საკითხს, როდის იქნება დასმული, ან რა კონკრეტულ პირობებში, რომელ სხვა საკითხებთან იქნება

[1]საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2115, აღ.1, საქ. 20, ფურც.1.

[2] იქვე.

პირდაპირ დაკავშირებული... (დოკუმენტის სტილი დაცულია – ა.დ.).“[1]

პარიზის კონფერენციაზე არსებული სიძნელეები გამომდინარეობდა მსოფლიოში იმჟამად შექნილი არაორდინალური ვითარებიდან, როცა აგრესიული ქვეყნების ერთმა ჯგუფმა – „ანტანტამ“, თავისი ულევი რესურსების დახმარებით, შეძლო გერმანიის სამხედრო ბლოკის დამარცხება და მსოფლიოში თავისი „ახალი წესრიგის“ დამკვიდრება დაიწყო. გამარჯვებულის პოზიციებიდან „ანტანტის“ ლიდერები (რა თქმა უნდა რუსეთის გარეშე) უკვე აკანონებდნენ მსოფლიოში ისეთ საერთაშორისო წეს-განრიგს, რომელიც მთლიანად შეესაბამებოდა მათი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს და, მშვიდობისმოყვარე ფრაზეოლოგიის საფარქვეშ, ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე, მსოფლიოს რუკას „ჭრიდნენ და კერავდნენ“ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამ პროცესებში, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ყველა ერთნარი გავლენით არ ისარგებლებდა, ყველა „პირველი ვიოლინო“ არ იქნებოდა და ამ შემთხვევაში გამორჩეული მდგომარეობა ეკავათ იმ ქვეყნების ლიდერებსა და მათ პოლიტიკურ შეხედულებებს, რომლებმაც მთავარი და განმსაზღვრელი როლი შეასრულეს ამ სანუკვარი გამარჯვების მიღწევის საქმეში.

ეს პოლიტიკური ლიდერები პარიზში ყოველგვარი მორიდების გარეშე ახორციელებდნენ ამ გამარჯვების რეალიზებას, რა თქმა უნდა, რევანშიზმისა და გერმანული ბლოკის სახელმწიფოებისათვის მაქსიმალური სასჯელის დაკისრების პოზიციებიდან.

ამ წამყვანი ქვეყნების (საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი) ლიდერების შემდეგ საფრანგეთის დედაქალაქში, როგორც ზემოთაც კარგად დავინახეთ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული იყო უამრავი დელეგაცია, ბევრი მათგანი მხოლოდ სიმბოლურად მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, მაგრამ ყველა ცდილობ-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2115, აღ.1, საქ. 21, ფურც. 1.

და მსოფლიოს „ახალი წესრიგის“ შემუშავებაში, ტერიტორიების გადანაწილებაში რაიმე როლი შეესრულებინა, ყველა თავისი ქვეყნისათვის გამორჩეული, ან თუნდაც უმნიშვნელო დივიდენდის მიღებას ვარაუდობდა.

საქართველოს სახელწიფო დელეგაციის წევრები თავიდანვე გაორებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველო ჩაბმული იყო ამ ომში და საკმაოდ დიდი მსხვერპლიც გაიღო მსოფლიო ომის ფრონტებზე და, აქედან გამომდინარე, სამართლიანობის პირობებში, თავისი პრობლემების პოზიტიურად გადაჭრისა და ამ საქმეში „ანტანტის“ ქვეყნების ლიდერების დახმარების იმედები ქართულ მხარეს ობიექტურად უნდა ჰქონოდა; მაგრამ, მეორე მხრივ – ბოლშევიკური გადატრიალების, ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტული ზავის, კავკასიის ფრონტის რღვევის და თურქეთ-გერმანიასთან ხანმოკლე, მაგრამ მაინც სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური თანამშრომლობის ფაქტები, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ზემოთ, მათ არ აძლევდათ საშუალებას უფრო თამამად ემოქმედათ და თავისი ქვეყნისათვის დიდი შედეგების მიღწევები დაეანონსებინათ.

ასეთი რთული სიტუაციის მიუხედავად, საქართველოს დელეგაციის საქმიანობის ჩამონათვალი მაინც ძალიან შთამბეჭდავია და მიუთითებს, რომ დელეგაციის წევრები კონფერენციაზე შექმნილი ობიექტური ვითარების გათვალისწინებით აკეთებდნენ შესაძლებლობის მაქსიმუმს.

ჩვენ ვნახეთ, რომ კონფერენციის გახსნამდეც საქართველოს ორივე წარმომადგენლობა აქტიურ საქმიანობას ეწეოდა როგორც პარიზში, ისე ლონდონში. ეს საქმიანობა კი მოიცავდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საქმიანობის ფართო რაკურსს.

პარიზის კონფერენციაზე დელეგაციის წევრები სისტემატურად იკრიბებოდნენ თათბირებზე, ჰქონდათ დებატები, აზრთა ურთიერთგაზიარება. შემორჩენილია ასეთი თათბირების სხდომის ოქმების ჩანაწერები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ ამ საქმიანობის უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. საქართველოს დელეგაცია მაქსი-

მალურად ცდილობდა, რომ უცხო სახელმწიფოთა ლიდერების წინაშე მოეხერხებინათ საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა, მიეღწიათ საქართველოს „დე ფაქტო“ და “დე იურე“ აღიარებისათვის.

ასეთი თათბირები, როგორც წესი, თბილისთან სისტემატური კონტაქტის პირობებში მიმდინარეობდა, თუმცა კომუნიკაციებისა და სატელეფონო კავშირების ხშირი პრობლემები ყოველთვის არ იძლეოდა ნაყოფიერი თანამშრომლობის საშუალებას და დელეგაციის წევრებს ხშირად უხებოდათ იმპროვიზირება, თავის მოქმედებებში უფრო მეტი დამოუკიდებლობის გამოვლენა, გადაწყვეტილების მიღება შექმნილი ვითარების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

როგორც დასტურდება, საქართველოს დელეგაციის წევრები მოქმედებდნენ როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურადაც. მაგალითად, არის ფაქტები ირ. წერეთლის პირადი მოლაპარაკების შესახებ სიმსონთან[1], კ. გვარჯალაძის – დე ლა ტურიტისთან (იტალიის წარმომადგენელი), ნ. ჩხეიძის შეხვედრა-საუბარი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრთან[2] და ა.შ.

საქართველოს დელეგაციის მთავარი ამოცანა იყო ობიექტურად და საქმის ცოდნით შეედგინათ დიპლომატიური თვალსაზრისით გამართული დოკუმენტები (მემორანდუმი, ნოტა, დემარში, წარდგინება და ა.შ.) და დროულად მიეწოდებინათ (გაეგზავნათ) ისინი მსოფლიო სახელმწიფოების დელეგაციის ხელძღვანელებისათვის.

გარკვეულ ეტაპზე საქართველოს დელეგაციამ შეიმუშავა მეტად საინტერესო დოკუმენტი: „საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის მოხსენება“, რომლის მთავარი მიზანი იყო სწორედ კონფერენციის დელეგაციებისათვის საქართველოს ისტორიისა და მისი თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა-წარდგინება, მათთვის რეგიონში შექმნილი ვი-

---

[1] ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ. 1, საქ. 55, ფურც. 87.

თარების საკუთარი ანალიზის გაცნობა და იმის ინფორმირება, თუ არსებული მდგომარეობა რა ზეგავლენას ახდენდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალიებზე, მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ა.შ. ეს დოკუმენტი პირველად სრულად გამოაქვეყნეს ა. და პ. სურგულაძეებმა.[1]

ეს დოკუმენტი მრავალი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და, ამიტომაც, ჩვენ შემოგთავაზებთ მის მოკლე შინაარსს. მოხსენება დაყოფილია თავებად. პირველ თავში – „ისტორიული მიმოხილვა“, გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან. მოთხრობილია ქართველთა მიერ ქრისტიანობის მიღების შესახებ, საუბარია საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებაზე და მოცემულია მისი ისტორიის ე.წ. „ოქროს ხანის“ ვრცელი დახასიათება. ძალიან ვრცლად არის გადმოცემული ბიზანტიასთან ურთიერობა, ხოლო ამ სახელმწიფოს დაცემის შემდეგ – ხაზგასმულია ევროპასთან ტრადიციული მჭიდრო კავშირების გაწყვეტის შესახებ, სპარსეთისა და თურქეთის პერმანენტული აგრესიის შედეგებზე და ა.შ.[2]

მეორე თავი – „საქართველო რუსეთის უღლის ქვეშ“, მთლიანად ეძღვნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რაც მოკლე ისტორიით არის წარმოდგენილი. დამოუკიდებლობის დეკლარაციისაგან განსხვავებით ამ დოკუმენტში 1801 წელი უკვე რუსეთის მხრიდან განხორციელებული ანექსიის წელია, თუმცა აღნიშნულია დადებითი მომენტიც: „მიუხედავად ჩაგვრისა, საქართველომ XIX საუკუნის დასასრულს შეძლო მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა ეკონომიკის დარგში, გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი ამიერკავკასიაში“.

მესამე თავი – „საქართველო და მსოფლიო ომი“ ეძღვნება ქართველების წვლილს სხვადასხვა ფრონტზე, წამოწეულია „200 000 ქართველის“ მონაწილეობა „რუსეთთან

---

[1] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 372.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ. 1, საქ. 55, ფურც. 31.

ერთად ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ბრძოლის საქმეში“. ხაზგასმულია, რომ „ქართველებმა უდიდესი ძალისხმევა მოახმარეს რუსეთში რევოლუციური იდეების გაღვივებისა და გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას“. აქცენტირებულია ის გარემოებაც, რომ „ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ საქართველოს დემოკრატიამ, სომხებთან ერთად, სცადა დაეცვა კავკასია თურქებისაგან.“ სრულიად გასაგები მიზეზებით მკაცრად არის გაკრიტიკებული ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და ა.შ..[1]

მეოთხე თავი ეძღვნება „ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და საქართველოს დამოკიდებულებას“. აქაც, ისევე როგორც სხვა დოკუმენტებში, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ „საქართველო იძულებული გახდა გამოყოფოდა რუსეთს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“. ამ თავში ქართული მხარე ცდილობს მოკლედ წარმოადგინოს გერმანიასთან ხანმოკლე ურთიერთობის საკუთარი ინტერპრეტაცია და არის მცდელობა, გაამართლოს ის თურქეთის აგრესიის შეჩერების აუცილებლობით.

მეხუთე თავში მიმოხილულია „დე-ფაქტო“ საქართველოს რესპუბლიკა. მოთხრობილია მისი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების შესახებ, წარმოჩენილია საპარლამენტო ცხოვრება, არის საუბარი ქვეყანაში უკვე ჩატარებული არჩევნების შედეგებზე, დამფუძნებელი კრების მოწვევის გეგმაზეც. ასევე ხაზგასმულია, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მმართველ პარტიას) მხარს უჭერენ არა მარტო მუშები, არამედ საქართველოს გლეხებიც.

მეექვსე თავში გადმოცემულია „დე ფაქტო“ საქართველოს ხელისუფლების მიზნები: 1. დამოუკიდებლობის აღიარება. ეს მოთხოვნა დოკუმენტში დასაბუთებულია ისტორიული ფაქტებით, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობებით, გეოსტრატეგიული ინტერესებით. აქვე ადგილი აქვს დათმობილი საზღვრების საკითხს და მოცემულია კონსტატირება იმისა, რომ საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ. 1, საქ. 55, ფურც. 34(ა).

ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის მიეკუთვნებოდა ქართველ ხალხს, მაგრამ რომელნიც გარკვეული დროის მანძილზე შედიოდნენ სხვა პოლიტიკურ ერთეულების შემადგენლობაში, ხოლო ახლა „მათი შემოერთება ჩვენს საზღვრებში არ მოუტანს არავითარ ზიანს მეზობელ ხალხებს“.[1]

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება შენიშვნა, რომელიც ამ ოფიციალურ დოკუმენტშია დაფიქსირებული – საქართველო არ ითხოვს ტერიტორიებს, რომელიც მას ეჭირა თავის აყვავების პერიოდში, არამედ ის უარზეა იმ ტერიტორიებისაც კი, რომელიც მას ეკავა 1801 წელს და რომლებიც უკვე საჭირო გახდნენ მისი მეზობლებისათვის.[2]

ამ შემთხვევაში დოკუმენტში არ არის დასახელებული ტერიტორია, რომლებიც „საჭირო გახდნენ მისი მეზობლებისათვის“, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია რა იგულისხმება ამ ფრაზაში, სამაგიეროდ ამავე თავში მეტად ზოგადად არის განსაზღვრული საქართველოსათვის სასურველი ტერიტორიები, რომელზეც საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას აქვს პრეტენზიები: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმისა და ზაქათალის მაზრები, ბათუმის ოლქი, ყარსის ოლქის ორი დასავლეთის ოლქი და ტრაპიზონის ვილაეთი. გამორჩეულად არის მოთხოვნილი ლაზისტანის საქართველოსთვის გადმოცემის აუცილებლობა. დოკუმენტში მითითებულია, რომ სათანადო რუკა და ახსნა-განმარტების ბარათი ოფიციალურ დოკუმენტს თან ერთვის (დელეგაციის მიერ პარიზის საზავო კონფერენციისათვის მომზადებულ საზღვრების ჩამონათვალს და მათ გარშემო განვითარებულ მოვლენებს ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით).

ამრიგად, პარიზის საზავო კონფერენციაზე ოფიციალურად წარდგენილი დოკუმენტი საკმაოდ სრულად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის მოკლე ისტორიას, მის წვლილს I მსოფ-

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ. 1, საქ. 55, ფურც. 36.

[2] იქვე.

ლიო ომის ფრონტებზე, მის სურვილს გახდეს დამოუკიდებელი და აღიარებული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობების მიერ.

ამ ძირითადი, ფუნდამენტური დოკუმენტის პარალელურად, დელეგაციის წევრებმა შეიმუშავეს სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომლებსაც პერიოდულად უგზავნიდნენ პარიზის კონფერენციის დელეგაციების ხელმძღვანელებს და რომელშიც ჩანს მცდელობები – მიეღწიათ საქართველოს კანონიერი უფლებების მხარდაჭერისა და მისი დამოუკიდებლობის აღიარებისათვის ზემოთმოტანილი ძირითადი ტექსტის მოთხოვნების საფუძველზე.

შემუშავებულ და გაგზავნილ დოკუმენტებს შორის გამოირჩევა კონფერენციის ხელმძღვანელებისადმი საქართველოს დელეგაციის 1919 წლის 29 აპრილის მიმართვა, რომელსაც ხელს ნ. ჩხეიძე აწერდა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საქართველოში უკვე ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელმაც დაამტკიცა „დამოუკიდებლობის აქტი“ და ახლა ჯერი კონფერენციის ხელმძღვანელებზეა, რომ მათ „ოფიციალურად ცნონ საქართველოს რესპუბლიკა“.[1]

1919 წლის 24 მაისს საქართველოს დელეგაციამ კვლავ გაიმეორა თავისი მიმართვა საქართველოს ოფიციალურად ცნობის აუცილებლობის შესახებ.

უკვე მეორე დღეს საქართველოს დელეგაციამ დამატებით კიდევ გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციების ხელმძღვანელებს ოფიციალური წერილი, რომელშიც კვლავ ითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

1919 წლის 14 ივნისს საქართველოს დელეგაციამ კონფერენციის თავმჯდომარეს, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელებს გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის ხელმოწერილ ნოტა, რო-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ. 1, საქ. 55, ფურც. 44.

მელშიც უკვე საუბარი იყო 1919 წლის ზაფხულისათვის სამხრეთ კავკასიაში შექმნილ საგანგაშო ვითარებაზე, რაც გამოიწვია გენერალ დენიკინის შეიარაღებული დაჯგუფების გააქტიურებამ ჩრდილოეთ კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. ამ ნოტაში ქართული მხარე ცდილობდა დაერწმუნებინა ევროპის სახელმწიფოების ხელმძღვანელები, რომ „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენის მოსურნე რუსი გენერალი თავისი ტერიტორიული პრეტენზიებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის.

აღნიშნულ ნოტაში ასევე ხაგასმით იყო საუბარი დენიკინის მცდელობებზე, დაეკავებინა აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის გადაწყვეტილებით სრულიად სამართლიანად არის საქართველოს შემადგენლობაში.[1]

25 ივნისს საქართველოს დელეგაციის წევრებმა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლობაში გაგზავნილ ოფიციალურ წერილში დაადასტურეს უდიდესი კმაყოფილება „ანტანტის“ სამხედრო შენაერთების მიერ სამხრეთ კავკასიის გარკვეული ნაწილის დაკავებასთან დაკავშირებით. თუმცა, აქვე საჭიროდ ჩათვალეს გაფრთხილება, რომ „ჩამოსულმა ადამიანებმა (იგულისხმება მოკავშირეების სამხედრო კონტინგენტი – ა.დ.) კარგი იქნება, აუცილებლობის შემთხვევაში, მკაცრად დაიცვან ქვეყნის თავისებურებებით გამოწვეული გარკვეული პირობები“. ეს შენიშვნა აშკარად მიანიშნებს, რომ ქართულ მხარე „კმაყოფილების“ ოფიციალური აფიშირების ფონზე, რაღაცით მაინც უკმაყოფილო იყო.

1919 წლის 28 ივლისს საქართველოს დელეგაციამ კლემანსოს, ბალფურს, დანსინგს და უცხო სახელმწიფოთა დელეგაციების ხელმძღვანელებს გაუგზავნა დეპეშები ჩრდილოეთ კავკასიაში „დენიკინის პრობლემების“ გააქტიურებასთან დაკავშირებით. საქართველოს დელეგაცია ამ შემთხვევაში ევროპის წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელები-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ. 1, საქ. 55, ფურც. 54.

საგან მოითხოვდა რუსი გენერლის „ზედმეტი აქტივობების გამო“ სათანადო რეაგირებას. აქვეა გაცხადებული ქართული მხარის მეტად სამათლიანი პოზიციაც – მაშ რატომ დგანან მოკავშირეთა ჯარები ამიერკავკასიაში, რომლებსაც ჩვენ მეგობრულად შევხვდით, ითხოვენ კავკასიის მიმდინარე საქმეებში ჩარევას და მათი ინტერესების გათვალისწინებას“.[1]

ამრიგად, პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია, როგორც ერთად, ისე ცალკ-ცალკე, ინტენსიურ საქმიანობას ეწეოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კონცეფციის დისიმინაციისათვის და დასახული მთავარი ამოცანების – საქართველოს „დე-ფაქტო“ და „დე-იურე“ აღიარებისათვის.

§5. საქართველოს საზღვრების პრობლემა

პარიზის საზავო კონფერენციაზე, დამარცხებული „სამთა კავშირის“ ბლოკთან რეპარაციების ოდენობის, სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად, განიხილებოდა ამ დამარცხებული და უმეტესწილად უკვე დაქუცმაცებული იმპერიების ნაცვლად ახალი პოლიტიკური ერთეულების გამოყოფის, მათზე მზრუნველობის („მანდატის“) შესაძლო მიღების, ახალი პოლიტიკური წარმონაქმნების ტერიტორიული კონფიგურაციის საკითხებიც. ამიტომაც კონფერენციაზე მიწვეულ სახელმწიფოთა დელეგაციების დიპლომატიურ პორტფელებში მოთხოვნილი ახალი საზღვრების შესახებ არგუმენტები, დასაბუთებები და ახალი რუკებიც ინახებოდა.

მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ იგეგმებოდა უნგრეთის, ჩეხეთის, სლოვაკიის, ხორვატიის ტერიტორიული მოწყობის საკითხები. რუსეთის იმ-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ. 1, საქ. 55, ფურც. 54.

პერიის ნანგრევებზე იქმნებოდა პოლონეთის, ბალტიისპირეთის, სამხრეთ კავკასიის ახალი სახელმწიფოები, რომლებიც გამარჯვებული ქვეყნების ხელმძღვანელებისაგან „დეიურედ“ აღიარებას მოელოდნენ და, აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა ამ დელეგაციას ჰქონდა ახალი საზღვრების კონფიგურაციის დამადასტურებული დოკუმენტები.

ასეთი დოკუმენტი ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციასაც, რომლის დადასტურებასაც ის მოელოდა პარიზის კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან. ეს დოკუმენტი სრულად გამოქვეყნდა 1991 წელს, თუმცა, ჩვენი აზრით, გარკვეული ხარვეზებით, რის გასწორებასაც ჩვენ ქვემოთ შევეცდებით.[1]

დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას სრულად მოვიტანთ და შემდეგ მის ანალიზსაც შემოგთავაზებთ.[2]

დოკუმენტი რუსულ ენაზეა შედგენილი და მოიცავს მანქანაზე ნაბეჭდ ხუთ გვერდს, საიდანაც ორი – უშულოდ საზღვრების აღწერაა, ხოლო სამი – ამ საზღვრების დასაბუთება.

დოკუმენტს ჰქვია „საქართველოს საზღვრები – აღწერა“.

„საქართველოს ტერიტორიული საზღვარი იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს, მდინარე მაკოპსეს სათავეებთან, რაც მდებარეობს დაახლოებით 14 კილომეტრზე ქალაქ ტუაპსეს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

გაუყვება რა მდინარე მაკოპსეს ზემოდინებას, საზღვარი გადის მთაზე ფსეუტკო (დედანში ასეა, სურგულაძეებთან არის ფსეუშკო. – ა.დ.), საიდანაც გამოედინება ეს მდინარე და საიდანაც განაგრძობს გზას გარკვეული დროის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით მთის ქედის მწვერვალისაკენ, რომელიც გამოეყოფა რა კავკასიის მთავარ ქედს, წარმოადგენს წყალგამყოფს ტუაფსესა და აშერეკს (სურ-

[1] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 380.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, საქ. 48, ფურც. 39-40.

გულაძეებთან არის „აშე“. – ა.დ.) შორის, რომელიც ჩაედინება შავ ზღვაში.

ჩრდილოეთიდან საქართველო შემოსაზღვრულია კავკასიონის მთავარი ქედით, რომელიც უწყვეტი ჯაჭვივით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით ადაი-კოხის მასივისაკენ.

ადაი-კოხიდან საზღვარი გადაკვეთს არდონს ყარსის ხევის (ნაკადულის მახლობლად, რომელიც ცნობილია, როგორც ნაკადული თაზანტი) და განაგრძობს სვლას კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთით, გაივლის რა სიმაღლეს თეპლი (არხონის მასივი) და ყაზბეგს.

ამ სიმაღლეზე საზღვარი მიემართება ჩრდილოეთით, გაივლის რა ჩას-კოხის მთებს და კაიჯანს (სურგულაძეებთან არის „კაიდჯან“, დედანშია «Каиджан» – ა.დ.) და გადაკვეთს თერგს 5 კილომეტრზე, დაახლოებით ჩრდილოეთით სადგურ ლარსიდან, პატარა სოფელ ოზმის მოპირდაპირედ, რომელიც მდებარეობს მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

თერგის მარჯვენა ნაპირიდან საზღვრი მიემართება თერგის პატარა მდინარის არკმეხის გაყოლებით, სოფელ ლიოჟამდე (სურგულაძეებთან „ლიადჟა“, დედანშია – Лиожи – ა.დ.), აქ საზღვარი კვლავ მიემართება სამხრეთისაკენ, გაივლის რა სიმაღლეებს განთავსებულთ მდინარე არხმას მარცხენა ნაპირზე (არკმეხის შენაკადი) მთა მალჩოჩე-ნორტამდე (სურგულაძეებთან – „მალჩოჩე კორტი“, დედანში „Малчоче-Норт“ – ა.დ.).

აქედან საზღვარი განაგრძობს მსვლელობას სამხრეთ-აღმოსავლეთით კავკასიონის მთავარი ქედის გაყოლებით, მთა ყარა-კალამდე, რომელიც თანხვედრაშია ძველ საზღვართან, ერთი მხრივ, ტიფლისის გუბერნიასა და, მეორე მხრივ, თერგის ოლქსა და დაღესტანს შორის.

შემდეგ, საქართველოს საზღვარი, მიუყვება რა ზოგად კონტურებს ზაქათალას ოკრუგისა და ნუხის მაზრის ძველ საზღვრებს, მიემართება სამხრეთისაკენ და გადის მდინარე კატკა-ჩაის მდინარებაზე, რომელიც აგრა-ჩაის შენაკადია, რომლის მდინარებას მიუყვება მის შეერთებამდე ალაზანს.

კავკასიის მთავარ ქედზე ყარა-ყალას მთამდე (სურგულაძეებთან – ყარა-კაის მთა, დედანში Кара-Кала“-ა.დ.) გა-

უყვება ტფილისის გუბერნიის ძველ საზღვარს, ერთი მხრივ, ისე თერგის ოლქისა და დაღესტნის საზღვარს – მეორე მხრივ.

აქედან საზღვარი, მიემართება რა სამხრეთ-აღმოსავლეთით (სურგულაძეებთან -აღმოსავლეთში, დედანშია - „юго-востоку“ – ა.დ.), რომელზედაც ის წარიმართება ჩრდილო-დასავლეთით, დინების გაყოლებით, სანამ არ შეუერთდება მდინარე ხრამს. ამის შემდეგ, საქართველოს საზღვარი, რომელიც მიემართება ბორჩალოს (ტიფლისის გუბ.) და ყაზახის (ელიზავეტოპოლის გუბ.) მაზრებს შორის არსებულ ძველ საზღვრებს, გადაივლის წინა კავკასიონის მთების პატარა ქედს, რომელიც წარმოადგენს წყალგამყოფს დებედგაზსა (სურგულაძეებთან – დებედა-ჩაი“ – ა.დ.) და აღსტაფას ზედაწელებს შორის (მთა ზიქატარი (სურგულაძეებთან „მთა ზაქათალა“, დედანშია „Зикатар“ – ა.დ.) , მთა ჩათინ-დაგი, მთა სოუკ ბულაგი) და ამრიგად მიემართება საკმაოდ შესამჩნევად ჩრდილოეთისკენ – მთა ბეშე-კეტჩეკ-მასის სამხრეთით (სურგულაძეებთან – „შეშკეჩემას მთა“, დედანში „Беше-Кетчема“- ა.დ.)“.

აქედან მოყოლებული, საზღვარი მიემართება საერთო მოხაზულობით თბილისისა და ერევნის გუბერნიებს შორის არსებულ საზღვარს, მიემართება რა ჩრდილო-დასავლეთით და გადაკვეთს მდინარე ბამბაკს, სადგურებს შაგალსა და კარაკლისს შორის, შემდეგ გაუყვება ბეობდელის (სურგულაძეებთან – „ბესობდალის“ – ა.დ.), რომელიც ჩრდილო-დასავლეთით კარაკაშისა და დეგლიდაგის მთების მეშვეობით ეფუძნება სველი მთების ჯაჭვს.

ლეგლი-დაგიდან დაწყებული, საზღვარი მიემართება დასავლეთით მედატაპანის მთების გაყოლებით, რომლებიც მდაბარეობენ ამავე სახელწოდების (სურგულაძეებთან – „მედიტეპანის ტბა“ – ა.დ.) ტბის სამხრეთით და აგრძელებს მსვლელობას უჩ-ტაპალარამდე, საიდანაც ის უხვევს სამხრეთით, რომ შემოუაროს ტბა ჩალადირს, გაივლის რა ალეკ-ბაბასა და კისირ-დაგის სიმაღლეებს, არდაგანისა და ყარსის ოკრუგების ყოფილი საზღვრების გაყოლებით.

დაწყებული ყასირ-დაგიდან, საქართველოს საზღვარი, მიემართება რა სამხრეთ-დასავლეთვით ტერიტორიისაკენ, რასაც ქმნის წყალგამყოფი მტკვარის ზედაწელის (საქართველოს ტერიტორია) და არაქსის ზედაწელის (სომხეთის ტერიტორია) მიმართულებით. საზღვარი გადის მთებს ბუღატაფა, კობახ-ტაპასა და კოპს შორის, შემდეგ სოღანლუღის (სურგულაძეებთან – „სოღნანლუღი“ – ა.დ.) ქედზე, რომელიც გამოჰყოფს ჭოროხის ბასეინს არაქსისაგან, მიემართება რუსეთ-თურქეთის ყოფილი საზღვრის გასწვრივ.

თურქეთის ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვარი, მიემართება რა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, მიემართება ჩახირ-ბაბას ქედზე, რომელიც წარმოადგენს წყალგამყოფს არაქსის და ოლტი-ჩაის (ჭოროხის შენაკადი) ზედაწელს შორის.

მთა ოსკონიდან (სურგულაძეებთან – „მთა ოსკანი“ – ა.დ.) მოყოლებული, საზღვარი გრძელდება დუმლუდაღის ქედის დასავლეთით – მთა კაზან-ბაშისა (სურგულაძეებთან – „კაზანბაჩი“) და კორტიკ დაგის მიმართულებით, საზღვარი ჩრდილოეთიდან აუვლის მდინარე ზედა ჭოროხს, რომელიც რჩება მის ფარგლებს გარეთ და რომელსაც ის გადაკვეთს ზემოთ, ისპირამდე, რომელიც კილისაკალუს მონასტრის ცოტა დასავლეთით მდებარეობს, რაც სოფელ მოდენისთანაა (სურგულაძეებთან – „მადნამდე“ -ა.დ.).

ჭოროხის მარცხენა ნაპირზე საზღვარი წარიმართება ჩრდილოეთით პატარა ქედის გაყოლებით, რომელიც გამოყოფილია ლაზისტანის პონტიური ჯაჭვისაგან (მთა კაშიშკაი), აღწევს რა ამით პონტიურ ჯაჭვს, ის გაუყვება მას გარკვეული დროს მანძილზე დასავლეთით იმ ადგილისაკენ, რომელსაც კარიკლიარის მთები (სურგულაძეებთან – „კირკლიარი“ – ა.დ.) ეწოდებათ და მიემართება ლაზისტანის სინჯიყის საზღვრის გაყოლებით (თურქეთის ტერიტორია), მიემართება რა ჩრდილოეთისკენ, რათა მიუახლოვდეს მდინარე კალაპოტამოსის ნაპირებს, რომელიც რიზესა და ხოფს

შორისაა შავ ზღვაზე, რომელიც აკრავს საქართველოს მდინარე მაკოპსეს სათავეებთან“.[1]

საქართველოს საზღვრების აქ წარმოდგენილ ჩამონათვალს თან ერთვის „განმარტება“, რომელშიც საზღვრების შემმუშავებელი ავტორები ცდილობენ განსაზღვრონ და დაასაბუთონ საზღვრების ანაწერში მოტანილი გეოგრაფიული კოორდინატები. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტურების შემმუშავებელი ავტორები ამტკიცებენ, რომ „მიწები, რომლებიც მომავალში შეადგენენ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიას, შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

1. ტერიტორიები, რომლებიც გახდნენ რუსეთის იმპერიის გუბერნიები საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ. და შემდეგ);

2. საქართველოს ტერიტორიები, რომლებიც თურქეთმა დაუთმო რუსეთის იმპერიას ადრიანოპოლის (1929 წ.) და ბერლინის (1878 წ.) ხელშეკრულებებით;

3. ზოგიერთი მიწა, რომელიც შედის ოსმალეთის იმპერიაში და რომლებიც როგორც ისტორიული, ისე ეთნიკური თვალსაზრისით წარმოადგენენ უპირატესად ქართულს. ისინი წარმოადგენდნენ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს ორგანულ ნაწილს საქართველოს დაქუცმაცებამდე. ისინი მოგვიანებით დაიპყრო და დაიმორჩილა თურქეთმა, და თუმცა ისინი კი გაამაჰმადიანა, მოსახლეობამ შეინარჩუნა თავისი ეთნიკური ნიშნები და წარმოადგენს საქართველოსთან მკვეთრად შესამჩნევ ერთიანობას.“[2].

ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მე-3 პუნქტთან დაკავშრებით, გვაქს მოსაზრება, რასაც ქვემოთ, სათანადო ადგილზე, წარმოვადგენთ.

შემდეგ, „განმარტების“ ავტორები ძირითადად ეხებიან საქართველოს სამეფო-სამთავროების ტერიტორიულ საზღვრებს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე,: „საქართვე-

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, საქ. 48, ფურც.40.

[2] იქვე, გვ. 41.

ლოს ნაწილები, რომლებიც ინარჩუნებდნენ თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას რუსეთთან მათ შეერთებამდე: ქართლისა და კახეთის გაერთიანებული სამეფო, იმერეთის სამეფო, სამთავროები სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის, არაფერს ვამბობთ სხვა, უფრო მცირე მნიშვნელობის მიწებზე“[1].

შემდეგ ტექსტის ავტორები ასევე დეტალურად განმარტავენ, თუ რა სახე მიიღო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დამოუკიდებელი საქართველოს სამეფო-სამთავროებმა, რომლებიც გუბერნიებად ჩამოყალიბდნენ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „განმარტების“ ავტორებს არ ავიწყდებათ (და ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს), რომ ყველა ის ტერიტორიული მონაპოვარი, რომელიც რუსეთმა XIX საუკუნეში თავის იმპერიას შეუერთა სამხრეთ კავკასიაში და თურქეთს სხვადასხვა ბრძოლაში წაართვა, ეფუძნებოდა იმ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას, რაც გააფორმეს 1783 წელს გეორგიევსკში ერეკლე II და ეკატერინე II. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „ეს უკანაკნელი (იგულისხმება რუსეთის იმპერია – ა.დ.) ვალდებულებას იღებდა, თუკი შეძლებდა მათ წართმევას (იგულისხმება – საქართველოს ისტორიული ტერიტორიები – ა.დ.), „დაებრუნებინა ისინი საქართველოსათვის“.

„განმარტებაში“ განსაკუთრებული აქცენტი აქვთ გაკეთებული ზაქათალის ოკრუგზე, რომელზე საუბრისას ხაზგასმულია შემდეგი: „ზაქათალის მაზრა, რომელიც ყოველთვის შეადგენდა კახეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილს, მას ჩამოცილდა ამ სამეფოს დასუსტებისთანავე, სპარსეთთან ომიების დროს – XVII საუკუნეში და ამის შემდეგ ნაწილობრით იქნა დაკავებული სხვადასხვა წარმომავლობის ემიგრანტების მიერ“.

ამ შემთხვევაში სახეზეა პრეტენზია ზაქათალის მაზრაზე, თუმცა არის აღიარება იმისა, რომ ეს მხარე კახეთის სამეფოს ჩამოსცილდა უკვე XVII საუკუნეში და ამ ტერიტორიაზე ნაწილობრივ ჩამოსახლდნენ სხვადასხვა წარმო-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, საქ. 48, ფურც. 41.

მავლობის ემიგრანტები. ის, რომ დოკუმენტში მისი ავტორები არ აკონკრეტებენ ამ „სხვადასხვა წარმომავლობის ემიგრანტების“ ეთნიკურ კუთვნილებას, ჩვენთვის დამაფიქრებელია. არ არის აქ საუბარი არც ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე (ანუ „ინგილოების პრობლემა“), რაც ავტორების წინასწარგანზრახულობად შეიძლება ჩაითვალოს: თუ ტერიტორიის მოსახლეობა მთლიანად მაჰმადიანური აღმსარებლობით გამოირჩევა, გარკვეულწილად ძნელია ამ ტერიტორიის ქრისტიანული სახელმწიფოს საზღვრებში აუცილებლად მოქცევის თეზისის დასაბუთება.

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა დოკუმენტის ის ნაწილი, რომელშიც საუბარია საქართველოს ისტორიულ მიწებზე, რომლებიც შუა საუკუნეებში შედიოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ქართული სამეფოების შემადგენლობაში, ხოლო მოგვიანებით, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფით, ჯერ გაერთიანდნენ ყაზახის მაზრაში, ხოლო შემდეგ გადანაწილდნენ ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებს შორის. დოკუმენტში აღნიშნულია: „მართალია ისტორიულად ეს სამფლობელოები ქართულია, საქართველო არ ითხოვს ამ მიწებს ზემოთდასახელებული ამ ორ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირების გამო.

დასასრულს დოკუმენტის ავტორები გამოთქვამენ იმედს, რომ წარმოდგენილი საზღვრების კონფიგურაციას არ დასჭირდება დიდი წიაღსვლები დასამტკიცებლად და საკმარისი იქნება მხოლოდ უბრალო პრაქტიკული ჩასწორებები, ისეთი როგორიც განხორციელდა მამისონის უღელტეხილის რაიონში, სადაც სასაზღვრო ხაზის გასწორებამ მოითხოვა ორთოგრაფიული მოსაზრებები, ან თუნდაც როგორც სამხრეთით, თათრეთის რესპუბლიკის (იგულისხმება აზერბაიჯანის რესპუბლიკა) საზღვრებთან, სადაც მდინარე მტკვარი აყალიბებს არაჩვეულებრივ ბუნებრივ საზღვრებს ორივე მეზობელ ქვეყნებთან, იწყება რა ეს ადგილიდან, რომელსაც შეერთვის ალაზანი.

საზღვრების განმარტების ამ ნაწილში მოტანილია საქართველოს შესაძლო საზღვრის ცალკეული მონაკვეთის

განსაკუთრებულობის დასაბუთების არგუმენტები. ამ კონ-ტექსტით იხილავენ ტერიტორიულ მონაკვეთს, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედსა და შავი ზღვის ნაპირებს შორის (ყოფილი შავი ზღვის გუბერნიის საზ-ღვრებში) – ერთი მხრივ და – მეორე მხრივ, ნაწილი პრო-ექტირებადი ტერიტორიისა, რომელიც გადაკვეთს რუსეთ-თურქეთის ყოფილ საზვრებს შორის (1878 წლის შემდეგ) ტრაპიზონის ვილაიეთის ტერიტორიაზე, შავი ზღვის ნაპი-რებთან.

განმარტების ამ ნაწილში ქართული მხარე ადასტუ-რებს იმასაც, რომ თუკი მოხერხდება თავის დროზე რუსე-თის იმპერიიდან თურქეთში ემიგრირებული კავკასიელების უკან დაბრუნება, საქართველო არ შეეწინააღმდეგება ამ მიზნით მათთვის, ჩრდილო კავკასიის მთიელთა სახელმწი-ფოსათვის გადაცემას.

აქვეა დაფიქსირებული მოკრძალებული სურვილი – სა-ქართველოს ტერიტორიას მიუერთდეს ლაზისტანის სანჯაყი (ჭოროხის რაიონში), რაც ისტორიული ქართული ტერიტო-რიაა, რომელიც თურქეთმა ჩამოაჭრა საქართველოს და რომლის მოსახლეობამ, მიუხედავად ისლამიზაციისა, შეი-ნარჩუნა ეთნიკური ხასიათი.

რა შეიძლება ითქვას საქართველოს დელეგაციის მიერ წარმოდგენილი საზღვრებისა და ამ ტერიტორიების საქარ-თველოსთვის დამტკიცების არგუმენტების შესახებ?

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები: საზ-ღვრების კონფიგურაცია, ტერიტორიული პრეტენზიები და სურვილები, ნაჩქარევად არის გაკეთებული და არცთუ სა-თანადოდ დასაბუთებული. ეს ყველაზე უფრო კარგად იგ-რძნობა ლაზისტანის მიმართ საქართველოს პრეტენზიებთან დაკავშირებით. დოკუმენტში ნათქვამია, რომ არსებობს სურ-ვილი: „საქართველოს ტერიტორიას მიუერთდეს ლაზისტა-ნის სანჯაყი (ჭოროხის რაიონში), რაც ისტორიული ქართუ-ლი ტერიტორიაა, რომელიც ჩამოაჭრა საქართველოს თურ-

ქეთმა და რომლის მოსახლეობამ, მიუხედავად ისლამიზაციისა, შეინარჩუნა ეთნიკური ხასიათი“[1].

ამ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მხარე სურვილს რეალობად აცხადებს და მას არავითარი რეალური საფუძველი და არც არგუმენტი არა ჰქონდა (და არც არის მოტანილი) ემტკიცებინა, რომ თურქეთის შემადგენლობაში მრავალი საუკუნის მანძილზე ინკორპორირებულ ლაზისტანს და მის მოსახლეობას ჰქონდა დაუოკებელი ლტოლვა შეერთებოდა „დედა-სამშობლოს“ – საქართველოს. ჩვენ ზემოთ, სათანადო ადგილზე აღვნიშნეთ, რომ I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე საქართველოში იყვნენ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც რუსეთის წარმატებებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში უკავშირებდნენ (როგორც ეს მოხდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს) ლაზისტანის ტერიტორიების შემოერთებას – ამის შესახებ იყო საგაზეთო პუბლიკაციები, და კიდევ უფრო მეტი იმედები და სურვილებიც. მაგრამ საკვლევ პერიოდში ჩვენ არ შეგვხვედრია საქართველოში დაფიქსირებული რაიმე ინფორმაცია ლაზების პროქართულ განწყობებზე, ქართველ პოლიტიკოსებთან მათ რაიმე კავშირზე, რაიმე ერთობლივი პოლიტიკური გეგმების, ანდა „ლაზისტანში პროქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“. არ გამოირიცხება, რომ ლაზისტანში სუფევდა ანტიოსმალური, ანტითურქული განწყობები, ან იდეა ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად – ეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მაინც ვთვლით, რომ საქართველოსთვის ამ ტერიტორიის შემოერთება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წარმატებული სამხედრო ოპერაციის შედეგებზე შეიძლება ყოფილიყო დაფუძნებული.

ასეთივე ფრთხილი და ორჭოფული დამოკიდებულება გვაქვს დოკუმენტში გახმოვანებულ პრეტენზიაზე ზაქათალას ოლქის მიმართ. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საზღვრების დასაბუთების ნაწილში ქართული მხარის განცხადებებ-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, საქ. 48, ფურც.40.

ში, სახეზეა პრეტენზია ზაქათალის მაზრაზე, თუმცა არის აღიარება იმისა, რომ ეს მხარე კახეთის სამეფოს ჩამოსცილდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში და ამ ტერიტორიაზე ნაწილობრივ ჩამოსახლდნენ სხვადასხვა წარმომავლობის ემიგრანტები და ა.შ

ჩვენ წლების მანძილზე ამ საკითხზე ვმუშაობდით და გვაქვს ზოგიერთი მოსაზრება, რაც გვინდა მკითხველს გავუზიაროთ: თუ როგორ ხდებოდა ისტორიულ პერსპექტივაში ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიის თანდათან დაკარგვა და ამ ტერიტორიაზე სხვა ეთნოსის გაბატონება. ამის საილუსტრაციოდ გვინდა დავიმოწმოთ დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: „ვითარცა მოსაზღვრე კუთხეს, საქართველოს ამ ნაწილსაც ბედმა მრავალჯერ მიაყენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა (საუბარია საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებზე, ჰერეთზე – ა.დ.). პირველად ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში მონღოლთა ბატონობის წყალობით, სხვათა შორის, ჰერეთიც ძალზე დაზიანდა (ჟამთააღ. 875. გვ. 719). მაგრამ ამ ქვეყანას განსაკუთრებით შაჰაბაზმა მიაქცია თავისი მსახვრელი ყურადღება და ჯერ ისე ააოხრა და გააუკაცრიელა, რომ მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახალა. ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა. მეტადრე მე-17 ს.-ითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტნელთა შემოსევის და დაშინების გამო, მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობის დაძლევა დაიწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა. ძველი საგეოგრაფიო სახელების მაგიერ ახალი გაჩნდა. გარეშე ძალის გავლენით, ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. მათ დაერქვა „ალის სასულთნო“, მეორე – „ელისენი“, მესამეს „ჭარი“.[1]

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი აღმოსავლეთ საზღვრებზე სერიოზულ პრობლემებს უკვე მე-13 საუკუნიდან ხედავს და მას მონღოლების ექსპანსიას უკავშირებს. ამრიგად, ამ კუთხის საქართველოსაგან მოწყვეტის პროცე-

[1] ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ., 1996, გვ. 10.

სი თითქმის 7 საუკუნეა მიმდინარეობდა. შაჰ აბასმა ეს მხარე მოსრა და მოაოხრა, ეთნიკური სურათი რადიკალურად შეუცვალა („მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახალა. ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა“).

ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებამ ადგილობრივ მოსახლეობას შეუცვალა პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციები, დააკარგვინა იდენტობა, გააფერმკრთალა საქართველოს – როგორც დედასამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა, თუმცა არა ტოტალურად – ამ ტერიტორიებზეც დარჩნენ ეთნიკურად ქართული სოფლები, მაგრამ მათი რაოდენობა უკვე ძალიან მოკრძალებული იყო.

ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ივ. ჯავახიშვილის შემდეგ მინიშნებას: „მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობის დაძლევა დაიწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა“. ქრისტიანობა, როგორც ქართველობის იდენტობის მთავარი მარკერი, ივანე ჯავახიშვილის აზრით ამ ტერიტორიებზე „დაიძლია“, მისი მნიშვნელობა „შემცირდა“.

როდესაც ი. ჯავახიშვილი ამ კუთხეში ქართველი მოსახლეობის შემცირებაზე საუბრობს, აქ ალბათ ქრისტიანობა დაკარგული ქართველები, გამუსლიმებულ ქართველებს გულისხმობს, რომლებმაც ფაქტობრივად კავშირი გაწყვიტეს დედასამშობლოსთან.

მსგავს ტენდენციებს ადგილი ჰქონდა საქართველოს ძალიან ბევრ კუთხეში – მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, კოლა-არტაანში, აფხაზეთში, შიდა-ქართლში და ა.შ.

რას შეეძლო ეს ცენტრიდანული ტენდენციები ძირეულად შეეცვალა ან საერთოდ აღმოეფხვრა?

კვლავ ერთიან, ძლიერს „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმულ საქართველოს ერთიანი ძლიერი მონარქით სათავეში. მაგრამ ბაგრატიონ მეფე-უფლისწულებს, დადიანებს, გურიელებსა და შარშვაშიძეებს ერთიანობაზე უფრო დინასტიურ–მემკვიდრეობითი საკითხები აღელვებდათ და მათ საუკუნეების მანძილზე პარტიკულარიზმის ეს დამანგრეველი ვირუსი ვერ მოიშორეს. მხოლოდ კახელმა ბაგრატიონებმა მოახერხეს XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის გა-

ერთიანება და ამ ისტორიული ფაქტით ქართლის ბაგრატიონები საშვილიშვილოდ გადაიმტერეს.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს გაერთიანებამ მოგვიანებით ტერიტორიები კი დააბრუნა, მაგრამ ისინი გადანაწილდნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, კავკასიის სამეფისნაცვლოში ანუ – ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც ეს მოხდა საქართველოს მეფის „ადგილმონაცვლის“, რუსეთის იმპერატორის დროშის ქვეშ. ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებით რუსი ეროვნების „საქართველოს მეფემ“ პირნათლად შეასრულა გეორგიევსკის ტრაქტატის საიდუმლო მუხლები და ჰიპოთეტურად საქართველოსაც ამ ტერიტორიებზე იურიდიულ-სამართლებლივი უფლებები მან აშკარად დაუკანონა.

მაგრამ რუსეთის იმპერიის რეალური კავკასიური პოლიტიკა არ გულისხმობდა ქართველებისათვის ისტორიული, ტერიტორიული, ეთნიკური პრობლემების გადაწყვეტას – მისი დივერსიული დემოგრაფიული პოლიტიკა (სომხების, გერმანელების, ბერძნების, ესტონელების და სხვათა თვითნებური ჩასახლებები ქართველებისაგან დაცლილ მიწებზე) სწორედ ქართველებისათვის მომავალში პრობლემების შექმნას გულისხმობდა. რუსეთი გეგმავდა იმპერიაში მცხოვრები ყველა არარუსი ეთნოსის ასიმილაციას და რუსეთის იმპერიის ერთიანობის მიღწევას – აქეთკენ იყო მიმართული რუსეთის ადგილობრივი ინსტიტუციების მთელი საქმიანობა (პოლიტიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო და ა.შ.). ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა რუსეთის იმპერიული სახელმწიფო-რელიგიური ინსტიტუტცია – საქართველოს საეგზარქოსო და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესისათვის. საყურადღებოა სანკტ-პეტერბურგიდან მიღებული ერთი დეპეშა, რომელშიც ხაზგასმულია შემდეგი: „რაც შეეხება ქართველთა მონდომებას, რომ ამ მხარეში ქართული მართლმადიდებლობა გაბატონდეს, ეს ჩვენთვის არ არის მისაღები და მათ ამაში ხელი უნდა შევუშალოთ, რადგან ქართველები ნაციონა-

ლისტები არიან და ისინი დაიწყებენ... ამ მხარეში ნაციონალისტური იდეების ქადაგებას და ეს კი ჩვენთვის სახიფათოა".[1]

თუმცა, ეს იდეა არ იყო რუსული იმპერიალიზმის „მიგნება". ანალოგიურად იქცეოდა ყველა ევროპელი კოლონიზატორი თავის უკიდეგანო კოლონიებში. უბრალოდ, ზოგი ამას უფრო წარმატებით აღწევდა, ზოგიც – ვერა.

ეს მცირე ისტორიული ექსკურსი ჩვენ იმიტომ დაგვჭირდა, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს საზღვრების ფორმირების კონკრეტული საკითხების გარკვევისას, ისტორიული გამოცდილებაც უნდა იყოს გათვალისწინებული და მშობლიური ტერიტორიების დაკარგვაში ბრალი ჯერ ბაგრატიონ-შერვაშიძე-მაჩაბლებს უნდა დავდოთ და ხოლო უკვე შემდეგ – მათი გაფუჭებული საქმის კიდევ უფრო ცუდად დამაგვირგვინებლებს.

დასკვნა 1. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში სამხრეთ კავკასიის ერების ძალადობრივი გზით გაერთიანება უკვე სრულიად გამორიცხავდა ერთმანეთის მიმართ რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიებს და ამ მიმართულებით გადადგმულ რაიმე კონკრეტულ ნაბიჯებს ეროვნული პოლიტიკური ელიტის მხრიდან: ეს ტერიტორიებიც და მისი შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გამიჯვნის მიმდინარე თუ პერსპექტიული საკითხებიც მხოლოდ იმპერიული ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებით წყდებოდა და ამ საქმეში არასოდეს არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივი ეთნოსების ინტერესებსა და ისტორიულ თავისებურებებს.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის, დროებითი მთავრობისა და მის მიერ „ოზაკომის" დაფუძნების შემდეგაც, შემორჩენილი საარქივო დოკუმენტები არ ადასტურებენ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ელიტაში რაიმე სახის ტერიტორიული პრეტენზიების არსებობას ერთმანეთის მიმართ – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ხოლო ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ – ამიერკავკა-

[1] ამ თემაზე დეტალურად: დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი, ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებები უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016 გვ. 195.

სიის სეიმი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით, ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა კავკასიის ხალხთა ერთიანობის იდეა, რასაც ისინი მრავალი წლის მანძილზე ხალხში ავრცელებდნენ.

მაგრამ ყველა ეს მცდელობა ძალიან მარტივად ჩაიფუშა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, როცა კომუნისტურმა რუსეთმა ზავის სანაცვლოდ გერმანიასა და მის მოკავშირეებს დიდი ტერიტორიები დაუთმო, სამხრეთ კავკასიაში გერმანიის იმპერიის მოკავშირე – თურქეთის იმპერია კი შეეცადა I მსოფლიო ომის დროს მიყენებული ყველა მარცხის კომპენსაციას სამხრეთ კავკასიის ხალხთა ტერიტორიების მისაკუთრების ხარჯზე. თურქეთის სამხედრო შემოტევამ ძალიან ადვილად დაშალა სამხრეთ კავკასიის ხალხთა ერთიანობა, უზრუნველყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა და ამით ხელი შეუწყო ტერიტორიული პრეტენზიების გამოვლინებაგაძლიერებას.

ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები მარქსისტული იდეებისა და პროლეტარიატის საერთაშორისო ძმობის ერთგულნი იყვნენ, პროლეტარიატის ინტერესების პრიმატი მათთვის ფუჭი სიტყვები არ ყოფილა: პირველ ეტაპზე ისინი ცდილობდნენ როგორმე მოეხერხებინათ საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ხალხების ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო დარაზმვა, მაგრამ ამ მცდელობებს სერიოზული პრობლემები გაუჩინა სწორედ წრეგადასულმა ტერიტორიულმა პრეტენზიებმა სამხრეთ კავკასიაში.

უნდა გამორჩეულად აღინიშნოს სომხურ-ქართული დაპირისპირება 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როცა ტერიტორიული პრეტენზიები სომხეთის სახელმწიფოს მხრიდან გადაიზარდა ისტორიაში ჯერ არ გაგონილ ქართულ-სომხურ სამხედრო დაპირიპირებაში. მის შესახებ შედარებით ვრცლად უკვე გვქონდა საუბარი.

აზერბაიჯანს უკიდურესად გაურთულდა ტერიტორიული ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასთან – მათ შორის განუწყვეტელი კონფლიქტები ძალებს აცლიდა კავკასიელ-

თა ერთიანობის მიღწევის ყველა მცდელობას. ექსპერტი ს. მუსტაფაევა სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს მიაკუთვნებს შემდეგ ტერიტორიებს: გაზახს, ყარაბაღს, ნახჭევანს და ზანგეზურს. ავტორი დეტალურად განიხილავს იმ პრობლემებს, რაც დამატებით თან ერთვოდა სომხურ-აზერბაიჯანულ დაპირისპირებას.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასაც ჰქონდა სერიოზული პრეტენზიები მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიმართ. ექსპერტი ნ. მირიანაშვილი დეტალურად განიხილავს ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის სასაზღვრო პრობლემებს საქართველოს I რესპუბლიკის პერიოდში, მოაქვს სპეციალური სასაზღვრო კომისიის მუშაობის შედეგები, წარმოაჩენს გადაუჭრელ სასაზღვრო პრობლემებსაც და აღნუსხავს იმ მცდელობებს, რაც ამ პრობლემის გასანეიტრალებლად განხორციელდა.[2]

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნ. მირიანაშვილი და სხვა ქართველი ექსპერტები არ იცნობენ, ან შეიძლება იგნორირებას უკეთებენ საქართველოს I რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდებში დაცულ, ჩვენ მიერ არა ერთხელ დამოწმებულ ერთ დოკუმენტს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება და, ჩვენი ვარაუდით, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ადგილობრივი აგენტ-ინფორმატორისაგან უნდა მიეღო. ეს დოკუმენტი მრავალმხრივ საინტერესოა. ჩვენ ის ადრე მოკლე კუპიურების სახით უკვე გამოვაქვეყნეთ და ახლა მკითხველს საკმაოდ დიდ ამონარიდს შევთავაზებთ: „ზაქათალის ოლქი ოფიციალურად უკვე შედის ადერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში. ამისათვის ოსმალეთის მთავრობას გამოგზავნილი ყავდა განსაკუთრებული პირები აგიტაციისათვის. ეს ჯერ კიდევ ამიერკავკასიის რესპუბლიკის დროს. ოსმალეთის ორიენტაციას მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მოლები და

[1] С. Мустафаева. Советская Россия и формирование границ между государствами кавказа. Интернет издание «Кавказ глобализация», 2010, т. 4, выпуск 1. стр. 230-231.

[2] ნ. მირიანაშვილი, საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-1939 წწ. თბ., 2012, გვ. 66-80.

ბეგები. მათ ზაქათალის დემოკრატებიც ჩაითრიეს და მხარი დაუჭირეს ამ ორიენტაციას სხვადასხვა დაპირებებით. ფაქტობრივად დღეს ზაქათალა შეკავშირებულია ადერბაიჯანის რესპუბლიკასთან, რომელსაც ყავს გამოგზავნილი ზაქათალაში ასეული ოსმალოს ჯარიკაცი. ზაქათალაში ცხოვრობს შესამჩნევი რიცხვი ქართველი ინგილოებისა (რამდენიმე სოფელი), რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კავშირს აღიარებენ. ეკონომიკური და თვით პოლიტიკური მდგომარეობა კი პირდაპირ უკარნახებს ზაქათალის ოლქის მუსულმანებს, იყოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, რადგან მათი ნაწარმის გამსაღებელი თბილისის გუბერნიაა, განსაკუთრებით სიღნაღის მაზრა.... ერთადერთი გზა, რომლისთაც ჩვენ შეგვიძლია ზაქათალის ოლქის გადმოხრა, ეს არის ეკონომიკური მხარე მათი.

მეორე გზა – ეს არის ძალით შემოერთება, რაც გამოიწვევდა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან შეჯახებას, რადგან ფაქტიურად უკვე შეკავშირებულია მათთან და თუ ზაქათალის ოლქი ადერბაიჯანის რესპუბლიკის ნაწილად დარჩა, მაშინ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ უნდა იზრუნოს ინგილოების ბედზე, რადგან ისინი მუდამ შევიწროვებულნი იქნებიან ადერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში“.[1]

დოკუმენტი იმდენად საინტერესოა, რომ ჩვენ მასზე შევჩერდებით. იგი დაწერილია 1918 წლის 16 აგვისტოს, ანუ – დამოუკიდებელი რესპუბლიკები სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ ყალიბდებიან. ჩვენი ვარაუდით, წერილი უნდა ეკუთვნიდეს საქმეში კარგად ჩახედულ პიროვნებას (წერილი ხელმოუწერელია), რომელიც შეიძლება იყოს ან საქართველოს ოფიციალური საელჩოს წარმომადგენელი, ან ადგილობრივი ინფორმატორი. აქ მთავარი ის არის, რომ წერილის ავტორი ვითარებას ობიექტურად ასახავს და მიუთითებს პრობლემებზე, რაც ამ კუთხის ინკორპორაციის პროცესში შეიძლება მოელოდეს საქართველოს ხელის.უფლე-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, საქ. 9, ფურც. 50-51.

ბას. ავტორი რამდენჯერმე იმეორეს: „ზაქათალის ოლქი ოფიციალურად უკვე შედის ადერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში“, „ფაქტობრივად დღეს ზაქათალა შეკავშირებულია ადერბაიჯანის რესპუბლიკასთან“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფოს ეს ტერიტორია თავისად მიაჩნია და ამის დამამტკიცებული არგუმენტებიც აქვს.

ავტორი ამ „შეკავშირებას“, ამ ერთიანობას უკავშირებს თურქეთის სახელმწიფოს პროპაგანდისტულ მოღვაწეობას, ანუ – „თურქეთის ფაქტორს“. ამ სახელმწიფოს მხრიდან „პანთურქული“ იდეის პროპაგანდა კავკასიელი მუსლიმების ერთიანობის მისაღწევად, არ გამქრალა თურქეთის იმპერიის დაცემისა და ათათურქის სახელმწიფოს მშენებლობის შემდეგაც.

ავტორი არ გამორიცხავს (პირიქით – გულისხმობს) ზაქათალაში პროქართული ორიენტაციის არსებობასაც, მაგრამ ამასთან შედარებით აშკარად ძლიერად ეჩვენება პროთურქული ორიენტაცია: „ოსმალეთის ორიენტაციას მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მოლები და ბეგები. მათ ზაქათალის დემოკრატებიც ჩაითრიეს და მხარი დაუჭირეს ამ ორიენტაციას სხვადასხვა დაპირებებით“.

ინფორმატორის (წერილის ავტორის) კეთილგონიერებაზე მიუთითებს მისი რეკომენდაცია მთავრობისადმი: „ეკონომიკური და თვით პოლიტიკური მდგომარეობა კი პირდაპირ უკარნახებს ზაქათალის ოლქის მუსულმანებს, იყოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, რადგან მათი ნაწარმოების გამსაღებელი თბილისის გუბერნიაა, განსაკუთრებით სიღნაღის მაზრა.... ერთადერთი გზა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ზაქათალის ოლქის გადმოხრა, ეს არის ეკონომიკური მხარე მათი“. ეს შენიშვნა, ჩვენის აზრით, იმაზეც მიანიშნებს, რომ ინფორმაციის ავტორი შეიძლება სოციალ-დემოკრატი იყოს, რომელიც ეკონომიკურ დეტერმინიზმს აღიარებდა.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების თავისებურებები 1918-1920 წლებში შეიძლება სწორედ ამ წერილის შინაარსითაც ყოფილიყო ნაკარნახევი

– ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ინფორმაცია არ გაეცნოთ სახელმწიფოს ხელმძღვანელებისათვის, იმდენად მნიშვნელოვანია ის. ამ თვალსაზრისს გვიმყარებს ისიც, რომ ფაქტობრივად ორ მეზობელ სახელმწიფოს ჰქონდა სერიოზული ტერიტორიული დავა, ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები (იყო პერიოდები, როცა აზერბაიჯანი პრეტენზიას აცხადებდა საქართველოში მცხოვრებ ყველა მაჰმადიანის ინტერესის გამოხატვაზე და ბათუმის ოლქის ინკორპორაციაზეც ოცნებობდა – არის ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც) და, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აქტიურად თანამშრომლობდნენ დიპლომატიურ ფრონტზე, გააფორმეს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი 1919 წლის 16 ივნისის სამხედრო ხელშეკრულება, ძალიან ინტენსიურია მათი ერთობლივი ძალისხმევა პარიზის 1919 წლის სამშვიდობო კონფერენციაზე და, რაც მთავარია, მათი თანაარსებობის ამ მოკლე პერიოდში ერთმანეთთან არ მოსვლიათ სამხედრო კონფლიქტი.[1]

სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული პრეტენზიების გამო ვითარება გარკვეულ ეტაპზე იმდენად დაიძაბა, რომ თბილისში 1919 წლის 29 მაისს შეკრებულმა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც მიზნად ისახავდა სამხრეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკების ერთიანობას გენერალ დენიკინის სამხედრო მუქარების წინააღმდეგ, შედეგი ფაქტობრივად ვერ გამოიღო. სომხეთის წარმომადგენელი კატეგორიულად აცხადებდა, რომ სომხეთის რესპუბლიკა არ წავიდოდა არავითარ შეთანხმებაზე მეზობლებთან, სანამ არ გაირკვეოდა ტერიტორიული ურთიერთობები: „სომხეთის ხელისუფლება აყენებს საკითხს – ერთობლივი პოლიტიკური გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტის შემდეგ“.[2]

---

[1] ამის შესახებ: გრ. ბოგვერაძე, საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წწ., ქუთაისი, 2005, გვ. 59-60.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, საქ. 735, ფურც. 10.

დასკვნა 2. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა, რომლებიც თავის თავს დასავლური ფასეულობების მხარდამჭერად და დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენლებად თვლიდნენ, თავიანთი ქვეყნებისათვის მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ვერ მოახერხეს საგარეო საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანება და დაუსაბუთებელი ტერიტორიული პრეტენზიებით, ზოგჯერ სასაზღვრო კონფლიქტებით და სამხედრო აგრესიითაც კი (მაგალითად, სომხეთის სახელმწიფოს აგრესია საქართველოს მიმართ 1918 წ., აზერბაიჯან-სომხეთის სასაზღვრო შეტაკებები და ა.შ.) აშკარად უზრუნველყვეს ბოლშევიკური რუსეთის ხელმეორე შემობრუნება კავკასიაში.

§6. კავკასიის სახელმწიფოები პარიზის კონფერენციაზე

საზავო კონფერენციაზე გადაიკვეთა კავკასიის ქვეყნების ინტერესებიც, რამაც მნიშვნელოვანწილად დაადასტურა ის მოლოდინები, რაც ლოგიკურად გამომდინარეობდა სწორედ ამ სახელმწიფოთა მესვეურების პოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესებიდან. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ მათ კონფერენციაზე ერთობლივად ემოქმედათ – მათ ხომ ერთი საერთო მოწინააღმდეგე ჰყავდათ „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იმპერიალისტური მოძღვრების მატარებელი დაჯგუფების – „თეთრი რუსეთის“ წარმომადგენლობითი დელეგაციის სახით, რომელსაც მთლიანად თანაუგრძნობდნენ გამარჯვებული „ანტანტის“ სახელმწიფოთა მეთაურებიც.

მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა და ამაში არაფერი იყო გასაკვირი: როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების ინტერესები ხომ ისე ტლანქად და ხისტად გადაიკვეთა ჯერ კიდევ ტრაპიზონის კონფერენციაზე, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების პირმშო – ამიერკავკასიის ფედერაცია ა. ჩხენ-

კელით სათავეში, ხუხულასავით დაიშალა და ადგილი დაუთმო დამოუკიდებელ რესპუბლიკებს, რომლებიც დაუყოვნებლივ ცნეს „დე ფაქტოდ“ გერმანიის იმპერიამ და მისმა მოკავშირეებმა.

განსაკუთრებით აქტიურობდა კონფერენციაზე სომხეთის I რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც ავეტის აგარონიანი ხელმძღვანელობდა. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ კონფერენციას ესწრებოდა თურქეთის იმპერიაში მცხოვრები სომხების დელეგაციაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოღოს-ნუბარ ფაშა. მათ ძალიან დიდი იმედი ჰქონდათ, რომ თურქეთში 1915 წლის სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მაპროვოცირებელი „ანტანტის“ ქვეყნების ლიდერები ახლა კი ნამდვილად უზრუნველყოფდნენ მათი პრეტენზიების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. ამიტომაც წარმოადგინეს თურქეთისა და კავკასიის სომხების ერთიანი სახელმწიფოს შექმნის კონკრეტული გეგმა და ყოველნაირად ცდილობდნენ მის რეალიზებას. თავისი წრეგადასული პრეტენზიებით ისინი კავკასიის სხვა სახელწიფოებისა და ხალხების კანონიერი ინტერესების შელახვასაც კი არ ერიდებოდნენ.

ძალიან საინტერესო შეფასებას აძლევს საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. ჩხეიძე სომხეთის დელეგაციასთან ქართველების პირველი ვიზიტის შედეგებს: „ჩვენ ჩამოსვლისთანავე ვინახულეთ სომხები. ამის რჩევა ალბერტ ტომამ მოგვცა. ქართული მხარე დაუკავშირდა სომხებს, მაგრამ ამ ნაბიჯს მორიგების ნაცვლად ის მოჰყვა, რომ აქაურმა სომხებმა ჩვენზე „დანოსი“ მისცეს ინტერნაციონალურ ბიუროს „წერეთელი და ჩხეიძე იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებენო და ბერნის ხელშეკრულებას არღვევენო“. სომხებმა გამოგვიცხადეს, ერთადერთი კუთხე, სადაც სომხები ამოუწყვეტი დარჩნენ, ეს არის ლორი და ახალქალაქის მაზრა და სწორედ აქედან უნდა დაიწყოს სომხეთის სახელმწიფოს აშენებაო“. ნუ ვიქნებით ურწმუნონი, ვეცადოთ უკეთეს განწყობილებას, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ აქაურ სომხებ-

თან ლაპარაკი დღესდღეოსობით არის თავის გაცუცურაკება და დამცირება, სხვას რომ თავი დავანებოთ“.[1]

როგორც დასტურდება, „სომხეთის საკითხის“ წარმატებით გადაჭრას უდიდეს ძალისხმევას ახმარდა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მეთაური – სრულიად სომეხთა კათოლიკოსი რომელიც ევროპასა და ამერიკაში გაფანტული სომხური ეკლესიის მრევლის გავლენიანი წარმომადგენლების დახმარებით ცდილობდა კონფერენციაზე ყველა დაბრკოლების გადალახვას და „დიდი სომხეთის“ იმჟამად საკმაოდ პოპულარული იდეის რეალიზებას.

ამრიგად, პარიზის საზავო კონფერენციაზე სომხური მხარე საკმაოდ ძლიერი წარმომადგენლობით გამოირჩეოდა და საკმაოდ გავლენიანი ლობისტური ჯგუფებიც ჰყავდა, რაც „სომხური საკითხის“ წარმატებით გადაჭრის იმედებს აღძრავდა.

როგორც ამტკიცებენ, სომხების დელეგაციები, კონფერენციამდეც და უშუალოდ კონფერენციაზეც, ამერიკის შეერთებლი შტატების პრეზიდენტის ვ. ვილსონის გამორჩეული სიმპათიითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მათდამი კეთილგანწყობას ხაზგასმით უდასტურებდა დიდი ბრიტანეთის დელეგაციაც. აი, რას წერს ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ა. ხაჩიკიანი: „სომხურ დელეგაციებს ჰქონდათ უამრავი შეხვედრა სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან „სომხური საკითხის“ სამართლიანი გადაწყვეტის მიზნით. აშშ-ის პრეზდენტმა ვუდრო ვილსონმა დაადასტურა თავისი ქვეყნის მზადყოფნა, მიეღო მანდატი სომხეთზე. აშშ გაუხსნა სახელმწიფო კრედიტი სომხეთის მთავრობას. 1919-1920 წლებში აშშ-ისაგან მიიღო დიდი ეკონომიკური დახმარება. ამერიკელი პოლკოვნიკი ხასკელი დაინიშნა მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლად სომხეთში. 1919 წლის აგვისტოში სომხეთში გაიგზავნა ამერიკელი გენერლის ჯეიმს ხარბორდის 50 კაციანი სპეციალური მისია, რომელიც კონსტანტინოპოლიდან, კილიკიის გავლით, გაემგზავრა დასავ-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 2115, საქ. 21, ფურც. 3.

ლეთ სომხეთში, იქიდან კი ყარსში, ალექსანდროპოლსა და ერევანში.“[1]

სამწუხაროდ, სომეხი ისტორიკოსი, ამ შემთხვევაში, არაფერს მოგვითხრობს პარიზის საზავო კონფერენციაზე სომხებისა და კავკასიის სხვა დელეგაციების წარმომადგენლების ურთიერთობებზე, მათ ერთობლივ მცდელობებზე, მიეღწიათ საერთო წარმატებისათვის, არაფერს ამბობს ასევე პრობლემებზე, ამ ურთიერთობების გამომწვევ სიძნელეებზე.

სამაგიეროდ ამ საკითხს საკმაოდ სიღრმისეულად წარმოაჩენს ქართველი ისტორიკოსი გურამ მარხულია, რომელიც თავის არაერთ გამოკვლევაში ხშირად ეხება ქართულ-სომხურ ურთიერთობებს სწორედ XX საუკუნის პირველ მეოთხედში. გ. მარხულიას აზრით, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია მზად იყო სომხებთან თანამშრომლობისათვის. ამ თვალსაზრისს იგი ასაბუთებს საქართველოს მთავრობის 1918 წლის 21 ნოემბრის თათბირზე მიღებული საიდუმლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ დოკუმენტში ნათქვამია შემდეგი: „სომხებთან კავშირი ჩვენთვის აუცილებელია. თუ ჩვენ, ორი ქრისტიანი ხალხი, ვერ შევძლებთ ერთმანეთთან შეთანხმებას, ეს შეუქნის საფრთხეს საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას, ხოლო ეს გარემოება კი ევროპაში ცუდ შთაბეჭდილებას შექმნის. ჩვენ უნდა დავისახოთ მიზნად, გავაერთიანოთ თურქეთისა და რუსეთის სომხეთი და შევეცადოთ, რომ სომხეთის პოლიტიკურმა ცენტრმა გადაინაცვლოს თურქეთის სომხეთში. ამით ჩვენ დავეხმარებით სომხებს მოიპოვონ გასასვლელი შავ ზღვაზე. თუ საქმე ასე განვითარდება, სომხეთი არ შეავიწროვებს საქართველოს და ადვილად მოგვარდება გამძაფრებული ქართულ-სომხური ურთიერთობები“.[2]

გ. მარხულიას აზრით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ასეთი პოზიტიური გადაწყვეტილებით და თურქეთის მიმართ სომხების გაზრდილი მოთხოვნილე-

---

[1] А. Хачикян. История Армении, Ереван. 2016, стр. 200-201.

[2] Г. Мархулия, Армно-Грузинское взаимоотношения в 1918-1920 гг. https:\\iberianwordpres.com. p.1.

ბის მხარდაჭერით, ცდილობდა სამხრეთ საქართველოს მიმართ სომხეთის I რესპუბიკის ხელმძღვანელობის პრეტენზიების განეიტრალებას. ამასთანავე, ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქართული მხარე სომხებს უთმობდა თურქეთის მფლობელობაში მყოფი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებსაც, თუკი ეს შეთანხმება სომხებთან რეალურად განხორციელდებოდა.

პროფ. გ. მარხულია ამ შემთხვევაში ქართული მხარის პოზიციის კონსტატაციას ახდენს და არ იძლევა მის კრიტიკულ შეფასებას. ჩვენ კი ვთვლით, რომ უკვე ამ გადაწყვეტილებაში ჩანს საქართველოს I რესპუბლიკის ხელმძღვანელებისათვის მუდამ დამახასიათებელი „გულუბრყვილობის ელემენტი“, რაც მათ ხშირად ხელს უშლიდა შეემუშავებინათ პრაგმატული პოლიტიკური პროგრამები და რამაც, მოგვიანებით, დიდწილად განაპირობა მათი სახელმწიფოს კრახიც. ჩვენი აზრით, ზემოთმოტანილი ამონარიდით დასტურდება, რომ საქართველოს მთავრობა სომხეთის პრეტენზიების გასანეიტრალებლად საშვილიშვილოდ იმტერებდა თურქეთის აგრესიულ სახელმწიფოს, რომელიც „დაჭრილი“ კი იყო, მაგრამ არ იყო „მკვდარი“: დათმობა იმისა, რასაც საქართველო არ ფლობდა, ანუ თურქეთის მფლობელობაში მყოფი საქართველოს ყოფილი ისტორიული მიწები, რომელზეც მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას ქართული იდენტობა უკვე დიდი ხნის წინ დაკარგული ჰქონდა და თავის თავს თურქეთის იმპერიის ქვეშევრდომად მოიაზრებდა და ისტორიული სამშობლოს წიაღში დაბრუნების არავითარ სურვილს არ ავლენდა, სწორედ ზემოთ აღნიშნული გულუბრყვილობის კონცენტრირებულ გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს.

ასეთი გულუბრყვილო თვალსაზრისები, როგორც დავინახეთ, ძალიან მალე გაიფანტა, როცა სომხეთის სახელწიფომ 1918 წლის ზამთარში, პირველად, ისტორიაში ქართულ-სომხური სამხედრო კონფლიქტი გამოიწვია, შეტევაზე გადავიდა და დაუყოვნებლივ მოითხოვა საქართველოს სამხრეთი, სომხებით დასახლებული რეგიონები (ბორჩალო, ახალქალაქი და ა.შ.). მართალია, სომხების ეს სამარცხვინო

აგრესია, კრახით დამთავრდა, მაგრამ მან უდავოდ „ცივი შხაპი“ გადაასხა ქართველ პოლიტიკოსებსაც, რომლებსაც ზოგჯერ ზედმეტად გულუბრყვილო შეხედულებები მოსდიოდათ თავში.

კონფერენციაზე სომეხი დელეგატები აშკარად ანტიქართულ საქმინობას ეწეოდნენ. ამაზე მიგვანიშნებს მათ მიერ კონფერენციაზე გავრცელებული წერილი და სპეციალურად შემუშავებული რუკა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს უკვე აშკარად ამჟღავნებდა. აი, ამონარიდი ამ წერილიდან: „სომხები, ქართველების მხრიდან მოტყუებულნი და მიტოვებულნი, თათრებისაგან გაყიდულნი, რომლებიც შეუერთდნენ თურქებს, რუსეთის განადგურებისა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შემდეგ მარტო იცავდნენ (30 000 ჯარისკაცით) ფრონტს 7 თვის მანძლზე თურქების შემოტევისაგან... კილიკია დაკარგულია, თავის ბუნებრივი საზღვაო ნავსადგურების მერსინისა და აისას გარეშე, სომეხი ხალხი აღმოჩნდა განწირული თავის თავის ტანჯვებში, მოწყვეტილი ხმელთაშუა ზღვას, და ამით მოწყვეტილი აღმოჩნდა თავის ბუნებრივ ფილტვებს, რითიც ის მუდამ სუნთქავდა.“[1].

ამ წერილს, როგორც აღინიშნა, თან ერთვოდა პარიზში დაბეჭდილი „დიდი სომხეთის“ რუკა, რომელშიც შეტანილი იყო თურქეთის ტერიტორიები შავ და ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელებით და ახალქალაქი, ბორჩალოს მაზრა მდინარე ხრამითურთ. სომხები პრეტენზიებს აცხადებდნენ ქალაქ განჯაზეც.

არის ცნობა, რომ თავისი ტერიტორიული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად სომხეთის დელეგაცია არ ერიდებოდა საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას, დასმენას და „ანტანტის“ სახელმწიფოების ლიდერებთან შეხვედრის დროს დელეგაციეს წევრები ინტენსიურად საუბრობდნენ საქართველოს დეკმოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან გერმანიის იმპერიასთან მჭიდრო პო-

[1] Г. Мархулия, Армно-Грузинское взаимоотношения в 1918-1920 гг. https:\\iberianwordpres.com. p.5.

ლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ და ა.შ.[1]

უფრო საქმიანი და ურთიერპატივისცემით განმსჭვალული იყო თანამშრომლობა საქართველოსა და ზერბაიჯანის დელეგაციებს შორის. პარიზის კონფრენციაზე აზერბაიჯანის დელეგაციას ხელმძღვანელობდა პარლამენტის თავმსჯდომარე ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევი. დელეგაციაში შედიოდნენ მ. გ. გაჯინსკი, ა. ისმაილოვი, ა. აგაევი და სხვ.

აზერბაიჯანის დელეგაციას საფრანგეთში ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდა. უპირველეს ყოვლისა, პრობლემა შეექმნათ პარიზში ჩასვლის უფლების მიღებისას – საფრანგეთის მთავრობამ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი „ნონ გრატად“ გამოაცხადა და იგი დააკავეს. ა. აგაევს ბრალი ედებოდა სხვადასხვა პრესის ფურცელზე გამარჯვებული სახელმწიფოების არაობიექტური კრიტიკა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის ჩინებული მცოდნე, ისტორიკოსი გრ. ბოგვერაძე ასე ახასიათებს პარიზის საზავო კონფერენციაზე ორი მოძმე ერის წარმომადგენელთა თანამშრომლობას: „საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობების წარმოგზავნილებმა მთელი 1919 წელი პარიზსა და ლონდონში გაატარეს იმის მოლოდინში, რომ ანტანტის ქვეყნები ცნობდნენ მათ დამოუკიდებობას“[2].

ეს თვალსაზრისი სამართლიანია, რადგან იმჟამად მსოფლიოში კოლონიალური იმპერიები ჯერ კიდევ არსებობდნენ და ეს ითვლებოდა სრულიად ლეგიტიმურად, აუცილებელ საჭიროებად, კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების საფუძვლად. ყოფილი კოლონიების დამოუკიდებლობის აღიარება გამარჯვებული ქვეყნების მესვეურებს ძალიან უჭირდათ, მით უფრო, თუ ეს იყვნენ პატარა და ეკონომიკურად დამცრობილი ქვეყნები. ამ მხრივ გამონაკლისი არც ამიერკავკასიის რესპუბლიკები ყოფილან – ხში-

---

[1] Г. Мархулия, Армно-Грузинское взаимоотношения в 1918-1920 гг. https:\\iberianwordpres.com. p.5.

[2] გ. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

რად მათ გამარჯვებული ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებთან დაკავშირებაც კი უჭირდათ. ამიტომაც იყო შემთხვევები, როცა კონფერენციაზე ქართული დელეგაცია აზერბაიჯანის დელეგაციის მოვალეობას ასრულებდა და მათ ინტერესებს იცავდა.

სწორედ ქართული მხარის შუამდგომლობით, უფრო კი – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვ. ვილსონის მხარდაჭერის საფუძვლზე, მოხერხდა აზერბაიჯანის სახელმწიფო დელეგაციის დაშვება პარიზის კონფერენციაზე. ბაქოს ნავთობი, რომელიც მსოფლიოს ნავთობის მოპოვების დაახლოებით 40% უდრიდა, უდიდესი ცდუნება იყო ყველა ქვეყნის ხელძღვანელისთვის, რათა მოეპოვებინა მასზე კონტროლი, ზეგავლენა, მანდატი.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა აშკარად მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ახალი სახელმწიფობის დელეგაციების ურთიერთანამშრომლობა პარიზის საზავო კონფერენციაზე არაერთგვაროვანი იყო, განსაკუთრებით პრობლემური ჩანს ეს ურთიერთობა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. მაგრამ არსებობს ფაქტები, რომლებიც მიანიშნებენ, რომ გარკვეული შეხების წერტილები ამ დელეგაციებს შორის, აზრთა ურთიერთგაზიარება, გარკვეული კონსენსუსის მიღწევა ან მიღწევის მცდელობა, დაპირისპირებების მიუხედავად, მაინც ხერხდებოდა. მაგალითად, არის ცნობები სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლების შეხვედრებისა და დისკუსიების შესახებ როგორც პარიზში, ისე სან-რემოში (იტალია).[1]

ქართული მხარის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ პარიზის შეკრების დროს მოხერხდა გარკვეული კონსტატაცია: არც სომხეთის და არც აზერბაიჯანს არ ჰქონდათ და არც მომავალში ექნებოდათ რაიმე პრეტენზიები ბათუმზე. ქართული მხარე სომხებს დაპირდა, რომ იფიქრებდა სომხეთიდან რკინიგზის ხაზის ბათუმამდე გაყვანის პროექტზე, რასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სომხე-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალურა არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 48, ფურც. 110.

თის დელეგაცია (ამ საკითხს ჩვენ სპეციალურად განვიხილავთ ქვემოთ).

ასევე სერიოზულ მიდწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ დელეგაციების წარმომადგენლებმა დაადასტურეს სურვილი, დაესრულებინათ არსებული ტერიტორიული დავები და პრეტენზიები. ამ მიზნით გეგმავდნენ არბიტრაჟის დაარსებას, როელიც ასეთ პრეტენზიებს განიხილავდა და სამხედრო კონფლიქტების გარეშე შეეცდებოდა მათ გადაწყვეტას.

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის ახლადშექმნილი სახელმწიფოების დელეგაციების თანამშრომლობა პარიზის საზავო კონფერენციაზე, როგორც აღინიშნა, ერთგვაროვანი არ იყო, უფრო შესამჩნევი იყო ქართულ-აზერბაიჯანული თანამშრომლობის კონკრეტული შედეგები, რაც მომავალში – 1919 წლის ზაფხულში ამ ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ სამხედრო-პოლიტიკურ შეთანხმებაშიც აისახა. სამაგიეროდ სომხეთის დელეგაცია კონფერენციაზე მუდამ „საკუთარ თამაშს“ თამაშობდა და ხშირად მთლიანად იგნორირებდა მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, უფრო მეტიც – თურქეთში 1915 წლის სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ფაქტის მოშველიებით ყოველხრივ ცდილობდა თავისი ტერიტორიული პრეტენზიები დაეკმაყოფილებინა საქართველოსა და ზერბაიჯანის ისტორიული ტერიტორიების ხარჯზე.

მაგრამ, როგორც საქართველოს I რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში შემონახული დოკუმენტები მიუთითებენ, პარიზის საზავო კონფერენციაზე მოხდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებელი თვითაღიარებული სახელმწიფოების დელეგაციების ინტერესების გადაკვეთაც...

როგორც არსებული დოკუმენტები მოწმობენ, კონფერენციას ესწრებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილი შემდეგი თვითაღიარებული სახელმწიფოები: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ესტონეთი, ლატვია, ჩრდილო კავკასია, ბელორუსია, უკრაინა. ისინი

მოელოდნენ გამარჯვებული სახელმწიფოს მესვეურებისაგან აღიარებას, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ დახმარებას.

ინფორმაცია ქართველებთან ამ დელეგაციების ხელმძღვანელების ინტენსიური კავშირების შესახებ არ მოგვეპოვება, თუმცა არის რამდენიმე ერთობლივად განხორციელებული პოლიტიკური დემარში, ერთობლივი განცხადების მცდელობა. მაგალითად, 1919 წლის 7 ივნისს აზერბაიჯანის, ესტონეთის, საქართველოს, ლატვიის, ჩრ. კავკასის, ბელორუსიისა და უკრაინის დელეგაციების ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი დეკლარაცია[1].

მოგვიანებით, 1919 წლის 8 ოქტომბერს გაკეთდა არაღიარებული სახელმწიფოების დელეგაციების ხელმძღვანელების კიდევ ერთი ერთობლივი მიმართვა „ანტანტის“ ლიდერებისადმი. შემონახულია ყუბანის თვითაღიარებული სახელწიფოს დელეგაციის ხელმძღვანელობასთან საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლების კონტაქტების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

რამ განაპირობა გეოგრაფიულად განსხვავებულ რეგიონებში მდებარე თვითაღიარებული სახელმწიფოების დელეგაციების ერთობლივი განცხადებებისა თუ დემარშების ჩატარების აუცილებლობა?

საქმე იმაში იყო, რომ კონფერენციის გარკვეულ ეტაპზე სულ უფრო აშკარად გამოიკვეთა ის ტენდენცია, რომ „ანტანტის“ მესვეურებს არ სურდათ რუსეთის დაქუცმაცება, რადგანაც იმედოვნებდნენ ახლო მომავალში რუსეთში ბოლშევიკური მთავრობის დამხობას და „დემოკრატიული რუსეთის“ აღორძინებას. რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის პირობებში, მოკავშირე სახელმწიფოთა გამარჯვებული ხელმძღვანელები ცდილობდნენ ფულით, იარაღით, პოლიტიკური თანადგომით გაეძლიერებინათ „თეთრი მოძრაობის“ ლიდერები – ჩრდილო-აღმოსავლეთში ადმირალი კოლჩაკი და სამხრეთში – გენერალი დენიკინი. პარიზში მოლაპარაკებები „თეთრი მოძრაობის“ ლიდერების წარმო-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალურა არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 48, ფურც. 47.

მადგენლებთან აქტიურ ფაზაში იყო შესული და ამის შესახებ ინფორმაცია, როგორც ჩანს, თვითაღიარებული სახელმწიფოების წარმომადგენელთა ყურამდეც მივიდა.

1919 წლის 7 ივნისს შეიკრიბნენ აზერბაიჯანის, ესტონეთის, საქართველოს, ლატვიის, ჩრდილო კავკასიის, ბელორუსიისა და უკრაინის წარმომადგენლები. მათ განიხილეს მოკავშირეთა საბჭოს მიერ ადმირალ კოლჩაკთან დაფიქსირებული მიმოწერა და სარეალიზაციოდ გამზადებული სამხედრო გეგმები. ამ შეკრებას ესწრებონენ აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელი, პარლამენტის სპიკერი თოფჩიბაშევი, ესტონეთიდან – ნოსკი, ლატვიიდან – მეეროვიჩი, საქართველოდან – ჩხეიძე, ჩრდილოეთ კავკასიიდან – ჩერმოევი, ბელორუსიიდან – ლუტკევიჩი, უკრაინიდან – სედორენკო.

შეკრების მონაწილეებმა საფრანგეთის პრემიერ-მინისტ ჟ. კლემანსოს გაუგზავნეს დეკლარაცია, სადაც მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელებს შეახსენებდნენ, რომ კოლჩაკთან მათი მოლაპარაკებები, კოლჩაკის დაპირებები „ანტანტის“ ქვეყნების ლიდერების მიმართ, „ანტანტის“ მიერ აღებული ვალდებულებები და მოლოდინები არ უნდა შეხებოდა დეკლარაციის ხელისმომწერ სახელმწიფოებს.

მოგვიანებით, ოქტომბრის თვეში, კვლავ ჟ. კლემანსოს სახელზე გაგზავნილ ერთობლივ მიმართვაში რვა სახელმწიფოს დელეგაციის ხელმძღვანელები მოუწოდებდნენ, უკვე საკმაოდ კატეგორიულ ტონში, რომ „ამ ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო და არ იყო საჭირო, დალოდებოდნენ რუსეთში რაიმენაირი კრიზისის გამოვლინებას“[1].

კონფერენციაზე სხვებთან შედარებით გაუმართლათ სომხებს – ეს ალბათ I მსოფლიო ომის დროს მათ მიერ განცდილი საშინელი მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გამოძახილი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია,

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალურა არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 48, ფურც. 86.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა სომხეთის პრობლემების გადაჭრის დროს. აშკარა იყო, რომ სწორედ ამის გამო სომხეთის დელეგაცია ნაკლებად მონაწილეობდა ერთობლივ შეხვედრებში. თვითაღიარებული სახელმწიფოების წარმომადგენელთა თათბირებზე მიღებულ არც ერთ დეკლარაციას თუ მიმართვას სომხეთის წარმომადგენელი, როგორც წესი, ხელს არ აწერდა. პირიქით, როგორც კონფერენციაზე, ისე მოკავშირე სახელმწიფოების დედაქალაქებში სომხების წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობდნენ თავისი პოლიტიკური გეგმების მაქსიმალურ აღსრულებას, თუნდაც მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე. მაგალითად, ქართველი დიპლომატები ატყობინებდნენ თბილისს სომხების დელეგაციების საქმიანობის გააქტიურების შესახებ. ამერიკაში სომხური ლობი ძალისხმევას არ იშურებდა სომხების ყველა პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თუნდაც ეს საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ინტერესების შელახვის ხარჯზე მომხდარიყო.

სომხური დიპლომატიის სასახელოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვ. ვილსონს კიდევ უფრო გაუძლიერდა სომხების დახმარების სურვილი: სწორედ მან შეიმუშავა სხვადასხვა გეგმა და პროექტი, დღის წესრიგში დააყენა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკითხი სომხეთზე ამერიკის მანდატის დაწესების შესახებ.

ჩვენთვის ისიც საყურადღებოა, რომ პარიზის კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გაუჩნდა იდეა სამხრეთ კავკასიაში ფედერაციული ან კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საწყის ეტაპზევე ამ იდეის მიმართ ქართველების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითი აღმოჩნდა, რაც გარკვეულ გაოცებას იწვევს – ხომ ცნობილია, რომ პეტროგრადში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, სწორედ ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები იყვნენ მოკლე ხნით სამხრეთ კავკასიაში ამიერკავკა-

სიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეის ინიციატორები და ამ სახელმწიფოში „პირველი ვიოლინოს“ როლსაც თავადვე ასრულებდნენ.

მაგრამ ამერიკის იდეა ფედერაციის შექმნის თაობაზე მისი გახმოვანებისთანავე დაიწუნა ქართულმა მხარემ: საქართველოს დელეგაციის ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც დაეგზავნა ადრესატებს, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „საქართველოს მთავრობა ამ ეტაპზე არ მიესალმება ამ ხალხებს შორის (იგულისხმება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები – ა.დ.) უფრო მჭიდრო კავშირს, როგორიც არის ფედერაციული ან კონფედერაციული, რადგან ის არ შეესაბამება ქართველი ხალხის მისწრაფებას, შექმნას დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, გააგრძელოს და განავითაროს ეკონომიკა, რაც შეფერხდა რუსეთის ბატონობის გამო“.[1]

თუმცა ამ ერთობლივმა დემარშებმა, დეკლარაციებმა, მიმართვებმა ვერ მოახდინა ზეგავლენა „ანტანტის“ სახელმწიფო ლიდერების შეხედულებებზე მანამ, სანამ რუსეთის სამოქალაქო ომში რუსმა ბოლშევიკებმა თვალსაჩინო გამარჯვებებს არ მიაღწიეს და ერთიმეორეს მიყოლებით თამაშიდან გამოიყვანეს ადმირალი კოლჩაკიც, გენერალი დენიკინიც და ბარონი ვრანგელიც.

საქართველოს მთავრობის აზრით, იმჟამად დამოუკიდებელი, სუვერენული და უნიტარული საქართველოს სახელმწიფო მთლიანად შეესაბამებოდა დროის გამოწვევებს და უზრუნველყოფდა ქართველების ყველანაირი რესურსის კონცენტრაციას და ქვეყნის ზეაღმავალი განვითარებისაკენ წინსვლას.

პარიზის კონფერენციაზე შედარებით ნაკლებად ჩანს ქართველების კონტაქტები „თეთრი რუსეთის“ წარმომადგენლებთან, რომლებიც საკმაოდ მრავლად იმყოფებოდნენ პარიზში და, რა თქმა უნდა, ისინი ჯერ კიდევ ფლობდნენ მოკავშირეებზე ზემოქმედების ბერკეტებს და მაქსიმალუ-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალურა არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 48, ფურც. 86.

რად ცდილობდნენ უზრუნველეყოთ „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის აღდგენა; ისინი ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილ სახელმწიფო წარმონაქმენებს „გერმანელების იმპერიალისტურ ხრიკებს“ უკავშირებდნენ და თავისი მოკავშირეებისაგან – „ანტანტის“ მესვეურებისაგან მოითხოვდნენ „რუსული საკითხის“ ოპტიმალურ გადაწვეტას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დარჩათ საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებს რუსეთის დროებითი მთავრობის ყოფილ თავმჯდომარესთან, თავად გ. ლვოვთან შეხვედრის დროს, რომელთან კავშირიც დოკუმენტურად დასტურდება.

თავადი გ. ლვოვი თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, მცირე ხნით ჩაუდგა სათავეში „დემოკრატიულ რუსეთს“, ჰქონდა წარუმატებელი მცდლობა განეხორციელებინა მონარქიული ქვეყნის ტრანსფორმაცია რესპუბლიკურ სახელმწიფოდ, სწორედ მისმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საყოველთაო ამნისტიის შესახებ, მისივე განკარგულებით შეიქმნა „ოზაკომი“ – ამირკავკასიის საგანგებო კომიტეტი და ა.შ., მაგრამ ის ბოლომდე „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ შენარჩუნების, აღდგენა-გაძლიერების მხარდამჭერად დარჩა. თავადი ლვოვი კარგად იცნობდა საქართველოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ლიდერებს – ნ. ჩხეიძეს, ირ. წერეთელს, აკ. ჩხენკელს.

როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის წევრი ირ. წერეთელი შეხვდა თავად ლვოვს და ჰქონდა მასთან მიზნობრივი საუბარი, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე, მის მომავალზე. როგორც ირ. წერეთელმა განაცხადა 1918 წლის 24 ივნისის თათბირზე, „ისიც იმავე შეხედულების არის, როგორც ყველა რუსი ნაციონალისტი“. თავად ლვოვს მისთვის კატეგორიულად უთქვამს, რომ „წინათ შეიძლება აუცილებელი იყო ის, რაც მოიმოქმედეთ, მაგრამ ახლა რუსეთი უნდა აღვადგინოთ და უნდა შემოხვიდეთ შიგნით.“

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „თეორი რუსეთის“ ამ თუ სხვა წარმომადგენლების ეს „ველიკოდერჟავული“

მცდელობები პარიზის საზავო კონფერენციაზე განსაკუთრებით მხარდაჭერილი აღმოჩნდა, რაც თავისებურად აისახა პარიზში ჩამოსული რუსეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახელმწიფოების წარმომადგენელებთან საუბრებში, ოფიციალურ დოკუმენტებში, პრაქტიკულად განხორციელებულ ნაბიჯებში.

საქართველოს დელეგაციამ თავიდანვე მიზნად დაისახა „ანტანტის“ ლიდერებისათვის გაეცნო საქართველოს პოზიციები რუსეთთან დაკავშირებით, ისინი უმტკიცებდნენ მოკავშირეებს, რომ არ განეხილათ საქართველოს საკითხი რუსეთის იმპერიის აღდგენის კონტექსტში, მთლიანად გამოეცალკევებინათ მისგან და უზრუნველეყოთ „საქართველოს საკითხის“ სამართლებრივი გადაწყვეტა.

საქართველოს დელეგაციის ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული: „შესაძლებელია მოკავშირე სახელმწიფოები შეეცდებიან რუსეთის აღდგენას, ამ შემთხვევაში დადგება საკითხი, სურს თუ არა საქართველოს გახდეს რუსეთის ნაწილი, ან დარჩეს დამოუკიდებელი. წავიდა ის დრო, როცა საქართველოს უნდა აერჩია გუბერნიასა თუ ადგილობრივ ავტონომიას შორის. დღეს არჩევანია დაქვემდებარებასა და დამოუკიდებლობას შორის. რუსეთის შემადგენლობაში შესვლით შეწყდება საქართველოს დამოუკიდებლობა, ავტონომია ექნება მხოლოდ იმ ხარისხით, რასაც რუსეთის სახელმწიფო ინტერესები გაიმეტებს, ხოლო ეს ინტერესი (ქართველებისათვის ეს ცნობილია) არ იქნება არც ფართო და არც სრული. ყველა ქართველი იზიარებს იმ აზრს, რომ რუსული პარტიები გამონაკლისის გარეშე, როგორც რადიკალები, ისე რეაქციონერები, მონარქისტები, ასევე სოციალისტები ერთნაირად უხეშად არიან განწყობილნი ხალხებისა და ოლქების თავისუფლების მიმართ“[1].

საქართველოს დელეგაციის წევრები, როგორც ოფიციალურად გაგზავნილ მემორანდუმებსა თუ წერილებში, ისე

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალურა არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 48, ფურც. 20.

უცხოელ პარტნიორებთან პირად შეხვედრებში ცდილონენ მათთვის საქართველოს ხელისუფლების მტკიცე პოზიციის განმარტებას – „საქართველო არ არის რუსეთის ნაწილი!“.

საქართველოს დელეგაციის ასეთი პრინციპული ანტირუსული პოზიცია პარიზის საზავო კონფერენციაზე განსაკუთრებით აკვირვებდა რუსეთის წარმომადგენლებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ საქართველოს დელეგაციეს წევრებს – რუსეთის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) თვასაჩინო ლიდერებს, რომლებსაც 1917 წლის ოქტომბრამდე აზრათაც არ მოსვლიათ ამიერკავკასიის ჩამოცილება რუსეთისაგან, პირიქით, მათ თავი დაამახსოვრეს რუსეთის საზოგადოებრიობას თავისი პრორუსული გამონათქვამებით, პატრიოტული შეძახილებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პროპაგანდით. ყველას ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა, რომ ირაკლი წერეთელი – დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი იყო, კარლო ჩხეიძე – პექტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, აკაკი ჩხენკელი – რუსეთის რევოლუციური ძალების ერთიანობის დიდი მეხოტბე.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსმა ბოლშევიკებმა ქართველ მემარჯენე სოციალ-დემოკრატების თვალსაჩინო ლიდერებს თავისი პრესის ფურცლებიდან ეს „რუსეთუმეობა“ არაერთხელ შეახსენეს და მოიტანეს ციტატები მათი მგზნებარე გამონათქვამებიდან, სადაც ისინი ამტკიცებდნენ (მაგალითად, ა. ჩხენკელი 1917 წლის დემოკრატიულ თათბირზე) რუსეთის რევოლუციური ძალების ერთიანობის აუცილებლობას [1].

ის, რომ ქართველმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა „რუსეთის რევოლუციის ერთიანობის მეხოტბეობა“ ძალიან ადვილად ჩაანაცვლეს „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის“ იმიჯით, განსაკუთრებით პარიზის საზავო კონფერენციაზე, ძალიან ბევრზე მეტყველებს, მაგრამ ამ ქმედებით მათ მოწინააღმდეგეებსაც მისცეს და-

[1] გაზ. „Правда“, 1918 წ. 28 ივნისი.

მატებითი არგუმენტები ბრალდებისათვის, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა „უარყვეს პროლეტარიატის ერთიანობის წმინდათაწმინდა მარქსისტული პრინციპები“.

მაინც რა უნდოდათ, რისკენ მიისწრაფოდნენ საქართველოს სახელწიფო დელეგაციის წევრები პარიზის საზავო კონფერენციაზე?

დელეგაციების წევრებმა თავიანთი მთავარი პოზიცია არაერთხელ გააჟღერეს ოფიციალურ მემორანდუმებში, საქმიან წერილებში, საჯარო გამოსვლებში: „ქართული დიპლომატია არ გაჰყვება მეფეებისა და ქართველი თავადების გაკვალულ გზას, რომლებიც თურქებისა და სპარსელებისაგან დასაცავად მუდამ რუსეთის თვითმყრობელობას ეტმასნებოდნენ. ქართველებს არ სურთ დაემორჩილონ მაკონტროლებელ უცხო ძალას, მათ სურთ გამოსცადონ საკუთარი ძალები, რომ თავის თავზე აიღონ საქართველოს ძლიერებისათვის ბრძოლის მთელ სიმძიმე, ხოლო თავისი დამოუკიდებლობის გარანტიებს კი ისინი მიიღებენ ერთა ლიგის შემადგენლობაში. საქართველოს უნდა, რომ მას მართავდეს თავისი საკუთარი მთავრობა მისი ხასიათისა და მისი მოთხოვნილებების შესაბამისად. საქართველოს უნდა, რომ მისი სახელმწიფოებრივი მართვის ძირითადი პრინციპები დაეფუძნოს მის ნაციონალურ ტრადიციებსა და ევროპულ მეცნიერებას, და რომ არასოდეს გაითვალისწინოს არც რუსი ხალხის გრძნობები და არც რომელიმე სხვა ხალხის ინტერესები“.[1]

ეს იმდენად სრულყოფილად გამოხატავს სახელწიფო დელეგაციის წევრების მიზნებსა და ამოცანებს, რომ დამატებითი კომენტარები აღარ სჭირდება, თუმცა მისი რეალიზება პარიზის საზავო კონფერენციაზე ვერ მოხერხდა.

ამრიგად, დოკუმენტურად დასტურდება პარიზის საზავო კონფერნციაზე არა მარტო კავკასიის ხალხების წარმომადგენელთა გარკვეული თანამშრომლობა საერთო ინტერესების დასაცავად და რუსული რევანშიზმის წინააღმდეგ,

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 48, ფურც. 21-22.

არამედ ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების დელეგაციებთან ქართველების კომუნიკაცია და მათი ერთობლივი მცდელობა საერთო მიზნის მისაღწევად. თუმცა ისიც დასტურდება, რომ ამ მცდელობის მიუხედავად, რაიმე კონკრეტული შედეგი ამ მოლაპარაკებებს არ მოჰყოლია და კავკასია კვლავ დარჩა ურთიერთტერიტორიული პრეტენზიების ასპარეზად.

§7. ბათუმის საკითხი

მნიშვნელოვან საკითხებს შორის, რომელთა მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო საქართველოს დემოკრატიული მთავრობა და მის მიერ პარიზში წარგზავნილი დელეგაცია, ერთ-ერთი იყო ბათუმის საკითხი. ამას მოწმობს საქართველოს I რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში შემონახული დოკუმენტების შინაარსი, სადაც ხაზგასმულია როგორც ამ რეგიონის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა საქართველოსთვის, ისე მოტანილი არგუმენტაცის საფუძვლიანობისა და ლოგიკურობის შეუვალობა, რის მეშვეობითაც დელეგაციის წევრები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ საქართველოსათვის ამ რეგიონის მიკუთვნების აუცილებლობა.

როგორც დასტურდება, ქართული მხარე ბათუმის ოლქის კუთვნილების საკითხით დაინტერესებას ავლენს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და ეს ინტერესი უკვე შესამჩნევია გერმანიის ბლოკის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან საუბრებსა თუ ოფიციალური დოკუმენტებში, მაგრამ განსაკუთრებით პრინციპული ფორმა მიიღო პარიზის საზავო კონფერენციის მსვლეობის დროს. ქართული მხარე საკუთარ პოზიციას აფიქსირებდა როგორც გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ურთიერთობისას, ისე სამხრეთ კავკასიის ახლადშექმნილი სახელმწიფოების ოფიციალურ დელეგაციებთან საქმიანი კონტაქტების დროს.

პრობლემის უფრო სიღრმისეულად წარმოსაჩენად მოკლედ გაგაცნობთ მის არსს: 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკების მიერ გერმანიის ბლოკთან გაფორმებული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსეთი თმობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომების შედეგებით და 1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, რეპარაციის ანგარიშში, თურქეთის მხარის მიერ რუსეთისათვის გადმოცემულ ტერიტორიებს – ბათუმის ოლქს, ყარსს, არდაგანს, კოლა-არტაანს და ა.შ.

ამიერკავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომელიც დროებით შეიქმნა ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, არ ცნო არც ბოლშევიკური ხელისუფლება და არც მის მიერ დადებული ხელშეკრულების ლეგიტიმურობა, ამიტომ მისი აღსრულება არც უცდია. ამან გამოიწვია თურქეთის აგრესია ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს მიმართ, რაც რუსეთის მხრიდან კავკასიის ფრონტის მოშლისა და რუსი ჯარისკაცების სამშობლოში გამგზავრების ფონზე, ყოველდღიურად ძლიერდებოდა. თურქებმა შეძლეს არა მარტო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიების დაკავება, არამედ მოახდინეს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სრული ოკუპაციაც და საქართველოსთვის ამ ტერიტორიების დაბრუნებას აღარ აპირებდნენ.

შექმნილმა ვითარებამ ქართული მხარე აიძულა გამოეყენებინა გერმანიის ზეგავლენა და ეთხოვა მისთვის, შეეკავებინა როგორც თურქეთის აგრესია, ისე მისი ხელისუფლების ტერიტორიული პრეტენზიები სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაცულია „მოკავშირე მთავრობებისადმი გაგზავნილი ნოტების დედანი“, რომელსაც არც თარიღი აქვს და არც ხელმომწერი ჰყავს, თუმცა დოკუმენტის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ მისი დამწერი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი შეიძლება იყოს. დოკუმენტში დადასტურებულია საუბარი გერმანიის „უნტერსტატსსეკრეტარ“ ბ. შტუმფთან და მოტანილია ამ საუბრის შინაარსი.

ამ საუბრის დროსაც ქართული მხარე შეეცადა დაესაბუთებინა თავისი პოზიციები როგორც ბათუმის ოლქის მიმართ, ისე თურქეთის მიერ ბრესტის ზავის იგნორირებით დაკავებული ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მიმართაც.

დოკუმენტის ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ხსენებული მაზრები გეოგრაფიულად ტფილისის გუბერნიის, მაშასადამე, საქართველოს სრულიად განუყოფელ ნაწილს შეადგენს: ამავე დროს ისინი მთლათ მოწყვეტილი არიან მთის ზღუდეებით ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებისაგან, რომელზედაც სურს ისინი მიაკრას ოსმალეთის მთავრობას“ (დოკუმენტი შედგენილია ქართულ ენაზე, ავტორის სტილი დაცულია – ა.დ.).

შემდეგ დოკუმენტის ავტორი განაგრძობს: „ასეთი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარეობს ერთი აუცილებელი შედეგიც: ხსენებული მაზრების მცხოვრებთა ეკონომიკური კეთილდღეობა წარმოუდგენელია საქართველოს გარეთ. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული განსაკუთრებით თფილისთან, სადაც მიაქვთ თავიანთი ნაწარმოებნი (პური, ხილი, თაფლი, ხე-ტყე, მატყლი, პირუტყვი, ტყავეულობა, ყველი-კარაქი და სხვ.) და ღებულობენ სამაგიეროთ ყოველგვარ ფაბრიკატებს. ხსენებული მაზრების სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოსთვის სრულიად განსაკუთრებულია. საქართველო უახალციხოთ უკარო სახლია – ეს ისეთი აქსიომაა, რომელიც იცის ყველამ, როგორც საქართველოში, ისე ოსმალეთში. წარსულ საუკუნეებში, როცა ახალციხე ოსმალეთს ეჭირა, საქართველო გაპობილი იყო ორად: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, რაიცა მოასწავებდა მის პოლიტიკურ უძლურობას და ეკონომიურ დაქვეითებას“[1].

მოვლენებს წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ ერთიან საქართველოს ორგანიზმთან ახალქალაქისა და ახალციხის ეკონომიკური ინტეგრაციის ფაქტორი არგუმენტად მოიტანა საქართველოს საბჭოთა მთავრობამაც საბჭოთა სომხეთის

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 114, ფურც. 2.

ტერიტორიული პრეტენზიების უარსაყოფად 1921 წლის ზაფხულში, როცა ეს საკითხი ახლა უკვე საბჭოთა სომხეთის მხარემ დააყენა დღის წესრიგში და ბორჩალოს მაზრის გარკვეული ნაწილის (ლორეს ოლქი) გადაცემასთან ერთად მოითხოვდა ახალქალაქს მდინარე ხრამამდე. სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ თავის არგუმენტად 1921 წლის ზაფხულში სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული დიპლომატიური წერილის დასაბუთება მოიტანა. მიგვაჩნია, რომ საბჭოთა სომხეთის მიმართ ეს არგუმენტები (ეკონომიკური ფაქტორი) უფრო ლოგიკური და გამართლებული დასაბუთებაა, ვიდრე თურქეთის მიმართ, რადგან ეს კონკრეტული სადავო ტერიტორიები, მართალია, ისტორიულად ქართული და ერთიანი ქართული მონარქიის განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ საუკუნეების მანძილზე ისინი თურქეთის იმპერიის შემადგენლობაშიც შედიოდნენ და მასთან ეკონომიკური კავშირებიც ასევე საკმაოდ გაცხოველებული ჰქონდათ (სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობენ თანამედროვე თურქი ისტორიკოსები, მაგალითად ესინ დაი, თავისი არგუმენტებით).[1]

მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უფრო ლოგიკური იყო წერილში მოტანილი გეო-სტრატეგიული არგუმენტი: „საქართველო უახალციხოთ უკარო სახლია – ეს ისეთი აქსიომაა, რომელიც იცის ყველამ, როგორც საქართველოში, ისე ოსმალეთში. წარსულ საუკუნეებში, როცა ახალციხე ოსმალეთს ეჭირა, საქართველო გაპობილი იყო ორად: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, რაიცა მოასწავებდა მის პოლიტიკურ უძლურობას და ეკონომიურ დაქვეითებას“. ახალციხის საფაშოს არსებობის მთელი ისტორიული პერიოდი ამ თეზისის უდავო დადასტურებაა.

დოკუმენტში ქართული მხარის პოზიცია განმტკიცებულია სადავო ტერიტორიებზე მცხოვრებთა ეთნიკური კუთვნილებითაც. წერილის ავტორს მოაქვს სტატისტიკა, რომელშიც ხაზგასმულია: „ახალციხის მაზრაში ცხოვრობს 96 000 სული, ამათგან 64 000 სული მაჰმადიანი და ქრის-

[1] ესინ დაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

ტიანი ქართველია, დანარჩენი კი ცოტას გამონაკლისით სომხებია; ახალქალაქის მაზრაში 108 000 სულიდან 72 000 სომეხია, დანარჩენიდან კი ცოტას გამონაკლისით ქართველებია. მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა დაიჭირა, ეს ორი მაზრა 100 000 მეტი ქრისტიანი ლტოლვილებად ითვლებიან საქართველოში და განიცდიან საშინელ გაჭირვებას, მაშინ როდესაც მათი საცხოვრებელი მთლად განადგურებულია...“[1]

ასეთი არგუმენტების წარდგინების შემდეგ, დოკუმენტის ავტორი ასკვნის: „ოსმალეთის მთავრობის პრეტენზია ახალციხესა და ახალქალაქის მაზრებზე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, როგორც გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულს, ისე ეკონომიკურ-სტრატეგიულს. პოლიტიკურ ენაზე კი ეს პრეტენზია მოასწავებს ოსმალეთის მთავრობის აგრესიულ მიდრეკილებას საქართველოს მიმართ, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ შეუძლებელია თფილისში და ქუთაისში მშვიდობიანი ცხოვრება, თუ ახალციხეში და ახალქალაქში უცხო სახელმწიფო ბატონობს“[2].

დოკუმენტის შინაარსის სრული გაცნობა ადასტურებს, რომ წერილის დაწერის დროს I მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, საბოლოო გამარჯვებული ჯერ არ არის გამოვლენილი, რაც წერილის ავტორს საფუძველს აძლევს საკმაოდ „ღრმა რევერანსები უკეთოს“ როგორც გერმანიას, ისე მის მოკავშირეს – თურქეთს.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს მხარემ, რომელმაც არ ცნო საბჭოთა ხელისუფლება 1917 წელს, არ გააგზავნა წარმომადგენლობა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე და არც საზავო გადაწყვეტილებებს არ თვლიდა თავისთვის სავალდებულოდ, აღნიშნულ დოკუმენტში ავლენს სწორედ მათ მიერვე უარყოფილი ამ საზავო დოკუმენტისადმი ერთგულებას და მოითხოვს თურქეთის მხრისგან მის მკაცრად დაცვას. ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა დოკუმენტში არსებული

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 114, ფურც. 2.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 114, ფურც. 5.

შემდეგი ჩანაწერი: „მე არ მივცემ ჩემს თავს ნებას შევჩერდე იმაზე, რომ ხსენებული ორი მაზრის საქართველოდგან ჩამოჭრა ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, რომელზეც ოსმალეთს უწერია ხელი... მივაქცევ მხოლოდ თქვენი აღმატებულობის ყურადღებას ერთ პრინციპულ მხარეს. ახალციხე და ახალქალაქის მაზრები მდებარეობს საქართველოსა და ბათუმ-არტან-ყარსის შუა. მაშასადამე, თუ ხსენებული მაზრები ოსმალეთს გადაეცა, ამით ავტომატურად ბათუმ-არტან-ყარსის ბედიც წყდება, ე.ი. ესეც ოსმალეთის სამფლობლოდ უნდა ჩაითვალოს...“[1]

წერილის ავტორი წერილის ადრესატის (უნტერსტატსსეკრეტარ ბ. შტუმფის) ყურადღებას მიაქცევს ბათუმის კუთვნილების საკითხს, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ძალით საქართველოს ჩამოაცალეს. სპილენძის მადნით მდიდარი, ჩინებული საზღვაო პორტის მქონე კუთხე, რომლის მოსახლეობის 90 პროცენტი ქართველია, ეკონომიკური თვალსაზრისით უდიდესი დარტყმა იქნება პატარა ქვეყნისათვის – აცხადებს წერილის ავტორი.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა ქართველი დიპლომატის დასკვნაც – „საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ უცვლელად დარჩეს ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრები არა მარტო საქართველოსათვის, არამედ სომხეთის გასწვრივაც, ვინაიდან მხოლოდ ამ შემხვევაში დაუბრუნდებიან გამოქცეულნი სომეხნი თავიანთ კერას“. ამ შემთხევაში კი იგულისხმებიან ის სომხები, რომლებიც ასიათასობით შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ვილაეთებიდან და რომელთა მიპატრონების ვალდებულება საქართველოს მხარემ აიღო, ხოლო მომავალში აუცილებლად საჭიროებდნენ სამშობლოში უკან დაბრუნებას.

დამაფიქრებელია ქართველი დიპლომატის შეთავაზებები გერმანიისათვის, რომ გერმანიას „დიდი ინტერესები აქვს“ როგორც საქართველოში, ისე მთელს კავკასიაში. მი-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1864, აღ.1, ს. 114, ფურც. 5.

სი აზრით გერმანიის იმპერია უნდა დაინტერესებულიყო სომხეთის საკითხითაც, რაც „ბელგიის საკითხად შეიძლება გადაიქცეს კავკასიაში (აქ შეიძლება იგულისხმება გერმანიის მიერ ნეიტრალური ბელგიის ოკუპაცია და იქიდან საფრანგეთზე თავდასხმა I მსოფლიო ომის პერიოდში – ა.დ.), ამის გარდა, ალექსანდროპოლი-ჭულფას გზა, რომელიც გადის ჩრდილოეთ სპარსეთში და აქვს უპირველესი ეკონომიკური მნიშვნელობა გერმანიისათვის. შესაძლებელია დარჩეს ოსმალეთის ხელში. დამოუკიდებელი სომხეთი, რომელიც მდებარეობს გზის მთელი სიგრძის ორსავე მხარეზე, საუკეთესო შუამავალი იქნება გერმანიის აღებ-მიცემობისა სპარსეთში“. ასეთი შეთავაზებით ქართველი დიპლომატი ცდილობს გერმანული მხარის ინტერესების გაცხოველებას და მათ აქტივობას სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართველი დიპლომატი ამ წერილში აშკარად ცდილობს სპარსეთის სავაჭრო გზებით ისე მოხიბლოს გერმანიის მხარე, რომ მას თურქეთის საწინააღმდეგო ქმედებაც კი ჩაადენინოს – ეს დიპლომატიური ხრიკი უდავოდ მოკავშირეთა ეკონომიკური ინტერესებით მანიპულირებასა და, აქედან გამოდინარე, საქართველოსათვის მაქსიმალური შედეგების მისაღებად გაწეულ საქმიანობად შეიძლება ჩავთვალოთ.

წარმოდგენილი დოკუმენტი აშკარად გერმანიის ბლოკის წარმატებებზეა გათვლილი და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამდე უნდა იყოს დაწერილი.

მაგრამ გერმანიის ბლოკი დამარცხდა – მუდროსის ზავით თურქეთმა აიღო ვალდებულება მთლიანად დაეტოვებინა ოკუპირებული ქვეყნები, მათ შორის ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაც. ბათუმში ინგლისის საექსპედიციო კორპუსი შევიდა. საქართველოს ჯარებმა კი ახალციხე და ახალქალაქი დაიკავეს.

უკვე ამ ეტაპიდან ბათუმის საკითხმა სხვა ჟღერადობა შეიძინა და ქართულ დიპლომატიას დასჭირდა გარკვეული ცვლილებების შეტანა თავის გეგმებში, რადგან ბათუმის უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მის

მიმართ პრეტენზიები სხვა ქვეყნებსაც გაუჩნდათ და საჭირო იყო მათი პრეტენზიების ასევე ლოგიკური არგუმენტებით გაბათილება.

ბათუმის მნიშვნელობა მსოფლიო ვაჭრობაში თვალში საცემი გახდა უკვე XIX საუკუნის დასასრულს, როცა ბაქოს ნავთობის უწყვეტი გადინება მსოფლიო ბაზრებზე სწორედ ბათუმის პორტის საშუალებით ხდებოდა და მსოფლიოს ბიზნესის წამყვანი მოთამაშეები (ბარონი როტშილდი, ნობელი და სხვები) არა მარტო დიდ ინტერესს ავლენდნენ ბათუმის მიმართ, არამედ დიდ ინვესტიციებსაც არ იშურებდნენ ამ ქალაქში სამრეწველო სტრუქტურების განსავითარებლად. ეს საკითხი კარგად არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში [1].

დოკუმენტურად დასტურდება, რომ ბათუმის საკითხმა ახალი იმპულსები შეიძინა უკვე პარიზის საზავო კონფერენციის დროს და მან საქართველოს დელეგაციის წევრების საქმიანობაშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. პარიზში ბათუმის მიმართ მზარდი ინტერესი გამოავლინეს აზერბაიჯანისა და სომხეთის „დე-ფაქტო“ სახელმწიფოებმაც. ამას ადასტურებს პარიზში შედგენილი დიპლომატიური დოკუმენტი, რომელიც აჯამებს ბათუმის შესახებ სამი სახელმწიფოს: აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს დელეგაციების წარმომადგენელთა დისკუსიის შედეგებს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს დელეგაციები, ანიჭებენ რა უდიდეს მნიშვნელობას სამართლიან და მათი ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ბათუმის საკითხის გადაჭრას, დებენ ურთიერთ შემდეგ შეთანხმებას.“[2]

როგორც ვხედავთ, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებმა უკვე დიპლომატიური შეთანხმების პრეამბულაშიც კი ვერ დამალეს ბათუმის საკიხით მათი ქვეყნების მთავრობე-

---

[1] ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, საქმიანი საქართველო, თბ., 2022, გვ. 375-399; გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, თბ., 1976 და სხვ.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ.1864, საქ. 48, ფურც. 113.

ბის უდიდესი ინტერესი: „უდიდესი მნიშვნელობის მქონე სამართლიან და მათი ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ბათუმის საკითხის გადაჭრისადმი.“

დოკუმენტის 7 პუნქტი მთლიანად მოიცავს ბათუმის კუთვნილების, მისი ექსპლოატაციის, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მისი ჩართვისა თუ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ ინტერესებთან ბათუმის დაკავშირების საჭირბოროტო საკითხებს. დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ მთლიანად ვაქვეყნებთ მის ჩვენეულ თარგმანს (დოკუმენტი რუსულ ენაზეა შედგენილი):

1. რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკა მოითხოვს ბათუმის ოლქის (ბათუმისა და ართვინის მაზრების) თავის ტერიტორიის შემადგენლობაში ჩართვას, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებს აქვთ სურვილი, მხარი დაუჭირონ საქართველოს რესპუბლიკის ამ კანონიერ მოთხოვნას;

2. სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები არ არიან წინააღმდეგი, რომ ქალაქი ბათუმი თავისი ნავსადგურით იმყოფებოდეს ასევე საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ, მხოლოდ იმ პირობით, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკური ინტერესები ბათუმში მთლიანად დაკმაყოფილებული იქნება;

3. საქართველო იღებს ვალდებულებას ზემოთ ნახსენებ მეზობელ რესპუბლიკებს მისცეს ვაჭრობისა და სამიმოსვლო ურთიერთობების ყოველგვარი გარანტია, რადგანაც ბათუმი გამოიყენება მათ მიერ ზღვაში გასასვლელ საშუალებად;

4. გადაწყვეტილია, რომ ზემოთაღნიშნული გარანტიები (სტატია 3) შეეხება ორივე ზემოთაღნიშნულ რესპუბლიკას, რათა მათ მოაწყონ ბათუმის პორტში კომერციული ბაზარი (ნავსადგური, საწყობები, მისასვლელი გზები და ა.შ.). ბაქოს ნავთის მრეწველობის საჭიროებანი განსაკუთრებული გულისხმიერებით იქნება გათვალისწინებული;

რაც შეეხება სომხეთს, ეს გარანტიები მთლიანად შეეხება რკინიგზას, რომელიც დააკავშირებს სომხეთის რკინიგზებს ბათუმთან;

5. ამიერკავკასიის რესპუბლიკები მიმართავენ ერთა ლიგას თხოვნით, რომ მან დანიშნოს ნეიტრალური ეროვნების სპეციალისტი ინსპექტორი, რომელიც თვალყურს მიადევნებს შესაბამისი ხელშეკრულების დაცვას, რომელიც გაფორმდება საქართველოსა და მეზობელ რესპუბლიკებს შორის;

6. ზემოთმოტანილი დადგენილება გახდება საფუძველი დაინტერესებულ მხარეებს შორის შემდგომი გადაწყვეტილებებისა და განსაკუთრებული შეთანხმებებისათვის, როგორც კი გადაწყდება ბათუმის საკითხი;

7. უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ან მისი განმარტების დროს და ვერ გადაიჭრება ურთიერთშეთანმების საფუძველზე, დარეგულირდება არბიტრაჟის გზით 1920 წლის აპრილის უკვე არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული დავების გადაჭრას.“

წარმოდგენილი დიპლომატიური შეთანხმების ტექსტი მრავალმხრივ საყურადღებოა:

1. საქართველო ოფიციალურად აცხადებს პრეტენზიას ბათუმზე და ართვინის მაზრაზე;

2. ამაში მას მხარს უჭერენ სომხეთი და ზერბაიჯანი და თახმდებიან, აღიარონ საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმსა და ართვინის მაზრაზე;

3. სომხეთი და ზერბაიჯანი თანახმანი არიან აღიარონ საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის საზღვაო ნავსადგურზეც;

4. დოკუმენტში საერთოდ ნახსენები არ არის ბათუმში „პორტო ფრანკოს“ სტატუსის აღდგენის საკითხი.

ამის სანაცვლოდ, მეზობლების გულის მოსაგებად, ქართული მხარე აშკარად შორს მიდის და აძლევს „კარტბლანშს“ თავის მეზობლებს „რათა მათ მოაწყონ ბათუმის პორტში კომერციული ბაზარი (ნავსადგური, საწყობები, მისასვლელი გზები და ა.შ.). ბაქოს ნავთის მრეწველობის საჭიროებანი განსაკუთრებული გულისხმიერებით იქნება გათვალისწინებული; რაც შეეხება სომხეთს, ეს გარანტიები

მთლიანად შეეხება რკინიგზას, რომელიც დააკავშირებს სომხეთის რკინიგზებს ბათუმთან“.

ჩვენთვის სახეზეა მეზობლებისათვის ზედმეტი დათმობები ბათუმის ოლქის საქართველოსადმი კუთვნილების დადასტურების სანაცვლოდ, რასაც მომავალში შეიძლება შეელახა სწორედ ნანატრი სუვერენიტეტი.

ჩვენთვის უცნობია, ზემოთმოტანილი დიპლომატიური დოკუმენტი შევიდა ძალაში, მოხდა მისი რატიფიკაცია, თუ მხოლოდ პროექტის სახით ჩამოყალიბდა და განიხილებოდა კონფერენციაზე სამი რესპუბლიკის დელეგაციებს შორის.

ჩვენ უფრო მივიჩნევთ, რომ ეს იყო დიპლომატიური პროექტი, რომელიც ვერ განხორციელდა. 1920 წლის ზაფხულში ინგლისის საექსპედიციო კორპუსმა დატოვა საქართველო, ბათუმი და მისი ოლქი გადაეცა საქართველოს. მიუხედავად ამისა, არსებობს დოკუმენტური დადასტურება, რომ აზერბაიჯანელი ემისრები ეწეოდნენ ბათუმის ოლქში ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის აგიტაციას აზერბაიჯანთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის მიზანშეწონილობის შესახებ.[1]

როცა ინგლისელები ბათუმს ტოვებდნენ, ბაქოს თავზე უკვე III ინტერნაციონალის წითელი დროშა ფრიალებდა, ხოლო 1920 წლის ოქტომბერში თურქებისაგან გატანჯულმა სომხეთის რესპულიკამ გადასარჩენად კვლავ რუსეთის მფარველობა აირჩია. ხოლო რაც შეეხება ბათუმის ოლქს, 1921 წლის მარტში რუსეთ-თურქეთს შორის გაფორმებულმა მოსკოვის ხელშეკრულებამ ის საქართველოს დაუკანონა, რაც მოგვიანებით ყარსის ხელშეკრულებამაც დაადასტურა.

[1] გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 17 მარტი.

§8. გამარჯვებული „ანტანტის“ გეგმები და პოლიტიკა საქართველოს მიმართ I მსოფლიო ომის დასასრულს

პარიზის საზავო კონფერენციაზე გამარჯვებულმა ქვეყნებმა იურიდიულად გააფორმეს ის, რაც უდიდესი ძალისხმევით მოიპოვეს ბრძოლის ველზე. მსოფლიოს იმჟამინდელმა „ზესახელმწიფოებმა“ – დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა არა მარტო შეინარჩუნეს თავიანთი უკიდეგანო კოლონიალური იმპერიები, რომლებსაც ასე „ვერაგულად“ ემუქრებოდა გერმანიის ახლადაღზევებული სახელმწიფო, არამედ კიდევ უფრო განავრცეს და გააძლიერეს საკუთარი გავლენები ევროპისა, აზიის და აფრიკის კონტინენტებზე.

სწორედ I მსოფლიო ომში გამარჯვებით დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების შეუჩერებელი წინსვლა მსოფლიოში ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენების მოსაპოვებლად წარმოებულ შეჯიბრში, რამაც თავისი მაქსიმალური შედეგი უკვე II მსოფლიო ომის შემდეგ მოიტანა.

აშკარაა, რომ პარიზის საზავო კონფერენციაზე სწორედ გამარჯვებული სახელმწიფოების ინტერესების პრიმატი განსაზღვრავდა რეალურ ვითარებას და ეს ინტერესებიც უამრავი იყო: დაიშალა ავსტრია-უნგრეთის უზარმაზარი იმპერია და მის ნანგრევებზე შექმნეს ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ხორვატია. ჩამოინგრა თურქეთის უკიდეგანო სახელმწიფო და უამრავი ხალხი ახლო აღმოსავლეთში მიუსაფარი აღმოჩნდა – საჭირო გახდა არაბი ხალხის სახელწიფოებრივი მოწყობა, ეთნიკურ-ტერიტორიული გამიჯვნა, მათთვის ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მშენებლობა და ა.შ.

ვერსალში შექმნილ ვითარებას ჩინებულად აცნობიერებდა ქართული საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით მისი მემარცხენე – სოციალ-დემოკრატიული ნაწილი, როცა საჯაროდ აღნიშნავდნენ: „როგორც ჩანს ეს კონფერენცია აგებული იქნება ძველ სისტემაზე, ზავის შედეგები მეტად მძიმე იქნება და მისი გამოსწორება შეუძლია მხოლოდ დემოკრა-

ტიას. მაგრამ, სამწუხაროდ, კრიზისი საერთაშორისო დემოკრატიისა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მოსალოდნელი იყო, რომ ომის წინ ტრაგიკულად დარღვეული ერთობა ზავის შეკვრის წინ აღდგებოდა. არასოდეს არ ყოფილა დემოკრატიის მთლიანობა ასეთი საჭირო, როგორც ახლა...“[1]

მაგრამ იმედები არ გამართლდა

ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, როგორც დავინახეთ, დაასამარა ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიაც და, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მის ნანგრევებზე არაერთი ახალი სახელმწიფო ცდილობდა „კანონიზირებას“ – მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში შესვლას, ახალი ცხოვრების დაწყებას. ყველას მიმართ „ანტანტის“ სახელმწიფოებს კონკრეტული, მათი მსოფლიო პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე პრაგმატული გეგმები ჰქონდათ.

რა თქმა უნდა, „ანტანტის“ სახელწიფოთა ხელმძღვანელებს ასეთივე გეგმები ჰქონდათ კავკასიისა და საქართველოს მიმართ და, როგორც ეს პარიზის საზავო კონფერენციის საწყის ეტაპზე უკვე მკაფიოდ გამოჩნდა, – ეს არ იყო კავკასიისა და საქართველოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭება და მისი სუვერენიტეტის აღიარება. პროფ. ი. ტაბაღუა სავსებით მართებულად აღნიშნავს: „ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურები ფიქრობდნენ განეხილათ საქართველოს საკითხი არა ცალკე, არამედ რუსეთის ყოფილ იმპერიასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ერთად.“[2] მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო „რუსეთის საკითხი“ და „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენისა და გაძლიერების კონკრეტული პროგრამების რეალიზება.

ეს მით უფრო აუცილებელი ჩანდა, რომ გერმანია, მართალია დამარცხებული, მაგრამ მაინც ერთიანი, მონოლითური სახელმწიფო პარიზის კონფერენციიდან წამოვიდა ძლიერი რევანშისტული გეგმებით დატვირთული და ის უდა-

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 24 იანვარი.

[2] ი. ტაბაღუა, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პარიზში (1919 წ.). კრ.: „საქართველო: ევროპა-ამერიკა“, III, თბ., 1998, გვ. 13.

ვოდ შეეცდებოდა თავისი ახალი პრაგმატული მიზნების რეალიზებას. ეს კი, განსაკუთრებით საფრანგეთისათვის, აუცილებლად ბადებდა „ძლიერი რუსეთის“ აღორძინების გადაუდებელ ამოცანას. სრულიად სამართლიანია პროფ. ო. ჯანელიძის შენიშვნა, რომ 1919 წლის დასაწყისში ანტანტის ძირითადი სახელმწიფოების ლიდერები „გულწრფელად იყვნენ დარწმუნებულნი საბჭოებამდელი რუსეთის აღდგენაში, რომელიც საერთო ჯამში დიდი ომის პირველი სამი წლის განმავლობაში მათი უცვლელი მოკავშირე იყო.“[1]

ამ აზრს კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტიც, რომ აშშ-ის სახელმწიო მდივანმა კოლბიმ 1920 წელსაც კი მოკავშირე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა უწყებებს დაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც ის არაორაზროვნად მიუთითებდა მათ, თავი შეეკავებინათ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე სახელდახელოდ აღმოცენებებული სახელმწიფოების დაუყოვნებლივ ცნობისაგან, რადგან რუსეთის კანონიერი ხელისუფლების წინაშე მათ ვალდებულება ჰქონდათ აღებული, დაეცვათ და გაფრთხილებოდნენ „რუსეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.“

I მსოფლიო ომის დროს მიღებული უარმაზარი მატერიალური დანაკარგების მიუხდავად, „ანტანტის“ სახელმწიფოების ხელძღვანელებმა ბოლშევიკური გადატრიალების პირველივე დღეებიდან დაიწყეს რუსეთის „თეთრი მოძრაობისათვის“ ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რომ რუსეთის ანტიბოლშევიკურ ოპოზიციას მოეხერხებინა აღედგინა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“ თავის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ეს ამოცანა „ანტანტის“ სახელწიფოების ხელძღვანელებს იმდენად საკრალურად ესახებოდათ, რომ ისინი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილ, განსაკუთრებით გერმანიის იმპერიის ხელშეწყობით „დაფრთიანებულ“ სახელმწიფოს ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდნენ აქტი-

[1] ო.ჯანელიძე, საქართველო და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია: ყრუ კედლის შენგრევა, გვ. 215. https://gfsis.org.ge/ge/publications/view/3414.

ურ ხელშეწყობას ამ საქმეში და „რუსეთის თეთრი მოძრაობისადმი“ ყოველხრივ მხარდაჭერას. პარიზის კონფერენციის მსვლელობის მთელ მანძილზე „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აჩრდილი ბლოკავდა, უკან სწევდა კავკასიის ქვეყნების დელეგაციების მიზანმიმართულ საქმიანობას, მიეღწიათ თავიანთი ქვეყნებისათვის საერთაშორისო აღიარებისათვის.

საქართველოს ხელისუფლება „თეთრ მოძრაობას“ არ ენდობოდა, აფრთხობდა მათი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ რეალიზების შორსგამიზნული ამბიციები და გამარჯვებული სახელმწიფოების ხელმძღვანელებისაგან ითხოვდა, საქართველოს მიმართ გაეტარებინათ სამართლიანი და ღირსეული პოლიტიკა და საბოლოოდ ეცნოთ მისი დამოუკიდებლობა.

საქართველოს მთავრობის, მისი წარმომადგენლობის ასეთი ხისტი პოლიტიკა განსაკუთრებით აღზიანებდა ინგლისის მთავრობას. პროფ. ა. სურგულაძეს მოაქვს საინტერესო დოკუმენტური მასალა, რაც მიანიშნებს ამ „გაღიზიანებაზე“: ლორდმა კერზონმა გააფრთხილა კიდეც ამერიკავკასიის მთავრობათა დელეგაციები, რომ მოკავშირეთა საბჭოზე გავლენის მოხდენის ყოველგვარი ცდა ინგლისის მიერ დაგმობილი იქნებოდა და გააქარწყლებდა „სიმპათიებს“, რაც მისი თქმით, ინგლისის მთავრობას გააჩნდა.“[1]

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში „ანტანტის“ სახელწიფოთა პოლიტიკის მიმართ საქართველოს მთავრობის ხისტი დამოკიდებულება გარკვეულწილად აღიზიანებდა საქართველოში აშშ-ების კონსულს ჩარლზ მოზერს, რომელმაც ეს თანამდებობა 1919 წელს დაიკავა. როგორც ახლადაღმოჩენილი დოკუმენტები მიუთითებენ, მას სერიოზულად დაეძაბა ურთიერთობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ე. გეგეჭკორთან. ვარაუდობენ, რომ მათ შორის კონფლიქტიც კი მოხდა.[2]

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.6, თბ., 1972, გვ. 645.

[2] ქ. ქართველიშვილი, ამერიკის პირველი საკონსულოს შენობის იდენტიფიცირების საკითხი, „ანალები“, 2012, №8, გვ. 42.

პროფ. ო. ჯანელიძე ამტკიცებს, რომ „აშშ-ის მთავრობას არ გამოუმჟღავნებია საქართველოსა და ამიერკავკასიის ორი სხვა რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობის იდეის მხარდაჭერის სურვილი. ამის ნაცვლად კონფერენციაზე ამერიკის წარმომადგენლები მომავალი ფედერაციული რუსეთის შემადგენლობაში ამ ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ავტონომიის იდეას მისდევდნენ“[1]

მსგავსი დამოკდებულება ჰქონდა საფრანგეთის ხელისუფლებასაც: როგორც ამტკიცებენ, ჟორჟ კლემანსოს საფრანგეთის მთავრობა უმთავრესად საქართველოსთან ეკონომიკური დამოკიდებულებებით იყო დაინტერესებული და რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის სიძნელეების იგნორირებას ამჯობინებდა.[2]

პარიზის საზავო კონფერენციას იტალიის დელეგაციაც ესწრებოდა. მართალია, იტალია I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე გერმანიასთან ალიანსში იყო და „ანტანტის“ ქვეყნებს უპირისპირდებოდა, მაგრამ მალე გააცნობიერა ასეთი პოლიტიკური კურსის მარცხი და „ანტანტას“ შეუერთდა. მართალია, მისმა ასეთმა მეტამორფოზამ გარკვეული ლექი დატოვა, მაგრამ პარიზის კონფერენციიდან იტალიაც მოელოდა კონკრეტულ დივიდენდებს. კონფერენციის დასკვნით ეტაპზე გამოიკვეთა ეს „დივიდენდიც“ – საქართველოზე შესაძლო „მანდატის“ მოპოვება.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს სამთავრობო დელეგაცია პარიზის საზავო კონფერენციის ფარგლებში ხვდებოდა სხვადასხვა სამთავრობო დელეგაციების წარმომადგენლებს. მათ შორის, შედგა შეხვედრები იტალიის დელეგაციასთანაც. გვაქვს ცნობა, რომ 19190 წლის 9 იანვარს იტალიის მხარეს საქართველოს დელეგაციამ გადასცა მემორანდუმი.[3]

---

[1] ო. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

[2] ო. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

[3] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი არქივი, ფ. 1864, აღ. 1, საქ.55, ფურც. 13.

როგორც ჩანს, იტალიის მხარეს საქართველოს მიმართ სერიოზული ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ინტერესები იტალიის მხარეს საქართველოს დელეგაციასთან პირადი ურთიერთობების დროსაც გაუცხოველდა, დასაშვებია სხვადასხვა პროექტის შეთავაზებაც. ამ შეხედულებას აძლიერებს ის მკვეთრი ეკონომიკური ინტერესი, რაც იტალიის მხარემ სწორედ პარიზის საზავო კონფერენციის შემდეგ გამოავლინა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს კონცესიაზე, რის გამოც საქართველოს დელეგაცია 1920 წელს იტალიაშიც კი ჩავიდა და მოლაპარაკებებს აწარმოებდა ცნობილ საწარმოო საზოგადოება „ალვას“ ხელმძღვანელობასთან, თუმცა ეს საკითხი ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულებას სცილდება.[1]

ეკონომიკურმა ინტერესმა გააჩინა ახალი იდეა იტალიის მიერ საქართველოზე „სამანდატო“ უფლების მოპოვების შესახებ, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა დაიკავეს თბილისი და მოხდა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება.

§9. ვერსალის ზავი და მისი შედეგები საქართველოსათვის

პარიზი... ვერსალი... 1919 წლის 28 ივნისი... შუადღის შემდეგ სამი სააათია. ოცდაექვსი ქვეყნის სახელწიფოთა მეთაურები, პრეზიდენტები, მთავრობათა ხელმძღვანელები, ელჩები, მინისტრები და მარშლები ადგილებს იკავებენ საარკეებიან დარბაზში მიჯრით მიწყობილი მოოქროვილი სკამების რიგში. ოთხი წლის ბრძოლის შემდეგ პირველი მსოფლიო ომი დასრულდა. გერმანია, როგორც იქნა დამარცხებული, უკვე აპირებს ხელი მოაწეროს სამშვიდობო ხელშეკრულებას... სარკეებიანი დარბაზის ცენტრში პატარა

[1] კ. კანდელაკი, ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე., პარიზი, 1960, გვ. 191-193.

ამაღლებაა მოწყობილი. ამის საშუალებით მსოფლიოს ყველა დიდ ადამიანს და ოცდახუთ პრივილეგირებულ ქალბატონს შესაძლებლობა აქვთ დაინახონ, თუ როგორც მოაწერენ ხელს დელეგატები და სრულუფლებიანი წარმომადგენლები ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას... კლემანსო ჯდება გრძელის მაგიდის ცენტრში, სახით ფანჯრისკენ. მისგან მარჯვნივ – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონია, მარცხნივ – ლოიდ ჯორჯი. მარშალი ფოშის ადგილი ცარიელია; მას არ მოსწონს ხელშეკრულება, რადგანაც თვლის, რომ „ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს საფრანგეთის უსაფრთხოებას“.

საათმა ჩამოჰკრა სამი.

დარბაზში შემოდის საოცრად ფერმკრთალი, გახუნებულ ძველ სურთუკში, გერმანიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰერმან მიულერი.

უცბად გამოანათა მზემ. ის თვალისმომჭრელად ელვარებს ტერასებსა და პარკის სიმწვანეში, ანათებს სარკეებიან დარბაზს და ყველას თვალს სჭრის.

კლემანსო ძლივსგასაგონად ჩამარცვლავს: „ო, მზეო, მზეო... გამარჯვებულთა თანამგზავრო! აუსტერლიცის მზევ, მზეო მარნისაო, დარჩი ჩვენი ერთგული! მუდამ გაათბე ჩვენი გულები და უძველესი მიწა ფრანგული![1]

ეს არის ჩინებული ამონარიდი ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ქალის, ჟენევიევა ტაბუის გახმაურებული დიპლომატიური რომანიდან და, მართლაც, კარგად ასახავს იმ ისტორიული დღეს, როცა საფრანგეთის მეფეთა ქალაქგარეთ განთავსებულ ზღაპრულ რეზიდენციაში – იქ, სადაც 1871 წელს ხელი მოეწერა გერმანიის იმპერიის შექმნას, უკვე ახალ ისტორიულ ვითარებაში გაფორმდა სწორედ ამ იმპერიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების აქტი: გერმანიამ საბოლოოდ გაუქმებულად აღიარა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და ყველა შეთანხმება, რომელიც 1917 წლის ნოემბრიდან დადო ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ მთავრობებთან და პოლიტიკურ პარ-

[1] Ж. Табуи, 20 лет дипломатичесчкой борьбы, М., 1960, стр. 38.

ტიებთან. გერმანიამ მოკავშირეების სასარგებლოდ უარი თქვა ოკეანის იქით მდებარე ყველა სამფლობელოზე, აგრეთვე უარი თქვა ყველა უფლებაზე და პრივილეგიაზე, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა 1909 და 1911 წ. საფრანგეთ-გერმანიის შორის დადებულ ხელშეკრულებით და აგრეთვე შერიფის იმპერიასთან (მაროკო) დადებულ ყველა ხელშეკრულებასა და შეთანხმებაზე. გერმანია აღიარებდა დიდი ბრიტანეთის პროტექტორატს ეგვიპტეზე და უარს ამბობდა ყველა კაპიტულაციაზე. გერმანიამ იაპონიას დაუთმო კიაოჩაოს ყველა უფლებები და უპირატესობები, რკინიგზები, მაღაროები და კაბელები, რომელიც გერმანიამ შეიძინა შანდუნის შესახებ ჩინეთთან 1898 წელს დადებული და სხვა ხელშეკრულებების საფუძველზე.

გერმანია უკან დაუბრუნა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია, რაც წაართვეს 1871 წლის საფრანგეთისთვის წარუმატებელი ომის შემდეგ. გერმანიამ „ანტანტის“ ქვეყნებს დაუთმო რურის ოლქი, სადაც საფრანგეთმა თავისი ჯარები შეიყვანა. განისაზღვრა მომავალი პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიის მოწყობის ძირითადი პრინციპები, ჩამოყალიბდა ე.წ. „პოლონეთის დერეფანი“ – პოლონეთის გასასვლელი ბალტიის ზღვაზე, დანციგი ჩამოერთვა გერმანიას და გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად. გერმანიის უმნიშნელოვანესი კუთხე – საარის მხარე სამართავად გადაეცა ერთა ლიგას, ჩამოყალიბდა რეინის დემილიტარიზებული ზონა.

გერმანიას და მის მოკავშირეებს გამარჯვებულთა სასარგებლოდ დაეკისრათ უზარმაზარი რეპარაციის გადახდა – რამაც ამ ქვეყნებში სოციალური კატასტროფა და რევოლუციური სიტუაცია შეამზადა...

დაბოლოს, გადაწყდა შექმნილიყო „ერთა ლიგა“, რომელიც მომავალში დაარეგულირებდა მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობებს და დაამყარებდა „ქვეყანასა ზედა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას“...

ოთხწლიანი გაუსაძლისი ომი დასრულდა. იმჟამად ყველას ეგონა, რომ მთელი წლის მანძილზე საფრანგეთის დედაქალაქში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებამ შექმნა

ძლიერი და ყოვლისმომცველი ფუნდამენტი, რათა მომავალში აღარასოდეს გამეორებულიყო ევროპასა თუ მსოფლიოში ასეთი სასტიკი, არაადამიანური სამხედრო დაპირისპირება.

ომი დასრულდა და ქვეყნების დელეგაციები დაუბრუნდნენ საკუთარ დედაქალაქებს. ყველას თან მიჰქონდა ის, რაც შეძლეს და მოიპოვეს საფრანგეთის დედაქალაქში, სადაც უკვე სუფევდა სრული ეიფორია და იყო მართლაც დიდი იმედები პარიზის საზავო ხელშეკრულების პერსპექტივებიდან გამომდინარე.

რა ჩამოიტანა საქართველოში სამთავრობო დელეგაციამ, რომელიც, როგორც ვნახეთ, ძალისხმევას არ აკლებდა მაქსიმუმისათვის მიეღწია თავისი მეტად მწირი შესაძლებლობებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს დელეგაციის მუშაობის შეფასებისას დაახლოებით ერთი საერთო აზრი მუსირებს – ეს არის წარუმატებელი შედეგით დასრულებული დიპლომატიური ვიზიტი: „საქართველოს დელეგაციის მცდელობა პარიზში წარმატებით ვერ დასრულდა. ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა მათთვის ჩვეული თავაზიანობით უხვი დაპირებები გაიღეს, საქართველოს მიმართ დიდი სიმპათიები გამოავლინეს და მას მორალური მხარდაჭერა აღუთქვეს, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან...“ – აღნიშნავენ ა. და პ. სურგულაძეები.[1]

საქართველოს ახალი ისტორიის ჩინებული მცოდნე პროფ. ალ. ბენდიანიშვილი კი ასე აფასებდა პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის საქმიანობას: „სამივე სახელმწიფომ ქართველ დიპლომატთა თხოვნა უპასუხოდ დატოვა ... ქართველ დიპლომატთა საქმიანობა ამის შემდეგაც კარგა ხანს უშედეგოდ მთავრდებოდა, ანტანტის სახელმწიფოები საქართველოს იურიდიულ ცნობას არ აპირებდნენ.„“[2]

---

[1] ა.სურგულაძე პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 221.

[2] ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ. 278-279.

პროფ. შ. ვადაჭკორია, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს ქართველი დიპლომატების მცდელობებზე, მიეღწიათ დამოუკიდებლობის აღიარებისათვის, აღნიშნავს: ეს „იმ ეტაპზე უპერსპექტივო ჩანდა, რადგან საქართველოს... რუსეთის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდნენ. მოკავშირეთა ასეთმა პოზიციამ ქართველ პოლიტიკოსებს კონფერენციის იმედი გაუცრუა“[1]

მკვლევარი ხ. ქოქრაშვილი ხაზგასმით მიუთითებს: „პარიზის საზავო კონფერენციაზე, რომელმაც არ ცნო საქართველო „დე-იურედ“, გამოიკვეთა მოკავშირეთა მზარდი „დამოუკიდებლობით“ თამაშის პოლიტიკა. მოკავშირე სახელმწიფოების საქართველოსადმი დამოკიდებულებამ ამ უკანასკნელის მთავრობას დაანახა, რომ ის იყო საერთაშორისო პოლიტიკაში პოლიტიკურ მომქმედ უზარმაზარ ძალთა წინააღმდგობაში გამოყენებული სუსტი იარაღი... რომ ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ მის სრულ დამოუკიდებლობას“ [2]

პროფ. პ. სურგულაძე კი თვლის, რომ „მოკავშირენი და ამერიკის შეერთებული შტატებიც სამხრეთ კავკასიას ერთიან კონტექსტში განიხილავნენ და ერიდებოდნენ პასუხისმგებლობა ცალკე აღებული საქართველოს, სომხეთის ან აზერბაიჯანის მიმართ ეკისრათ“.[3]

ძალიან მკაცრია შეფასებაში პროფ. დ. ჯოჯუა, რომელიც გამარჯვებული სახელწიფოების პოლიტიკას კავკასიის სახელმწიფოების პრობლემების მიმართ პარიზის საზავო

---

[1] შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 399.

[2] ხათუნა ქოქრაშვილი, პარიზის საზავო კონფერენცია და საქართველო, „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, თბ., 2002, №6, გვ. 237.

[3] პ. სურგულაძე „პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, კრებული: „რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო“.

კონფერენციაზე უწოდებს: „საქართველოს საერთაშორისო დისკრიმინაციის პოლიტიკას“.[1]

მკვლევარი ბექა კობახიძე იმოწმებს ირაკლი წერეთლის გამონათქვამს, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს პარიზის კონფერენციაზე საქართველოს მიმართ გამარჯვებული სახელმწიფოების ლიდერების დამოკიდებულებას: „ჩვენთვის სასურველი იყო ინგლისთან კავშირი, მაგრამ როგორც ვხედავთ, პატარა ერების საკითხში ის რეაქციონერულ რუსეთთან არის სოლიდარული. ამერიკა, რასაკვირველია, ძალიან სასურველია, მაგრამ მას ახლავე არ შეუძლია ჩვენი პრაქტიკული დახმარება...“ [2]

პროფ. ოთარ ჯანელიძე სრულიად სამართლიანად თვლის და იზიარებს მოსაზრებას, რომ „რიგი მიზეზების გამო... საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეებში დასავლეთის მოკავშირეების მონაწილეობამ ვერ შეძლო არსებითად გამოსულიყო სიტყვიერი მხარდაჭერის ჩარჩოებიდან“[3].

როგორც ვხედავთ ცალსახად კრიტიკული დამოკიდებულებაა და ჭარბობს ნეგატივი. ჩვენ კი ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს დელეგაციამ გამოიყენა თავისი მაქსიმალური შესაძლებლობა და „წინასწარ წაგებულ ომში“, რასაც წარმოადგენდა მათთვის პარიზის საზავო კონფერენცია, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია:

1. ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო „საქართველოს სახელმწიფოს“, როგორც ახალი პოლიტიკური წარმონაქმნის, საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში ჩართულობის უზრუნველყოფა. გვიანი შუა საუკუნეების შემდეგ, რაც დაიშალა ერთიანი ქართული სახელმწი-

---

[1] დ. ჯოჯუა, ერთი ასპექტი პარიზის საზავო კონფერენციაზე, „საქართველოს საკითხის“ ისტორიიდან, „აფხაზეთის მოამბე“, 1998 წ. №1, გვ. 79.

[2] ბ. კობახიძე, საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბ. 2015, გვ. 49.

[3] ო. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

ფო და მის ადგილზე შეიქმნა სამი სამეფო და ოთხი სამთავრო, საერთაშორისო ურთიერთობებში უკვე ნაკლებად მოიაზრებდნენ „საქართველოს სახელმწიფოს“ – როგორც ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმს. 1919 წლიდან დაიწყო „საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფო ორგანიზმის“ საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრების პროცესი.

2. საქართველოს დიპლომატიურმა სამსახურმა მიიღო კოლოსალური გამოცდილება, დაიხვეწა საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკა, სტრატეგია, ტაქტიკა;

3. პარიზის საზავო კონფერენციაზე მოხდა სამხრეთ კავკასიის ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების დიპლომატიური ურთიერკავშირის რეალური შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამომავლოდ;

4. კონფერენციის დასასრულს მაინც მოხერხდა მსოფლიოს რიგი ქვეყნის სახელმწიფო მესვეურების მიერ საქართველოს „დე-ფაქტო“ აღიარება, რასაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

5. პარიზის საზავო კონფერენციაზე მაინც მოხერხდა ანტირუსული საერთო ფრონტის ორგანიზება, რამაც ყოფილი იმპერიისაგან ჩამოცილებული რვა სახელმწიფო გააერთიანა;

ამრიგად, დასახული სანუკვარი მიზნის მიღწევის შეუძლებლობის მიუხედავად, პარიზის საზავო კონფერენციამ მაინც შეასრულა გარკვეული როლი ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო ცნობადობის განმტკიცების საქმეში.

რას გრძნობდა, როგორ ხედავდა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგებს ქართული საზოგადოებრიობა, რას წერდნენ, როგორც აფასებდნენ მას თბილისში?

აი, ეს შეფასებაც:

„მსოფლიოს ამ ზავის შემდეგ დამშვიდება არ ეღირსება. დამარცხებულნი მუდამ რევანშის ცდაში იქნებიან. გამარჯვებულნი კი მათ წინააღმდეგ უნდა ისხამდნენ იარაღს. მთელი ეს საშინელი ომი ხომ წვრილ ერთა დაცვის ლოზუნგის ქვეშ წარმოებდა. და ახლა, როცა გამარჯვებას ეს

ლოზუნგი უნდა განეხორციელებინა, ეს ლოზუნგი წვრილ ერთა დამონებად და მათზე დიდ სახელმწიფოთა პროტექტორატის გამოცხადებათ იქცა. მაგრამ ომის შედეგების უნაყოფობა მალე მთელი თავისი სიმწვავით იჩენს თავს. არ ყოფილა ომი არსებითად იმაზე ნაკლები ნაყოფის მომტანი გამარჯვებულთათვის. არსებითად რომ ვთქვათ, დღეს არ არიან გამარჯვებულები. არიან გაღატაკებულნი და სისხლისგან დაცლილნი მეომარი მხარეები. ერთნი მეტის დაიმკარგავნი, მეორენი შედარებით ნაკლების. მაგრამ ყველგან საერთო ზარალი აუნაზღაურებელია და მისი ანაზღაურება იმპერიალისტური ქვეყნების მტაცებლობას არ შეუძლია...“

ეს სიტყვები დაიწერა საქართველოში, 1919 წლის 17 მაისს, ეს მაშინ როცა ევროპის გამარჯვებულ დედაქალაქებში ოთხწლიანი ომის დასრულებით გამოწვეული ოვაციები იმართებოდა და გამარჯვებული ლიდერები დაფნის გვირგვინებით იმკობდნენ თავს...

გავა ზუსტად 20 წელი და ევროპა კიდევ უფრო მძიმე და დამანგრეველი ომის წინაშე აღმოჩნდება...

დასკვნები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების შრომების კრიტიკული გააზრების შედეგად, ახალი საარქივო და პრესის მასალების გაცნობამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა იმაში, რომ I მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიული განვითარების მაგისტრალური ხაზის ორგანული და ლოგიკური შედეგია, გამოწვეული კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობით, ეკონომიკური კონკურენციის მაღალი ხარისხით, კოლონიალური პოლიტიკით და ამ კოლონიების ხელახალი გადანაწილების დაუოკებელი სურვილით. ომში ჩართული სახელმწიფოები იბრძოდნენ ან საკუთარი კოლონიალური იმპერიების შენარჩუნებისა და ხელუხლებლობისათვის, მატერიალური რესურსების და სავაჭრო-საქარავნო გზების მონოპოლიური ფლობისათვის, ანდა, უკვე განაწილებული კოლონიების ხელახლა გადასანაწილებლად. ამ ომში ჩართული ყველა ქვეყნის მმართველი კლასისა და მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ხარისხი ისტორიის წინაშე არის განუსაზღვრელად დიდი და ისინი ყველა ერთად არიან დამნაშავენი იმაშიც, რაც თავს დაატდა მსოფლიოს 1914 წელს, და აქედან აქცენტის გაკეთება მხოლოდ რომელიმე ერთ სახელმწიფოზე ან ერთ ლიდერზე – არამართლზომიერია.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებრიობა, პატრიოტულად განწყობილი ქართველი ინტელიგენციის („თერგდალეულები“) ხელმძღვანელობით, გეგმაზომიერად ახორციელებდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის პირველ ეტაპს, რაც მიზნად ისახავდა კონფესიურად მრავალფეროვანი (მართლმადიდებელი, კათოლიკე, გრიგორიანელი, მაჰმადიანი), სოციალური დიფერენცირებული (თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება, გლეხობა, ბურჟუაზია) ქართველობის გაერთიანებას, მათ შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებას. ეს ხდებოდა ევროპიდან შემოსული კაპიტალისტური წარმოების წესის დანერგვის პირობებში, რამაც ახალი ეპოქის დასაწყისში, საქართველოში შექმნილი ეროვნული თავისებურებების ფონზე (ადგილობრივი

ბურჟუაზია ძირითადად არაქართული იყო) მნიშვნელოვან განვითარებას მაინც მიაღწია – განსაკუთრებით მომპოვებელ მრეწველობაში (ჭიათურის მარგანეცი, ტყიბულის ქვანახშირი და ა.შ.). საქართველოში კაპიტალიზმი ვითარდებოდა მკვეთრად გამოხატული „მიბაძვითი“ ფორმით, და არა კლასიკურად (დიდი ბრიტანეთის გამოცდილება), არამედ ირაციონალური იდეოლოგიისა და ყოფის ბატონობის პირობებში, რაც საერთო იყო როგორც იმპერიული, ისე ადგილობრივი ყოფიერებისა და ცნობიერებისათვის. ეს კი კიდევ უფრო ართულებდა კაპიტალიზაციის განვითარებას, თუმცა მისი შედეგი მაინც იყო: ერთიანი ეროვნული ბაზრის ფორმირება, კუთხური პარტიკულარიზმის დაძლევის ტენდენციის გაძლიერება, საქართველოში კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემის ძირითადი საფუძვლების დამკვიდრება.

XX საუკუნის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთა ქართული საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორები: ცარიზმის დივერსიული დემოგრაფიული, ანტიქართული პოლიტიკა; ქართველების კონფესიური მრავალფეროვნება; პარტიკულარიზმი; სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავრცელება; მუშათა მოძრაობის დაწყება და ა.შ.

ახალი ეპოქის განვითარების ლოგიკამ XX საუკუნის დასაწყისში ყველა არსებულ წინააღმდეგობას თავი მოუყარა ევროპისა და ამერიკის წამყვანი ქვეყნების დედაქალაქებში, მათი პოლიტიკური ელიტის უპასუხისმგებლობისა და ამბიციურობის პირობებში, საკუთარი ეროვნული (თუ კლასობრივი) ინტერესების დაცვის დაუოკებელი სურვილით შეფუთული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსი თავისი განვითარების ლოგიკით ყოველდღიურად ბადებდა სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებას, კონფრონტაციასა და აგრესიას. ეს კი ლოგიკურად იწვევდა ამ დაპირისპირებების იარაღის ძალით გადაჭრის სურვილს. ამ საქმეში ყველა დიდი სახელმწიფო თანასწორი იყო და ყველა მოქმედებდა ერთი ლოზუნგით – „არ გვყავს არც მუდმივი მტრები და არც მუდმივი მეგობრები, ჩვენ გვაქვს მუდმივი ინტერესები!“

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, XX საუკუნის დასაწყისში დასრულდა სახელმწიფოთა ორი დაჯგუფების ფორმირება („ანტანტა“ და „სამთა კავშირი“), რომელთაგანაც პირველმა გამოხატა მზაობა, დაეცვა არსებული „სტატუს-კვო“ მსოფლიოში, ხოლო მეორე მზად იყო აუცილებლად შეეცვალა ეს – ხელახლა გადაენაწილებინათ კოლონიები, რადგან მათ დაიგვიანეს მოფლიოს რესურსების განაწილების დროს და ჩამორჩნენ საერთო განვითარებას. ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, მეფე-მონარქებს, პრემიერ-მინისტრებსა და პრეზიდენტებს თანაბრად ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმაზე, რაც მოხდა 1914 წელს.

სახელმწიფოთა სურვილები და მიზნები ახალი ეპოქის დასაწყისშივე მკაფიოდ გამოიკვეთა – დაიწყო კოლონიალური იმპერიების გადანაწილება: 1899 წელს ამერიკა-ესპანეთის ომი (კუბის მიზეზით), ინგლის-ბურების ომი (ტრანსვაალის გამო), ბალკანეთის ომები და სხვა კონფლიქტები აშკარად მიანიშნებენ, რომ კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონმა საუკუნის დასაწყისში სრულად მოიყვანა მოძრაობაში ყველა დაპირისპირება სახელმწიფოთა შორის და შექმნა ფეთქებადსაშიში ვითარება, რომლის განმუხტვა სერიოზულად არც უცდიათ, თუმცა გარეგნულად ბევრი „ძალისხმევა მოახმარეს“ სხვადასხვა კონგრესისა და დიპლომატიური შეხვედრის ორგანიზებას. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ლიდერები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი იმ საშინელებებზე, რაც მათი ხელმძღვანელობით დაიწყო 1914 წლის ივლისში და მსოფლიოს მოუტანა წარმოუდგენელი კატასტროფა, სისხლისღვრა, მილიონიბით ადამიანის განადგურება, ქალაქებისა და სოფლების ნგრევა და რაც მთავარია – რევოლუციური კატაკლიზმები თავისი ახალი სოციალური ექსპერიმენტებით და ახალი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრებით.

საქართველოს საზოგადოებრიობა ახალი ეპოქის დასაწყისში სრულად იყო ინკორპორირებული რუსეთის იმპერიაში და ორ გუბერნიად (თბილისის, ქუთაისის) დაყოფილ-დანაწილებული. ძირითადი სოციალური და ინტელექტუალური ძალა (თავადაზნაურობა) მთლიანად გათქვეფილი

ჩანს რუსეთის იმპერიულ სახელმწიფო სტრუქტურებში (ეს ცხადყო რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილის ორგანიზებისა და ჩატარების სამარცხვინო ფაქტმაც) და მხოლოდ მისი მცირე ნაწილი ფიქრობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას უცხო, რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების დახმარებით და მათი სუზერენიტეტით. ეს გზა საქართველოსთვის დიდი საშიშროების მომტანი შეიძლება გამხდარიყო. საქართველოში ამ ჯგუფებს, შესაძლო ომის პირობებში, ჰქონდათ მოლოდინი, რომ მოხდებოდა საქართველოს ტერიტორიის გაფართოება თურქეთის იმპერიის ხარჯზე (ლაზიკის პრობლემა) და ამას არც მალავდნენ.

ქართულ საზოგადოებრიობაში მიმდინარეობდა იდეური დაპირისპირება ეროვნულ იდეოლოგიასა (ილია ჭავჭავაძის ხაზი) და ინტერნაციონალისტურ მსოფლმხედველობას შორის (მარქსისტულ-სოციალისტური ხაზი). 1907 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ ნათელი გახადა ქართულ საზოგადოებრიობაში სოციალ-დემოკრატიული ელემენტის გაძლიერების ფაქტი, რამაც არსებული პოლიკონფესიური ფონის პირობებში, ქართულ საზოგადოებრიობაში ეროვნული იდეის დასუსტება გამოიწვია ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის გაძლიერების სასარგებლოდ.

ომის დაწყებისთანავე კავკასიაში, მათ შორის ქართულ გუბერნიების მოსახლეობის დიდ ნაწილში, გავრცელდა პეტერბურგში დაწყებული შოვინისტურო ეიფორია, რასაც ფეხი აუწყო ქართული არისტოკრატიის ძირითადმა ნაწილმაც, რაც ყველაზე რელიეფურად გამოიკვეთა ნიკოლოზ II-ის თბილისში ვიზიტის დროს. გულისამრევი ლიქნი, სასურველის რეალობად გამოხატვის სურვილი თვალსაჩინოდ გამოჩნდა როგორც ქართველ თავადაზნაურთა სიტყვებსა და საქმეებში, ისე ქართველი ინტელიგენციის ელიტარული ნაწილთან შეხვედრების დროსაც. კონფორმიზმი უკვე იმხანად ქართველების ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილის დამახასიათებელი თვისება გახდა, რამაც მომავალში – „კომუნიზმის მშენებლობის“ პერიოდში კიდევ უფრო მახინჯი ფორმები მიიღო.

ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ I მსოფლიო ომში რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. რუსეთის იმპერიულ სამხედრო შენაერთებში საქართველოდან 200 000 მებრძოლი და 7000 ქართველი ოფიცერი იბრძოდა. ოფიცრებს შორის ბევრი იყო გამორჩეული, დამსახურებული, მრავალი გამარჯვების მომპოვებელი გმირი-ჯარისკაცი, რომლებმაც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს როგორც „ანტანტის“ საერთო სამხედრო ოპერაციებში, ისე საქართველოს საზღვრების დაცვის საქმეში – კავკასიის ფრონტზე. მაგრამ მათ მიერ გაღებული სისხლი, ისევე როგორც მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე ომში მონაწილე ყველა ჯარისკაცის სამსხვერპლოდ მიტანილი სიცოცხლეც კი, არ ფარავს I მსოფლიო ომის მტაცებლურ ბუნებას და მის უსამართლო ხასიათს.

ომის წლებში ქართული საზოგადოებრიობა აქტიურად იყო ჩართული გლობალურ თუ ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში. ომის გამო შექმნილი სოციალური პრობლემების გამწვავების ფონზე ქართული საზოგადოებრიობა შრომობდა, იბრძოდა, ვითარდებოდა, ჰქონდა იმედები და სიახლის მოლოდინები. ეს ყველაფერი რელიეფურად გამოვლინდა ომის დაწყებისთანავე – ამ პერიოდში ქართველობის პროგრესულ ნაწილს განსაკუთრებით გაუძლიერდა სამართლიანობის გრძნობა, რაც აშკარად გამოვლინდა მათი მხრიდან მთიანი აჭარის მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების დახმარებაში. „ღალატის“ ბრალდების გამო რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწყებული რეპრესიების შედეგების განეიტრალებით, ქართულმა საზოგადოებამ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა.

ასევე, თურქეთში სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ტრაგიკული მოვლენების ობიექტური შეფასებით და სომეხი ლტოლვილების მიმართ გამოჩენილი გულმოწყალებით, თურქეთში ანტისომხური ისტერიის დაგმობით და ა.შ., ქართულმა საზოგადოებრიობის პროგრესულმა და გონიერმა ნაწილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თურქეთში მიმდინარე ტრაგიკული პროცესების ანალოგია საქართვე-

ლოში არ განხორციელებულიყო, თუმცა მსგავსი მცდელობა სახეზე იყო და ის შეიძლება დრამატულად დამთავრებულიყო. სამშობლოსათვის გლობალური კატასტროფის თავიდან აცილება ქართული საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილის უდიდესი დამსახურებაა ერის წინაშე. დღევანდელივით ჟღერს ქართველი პატრიოტის შემდეგი სიტყვები: „პრესაში არკვევენ სხვადასხვა პროექტს სომხეთის მომავალი მოწესრიგების შესახებ. მათი მთავარი ნაკლია ის, რომ ყველა წინადადება შენდება პრობლემატურ დებულებაზე – ოსმალეთის იმპერიის დაქუცმაცებულობაზე ე.ი. დავობენ ჯერ კიდევ ცოცხალი მხეცის ტყავის დანაწილებაზე. აზრი ეყრდნობა არა ფაქტს, არამედ სურვილს. არა სამშვიდობო კონფერენციას, ძალთა რეალურ განაწილებებს. ამ სურვილზეა აგებული არა მხოლოდ სხვადასხვა პროექტები, არამედ გარკვეული ეროვნულ პოლიტიკაც. მარა წარმოვიდგინოთ, რომ მხეცი ცოცხალი დარჩა, სურვილი ოცნებად გადაიქცა, რა მოხდება მაშინ? კავკასიის „განთავისუფლების“ იმედი დაიმსხვრევა, ხოლო სომეხთა ერი ოსმალეთში ისეთ საფრთხეში ჩავარდება, რომელიც მას დედამიწის ზურგიდან სრულად აღგვას უქადის. ნაციის მომავლის დაკავშირება იმ სახელმწიფოს დაფშვნასთან, რომლის ფარგლებში ერი ბინადრობს, ეს ნიშნავს ერის ბედის სათამაშო საგნად გადაქცევას.“ ეს ბრძნული აზრი დღესაც ურყევი ჭეშმარიტებაა...

ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ რუსეთი მსოფლიო ომისთვის ყველაზე უფრო ცუდად მოემზადა და სწორედ ის აღმოჩნდა ქვეყნებს შორის „სუსტი რგოლი“, საიდანაც დაიწყო მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმები და რადიკალური გადატრიალებები. ამან კი XX საუკუნეში სოციალისტური (კომუნისტური) ექსპერიმენტის განხორციელების შესაძლებლობა გააჩინა. რუსეთის რევოლუცია პირველია, რომელსაც მოჰყვა სოციალურ გამოსვლები და ამბოხებები გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, თურქეთში, ჩინეთში: დაინგრა იმპერიები, ტახტი დაკარგეს მონარქებმა...

I მსოფლიო ომის ქარცეცხლში დაიბადა ახალი ქვეყანა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებით სათავეში. პროლეტარული

ინტერნაციონალიზმის მოტრფიალე პოლიტიკური ძალა, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობაზე არც კი უფიქრია და საკუთარ თავს რუსეთის ერთიანი დემოკრატიული მოძრაობის განუყოფელ ნაწილად თვლიდა, ისტორიის განვითარების ლოგიკამ და შექმნილმა საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა გამხდარიყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელმძღვანელი ძალა, რომელმაც მიზნად დაისახა ევროპული ტიპის, მარქსისტული დოგმატიკით გაჯერებული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. „დამოუკიდებლობის აქტი“, დამფუძნებელი კრების ორგანიზება, კონსტიტუციაზე ხანგრძლივი მუშაობა, სახელმწიფო სტრუქტურების მშენებლობა და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის – ღირსეული და დასაფასებელი საქმიანობაა, რაც არც სათანადოდ დაფასდა და მან არც მოსალოდნელი შედეგი მოიტანა.

საშინაო პოლიტიკაში ეკლექტური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, მარქსიზმის დოგმატიკის აღიარება („მათ ბოლომდე ვერ გაიხადეს მარქსისტული კაფტანი!“) სახელმწიფო მოქმედების პროგრამად, სერიოზული ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემები (გლეხთა აჯანყებები, ეროვნული საკითხის გამწვავება, ბოლშევიკური აგრესიის გაძლიერება და ა.შ.) სერიოზულად აფერხებდა სახელმწიფოს ნორმალურ განვითარებას.

მცდარი საგარეო პოლიტიკური კურსი – იძულებითი ორიენტაცია გერმანიასა და თურქეთზე, ამ მიმართულებით გადადგმული ქმედითი ნაბიჯები, სახელმწიფო დელეგაციის გაგზავნა ბერლინში მსოფლიო ომის დასრულების კვირაძალზე, ეკონომიკური პროექტებისა და მომავალი თანამშრომლობის სტრატეგიის დაგეგმვა-შემუშავება არ შეიძლება ჩაითვალოს ბრძნულ და შორსმჭვრეტელურ პოლიტიკად. „ანტანტის“ ისტორიულმა გამარჯვებამ რადიკალურად შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში და მთლიანად მსოფლიოში, სერიოზულად გაართულა საქართველოს ურთიერთობა გამარჯვებულ ქვეყნებთან და პირველ რიგში – დიდ ბრიტანეთთან. ანტიქართული პოლიტიკური ძალები „ანტანტას“

მუდმივად შეახსენებდნენ საქართველო-გერმანიის ურთიერთობას და მის შედეგებს.

საქართველოსთვის ეს სირთულეები და გამოწვევები კონცენტრირდა პარიზის საზავო კონფერენციაზე, სადაც ქართული დელეგაციის მრავალმხრივი საქმიანობის მიუხედავად, სასურველი შედეგი ვერ იქნა მიღწეული. ვერსალის ზავი ისე გაფორმდა, რომ საქართველო, ისევე როგორც კავკასიის ახლადშექმნილი სახელმწიფოები, ევროპის არეოპაგისაგან დამოუკიდებლობის აღიარებას ვერ ეღირსა, თუმცა ამ პროცესს მაინც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა – საუკუნოვანი ლოდინის შემდეგ საქართველო, როგორც შემდგარი სახელმწიფო, მონაწილეობას იღებდა მსოფლიო ქვეყნების საერთო არეოპაგის მუშაობაში.

თვით ვერსალიც ზავიც არაეფექტიანი საერთაშორისო დოკუმენტი აღმოჩნდა, რომელმაც ვერ უზრუნველყო დედამიწაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. სრულიად სამართლიანია ქართველი მოაზროვნე, რომელიც ასე კატეგორიულია თავის შეფასებაში: „მსოფლიოს ამ ზავის შემდეგ დამშვიდება არ ეღირსება. დამარცხებულნი მუდამ რევანშის ცდაში იქნებიან. გამარჯვებულნი კი მათ წინააღმდეგ უნდა ისხამდნენ იარაღს. მთელი ეს საშინელი ომი ხომ წვრილ ერთა დაცვის ლოზუნგით ქვეშ წარმოებდა. და ახლა, როცა გამარჯვებას ეს ლოზუნგი უნდა განეხორციელებინა, ეს ლოზუნგი წვრილ ერთა დამონებად და მათზე დიდ სახელმწიფოთა პროტექტორატის გამოცხადებათ იქცა. მაგრამ ომის შედეგების უნაყოფობა მალე მთელი თავისი სიმწვავით იჩენს თავს. არ ყოფილა ომი არსებითად იმაზე ნაკლები ნაყოფის მომტანი გამარჯვებულთათვის. არსებითად რომ ვთქვათ, დღეს არ არიან გამარჯვებულები. არიან გაღატაკებულნი და სისხლისგან დაცლილნი მეომარი მხარეები. ერთნი მეტის დამკარგავნი, მეორენი შედარებით ნაკლების. მაგრამ ყველგან საერთო ზარალი აუნაზღაურებელია და მისი ანაზღაურება იმპერიალისტური ქვეყნების მტაცებლობას არ შეუძლია...“

THE FIRST WORLD WAR AND GEORGIAN SOCIETY

The research carried out, critical understanding of the works of Georgian and foreign historians, and familiarization with new archival and media materials confirmed our opinion that the First World War was an organic and natural result of the main line of the world's historical development, caused by the asymmetrical development of capitalism, a high degree of economic competition, colonial policy and an insatiable desire for the redistribution of the colonies. The states that participated in the war fought, some for the preservation and integrity of their colonial empires, monopoly ownership of material resources and trade and caravan routes, and others for the redistribution of already distributed colonies. The degree of responsibility of the ruling class of all countries involved in this war and their leaders in the face of history is infinitely high and they are all guilty of what happened to the world in 1914. It is unfair to blame only one state or one leader.

At the beginning of the 20th century, Georgian society, under the leadership of the patriotic Georgian intelligentsia ("Tergdaleuli"), systematically implemented the first stage of the process of national consolidation, the goal of which was to unite the religiously diverse (Orthodox, Catholics, Gregorians, Muslims) and socially differentiated (nobility, clergy, peasantry, bourgeoisie) Georgians - "repair a failed bridge." This happened under the conditions of the introduction of the capitalist mode of production brought from Europe, which at the beginning of the new era, against the backdrop of national characteristics (the local bourgeoisie was mostly non-Georgian), achieved significant development, especially in the mining industry (Chiatura manganese, Tkibuli coal, etc.). Capitalism in Georgia developed in a clearly "imitation" and not classical form (the experience of Great Britain), in conditions of irrational life and ideology characteristic of both imperial and local existence and consciousness. This further complicated the development of capitalism, although the results were still there: the formation of a single national market, a strengthening of the tendency to overcome local particularism, and the establishment of the basic foundations of the economic system of capitalism in Georgia.

At the beginning of the 20th century, the logic of the development of the new era brought together all the existing contradictions in the capitals of leading European and American countries. Under the irresponsibility and ambition of political elites, domestic and foreign policy, filled with an insatiable desire to protect their own national (or class) interests gave rise to interstate confrontation and aggression. This eventually led to the desire to resolve these conflicts by force of arms.

Two coalitions of states emerged at the start of the 20th century: the Entente and the Triple Alliance. The former stood their ground to defend the global status quo, with the latter ready to do whatever it took to reallocate the colonies to their advantage as they had previously been late to snatch their share of resources and were lagging in development. The heads of these states - monarchs, prime ministers, and presidents were all equally responsible for what happened in 1914.

At the turn of the 19th and 20th centuries, the redistribution of colonial empires began: in 1899 - the American-Spanish War for Cuba, the Anglo-Boer War for the Transvaal, the Balkan Wars, and other conflicts, which clearly shows that it was the disproportion of capitalist development at the beginning of century that aggravated the conflicts between states and created an explosive situation that no one seriously tried to defuse, although everyone pretended to make a lot of effort by organizing various congresses and diplomatic meetings.

By the advent of a new era, Georgia was completely integrated into the Russian Empire and divided into two governorates (Tbilisi and Kutaisi). The main social and intellectual force - the nobility - was entirely merged with the imperial structures of Russia (which was demonstrated in the shameful celebration of the 100th anniversary of the union with Russia). Only a small part of it thought about restoring independence with the help and under the suzerainty of third, hostile to Russia, states. This path was very unsafe for Georgia. The above groups expected that the impending war could allow Georgia to recover lost territories from the Turkish Empire (Lazika problem), and they did not hide it.

At that time, the conflict between national ideology (the path of Ilya Chavchavadze) and the internationalist worldview (the Marxist-socialist line) was at its height in Georgian society. The assassination

of Ilya Chavchavadze in 1907 clearly showed the strengthening of the social democratic element, which, against a multi-confessional background, led to the weakening of the national idea in favor of the internationalist worldview.

As soon as the war began, the chauvinistic euphoria that began in St. Petersburg spread to the Caucasus, including the Georgian provinces and the bulk of the Georgian aristocracy joined it, which was most clearly manifested during the visit of Nicholas II to Tbilisi. Vile flattery and wishful thinking were evident both in the words and actions of the Georgian nobility and during the emperor's meetings with the elite of the Georgian intelligentsia. Already at this time, a significant part of the Georgian elite became characterized by conformism, which later, during the period of "building communism," took on even uglier forms.

Representatives of Georgian society actively participated in the First World War on the side of the Russian state. 200,000 soldiers and 7,000 officers from Georgia fought in the military units of Imperial Russia. Among the Georgian officers, many outstanding, honored heroes won many victories. They made their worthy contributions both to the general military operations of the Entente and to the defense of the borders of Georgia on the Caucasian front. But even the blood they shed, like all the lives sacrificed on various fronts of World War I, cannot cover up its predatory nature.

During the War, Georgian society was actively involved in global and local political processes. Against the backdrop of worsening social problems caused by the war, Georgian society worked, fought, developed, and had hopes and expectations. All this strongly manifested itself at the beginning of the war. During this period, the progressive part of Georgians especially strengthened their sense of justice, most clearly expressed in helping certain religious groups of the mountainous Adjara. By mitigating the results of the repressions launched by the Russian authorities on charges of "high treason" Georgian society honorably fulfilled its duty.

Objectively assessing the tragic events of the Armenian Genocide in Turkey, showing mercy to Armenian refugees, condemning anti-Armenian hysteria in Turkey, etc., the progressive part of Georgian society did everything on its part to ensure that the

tragic processes that took place in Turkey would not recur in Georgia, even though there were such attempts that could have ended in tragedy.

It soon became obvious that Russia was the worst prepared for a world war and was the “weak link” of the coalition, the break of which pioneered socio-economic cataclysms and turnovers worldwide. The circumstances provided the opportunity to conduct the first socialist (communist) experiment in the 20th century. Social protests and uprisings in Germany, Austria-Hungary, Turkey, and China soon followed the Russian Revolution. Empires went down, and monarchs lost their thrones...

In the fire of the First World War, a new country, the Democratic Republic of Georgia, was born, led by right-wing Social Democrats, a political force in love with proletarian internationalism. This force did not even think about the independence of Georgia and considered itself an integral part of the united democratic movement of Russia. The logic of historical development and the newly established foreign policy situation brought this force to the leadership of independent Georgia. This new government sought to build a democratic state imbued with European-style Marxist ideology. The adoption of the “Declaration of Independence," the organization of the constituent assembly, the long work on the constitution, the construction of state structures, and the struggle for international recognition of Georgia’s independence were worthy and notable deeds which, however, did not receive due recognition and did not bear fruit.

Eclectic economic and social domestic policy, adoption of Marxist dogmas as a program of state action ("They still couldn't take off the Marxist kaftan!"), serious economic or social problems (peasant uprisings, aggravation of the national question, strengthening of Bolshevik aggression, etc.), seriously hindered the normal development of the state.

Wrong foreign policy course: forced orientation towards Germany and Turkey and the steps taken in this direction, specifically sending a state delegation to Berlin one week after the end of the World War, to develop economic projects and a plan for future cooperation, cannot be considered a wise and far-sighted policy. The historic victory of the Entente radically changed the balance of power in the region and the world, seriously complicating Georgia's relations with the

victorious countries, primarily Great Britain. The anti-Georgian political forces always reminded the Entente states of the Georgian-German relationship and its consequences.

These difficulties and challenges for Georgia were especially highlighted at the Paris Peace Conference, where, despite the diverse activities of the Georgian delegation, the desired results were not achieved. The Treaty of Versailles was signed so that Georgia, like other newly created states of the Caucasus, did not receive recognition of its independence from the European Areopagus. However, this process still had a positive aspect: after a long time, Georgia as a state participated in the work of the common Areopagus of the world countries.

The Treaty of Versailles and the Armistice proved ineffective international documents that failed to ensure “peace on earth and virtue among men”. A Georgian thinker, so unequivocal in his assessment, was completely true: "The world is not going to calm down after this truce. The losers will always try for revenge. And the winners should prepare their weapons to fend them off.

Even though this terrible war was waged under the slogan of protecting small nations, now, after the victory, when this slogan is to be implemented, it turned into their enslavement by the great states. And still, the futility of this war will soon be exposed.

Never has a war been less fruitful for the victors than this one. There are no winners. Warring parties are drained of blood. One loses more, the other relatively less. But everywhere, the loss is irreparable, and the imperialist predators cannot make up for it."

I МИРОВАЯ ВОЙНА И ГРУЗИНСКАЯ ОБЩЕСТВЕННОСТЬ

В результате критического осмысления трудов грузинских и зарубежных историков, а также - изучения новых архивных материалов и периодических изданий, мы пришли к обоснованному выводу, что I мировая война является органичным и вполне закономерным результатом основной линии всемирного исторического развития. Надо полагать, причиной тому послужили неравномерное развитие капитализма, высокая степень экономической конкуренции, колониальная политика и необузданное стремление к переделу мирового порядка. Вступившие в войну государства боролись либо за сохранение и неприкосновенность собственных колониальных империй (в том числе и за монопольное владение материальными ресурсами и торгово-караванными путями), либо за передел ранее распределенных колоний. Степень ответственности правящих классов и лидеров всех стран, вовлеченных в эту войну, неизмерима перед лицом истории, поскольку они в равной мере повинны в трагедии, потрясшей весь мир в 1914 году. Следовательно, неправомерно возлагать вину только на отдельно взятого лидера (или страну).

В начале XX века грузинская общественность во главе с патриотически настроенной интеллигенцией, т.н. «тергдалеулни (испившие воду Терека, т.е. получившие образование в России) планомерно следовала первому этапу процесса национальной консолидации, цель которого заключалась в воссоединении конфессионально неоднородного (православные, католики, григорианцы, мусульмане), социально дифференцированного (дворяне, духовенство, крестьянство, буржуазия) грузинского населения, тем самым собираясь решить проблему «сломанного моста». Весь этот процесс проходил в условиях внедрения привнесенного из Европы капиталистического способа производства, который в начале новой эпохи, с учетом сложившихся в Грузии в начале новых времен определенных национальных особенностей (местная буржуазия в основном была этнически негрузинской), тем не менее достиг значительно развития, особенно в сфере добывающей промышленности (чиатурский марганец, ткибуль-

ский уголь и т.д.). Капитализм в Грузии развивался в ярко выраженной «подражательной» форме, т. е. не классическим образом (опыт Великобритании), а в условиях господства иррациональной идеологии и быта, свойственного как имперскому, так и местному бытию и сознанию. Это еще больше затрудняло развитие процесса капитализации, хотя результат все же был получен в виде образования единого национального рынка, усиления тенденции к преодолению провинциального партикуляризма, утверждения ведущих основ экономической системы капитализма в Грузии.

Факторы, тормозившие процесс консолидации грузинского общества, четко обозначились еще в начале XX века: подрывная антигрузинская демографическая политика царизма, конфессиональное разнообразие грузин, партикуляризм, распространение социал-демократической идеологии, начало рабочего движения и т. д.

В начале XX века логика развития новой эпохи сконцентрировала все имеющиеся противоречия в столицах ведущих европейских и американских стран: в условиях безответственности и амбициозности их политической элиты, внутри- и внешнеполитический курс этих стран, наполненный ненасытным стремлением защитить собственные национальные (или классовые) интересы, с его логикой развития постоянно порождал межгосударственную вражду, конфронтацию и агрессию. Следовательно, все это логически привело к стремлению решать возникшие конфликты силой оружия. При этом в создавшейся ситуации все великие державы были равны и все сообща действовали под одним лозунгом – «У нас нет ни постоянных врагов, ни постоянных друзей, у нас есть постоянные интересы!»

На основе этих принципов в начале XX века ведущие европейские державы разделились на две противостоящие группировки («Антанта» и «Тройственный союз»), первая из которых выразила готовность защищать существующий статус-кво в мире, а вторая стремилась непременно его изменить – перераспределить колонии, поскольку они запоздали с распределением мировых ресурсов и отставали от общего развития. Главы этих

государств, короли-монархи, премьер-министры и президенты в равной мере несут ответственность за произошедшее в 1914 году.

Стремления и цели государств четко определились в самом начале новой эпохи - начался передел колониальных империй: в 1899 г. Американо-испанская война - за Кубу, англо-бурская война - за Трансвааль, Балканские войны 1912-1913 гг. и другие конфликты ясно указывают на то, что в начале века закон неравенства в развитии капитализма со всей силой задействовал все противостояния между государствами, тем самым создав взрывоопасную ситуацию, разрядить которую участники конфликтов серьезно и не пытались, хотя внешне они приложили «немало усилий» для организации различных съездов и дипломатических встреч. Следовательно, лидеры европейских и американских стран несут ответственность за трагические события, развернувшиеся под их руководством в июле 1914 года и принесшие миру невероятную катастрофу, кровопролитие, гибель миллионов людей, разрушение городов и сел, а главное – революционные катаклизмы с их новыми социальными экспериментами и установлением нового мирового порядка.

В начале новой эпохи Грузия была полностью инкорпорирована в состав Российской империи и разделена на две губернии (Тбилисская, Кутаисская). Основная социальная и интеллектуальная часть населения (дворянство), похоже, была полностью растворена в имперских государственных структурах России (наглядным примером служит позорный факт организации и празднования 100-летия унии с Россией) и лишь ее малая часть думала о восстановлении независимости Грузии с помощью иностранных государств, враждебных России, с признанием их сюзеренитета. Этот путь предвещал большую опасность для Грузии. Поддерживающие подобную идею группы людей в условиях возможной войны надеялись, что территория Грузии будет расширена за счет Турецкой империи (проблема Лазики) и открыто обсуждали этот вопрос.

Тем временем внутри грузинского общества назрел идеологический конфликт между национальной идеологией (линия Ильи Чавчавадзе) и интернационалистским мировоззрением (марксистско-социалистическая линия). Убийство Ильи Чавчавадзе в 1907

году выявило факт усиления социал-демократического элемента в грузинском обществе, что в условиях имеющегося поликонфессионального фона вызвало ослабление национальной идеи в пользу укрепления интернационалистического мировоззрения.

С началом войны наступившая в Петербурге шовинистическая эйфория распространилась на Кавказ, в том числе и на грузинские губернии; к ней охотно присоединилась и основная часть грузинской аристократии, что наиболее ярко проявилось во время визита Николая II в Тбилиси: тошнотворная лесть, стремление превратить желаемое в реальность отчетливо проявлялось как в словах и делах грузинской знати, так и при встречах с элитной частью грузинской интеллигенции. К тому времени конформизм уже стал характерной чертой значительной части грузинской элиты, принявшей в дальнейшем, в период "строительства коммунизма", еще более уродливые формы.

Представители грузинской общественности активно участвовали в Первой мировой войне, защищая интересы Российского государства. В составе российских императорских воинских частей сражались 200 000 грузинских солдат и 7 000 грузинских офицеров. Среди офицеров было много выдающихся, заслуженных, победоносных воинов-героев, внесших свой достойный вклад как в общие военные действия Антанты, так и в защиту границ Грузии на Кавказском фронте. Но даже пролитая ими кровь, а также пожертвованные жизни всех солдат, сражавших на разных фронтах Мировой войны, не скрасить захватнический характер Первой мировой войны и ее несправедливую сущность.

Во время войны представители грузинского общества активно занимались анализом развивающих глобальных и локальных политических процессов. На фоне обострения сопутствующих войне социальных проблем, люди работали, боролись, развивались, питали надежды в ожидании благоприятных изменений. Любопытно, что подобные настроения четко проявились уже в самом начале войны – в это время среди прогрессивных представителей грузинского народа заметно обострилось чувство справедливости, о чем свидетельствует оказанная ими помощь определенным группам населения горной Аджарии, против

которых российскими властями были предприняты репрессивные меры под предлогом «обвинения в измене государства»; следует отметить, что грузинская общественность с честью выполнила свой долг по нейтрализации результатов репрессий. С такой же справедливостью отнеслись грузины и к событиям за пределами своей страны, о чем свидетельствуют объективная оценка трагических событий геноцида армян в Турции, милосердие, проявленное к армянским беженцам, осуждение антиармянской истерии в Турции и т.д. Прогрессивная и интеллигентная часть грузинского общества сделала все возможное, чтобы не допустить в Грузии повторения аналогичных трагических событий, тем более, что к тому времени уже предпринимались подобные попытки и все могло закончиться драматично. Предотвращение глобальной катастрофы для Родины – величайшая заслуга передовой части грузинского общества перед нацией. Как современно звучат следующие слова грузинского патриота: «В прессе обсуждаются различные проекты будущего обустройства Армении. Главный их недостаток в том, что все предложения основаны на проблемном положении – раздробленности Османской империи, т.е. все спорят о разделе шкуры еще живого зверя. В данном случае мнение основано не на факте, а на желании: не мирная конференция, а фактическое распределение сил. На этом стремлении строятся не только различные проекты, но и определенная национальная политика. Но давайте представим, что зверь остался жив, желание превратилось в мечту, что же будет дальше? Надежда на «освобождение» Кавказа будет разбита, а армянский народ окажется в такой опасности в Османской империи, что будет полностью стерт с лица земли. Связывать будущее нации с разрушением государства, в котором она проживает, значит превращать судьбу нации в опасную игру». Эта мудрое высказывание по сей день остается неоспоримой истиной...

Очень скоро стало очевидно, что Россия хуже всех подготовилась к мировой войне и оказалась «самым слабым звеном» среди других стран; Следовательно, именно отсюда и начались в мире социально-экономические катаклизмы и радикальные перевороты, что в свою очередь создало возможность проведения социалистического (коммунистического) эксперимента в XX веке.

За русскими революциями последовали социальные протесты и восстания в Германии, Австро-Венгрии, Турции, Китае: рушились империи, монархи теряли свои троны...

В огне Первой мировой войны родилась новая страна – Демократическая Республика Грузия во главе с правыми социал-демократами. Политическая партия, которая поклонялась идее пролетарского интернационализма, даже не помышляла о независимости Грузии и считала себя неотъемлемой частью единого демократического движения России, благодаря создавшейся внешнеполитической ситуации, сама того не ожидая, стала первой руководящей силой независимой Грузии. Ее лидеры стремились построить демократическое государство европейского типа, насквозь пропитанное марксистскими догмами. «Акт о независимости», организация учредительного собрания, длительная работа над конституцией, строительство государственных структур и борьба за международное признание независимости Грузии – это достойные и важнейшие цели, которые не были оценены должным образом и, следовательно, так не принесли результатов.

Проводимая новым правительством эклектичная экономическая и социальная внутренняя политика, признание догматики марксизма («не могли до конца снять марксистский кафтан!») как программы действий государства, серьезные экономические или социальные проблемы (крестьянские восстания, обострение национального вопроса, усиление большевистской агрессии и т. д.) значительным образом препятствовали нормальному развитию государства.

Неправильный внешнеполитический курс – вынужденная ориентация на Германию и Турцию, предпринятые в этом направлении активные шаги, отправление государственной делегации в Берлин в канун окончания Мировой войны, планирование и разработка различных экономических проектов и стратегии будущего сотрудничества – все это нельзя считать мудрой и дальновидной политикой. Историческая победа «Антанты» коренным образом изменила баланс сил как в регионе, так и в целом мире и серьезно осложнила отношения Грузии со странами-победительницами и, прежде всего, с Великобританией. При этом,

антигрузинские политические силы постоянно напоминали странам «Антанты» о грузино-германских отношениях и их последствиях.

Для Грузии все эти трудности сконцентрировались на Парижской мирной конференции, где, несмотря на многостороннюю деятельность грузинской делегации, не было достигнуто необходимых результатов. Версальский договор был оформлен таким образом, что Грузия, наряду с новообразованными Кавказскими республиками, так и не удостоилась признания своей независимости от европейского ареопага; хотя Парижская конференция безусловно имела и положительное значение, поскольку после столетнего ожидания, Грузии удалось достичь намеченной цели и в качестве государства участвовать в работе международного ареопага. Даже Версальский договор оказался неэффективным международным документом, не сумевшим обеспечить мир на земле и добродетель между людьми. Столь категоричный в своих оценках грузинский мыслитель совершенно справедливо заметил: «Миру не стоит успокаиваться после этого перемирия. Проигравшие всегда будут бороться за реванш, а победители постоянно должны вооружаться против них. Вся эта страшная война велась под лозунгом защиты малых народов, но теперь, когда настало время претворить его в жизнь, тот же самый лозунг на деле стал орудием для порабощения малых народов и провозглашения протектората великих держав над ними. Но бесплодие результатов войны вскоре проявится во всей своей суровости. Ни одна война не была по сути своей менее плодотворной для победителей. Если говорить по существу, сегодня нет никаких победителей, есть лишь обедневшие и обескровные воюющие стороны: Одна из них потеряла больше, другая - относительно меньше. Но везде общая потеря невосполнима, ибо ее невозможно возместить грабежом и хищничеством империалистических стран...»

სარჩევი

წინათქმა.....3

თავი I. მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები.....23

§1. კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა.....23

§2. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.....30

§3. კოლონიალიზმი და კოლონიალური იმპერიები.....45

თავი II. ქართული საზოგადოებრიობა XX საუკუნის დასაწყისში.....52

§1. ქართველების დემოგრაფიული განვითარების თავისებურებები.....52

§2. ქართული საზოგადოებრიობის სოციალური სტრუქტურა.....58

§3. ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და მისი შედეგები.....62

§4. ქართული საზოგადოებრიობის ინტეგრაციის პრობლემა და მისი „ჰეგემონის“ საკითხისათვის.....74

§5. ქართული საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის პროცესის დასაწყისი.....81

§6. ანტისაზოგადოებრივი, ანტიქართული, დეზინტეგრაციული პროცესები.....95

თავი III. მსოფლიო ომის მისადგომებთან.....106

§1. ახალი ეპოქა.....106

§2. სურვილები და მოლოდინები.....126

§3. ქართული საზოგადოებრიობის იმედები და მიზნები...137

§4. გასროლა სარაევოში.....160

თავი IV. ომი დაიწყო!.....180

§1. ყოვლისმომცველი ეიფორია.....180

§2. ნიკოლოზ II თბილისში.....186

§3. ქართველების ფსიქო-მორალური სულისკვეთება I მსოფლიო ომის დასაწყისში.....202

§4. ქართველები I მსოფლიო ომის ფრონტებზე.....214

§5. „აჭარის საქმე“.....225

§6. სომხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა თურქეთში და ქართული საზოგადოებრიობა. 242

თავი V. ქართული საზოგადოებრიობის სადაგი დღეები.....255

§1. ეკონომიკური განვითარება.....255

§2. საზოგადოებრივი საქმიანობა 280

§3. საეკლესიო ცხოვრება 294

§4. კულტურა და ყოფა.....301

§5. „ზედაფენების კრიზისი“.....318

§6. თებერვლის რევოლუცია.....326

თავი VI. I მსოფლიო ომი და საქართველოს I რესპუბლიკა.....339

§1. დამოუკიდებლობის დეკლარაცია.....339

§2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.....351

§3. საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები.....361

§4. ფრონტებსა და ბრძოლის ველზე.....388

თავი VII. ომი დამთავრდა..! **400**

§1. „ანტანტამ“ გაიმარჯვა *400*

§2. პარიზის სამშვიდობო კონფერენცია *407*

§3. საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შეთავაზება პარიზის სამშვიდობო კონფერენციას *418*

§4. საქართველოს დელეგაციის მრავალმხრივი საქმიანობა *425*

§5. საქართველოს საზღვრების პრობლემა *435*

§6. კავკასიის სახელმწიფოები პარიზის კონფერენციაზე *454*

§7. ბათუმის საკითხი *471*

§8. გამარჯვებული „ანტანტის“ გეგმები და პოლიტიკა საქართველოს მიმართ I მსოფლიო ომის დასასრულს *482*

§9. ვერსალის ზავი და მისი შედეგები საქართველოსათვის *487*

დასკვნები **495**

THE FIRST WORLD WAR AND GEORGIAN SOCIETY **503**

I МИРОВАЯ ВОЙНА И ГРУЗИНСКАЯ ОБЩЕСТВЕННОСТЬ **508**



ალექსანდრე გიორგის ძე დაუშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი ისტორიის დარგში. 1998-2006 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლვის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, 150-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი, რამდენიმე გახმაურებული მეგა-პროექტის თანაავტორი: „კავკასიის ისტორია“, „საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული), „საქართველოს ისტორია“ (ერთტომეული ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს ბოლო გამოცემა დაიბეჭდა ნიუ-იორკში 2012 წ.), „ქართველები“, „ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებები უხსოვარი დროიდან დღემდე“ და ა.შ. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები: „საქართველოს II რესპუბლიკა“, „სოსო ჯუგაშვილის ამბავი“ (3 წიგნად), „აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები“, „კულაკები საქართველოში“ და მრავალი სხვა.

ISBN 978-9941-514-62-3

9 789941 514623